

ანალები

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის
შესწავლისა და პროპაგანდის
სამეცნიერო ცენტრი

ANALEBI

SCIENTIFIC CENTRE FOR STUDIES
AND PROPAGANDA OF HISTORY,
ETHNOLOGY AND RELIGION



გამომცემლობა „ანალები“
თბილისი 2013

ქურნალის „ანალები“ რედაქციები:

- აკად. დ. მუსხელიშვილი (მთავარი რედაქტორი)
- აკად. მ. ლორთქიფანიძე
- დოქტ. რ. სუნი (ჩიკაგო, აშშ)
- დოქტ. გ. კოსაკი (მარბურგი, გფრ)
- პროფ. გ. ლარსონი (უფსალა, შვედეთი)
- ი.მ.დ. მ. სამსონაძე
- ი.მ.დ. ნ. ხაზარაძე
- ი.მ.დ. ნ. ვაჩნაძე
- ი.მ.დ. მ. ნათმელაძე
- ფ.მ.დ. ნ. სულავა
- ი.მ.დ. ა. დაუშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი)

ქურნალი გამოსაცემად მომზადდა ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის საგამომცემლო ჯგუფში „მემატინე“.

კომპიუტერული უზრუნველყოფა მ. ბუტიკაშვილისა

© ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი

საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 1512-343X

„ერის ღაწემა და გათახსირება მამინ
ინცება, როჯა ერი, თავის საყბედუროდ,
თავის ისტორიას ივინცებს“.

ილია





saxel iTa mamisaTa da ZisaTa da sul isa wmidisaTa,
amin!

istoriul i mecnierebis ganvitarebaSi Setanil i
didi wvl il isaTvis saqarTvel os erovnul i
mecnierebaTa akademiis akademikosi

davit musxel isvil i

daj il dovdes saqarTvel os ekl esiis umaRI esi j il doTi

- wm. giorgis oqros ordeniT


il ia II

srul iad saqarTvel os kaTol ikos-patriarqi

2013 wl is 10 april i

გი | ცავT!

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის გაშვება და თანამშრომლები, ჟურნალ „ანალების“ რედაქლეგია ერთხმად ვულოცავთ ღირსეულ მამულიშვილს, ჩვენი სამეცნიერო ცენტრის უცვლელ ხელმძღვანელს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს **დავით მუსხელიშვილს** საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის დამსახურებულ აღიარებას და გამორჩეულ ჯილდოს **წმ. გიორგის ოქროს ორდენს**. ვუსურვებთ ძვირფას ბატონ დავითს ჯანმრთელობას, ღიდხანს სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.



2013 წლის 16 იანვარს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიდ დარბაზში ჩატარდა აკად. ექვთიმე თაყაიშვილის (ექვთიმე ღვთისკაცი) დაბადებიდან 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, საქართველოს პრემიერ მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი, სამღვდელოებისა და სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლები.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ სხდომაზე აკად. დავით მუსხელიშვილის გამოსვლის ტექსტს.

akad. davi T musxel i Svi l i s gamosvl a

როდესაც ილია ჭავჭავაძემ საჯაროდ განაცხადა, რომ „ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა“, ეს ფაქტობრივად, ეპოქალური განცხადება იყო და მოასწავებდა ძველი, ფეოდალური ისტორიოგრაფიის დასასრულს და ახალი დროის შესაფერისი საქართველოს ისტორიის შემუშავებისთვის მეცნიერული ძიების დასაწყისს.

უნდა ითქვას, რომ დიდი ილია მთლად სამართლიანი არ გახლდათ ეროვნული მატრიანეს მისეულ შეფასებაში,

რადგან „ქართლის ცხოვრება“, ნიკო ბერძენიშვილის თქმისა არ იყოს, „ერთი უბირი ქრონიკა კი არ არის“, არამედ უნიკალური გამოვლინებაა ჩვენს წინაპართა ისტორიული მენტალიტეტისა, რომელშიც არა მხოლოდ პოლიტიკური ისტორიაა („მეფეთა ცხოვრება“) მოთხრობილი, არამედ ქართველი ხალხის ეთნიკური, სოციალური და სახელმწიფოებრივი განვითარების მწყობრი და სავსებით რეალისტური კონცეფციაა ჩამოყალიბებული. მსგავსი არაფერია, მაგალითად, შუა საუკუნეების სომხურ ისტორიოგრაფიაში, რომელიც, თავის მხრივ, ისტორიკოსთა რაოდენობით და ინფორმაციულობით გაცილებით უფრო მდიდარია ქართულზე. ამ თვალსაზრისით „ქართლის ცხოვრება“ ჯერ კიდევ არ არის შეფასებული. და მაინც, ილია ჭავჭავაძე, არსებითად, სწორია, რადგან, „ქართლის ცხოვრება“ ფეოდალური ეპოქის შენამოქმედია და ქართული ფეოდალური საზოგადოების აზროვნების ნაყოფია, რომელიც მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში „სახარებასა“ და „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად ამ საზოგადოების პატრიოტული სულისკვეთების განმტკიცებას ემსახურებოდა.

XIX ს-ის მეორე ნახევარში, ახალი (ბურჟაზიული) საზოგადოების შობასთან ერთად, ახლებური „ქართლის ცხოვრების“ შემუშავების მოთხოვნილებაც გაჩნდა, ხოლო საამისოდ ახალი მასალის მოპოვება გახდა საჭირო და, მართლაც, დაიწყო დიდი მოძრაობა ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის წერილობითი საბუთების თუ მატერიალური ძეგლების გამოვლენისა და შეგროვებისათვის. საამისოდ მიმდინარეობდა ძიება არა მხოლოდ არქივებში თუ სიძველეთსაცავებში, არამედ ეწეობოდა საგანგებო არქეოლოგიური ექსკურსიები და ექსპედიციები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეს.

ამ დიდ პატრიოტულ საქმეში საზოგადოების დიდი ნაწილი იყო ჩართული, კერძოდ, უშუალოდ ისტორიკოსების გარდა, სამხედრო და სამოხელეო ინტელიგენცია. უდიდესი წვლილი ამ ეროვნულ ღონისძიებაში სწორედ ექვთიმე თაყაიშვილს აქვს, რომელმაც კოლოსალური ძალისხმევა გამოავლინა ამ თვალსაზრისით. მისი ღვაწლი როგორც ვიცით, გასაოცრად მრავალმხრივია, მაგრამ ამ

ჯერად ჩვენ მხოლოდ ერთ ასპექტს გამოვყოფთ: ექვთიმე თაყაიშვილის დამსახურებას საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის საქმეში.

საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, რომელიც შეისწავლის საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის ჩამოყალიბების პროცესს, მის შინაგან სტრუქტურას და ამ სტრუქტურის ცვალებადობას ისტორიულ პროცესში, ექვთიმე თაყაიშვილის დროს, როგორც მეცნიერება არ არსებობდა და ამიტომ ეს პრობლემატიკა მის წინაშე არც იდგა. მის მიერ ათეული წლების განმავლობაში განხორციელებული ექსპედიციები თითქმის მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, ტაო-კლარჯეთისა და არტაანის პროვინციების ჩათვლით, მიზნად ისახავდა შუა საუკუნეების მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლების გამოვლენას და აღწერას, ეპიგრაფიკული მასალის მოძიებას და, ცხადია, ასეთ კონკრეტულ მიზანდასახულობას თითქოს არაფერი აქვს საერთო ამა თუ იმ მხარის ისტორიულ-გეოგრაფიულ შესწავლასთან, მაგრამ ექვთიმე თაყაიშვილის დამსახურება სწორედ ის არის, რომ მისი, როგორც ისტორიკოსის თვალსაწიერში, მხოლოდ ეკლესია-მონასტრები ან ციხესიმაგრეები კი არ ხვდებოდა, არამედ მის მიერ მოხილული მხარეების ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო, მოსახლეობის სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობა, ეთნიკური ვინაობა, მიგრაცია, ძველი ნასოფლარები, არხები, გზები, ტოპონიმიკა, სავაჭრო ურთიერთობანი და ე.ი. ფაქტობრივად, ყველაფერი ის, რაც ამა თუ იმ მხარის ისტორიული გეოგრაფიის საშენ მასალას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ მისი ექსპედიციების ვრცელი მეცნიერული ანგარიშები, დღესაც დიდ მნიშვნელობას ინარჩუნებს მრავალი დარგის მეცნიერებისათვის და, კერძოდ, ფრიად ფასეულია საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის პრობლემატიკის დამუშავებისათვის.

საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, როგორც საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი დარგი, ფაქტობრივად, გასული საუკუნის 50-60-იან წლებში ყალიბდებოდა აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის ენერგიული ძალისხმევით. დღეს ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევის შედეგად ნათელია და ეს ყოველმა ქართველმა უნდა იცოდეს, რომ ბევრი სხვა

ქვეყნისაგან განსხვავებით, არცერთი მეტრი საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიისა არ არის შექმნილი სხვათაგან დაპყრობის შედეგად, არამედ ეს უკანასკნელი ისევე, როგორც ქართველი ერი, წარმოიქმნა მთისა და ბარის სხვადასხვა ტომთა შორის ათასწლეულების განმავლობაში გარკვეულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური იმანენტური პროცესების შედეგად. ასე რომ საქართველოს ტერიტორიის და ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესი, ფაქტობრივად, პარალელური მოვლენებია, ანუ ქართული სახელმწიფო ტერიტორია ქართველთა შენამოქმედია. საამისო ტოპონომიკური საბუთებიც არსებობს.

ეს კარგად იცოდნენ ჩვენმა ისტორიულმა უძველესმა მეზობლებმაც, რაც აისახა კიდევ ისტორიულ ტოპონომიკაში, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებს აღნიშნავს. ასე მაგალითად, უკიდურეს ჩრდილოეთით I ს-ის რომაელი ენციკლოპედისტი პლინიუსი ივერიის კარს უწოდებს დარიალის ხეობას, საიდანაც სარმატიაში გადიოდნენ. უკვე III ს-ში ამ ხეობას „დარიალანი“ ანუ „ოვსთა კარი“ ჰქვია, რაც ჩრდილო კავკასიაში სატმატთა ნაცვლად აღანთა ანუ ოსთა გამოჩენას გულისხმობს. უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთში ჭოროხისა და ეფვრატის მდინარეების წყალგამყოფ ქედს დღესაც „გურჯიბოლაზი“ ანუ „საქართველოს ყელი“ ეწოდება, რაც ძველისძველი ტოპონიმის თურქულ თარგმანს წარმოადგენს. უკიდურეს სამხრეთში მტკვრისა და არაქსის აუზთა წყალგამყოფი ქედის ძირში მდებარეობს სოფ. გოგარანი, რომელიც ძვ. წ. I ს-ის ბერძენ გეოგრაფთან, სტრაბონთან დამოწმებული ერთ-ერთი ქართული ტომის – „გოგართა“ – ადგილსაცხოვრისს მიუთითებს და რომელსაც დღეს სომხები სომხურ ყაიდაზე – „გუგარქს“ უწოდებენ.

უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით, აწინდელი ტუაფსედან 40-ოდე კმ-ზე მდებარე ძველ ქალაქ ნიკოფსეს II ს-ის რომაული წყარო „ძველ ლაზიკეს“ უწოდებს, რაც ლაზთა აქ განსახლებას გულისხმობს, ხოლო უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთით, ალაზნის შენაკად აგრი-ჩაის

გასწვრივ კავკასიონიდან ჩამოსულ ქედს დღესაც „გურჯი-
დალი“ ეწოდება.

ზემოსხენებული ეთნოტოპონიმია აშკარად იმის და-
დასტურებაა, რომ, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სა-
ხელმწიფო ტერიტორია ქართველების შემოქმედებაა.

ეს კი ნიშნავს, რომ ყველა არაქართული ეთნოსი,
რომელიც დღეს საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს,
აქ გარედან არის მოსული სხვადასხვა დროს. საამისო
დოკუმენტური მასალაც არსებობს. მეორე მხრივ, ეს ნიშ-
ნავს იმასაც, რომ არავის არა აქვს უფლება ტერიტორიუ-
ლი სეცესიისა.

ყოველივე ზემოთქმული კი მნიშვნელოვანწილად, შე-
იძლება ითქვას, ემყარება იმ მძლავრ წყაროთმცოდნეობით
ბაზას, რომელსაც მკვიდრი საფუძველი სწორედ ექვთიმე
თაყაიშვილმა ჩაუყარა.

ამგვარად, ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო მემ-
კვიდრეობა დღევანდელი გამოწვევების თვალსაზრითაც
ფრიად აქტუალურია.



al eqsandre dauSvi l i

**saqarTvel os kaTol ikos-patriarqi il ia II da
saqarTvel os uaxl esi istoriis probl emebi
(epi zodi meore)**

*ექლენება სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის,
უწმიდესისა და უნეტარესის ილია II
აღსაყდრების 35 და დაბადებიდან 85 წლისთავს.*

საქართველოს ისტორიის ბოლო 20 წელი განსაკუთრებული დრამატიზმით და წარუმატებლობით გამოირჩევა. ერი, რომელიც XX საუკუნის 70-80-იან წლებში თავს იწონებდა როგორც ეკონომიკური, ისე განსაკუთრებით კულტურული მიღწევებით, აღმოჩნდა ისეთ გამოუვალ გარემოებათა ეპიცენტრში, რომ ერთბაშად დაკარგა როგორც წინათაობების ეკონომიკური წარმატებების შედეგები, ისე კულტურული განვითარების ბევრი მნიშვნელოვანი მონაპოვარიც: მაღალხარისხოვანი და უფასო განათლება, მო-

წინავე მეცნიერება, ფენომენალური კინოხელოვნება, თეატრალური ცხოვრება, მუსიკა, სპორტი. რატომ მოხდა ეს?

როცა საქართველოს უახლესი ისტორიის რიგ საკვანძო საკითხზე საუბრობს, მისი უწმიდესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ხაზგასმით მიანიშნებს, რომ ზოგიერთი დრამატული მოვლენა საქართველოს ცხოვრებაში, შეიძლება თავიდან ყოფილიყო აცილებული¹. მისი უწმიდესობა საქართველოს ისტორიიდან გამოყოფს ორ უმნიშვნელოვანეს თარიღს: 1989 წლის 9 აპრილს და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომს.

მოვლენათა რიგში გამორჩეულია 9 აპრილი, დრამატული დღე, როცა მოხდა რუსი მხედრიონის მიერ მშვიდობიანი მიტინგის ბარბაროსული დარბევა და იყო ადამიანური მსხვერპლი. ისტორიოგრაფიაში ამ მოვლენის შეფასებისას ცალსახად დადებითი შეხედულებები ჭარბობს: „9 აპრილს საქართველოს ესროლეს, რადგან ჩვენს ქვეყანას ურჩევნია ფეხზე მდგომი დაიღუპოს, ვიდრე დაჩოქილმა იცოცხლოს“². ზოგიერთი მკვლევარი ამ მოვლენას დიდგორს ადარებს³. მსგავსი შეხედულებები ბევრია...

თუ ამ მოსაზრებებს მივიღებთ, გამოდის, რომ მის უწმიდესობას არ სურდა ქართველთა „ახალი დიდგორი“, ქართული სულის ჰეროიკული გამოვლენა, საქართველოს ფეხზე წამოდგომა, როცა აღნიშნავდა 9 აპრილის მოვლენების თავიდან აცილების შესახებ...

რა თქმა უნდა არა... ამ შემთხვევაში ჩვენ სხვა გარემოებასთან გვაქვს საქმე, რაზეც მოკლედ გვინდა შევჩერდეთ. 9 აპრილის კრიზისი გამოიწვია აფხაზი სეპარატისტების მცდელობამ გადაესინჯათ საბჭოთა პერიოდის ქართულ-აფხაზური პოლიტიკური თუ კულტურული ურთიერთობების შედეგები, ესარგებლათ საკავშირო პრესაში ანტიტალინური და, აქედან გამომდინარე ანტიქართული ისტერიით და არა საბჭოთა სისტემა, არამედ ქართველი ხალხი დაედანაშაულებინათ აფხაზების მიმართ ნებისმიერ, ჩადენილ, თუ არ ჩადენილ დანაშაულში; და ყოველგვარი კანონიერების დარღვევით მოეთხოვათ საქართველოს შემადგენლობიდან გასვლა. აფხაზი სეპარატისტების ასეთი გამოსტომები „არ ახალ“ იყო. საბჭოთა რეჟიმის პე-

რიოდში სეპარატისტულ გამოსვლებს საქართველოს წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა XX საუკუნის 20-იანი წლების დასწყისში, 1931 წელს; 50-იან წლებში, 1978 წელს. მაგრამ ამ საკითხებს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება მეტ-ნაკლები წარმატებით აგვარებდა.

ამასთან, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ 80-იანი წლების შუა ხანებში, „პერესტროიკის“ მიმდინარეობის პერიოდში, საბჭოთა ხელმძღვანელობის გაუაზრებელი მოქმედებებით ვერ მოხერხდა ეკონომიკური ცხოვრების აღორძინება, რამაც გააძლიერა სოციალური დაძაბულობა და დაიწყო სოციალისტური სისტემის რღვევა. ამან კი ჩინებულ ფონზე შექმნა სეპარატისტული ტენდენციების გასაძლიერებლად, რასაც წარმატებით იყენებდნენ საბჭოთა სახელმწიფოს სპეცსამსახურები.

უნდა ისიც აღინიშნოს, რომ საერთო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, საქართველო XX საუკუნის 80-იანი წლების მანქვინებლებით (ცხოვრების დონით, მატერიალური დანახოვებით, ხალხის საშუალო შეძლებით) მაინც გამორჩეული იყო საბჭოთა კავშირში, რაც აღიზიანებდა ბევრ რუს ინტელიგენტს, მოაზროვნეს (გავისხენოთ მწერალი ვიქტორ ასტაფიევი და მისი „ციმორების ჭერა საქართველოში“) და რიგით ობივატელს.

ხაზგასმით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ინტელიგენციის ძალისხმევით ეროვნული თვითშეგნება იმ წლებში მაღალ სიმაღლეზე ავიდა. სწორედ საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენცია იყო ის ძალა, ვინც საბჭოთა სისტემის პირობებშიც კი, ქართული შემოქმედებითი პოტენციალის არნახული გაქანება შეძლო, რაც ასე ნაყოფიერად გამოვლინდა ქართულ კინოში, ქართულ თეატრში, ქართულ სპორტსა თუ სახვით ხელოვნებაში, მუსიკაში, ლიტერატურაში. ეს თვითშეგნება ეროვნულ-მოძრაობას არ შეუქმნია, ეს ქართველი ინტელიგენციის დამსახურებაა ქართველი ერის წინაშე. აკაკი ბაქრაძე, რეზო თაბუკაშვილი, ვახუშტი კოტეტიშვილი, რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე, ჭაბუა ამირეჯობი, ანა კალანდაძე, ელისო ვირსალაძე, ნონა გაფრინდაშვილი, მურმან ლებანიძე და სხვები თავიანთი შე-

მოქმედებით მადლა სწევდნენ ქართველთა ეროვნულ თვით-შეგნებას და ეროვნული ღირსების გრძნობას.

ხაზგასასმელია ისიც, რომ უდიდესი ზეწოლისა და დისკრიმინაციის მიუხედავად, 70-იანი წლების შემდეგ ქართული ცნობიერების ასაღორძინებლად მართლმადიდებელი სარწმუნეობის საფუძველზე, უდიდეს მუშაობას ეწეოდა საქართველოს სამოციქულო ეკლესია.

როცა აფხაზი სეპარატისტების უკანონო და უსამართლო მოქმედებების წინააღმდეგ არაფორმალეზმა მარტის დასაწყისში მთავრობის სასახლესთან დაიწყეს საპროტესტო მიტინგი, ეს ფაქტი სრულიად გასაგები და მისაღები იყო, მაგრამ ძალიან მალე ამ გამოსვლის დედააზრი შეიცვალა ანტისაბჭოთა, ანტიკომუნისტური ლოზუნგებით, გაჩნდა გაეროს ჯარების მოწვევის, საბჭოთა კავშირიდან გასვლის და ა.შ. ლოზუნგები და მოწოდებები. თუმცა, მაინც, ეს მშვიდობიანი მოწოდებები იყო. აშკარაა, რომ გარკვეულ ეტაპზე ვიდაცამ ისარგებლა ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი ლიდერის ახალგაზრდობით, გამოუცდევლობით და მიტინგს ზედმეტად რადიკალური შეფერილობა მისცა. ამ ეტაპზე პოლიტიკური მოთხოვნები არსებულ რეალობებს აშკარად უკვე აღარ შეესაბამებოდა.

რა თქმა უნდა, მიტინგი უსასრულოდ ვერ გაგრძელდებოდა, მიტინგის ახალი ინიციატორები კი ვითარებას ყოველწუთიერად ძაბავდნენ. ვინც 8 აპრილს სადამოს მიტინგზე იყო, ის ქვეცნობიერად აშკარად გრძნობდა ტრაგედიის მოახლოებას. მზადდებოდა რუსი მხედრიონისა და ქართველი პატრიოტების საბედისწერო დაპირისპირება, რომელსაც შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოეტანა საქართველოს მომავალი განვითარებისათვის (ეს ხომ ასეც მოხდა).

სწორედ ამ გარემოებამ, ერის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობამ აიძულა მისი უწმიდესობა ილია II, რომ შუა ღამით მიტინგზე მისულიყო. აი რას წერს ქართველი ისტორიკოსი: „იგი გვიან ღამით მივიდა მომიტინგეებთან, მიკროფონით შეატყობინა მათ, რა საფრთხეც მოელოდათ. თხოვა შეეწყვიტიათ შიმშილობა, დაშლილიყვნენ და მასთან ერთად გადაენაცვლათ ქაშვეთის ტაძარში

ღმერთისადმი ლოცვა-ვედრების აღსავლენად. მაგრამ ერის მოძღვრის ეს გაფრთხილება არავენ შეისმინა. აქციის მომწყობი ზოგიერთი ლიდერი აღრიდანვე არ იყო მოყვარულად განწყობილი უწმინდესისა და უნეტარესის მიმართ. ასლა მათ კათოლიკოს-პატრიარქი ხელისუფლებისაგან მიგზავნილად ჩათვალეს. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირ. წერეთელი ისე გათავხედდა, რომ მღვდელმთავარს მიკროფონი წარსტაცა. ილია II თავი საფრთხეში ჩაიგდო“⁴.

აი, რას წერს სხვა მეცნიერი იმავე ფაქტის შესახებ: „... იმ დამეს ქართველობამ დიდი მადლობა უთხრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს დალოცვისა და გაფრთხილებისათვის. იმ დამეს ვინც იქ ვიდექით, არავის შეგვეძლო რეალური საფრთხის გამო სახლში წასვლა...“⁵

მოდით აქ შევჩერდეთ...

ჯერ ერთი, აშკარად სიმართლეს არ შეესაბამება ეს განცხადება. კათოლიკოს-პატრიარქს „სახლში წასვლა“ არ შეუთავაზებია თავისი მრევლისათვის. გვინდა გვეჯეროდეს, რომ ათეისტური სახელმწიფოს არსებობის პირობებში მთავრობის წინა მოედანზე ძირითადად მორწმუნე ქართველები იდგნენ, რომლებმაც „მამაო ჩვენო“ წაიკითხეს და მათთვის პატრიარქი უდიდესი ავტორიტეტი უნდა ყოფილიყო.

უწმიდესმა მათ შესთავაზა ქაშვეთის ეკლესიაში უფლის სადიდებელი ლოცვა აღველინათ საქართველოს საკეთილდღეოდ ძალადობისთვის, უსამართლობისათვის დაეპირისპირებინათ სულიერი სიმტკიცე, არ მიეყვანათ კონფლიქტი იმ ნიშნულამდე, რაც ასე ოსტატურად ჰქონდა ჩაფიქრებული ქართველების ზიზღით მანიაკალურად შეპყრობილ შეთქმულს, რომელსაც სურდა ქართველებსა და რუსებს შორის გადაულახავი, უმანკოთა სისხლით შეღებილი კედელი აღმართულიყო.

მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით იმ დამეს, 4 საათზე ქართველების იმ ჯგუფი, რომლებიც იმყოფებოდნენ მთავრობის სახლის წინ, ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ბიბლიური არჩევანის წინ დააყენა – „ან იესო, ან ბარაბა“.

ჩვენნი აზრით, ირაკლი წერეთლის მიერ უწმინდესი-სათვის მიკროფონის წარტაცვის ფაქტი, ფაქტობრივად, პოლიტიკური და ზნეობრივი არჩევანის ტოლფასია. იმუამად საქართველო წავიდა არა ილია II გზით, არამედ ირაკლი წერეთლისა და მისი მეგობრების გზით. დაიდვარა უმანკო ადამიანების სისხლი და, რაც მთავარია, საქართველო აშკარად დაუპირისპირდა რუსეთის სამხედრო მანქანას. სწორედ ამის შემდეგ ვეღარ მოწესრიგდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა საქართველოს ყველა აშკარა თუ შენიღბულმა მტერმა. უკვე 1989 წლის ზაფხულში მკვეთრად დაიძაბა ვითარება აფხაზეთში. 16 ივლისს სოხუმის შესასვლელთან, გუმისთას ხიდთან, რამდენიმე საათს გრძელდებოდა სროლა აფხაზეთა და ქართველთა შორის⁶. სამაჩაბლოში თავი წამოჰყვეს ოსმა სეპარატისტებმა, რომლებმაც უკანონო პრეტენზიები წამოაყენეს. სამხრეთ საქართველოში გააქტიურდა სომეხი ნაციონალისტების ჯგუფი, პრეტენზიები გაუჩნდათ მესხეთელ თურქებსაც. ყველამ საქართველოს მიმართ წრეგადასული პრეტენზიები და სურვილები წამოაყენა რადგან მათ უკვე 9 აპრილის შემდეგ, დიდ მფარველად და დამცველად აშკარად რუსეთის მხედრიონი, ხოლო ფარულად რუსეთის სახელმწიფო მოვევლინათ. დღეს აშკარაა სამხრეთ კავკასიაში ვინც თავისი პოლიტიკა რუსეთთან აღიანსზე აავო, პოლიტიკურ წარმატებებსაც მიაღწია და თავსაც მეტად კომფორტულად გრძნობს...

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი ლიდერის არაკომპეტენტურობა თუ წინასწარ ცუდად გააზრებული მოქმედება ძაბავდა სიტუაციას ქართველი ერისათვის მეტად საბედისწერო ვითარებაში ერი დამოუკიდებლად ცხოვრებას აპირებდა და მას სჭირდებოდა როგორც არსებული მატერიალური რესურსების, ისე განსაკუთრებით დიდი სულიერი პოტენციალის შენარჩუნება, რაც მან დააგროვა და რომლის განიავების უფლება არავის ჰქონდა.

სწორედ ამიტომ იყო მისი უწმიდესობა ღამით მიტინგზე, სწორედ ამიტომ სთხოვა უფლის სადიდებელი ღოც-

ვა, რომ ლოცვით გაბრწყინებულებს აგვეშენებინა ახალი საქართველო.

მაგრამ მავანთა დამსახურებით თვალცრემლიანებმა და გონებაარეულებმა დაგიწყეთ ახალი საქართველოს მშენებლობა და ერთ შეცდომას, სხვა შეცდომა მივამატეთ.

ამრიგად 9 აპრილი დიდგორი კი არა, ქართველები-სათვის გოლგოთის დასაწყისია.

ის რომ 9 აპრილს ქართველობამ შეცდომა დაუშვა, ეს ძალიან მალე საცნაური გახდა. ძალიან მალე საექვო ვითარებაში ტრაგიკულად დაიღუპა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი მერაბ კოსტავა, სწორედ ამ ფაქტის შემდეგ დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაშლა ერთი ჯგუფი კომუნისტურ პარტიასთან ალიანსზე წავიდა და უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო, ამით დაარღვია ახალი აღთქმის შეგონება: „ნუ ჩაასხამთ ახალ ღვინოს ძველ ტიკებში!“

დღეს აშკარაა: სწორი იყვნენ ისინი, ვინც ფიქრობდნენ, რომ არ შეიძლება საბჭოთა პოლიტიკური სტრუქტურების გამოყენება ახალი საქართველოს მშენებლობისათვის. თუ შენ არსებულ რეჟიმს ოკუპანტად, ქართული დამოუკიდებლობის ფეხქვეშ გამოთელავ, ანექსიონისტურ პოლიტიკურ ძალად თვლი, რომელმაც წაგგლიჯა დამოუკიდებლობა, თავს მოგახვია რეპრესიული სახელმწიფო სისტემა, ეკონომიკურად დაგიმორჩილა, სულიერად დაგამონა – რატომ უნდა გამოიყენო მისი პოლიტიკური სტრუქტურა? შექმენი ახალი, პროგრესული: ახალი საქართველო ახალი პოლიტიკური სტრუქტურით. ასე იქცეოდა და იქცევა მსოფლიოში ყველა დაჩაგრული, კოლონიალური ერი.

ერთ შეცდომას (დანაშაულს), მეორე მოჰყვა. საქართველოს ახალი ხელისუფლება „ვერ გაერკვა“ პოლიტიკურ მოვლენებში და 1991 წლის აგვისტოს კიდევ წავიდა საიდუმლო გარიგებაზე, როცა ღლიალობა გამოიხინა „გეკაჩეპეს“ მიმართ, დაშალა გვარდია და შეასრულა მოსკოველი „გეკაჩეპისტების“ სხვა მოთხოვნები.

ჩვენ საქართველოს არქივსაცავებში მივაკვლიეთ დოკუმენტს, საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილების პროექტს, სადაც მითითებულია შემდეგი: „ადინიშნოს, რომ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა 19-21 აგვისტოს მოვლენებს ვერ მისცა დროული და კვალიფიცირებული შეფასება და დაავიანა საქართველოს უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიის მოწვევა, რითიც შექმნა მსოფლიოს პოზიტიური პროცესებიდან საქართველოს ამოვარდნისა და იზოლაციის საფრთხე. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ამგვარი მოქმედება შეფასდეს უარყოფითად⁷.

ეს სრულიად ობიექტური და მისაღები გადაწყვეტილება დადგენილების პროექტში ვილაციის ენერგიული ხელით არის გადახაზული და ეს ვარიანტი პრეზიდიუმმა არ მიიღო და, რა თქმა უნდა, არც გამოქვეყნდა.

დემოკრატიის ყველა არსებული კანონით, როცა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო თავის მუშაობის შესახებ ასეთ უარყოფით შეფასებას აკეთებს, ის პოლიტიკური ორგანო უნდა გადადგეს, უნდა დაინიშნოს ახალი არჩევნები. ეს იმუამად ხელს შეუშლიდა ქვეყანაში დაძაბულობის ესკალაციას, რომელიც ძალიან მალე სამოქალაქო ომში გადაიზარდა.

უფრო მეტი, ხელისუფლებამ ყურად არ იღო თავისივე პოლიტიკური გუნდის კეთილგონიერად მოაზროვნე ადამიანების რჩევები, მათი პროგრამები შექმნილი პოლიტიკური მოვლენებიდან გამოსავლის მოსანახად⁸. მათი რეალიზაცია, ჩვენი ღრმა რწმენით, შეაჩერებდა სამოქალაქო ომის ესკალაციას, რამაც ტრაგიკული შედეგები მოიტანა.

უფრო მეტიც, ხელისუფლების უმაღლესი პოლიტიკური პირი, რომ საზოგადოების ყურადღება თავისი შეცდომებიდან სხვა საკითხებზე გადაეტანა, აქვეყნებდა პოლიტიკური ოპონენტების კომპრომატებს, საქართველოს ინტელიგენციას „კრემლის აგენტებად“ აცხადებდა. მან შეჰბედა ქართულ სამოციქულო ეკლესიასაც კი: ... ჩვენს ეკლესიას სჭირდება განწმენდა – ძველი კომუნისტური დროიდან ბევრი უარყოფითი მოვლენა და პიროვნება გადმოჰყვა ამ ახალ პერიოდს. საბოლოოდ იგი უნდა იქცეს ჭეშმარიტ წმინდა ეკლესიად. საერთოდ ვთვლი, საჭიროა საეკლესიო კრების მოწვევა და დიდი წმენდა კადრების სფეროში, საჭიროა ახალი რუის-ურბნისის კრება...“⁹. სწორედ ასეთ

ადამიანებზეა ნათქვამი: „რად უყურებ ბეწვს შენი ძმის თვალში, საკუთარ თვალში კი დირეს არა გრძნობ?“

რატომ მოხდა ეს?

ვინც გულდასმით კითხულობს მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ილია II ეპისტოლეებს, შეამჩნევს, რომ აქ ძალიან ხშირად საუბარია ამპარტავნებაზე, მის დამღუპველ როლზე ადამიანის ცხოვრებაში, ერის ცხოვრებაში: „ამპარტავანი სძაგს უფალს“¹⁰, „წარმოიშვა უკიდურესი ამპარტავნება, თავდაჯერებულობა და ქედმაღლობა, რის საფუძველზეც მოხდა ცნობიერების განშორება რწმენასა და სულიერი ფასეულობებისაგან“¹¹.

ამ თეზისს მისი უწმიდესობა მუდამ უბრუნდებოდა, აძლიერებდა და განსაკუთრებით გამოჰყოფდა თავის ეპისტოლეებში. და აი, 2011 წელს საშობაო ეპისტოლეში ამ ცოდვის შესახებ საუბარს მისი უწმიდესობა უკვე უდიდეს ადგილს უთმობს: „ამპარტავნება ეს არის უპირველესი, უდიდესი და უსაშინლესი ცოდვა, რომელსაც თითქმის ყველა ადამიანში ჰქონდა და აქვს მეტ-ნაკლებად ფესვი გადგმული და სწორედ იგი არის მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი ღმერთთან ჩვენი მიახლებისა... რა განაპირობებს მის განსაკუთრებულობას? უპირველეს ყოვლისა ის, რომ იგი შობს ყველა სხვა სიბილწეს... უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ადამიანმა შეიძლება დაძლიოს ყველა ცოდვითი მიდრეკილება და მიხვდეს, რომ ეს თუ ის ვნება აღარ აწუხებს, მაგრამ ამას ვერასოდეს იტყვის ამპარტავნების შესახებ. მან ყველგან და ყოველთვის შეიძლება დაგვიგოს მახე და მსწრაფლ განაქარვოს წლების მანძილზე ჩვენი ღვაწლით მოპოვებული მადლი“¹².

ჩვენ შემთხვევით არ გვეჩვენება მისი უწმიდესობის მიერ გაკეთებული ეს აქცენტი: 2004-2011 წლები საქართველოსთვის განსაკუთრებით დრამატული აღმოჩნდა და მისი უწმიდესობის შეგონება მთლიანად მისაღებია ქვეყანას ამპარტავნება დაეუფლა.

ამკარაა, რომ ზემოთ აღნიშნულ წლებში საქართველოში ჩამოყალიბდა პოლიტიკური ამპარტავნება, სულიერი და ხორციელი გამოვლინება იმისა, რასაც ასე აკრიტიკებს მისი უწმიდესობა. ეს უმართავი სენი დაეუფლა პოლიტი-

კური ისტებლიშმენტის მნიშვნელოვან ნაწილს და განსაზღვრა საქართველოს პოლიტიკური განვითარება, სწორედ მან მოიტანა უამრავი შეცდომა და დანაშაული. საქართველოს პოლიტიკურ ელიტას დაეუფლა დაუსჯელობის სინდრომი, დაკარგა პასუხისმგებლობა და თვითკონტროლი და მთლიანად ამპარტავენების მორევში გადაეშვა. და აი, პოლიტიკური ამპარტავენების ქართული მოდელის გამოვლენა ცოცხი, ადამიანური დამცირების,

ღირსების აყრის, შეურაცხყოფის სამარცხვინო სიმბოლო. ასეთი მოქმედება სახიფათოა ქვეყნისათვის, მას შეუძლია ქვეყანა გამოუვალ ჩიხში შეიყვანოს და ეს ასეც მოხდა 2008 წელს.

როცა მისი უწმიდესობა ამბობს, რომ 2008 წლის აგვისტოს ტრაგედია შეიძლებოდა თავიდან აცილებულიყო, ის სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ დაშვებული იყო საბედისწერო შეცდომა საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავების დროს და ეს კურსი არ შეესაბამებოდა ქართველი ერის ინტერესებს. აი რაზე ამახვილებს მისი უწმიდესობა: „არც დასავლეთი მხოლოდ და არც აღმოსავლეთი... დასავლეთი არის სამყარო, სადაც ყველაფერი ნებადართულია და სადაც ძალმომრეობა ბატონობს. იგი მატერიალურად ძლიერია, მაგრამ სულიერად მწირი, რადგან ფული იქ კერპად არის ქცეული... სულიერად ასევე უცხოა ჩვენთვის აღმოსავლეთი. ჩვენი მწუხარება და სიხარული ვერ ერგება მისი აზროვნების წესს“.

ამ შეგონებაში აშკარად გამოსჭვივის საქართველოს ისტორიული წარსულის მთავარი პოლიტიკური აქსიომა საგარეოპოლიტიკური ბალანსირება რეგიონში ძლიერ გეოპოლიტიკურ მოთამაშეებს შორის – „არც დასავლეთი მხოლოდ და არც აღმოსავლეთი“.

სწორედ ამ პრინციპებით ცხოვრობდა საქართველოს სახელმწიფო უხსოვარი დროიდან და ამ პოლიტიკას მუდამ მოჰქონდა ერისთვის დადებითი შედეგები, როცა მისი მესვეურები მაქსიმალურად ითვალისწინებდნენ პოტენციალური მტრების ინტერესებს და მიზნებს, აბალანსებდნენ მათ და პოლიტიკური ორიენტაციის მოქნილობით აღწევ-

დნენ სანუკვარ მიზანს, ერის ფიზიკურ გადარჩენას რომ უდებდნენ საფუძვლად.

ეს ტრადიციული ბალანსირების პოლიტიკა 2008 წელს აშკარად დაირღვა, დაირღვა ცალმხრივად, საზოგადოებასთან შეუთანხმებლად. იმ წელს რეგიონში ვითარების გამწვავება არ შედიოდა ქართველი ერის სახელმწიფო ინტერესებში, რადგან მოსალოდნელი საფრთხე ძალიან რეალური იყო. რუსეთი დიდი ხანია იმუქრებოდა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარებით, ამ სურვილს რუსეთის დუმის დეპუტატები თავის გამოსვლებში არც მალავდნენ. საქართველოს სამაჩაბლოში მშვიდობის დასამყარებლად 1992 წლის ივნისის დაგომისის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ჰქონდა აღებული. სწორედ მაშინ მოხდა შეთანხმება ქართულ, რუსულ და ოსურ მხარეთა შორის, რომელიც გარკვეული წესების დაცვას ითვალისწინებდა. 1992 წლიდან 2008 წლამდე ეს ხელშეკრულება აბალანსებდა ვითარებას რეგიონში, გარკვეულწილად მოხერხდა ქართველი და ოსი მოსახლეობის ურთიერთლოიალობის მიღწევა. იმ მიმე წლებშიც კი სამაჩაბლოს ქართველებს არ დაუტოვებიათ თავისი საცხოვრისი, თუ არ ჩავთლით ქალაქ ცხინვალს. ახალგორს მთლიანად ქართული მხარე აკონტროლებდა. ეს დიდი მონაპოვარი იყო.

2004 წლის შემდეგ, განსაკუთრებით აგვისტოს თვეში, მუდამ მწვავედებოდა ვითარება რეგიონში საქართველოს ხელისუფლება აშკარად ცდილობდა განეხორციელებინა დაუმორჩილებელი რესპუბლიკის (ამ შემთხვევაში ჩეჩნეთის) დამორჩილების პუტინისეული მოდელი. შეიქმნა რაღაც გაურკვეველი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა“, რომელშიც ახალგორის რაიონიც ხელოვნურად შეიყვანეს, გამოჩნდა ვინმე სანაკოვეი, რომელიც „ავტონომიური ოლქის“ ხელმძღვანელად დაინიშნა, ზედმეტად აქტიურობდნენ ოსი მოღვაწეები, რომლებიც მოგვიანებით რუსეთის სპეცსამსახურების აგენტები აღმოჩნდნენ. საქართველოს ხელისუფლება არ უსმენდა მეგობრულ რჩევებს, ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატებისა და სა-

ხელმწიფო მოღვაწეების შეგონებებს რეგიონში დაძაბულობის ესკალაციის არდაშეების შესახებ.

მოულოდნელად, გვიან ღამით ქვეყანას გამოუცხადეს ცხინვალზე საარტილერიო შეტევის დაწყების შესახებ. შედეგი დრამატული და ძნელად გამოსასწორებელია. საქართველოს ტერიტორიაზე გაჩნდა რუსეთის მიერ აღიარებული სამი რესპუბლიკა, რუსეთმა დიდი ხნით დაიმიკიდრა ფეხი საქართველოს ტერიტორიაზე, თბილისიდან სულ რაღაც 40 კილომეტრის მანძილზე ინტენსიურად აშენებს სამხედრო პლაცდარმებს, ქართველებმა, რომლებმაც 18 წლის მანძილზე შეინარჩუნეს თავისი მამა-პაპური საცხოვრისი ცხინვალის რეგიონში, რუსეთის აგრესიისა და ოსი ბანდ-ფორმირებების გამო, რეგიონი დატოვეს. დაიკარგა კოდორის ხეობაც, გადაიწვა ასობით სოფელი, გაჩნდნენ ლტოლვილთა ახალი ნაკადები.

რისი შედეგია ეს? სწორედ პოლიტიკური ამპარტავნების, რომელიც ისე დაეუფლა მმართველ ელიტას, რომ დამარცხებულ ომს გამარჯვება დაარქვა, წარუმატებლობას – წარმატება.

ხელისუფლების ასეთ ევოლუციას სერიოზული საფუძველი აქვს. ამის შესახებაც გვაქვს მინიშნება მისი უწმიდესობის ეპისტოლეებში. 2004 წელს ის წერდა: „ახლადარჩეულ პრეზიდენტს ხალხის მაღალი ნდობის გამო მიეცა შესაძლებლობა დიდი საქმეების აღსრულებისა. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ეკლესია ყოველთვის გვერდში ედგა ხელისუფლებას. ეს ჩვენი ვალიცაა და ვალდებულებაც ღვთის წინაშე. ჩვენ დღესაც ვაცხადებთ, რომ მომავალშიც ყოველმხრივ შევეწვევით ჩვენ ერს და მის მმართველთ საღვთო და მამულიშვილურ საქმეთა განხორციელებაში“¹³.

2011 წელს, პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის მოსვლამდე დიდი ხნით ადრე, სააღდგომო ეპისტოლეში კი უკვე მისი უწმიდესობა ხაზგასმით მიანიშნებს: „...არსებობს არაქრისტიანული იერარქიული ურთიერთობაც, რასაც წმიდა მაქსიმე აღმსარებელი ტირანიას უწოდებს და რაც ზემდგომთა ბატონობასა და ძალადობაზე და ქვეშევრდომთა მონურ ყოფაზეა დამყარებული. ჩვენ გარშემო,

სამწუხაროდ, ურთიერთმიმართების არაქრისტიანული წესი ჭარბობს¹⁴.

ამრიგად, აშკარაა, რომ მისი უწმიდესობის აზრით საქართველოს პოლიტიკურ ისტებლიშმენტში მოხდა ევოლუცია უკეთურობისაკენ, დემოკრატიული ფასეულობების დაცვის ღოზუნგით მოსული რეჟიმი გარდაიქმნა „არაქრისტიანული იერარქიული ურთიერთობების“ დამცველ პოლიტიკურ გუნდად, რასაც აშკარად ტირანიის ნიშნები ჰქონდა.

ტირანიის ქართულ მოდელში, ჩვენი აზრით, აშკარად ჭარბობდა დემოკრატიულ ფრაზეოლოგიაში გახვეული ტოტალიტარული სისტემის ელემენტების დამკვიდრება, განსხვავებული აზრის უგულვებელყოფა, პოლიტიკური ოპონენტების დევნა, ტრადიციული ფასეულობების წინააღმდეგ ბრძოლა, ასაკობრივი სეგრეგაციის მახინჯვი პრაქტიკა, კომპეტენტურობის არაკომპეტენტურობით ჩანაცვლება, საზოგადოებაზე უხეში ზეწოლის ესკალაცია.

სწორედ ამის გამო მოხდა ტრაგედია 2008 წლის აგვისტოში, სწორედ ამ ტრაგედიის თავიდან აცილებაზე საუბრობს მისი უწმიდესობა, რაც სრულიად შესაძლებელი იყო, რომ არა პოლიტიკური ელიტის პოლიტიკური სიბეცე (ან რაღაც, დღემდე ჩვენთვის უცნობი გარიგება-მორიგება მტერთან, როგორც ამას ზოგიერთი ქართველი ექსპერტი თვლის). არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა ომის ინსპირირება, რაც ასე ოსტატურად გამოიყენა ჩვენმა მოწინააღმდეგემ. სად გადის ამ შემთხვევაში შეცდომის, დანაშაულისა თუ ეროვნული დაღატის ზღვარი ამას ალბათ საკითხის სპეციალური და ობიექტური შესწავლა გამოავლენს.

როცა საქართველოში ბოლო 20 წლის პოლიტიკურ მოვლენებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ შევამჩნიოთ ერთი კანონზომიერება – რაღაც თუ ვიღაც პოლიტიკურ ძალას სულ უნდა ქართველებს მხოლოდ მძიმე დარტყმა მიაყენოს, წარუმატებლობა თავს მოახვიოს, უიმედობა ჩაუნერგოს, ეკონომიკურად დააჩიავოს, კულტურულად დაამცროს, გაანადგუროს, საკუთარი ტერიტორიები დაატოვებინოს, უცხოეთში მიჰფანტ-მოჰფანტოს, საერთოდ დაავიწყოს

ის ისტორიული მისია – რაც ჩვენმა წინაპრებმა საკუთარი სისხლით და ისტორიის ლოგიკით მოუპოვეს ჩვენს ქვეყანას: საქართველო მუდამ იყო და მომავალშიც უნდა იყოს რეგიონში მცხოვრები ერების კონსოლიდაციის მთავარი მაცემენტებელი მუხტი. ამ ისტორიულ ჭეშმარიტებას აღიარებდნენ რუსეთის იმპერატორები და კომუნისტი ლიდერებიც კი. სწორედ ამის დანგრევა სურს მავანს და თითქმის შეძლო კიდევც...

რატომ შეძლო?

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს სამივე პრეზიდენტი რუსეთის „კგბ“ ხელში გამოვლილი ადამიანი აღმოჩნდა: ერთი – „კგბ“ კაზიმატეზში „ნატანჯი“, მეორე თანამდებობრივი აუცილებლობით მასთან დაკავშირებული, მესამე კარიერისტული მოსაზრებებით სამსახურგამოვლილი. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს, აქ რაღაც კანონზომიერება იკვეთება... მათ ყველამ ერთად და თვითოეულმა ცალ-ცალკე თავისი წვლილი შეიტანეს საქართველოს დაქცევისა და გავერანების საქმეში.

1 ოქტომბერს ქართველმა ერმა საბოლოოდ დაუსვა წერტილი წარუმატებლობასა და უკან სვლას. ჩვენ უნდა ავადორძინოთ ჩვენი სამშობლო.

სწორედ ამისკენ მოგვიწოდებს მისი უწმიდესობა, როცა გვასწავლის:

„რა არის სამშობლო, როგორ აღვიქვამთ მას?

ჩვენი სამშობლო არის ჩვენი გენი, ჩვენი ენა, ღვთისა და მოყვასისადმი გამოვლენილი ჩვენი სიყვარული, ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი.

საქართველო არის ჩვენი მოგებული თუ წაგებული ბრძოლები, წინაპართა დადებითი თუ არყოფითი თვისებები.

საქართველო არის მტკიცე ოჯახი, ნათესავების თანადგომა და მათი კავშირი;

საქართველო არის ქვეყანა, სადაც მეგობრისათვის თავს სწირავენ და სადაც მეზობელი ოჯახის წევრად არის მიჩნეული; სადაც ნათელ-მირონობა და ძმადნაფიცობა სისხლისმიერ ნათესაობაზე მეტია.

საქართველო ჩვენი უნიკალური ფლორა და ფაუნაა, ჩვენი მთა და ჩვენი ბარია, ჩვენი უდაბნოა, ჩვენი წყალი და ზღვაა.

საქართველო ურდვევია, როგორც კვართი უფლისა!


თვითოველი ჩვენგანი ატარებს მას. საქართველო მე ვარ, იგი ჩემშია და მე მასში!¹⁵

ღიახ, ეს ასეა... და ამიტომაც, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ, მთლიანად ქართველმა ერმა უნდა გაითავისოს უწმიდესის ეს სიტყვები და უდიდესი ძალისხმევა უნდა მოახმაროს იმას, რომ კვლავ აღდგეს ერთიანი საქართველო, მეცნიერებითა და ცოდნით გაბრწყინებული, ეკონომიკურად დაწინაურებული, მსოფლიო ხალხთა თანავარსკვლავედში კვლავ მხრებგამწიფილი და თავაწეული.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ნიკო და ზურაბ ჭავჭავაძეებისადმი მიძღვნილი შეხვედრა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტში, კათოლიკოს-პატრიარქის სიტყვა.
2. ა. სონღულაშვილი, 9 აპრილი, თბ., 1999, გვ. 4.
3. გაზ. „ახალი თაობა“, 1912 წ. 11 აპრილი.
4. გ. მჭედლიძე, ისტორია უდისტანციოდ, ქუთაისი, 1999, გვ. 168-169.
5. გაზ. „ახალი თაობა“, 1912 წ. 11 აპრილი.
6. გ. მჭედლიძე, ისტორია უდისტანციოდ, ქუთაისი, 1999, გვ. 203.
7. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1165, აღ. 8, საქ. 2954, ფურც. 6-8.
8. სუიცსა, ფ. 1165, საქ. 2965, აღ. 8, ფურც. 42-44.
9. გაზ. „ქართველი ერი“, №21, ნოემბერი.
10. უწმიდესი და უნეტარესი ილია II, 2003-2004 წლის საშობაო ეპისტოლე, გვ. 5.
11. იქვე, გვ. 6.

12. უწმიდესი და უნეტარესი ილია II, 2011 წლის საშობაო ეპისტოლე, გვ. 4-5.
13. უწმიდესი და უნეტარესი ილია II, 2003-2004 წლის საშობაო ეპისტოლე, გვ. 14.
14. უწმიდესი და უნეტარესი ილია II, 2011 წლის საადღეობო ეპისტოლე, გვ. 9.
15. უწმიდესი და უნეტარესი ილია II, 2008 წლის საშობაო ეპისტოლე, გვ. 9.



ДАВИД МУСХЕЛИШВИЛИ

**ИЗ ПОЛИТИЧЕСКИХ ВЗАИМООТНОШЕНИЙ
ИВЕРИИ (КАРТЛИ) И АЛВАНИИ (КАВКАЗСКОЙ
АЛБАНИИ)**

(Область Камбисена/Камбечани)

Вполне естественно, что после образования в первом тысячелетии до н. э. в Южном Кавказе четырех государств – Колхиды (Эгриси), Армении, Иверии (Картли) и Алвании – на повестке дня стал вопрос о политических взаимоотношениях между ними, в частности, такая фундаментальная для любого государства проблема, как определение политических границ и их защита. Естественно также и то, что этому процессу сопутствовали военные столкновения и агрессия.

Особенной агрессивностью отличалось Армянское царство, которое уже во II веке до н. э. аннексировало южные провинции Иверии и Алвании. Так, по свидетельству Страбона (I в. до н. э.), в 189 году до н. э. воспользовавшись поражением Селевкидов римлянами, правители армянских земель – Артаксий (Арташес) и Зариадрий, которые «первоначально были полководцами Антиоха Великого... после его поражения стали царями... Они расширили совместно свои владения, отрезав часть областей окружающих народностей, а именно: у мидян они отняли Каспиану, Фавнитиду и Басоропеду, у иберов – Предгорье Париадра, Хорзену и Гогарену» (XI, 14, 5)¹.

Мовсес Хоренаци подтверждает эту агрессию, говоря о «великом бдешхе иверийском», которому «Арташес доверяет управление северными горами и Понтийским морем»².

Интересно отметить, что эти территории оставались спорными вплоть до XX века.

Такие столкновения несомненно имели место также между Иверией и Алванией, хотя судя по источникам, они не были

столь интенсивными. У античных историков, насколько я знаю, сохранилось одно единственное прямое указание такого рода: римский писатель Дион Кассий (III в.) пишет: в 36 году до н.э. «Публий Канидий Красс выступил против иберов, победил их царя Фарнабаза и в союзе с ним вступил в Албанию, победил албанов и их царя Зобера»³.

Что касается политических и этнических границ между Иверией и Алванией, то тут мы имеем вполне определенные сведения античных авторов.

Так, тот же Страбон сообщает: «Проход из Иберии в Алванию идет через безводную и каменистую область Камбисену к реке Алазонию» (XI, 4,5)⁴. Область Камбисена идентична с областью «Камбечани» древнегрузинских и «Камбечан» – древнеармянских источников и локализуется между нижним течением р. Алазани и Курой; по ней протекает р. Иори, т. е. это – территория сегодняшней грузинской этнографической области Кизики.

В другом месте греческий географ сообщает, что «проход из Албании (в Иверию – Д. М.) идет сначала через скалы высеченной в камне тропой, а затем через пойму, образованную рекой Алазонием» (XI, 3,5)⁵.

Из этих выдержек выясняется, что государственная граница между Иверией и Алванией в I в. до н. э. проходила если не по самому нижнему течению р. Алазани, то, во всяком случае, где-то поблизости, ибо «проход» подразумевает границу.

Предельно ясно по интересующему нас вопросу высказывается Плиний Старший (I в. н. э.): «Теперь будут перечислены жители пограничных с Арменией областей. Всю равнину, начиная от реки Кира, заселяет племя албанов, а затем – иберов, которые отделены от первых рекой Оказаном (Алазаном – Д. М.), текущей с Кавказских гор в реку Кир» (VI, 26)⁶.

Итак, Плиний однозначно указывает на пограничную линию, которая проходила между двумя государствами и пролегла вдоль нижнего течения р. Алазани, окаймляющего область Камбечани с востока.

В данной справке самое интересное то, что речь идет не только о политической, как у Страбона, а о этнической границе между восточногрузинским и алванским народами.

Впрочем Страбон также утверждает, что иверы живут в области Камбисены, которая в его время, видимо, принадлежала Армении: «Хорзена и Камбисена – самые северные (провинции Армении – Д. М.) ... они находятся на границе с Кавказскими горами, с Иберией и Колхидой» (XI, 14, 4)⁷. В Камбисене, по его словам, «армяне граничат одновременно с иберийцами и албанцами» (XI, 4, 1)⁸.

В начале II в. до н. э., как мы уже знаем, армяне завоевали южные провинции Иверии и Алвании и после этого территория эта стала яблоком раздора между ними. Видимо, в какое-то время армяне захватили и Камбисену, вследствие чего туда просочился также и армянский этнический элемент.

Исходя из контекста сообщений Страбона о Камбисене, кажется можно заключить, что, хотя он и говорит о «самой северной» провинции Армении, однако считает ее именно завоеванной областью, которая является пограничной между Иверией и Алванией. Думаю, поэтому упоминает он (дважды!) о проходах между Иверией и Алванией, не упоминая в этом контексте Армению.

Это подтверждается сведениями Плиния, следуя которым, если с одной стороны, границей между восточными грузинами и алванами является река Алазани, то таковой между Иверией и Арменией в I в. н. э. считается «река Кура, составляющая границу Армении и Иберии» (VI, 39)⁹.

Здесь у Плиния, видимо, *lapsus calami*, ибо по контексту речь должна идти о границе Алвании и Армении, однако, если это указание не ошибка, а реальный факт, то в этом случае, конечно, подразумевается не все среднее течение Куры, а именно отрезок вдоль границы Камбисены, так как сам Плиний «области Тасийская (Ташири – Д. М.) и Триарская (Триалети – Д. М.) до Паригедрийских гор» (VI, 29)¹⁰, т. е. всю территорию южнее Куры, включает в Иверию.

Нет сомнения и в том, что, как пограничная область между Иверией и Алванией, Камбисена была населена также алванами, как это явствует из сообщения Страбона (см. выше). Алваны, видимо, населяли юго-восточную часть Камбисены, где мы их встречаем еще в IV-V веках (см. ниже).

Однако контекст справки Плиния, на наш взгляд, дает основание утверждать, что превалирующим населением в этой про-

винции, во всяком случае в I в. н. э., были иверы, т. е. восточные грузины.

Итак, не может быть сомнений, что область Камбисены в I в. н. э. являлась территорией Иверийского царства. Западнее Камбисены, на среднем течении р. Иори, лежала другая иверийская область – Суджети¹¹, Шучк – армянских источников¹².

Во II веке, по интересующему нас вопросу, имеем сведения Клавдия Птолемея, хотя есть основания сомневаться, соответствуют ли все данные его компендиума его же времени.

Описывая Алванию, Птолемей среди населенных пунктов страны называет город Телайба//Телеба, идентифицируемый комментаторами с грузинским городом Телави¹³. Если это так, (хотя с такой идентификацией не все согласны)¹⁴ и если согласиться также с тем, что данная справка географа отражает современную ему ситуацию, то следует констатировать, что ко второй половине II века восточные провинции Иверии были захвачены Алванским царством. Вообще, как я уже отмечал, политические взаимоотношения между этими государствами, естественно, надо мыслить, как процесс последовательных смен «приливов» и «отливов». Именно один из таких «отливов» и констатируется, надо полагать, у Клавдия Птолемея (II в. н. э.), который координирует границу Иверии и Алвании западнее р. Алазани¹⁵.

Для III века не имеем никаких конкретных данных, однако общая политическая ситуация на Ближнем Востоке и анализ текста надписи Кааба-и-Зардуст Шапура I-го (242-272 гг.) дают основание утверждать, что Иверия в это время являлась, фактически, самостоятельным и сильным государством¹⁶, которое вряд ли упустило бы возможность контролировать свои древние провинции.

Действительно, в первой половине IV века царь Иверии Мириан, приняв и провозгласив христианство официальной религией государства, активно распространяет ее по всей стране, в том числе в провинциях Суджети и Камбечани, в одной из религиозных центров которой, в сел. Бодбе, по его же инициативе, просветительница Грузии св. Нино обращает в христианство «владетельницу Соджи вместе с князьями»¹⁷.

Территория Камбечани, видимо, оставалась спорной между Иверией и Алванией. Так, во второй половине IV и первой поло-

вине V века, по данным т. н. «Армянской географии», сведения которой о Кавказе, по нашему мнению, относятся именно к этой эпохе¹⁸, провинция эта (возможно ее юго-восточная часть, прилегающая к Куре, где были размещены алванские культурно-политические центры) находится в пределах Алванского царства¹⁹.

Такая же ситуация наблюдается и в 80-ых годах V века, когда царь Алвании Вачакан «в Камбече и Алвании... назначает на местах епископов, священников и надзирателей»²⁰. Однако, из этой справки алванского историка хорошо видно, что вопреки «Армянской географии», Камбечани не является непосредственной провинцией Алванского царства, а мыслится как отдельная область, на которую в это время распространяется власть алванского царя. На наш взгляд, это объясняется тем, что Камбечани в этно-культурном отношении считалась иверийской страной, хотя в это конкретное время входила в Алванское царство.

По данным древнегрузинской летописи «Картлис цховреба» (История Грузии), царь Иверии Вахтанг Горгасал смог вернуть эту территорию и к самому концу V века отдал ее вместе с другими провинциями восточной периферии Иверии (Эрети) в удел своему сыну, наследнику престола – Дачи: «Дал он город Череми и Некреси и город (провинции) Камбечовани, который есть Хорнабуджи и все земли восточнее Куры»²¹.

Я уже отмечал, что «Вахтанг Горгасал, вследствие проведенной им церковной реформы, основывает Хорнабуджское епископство... Нет оснований сомневаться в истинности сообщения летописца, тем более, что в армянском, правда сильно искаженном, списке епископов Иверии 506 года значится «Естген – епископ Корзона», которого идентифицируют с горгасаловским епископом Хорнабуджи. Если даже такая идентификация спорна, то нет никакого сомнения, что упомянутый в этом же списке «Лазар – епископ Болдбил» является пастырем Бодбийским («Бодбели» по-грузински), в паству которого в период средневековья, наряду с другими территориями входил весь Кизики (др. Камбечани)»²².

Активная культурная деятельность Иверийского государства в Камбечани подтверждается строительством в этой области христианских церквей, таких как часовня (IV в.) и базилика (V в.) в Бодбе, в которой, видимо, справлял церковную службу епископ

Лазар Бодбели и где была похоронена просветительница Грузии св. Нино²³.

В VI веке, в период подвижничества т. н. «Сирийских отцов», целью которых было распространение и укрепление православной веры, некоторые из них развили миссионерскую деятельность в Эрети, в частности, в областях Суджети и Камбечани. Так, инок Давид основал в Суджети знаменитый впоследствии монастырь в урочище Гареджа, около западной окраины Камбечани, а Стефанэ – в этой последней области – не менее известный монастырь в Хирса²⁴.

Все сказанное убеждает в том, что население интересующих нас восточных пределов Иверийского царства (Суджети, Камбечани) было грузинским. Мы знаем также, что хотя в I в. до н. э. в Камбисене – в пограничной с Алванией области – в результате армянской агрессии, «армяне граничили одновременно с иберийцами и албанцами» (Страбон), однако уже в I в. н. э. справка Плиния не оставляет сомнений, что иверы здесь были преобладающим населением. Безусловно было так в раннем средневековье, о чем свидетельствуют не только указанные выше сведения источников и церковные памятники, но и эпиграфика края.

Так, в Национальном Историческом Музее Грузии хранится каменная стела из монастыря Давид-Гареджа с шестистрочной грузинской надписью «асомтаврули» (заглавными буквами) VII века²⁵. В центральной части Камбечани, в пещерном комплексе Магазана (на юге) и на купольной церкви в Хирса (на севере) имеются надписи IX-X веков²⁶, а на самой восточной окраине области, на территории древнего городища у слияния рек Иори и Алазани недавно нашли граффити VIII-IX веков на алебастровом изразце с т. н. «Болнисским медальоном» V- VI веков²⁷. Есть, конечно, надписи и более поздних веков.

Итак, свидетельства исторических источников, памятники материальной культуры, эпиграфика и также топонимика²⁸ с полной очевидностью доказывают, что уже в раннем средневековье в восточной провинции Иверийского государства, в области Камбечани, граничившей с Алванией, иверы (восточные грузины) были если не единственным, то безусловно – преобладающим населением. Что же касается алванов и армян, в лучшем слу-

чае, их присутствие в крае следует представлять в виде мелких вкраплений.

Несмотря на это, Алванское царство не оставляло попыток завладеть этой областью. Если в VI и первой половине VII века она является частью Иверии²⁹, то в середине VII века, по сведениям арабских источников, Камбечани (Камиберан) принадлежит Алвании (Аррану)³⁰. Такая же ситуация зафиксирована, как мы уже знаем, в «Армянской географии», окончательная редакция которой, как известно, относится именно к этому времени.

Я уже отмечал, что для рубежа VII-VIII веков имеем такой аутентичный источник, как «Список имен нахараров Алвании», из которого видно, что правитель Камбечани является алванским вельможей³¹.

Положение окончательно меняется к 40-ым годам VIII века, когда верховным правителем Иверии становится потомок древних грузинских царей Арчил. Он распространяет свою власть на всю восточную периферию Иверийского царства, включая также древнеалванскую провинцию Шаки и развивает энергичную культурную деятельность. Как сообщает источник, «по велению Арчила» здесь обосновались армянские вельможи Багратуни, выходцы из Тарона, которым он дал в управление восточные области государства – Эрети, включая, видимо, и Камбечани.

Когда со второй половины VIII века, вследствие социально-экономического развития, началось разложение раннефеодального Иверийского государства на отдельные мелкие феодальные царства и княжества, первой из него выделилась провинция Эрети, которая оформилась сперва как самостоятельное княжество, а потом и – царство под управлением вышеуказанных армянских Багратидов³². Область Камбечани являлась одной из военно-административных единиц этого царства с центром в укрепленном городе Хорнабуджи³³.

Однако, хотя династия царей и была армянской, которая официальной религией, естественно, объявила христианство монофизитского толка, большинство населения, как мы могли убедиться, в частности, на примере истории Камбечани, были иверы, т. е. восточные грузины. Доказательством этому служит весьма важное событие, которое можно квалифицировать, как государ-

ственный переворот, происшедший в Эретском царстве в 40-ых годах X столетия.

В «Картлис цховреба» об этом крайне важном событии сказано весьма лаконично: «В Эрети до царствования Ишханика прежние (властители – Д. М.) все были еретиками. Ишханик же был племянником (сыном сестры) эристава эриставов Гургена (правителя юго-западной Грузии – Д. М.) и мать его, царица Динар, обратила их в православие»³⁴. Тут, нужно думать, имеется в виду монофизитская часть населения царства и, конечно, «такое внезапное обращение немислимо без того, чтобы в стране халкедонство было распространено и раньше»³⁵.

В начале XI века, по инициативе правящих кругов страны, Эрети присоединяется к Кахети. Так образовалось объединенное государство, которое в грузинских источниках называется «царством Кахети». А в начале XII века царь остальной Грузии Давид Строитель присоединяет к своим владениям также и это царство. Таким образом, многовековой процесс этно-культурного развития, в конце концов, завершился политическим слиянием Кахети и Эрети (вместе с Камбечани) с объединенным царством Грузии. С этого времени Камбечани, как военно-административная пограничная область («санапиро») становится органической частью Грузинского государства – «Сакартвело».

В последующие столетия из-за радикально изменившейся политической обстановки и связанной с ней социально-экономической деградации, центр Камбечани из гор. Хорнабуджи перемещается на северо-запад в сел. Кизики (ныне гор. Сигнаги)³⁶. Параллельно с этим изменилось и наименование самой области, на всю территорию которой распространилось название центра. Так древняя область Камбечани превратилась в Кизики, органическую часть Кахети – известной историко-этнографической области Восточной Грузии.

**FROM POLITICAL RELATIONSHIP OF IBERIA
AND ALBANIA**

(Kambisene/Kambechovani Region)

Kambisene/Kambechovani, recently known as Kiziki, was the South-Eastern part of one of the ethnographic regions of Georgia – Kakhети. In antic epoch this was the frontier territory of kingdoms of Iberia (Kartli), Albania and Armenia. State frontier between Iberia and Albania was on the down flow of the Alazani (Strabon, Plinius), and near Armenia – on the Mtkvari. Basically, population was Georgian (Plinius) with a small mix of Albanians and Armenians (Strabon). As a frontier region, this territory had been a field of political oppositions with Armenians and Albanians for centuries, till the middle of the 8th century this region finally became the component part of the Georgian state.

The ancient centre of this region was the town and the fortress – Khornabuji (near the present Dedoplistskaro). In late centuries, as a result of changing the social-economical and political conditions, the place of its centre became the North-Western part, the small town – Kiziki (present town – Signaghi). For this reason all this territory was renamed as Kiziki.

Источники и литература

1. Страбон, География, М., 1964, стр. 498.
2. Мойсей Хоренский, История Армении, Новый перевод Н. О. Эмина, М. 1893, стр. 64.
3. Сведения Диона Кассия о Грузии. Греческий текст с грузинским переводом издал, введением и комментариями снабдил Нодар Ломоури, Тб., 1966. стр. 73-74.
4. Страбон, стр. 476.
5. Там же, стр. 474.
6. Вестник древней истории (ВДИ), №2, 1949, стр. 297.

7. Страбон, стр. 497.
8. Там же, стр. 475.
9. ВДИ, №2, 1949, стр. 302.
10. Там же, стр. 298.
11. Папуашвили Т. Г. Вопросы истории Эрети, Тб., 1968, стр. 68 (груз. яз.).
12. История Левонда Великого Вардапета Армении, 1887, стр. 132 (древнеарм. яз.).
13. См. ВДИ, №2, 1948, стр. 252, прим. 10.
14. Так, например, по остроумной концепции интерпретации текста Птолемея, основанной на виртуальной, значительной трансгрессии в античную эпоху Каспийского моря, С. Н. Муравьев координирует гор. Телейбу на территории Азербайджанской республики «где-нибудь в районе нынешней станции Гобустан» (см. Птолемеева карта Кавказской Албании и уровень Каспия. ВДИ, №1, 1983, стр. 141). Кроме того, что сама трансгрессия Каспийского моря пока никем не доказана, весьма спорными являются, некоторые во всяком случае, авторские идентификации Птолемеевских пунктов. Приведу один пример: пункт «Деглане», по С. Н. Муравьеву, «трудно не сопоставить с современным Джугаани» (там же, стр. 132). Дело в том, что название сел. Джугаани происходит от фамилии (рода) Джугашвили, т. е. «Джугаани» дословно означает «селище Джугашвилей». Селений с такого типа названиями довольно много в Восточной Грузии. Такие хоронимы, естественно, древние, однако вряд-ли они восходят к эпохе Клавдия Птолемея (II в. н.э.), тем более – к IV- III векам до н. э., к которым склонен относить С. Н. Муравьев ситуацию отраженную на картах Птолемея (там же, стр. 144, прим. 53).
15. Мухелишвили Д. Л. Город Уджарма (К историческим взаимоотношениям Иберии и Албании). Сборник по исторической географии Грузии, т. II, Тб., 1964, стр. 61.
16. Меликишвили Г. А. Картлийское царство в III в. н. э. Очерки истории Грузии, т. I, Тб., 1989, стр. 346-348.
17. Обращение Картли. Памятники дреанегрузинской агиографической литературы, кн. I (V-X вв.), Тб., 1963, стр. 89, 99 (древнегруз. яз.).

18. Мухелишвили Д. Л. Основные вопросы исторической географии Грузии, Тб., 1977, стр. 170 (груз. яз.).
19. *Geographie de Moïse de Coréne d'après Ptolémée/ Texte arménien traduit en français par le p. Arsène Soukry Mékhitariste. Venise, 1881, p. 29.*
20. История алванской страны Мовсеса Каланкатуйского. Тифл. 1913, стр. 60 (древнеарм. яз.).
21. Картлис цховреба (История Грузии), Тб. 2008, стр. 100.
22. Мухелишвили Д. Л. Из исторической географии Восточной Грузии, Тб. 1982, стр. 29/21
23. Чубинашвили Г. Н. Архитектура Кахетии, Тб. 1959, стр. 70, 83-86.
24. Древние редакции житий сирийских подвижников в Грузии, Тб. 1953, стр. 38 (древнегруз. яз.).
25. Барнавели Т. Надписи исторических памятников Кахети, Тб. 1962, стр. 54 (груз. яз.).
26. Там же, стр. 58, 148; Мухелишвили Д. Л. Из исторической географии, стр. 27, 28.
27. Адексидзе З. Надпись на изразце из Хоранта. Сборн. «Хорнабуджи I», Тб., 2011, стр. 219, 220.
28. Мухелишвили Д. Л. Древняя история Кизики, Тб., 1997, стр. 49, 50.
29. Мухелишвили Д. Л. Из исторической географии, стр. 30.
30. Балазори. Книга завоеваний стран. Текст и перевод П. К. Шузе, Баку, 1926, стр. 14.
31. Мухелишвили Д. Л. Указ. соч. стр. 30.
32. Там же, стр. 31-36.
33. Там же, стр. 29, 38.
34. Картлис цховреба, стр. 144. Здесь перевод неточен: во-первых, Ишханик был сыном сестры, а не дочери Гургена; во-вторых, Динар обратила («моакцивна» множ. число!) не «его», а «их», т. е. подразумевается монофизитское население Эреги.
35. Марр Н. Я. Аркаун, монгольское название христиан, в связи с вопросом об армянах-халкедонитах. Византийский временник, т. XII, 1906, стр. 7.
36. Подробнее об этих процессах см. в моей монографии – Древняя история Кизики, стр. 112 и след.

sparseTSi (ardavel ze) | aSqrobi s
saki Txi saTvi s

XII საუკუნის ბოლოს საქართველოს სამეფო ჩაერია ადარბადაგანის ელდიგუზიანთა მმართველის ყიზილ-არსლანის მეშვეობით ატეხილ ბრძოლაში. 1195 წელს, შამქორთან, აბუ-ბაქრ ათაბაგის დამარცხების და განდევნის შემდეგ, ქართველთა სამხედრო ნაწილები ჩრდილოეთ სპარსეთის საზღვრებთან გამოჩნდნენ. მათმა აქტიურობამ გარკვეულწილად მიიპყრო ხორეზმელთა ყურადღება, რომლებიც იმ დროს, ასევე, პრეტენზიას აცხადებდნენ ადარბადაგანზე. როგორც შემდეგდროინდელმა მოვლენებმა აჩვენა, საქართველოსა და ხორეზმს შორის კონფლიქტმა ამ მიმართულებით საკმაოდ მწვავე ხასიათი მიიღო. ამ დაპირისპირების ერთ-ერთი ნათელი მაგალითი იყო ქართველთა ცნობილი ლაშქრობა ჩრდილოეთ სპარსეთში, რომელიც გასცდა ადარბადაგანის საზღვრებს და ხორასნის გარკვეული რეგიონებიც მოიცვა.¹

ქართველთა ეს ლაშქრობა აისახა, როგორც ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებში, ისე უცხოელ ავტორ-

¹ ივ. ჯავახიშვილი სპარსეთზე ლაშქრობას 1210 წლით ათარიღებს. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბ. 1965, გვ. 287. თ. ნატროშვილი და გ. ჯაფარიძე ირანზე ლაშქრობას 1209 წლით ათარიღებენ. თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, „ცდა ერთი თარიღის დადგენისა“, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია. №1 თბ. 1974, გვ. 158; რ. მეტრეველის აზრით, ქართველთა ლაშქრობა ირანზე მოხდა 1210 წელს. ქართული დიპლომატიის ნარკვევები. ტ. I თბ. 1998, გვ. 341; რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ. 2002, გვ. 594; ამ მოვლენას ნ. შენგელია 1210-1211 წლებით ათარიღებს. „საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი თამარის მეფობაში“, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III თბ. 1979, გვ. 338; ლ. ტუსაშვილი კი 1206-1207 წლებით, ლ. ტუსაშვილი, ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, წიგნი I, თბ. 1994, გვ. 195.

თა შრომებშიც. მაგრამ მემატიანეები განსხვავებულად წარმოგვიდგენენ ამ ლაშქრობის მიზეზებს, მიზნებს და მის მიმდინარეობას. უნდა აღვნიშნოთ, რომ წყაროთა მონაცემები საკმაოდ წინააღმდეგობრივია.²

თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულების „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და სომეხი მემატიანეების ვერსიით, ქართველთა გალაშქრება სპარსეთზე, არდაველის სულთნის წინააღმდეგ მოწყობილი სადამსჯელო აქციის გაგრძელება იყო. მემატიანის ცნობით, არდაველის სულთანმა აღდგომის დღესასწაულის დღეებში მოულოდნელად ააოხრა ქალაქი ანისი. იმ დროს, როდესაც ქალაქის პატრონები ზაქარია და ივანე მხარგრძელები გეგუთში თამარ მეფეს სტუმრობდნენ, სულთანი „წარმოვიდა და აღვლო რაჯსის პირი და უგრძნობლად მოვიდა ანისა. გზა-გზა არავის ავნო და დიდსა შაბათსა მწუხრი მოვიდა ქა-

² „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ. გვ. 1959; იოანე ბატონიშვილი, „ისტორია“, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-2134. სომეხ ისტორიკოსებს ეს ამბავი სხვაგვარად აქვთ გადმოცემული. ვარდანი და კირაკოზ განძაკელი არდაველის აოხრებას ნახიჭევანის და ბავაგანის დარბევის შურისძიებად თვლიან. ვარდანი არდაველზე ლაშქრობას 1210 წლით ათარიღებს. ვარდანი არეველცი, მსოფლიო ისტორია, საქართველოს ისტორიის წყაროები, 74, ძველი სომხურიდან თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ. შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ე. კვაჭანტირაძემ, თბ. 2002; Киракос Гандзакечи, История, перевод с древнеармянского Т. Тер-Григорьяна Баку, 1946; სპარსეთზე გალაშქრების ამბებს მოგვითხრობენ მუსლიმი მემატიანეებიც. ივ. ჯავახიშვილის აზრით, არაბ ავტორებს იბნ-ხალიკანს და იბნ-ბატიშსაც არდაველზე და ირანზე ლაშქრობები ერთმანეთში აქვთ არეული და არდაველზე ლაშქრობის თარიღად 1207-08 წლებს მიიხნევს, ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 287; აბუ-ბაქრის დევნისა და სპარსეთში ლაშქრობის შესახებ საყურადღებო ცნობები აქვს მოცემული ალ-ჰუსაინის, ზია ბუნიатов Государство Атабеков Азербайджана (1136-1225), Баку, 1978, ст. 59.

ლაქ ანისისასა. და ვითარ ცისკარი მოეახლა და ჰკრეს ძელსა და განახუნეს კარნი ქალაქისანი, მყის მიეტევნეს კარსა ქალაქისასა, შეუტევეს ცხენი, და ვერ მოასწრეს კარნი, და შევიდეს ქალაქად, იწყეს ჳოცად, კვლად, ტყუედ... ესრეთ ჳელთ იგდეს ქალაქი, ერთი ბევრი და ორი ათასი კაცი ეკლესიათა შინა, ვითარ ცხვარი დაკლეს, თჳნიერ მისსა, რომელი უბანთა და ფოლოცთა შინა მოიკლა. ესეოდენ მიჳწვარედ მოაოჳრეს ანისი, და სავსენი ტყუთა და ალაფითა მიიწივნეს შინა.“³ ქართველებმა საპასუხო ლაშქრობა მოაწყვეს არდაველზე, რომელიც ქალაქის აოხრებით და სულთნის დასჯით დამთავრდა. ქართველთა ჯარი ქალაქს მაშინ მიაღება, როდესაც „რომელ აიდი განთენდებოდა, რომელ არს აღვსება მათი, და მას დამესა გარე მოადგეს არდაველსა. ვითარ ჳმა-ყო ქადაგმან ბილწისა ქადაგებისა მათისამან და გახშირდა მუყრთა ყივილი, ყოვლითნიც ცხენი შემოუტივეს მჳარგრძელთა, შეუხდეს და უომრად ჳელთ იგდეს ქალაქი... ხოლო სულტანი არდაველისა მოკლეს, ცოლნი და შვილნი მისნი ტყუე-ჳყვეს და წამოასხეს. ათორმეტი ათასი კაცი რჩეული მიჳითთა შინა მოკლეს, ვითარ მათ ყვეს ანისისა ეკლესიასა შინა.“⁴

არდაველის აღების ამბავი მოთხრობილი აქვთ სომეხ ისტორიკოსებს, ვარდანს და კირაკოზ განძაკელს. ვარდანს წერს, „659 (1210) წელს კალიამ ააოხრა მრავალი გავარი. ამ დროს დიდმა ზაქარიამ ააოხრა სპარსეთი ქალაქ არტავილამდე, შური იძია რა ქრისტიანთა სისხლისათვის. ამის გამო ბრძანა დაეწვათ ხალხით სავსე მათი სამლოცველო, მსხვერპლად შესწირა რა მთავრებს, რომლებიც ნახიჭევანის ეკლესიებში დაიღუპნენ. კურაიები და მუღრნი იმ წმ. მღვდლებს შესწირა, რომლებსაც ყელები დაატრეს ბაგუანში და მათი სისხლით შეიღება ეკლესიის კედლები. ზაქარია დაბრუნდა ამ ხოცვა-ჳლეტიდან, აღსრულდა მართლმადიდებლური რწმენით და დასავლავებულა წმ. სანაინის მონასტერში 661 (1212) წელს.“⁵

³ „ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთანი“, გვ. 100-101.

⁴ იქვე, გვ. 102.

⁵ ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია, გვ. 157-158.

კირაკოს განძაკელს არდაველის დარბევის ამბავთან დამატებული აქვს ასევე, ქართველთა მიერ მარანდის აღების ამბავიც. „მრავალი გამარჯვების შემდეგ, რომელიც ჩაიღინეს დიდმა იშხანებმა ზაქარიამ და მისმა ძმამ ივანემ, ის (ზაქარია) დიდი ჯარით გაემართა მარანდისაკენ, აიღო იგი და გაანადგურა მისი მიმდებარე ოლქი, ხოლო შემდეგ ის წავიდა ქალაქ არდებილისაკენ, ასევე აიღო და დაარბია მის გარშემო არსებული მხარეები. ქალაქის ბევრმა მცხოვრებმა მურშების მოწოდებით სალოცავად თავი შეაფარა სამლოცველოს. ზაქარიამ უბრძანა მოეტანათ თივა და ჩალა, დაასხა მას ზეთი და ნავთი და წაუკიდა ცეცხლი. როდესაც ცეცხლი მოეკიდა სამლოცველოს ზაქარიამ თან მიაძახა, „ეს იმ იშხანებისა და იქ მცხოვრები სომხების სანაცვლოდ, რომლებიც ტაჯიკებმა დაწვეს ნახიჭევანში და ბაგაგანში იმ დახოცილი მღვდლების სანაცვლოდ, რომლებიც დახოცეს და მათი სისხლით შეღებეს ეკლესიის კედლები, რომლებსაც დღესაც კი ატყვია გაშავებული ადგილები. თვითონ კი, როდესაც ბრუნდებოდა თავის ქვეყანაში, გზაში ავად გახდა. სხეულზე მას გამოაჩნდა მოურჩენელი წყლულები, რამაც მისი მთელი სხეული მოიცვა. და ამ მიმე დაავადების გამო რამდენიმე დღის შემდეგ იგი გარდაიცვალა. ყველა ქრისტიანი მოიცვა მწუხარებამ. ის დაკრძალეს სანაინში, დიდ ეკლესიის შესასვლელში. მისმა სიკვდილმა დაამწუხრა ქართველთა მეფე გიორგი, ლაშას სახელწოდებით, შვილი სოსლანისა და თამარისი, შვილიშვილი დიდი მეფისა გიორგისი. ამ ამბავმა ასევე დაამწუხრა მისი ძმა ივანე და მთელი ქართველთა ლაშქარი.“⁶ სამწუხაროდ, კირაკოზ განძაკელს დათარიღებული არ აქვს ეს ამბავი.⁷

⁶ Киракос Гандзакечи, История, ст. 96-97.

⁷ Киракос Гандзакечи, История, ст. 264. შენიშვნებში და კომენტარებში, გამომცემელს, ტ. ტერ-გრიგორიანს აღნიშნული აქვს, რომ ზაქარიამ მარანდი ააოხრა 1210 წელს და არდაველი 1211 წელს. რომ, ზაქარია გარდაიცვალა მარანდის და არდებილის ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ, 1212-13 წლებში. ნახიჭევანში ქრისტიანების გაწვევტის მსგავს ისტორიას ადგილი

როგორც ვხედავთ, თამარის ისტორიკოსის ცნობით, არდაველის სულთანმა ააოხრა ანისი, მაგრამ სომეხი ისტორიკოსების ვარდანის და კირაკოზის ცნობით, სპარსელებს არა ანისი, არამედ ნახიჭევანი და ბაგავანის ეკლესია აუოხრებიათ.

ჰქონდა არაბთა ბატონობის პერიოდში, VIII საუკუნის დასაწყისში. სომეხი ავტორების თხზულებებში გვხვდება ცნობები სწორედ ამ ამბების შესახებ. კირაკოზ განძაკელის ცნობით, ხალიფა აბდ ალ-მალიქის მმართველობის დროს, არაბებმა ნახიჭევანის ეკლესიებში ამოხოცეს სომეხი იშხანები. ამ ფაქტს ადასტურებენ ლევონდი, ვარდანი და მხითარ აირივანეცი. ისინი ამ ამბებს ათარიღებენ 701-706 წლებით. ვარდანს დაწვრილებით აქვს გადმოცემული ეს ისტორია. მისი თქმით, ხალიფა ვალიდმა 701 წელს უბრძანა თავის ნაცვალს მუჰამად ოქბაის, რომ გაენადგურებინა სომეხი იშხანები და ამით გაეძლიერებინა ისლამის გავლენა სომხეთის მხარეში. ხალიფას ნაცვალმა ამის ასრულება დაავალა ნახიჭევანის ეპირს, ვინმე კამსას, რომელმაც მოტყუებით შეკრიბა ადგილობრივი დიდგვარიანები ქალაქის მთავარ ტაძარში და ეკლესიებში და იქ მყოფებს ცეცხლი წაუკიდა და ამობუგა. ტ. ტერ-გრიგორიანს აღნიშნული აქვს, რომ ზაქარიას ეს შურისძიება უკავშირდება არაბების მიერ 707 წელს არაბების მიერ ნახიჭევანის ეკლესიაში სომეხი ფეოდალების ამოწვას და ბაგავანის ეკლესიაში სომეხი მღვდლების გაწყვეტას. Киракос Гандзакеци, История, ст. 157. ასევე ფიქრობს ვარდანის ტექსტის გამომცემელი, ნ. ემიხიცი. Всеобщая История Вардана Великого, перевод Н. Эминых, Москва, 1861, ст. 172; იხ. ასევე, История халифов вардапета Гевонда, писателя VIII в., пер. С армянского К. Патканова, СПб, 1862. ჩვენი აზრით, საეჭვოა, რომ ზაქარიას, არდაველის სულთანის წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობა დაეკავშირებინა VIII საუკუნის დასაწყისში მომხდარ ამბებთან. მაინცდამაინც არდაველის სულთანს რატომ გადაუხადეს სამაგიერო, საუკუნეების წინ, არაბების მიერ მოწყობილი ბოროტების გამო? სპარსეთში ლაშქრობის დროს, ქართველებმა სხვა ქალაქებიც აიღეს, მაგრამ ამ ქალაქების მოსახლეობის დარბევის ფაქტები არ უკავშირდება რაიმე შურისძიებას. ქართველთა შურისძიება უნდა უკავშირდებოდეს XIII საუკუნეში არდაველის სულთანის მიერ მოწყობილ ლაშქრობას.

თამარის ისტორიკოსის თხზულება მთავარი წყაროა ამ ამბებისა, მას დაწვრილებით აქვს მოთხრობილი არდაველზე და სპარსეთზე ლაშქრობის ამბები. ეს გასაკვირი არც არის, რადგან მისი თხზულება უშუალოდ თამარის მეფობას აღწერს. მაგრამ, თუ დაფუძნირდებით სხვა წყაროთა მონაცემებს აღნიშნული მოვლენების შესახებ, განსხვავებული სურათი წარმოგვიდგება, რომელსაც ქართველი მემატიანე არ აღწერს, ან არ აქვს სრული და ზუსტი ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ „ისტორიანი და აზმანის“ ავტორმა, ქართველთა სპარსეთში გალაშქრების მთავარი მიზეზიც კი, ან არ იცის, ან შეგნებულად არ ასახელებს მას და ამ ლაშქრობას ჰეროიკულ ახსნას უძებნის.⁸

ჩვენი აზრით, საეჭვოა ასე „უგძნეულად“ ევლო არდაველის ლაშქარს ანისამდე, თუნდაც, რახსის (არაქსის) პი-

⁸ ჩვენი აზრით, სპარსეთზე მოწყობილი მასშტაბური ლაშქრობა უკავშირდება XII-XIII საუკუნის მიჯნაზე არსებულ დაპირისპირებებს საქართველოსა და ხორეზმს შორის, რომელთა ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა ადარბადაგანის, შირვანის და რანის ქვეყნებზე გავლენის მოსაპოვებლად. ეს კონფლიქტი გამწვავდა ქართველთა მიერ აბუ-ბაქრის დამარცხების შემდეგ და არაბი მემატიანის, ალ-ჰუსაინის გადმოცემით, მათი რაზმები აბუ-ბაქრის დევნამ თავრიზის კედლებთან მიიყვანა. ქართველთა გამოჩენამ ჩრდილოეთ სპარსეთში შეაშფოთა ხორეზმელები და მათ გაააქტიურეს თავიანთი პოლიტიკა ამ მიმართულებით. ხორეზმელთა ინტერესები ადარბადაგანის მიმართ ჯერ კიდევ XII საუკუნის მეორე ნახევარში გამოიკვეთა. სავარაუდოდ, არდაველის სულთანთან კონფლიქტიც ამ დაპირისპირების ერთ-ერთი ქვაკუთხედი იყო. რა თქმა უნდა, ამხელა მასშტაბის სამხედრო ექსპედიცია, რომელმაც მთელი ჩრდილოეთ სპარსეთი მოიცვა და ხორასნის საზღვრებს მისწვდა, მხოლოდ მარბიელი ხასიათის არ იქნებოდა. ამ საკითხზე იხ. ჯ. სტეფნაძე, ხორასანში ლაშქრობის საკითხისათვის, „საისტორიო კრებული“, VII, თბ. 1977; დ. შველიძე, ე. შველიძე, საქართველოსა და ხორეზმის ურთიერთობა და ქართველთა ლაშქრობა ირანში (1210 წ.), ვალერიან მაჭარაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, თბ. 2001; ა. გოგოლაძე, ადარბადაგანის საკითხი საქართველო-ხორეზმის ურთიერთობაში, ანალები, №8, თბ. 2012.

რით, როგორც ეს თამარის ისტორიკოსს აქვს აღნიშნული. წარმოუდგენელია, მონაპირეებს ასე უყურადღებოდ გაეტარებინათ მტერი და არ შეეცუობინებინათ მისი მოახლოება ქალაქის მეციხოვნეთათვის. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც მემპტიანე გადმოგვცემს, არდაველის სულთანმა გზად არავის ავნო და ამით არ მიიქცია ადგილობრივთა ყურადღება, შეუძლებელია, ქვეყნის სიღრმეში შემოსული უცხო სამხედრო რაზმები მხედველობის არედან გამორჩენილთა სასაზღვრო ნაწილებს. შეიძლება, მხარგრძელები, მართლაც არ იყვნენ იმ დროისათვის ანისში, მაგრამ პერმანენტული ომების პერიოდში წარმოუდგენელია მათ არ ეზრუნათ ქალაქის დაცვაზე, მითუმეტეს, რომ ანისის რეგიონი საქართველოს სამეფოს სამხრეთის საზღვართან, მტრის ხშირი თავდასხმების ზონაში იმყოფებოდა. ეს რეგიონი ებჯინებოდა ხლათის აიუბიანების ქვეყანას, რომელთანაც საქართველოს მუდმივი დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა. ამიტომ, საზღვრის ამ მონაკვეთის განსაკუთრებული კონტროლი, ქვეყნის უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო.

რაც შეეხება, მტრის მოულოდნელ გამოჩენას ქალაქის გაღავანთან, ეს შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ თავდამსხმელი მხარე ძალების კონცენტრაციას მოახდენდა ახლო მდებარე, მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და ისარგებლებდა სიბნელით ან გარიჟრაჟით, რათა მოულოდნელად დასხმოდა თავს ქალაქის გაღავანს. ანისის შემთხვევაში, ეს ფაქტიურად წარმოუდგენელი იყო, რადგან ქალაქთან მისასვლელად, მათ საზღვრიდან დაახლოებით 40-50 კილომეტრით მოუწევდათ მოწინააღმდეგის კონტროლირებად ტერიტორიაზე, ქვეყნის სიღრმეში შესვლა, რაც არ გამორჩებოდა სასაზღვრო დაცვას. წყაროებში, ციხე-ქალაქის მოულოდნელი, ერთი დარტყმით აღების ისტორიის მრავალი ფაქტი არსებობს. მსგავსი ამბავი გადმოცემული აქვს დავით აღმაშენებლის მემპტიანეს, როცა 1110 წელს, ქართველებმა მოულოდნელი თავდასხმით აიღეს სამშვილდის გამაგრებული ციხე და ისტორიკოსი ამ გაბედულ რეიდს ქალაქის „სიმარჯვით მოპარვას“ უწოდებს, მაგრამ სამშვილდის ვი-

თარება განსხვავებული იყო ანისისაგან. იმ დროისათვის, ქართველების კონტროლირებადი ტერიტორიები ემიჯნებოდა სამშვილდის სანახებს და დავითის სარდლებმაც ისარგებლეს რა სტრატეგიული პოზიციით, მოახდინეს ძალების კონცენტრაცია ციხის გალავანთან ახლოს და მოულოდნელი თავდასხმით აიღეს სამშვილდე. „სიმარჯვით მოპარვა“ წარმოადგენს ციხეზე მოულოდნელი თავდასხმის ერთ-ერთ ხერხს, როცა მომხდური მხარე სწრაფ კონცენტრაციას ახდენს ციხის ახლოს, სარგებლობს ღამის სიბნელით და გარიჟრაჟზე სწრაფი რეიდით ახერხებს ალაცაფის კარებთან მისვლას და ციხეში შევარდნას. ასეთი სტრატეგიული პოზიციის დაკავება იმ დროისათვის ანისის მახლობლად, მომხდურ მხარეს არ შეეძლო, რადგან ქალაქი საზღვრიდან საკმაოდ შორს მდებარეობდა და რაც არ უნდა სწრაფი მარში განეხორციელებინა თავდამსხმელ მხარეს, მეციხოვნეებისათვის შეუძინეველი არ დარჩებოდა მტრის მოძრაობა ქვეყნის სიღრმეში, თუნდაც, იმ დღეს, ანისის გალავნის ალაცაფი აღდგომის დღესასწაულისათვის ღია ყოფილიყო.

უცნაურია ასევე, არდაველის პატრონები ქართველთა საპასუხო თავდასხმას მოუშადადებლები რომ შეხვდნენ. მემბტიანის თქმით, ქართველები ქალაქს მაშინ მიაღწენენ, როცა მუსლიმთა დღესასწაული: „აიდი გათენდებოდა, რომელ არს აღვსება მათი, და მას ღამესა გარე მოადგეს არდაველს. ვითარ ჳმა ყო ქადაგმან ბილწისა ქადაგებისა მათისამან და გაჯშირდა მუყრთა ყივილი, ყოვლგნით ცხენი შემოუტივეს მჭარგრძელთა, შეუკდეს და უომრად კვლთ იგდეს ქალაქი“.⁹ როგორც წყაროდან ჩანს, ქართველებს ქალაქის აღებისას დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ. მართლაც, გასაკვირია, რატომ არ გამოიჩინეს სიფრთხილე ქალაქის პატრონებმა, როცა მოსალოდნელი იყო მტრის შემოსევა? თამარის ისტორიკოსის ცნობით, თამარმა მხარგრძელების რჩევით თავი მოუყარა მხოლოდ მესხთა, თორელთა, თმოგველთა, ჰერ-კახთა და სომხითართა მხედრობას. „ქართველნი არა წარიტანნეს, რათა არა აგრძნან არ-

⁹ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, გვ. 102.

დაველს მყოფთა”. საქართველოს ჯარი შეიკრიბა ანისში და „გარდაველს გელაქუნი და ჩაველს ისპიანი გავიდეს ხუაფრიდის კიდსა და მიმართეს არდაველს.“¹⁰ ისტორიკოსის ცნობით, ეს ღონისძიებები იმიტომ გატარდა, რომ მტრის მზვერავებს არ დაეფიქსირებინათ სრულიად ქართველთა რაზმების მოძრაობა ქვეყნის შიგნით.¹¹ ამ ცნობებში კარგად ჩანს სპარსელთა მოლოდინი ქართველთა თავდასხმისა მათზე. არდაველის სულთანი ფხიზლად უნდა ყოფილიყო და უცნაურია, როგორ გამოეპარათ სპარსელებს ქართველთა ჯარების მოძრაობა. ნუთუ, ქართლის საერისთავოს სამხედრო რაზმების არ ყოფნა ისე მოადუნებდა მტრის ყურადღებას, რომ ვერ გაიგებდნენ, თუ რა მიზანი ჰქონდა ჯარების შეკრებას და მის მოძრაობას ადარბადაგანის მიმართულებით? არდაველი საქართველოს საზღვრებს საკმაოდ დაშორებული იყო და თუ პირველ ხანებში არა, მოგვიანებით მაინც ხომ უნდა დაეფიქსირებინათ მტრის რაზმების სვლა ქალაქისაკენ. ქართველთა ჯარი ადარბადაგანში შევიდა „ხუაფრიდის კიდსა“ (ხუდაფერინის ხიდის) გადასვლით, რომელიც არაქსზე მდებარეობდა. იმ დროისათვის, მდინარე არაქსის ნაპირები ჰყოფდა ქართველთა და ადარბადაგანის მმართველთა გაფლენის სფეროებს.¹² არაქსის ნაპირებიდან არდაველამდე საკმაოდ შორი მანძილი უნდა გაეველო ქართველთა მხედ-

¹⁰ იქვე, 102.

¹¹ ივ. ჯავახიშვილი „ქართველნი“ გულისხმობს ქართლებს. მისი აზრით, ქართლები, რომ დაეძრათ, მათი მოძრაობა მტერს ვეღარ გამოეპარებოდა და ციხეებში შეიხიზნებოდა. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 283.

¹² იმ დროისათვის, ადარბადაგანს ერთიანი ცენტრალიზებული ხელისუფლება არ ჰყავდა. 1191 წლიდან, ელდიგუზიანთა უკანასკნელი დიდი მმართველის ყიზილ-არსლანის სიკვდილის შემდეგ, მის მემკვიდრეობაზე პრეტენზიას აცხადებდნენ მისი შვილები და ნათესავები, რომელთა შორისაც დიდი ბრძოლა ატყდა. ამ ბრძოლაში ჩაერივნენ ხორეზმელები და, მოგვიანებით, ქართველებიც. აბუ-ბაქრ ათაბაგმა სცადა ადარბადაგანის გაერთიანება, მაგრამ ქართველებთან მარცხი განიცადა.

რობას.¹³ ამავე დროს, ვერავითარ დღესასწაულს ვერ უნდა მოედუნებინა ქალაქის მეციხოვნეთა ყურადღება. არდაველის აღების ისტორია ძალიან ჰგავს ანისის აღების ამბავს. თამარის ისტორიკოსის ცნობით, ორივე თავდასხმა რელიგიურ დღესასწაულს ემთხვევა, როცა ქალაქები ფაქტიურად უბრძოლველად ვარდება მტრის ხელში. მაგრამ, ამ ისტორიებში, ერთი რამ არის საინტერესო, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიქცია. ვარდანს და კირაკოზ განბაკელს არდაველის და მარანდის აღება გაერთიანებული აქვს ერთ ლაშქრობაში. მარანდი ქართველებმა აიღეს სპარსეთში დიდი ლაშქრობის დროს. ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ მარანდის აღების შემდეგ ზაქარია მხარგრძელი გაემართა არდაველზე შურის საძიებლად. მართლაც, ხომ არ იყო არდაველზე თავდასხმა, იმ ცნობილი დიდი ლაშქრობის ნაწილი, რომელიც ქართველებმა მოაწყვეს ჩრდილოეთ სპარსეთში? ამ შემთხვევაში უფრო ლოგიკური ჩანს არდაველზე მოულოდნელი თავდასხმის ფაქტი, მარანდიდან მოულოდნელი რეიდი, ვიდრე შორეული საქართველოს საზღვრებიდან მოწყობილი თავდასხმა. მართალია, არც მარანდი იყო ახლოს არდაველთან და არც მარანდზე მოწყობილი თავდასხმა უნდა გამოჰპარვოდათ არდაველის პატრონებს, მაგრამ, შესაძლოა, მარანდიდან ქართველთა მხოლოდ მარბიელი რაზმი გაიგზავნა და არა მთლიანი ლაშქარი. შეიძლება ქართველებმა ცრუ ხმებიც გაავრცელეს, რომ ლაშქარი მარანდიდან სხვა მიმართულებით აპირებდა რეიდის გაგრძელებას და ამან მოადუნა არდაველის მესვეურთა ყურადღება?! ლაშქრობის დროს ყალბი ხმების გავრცელება მტრის ყურადღების მოსაღწეებლად მიღებული პრაქტიკა იყო. 1021 წელს, ბიზანტიის იმპერატორმა ბასილ II-მ, გიორგი I-ის წინააღმდეგ საბრძოლველად მზადებისას ცრუ ხმები გაავრცელა, რომ ასურეთში აპირებდა გალაშქრებას და სალაშქრო პროვიანტი განეგებ ანტიოქიაში გააგზავნა, რათა მოედუნებინა ქართველთა სიფხიზლე, მაგრამ, მოულოდნელად,

¹³ ხუდაფერინის ხიდიდან არდაველამდე მანძილი დაახლოებით 250-300 კილომეტრი იყო.

აღმოსავლეთში მოძრაობისას პირი ჩრდილოეთისაკენ იცვალა და საქართველოს საზღვრებს მოადგა, რაც ეფექტური სვლა იყო, რადგან გიორგი I სრულყოფილად მომზადებული ვერ შეხვდა ბიზანტიელთა შემოსევას და საბოლოოდ ამ შეტაკებაში მარცხი განიცადა. არადა, ბასილის თავდასხმა მოსალოდნელი იყო, რადგან გიორგი I-მა, ისარგებლა რა, ბიზანტიის იმპერატორის ბულგარელებთან ომით, დაიკავა ტაოს ის მიწები, რომლებიც დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ სადაო გახდა საქართველოსა და ბიზანტიას შორის. ბასილ II ამ ფაქტით იმდენად განრისხებული იყო, რომ მოსალოდნელი იყო ბიზანტიელთა მწვავე რეაქცია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბიზანტიელებმა ამ კამპანიაში წარმატებას სწორედ ცრუ ხმების გაერცვლებით მიაღწიეს. ქართველებმაც იგივე მეთოდი ხომ არ გამოიყენეს არდაველზე ლაშქრობის წინ? ამ კონკრეტულ საკითხზე, ეს მხოლოდ ჩვენი ვარაუდებია, რადგან წყაროები არ გვაძლევს თამამი დასკვნების გამოტანის საშუალებას, მაგრამ, საეჭვოდ გვეჩვენება ამ კონფლიქტის ისტორიის განვითარების თამარის მემატიანი-სეული რეკონსტრუქცია, რადგან მოსალოდნელი საფრთხეების დროს სრულ უყურადღებობას იჩენენ მოწინააღმდეგეები.¹⁴

თავის დროზე, ანისის მოულოდნელ აღებასთან დაკავშირებით, ეჭვი გამოთქვა ლ. ტუხაშვილმა. მისი აზრით,

¹⁴ საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ უცხოელ ავტორებს ქართველთა სპარსეთზე გალაშქრების აღწერისას, ძირითადი ყურადღება გამახვილებული აქვთ მარანდის აღებაზე. როგორც ჩანს, მარანდის აღებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვეებზე. გარდა სომეხი ავტორებისა, ამ ამბავს აგვიწერენ არაბი ისტორიკოსები, ალ-ჰუსაინი, იბნ ხალიქანი, იბნ ბატიმი, იაკუთი. ამ საკითხზე იხ. იაკუთის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ, ნაკვ. I, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე. სიხარულიძემ, თბ. 1964, გვ. 83. თ. ნატროშვილი, მაშრიყთ მადრიბამდე, თბ. 1991, გვ. 49-50; თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, „ცდა ერთი თარიღის დადგენისა“, თბ. 1974, გვ. 156-157; Зиа Буниятов, Государство Атабеков Азербайджана (1136-1225), ст. 59.

გაუგებარია, როგორ ვერ შენიშნეს ანისელებმა მტრის მოახლოება და ფიქრობს, რომ შეიძლება არდაველის სულთანი საქართველოს ყმადნაფიცი იყო და ამიტომ არ მიაქციეს ჯარის მოძრაობას ანისელებმა ყურადღება. ალბათ შენიშნეს არდაველის ლაშქარი, მაგრამ არ მიიჩნიეს მტრად.¹⁵ თუმცა, ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, რადგან არდაველი მაშინ საქართველოს სამეფოსთან არავითარი ვალდებულებით არ იყო დაკავშირებული და მეორეც, მონაპირეებს წარმოუდგენელია ყურადღება არ მიექციათ უცხო რაზმების მოძრაობისათვის, თუნდაც მათი პატრონები ყმადნაფიცები ყოფილიყვნენ. ქვეყნის საზღვრები გადმოლახა არა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა, ან დესპანმა, არამედ მრავალრიცხოვანმა, სალაშქროდ გამართულმა ჯარმა. მონაპირეთა ფუნქციაც სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ გაეკონტროლებინათ ქვეყნის საზღვრები და სწრაფი რეაგირება მოეხდინათ მომავალ საფრთხეებზე. წყაროები არდაველის საქართველოსთან რაიმე ფორმით დამოკიდებულებაზე არაფერს გვეუბნებიან და თუ ასეთი დამოკიდებულება არსებობდა, მითუმეტეს წარმოუდგენელია ასეთი გამოხდომა ჩაედინათ ყმადნაფიცი ქალაქის მესვეურებს თავიანთი სიუხერენების მიმართ.

მაგრამ, ჩვენი აზრით, საერთოდ საეჭვოა ანისის დარბევის ისტორია, რომელიც მოცემული აქვს თამარის ისტორიკოსს. სომეხი ისტორიკოსების ცნობები კი საყურადღებოა. უფრო სავარაუდოა, რომ ისინი მოულოდნელად, სწორედ ნახიჭევანთან გაჩნდნენ, რადგან ის რახსის პირას (არაქსთან), სახელმწიფო საზღვართან ახლოს მდებარეობდა. თამარის ისტორიკოსიც, ქართველთა სპარსეთისაკენ მოძრაობის შესახებ ამბობს: „ჩავლეს პირი ნახიჭევანისა და გავიდეს ჯუღას და რახსსა“. ამით იგი აღნიშნავს, რომ ქართველთა ჯარმა გადალახა ქვეყნის საზღვარი და სპარსეთში შევიდა.¹⁶

¹⁵ ლ. ტუხაშვილი, ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, გვ. 193.

¹⁶ არეზი ნახიჭევანითა და ჯულით (ჯულფა) საქართველოს სახელმწიფოს სამხრეთ საზღვარს წარმოადგენდა. არეზის გადა-

ვფიქრობთ, რომ არდაველის სულთანს უნდა დაერბია ჯერ ნახიჭევანი, შემდეგ – ბაგავანი. იმ დროისათვის ნახიჭევანის მმართველი ქართველთა ყმადნაფიცო იყო.¹⁷ რაც შეეხება ბაგავანის ეკლესიას, რომელიც ასევე ლაშქრობის დროს ააოხრეს სპარსელებმა, ის ბაგრევანდის თემში მდებარეობდა, ვალაშკერტის მხარეში.¹⁸

ლახვა ნახიჭევანთან და ჯუდასთან საქართველოს საზღვრებს გარეთ გასვლას ნიშნავდა. მ. ბერძნიშვილი, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები XIII საუკუნის დამდეგს, კრბ. საქართველო რუსთაველის ხანაში, რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ. 1966, გვ. 58.

¹⁷ ნახიჭევანს ქართველები ყმადნაფიცობის პირობით ფლობდნენ. ეს დამოკიდებულება კარგად არის ასახული „ისტორიანი და აზმანის“ ავტორთან. რუქნ ად-დინის დამარცხების და განდევნის შემდეგ, მემატინე ჩამოთვლის იმ ქალაქებს, რომლებიც ხარკს უხდიდნენ საქართველოს სამეფო კარს: „მოვიდიან ხარაჯითა განძელნი და აღმართ-ქალაქნი. გაზაფხულ აღმოვიდიან სომხითი, მოიღონ ხარაჯა ნახიჭვენელთა; და წარვიდიან კოლას, თავსა არტანისასა, და მუნით მოიდიან ხარაჯა კარნუქალაქით და ეხინკით და სხუათა გარემოსა ქალაქთა“, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, გვ. 99-100.

¹⁸ უნდა აღინიშნოს, რომ შირაკის მხარეში, ქალაქ ანისიდან სამხრეთით მდებარეობდა მცირე დასახლებული პუნქტები ნახიჭევანი (ნახიჭევანი) და ბაგარანი. იხ. საქართველოს ისტორიის ატლასი, დ. მუსხელიშვილის რედაქციით, თბ. 2003; მაგრამ სომეხ მემატინეებთან საუბარია არაქსის პირას მდებარე ნახიჭევანზე და ბაგავანზე, რომელიც ვალაშკერტის თემში იყო. ვარდანს თავის თხზულებაში მოხსენიებული აქვს ბაგარანი, როგორც ანისის სომეხი მეფეების საძვალედ. რაც შეეხება ბაგუანს ბაგავანს, მემატინე იხსენიებს მისი ეკლესიის ისტორიის ერთ ფაქტს, მხარგრძელების მიერ არდაველზე შურისძიების სანაცვლოდ. ბაგავანის ეკლესიის წარწერაზე ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების თარიღიკაა აღნიშნული – 1210-1211 წლები. ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია, გვ.111-112; ვარდანის და კირაკოზ განძაკელის ტექსტის კომენტარებშიც არ არის გამოთქმული ეჭვი, რომ არდაველის სულთანმა ააოხრა არაქსის პირის ნახიჭევანი და ვალაშკერტის მხარის ბაგავანი და არა შირაკის მხარეში არსებული პატარა დასახლებული პუნქტები. Киракос Гандзакеци, История, перевод с древнеар-

როგორც ჩანს, სპარსელებს მოუბრევიათ საქართველოს სასაზღვრო თემები და არა ქვეყნის შიდა რაიონები. ანისი საზღვართან ახლოს არ მდებარეობდა, მაშინდელ საქართველოს სამეფოს საზღვარს დაახლოებით 40-50 კილომეტრით იყო დაცილებული. მტრის მიზანს კი სწრაფი თავდასხმა და ასევე სწრაფად უკუქცევა წარმოადგენდა, რაც შესაძლებელი იქნებოდა ნახიჭევანზე და ბაგავანზე თავდასხმის შემთხვევაში. ანისზე ლაშქრობა კი მოულოდნელობის ეფექტს დაკარგავდა, რადგან სპარსელებს საკმაოდ დიდი მანძილი უნდა ევლოთ ქვეყნის შიგნით, რაც ქართველების ყურადღებას აუცილებლად მიიქცევდა. თან უნდა გავითვალისწინოთ, რომ მიუხედავად მხარგრძელების ანისში არყოფნისა, წარმოდგენელია, იქ რაიმე სერიოზული სამხედრო ძალა არ ყოფილიყო. რა გარანტია ჰქონდათ ქვეყნის სიღრმეში შემოჭრილ სპარსელებს, რომ ასე უპასუხოდ დაბრუნდებოდნენ თავიანთ ქვეყანაში?! ეს შესაძლებელი იქნებოდა სასაზღვრო თემების აოსრების შემთხვევაში. წარმოდგენელია, ანისზე ყოფილიყო პირდაპირი თავდასხმა. არაქსის პირზე სვლით მტერს ანისამდე უცილობლად უნდა გაეგლო ნახიჭევანი, დვინი, გარნისი, ამბერდი. ე. ი. სპარსელებს მოუწევდათ ამ ქალაქების ასაღებად ბრძოლა და თუ ასაღებად – არა, ქართველთა კონტროლის ქვეშ მყოფ დასახლებულ პუნქტებს უბრძოლველად გვერდს მაინც ვერ აუვლიდნენ. ზემოთ ჩამოთვლილი ქალაქები იმ დროისათვის ან ყმადნაფიცობის პირობით იყო დაკავშირებული საქართველოს სამეფო კართან ან უშუალოდ შედიოდა საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში.

შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ მემატრიანეებთან დაცული ეს ამბები რეალობაა და უბრალოდ მათ თხზულებებში მხოლოდ ცალკეული ქალაქების აღების ისტორია აისახა, რომ, შეიძლება, არდაველის სულთანს ამ ლაშქრობისას აეოსრებინა ნახიჭევანი, ანისი და ასევე დაე-

мянского Т. Тер-Григорьяна Баку, 1946; Киракос Гандзакечи, История Армении, Перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л. А. Ханларян, Москва, 1976.

ლაშქრა ვალაშკერტის მხარეც, ბაგრევანდის თემი. რა თქმა უნდა, ეს ვარიანტიც დასაშვებია, რადგან წყაროებში ხშირად გვხვდება ისტორიები, რომლებიც ერთმანეთს ავსებს, მაგრამ საეჭვოა, რომ არდაველის მმართველს ასეთი მასშტაბური ლაშქრობა მოეწყო.¹⁹ ამ შემთხვევაში ეს იქნებოდა არა მოულოდნელი, მზაკვრული გამოსდომა, არამედ კარგად ორგანიზებული თავდასხმა წინასწარ დაგეგმილი მარშრუტით. ასეთ სამხედრო რეიდს, დიდი სახსრები და

¹⁹ სპარსეთზე ლაშქრობის ამბების აღწერისას, მემატინეების ცნობებში გვხვდება მცირე განსხვავებები აღებული ქალაქების ჩამოთვლისას. თამარის ისტორიკოსი, რომელიც დაწერილებით აგვიღწერს ქართველთა მიერ აღებული ქალაქების შესახებ, არაფერს ამბობს მარაღას აღების ისტორიაზე. იოანე ბატონიშვილი კი მოგვითხრობს, რომ ქართველების წინაშე, მორჩილების მიზნით, მიანელებთან და თავრიზელებთან ერთად გამოცხადნენ მარაღას მცხოვრებნი, რომლებმაც დიდი ძღვენი შეაძლიეს ქართველთა მხედრობას, რომ აეცილებინათ თავიანთი ქალაქის დარბევა. იოანე ბატონიშვილი, „ისტორია“, H-2134, 644r-v, 645r-v; მარაღა თავრიზის სამხრეთით მდებარეობდა და, სავარაუდოდ, მოსალოდნელი იყო ლაშქრობის დროს ქართველთა ჯარი ამ ქალაქის კედლებს მისდგომოდა. მოგვიანებით, ჯალალ აღ-დინის ისტორიკოსის ან-ნასავის ცნობით, მარაღას მცხოვრებლებმა სთხოვეს ხორეზშაჰს, რომ დაეხსნა ქალაქი ქართველთა მძლავრობისაგან. Зия Буниятов, Государство Хорезмшахов Ануштегинидов, ст. 163; სავარაუდოდ, ეს ფაქტი მიუთითებს, რომ მარაღა დაიპყრეს ქართველებმა და ეს მოხდა სპარსეთში მათი ცნობილი ლაშქრობის დროს. მარაღა, რომ აიღეს ქართველებმა და ქალაქს ხარაჯა დაადეს, ადასტურებს თამარის მეორე ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარიც. მისი თქმით, ქართველებს ემორჩილებოდნენ სპარსელები: „ერაყამდის ქუემოთ მისგან დადებული ხარაჯა და ბაღდადის კერძ მარდამდის, და თუთ იგი ხალიფა შეშინებული და მოაჯე კმა არს ქუე-ჯდომით მოქმედისაგან“. ბასილი ეზოსმოძღვარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ. 1959, გვ. 124.

ცოცხალი ძალის რესურსი სჭირდებოდა, რაც იმ დროისათვის არდაველის სულთანს საეჭვოა, რომ ჰქონოდა. მითუმეტეს, ქართველთა საპასუხო ლაშქრობის დროს კარგად გამოჩნდა მისი უმწეობა და უუნარობა საკუთარი ქალაქის დაცვისას.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ანისი მხარგრძელთა ხელისუფლების მთავარ ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა, ქვეყნის მთავარი სამხედრო პირების სამფლობელოს და წარმოდგენელია, ის სამხედრო-ტექნიკური თვალსაზრისით კარგად გამაგრებული არ ყოფილიყო. რა თქმა უნდა, იმის თქმა არ გვინდა, რომ ნახიჭევანი და ბაგრევანდის მხარე ნაკლებად იყო დაცული, მაგრამ სასაზღვრო თემის აოხრება, ისეთი მცირე ქალაქისა, როგორც იყო ნახიჭევანი, უფრო ადვილია. აღსანიშნავია, რომ ანისი ჯერ კიდევ X-XII საუკუნეებში სომეხთა მეფეების, შემდეგ – სელჩუკთა ვასალი, ქურთული საგვარეულოს შევადიანების ხელისუფლების მთავარი ციტადელი იყო. წყაროების მიხედვით, ეს ქალაქი იმ პერიოდში თავისი მრავალრიცხოვანი მოსახლეობით, რეგიონის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა და საკმაოდ კარგად იყო გამაგრებული. ის ძველი ბრწყინვალება არც საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში უნდა დაეკარგა, მითუმეტეს, მხარგრძელები, როგორც ჩანს, გამოხატავდნენ ამ ქალაქის ძველი მფლობელების მემკვიდრეობაზე პრეტენზიას და ეს თვალსაზრისი წყაროებშიც (ძირითადად – სომხურში) აისახა.²⁰

²⁰ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ არ ვიზიარებთ სომხურ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებს საქართველოს სამეფოში მხარგრძელთა ხელისუფლების რაიმე ფორმით სახელმწიფოებრიობის არსებობაზე. თუმცა, მათ მიერ ჩატარებულმა წარმატებულმა სამხედრო ოპერაციებმა, მიზეზი მისცა სომეხ მემკვიდრეებს მხარგრძელების ხელისუფლება განედიდებინათ. მითუმეტეს, სომეხ ისტორიკოსებსაც, გარკვეულწილად, ჰქონდათ განცდა მათში სომხური სახელმწიფოებრიობის მემკვიდრეობა დაენახათ. ასეთ შეხედულებებს თავისი მიზეზებიც ჰქონდა. მხარგრძელთა როლი საქართველოს სამეფო კარზე თამარის მეფობის ბოლო პერიოდში ძალიან გაიზარდა. მათი ხელმძღვანელო-

ბით ჩატარებულმა წარმატებულმა ლაშქრობებმა სახელი და დიდება მოუხვეჭეს საქართველოს სამეფოს ახლო აღმოსავლეთში და კავკასიაში. რიგ შემთხვევებში, ზაქარია და ივანე მხარგრძელები ხელისუფლების მხრიდან ნდობითაც სარგებლობდნენ მოწინააღმდეგე მხარესთან დიპლომატიური კონტაქტების დამყარების მხრივაც. გავიხსენოთ შაჰ-არმენთა სახელმწიფოს დედაქალაქის ხლათის ალყის ისტორია, როდესაც მხარგრძელებმა, ფაქტიურად დამოუკიდებლად, ცენტრალური ხელისუფლების ჩარევის გარეშე მოაგვარეს ურთიერთობა აიუბიანებთან. წყაროებში, ცენტრალური ხელისუფლების ჩარევა ამ საკითხში არ ჩანს. არადა ეს არ იყო ლოკალური კონფლიქტი, ან რაიმე მარბიელი ლაშქრობა დაგლა-ალაფისათვის. ხლათის აიუბიანებთან ომს პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოს სამეფოს ხლათის დაკავებით ვანის ტბის რეგიონის კონტროლის საშუალება ეძლეოდა, რომელიც, არა მარტო სტრატეგიული, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისით, ქვეყანას სერიოზულ წარმატებებს მოუტანდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მხარგრძელები თვითონ აგვარებენ კონფლიქტს ხლათის მმართველთან. ივანე მხარგრძელი რომ გაეთავისუფლებინათ ტყვეობიდან, ქართული მხარე სერიოზულ დათმობებზე წავიდა. ამ ზავს, რომელიც დაიდო საქართველოს სამეფოსა და ხლათის აიუბიანებს შორის, საქართველოსთვის უარყოფითი შედეგები ჰქონდა. ქართველებმა შეწყვიტეს სამხრეთით, ვანის ტბის რეგიონის მიმართულებით, მრავალწლიანი შეტევები და ეს ყველაფერი ივანე მხარგრძელის დაუდევარი თუ უგუნური საქციელის ბრალი იყო. სამეფო ხელისუფლების მხრიდან კი, ამ საქციელის გამო ივანე მხარგრძელს პასუხი არ მოეკითხა. მეტიც, თამარმა ივანეს, ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ, ამირსპასალარობასთან ერთად ათაბაგობაც უბოძა. როგორც ჩანს, მხარგრძელთა როლი სამხედრო კამპანიებში და ხელისუფლებაში კიდევ უფრო გაიზარდა დავით სოსლანის გარდაცვალების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ დავით სოსლანი საქართველოს მეფის თამარის მეუღლე იყო და არა ქვეყნის მმართველი, მისი უშუალო მონაწილეობა სამხედრო კამპანიებში ხელისუფლების კონტროლის გამოხატულება იყო. ქართული და უცხოური წყაროები დავით სოსლანს ქართველთა მეფედაც მოიხსენიებენ. ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ამ ზავის შედეგად გაუმჯობესდა ქართველთა და ქრისტიანთა პირობები აიუბიანთა

მართალია, თამარის ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ არდაველის სულთანი „წარმოვიდა და ადვლო რახსის პირი და უგრძობლად მოვიდა ანისა“, მაგრამ თუ რეგიონის იმდროინდელ ისტორიულ-გეოგრაფიულ საზღვრებს ჩავუკვირდებით, წარმოდგენელია, რომ მათ არაქსის პირზე სვლით, შეუნიღბავად ევლოთ და არ მიექციათ ქართველთა და ხლათელთა ყურადღება. არაქსის შიდა წელი გამყოფი ზოლი იყო საქართველოსა და ხლათის საზღვარს შორის. თუ არდაველის სულთნის ლაშქარი არაქსის პირით გვერდს აუვლიდა ნახიჭევანს და დვინის ოლქს, მაშინ მას უნდა ევლო ხლათის სულთნის სამფლობელოების გავლით და სურმარის მხარეში შემოსვლის შემდეგ ეცვალა გვერდი ჩრდილოეთისაკენ, გადმოელახა არაქსი და ისე შემოსულიყო ანისის საზღვრებში. ეს მარშრუტიც გარკვეული რისკის შემცველი იყო, რადგან, რა გარანტია ჰქონდა არდაველის მმართველს, რომ ხლათის სულთანი ისე გაატარებდა, რომ არ დააბრკოლებდა მის მოძრაობას?! მაშინ უნდა ყოფილიყო შეთანხმება ხლათელებთან, რომ მათ გზა მიეცათ მარბიელი რაზმებისათვის. ასეთი საქციელი ხლათელთა კონფლიქტში მონაწილეობას ნიშნავდა. ორივე შემთხვევაში, ანისის დასარბევად, არდაველის სულთანს მოუწევდა ამ ქვეყნების შიდა რაიონებში შესვლა, ეს კი, მის თავდასხმას მოულოდნელობის ეფექტს დაუკარგავდა.

კირაკოზ განძაკელი აღნიშნავს, რომ არდაველის სულთანმა ნახიჭევანის გარდა, ვალაშკერტის მხარეში ააოხრა ბაგაგანის ეკლესია. სავარაუდოდ, ეკლესია ამ დროს მხარგრძელებს ეკუთვნოდა და ამიტომაც დაარბიეს

ქვეყნებში და კერძოდ, იერუსალიმში, მაგრამ ეს არ ფარავს იმ უარყოფით შედეგს, რაც ამ მარცხმა მოუტანა საქართველოს სამეფოს. გ. ჯაფარიძის დასკვნით, ხლათთან დადებული ოცდაათწლიანი ზავით ქართველებმა შეწყვიტეს ვანის ტბის მიმართულებით შეტევები და გაურკვეველი ვადით გადაიდო ახლოაღმოსავლური პოლიტიკის განხორციელების გეგმა. გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, გვ. 170-173.

სპარსელებმა.²¹ ეს ტერიტორია წლების განმავლობაში სადავო იყო ქართველებსა და ხლათელებს შორის.

საინტერესოა, ვისი მფლობელობის ქვეშ არსებული მიწები დაარბია არდაველის სულთანმა, როდესაც მან ბაგავანის ეკლესია ააოხრა? თუ მისი ლაშქრობა წინ უსწრებდა საქართველო-ხლათს შორის დადებულ ზავს, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ტერიტორიები მანამდე ეკუთვნოდა საქართველოს სამეფოს, რომელსაც აკონტროლებდნენ მხარგრძელები, რაც სრულიად დასაშვებია, რადგან სპარსელები მოაოხრებდნენ ქართველთა ხელში არსებულ მიწებს. ე.ი. არდაველის და სპარსეთზე ლაშქრობის ამბები წინ უსწრებდა ხლათთან კონფლიქტს, რადგან 1210 წლის ზავის შედეგად ბაგავანის ეკლესია, რომელიც ბაგრევანდის თემში, ვალაშკერტის მხარეში მდებარეობდა, ხლათის მმართველების ხელში დარჩა. ეს ლაშქრობა რომ ამ ზავის შემდეგ მომხდარიყო, გამოდის, რომ სპარსელები მიდიოდნენ ორივე მხარესთან კონფლიქტზე, რადგან ნახიჭევანი ქართველთა ყმადნაფიცი იყო და ვალაშკერტის მხარე კი ხლათის აიუბიანებს ეკუთვნოდათ. სავარაუდოდ, სპარსელები ვერ გაბედავდნენ ხლათის ტერიტორიების დარბევას, მოერიდებოდნენ აიუბიანებთან კონფლიქტს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ქრისტიანული ეკლესია და თემი დაარბიეს. ეს იქნებოდა გამოწვევა ხლათის სულთნისა, რაც არავითარ შემთხვევაში არ აწყობდა სპარსელთა მხარეს. ამავე დროს, ისიც ცნობილია, რომ არდაველის მმართველის ამ გამოხდომაზე რეაქცია ჰქონდათ ქართველებს

²¹ ვალაშკერტის სამხრეთით მდებარე ბაგავანის ეკლესიის წარწერა გვამცნობს, რომ ხლათის ლაშქრობიდან მობრუნებულ ზაქარია მხარგრძელს ამ ტაძრისათვის შეუწირავს სოფელი. გ.ჯაფარიძე ფიქრობს, რომ საეჭვოა ეს ტერიტორია ამ დროს ქართველთა საკუთრება ყოფილიყო, რადგან ძნელი დასაშვებია აიუბიანებს 30-წლიანი ზავით დაეთმოთ ეს მხარე, რომელიც უშუალოდ ეკვროდა ვანის ტბის სანაპიროებს. 1210 წელს საქართველოს სამეფომ დაკარგა ბაგრევანდი და ხლათის აიუბიანებთან საზღვარი გადიოდა მდინარე არეზზე. გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, გვ. 171.

და არა აიუბიანებს. წყაროებში არსად ჩანს ხლათის და არდაველის მმართველების დაპირისპირება.²²

ხლათისთვის ბრძოლაში საქართველოს სამეფო განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ, რაც აიუბიანებმა პრეტენზია განაცხადეს შაჰ-არმენების მემკვიდრეობაზე. ჯერ კიდევ 1204-1205 წლებში შაჰ-არმენ მუჰამად ბ. ბეგ-თიმურის დროს ქართველებმა დაიწყეს განუწყვეტელი თავდასხმები ხლათის ჩრდილოეთ ოლქებზე, რაც საბოლოოდ 1206-1207 წლების მიჯნაზე კარის (ყარსის) მხარის შემოერთებით დასრულდა. თუმცა, ქართველთა წინსვლას ვანის ტბის სანაპიროებისაკენ, როგორც გ. ჯაფარიძე ფიქრობს, ხელი შეუშალა 1207 წელს დავით სოსლანის სიკვდილმა. ამით ისარგებლეს აიუბიანებმა და დაეუფლნენ ხლათს. 1207-1208 წლებში, სალაჰ ად-დინის მემკვიდრის ალ-ადილის ძემ ალ-აჰმადმა დაიკავა ხლათი და გარკვეულწილად საფრთხე შეუქმნა ქართველთა პოზიციებს ჩრდილოეთ სომხეთში. აიუბიანები ცდილობდნენ ხორცი შეესხათ სალაჰ ად-დინის ექსპანსიონისტური გეგმებისათვის, რომელიც მიმართული იყო, როგორც საქართველოს, ისე სხვა ქრისტიანული ქვეყნების წინააღმდეგ.²³

სამწუხაროდ, ქართული წყაროები უშუალოდ ამ კონფლიქტის და ზავის შესახებ არაფერს წერენ. თამარის ისტორიკოსს „ისტორიანი და აზმანის“ ავტორს გადმოცემული აქვს 1206 წელს, ქართველთა მიერ კარის (ყარსის) აღების ამბავი, რასაც გამოუწვევია რუმის სულთნის რუქნ ად-დინის რისხვა, რის გამოც მან გაილაშქრა საქართველოზე.²⁴ თამარის მეორე ისტორიკოსს, ბასილი ეზოსმოძ-

²² თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ვარდანი და კირაკოზ განძაკელი ჯერ ქართველთა და ხლათელთა კონფლიქტს აღწერენ (მათ ძირითადი ყურადღება აქ გამახვილებული აქვთ ივანე მხარგრძელის დატყვევების ამბავზე), ხოლო შემდეგ აქვთ გადმოცემული ქართველთა ლაშქრობის ამბები არდაველზე და ჩრდილოეთ სპარსეთზე.

²³ გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, გვ. 159-163.

²⁴ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, გვ. 92.

ღვარსაც აქვს გადმოცემული კარის შემოერთების ისტორია, თუმცა ამ ამბავს იგი რუქნ აღ-დინის დამარცხების შემდგომ მოგვითხრობს.²⁵ როგორც ვხედავთ, ამ ფაქტს ქართველი მემატრიანეები ხლათთან კონფლიქტის ჭრილში არ განიხილავენ. იბნ აღ-ასირი ქართველთა მიერ კარის აღების ამბავს, ჰიჯრით 603 (1206-07) წლით ათარიღებს,²⁶ ასევე ათარიღებს ვარდანი სომხური ერთ – 655 (1206-1207) წლით.²⁷

კარის აღების ისტორია რომ უშუალოდ იყო დაკავშირებული ხლათის აიუბიანებთან კონფლიქტთან, ჩანს იბნ აღ-ასირის გადმოცემით. მისი ცნობით, ჰიჯრით 603 (1206-07 წწ.) წელს ქართველთა მეფემ აიღო ყარსის ციხე, რომელიც ხლათის ოლქში მდებარეობდა. ქართველებს დიდი ხნის განმავლობაში ალყა ჰქონდათ შემორტყმული ციხისათვის და ავიწროებდნენ მას. ქართველები არბევდნენ მის მიმდებარე მხარეებს და უამრავ დაველა-ალაფს იღებდნენ. მიუხედავად ამ ვითარებისა, ხლათის პატრონთაგან მათ დახმარება არავინ არ გაუწია და არ შეუმსუბუქა მძიმე ხვედრი. ციხე-ქალაქის ამირა დახმარებას სთხოვდა ხლათის სულთანს, მაგრამ უშედეგოდ. საბოლოოდ იგი დაუზავდა ქართველებს და ციხის ჩაბარების სანაცვლოდ დიდი რაოდენობის თანხა აიღო.²⁸ კარის დაკავებით ქართვე-

²⁵ მემატრიანის ცნობით, ქართველებს კარის ციხე თამარის მეფობის 23-ე თუ 24-ე წელს მომხდარა. კერძოდ, 1207-1208 წლებში. ბასილი ეზოსმოდვარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ. 1959, გვ. 143-144.

²⁶ გ. ჯაფარიძე იბნ აღასირის და ვარდანის ცნობებზე დაყრდნობით, კარის აღებას 1206 წლის დეკემბრით, ან 1207 წლის იანვრით ათარიღებს. გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, გვ. 162. ივ. ჯავახიშვილი კარის აღებას 1206 წლით ათარიღებს, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 273.

²⁷ ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია, გვ. 156.

²⁸ გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, გვ. 162; Ибн – ал – Асир, Тарих ~ ал ~ Камил

ლებმა მიიღეს სტრატეგიული პლაცდარმი კარნიფორის, ბასიანის, კეჩროლის მიმართულებით, რის შემდეგაც, ქართველებმა აიღეს კარნიფორის, ვანანდის და არაქსის პირის ციხეები.²⁹

1207-1208 წლებში, აიუბიანების ხლათში გაბატონების შემდეგ, საქართველოსა და სალაჰ ად-დინის მემკვიდრეებს შორის კონფლიქტი კიდევ უფრო გაღრმავდა. ქართველები უკვე უშუალოდ ქალაქ ხლათის კედლებთან გამოჩნდნენ. აიუბიანების მიმართველობას ხლათში სერიოზული საფრთხე შეექმნა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ხლათისათვის ბრძოლაში ქართველთა მრავალწლიანი წარმატებული ლაშქრობების სერია, ერთმა ფატალურმა შემთხვევამ ჩაშალა. ივანე მხარგრძელი ტყვედ ჩაუვარდა ხლათელებს მაშინ, როცა ქართველებს ალყა ჰქონდათ შემორტყმული ქალაქისათვის და მისი დამცველთათვის დახმარება არსაიდან ჩანდა. ამის შემდეგ აიუბიანებსა და საქართველოს შორის დაიდო 30 წლიანი ზავი, რომელმაც შეაჩერა ქართველთა წინსვლა სამხრეთის მიმართულებით.³⁰

(Полново свода истории), Материялы по истории Азербайджана (Баку 1940), ст. 131.

²⁹ ლაშა გიორგის-დროინდელი მემბტიანე, „ცხოვრება დიდისა მეფეთ-მეფისა თამარისი“, ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ. 1955, გვ. 368.

³⁰ გ. ჯაფარიძის აზრით, ეს ზავი 1210 წლის ოქტომბერში დაიდო და ძალაში შევიდა იმავე წლის დეკემბერში. მკვლევარი ეყრდნობა არაბ ავტორთა უმრავლესობას, რომლებიც ქართველთა ხლათზე ლაშქრობას 607 (1210) წლით ათარიღებენ. გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, გვ. 167-170. ივ. ჯავახიშვილი ამ ამბავს 1210-1211 წლებით ათარიღებს და ეყრდნობა აბუღლიდას მიერ ივანეს დატყვევების დათარიღებას. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, გვ. 281-282. რ. მეტრეველი კი ამ ამბავს 1210 წლით ათარიღებს. რ. მეტრეველი, საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო არენაზე XII საუკუნის მიწურულსა და XIII საუკუნის დამდეგს, კრებ. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. I, თბ. 1998, გვ. 339.

გ. ჯაფარიძის აზრით, ამ ზავით, ქართველებმა დათმეს არტემი, მანასკერტი და სურმარი. ასევე დაკარგეს ვალაშკერტი, რომელშიც შედიოდა ბაგრევანდის თემი და ამ თემში მდებარე ბაგაგანის ეკლესია.³¹

სავარაუდოდ, არდაველის სულთნის ლაშქრობა წინ უსწრებდა ამ ზავს. ამ შეთანხმებით, ვალაშკერტის მხარე, ბაგაგანის ეკლესიით, ხლათის მხარეს გადაეცა და ეს თავდასხმა ამ ზავის შემდგომ რომ მომხდარიყო, სპარსელთა თავის ქვეყანაში გატარებით, ხლათის სულთანი გარკვეულწილად ამ ამბების მონაწილე ხდებოდა. წყაროებშიც არ ჩანს სპარსელთა და ხლათელთა საერთო სამხედრო კამპანია ქართველთა წინააღმდეგ. ამ საქციელს, ქართველები ზავის დარღვევად ჩათვლიდნენ და, რა თქმა უნდა, პასუხს მოსთხოვდნენ ხლათის მხარეს. წყაროები კი, ქართველთა მხრიდან ხლათის წინააღმდეგ რაიმე ღონისძიებაზე დუმან, რაც იმის დასტურია, რომ მხარეები ზავის პირობებს მტკიცედ იცავდნენ.³²

ჩანს, რომ არდაველის სულთანსა და ქართველებს შორის კონფლიქტი მოხდა 1210 წლამდე, მანამ, სანამ ეს ზავი დაიდებოდა. ამ საკითხის გარშემო საყურადღებო

³¹ გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, გვ. 171; თუმცა, ბ. სილაგაძე აღნიშნავს, რომ ამ ზავით ჩრდილოეთ სომხეთი მანასკერტამდე და ცახკანცის მთებამდე გაიწმინდა სელჩუკებისგან, კერძოდ, ანისის, ტაშირ-ძორაგეთის და სიუნიკის ყოფილი სამეფოები საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შევიდა, ბ. სილაგაძე, XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე, გვ. 124.

³² გავიხსენოთ, მოგვიანებით, 1223 წელს, რუსუდანის მეფობაში, სურმარის პატრონისა და დვინის მფლობელის შალვა ახალციხელის დაპირისპირება, როცა ქართველი სარდალი ტყვედაც კი ჩაუვარდა მოწინააღმდეგეს. ამ ფაქტმა რუსუდანის მძაფრი რეაქცია გამოიწვია და ქართველთა მხარე დაემუქრა ხლათის სულთანს ალ-აშრაფს, რომ კონფლიქტის მოუგვარებლობის შემთხვევაში ომს განაახლებდა. ხლათის სულთანმაც გაითვალისწინა მოსალოდნელი გართულებები და დაუბრუნა ქართველებს ტყვეები.

ცნობები აქვთ დაცული არაბ ავტორებს, იბნ ხალიქანს და იბნ ბატიშს, რომლებიც ქართველთა სპარსეთში ლაშქრობას 1205-1209 წლებით ათარიღებენ.³³

ჩვენი აზრით, სპარსელების თავდასხმა მოხდა საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებზე. ანისზე ლაშქრობა რომ მოულოდნელი ყოფილიყო ქართველებისათვის, არდაველის სულთნის რაზმები უნდა შემოსულიყვნენ უშუალოდ სურმარის საამიროს მხრიდან. ამ მიმართულებით, მათ მოუწევდათ ხლათის სულთნის სამფლობელოებში შესვლა, კერძოდ, უნდა გაეველოთ ჯერ ბაგრევანდის თემი, მერე ეცვალათ მიმართულება ჩრდილოეთისაკენ და გაეველოთ სურმარი. ამის შემდეგ შემოვიდოდნენ ანისის ქვეყანაში. სავარაუდოდ, ასეთი მარშრუტი ექნებოდა გასავლელი არდაველის სულთნის მხედრობას, თუ ისინი ანისისკენ წამოვიდოდნენ. ამ შემთხვევაში, შეიძლება, მართლაც მოულოდნელი ყოფილიყო მტრის შემოსევა, რადგან სურმარის მხარე უშუალოდ ეკვროდა ანისის ქვეყანას. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს არ მოხდებოდა ხლათის სულთნის დასტურის გარეშე. ხლათის ტერიტორიებზე შემოსვლა რომ აეცილებინათ, მაშინ მათ არაქსის ნაპირებით უნდა გაეველოთ ნახიჭევანი, დვინი, გარნისი, გვერდი აეველოთ სურმარისათვის, ჩრდილოეთისაკენ ეცვალათ მიმართულება და ამბერდის გავლით მისულიყვნენ ანისთან. ეს კიდევ უფრო მიიქცევდა ქართველების ყურადღებას. ამ მიმართულებით წამოსული მტერი კარგა ხნის შემოჭრილი იქნებოდა საქართველოს სამეფოს საზღვრებში და ვერავითარ შემთხვევაში მოულოდნელად ვერ გაჩნდებოდა ანისის ალაყაფთან. ამიტომ, ჩვენ ეჭვი გვეპარება

³³ ეს ავტორები გადმოგვცემენ ქართველების მიერ მარანდის დარბევის ფაქტს. იბნ ხალიქანი ამ ამბავს 1205 წ. 18 აგვისტო 1207 წ. 27 ივლისით, ხოლო იბნ-ბატიში 1209 წ. 6 ივლისი 1210 წლის 24 ივნისით ათარიღებს. გ. ჯაფარიძე მათ ცნობებზე დაყრდნობით ქართველების სპარსეთზე ლაშქრობას 1209 წლის შემოდგომით ათარიღებს. გ. ჯაფარიძე, თ. ნატროშვილი, ცდა ერთი თარიღის დადგენისა, ძიებანი, საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში, თბ. 2012, გვ. 188-200.

თამარის ისტორიკოსის, სპარსელების მიერ ანისის დარბევის ცნობის სისწორეში. ვფიქრობთ, რომ სომეხი ისტორიკოსების ცნობები, ნახჭევანის და ბაგრევანდის მხარეების დალაშქერაზე, უფრო სანდოა. ნახჭევანის და ვალაშკერტის მხარეებზე თავდასხმით მათ მოაოხრეს ქართველთა ხელში მყოფი ტერიტორიები. ამით სპარსელებმა, ჯერ ერთი, თავიდან აიცილეს აიუბიანების გამოწვევა, და მეორე, მოულოდნელი თავდასხმით მოარბიეს საზღვრისპირა რეგიონები და სწრაფად გაეცალნენ საქართველოს საზღვრებს.

A. GOGOLADZE

**FOR THE ISSUE OF MILITARY CAMPAIGN
IN PERSIA (ARDABIL)**

Queen Tamar's historian and Arminian historians: Vardan and Kirakos of Gandzak describe Ardabil Sultan's military campaign against Georgia. But the information, they give us about Persians' raids on the towns and regions, differs. According to Tamar's historian Persians ravaged Shirak province and its main town Anis. As for Arminian chroniclers instead of Anis they speak about the destruction of Nakhichevan and Valashkert provinces. The study of the issue showed that the unexpected, sudden appearance of the Ardabil Sultan's troops at the walls of Anis was in fact impossible. In our opinion Persians attacked the regions that were bordering with Georgia, Nakhichevan and Bagrevand community. In those days Bagrevand community belonged to Georgia and this territory was a permanent object of dispute between the kingdom of Georgia and Ayyubids of Khlat. Later, after 1210 according to armistice treaty this province passed into the hands of Ayyubids. If the military operation to Anis was unexpected for Georgians, the troops of Ardabil Sultan should have been trooped exactly from the Surmar Emirate, which was bordering with Anis province. But it should not have

happened without the permission of the ruler of Khlat, as Surmar belonged to Ayyubids. In their turn, Georgians should react on this sudden operation, but historical sources tell us nothing about it while describing these events. To avoid the territories of Khlat, Persians had to march through Nakhichevan, Dvin, Garni, passed by Surmar, changed their direction to the North and passing by Amberd had to come to Anis. On his way the enemy for a long time should have been already within the borders of the kingdom of Georgia and his unexpected appearance at Anis city gate is impossible. That is why we doubt that the information of Tamar's historian is reliable. In our opinion the information of Armenian historians about invasion of Nakhichevan and Bagrevand is more reliable. On the one hand Persians avoided Ayyubids' provocation and on the other hand, with surprise attack raided regions bordering Georgia and after raid immediately left its borders.

dargos eqspedi ci a Sami | i s wi naaRmdeg 1845 wel s
da wyaroTa i nterpretaci a

რუსეთის სამხედრო ეპოპეათა რიცხვში გამორჩეული ადგილი უკავია ომს ჩრდილო-კავკასიაში. 1826-1828 და 1828-1829 წლებში ირანთან და თურქეთთან ომების წარმატებით დასრულების შემდეგ, რუსეთი ჩრდილოკავკასიის საკითხის მოგვარებას ხელის ერთი დაკვრით აპირებდა, მაგრამ ეს ბრძოლა კიდევ 35 წელს გაგრძელდა (1864 წლამდე), რაშიც უზარმაზარი როლი მიუძღვის მთიელი ხალხების უპირობო ლიდერს – იმამ შამილს, რომელმაც, ერთი მხრივ, გამოაგლინა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და თავისუფლებისადმი დაუოკებელი წყურვილი და, მეორე მხრივ, მოახერხა მთიელ მებრძოლთა საერთო განწყობილებად ექცია მტრისადმი აგრესია და სიძულვილი.

შემთხვევითი არ არის, რომ შამილის ამ ბრძოლას არაერთი მონოგრაფია და გამოკვლევა მიეძღვნა, მათ შორის რუსი ავტორების მიერ (Бушуев, 1939; Руковский, 1860; Смирнов, 1963), მაგრამ ჩრდილო-კავკასიელი ხალხების ბრძოლის მიმოხილვა რუსეთის წინააღმდეგ ამჟამად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს, გვინდა შევხერდეთ ამ ომის ერთ კონკრეტულ ეტაპზე, კერძოდ, დარგოს ექსპედიციაზე 1845 წელს, რომელიც რუსულ ოფიციალურ, ქართულ ნარატიულ, ჩეხურ მემუარულ და თვით ამ ლაშქრობის მონაწილის საარქივო მონაცემებში განსხვავებულადაა წარმოდგენილი.

1844 წელს კავკასიაში მეფისნაცვლად და კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდლად დაინიშნა გრაფი მიხეილ ვორონცოვი. მას იმპერატორ ნიკოლოზ I-საგან განუსაზღვრელი უფლებები და რწმუნებანი მიენიჭა. ამ რწმუნებათაგან ერთ-ერთი უმთავრესი, რაღა თქმა უნდა, ჩრდილო-კავკასიაში გაჭიანურებული ომის დასრულება იყო.

ვორონცოვმა მოქნილი რეფორმებით მალევე მოახერხა ქართველი მაღალი სოციალური ფენის გულისმთვება. აკაკი წერეთლის აზრით, გრაფის დროს „ქართველობა თავისუფლად სუნთქავდა. ის იყო მათი სულის ჩამდგმელი! თითქმის

ადმერთებდნენ ვორონცოვს ქართველები და მისი გამოისობით მთელი რუსეთიც უყვარდათ” (წერეთელი, 1961:456).

1845 წლის გაზაფხულზე ვორონცოვმა 25 ათასი კაცი შეკრიბა და შამილის წინააღმდეგ ანდის გავლით დაიძრა დარგოსაკენ.

შემთხვევითი არ არის, რომ რუსული მხედრობის საგულისხმო ნაწილს ქართველები შეადგენდნენ. მხედრობას მეთაურობდა საქართველო-იმერეთის გუბერნიის მარშალი გენერალ-ლეიტენანტი დიმიტრი თამაზის ძე ჯამბაკურ-ორბელიანი ხუთასი კაცით, გორის მაზრიდან ასევე ხუთასი კაცი გამგზავრებულა, თბილისიდან – ქვეითები და ხუთასი ცხენოსანი ქიზიყელი. მილიციას შეადგენდნენ ყაზახ-ბორჩალოელი თათრები. ქართლის, კახეთისა და თბილისის „უეზდებიდან” – ასი თავადაზნაური. გორის „უეზდის” კეთილშობილთა წინამძღოლი ყოფილა ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავი, მისი თანაშემწე კი თავადი – ნიკო ერისთავი, თბილისის „უეზდიდან” ცხენოსანთა ხუთასკაციან მხედრობას თავადი ილია დიმიტრის ძე ორბელიანი ხელმძღვანელობდა. იქვე ყოფილან ივანე და დიმიტრი ციციშვილები, დათიკო და დიმიტრი აბაშიძეები, აზნაურები: ზურაბ ციმაკურიძე, კონსტანტინე ზუბალოვი, ნიკოლა ქარსიძე და სხვები (ხელნაწერთა, №17). ამ სტატისტიკური ცნობების ავტორი – დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი ლაშქრობაში ორ მსახურთან ერთად წასულა (ხელნაწერთა, №18).

ახალგაზრდა მეღვინეთხუცესიშვილის და მისი თანამემამულე ქართველების ლაშქრობაში წასვლის სურვილი ვორონცოვისადმი ერთგულების დამტკიცება ყოფილა, რასაც თვითონვე გამორჩეულად აღნიშნავს: „რათა დაგვემტკიცებინა უერთგულესი სამსახური ჩვენი, ამის გამო მოხალისენი ზოგან ოთხნი, სამნი და ორნი ძმანი, ჩვენ აღვიტურვენით ყოველთა სამხედროს საშუალებითა და შეწევნითა მღვთისათა ვიწყეთ სიარული მხიარულად, ვითარცა ლაშქართ წესიანო” (ხელნაწერთა, №18). მაგრამ მთავარი მიზანი ამ ლაშქრობაში ქართველთა მონაწილეობისა, ყოფილა ის, რომ „აღტაცებულნი მხიარულებით ულოცვიდით ჩვენ ურთიერთთა, ვითარცა წარსვლასა და დაცემას იმით

მტერთა ზედა, რომელთაგან მოოსრებაი ჯერეთცა არ გვაქვს დავიწყებულო“ (ხელნაწერთა, №18).

ვორონცოვი სრულიად დარწმუნებული იყო იმაში, რომ ომს შამილთან ამ ლაშქრობით დაასრულებდა (Мемуары... III:16), ამიტომ ლაშქრობის წამოწყებისთანავე მთელი ჩრდილო-კავკასიის მოსახლეობას მოწოდებით მიმართა: „მონიჭებული ჩემზედ ნდობითა და სრული ძალაუფლებით მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მიერ, უზენაესი სურვილით აღვადგინო წესრიგი თქვენს ქვეყანაში და დაუბრუნოთ სიმშვიდე კავკასიელ ტომებს.

...მრავალწლიანმა გამოცდილებამ თქვენ გაჩვენათ, რომ არა იარაღით ხელში და ჩვენს მიმართ მტრული მოქმედებებით მიიღწევა თქვენი კეთილდღეობა. ამის საწინააღმდეგოდ, თქვენი ქმედებებით საფრთხეში აგდებთ თქვენს ოჯახებს, არღვევთ ჩვენი ქვეყნის სიმშვიდეს¹ და გვაიძულებთ ვიმოქმედოთ თქვენს წინააღმდეგ მთელი სიმკაცრით, რაც თქვენთვის იქნება დამღუპველი.

დადესტინის მცხოვრებლებო, იფიქრეთ თქვენს რთულ მდგომარეობაზე, სადამდე მიგიყვანათ ზოგიერთმა პატივმოყვარე და ცბიერმა ადამიანმა, რომლებმაც ბოროტად გამოიყენეს თქვენი ნდობა და ჩიხში შეგიყვანეს.

თუ თქვენ ყურად არ იღებთ ჩვენს გამაფრთხილებელ მოწოდებას, იძულებულნი გავხდებით ღვთის რისხვა დაგატეხოთ თავს, თუმცა, ჩემთვის უკეთესია, თუ გონიერებას მოუხმობთ და საშუალებას მოგვცემთ მოგანიჭოთ სიკეთე და კეთილდღეობა.

სრული საფუძველი გაქვთ ჩემდამი ნდობის და დარწმუნებული იყავით, რასაც გპირდებით, სრულად იქნება აღსრულებული.

თქვენი რწმენა, ადათები და კანონები, თქვენი ცოლ-შვილი და ქონება, თქვენი მიწები იქნება ხელშეუხებელი.

¹ ხაზგასმა ჩვენია, ამ სიტყვების კონტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ ჯერ კიდევ დამოუკიდებელ ჩრდილო-კავკასიას რუსეთი თავის ნაწილად მიიჩნევდა და მეორეც, საკითხავი იყო, ვინ ვის სიმშვიდეს არღვევდა.

ძალა და დიდსულოვნება რუსეთის იმპერიისა იქნება თქვენი საიმედო მფარველი და კეთილდღეობის გარანტია.

არჩევანი თქვენზეა!” (Акты, 1885:361-362).

1845 წლის მაის-ივნისში ვორონცოვმა განსაკუთრებული წინააღმდეგობისა და მსხვერპლის გარეშე გაიარა ჯურმუხი, ბარტუნაი, კირკის უღელტეხილი, გუმბეტი, მიჩიკალუ, გოგალი და ანდისაკენ გაემართა ბუცურის უღელტეხილით. რუსული ცნობებით, შამილი მოსახლეობას ჰპირდებოდა რომ ბოლომდე დაიცავდა, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, უშიშროების მიზნით ქონება გაეხიზნათ. როგორც კი ეს ბრძანება შესრულდა, ანდიელებმა დაინახეს, როგორ მოედო ცეცხლი მათ სახლებს შამილის მიურიდების მიერ, რამაც ადგილობრივები ალაშფოთა, მაგრამ იძულებულები იყვნენ მშობლიური ადგილები დაეტოვებინათ და გადახვეწილიყვნენ (Акты, 1885:367). ამის შემდეგ, 13 ივნისს, რუსებს ანდის დაკავება აღარ გასჭირვებიათ და გადამწყვეტი იერიშისათვის დაიწყეს მზადება.

ანდის ალებისას ხელჩართულ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოუჩენიათ თავი ქართველ თავადაზნაურთა ასეულს თავად ერისთავის მეთაურობით და ცხენოსანთა „დრუჟინას“ თავად ორბელიანის მეთაურობით (Цагарейшвили, 1953:252).

6 ივლისს რუსული მხედრობა ანდიდან დარგოს გზას დაადგა. ვორონცოვის განკარგულებაში იყო 8 ათასი ქვეითი, 1200 ცხენოსანი და 22 ზარბაზანი. მათ გაიარეს 14 ვერსი დარგოსაკენ და შეჩერდნენ ბუცურის უღელტეხილზე. იქიდან დარგომდე იწეებოდა ღრმა და დაბურული იჩკერიის ტყე და ღრმა ხევი. ვორონცოვამდე ხმა მიიტანეს: „ჩენები იმუქრებიან, რომ ბრძოლა ჯერ კიდევ არ დაგვიწყია და ვიცით რუსებს სად უნდა შევებრძოლოთ” (Акты, 1885:377).

გენერალი ფრეიტაგი, 1845 წლის 5 ივლისს, ბრძოლის წინა დღეს, მართლაც აფრთხილებდა ვორონცოვს: „ამ ტყეში გავლისას თქვენ ისეთ სირთულეებსა და წინააღმდეგობებს შეხვდებით, რომელსაც ვერც კი წარმოიდგენთ

და მალევე დარწმუნდებით, რომ ჩეჩნებმა ბრძოლა იციან, როდესაც ეს საჭიროაო” (Акты, 1885:377).

ვორონცოვმა დარგოს ასაღებად ბელიავესკი ორი ბატალიონით და ორი ქართული „დრუჟინა“ გაგზავნა. ცეცხლმოკიდებულ და გადამწვარ დარგოს რუს-ქართველები დიდი წინააღმდეგობის გარეშე დაეუფლნენ. მეფისნაცვალმა სასწრაფო წერილი აფრინა პეტერბურგში ჩერნიშევთან: „მოგმართავთ თხოვნით, მოახსენოთ მის უმაღლესობას (იგულისხმება ნიკოლოზ I – ი. ა.), რომ მთავარი დასაყრდენი შამილისა – დარგო, რომელიც დიდი წინააღმდეგობის ბუდე იყო და მრავალი რუსის სიცოცხლე შეიწირა, აღებულია 6 ივლისს (იგულისხმება 1845 წელი – ი. ა.) (Акты, 1885:380-381).

თუმცა, დარგოში დიდი ხნით დარჩენა რუსებს არ შეეძლოთ, რადგან სურსათი ჯარს მალე გამოეღია. 10 ივლისს ანდის მხრიდან ვორონცოვის მხედრობისაკენ დაიძრა სურსათით დატვირთული ტრანსპორტი, რომელსაც თავად ბებუთაშვილის ძლიერი რაზმი მოაცილებდა. ვორონცოვი ხვდებოდა, რომ შამილი ბებუთაშვილის რაზმს დარგოს დაბურულ ტყეში უვნებლად არ გაუშვებდა, რათა რუსები შიმშილით გაეწყვიტა, ამიტომ ბებუთაშვილის დასახმარებლად გაგზავნა თავისი მხედრობის ნახევარი გენერალ კლიუგენაუს მეთაურობით, რომლის ავანგარდს შეადგენდა გენერალი პასეკი – მთიელებთან ომში დიდი გამოცდილების მქონე.

პასეკმა თითქმის წინააღმდეგობის გარეშე გაიარა ტყე, რომელიც ვიწრო პატარა ბილიკით ორ ხევს აერთიანებდა. როგორც კი პასეკის რაზმი ხევის მეორე ნაპირზე გადავიდა, ტყეში ჩასაფრებული შამილის მებრძოლები მთელი ძალით ეკვეთნენ გენერალ ვიქტოროვის არიერგარდს. მოლიპულ და საცალფეხო ბილიკზე წესრიგის დაცვა და ორგანიზაცია ფაქტიურად შეუძლებელი იყო, ხელჩართულ ბრძოლაში კი მთის ბილიკებს მიჩვეული მთიელები შეუდარებლნი იყვნენ. როგორც ალ. ყოფშიძე (ფრონელი) წერს, „გაბოროტებულმა და გააფთრებულმა მთიელმა ზედ დაანთხია თავისი ნაღველი გონება-დაბნეულ რუსის მხედრობას” (ფრონელი, 1914:43). ბრძოლაში

დაიღუპნენ გენერალი ვიქტოროვი და პოლკოვნიკი კრივოიშინი. მაგრამ ეს ყველაფერი არ იყო. ხევის მეორე ნაპირზე გადასული პასეკი სურსათის მიღების შემდეგ უკან უნდა დაბრუნებულიყო ძირითად ძალებთან.

ხეობა, სადაც ვიქტოროვის რაზმი შამილის მებრძოლებს შეეწირა, სავსე იყო გახრწნილი გვამებით და შემზარავ სასაკლავოს წარმოადგენდა. პასეკი მიხვდა რომ ხაფანგში გაება, მაგრამ სხვა გამოსავალი აღარ იყო, როგორც კი დანიშნულ ადგილს მიუახლოვდა, მთიელების ცეცხლი მთელი სიძლიავრით ხელახლა გაიხსნა. პასეკის სიმამაცემ რაზმს ვერ უშველა, იგი ტყვეით მოცველილი დაეცა ბრძოლის ველზე და მომდევნო დღეებში მრავალი ძეხნის მიუხედავად, მისმა ჯარისკაცებმა გენერლის გვამიც ვეღარ იპოვეს. ბრძოლას შეეწირა პოლკოვნიკი რონჟევსკი და რაზმის ძირითადი ნაწილი.

კრიტიკულ სიტუაციაში მყოფმა ვორონცოვმა მარცხენა ფრთის მეთაურს გენერალ ფრეიტაგს მიმართა დახმარებისათვის.

13 ივლისს ვორონცოვმა საწყის პოზიციებზე უკან დახევა ბრძანა, მაგრამ რუსების ეს ვიწრო გზა წინააღმდეგობების ხერგილებით აავსო შამილმა და მუდმივი თავდასხმებით სულს უძწარებდა მათ. უკან დახევისას მძიმედ დაიჭრნენ ვორონცოვის რჩეული ოფიცრები: ბენკენდორფი, ბიბიკოვი, ზავალევსკი, თავადი ერისთავი, გეიდენი, ბარონი დელვიგი და სხვები. დაჭრილთა რიცხვმა 1500 კაცს მიაღწია.

ვორონცოვმა მეტად რისკიანი გადაწყვეტილება მიიღო. საკითხი ყოფნა-არყოფნაზე იდგა. მან ხმალი იშიშვლა და თვითონ ჩაუდგა სათავეში იერიშს. ამან საოცარი გარდატეხა იქონია მებრძოლებზე, რომლებიც წინ გადაეფარნენ საყვარელ გენერალს. 19 ივლისს გენერალი ფრეიტაგი ვორონცოვის ჯარის ნარჩენებს შეუერთდა და საფრთხე განეიტრალებულ იქნა, მაგრამ დარგოს ოპერაცია რუსებს მთლიანობაში 3031 ჯარისკაცისა და ოფიცრის სიცოცხლის ფასად დაუჯდათ.

ექსპედიციის მონაწილის – დიმიტრი მეღვინეთხუცესი-სიშვილის სტატისტიკური მონაცემებით, ამ ოპერაციას რუსების მხრიდან შეეწირნენ ბარონი დელვიგი, ორი გენერა-

ლი, სამი შტაბ-ოფიცერი, თოთხმეტი ობერ-ოფიცერი, 540 „საღდათი“, დაჭრეს 32 ობერ ოფიცერი და 740 „საღდათი“, სულ რუსების ზარალი 2 გენერალი, 49 ოფიცერი და 1280 დაღუპული ჯარისკაცი და 3 „გორნის“ ზარბაზანი იყო (ხელნაწერთა, №18).

მისივე გადმოცემით, ტყეში შესულ რუს-ქართველებს წვიმამ მოუსწრო, რამაც გადაადგილება გაართულა, ჩამოწოლილა ბურუსი, რითაც უსარგებლიათ ჩეჩნებს, მოულოდნელად დასხმიან რუსებს თავს და ხელჩართული ბრძოლა გაუმართავთ მათთვის. „შეიქმნა საშინელი ბრძოლა, ბევრგან საღდათები ხმარობდნენ შტიკსა, ან თოფის კონდახს, ისეთი ხელდახელი ჩხუბი იყო ...ხალხი ირეოდა ურიგოდ, ეტანებოდა ხორაგს და იმ არეულობამ კიდევ უფრო დაგვამარცხა, ვის რას გააგონებდით, მიკიტნებს რაც ჰქონდათ ცხენები დაუხოცეს, ხორაგი ეყარა უპატრონოდ, სანამ პატარა ველზე გამოვიდოდით ძალიან გაჭირდა საქმე, საწყალი გენერლები პასეკი, ვიქტოროვი დაგვიხოცეს, იმათთან ბევრი სხვებიცა და სამი ზარბაზანიც იქ დაგვრჩა, საშინელეა იყო იმ ტყეში გამოვლათ“, ამ სიტყვებით გადმოგვცემს საკუთარი თვალით ნანახ-განცდილს მეღვინეთხუცესი შვილი (ხელნაწერთა, №17).

დარგოს ოპერაციის აბსოლუტურად განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვაძლევს რუსული ოფიციალური წყარო. ვორონცოვის გენერალ ჩერნიშევისადმი 1845 წლის 9 ივლისის მიმართვაში ბრძოლის ეს ეპიზოდი შემდეგნაირადაა აღწერილი: „დარგოს დაღმართი, რომელიც იჩკერიას ანდისაგან გამოჰყოფს, დაფარულია უღრანი ტყით, რომელიც 7 ვერსზეა გაშლილი. მხოლოდ ძალების უკიდურესი დამახვით შეიძლებოდა ამ ტყის გავლა, რადგან ყოველ ნაბიჯზე მტერი იყო ჩასაფრებული და ცეცხლს ხსნიდა.

მაგრამ რუსისათვის გადაულახავი წინააღმდეგობა არ არსებობს (ხაზგასმა ჩვენია – ი. ა.). მთელმა მხედრობამ გამოამჟღავნა ახალი მაგალითი სიძნელის დაძლევისა და სიმამაცისა, სწრაფად ეკვეთნენ მტერს და გონს მოსვლა არ აცაღეს, რითაც ზედმეტი სისხლისღვრა აიცილეს თავიდან.

თუმცა, ბრწყინვალე წარმატებას მსხვერპლის გარეშე არ ჩაუვლია, მოკლეს გენერალი ფოკი, პოლკოვნიკი ლევი-

სონი, ლიტვური ბატალიონის მეთაური ზამოსტკალი, მძიმედ დაიჭრა ეგერთა პოლკის პოლკოვნიკი – სემიონოვი და სხვები. სულ დაჭრილ და მოკლულ იქნა 3 შტაბს და 12 ობერ-ოფიცერი. შედარებით დაბალი ჩინის ოფიცერი მოიკლა – 33, დაიჭრა 129; მწყობრიდან გამოვიდა 177 კაცი, თუმცა, მტერმა გაცილებით დიდი ზარალი განიცადა, ბრძოლაში დაიღუპა შამილის არტილერიის უფროსი – სუაიბი, მძიმედ დაიჭრა დიდი ჩეჩნეთის ნაიბი – დუბუ და სხვა მრავალი, ასე რომ მტერი დიდხანს ვეღარ გაბედავს გამოჩენასო” (Акты, 1885:381).

მუსა ფაშა კუნდუხოვი დარგოს ოპერაციის შედეგის შესახებ შემდეგ პოლიტიკურ შეფასებას აკეთებს: „ეს ექსპედიცია იმდენად უიღბლო და წამგებიანი აღმოჩნდა რუსებისათვის, რომ შამილის ავტორიტეტი განუზომლად გაიზარდა და მანამდე დაუმორჩილებელმა და მისმა (შამილის – ი. ა.) მოწინააღმდეგე მთიელებმაც კი შამილის ვაჟი ყაზიმუჰამედი ერთხმად აირჩიეს შამილის მემკვიდრედ და იმამად, მამის გარდაცვალების შემდეგო” (Мемуары, 1936:16).

დარგოს ექსპედიციის შედეგით შამილმა სხვა მხრივაც ისარგებლა. იგი 1846 წელს 10 ათასიანი მხედრობით დიდ ყაბარდოში შეიჭრა და ნალჩიკს შემოადგა, რომელსაც რუსების მცირერიცხოვანი გარნიზონი იცავდა. იმამმა ყოყმანი დაიწყო, რადგან ნაიბების ნაწილის ერთგულების ექვემდებარდა. მას ინფორმაცია ჰქონდა, რომ ვორონცოვი, დარგოს ოპერაციისას განცდილი მარცხის საპასუხოდ „მოურჯულებელი მთიელების“ მიწაზე შესაჭრელად ოთხივე მხრიდან ემზადებოდა, ამიტომ, ნაიბებისა და ხალხის გამოცდის მიზნით, ანდიში მოიწვია ყველა გავლენიანი და პატივსაცემი პიროვნება, თანამდებობის პირი და გამოუცხადა, რომ ათ წელზე მეტი იყო გასული რაც იგი მათ იმამად იყო არჩეული. ამ ხნის განმავლობაში, შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობდა ემსახურა ხალხისათვის და დაეცვა ისინი მტრებისაგან. მისი მცდელობის მიუხედავად, ბრძოლა კიდევ არაერთ წელს გაგრძელდებოდა. ასეთმა თავდაუზოგავმა შრომამ და უძილო ღამეებმა იგი ძალზე დაღალა და შესთავაზა შეკრებილებს აერჩიათ სა-

თანადო ღირსებებით დაჯილდოვებული ახალი იმამი, ხოლო თვითონ რიგითი მებრძოლი გახდებოდა.

შეკრებილებმა ერთხმად უპასუხეს, რომ მათ არ იცოდნენ და არც სურდათ შამილის გარდა სხვა იმამი, რომელიც ხალხის საქმეებს გაუძღვებოდა და თავის მხრივ, მზადყოფნა გამოთქვებს ყველა იმ გადაწყვეტილების შესრულებაზე, რომელსაც შამილი საჭიროდ ჩათვლიდა მუსულმანების დასაცავად (Сборник, III, 1870:6).

ასე რომ ვორონცოვის იმედი, 1845 წელსვე დაემთავრებინა შამილის წინააღმდეგ ომი, არათუ დარგოში დამთავრდა, არამედ კიდევ დიდხანს გაგრძელდა და არაერთი რუსი ჯარისკაცისა და ოფიცრის სიცოცხლე შეიწირა.

ასეთია ერთი კონკრეტული (დარგოს) ბრძოლის შესახებ წყაროთა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია.

I. ALIMBARASHVILI

DARGO EXPEDITION IN 1845 AGAINST SHAMIL AND INTERPRETATION OF SOURSES

The war in the North Caucasus takes one of the most distinguished places among the Russian military epopees. In 1826-1828 and 1828-1829 after the successful completion of the second round of the war with Iran and Turkey, Russia intended to resolve the issue of the North Caucasus in a short period of time but it lasted for another 35 years (until 1864). Imam Shamil, the mountain peoples' unconditional leader played a huge role throughout this period. He managed to make tremendous love for the motherland and fierce thirst for freedom on the one hand, and hatred and aggression against the enemy on the other hand become the mountain warriors' general feeling.

The article concerns one particular phase of this war, namely, the expedition in Dargo in 1845. The expedition is described in different ways in the Russian official, the Georgian narrative, and the Chechnya memoir and even in the participants' archival data.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ფრონელი ალექსანდრე, მთის არწივი შამილი, ტფ., 1914.
2. წერეთელი აკაკი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIV, გ. აბზიანიძის რედ., თბ., 1961.
3. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დიმიტრი მელვინეთსუცესიშვილის პირადი არქივი, №30; QD-986; საბ. №17, 18.
4. Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею, т. X. ч. II, Тифл., 1885.
5. Бушуев С. К. Борьба горцев за независимость под руководством Шамиля, М.-Л, 1939.
6. Руковский А. Записки о Шамиле, СПб., 1860.
7. Смирнов Н. А. Мюридизм на Кавказе, М., 1963.
8. Мемуары ген. Муса-Паши Кундухова (1837-1865), Кавказ (Le Caucase) 1936-37 гг. Париж, сетевая версия.
9. „Низам Шамиля“; Сборник сведений о кавказских горцах, вып. III, Тифл., 1870.
10. Шамиль – ставленник султанской турции и английских колонизаторов, сборник документальных материалов, под ред. Ш. Цагарейшвили, Тб., 1953.

XX saukuni s I meoTxedi s ucnob i dokumentebi i vane j avaxi Svi I i s cxovrebi s Sesaxeb

1921 წლიდან, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ქვეყანა საშინელმა რეპრესიებმა მოიცვა. ბოლშევიკებმა დევნა გამოუცხადეს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე ადამიანებს. ეს გამოიხატებოდა, როგორც საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევით [2; 49], ასევე „ხალხის მტრად“ შერაცხული ადამიანების გადასახლებით, ან ფიზიკური ლიკვიდაციით. გადასახლების საფუძველი ხშირად სოფლის კრების მიერ გამოტანილი განაჩენი ხდებოდა [2; 43]. ბოლშევიკური ტერორი განსაკუთრებით თავად-აზნაურებს დაატყდათ. წარჩინებულ საგვარეულოთა წარმომადგენლები საზოგადოებისათვის მავნე პირებად იყვნენ მიჩნეულნი. ამ პერიოდის დოკუმენტებში, რომლებიც რეპრესირებულ თავად-აზნაურებს ეხება, ქონებაჩამორთმეული ადამიანების დასჯის მთავარ მიზეზად აღნიშნულია: „როგორც თავადი და დაუძინებელი მტერი მშრომელებისა“, „როგორც თავადი და ხალხის მოუსვენარი მტერი და არა მუშა,“ ან „მსხვილი მემამულე და ხალხის მტერი და თვით არა მუშა“.

საზოგადოებისათვის საშიშ ელემენტებად გამოცხადებულ ადამიანებს ართმევდნენ მიწას, საცხოვრებელ სახლს, უძრავ-მოძრავ ქონებას, პირუტყვს. გორის რაიონულ არქივში დაცული დოკუმენტები ნათელ წარმოდგენას ქმნის იმ მძიმე რეალობის შესახებ, რაც გასაბჭოების შემდეგ დაატყდა შიდა ქართლის სხვადასხვა თემში მცხოვრებ, როგორც წარჩინებულ საგვარეულოთა წარმომადგენლებს, ისე შექმნილ მოქალაქეთა ოჯახებს. ბოლშევიკურმა ტერორმა ქართული საზოგადოება საშინელი წინეხის ქვეშ მოაქცია. იმ დოკუმენტებს შორის, რომელიც თავად-აზნაურთა ქონების ჩამორთმევას ეხება, ძალზე საინტერესო მასალებია ახალქალაქის თემის (დღევანდელი კასპის რაიონის) მემამულეთა ქონების კონფისკაციის შესახებ. დოკუმენტების ქრონოლოგია გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ თავად-აზნაურთა დევნა, მათი ქონების

სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა ცენტრალური ხელისუფლების მითითებით ადგილობრივი რაიადმასკომების მთავარ ამოცანად იყო ქცეული. ბოლშევიკებმა ახალქალაქის თემში ათობით ოჯახს ჩამოართვეს უძრავ-მოძრავი ქონება და ყოველგვარი პირობის გარეშე სახელმწიფოს გადასცეს. მაგალითად, 1923 წლის 3 მარტის კრებაზე ახალქალაქის თემში სახლი ჩამოართვეს ლიზა თარხნიშვილს. მისი საცხოვრებელი ხელოვნების ნიმუშად მიიჩნიეს და იმ მოტივით, რომ თარხნიშვილების სასახლე არ დანგრეულიყო, სახლის მოვლა სახელმწიფომ ითავა. სასახლის მეპატრონისათვის საცხოვრებელში ერთი ოთახი გამოჰყვეს, რათა შენობისათვის ყურადღება მიექცია. თუმცა, მას შენობის მესაკუთრის უფლება აღარ ჰქონდა [5; 22]. პარადოქსია, რომ ჩამორთმეული ქონებას ბოლშევიკები ხშირად იჯარით გასცემდნენ ყოფილ მეპატრონეებზე [5; 68]. ამავე კრებაზე ჩამოერთვათ საცხოვრებელი სახლი მაკინე და პეტრე წერეთლებს. მათი ქონება ახალქალაქის თემის აღმასკომის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით თემის განკარგულებაში გადავიდა [5; 23]. ასეთივე გადაწყვეტილება იქნა მიღებული გურამიშვილების სახლზე [5; 54]. საცხოვრებელი ჩამოართვეს გოგლიკა თარხნიშვილს და მის ძმებს. მათი სახლი რაიადმასკომის გადაწყვეტილებით ასევე თემს გადაეცა [4; 55]. ახალქალაქის თემის აღმასკომის პრეზიდიუმმა სახლი და ორთვადიანი წისქვილი ჩამოართვა ყოფილ პოლკოვნიკს -- ესტატე დიმიტრის ძე თარხან-მოურავს, ხოლო მცირე ხნის შემდეგ მას წისქვილი უკან დაუბრუნეს. დაბრუნების მიზეზად დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ესტატე თარხან-მოურავს წისქვილი საბჭოთა პერიოდში ჰქონდა აშენებული. სოფელ დოესში საცხოვრებელი სახლი ჩამოართვეს რევაზ ერისთავს და ამავე სოფლის სკოლას გადაეცა [5; 57]. ახალქალაქის თემის აღმასკომმა 1923 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით ქონება ჩამოართვა გიგო ჯავახიშვილს. დოკუმენტში ვკითხულობთ: „მოისმინეს: ხოვლის რევ. მიწკომის მიერ წარმოდგენილი ოქმი გიგო ჯავახიშვილის სახლის, წისქვილების და როიალის ჩამორთმევის შესახებ. დაადგინეს: ხოვლეში მცხ. გიგო ჯავახიშვილზე ხოვლის რევ. მიწკომის ოქმის განხილვის

შემდეგ პრეზიდენტმა დაადგინა: ჩამორთვას სახლი ხოვლის უღარბეს გლეხთა, ანუ დაწესებულებათა საჭიროებისათვის დატოვებით მის საცხოვრებლად 2-ოთახითა და სამზარეულოთი. ჩამორთვას აგრეთვე და გადაეცეს ადმასკომის განკარგულებაში როიალი და წისკვილებიც მდებარე ს. ჭყოპიანში და ზემო ხანდაკში ადმასკომის ადგილობრივ შემოსავლის გასაძლიერებლად [5; 61].

ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ასეთივე განაჩენი გამოუტანა ქართული საისტორიო მეცნიერების ფუძემდებლის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის ოჯახს. ახალქალაქის თემის ადმასკომმა 1923 წლის 3 მარტს ივანე ჯავახიშვილს სოფელ ხოვლეში საცხოვრებელი სახლი ჩამოართვა. ადმასკომის პრეზიდენტის სხდომის ოქმის ამონაწერში ვკითხულობთ: „ამონაწერი ახალქალაქის თემის ადმასკომის პრეზიდენტის ოქმიდან 1923 წ. 3 მარტის კრებისა. ივანე და გიორგი ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილის სახლის ჩამორთმევის შესახებ. მოისმინეს: ხოვლის სასწავლებლის შენობა, რომელიც ეკუთვნოდა ივანე და გიორგი ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილებს, რომელი შენობაც გამოირკვა, რომ სოფ. ხოვლისათვის დიდ საჭიროებას წარმოადგენს, დაადგინეს: ჩამორთმეული იქნას ჯავახიშვილების სახლი და გადაეცეს ხოვლის სასწავლებელს ადმასკომის განკარგულებაში.” დოკუმენტს ხელს აწერს ადმასკომის თავმჯდომარე ჩიტიაშვილი და მდივანი მეზურნოვი. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, კრება, რომელზეც ივანე ჯავახიშვილის სახლის ჩამორთმევის გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ჩატარდა 1923 წლის 3 მარტს, ხოლო კრების ოქმის ამონაწერი შედგენილია 1924 წლის 15 აპრილს [5; 21].

დოკუმენტიდან არ ჩანს, ვინ ადასრულა ახალქალაქის თემის ადმასკომის 1923 წლის 3 მარტის გადაწყვეტილება, მაგრამ როგორც სხვა დოკუმენტებიდან ირკვევა, ადგილობრივი აქტივისტებისაგან იქმნებოდა სპეციალური კომისია, რომელსაც ჩამორთმეული ქონების შესახებ აქტიუნდა შეედგინა. ეს პროცესი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ერთ-ერთ დოკუმენტის მეშვეობით, რომელიც ეხება გარიყულაზე მცხოვრებ მიხეილ ნიკოლოზის ძე თარხნიშვილის

სახლის და ქონების ჩამორთმევას, საიდანაც ჩანს, რომ ქონების კონფისკაციის კომისიაში შედიოდნენ: ახალქალაქის თემის აღმასკომის თავმჯდომარე ი. ჩიტიაშვილი (სწორედ ის პიროვნება რომლის გადაწყვეტილებითაც ჩამორთვეს სახლი ივ. ჯავახიშვილს), ასევე თემკომის ინსტრუქტორი ამხ. არშაკუნი, ცენტრიდან გამოგზავნილი მიწის რეფორმის რწმუნებული ამხ. გოგინაშვილი და მილიციის უფროსი ბარამიძე. აღნიშნულმა კომისიამ მიხეილ თარხნიშვილს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, თავისივე სახლში საცხოვრებლად ორი მცირე ოთახი გადასცა [5; 58].

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც ახალქალაქის თემში ქონებაჩამორთმეული მემამულეების ნუსხაა, დასახელებულნი არიან ივანე და გიორგი ჯავახიშვილები, რომელთაც აღმასკომის 1923 წლის მარტის №14 გადაწყვეტილებით საცხოვრებელი სახლი ჩამორთვათ. შენიშვნაში აღნიშნულია, რომ მათი სახლი დანგრეული იყო. იმისათვის, რომ ჯავახიშვილების საცხოვრებლის ჩამორთმევა და სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა გამართლებული ყოფილიყო, იგი დანგრეულად მიიჩნიეს. თუ რატომ, ამის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ერთ-ერთ დოკუმენტი: „ინსტრუქცია შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებისა შენობის უთადარიგოთ შენახვის გამორკვევის წესისათვის და ამ საფუძვლით შენობის მუნიციპალიზაციისათვის“. დოკუმენტში ვკითხულობთ: „თანახმად საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. ივნისის 11 გამოცემული და ივნისის 15 გამოქვეყნებული „კომუნისტი №125“ დეკრეტის და სამოქალაქო სამართლის კოდექსის 59 მუხ. შენიშვნისა. შენობათა მუნიციპალიზაცია, როგორც საერთო ღონისძიება 1923 წ. ივნისის 15 შემდეგ არ შეიძლება. შენობის მუნიციპალიზაცია, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. სექტემბრის 26-ის საცხოვრებელი სადგომების შესახებ გამოცემული დეკრეტის ძალით, შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის და თანახმად რეკვიზიციისათვის

მიღებული წესდებისა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69 და 70 მუხლის დანართი, სახელმწიფოებრივი საჭიროება კი მოითხოვს, რომ საცხოვრებელი სადგომი წესიერად ინახებოდეს, არ ინგრეოდეს, რათა ამით საბინაო კრიზისი უფრო არ გამწვავდეს. ამიტომაც შენობის უთადარიგო შენახვა, რასაც თანა სდევს შენობის დანგრევა, შეიძლება საბაზად და საფუძვლად მისი მუნიციპალიზაციისათვის. მაგრამ უთადარიგო შენახული სახლის სამუნიციპალიზაციოთ წარდგენა დიდი სიფრთხილით უნდა მოხდეს. აქ უნდა დაცულ იქმნეს გარანტია იმისა, რომ მუნიციპალიზაცია საფუძვლიანი და მიზანშეწონილია. უკეთუ სატეხნიკო-საკონტროლო აპარატი აღმოაჩენს სახლის უთადარიგო გამგეობას, რის გამოც სახლი ინგრევა, უნდა შესდგეს აქტი, სადაც აღინიშნება, თუ სახლს რა აქვს დანგრეული, აქტი უნდა შეადგინოს სატეხნიკო-საკანტროლო ზედამხედველობამ, აქტის შედგენა უნდა ეცნობოს სახლის პატრონს და მოხდეს მისი თანდასწრებით, უკეთუ იგი გამოცხადდება. ამ დათვალიერების აქტის ძალით კომუნალური განყოფილება გაუუზავნის სახლის პატრონს წერილობით განცხადებას, რომ საჭიროა სახლი ისეთ მდგომარეობაში იქმნეს მოყვანილი, რომ იქ შეიძლებოდეს ცხოვრება, რისთვისაც იმის და მიხედვით, თუ რა მდგომარეობაშია სახლი და რამდენი დრო დასჭირდება მის შეკეთებას, სახლის პატრონს მიეცემა განსაზღვრული ვადა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა უმეტეს ერთი წლისა, გაფრთხილებით, რომ თუ სახლი შეკეთებული არ იქნება. იგი როგორც უთადარიგო შენახული, წარდგენილ იქმნება მუნიციპალიზაციისათვის.

დოკუმენტზე, რომელიც 1924 წლის 21 თებერვალს არის შედგენილი ხელს აწერენ იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილე კ. ოკუჯავა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ტალახაძე [5; 82].

სოფელ ხოვლეში არსებული ივანე ჯავახიშვილის საცხოვრებელი, როგორც აღინიშნა, ბოლშევიკებმა დანგრეულ შენობად მიიჩნიეს, რათა მისი მუნიციპალიზაცია მოეხდინათ. ზემოთ წარმოდგენილი ორი დოკუმენტი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. თუ ახალქალაქის რაიადმასკომის პრეზიდიუმის დადგენილების ოქმში ნათლად ჩანს,

რომ ივანე ჯავახიშვილის სახლი სოფლისათვის „დიდ საჭიროებას“ წარმოადგენდა და ის ხოვლეს სასწავლებელს უნდა გადასცემოდა, მეორე დოკუმენტში ჯავახიშვილების სახლი დანგრეულად არის მიჩნეული. ჩვენი აზრით, მეორე დოკუმენტი არასწორ ინფორმაციას შეიცავს, რადგან ივანე ჯავახიშვილის სახლი რომ დანგრეული ყოფილიყო, ის არც სოფლისთვის იქნებოდა საჭირო და არც სასწავლებელს გამოადგებოდა. დოკუმენტში ჯავახიშვილების სახლის დანგრევის შესახებ ბოლშევიკებმა შეგნებულად მიუთითეს, რათა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციიდან გამომდინარე, მისი მუნიციპალიზაცია გადავიღებულეულიყო. არსებობს კიდევ ერთი დოკუმენტი, საიდანაც ჩანს, რომ ჯავახიშვილების საცხოვრებელი სახლი ხელისუფლებამ ხოვლეს სკოლას გადასცა. დოკუმენტს აწერია: „გორის რაიადმასკომების გამგებლობაში მყოფი როგორც სახელმწიფო, ისე ჩამორთმეული ყველა ქონება“. აღნიშნულ საბუთში დასახელებულია ხოვლეში მცხოვრები ჯავახიშვილი გიორგი (ივ. ჯავახიშვილის უმცროსი ძმა), რომელსაც მიწის რეკომის №14 გადაწყვეტილებით ჩამოერთვა სახლი (სწორედ ის საცხოვრებელი, რომელსაც ეხება ზემოთ ნახსენები ორი დოკუმენტი), 2 წისქვილი, ვერმორელის აპარატი – 1 ცალი. დოკუმენტს ახლავს შენიშვნები, სადაც აღნიშნულია, რომ ჯავახიშვილების საცხოვრებელი გადაეცა ხოვლეს სკოლას [6; 9]. დოკუმენტი თარიღდება 1924 წლით.

ზემოთ წარმოდგენილი საარქივო მასალის გარდა, ჩვენს ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი დოკუმენტი, საიდანაც ირკვევა, რომ ჯავახიშვილების ქონების ჩამორთმევა ჯერ კიდევ ქვეყნის გასაბჭოებამდე მოხდა. როგორც ჩანს, სახლი ივანე ჯავახიშვილს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს ჩამოართვეს მენშევიკებმა. ამას ადასტურებს 1922 წელს შედგენილი დოკუმენტი, კერძოდ, „გორის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი“. დოკუმენტი შედგენილია 12 სექტემბერს. გორის სამაზრო აღმასკომს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან განსახილველად გადაეგზავნა საკითხი: „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტე-

ტის რექტორის პროფესორ ჯავახიშვილის სახლის დაბრუნების შესახებ.” სამაზრო აღმასკომის პრეზიდენტის სხდომას დაესწრნენ: მოწონელიძე, გორგაძე, ქურდაძე, ბუხნიკაშვილი, იანოვიჩი, ყანჩელი. სხდომის თავმჯდომარე იყო მოწონელიძე, ხოლო მდივანი – გრ. ყანჩელი. დადგენილებაში ვკითხულობთ: „დაადგინეს: ვინაიდან პროფესორ ივანე ჯავახიშვილის სახლი ჯერ კიდევ ყოფილ მენშევიკების მთავრობის მიერ ყოფილა რეკვიზიციით ჩამორთმეული და მის უკან დაბრუნებით ადგილობრივ გლეხებს შორის გამოიწვევს დიდ აურზაურს და უკმაყოფილებას და მესამე სახლში მთავსებუღია შრომის სკოლა და მისი დახურვა შეუძლებელია, რადგან სხვა შესაფერისი შენობა სკოლისათვის სოფ. ხოვლეში არ მოიპოვება, ამიტომ სახლის დაბრუნებაზე უარი ეთქვას” [7; 47-49].

მენშევიკური ხელისუფლების მიერ ხოვლეში მცხოვრები ჯავახიშვილებისათვის ქონების ჩამორთმევა სხვა წყაროებითაც დასტურდება. ამ მხრივ, ძალზე საყურადღებო ცნობებს გვაწვდის თავის მოგონებებში ივანე ჯავახიშვილის ბიძაშვილი, ცნობილი პედაგოგი ქეთევან ჯავახიშვილი, იგი წერს: „ჩემი ნატვრა ეხლა ის არის, რომ მოვესწრო ჩემ სოფ. ხოვლეს გაუმჯობესებას. ზემოთაც გწერ ბევრი სოფლები გვქონდა, მაგრამ ისე როგორც ნიკოლოზმა გაანადგურა სოფ. ხოვლე და იმდენი მსხვერპლი, რაც სოფ. ხოვლემ გაიღო, არა სოფელი ისე არ დაზარალებულა. მენშევიკებმა ხომ რაც მეფის მთავრობამ და ნიკოლოზმა დააკლო, იმათ შეამსეს. მთლად გაანადგურეს და ბევრი ახალგაზრდა გამოასალმეს წუთისოფელს... მენშევიკების მთავრობამ მომცეს ნორმაში ჩემი საკუთარი სახლი ორსართულიანი 14 თვალი ოთახი და სახლის გასწვრივ იყო სარდაფი ქვევრებით. ეს სახლი იყო სოფ. ხოვლეში. ეხო ჰქონდა ორი დესეტინა, წნული ღობე ჰქონდა შემოზღუდული. შიგ წყარო იყო. მე მადლობა გადაუხადე და უთხარი: „სად შემიძლია ამოდენა შენობას მოუვარო. მე ვითხოვ რომ ჩემ სოფელს არც სკოლისათვის აქვს შენობა და არც საავადმყოფოსთვის. და აი გთხოვთ ჩემ სოფელს მისცეთ ეს შენობა. მე ქ. გორში ვარ მასწავლებლად. სახლიც მაქვს და კარიც. დიდი აღტაცებით შეხვდნენ ამ ჩემ

თხოვნას. მითხრეს: ”შენ ყოველთვის იყავი ხალხისთვის და უსათუოდ ავასრულებთ შენ თხოვნას. შენც მანამ ცოცხალი ხარ ოთახი გექნება და თუ გინდა მასწავლებლის ადგილსაც მოგცემთ. მაგრამ მოხდა უბედურობა. მიწისძვრამ დაანგრია ქ. გორი და გორის რაიონის სოფლებიც. დაუზიანებლად არც სოფ. ხოვლე გადარჩა. მე გავედი სოფ. ხოვლეში, ვნახე ჩემი სახლი. იყო უვნებლად, ცოტა ზემოდ სართულში აღმოსავლეთისკენ კედელი იყო ცოტა მოშორებული კარნისს, მაგრამ მშვენივრად შეკეთდებოდა. მენშევიკებს განა ჰქონდათ გაკეთების უნარი? მიჰყვეს ხელი ზემო სართული მოხსნეს და ის მასალა უნდოდათ სოფ. დოესში ჩასატანად. ხოვლელებმა არ დაანებეს უთხრეს: „ქეთომ ჩვენ მოგვცა ეგ სახლიო“, დაყარეს ეს მასალაც და ქვემო სართულის ოთახებიც. ასე მოაბნიეს ეს ქონება. ქვემო სართულში დასახლდნენ ორი ღარიბი ოჯახი, რომელთაც არ ჰქონდათ სახლი. დანარჩენი მასალა სოფელმა გაინაწილა, ვისაც რა ესაჭიროებოდა [8; 31].

როგორც ზემოთ მივუთითებდით, ბოლშევიკებმა ივანე და გიორგი ჯავახიშვილებს სახლი 1923 წლის 3 მარტს ჩამოართვეს, რაც შესაბამისი ოქმის ამონაწერით დასტურდება. ჩვენი აზრით, ივანე ჯავახიშვილს საცხოვრებელი ორჯერ წაართვეს. სახლის რეკვიზიცია ჯერ მენშევიკებმა განახორციელეს. რაკი ქეთევან ჯავახიშვილის სახლში სკოლა აღარ განთავსდა, ხელისუფლებამ ხოვლეს სასწავლებელი ივანე ჯავახიშვილის სახლში განათავსა. სავარაუდოა, რომ ივანე ჯავახიშვილს მენშევიკებისათვის სახლის დაბრუნების შესახებ თხოვნით არ მიუმართავს, ან თუ მიმართა, (რომლის ამსახველი დოკუმენტი ჯერ ხელთ არ გვაქვს), ხელისუფლებამ უარი განუცხადა ქონების დაბრუნებაზე. ამის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ 1922 წლამდე მისი სახლი უკვე სახელმწიფოს ჰქონდა დასაკუთრებული. რის შემდეგ ჯავახიშვილებს თხოვნით უკვე ბოლშევიკური ხელისუფლებისთვის მიუმართავთ, თუმცა უშედეგოდ. სავარაუდოდ, ივანე ჯავახიშვილმა კვლავ მიმართა ხელისუფლებას თხოვნით და საცხოვრებელი დაიბრუნა, მაგრამ მალე (1923 წ. 3 მარტს) ისევ ჩამოერთვა. ივ. ჯავახიშვილის ცხოვრების და შემოქმედების მკვლევა-

რი ს. ჯორბენაძე, იმ პერიოდში არსებული პოლიტიკური კონიუქტურის პირობებიდან გამომდინარე, გვერდს უვლის იმ წნეხზე საუბარს, სადაც დიდ მეცნიერს უხდებოდა მოღვაწეობა. ს. ჯორბენაძე წერს: „საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში ვ. ი. ლენინის პირდაპირი მითითებით ასორციელებდა ფრთხილ, ფაქიზ დამოკიდებულებას ქართველი ინტელიგენციისადმი და, გასაგებია, მისი ყველაზე დიდი კერის – თბილისის უნივერსიტეტისადმი” [4; 276].

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ივ. ჯავახიშვილი შეხვდა მთავრობის წარმომადგენლებს და როგორც ს. ჯორბენაძე აღნიშნავს, ხელისუფლებისაგან გარკვეული გარანტიები მიიღო. მამია ორახელაშვილმა ივ. ჯავახიშვილს სრული ხელშეუხებლობა აღუთქვა [4; 276]. თუმცა, ხელისუფლებასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთობა მალე შეიცვალა. ს. ჯორბენაძე ურთიერთობის დაძაბვის მიზეზად განათლების სახალხო კომისარიატის მიერ წამოწყებულ რეფორმას მიიჩნევს, რაც უმაღლესი სასწავლებლების მოწყობის თვალსაზრისით ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებებს ეწინააღმდეგებოდა. სწორედ ეს გახდა იმის საფუძველი, რომ ივანე ჯავახიშვილმა 1923 წლის 26 იანვარს რექტორის თანამდებობა დატოვა. თუმცა, უნივერსიტეტის პროფესორის დიდი მონდომებით და განათლების სახალხო კომისრის დ. კანდელაკის ჩარევის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი 1923 წლის 30 მარტს კვლავ რექტორი გახდა. ივანე ჯავახიშვილის პროტესტი მარტოდენ განათლების სისტემაში დაწყებული რეფორმით არ იყო განპირობებული. ბოლშევიკური ხელისუფლება დაუფარავად დევნიდა მეცნიერს, რისი საფუძველიც დიდი მამულიშვილის მკაფიოდ გამოხატული ეროვნული პოზიცია და შეუვალი პრინციპები იყო. სახალხო განათლების კომისრის თხოვნა ივანესადმი დათანხმებულიყო რექტორად არჩევას, განპირობებული იყო ქართველი ინტელიგენციის განწყობით. ხელისუფლება მოერიდა უნივერსიტეტში თავმოყრილი ინტელექტუალური ელიტის წინააღმდეგ ღია მოქმედებას, ეს კომპრომისი გარკვეული ტაქტიკით იყო ნაკარნახევი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ივანე ჯავახიშვილის სახლის ჩამორთმევის შემდეგ, ბოლშე-

ვიკებმა არც მისი უახლოესი ნათესავი მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი დაინდეს. საზოგადოებისათვის ცნობილია, ივანე ჯავახიშვილის მეუღლის მამიდის მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ურთიერთობა ივანესთან. მარიამს დიდი დედაწლი მიუძღოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე [4; 260]. მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმირების მოლოდინში მყოფი ივანე ჯავახიშვილი მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს წერდა: „მოგილოცავთ ნიკოლოზის დამხობას. ნეტავი საბოლოო და მკვიდრი გამოდგეს ეს რევოლუცია“ [4; 184]. თუმცა, დიდი მეცნიერის მოლოდინი არ გამართლდა, თებერვლის რევოლუციას მალე ოქტომბრის „რევოლუცია“ მოჰყვა და საქართველოს ბოლშევიკური ტერორის ჩრდილი წამოადგა, რამაც მცირე ხანში წერტილი დაუსვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობას.

გორის რაიონულ არქივში დაცულია დოკუმენტი: „სია იმ ავეჯეულობისა, რომელიც ჩამორთმეული აქვს ს. ლამის-ყანაში მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს.“ ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ორბელიანების ცნობილ ოჯახში საყოფაცხოვრებო ნივთებიც კი არ დატოვეს, სულ დასახელებულია 193 ნივთი” [5; 101-102]. ავეჯის გარდა, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს ჩამოერთვა 22 ოთახი და 2 წისქვილი, რომელიც რაიაღმასკომს გადაეცა [5; 16].

ივ. ჯავახიშვილის დევნა ამით არ დასრულებულა. ბოლშევიკები მასთან ერთად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწე სხვა ქართველ მეცნიერებსაც დევნიდნენ. ამას ასახავს 1924 წელს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული სტატიის ავტორის (რომელიც „ჩვენის“ ფსევდონიმით წერდა) სიტყვები: „დროა საქართველოს სახ. განათლების კომისარიატმა დაანახვოს პროფესორებს, რომ ჩვენში, საქართველოში რევოლუციონურ მუშათა და არა დახავსებულ პროფესორების დიქტატურაა“ [3; 171].

დიდი მეცნიერის წინააღმდეგ ბოლშევიკურმა ხელისუფლების მიერ წამოწყებულმა კამპანიამ პიკს 30-იან წლებში მიაღწია [1; 127-148]. სწორედ ამ დროს მიმდინარეობდა ივ. ჯავახიშვილის „მხილება“, რასაც მისი უნივერსიტეტიდან გაძევება მოჰყვა.

წარმოდგენილი მასალები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის XX საუკუნის I მეოთხედში ჩვენს ქვეყანაში დატრიალებული პოლიტიკური რეპრესიების შესახებ, რამაც ესოდენ დიდი დარტყმა მიაყენა ქართულ საზოგადოებას. მიუხედავად იმისა, რომ ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა უმძიმეს წლებს დაემთხვა. მამულისათვის დამაშვრალმა მეცნიერმა თავისი ცხოვრება სამშობლოს სამსხვერპლოზე მიიტანა.

G. SOSIASHVILI

**SOME UNKNOWN DOCUMENTS ABOUT THE LIFE
OF IVANE JAVAKHISHVILI IN THE 1ST QUARTER
OF THE XXTH CENTURY**

Georgia had been the subject to repression since the 25th of February in 1921 after its occupation. The Bolsheviks started persecuting of the people having different political opinions. Repressions were especially severe towards the people belonging to noble families. The great Georgian historian Ivane Javakhishvili could not avoid of the Bolsheviks' terror as well. Certain documents protected at Gori Region Archive confirm that the own house of the founder of Tbilisi State University was given to the school in the village of Khovle.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გურული ვ., ივანე ჯავახიშვილის, უნივერსიტეტისა და საქართველოს ტრაველია 1930-1936 (დოკუმენტები და მასალები), კრებულში: „პოეტური სულის მეცნიერი, გიორგი ნადირაძე 80“, თბ., 2012.
2. სოსიაშვილი ვ., დივის ისტორია, თბ., 2011.

3. ფუტყარაძე ტ., ვაშაკიძე ი., ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა 1917-1935 წლებში, თბ., 2011.
4. ჯორბენაძე ს., ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984.
5. გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი №3; საქ. №25, აღწერა №1.
6. გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი №3; საქ. №101. აღწერა №1.
7. გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი № 3; ანაწერი 1, არქივი 12; ოქმი № 29.
8. გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, № 7555, რეგული 2.

dimitri uznaZe, rogorc istorikosi

აკად. დიმიტრი უზნაძე (1886-1950) იყო უაღრესად ერუდირებული, ფართო დიაპაზონის მეცნიერი. მისი სახელი, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის და ქართული ფსიქოლოგიური სკოლის პატრიარქისა, ოქროს ასოებით ჩაიწერა ჩვენი სამშობლოს ისტორიაში. ის იყო ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი, აღიარებული თავკაცი, პატრიარქი, რომლის მეცნიერულ ავტორიტეტს აღიარებდნენ არამხოლოდ ჩვენში, არამედ საზღვარგარეთ. მას სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, ესეც იკმარებდა, მაგრამ მისი ღვაწლი ქართული მეცნიერების წინაშე კიდევ უფრო დიდია. მან თავისი კვალი დატოვა ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში, პედაგოგიაში, ისტორიულ მეცნიერებაში. ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე აკად. დიმიტრი უზნაძის დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ მან აქტიური მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ისტორიაში პირველი ქართული, ეროვნული, სახელმძღვანელოების შექმნაში. ამით ერთი კარგი და საშური საქმე გაკეთდა. იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ეს იყო სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი და ამის მიწემატება, წაყრუება, როგორც ამას აკეთებდა საბჭოთა ხელისუფლება, ძლიერ პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო.

დ. უზნაძე, როგორც ისტორიკოსი, დღემდე არ გამხდარა საგანგებო შესწავლის საგანი. ამ თემისადმი ქართული ისტორიოგრაფის გულგრილი დამოკიდებულება, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და უმთავრესად ორი გარემოებით იყო განპირობებული: პოლიტიკური და წმინდა მეცნიერული. პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ დიმიტრი უზნაძეს, როგორც ისტორიკოსს, არ გაუმართლა. ამას აშკარად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნდა. დ. უზნაძის მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოები გამოვიდა 1918-1921 წლებში დამოუკიდებელ საქართველოში. საქართველოს ისტორიის ეს მონაკვეთი,

საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით, ტაბუდადებულ თემას წარმოადგენდა და მასზე უმთავრესად მხოლოდ უარყოფით კონტექსტში იწერებოდა. დ. უზნაძის მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოები დიდი ხნით ჩრდილში მოექცა. ასეთი იყო იმჟამად პოლიტიკური ნება.

მეორე, ეტყობა დ. უზნაძის ტრიუმფალურმა წარმატებებმა ფსიქოლოგიაში დაჩრდილა მისი მოღვაწეობის სხვა უბანი და ეს თემა, დ. უზნაძე და ისტორიული მეცნიერება, რაღაცნაირად ჩრდილში აღმოჩნდა, პერიფერიულ თემად იქცა. ვფიქრობთ, დაღვა დრო ამ პრობლემას მივიწყების მტკერი გადავწმინდოთ და საგანგებოდ განვიხილოთ აკად. დიმიტრი უზნაძის წვლილი ისტორიული მეცნიერების წინაშე.

სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ ამ პრობლემის რეანიმაციის პირველმა სიმპტომებმა თავი იჩინეს გასული საუკუნის მიწურულს, როდესაც საქართველომ კვლავ აღიდგინა დამოუკიდებლობა. ეს შრომები აღნიშნული საკითხის დასმად შეიძლება მივიჩნიოთ [1, 2, 3, 4, 5].

რა აღვილი უნდა მივუჩინოთ ისტორიას აკად. დ. უზნაძის უზარმაზარ მეცნიერულ მემკვიდრეობაში? რა დატვირთვა გააჩნდა მას ღვაწლმოსილი მეცნიერისათვის? ეს იყო უბრალო, ჩვეულებრივი გატაცება, ჰობი, თუ რაღაც უფრო მეტი? ერთი შეხედვით ისე შეიძლება ჩანდეს, თითქოს ეს იყო მისი გატაცება, ჰობი, მაგრამ თუ კარგად ჩავუკვირდებით, ეს არ იყო უბრალო გატაცება. ეს დაინტერესება აშკარად სცილდებოდა რომანტიკულ საზღვრებს და მეცნიერული ხასიათი გააჩნდა.

მას მიღებული ჰქონდა ისტორიული განათლება. 1910-1913 წლებში ექსტერნის წესით ჩააბარა გამოცდები და სწავლობდა ხარკოვის უნივერსიტეტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ისტორიის განხრით. საქართველოში დაბრუნების შემდეგ იყო ისტორიის მასწავლებელი [6. 7. 8]. ეს არის მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის ერთი საინტერესო უბანი, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლებადია ცნობილი.

მსოფლიო ისტორიის საკითხებით დ. უზნაძის დაინტერესება პირობით ორ პერიოდად შეიძლება გაიყოს. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ მათ შორის ნიშან-

სვეტად გვევლინება 1921 წელს საქართველოს გასაბჭოება. ამგვარად, ასეთი სურათი იკვეთება: მსოფლიო ისტორიით დ. უზნაძის დაინტერესება საქართველოს გასაბჭოებამდე და გასაბჭოების შემდეგ.

პირველი მონაკვეთი ოპტიმალურ ხანად უნდა მოვი-აზროთ, როდესაც ის ასწავლიდა ისტორიას სკოლაში და აქვეყნებს მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სახელ-მძღვანელოებს. მეორე პერიოდს წმინდა პირობითად, უძრა-ობის ხანა“ შეიძლება ეწოდოს და ის უმთავრესად პოლი-ტიკური კატაკლიზმებით გახლდათ გამოწვეული. ალბათ, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზედ, რომ დ. უზნაძისათვის მიუღებელი იქნებოდა ისტორიული მეცნიერების სტალინიზაცია. ერთი, მარქსისტულ-ლენინურ-ი იდეოლოგიის დიქტატი, მონოპოლია. ასეთ პირობებში ამ სფეროში მოღვაწეობის გაგრძელებისაგან, ეტყობა, მან თავი შეიკავა. მან ძალიან კარგად გააცნობიერა, რომ ის-ტორიამ მეცნიერული კურსიდან გადაუხვია და სხვა გზით წავიდა. შეიძლება ვინმეს ეს ნაბიჯი რადიკალური ეჩვენოს, მაგრამ ეს იყო მის გადაწყვეტილება. ისტორიის მი-მართულებით საბჭოთა პერიოდში დ. უზნაძის ინერტულო-ბის გასაღები, სწორედ აქ ძევს.

* * *

დომიტრი უზნაძის დაინტერესება ისტორიის პრობლე-მებით, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებუ-ლა და შემთხვევითი არ ყოფილა. ის მჭიდროდ უკავშირ-დება მის ფსიქოლოგიურ - ფილოსოფიურ ძიებებს. დ. უზ-ნაძე „ცდილობს ისტორიის გასაზრისებას. მისი ყურადღე-ბის ცენტრში დგას ადამიანი, რომელიც ისწრაფვის სამყა-როს შემოქმედებით გარდაქმნას. აქტიური ადამიანი უპი-რისპირდება საზრისმოკლებულ ბუნებას და ჩვენი ცნობიერება შეაქვს მასში. საზრისის მთელი ისტორია ასეთი გა-საზრისიანების პროცესია. გარდაქმნა შემოქმედება ადამიანის ცხოვრების მთავარი მოტივია. მისი განხორციელება ადამიანის საზრისიანობის მაჩვენებელია. დ. უზნაძე საზ-რისის საკითხს ორი კუთხით განიხილავს. სოციალ-კულ-ტურული, ეროვნული ერთიანობა საზრისის სახით და სო-

ცივილიზაციური, პიროვნების საზრისის სახით. ისტორიული მასალის ანალიზით ავტორი ცდილობს დაასაბუთოს ეს მოსაზრება“ [9. 90-91]. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ისტორია არ იყო მისთვის მარტო უბრალო გატაცება. ის ცოტა უფრო მეტია. ეს დაინტერესება მყარ პროფესიულ ნიადაგზე დგას. ცხადია, მსგავსი შეხედულებების დ. უზნადისათვის მიუღებელი იქნებოდა ისტორიული მოვლენებისადმი ფორმაციული და კლასობრივი მიდგომა.

სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ ისტორიის საკითხებით დ. უზნადის დაინტერესების ყველაზე უფრო ნაყოფიერ ხანად XX საუკუნის დასაწყისი, სახელდობრ 10-იანი წლები გვევლინება. ეს დაინტერესება თავის აპოგეას, პიკს, 1918-1921 წლებში აღწევს. ცხადია, ეს არ ყოფილა შემთხვევითი და მასში უწინარესად იმ ეპოქის საქართველოში არსებული თავისუფალი აზროვნების, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომის ლოგიკურ შედეგს ვხედავთ.

ქართული ისტორიოგრაფის წინაშე დიმიტრი უზნადის დამსახურებას მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოს შექმნა წარმოადგენს, რაც მისი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის დაგვირგვინებად გვევლინება.

დ. უზნადემ დროის ამ მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, საკმაოდ ნაყოფიერად იღვაწა და მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოების ციკლი შექმნა: პირველყოფილი კულტურის ისტორია და ძველი აღმოსავლეთი [10. 11] ძველი საბერძნეთის ისტორია [12] ძველი რომი [13] და ახალი ისტორია ორი წიგნად [14, 15]. აკლია მხოლოდ შუა საუკუნეების ისტორია. რაშია საქმე? ვცადოთ გავერკვეთ შექმნილ სიტუაციაში. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ამ თემაზე მეტად მწირი ინფორმაცია გაგვაჩნია და იძულებული ვართ ჰიპოთეზების სფეროთი შემოვიფარგლოთ. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ასეთი სურათი იკვეთება: ორი ვერსია შეიძლება არსებობდეს. პირველი: შესაძლოა, იმ ექსტრემალურ ვითარებაში, მწვავე ცაიტნოტში, მან უბრალოდ ვერ მოასწრო შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოს დაწერა და ეს ჩანაფიქრი განუხორციე-

ლებელი დარჩა. მეორე, ეტყობა, დ. უზნაძეს დაწერილი ჰქონდა შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელო, მაგრამ დროის ამ მცირე მონაკვეთში მისი გამოქვეყნება, ვერ მოახერხა. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს მეორე ნაწილის წინასიტყვაობა, რომელიც დათარიღებულია 1918 წლის 20 დეკემბრით. აი, რა წერია აქ: „ჩემი ძველი აღმოსავლეთი“, „ძველი საბერძნეთი“, „ძველი რომი“ (ეს უკანასკნელი საშუალო ისტორიასთან პარალელურად დაიბეჭდება) პირველი ნაწილია დასახელებული შრომისა, ხოლო საშუალო ისტორია და ახალი ისტორია მისი მეორე და მესამე ნაწილი იქნება“ [15]. რამ შეუშალა ხელი შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოს გამოცემას, არ ჩანს და ძნელი სათქმელია. აქ ყურადღებას გავამახვილებთ კიდევ ერთ გარემოებაზე. დ. უზნაძე მსოფლიო ისტორიის სამწევროვანი დაყოფის მომხრედ მოგვევლინა: ძველი ისტორია, შუა საუკუნეები, ახალი ისტორია. ამ სახელმძღვანელოებზე არ შეიძლება ვიმსჯელოთ, როგორც დასრულებულ ნაშრომზე. ის წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის ახალი ეროვნული სახელმძღვანელოს შექმნის გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯს. მისი ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა სწორედ ამაში მდგომარეობდა. ის ასახავდა სახელმძღვანელოს დაწერის ძირითადი პრინციპების შემუშავების ძიების პროცესს: ცდილობენ შეიმუშაონ სახელმძღვანელოს დაწერის კრიტერიუმები. ეს ძნელი საქმე იყო. მით უმეტეს, რომ მათ პრაქტიკულად წინამორბედი არ ჰყავდათ. ბუნებრივია, ასეთი სახელმძღვანელო უნაკლო ვერ იქნებოდა.

დავიწყოთ პირველყოფილი კულტურის ისტორიის სახელმძღვანელოთი. სულ ამ სახელმძღვანელოს ორი გამდამუშავებული ვარიანტი არსებობს. პირველი გამოვიდა 1916 წელს ქუთაისში, ხოლო მეორე 1922 წელს თბილისში. საინტერესოა, რა ცვლილებები შეიტანა ავტორმა სახელმძღვანელოს მეორე გამოცემაში.

უწინარესად ხაზი უნდა გაუსვათ იმას, რომ პირველი სახელმძღვანელო ეხება ორ დიდ პრობლემას პირველყოფილ კულტურას და ძველი აღმოსავლეთის ისტორიას. ამიტომ აქ პირველყოფილი კულტურის საკითხები განხი-

ლულია შედარებით მოკლედ, ლაკონურად. ეს იყო სავსებით სწორი გადაწყვეტილება [10. 13-35]. მეორე სახელმძღვანელო სპეციალურად ამ საკითხს, პირველყოფილი კულტურის ისტორიას ეხება და აქ ეს საკითხები ავტორს, ბუნებრივია, გაცილებით უფრო ვრცლად აქვს განხილული.

საინტერესოა, რა ცვლილებები შეიტანა ავტორმა მეორე გამოცემაში. მასში გვხვდება სერიოზული ცვლილებები, რომელიც უწინარესად ამ საკითხის უფრო ფართოდ და სიღრმისეულად წარმოჩენისკენაა მიმართული.

პირველი თავი უცვლელადაა დატოვებული. მეორე თავში არის მცირე ცვლილებები ბრინჯაოსა და რკინის ხანა ცალ-ცალკეა განხილული [11. 31-36 და 36-40]. გაშლილია თემატიკა: ცეცხლი, ჭურჭლეულობა, საკვები, ტანსაცმელი და სამკაულები [11. 41-52]. და საცხოვრებელ შენობათა გამოგონება: ბოძებიანი სახლები, სასაფლაოები [11. 52-62].

მესამე თავში ვრცლადაა განხილული ოჯახის წარმოშობა და საგვარეულო წესწყობილება და კერძო საკუთრების წარმოშობა [11. 66-81].

ყველაზე უფრო რელიეფურად გადაიმუშავების კვალი ატყვია მეოთხე თავში სულიერ კულტურას. პირველ გამოცემაში ეს საკითხი განხილულია ლაკონურად, მოკლედ [10. 33-36], ეს სავსებით გამართლებულია. მეორე გამოცემაში უფრო ვრცლად, დაწვრილებით. განხილულ საკითხთა წრე ასეთია: ენა, წერა-კითხვა, ჯადოსნობა და გამოლოცვა, კულტი, დეოთაება, მითოლოგია და ა.შ. [11. 90-109].

დიმიტრი უზნაძის სახელმძღვანელოებმა უმაღლესი მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება. ამ თვალსაზრისით საინტერესო და ფასეული იყო პრაქტიკოსი პედაგოგების მოსაზრება. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ისტორიის მასწავლებლის ვ. ძიძიგურის გამოხმაურება, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო საქმეში“. აი, რას წერდა ის: „ასეთ გაჭირვების დროს, მოწაფეთათვის სახელმძღვანელოს მიწოდება, და ისიც უნაკლოდ შედგენილისა, ჭეშმარიტად დიდი სამსახურია სკოლისათვის. უეჭველად მასწავლებელი უნდა იყოს, რომ შეგეძლოთ განიცადოთ ის განსაკუთრებული მადლობა, რომელიც დაიმსახურა „კულტურის ისტორიის“ სახელმძღვანელოს ავტორმა ბ-მა დ.

უზნაძემ. პროფ. დ. უზნაძეს, რომ ამ შრომის გარდა სხვა არავითარი ღვაწლი არ მიუძღოდეს ერის წინაშე, ესეც საკმარისი იქნებოდა... დ. უზნაძის „კულტურის ისტორია“ უდავოდ პირველია ყველა ქართულად დაწერილ სახელმძღვანელოებში, რომელიც სავსებით აკმაყოფილებს პედაგოგიკის მოთხოვნილებებს. მასზე უფრო მშვენიერი, მსუბუქი ენით დაწერილი სახელმძღვანელო ჩვენ არ მოგვეპოვება [16. 6. 139].

დ. უზნაძის სახელმძღვანელოს დადებითი შეფასება მართლზომიერია და მისაღებია, მაგრამ ასეთი ზეაწვეული ტონი გადაჭარბებული შეიძლება იყოს და ზედმეტია. ნუთუ პრაქტიკოსი პედაგოგი სახელმძღვანელოში ვერავითარ ნაკლს ვერ ხედავდა? ნუთუ არაფერი არ იყო დასახვეწი? ძნელი საფიქრებელია, რომ ყველაფერი ასე იდეალურად ყოფილიყო. სხვათა შორის, ასე არც დ. უზნაძე ფიქრობდა. მისი თვითკრიტიკული დამოკიდებულება ღირებულია და სახელმძღვანელოს დახვეწის, სრულყოფის, ერთ-ერთ საიმედო გარანტიად გვევლინება. ამ მხრივ საყურადღებოა სახელმძღვანელოს პირველი და მეორე გამოცემის წინასიტყვაობა: „კერძოდ, არც ჩემი ნაშრომი დადინჯებულისა და დამშვიდებული მუშაობის ნაყოფი. იგი ნაჩქარევია და ამ მიზეზით ნაადრევი და უდროვოდ მომწიფებული აღმოჩნდეს. მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ამ შრომის პირველ გამოცემას, რომელიც მრავალრიცხოვანი იბეჭდება, მეორე მოჰყვება. და ამ დროისათვის კი პრაქტიკისა და სხვა პედაგოგთა დახმარების წყალობით ჩემი ნაშრომი უფრო მომწიფებულისა და დასრულებული ნაწარმოების სახეს მიიღებს.

თვით გამოცემას, უეჭველია, მრავალი ნაკლი ექნება, მაგრამ დღევანდელ პირობებში და ისიც ჩვენთვის უკეთესი გამოცემის დამზადება შეუძლებელი იყო“ [10].

აი, კიდევ მისი ერთი შენიშვნა: „ამ მოთხოვნილების მიხედვით, მისი ღირსებაც უნდა გაუმჯობესებულიყო, მაგრამ განსაკუთრებულმა ხანამ... წაგვართვა საშუალება საკაბინეტო დამშვიდებული მუშაობისა, და ამით აიხსნება, რომ ჩვენი სახელმძღვანელო არსებითად იგივე დარჩა... შეიცვალა მასალის აგებულების წესრიგი და ზოგან მოთხოვნის ხასიათიც: დამატება მხოლოდ მცირეოდენი მოვას-

წარით – თუ საჭირო შეიქნა, მესამე გამოცემისათვის უფრო გულდასმით მოვემზადებით და შინაარსის მხრით წიგნს გავაფართოვებთ. ახლა კი ხელახლა იმას ვაწვდი საზოგადოებას, რისი დამზადებაც მოვასწარი“ [11]. აქ საუბარია მის წიგნზე „პირველყოფილი კულტურა და ძველი აღმოსავლეთი“. პირველი გამოცემა განხორციელდა 1916 წელს, ხოლო მეორე 1917 წელს. პირველი გამოცემის წინასიტყვაობა თარიღდება 1916 წლის 10 სექტემბრით, ხოლო მეორე გამოცემის წინასიტყვაობა 1917 წლის 28 სექტემბერს. როგორც ხედავთ, დ. უზნაძეს მიზანშეწონილად მიჩნია სახელმძღვანელოს შემდგომი დახვეწა, სრულყოფა. ეს არის რეალისტური მიდგომა.

ვფიქრობთ, დაზუსტებას საჭიროებს პროფ. ალ. ნამორაძის მოსაზრება თითქოს გრ. ნათაძის სახელმძღვანელო - „თუ არ ვცდები პირველი სახელმძღვანელო იყო ქართულ ენაზე ამ დარგში, განკუთვნილი საშუალო სკოლის პირველი კლასებისათვის“ [17. 372]. აქ საუბარია გრ. ნათაძის წიგნზე „პირველყოფილი კულტურა“ [18], რომელმაც დღის სინათლე იხილა 1920 წელს. ალ. ნამორაძე რატომღაც დუმილით უვლის გვერდს დ. უზნაძის სახელმძღვანელოს „ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა“. შესაძლოა, დეაწლმოსილი მეცნიერი ძველმა აღმოსავლეთმა დააბნია. როგორც არ უნდა იყოს ამ სფეროში პრიორიტეტი, უდავოა, რომ ის აკად. დ. უზნაძეს ეკუთვნის.

სახელმძღვანელოში ერთ-ერთი საინტერესოა თეორიული საკითხების დასმა. სახელდობრ, ავტორი წამოჭრის თემას „რა არის ისტორია“. აქ იგი ეხება შემდეგ საკითხებს: რა არის ისტორია, რა არის კულტურა, ისტორიული წყაროები და წინარეისტორიული და ისტორიული ხანა [10. 7-10].

სახელმძღვანელოში ამ თემის წინ წამოწევა შემთხვევითი არ იყო და უმთავრესად ორი ფაქტორით უნდა ყოფილიყო მოტივირებული: მეცნიერული და პედაგოგიური. ვფიქრობთ, საქმე გვაქვს მისი მეცნიერული და პედაგოგიური ინტერესების კვეთასთან. ჩვენი აზრით, საკითხის ამგვარი დასმა მის მიერ 1910 წელს წაკითხული საჯარო ლექციის „ისტორიული მეცნიერების მნიშვნელობა“ („სახალხო გაზეთი“, №137, 1910, გვ. 3) შორეულ ექოდ გაისმა.

აქ, ბუნებრივია, წამოიჭრება ერთი საკითხი, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს და თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. რამდენად გამართლებული ჩანს თეორიული საკითხების გაშუქება სასკოლო სახელმძღვანელოში? რა დოზით შეიძლება მივაწოდოთ ეს მასალა მოსწავლეებს? ხომ არ გაუჭირდება მისი ათვისება 11-12 წლის ბავშვს? ხომ არ შეაქცევს ბავშვი ზურგს ისტორიის სწავლას? ხომ არ ვართულებთ საქმეს?

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხი დღესაც არ ჩანს და აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. საინტერესოა, რა გზას ირჩევს დ. უხნაძე. პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ მას ძალიან კარგად აქვს გაცნობიერებული ის სირთულეები, რომელიც ამ სფეროში არსებობს და ცდილობს გამოძებნოს გამოსავალი ამ ვითარებიდან. ეს მისი მსჯელობის პლუსია. ჩვენი აზრით, მისი პოზიცია ამ საკითხის გადაჭრის კომპრომისულ ვარიანტად შეიძლება მივიჩნიოთ. მას სწორად არ ესახება ამ საკითხის სრულ იგნორირება, დუმილით გვერდის ავლა. მისი ღრმა რწმენით, ბავშვმა უნდა იცოდეს, რას სწავლობს ისტორია? რა არის ისტორია? მეორე მხრივ, მას არც ის ესახება მართებულად, როცა სახელმძღვანელო გადაიტვირთება რთული თეორიული საკითხებით. საჭიროა ზომიერება დავიცვათ. ამაში ის საესებით სწორია. ის ცდილობს გამოძებნოს რაღაც შუალედური ხაზი, რომელიც თავიდან აგვაცილებს ორივე უკიდურესობას. ამგვარი მიდგომა, ვფიქრობთ, მრავლისმეტყველი უნდა იყოს და აქ საკმაოდ რელიეფურად, მკაფიოდ, ჩანს სახელმძღვანელოს დაწერის პრინციპებისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება. აშკარაა, საკითხის გადაწყვეტა ძიების პროცესში იმყოფება. „ჩვენს სახელმძღვანელოში ზოგი თავი ვარსკვლავის ნიშნით არის აღნიშნული, - აღნიშნავს დ. უხნაძე, - ეს იმას ჰნიშნავს, რომ იგი სავალდებულო კურსში არ შედის. მასწავლებელს შეუძლია იგი ან სრულიად გამოსტოვოს, ან მხოლოდ გაკვეთილის ახსნის დროს თავისი სიტყვით გადასცეს მოწაფეთ. მაგრამ თუ კლასის მომზადების დონე მაღალია, მაშინ, უჭკველია, ასეთი თავების შესწავლაც საჭიროდ უნდა ჩაითვალოს. მე ვფიქრობ,

რომ ჩვენი სკოლის შემადგენლობაში მომზადების მხრივ სიტრელის გამო შეუძლებელია ყველასათვის ერთი მოცულობის კურსი დაიწეროს. ამიტომაც, რომ ჩემს სახელმძღვანელოში მინიმუმთან ერთად ერთგვარი, ზომიერი მაქსიმუმიც არის მოყვანილი. ხოლო რა უნდა იქნეს აქედან შეტანილი სკოლაში და რა არა, ეს მასწავლებლისა და კლასის მომზადების დონეზეა დამყარებული“ [11. VIII-IX]. ამგვარად, როგორც ჩანს, საშუალო სკოლის სახელმძღვანელოში თეორიული საკითხების შეტანა დ. უზნაძის „ზომიერ მაქსიმუმად“ წარმოუდგენია. ამგვარ მიდგომას აშკარად აქვს თავისი რეზონი, აზრი.

ვფიქრობთ, საინტერესოა, რომ სახელმძღვანელოს პირველ გამოცემაში ამგვარი კომენტარი არ გვხვდება [10]. რაშია საქმე? ალბათ, ეს არ იყო შემთხვევითი და აღნიშნულ საკითხზე დ. უზნაძის შეხედულებების ევოლუციის ლოგიკური შედეგია. მეორე გამოცემაში მან ეს საკითხები უცვლელად შეიტანა, მხოლოდ მიზანშეწონილად ცნო მცირე კომენტარი გაეკეთებინა.

უნდა გამოვთქვათ ერთი მოსაზრება, რომელიც არ შეეხება ნაშრომის შინაარსობრივ მხარეს და უფრო მის სტრუქტურა-არქიტექტონიკის სრულყოფისკენაა მიმართული. აი, რა გვაქვს მხედველობაში. საკამათოდ მიგვაჩნია ამ მონაკვეთში წინაისტორიული და ისტორიული ხანის განხილვა. ორივე სახელმძღვანელოში ეს ასეა [10. 12. 11. 16-17]. აქ ამ თემის განხილვა საერთო სიუჟეტიდან ამოვარდნილი ჩანს და ალბათ, უფრო უმჯობესი იქნებოდა ამ თემით სახელმძღვანელოს მომდევნო თავის დაწყება. თეორიული საკითხების განხილვა და წინაისტორიული ხანა მკაფიოდ უნდა ყოფილიყო გამიჯნული. ეს ორი სხვადასხვა თემაა. ამ რთულ საკითხებზე დიმიტრი უზნაძე მოწაფეებს მოუთხრობს სადად, მარტივად და ამით ცდილობს გაუადვილოს მათ მისი აღქმა. ეს მისი, როგორც პედაგოგის, წარმატებაა.

ვფიქრობთ, დაზუსტებას მოითხოვს სახელმძღვანელოს სათაური. უფრო უმჯობესი ხომ არ იქნებოდა პირველყოფილი კულტურა და ძველი აღმოსავლეთი? ფაქტობრივად ეს არის უძველესი ისტორია.

ვგიქრობთ, სასურველი იქნებოდა სახელმძღვანელოში შეტანილი ყოფილიყო ძველი ჩინეთისა და ინდოეთის ისტორია, რომელმაც ღრმა კვალი დაამჩნია ძველი მსოფლიოს ისტორიას. ეს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა სახელმძღვანელოს მსოფლიოს ისტორიაში [19] ამიტომ ამ თემის გვერდის ავლა დამაჯერებელი არ უნდა იყოს.

ამრიგად, დ. უზნაძის სახელმძღვანელოები იმუამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შენაძენად გვევლინება. მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი მოწაფეებს, წინარე ისტორიულ ხანაზე და უძველეს ისტორიაზე საერთო წარმოდგენას შეუქმნიდა. ეს იმდრინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზული წინსვლა იყო.

* * *

ძველი, ანუ ანტიკური ხანის ისტორიას ეხება დ. უზნაძის ორი სახელმძღვანელო „ძველი საბერძნეთი“ და „რომის ისტორია“. XX საუკუნის დასაწყისის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ეს სახელმძღვანელო სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. დ. უზნაძის სახელმძღვანელოების წარმატება ორი გარემოებით შეიძლება იქნას ახსნილი. აქ ავტორის წინაშე ერთი მოკრძალებული ამოცანა იდგა, რომელსაც მან წარმატებით გაართვა თავი. ის წერს ერთი ქვეყნის ისტორიას. მეორე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დ. უზნაძეს ძველ ისტორიაში ჩინებული სკოლა ჰქონდა გავლილი გერმანიაში ნიზესთან და ვილკენთან ერთად და ძველი ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე იყო.

დ. უზნაძის სახელმძღვანელოები იმდრინდელი ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოდგენს. ის ქართულ საზოგადოებას უხვ მასალას, მდიდარ ინფორმაციას აწვდის ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორიაზე. ის, უეჭველად, დაეხმარებოდა მოწაფეებს ამ საგნების სწავლაში. ეს სახელმძღვანელოები იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯი გახლდათ.

დავიწყეთ ძველი საბერძნეთის ისტორიის პერიოდიზაციით. თემა არის საინტერესო და რთული. სახელმძღვა-

ნელოში ეს საკითხი საგანგებოდ არ განხილულა, მაგრამ თუ კარგად ჩაუვუკვირდებით გარკვეულ მინიშნებას, უჭკველად, მოვიძიებთ.

ძველი საბერძნეთის ისტორიაში დ. უზნაძე პირობით შემდეგ პერიოდებს გამოჰყოფს: ეგეოსის ანუ კრეტა - მიკენის პერიოდი (III-II ათასწლეული). ფაქტობრივად, ეს არის უძველესი ეპოქის საბერძნეთის ისტორია. ამის შემდეგ იწყება საბერძნეთის ძველი ისტორია. ჰომეროსის ხანა (ქრ. შ-მდე XII-IX სს), არქაული პერიოდი (ქრ. შ-მდე VIII-VI საუკუნე), კლასიკური ხანა (ქრ. შ-მდე VI-IV საუკუნე). როგორც ხედავთ, დ. უზნაძეს ძველი საბერძნეთის ისტორია მიჰყავს IV საუკუნემდე, კონკრეტულად კი 338 წელს ქერონეასთან ბრძოლაში ბერძნების დამარცხებამდე და მაკედონიის მიერ საბერძნეთის დაპყრობამდე. ეს, ნამდვილად, იყო მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი ძველი საბერძნეთის ისტორიაში და ამაში დ. უზნაძე სავსებით მართალია, მაგრამ აქ ძველი საბერძნეთის ისტორიის თხრობის დასრულება ნაადრევად მიგვანჩნია. ვფიქრობთ, ამგვარი ხედვა შემთხვევითი არ იყო. შესაძლოა, ეს იმით გახლდათ გამოწვეული, რომ დ. უზნაძე იზიარებდა იმ დროს გავრცელებულ მ. როსტოცევის თეორიას, რომლის თანახმად ელინიზმი წარმოადგენდა დამოუკიდებელ ციკლს ანტიკური ცივილიზაციის ისტორიაში. ეს არის ერთი მიდგომა. არსებობს სხვა თვალსაზრისი. ასე, მაგალითად, უახლესი ქართული ისტორიოგრაფიას ძველი საბერძნეთის ისტორიის თხრობა ქრ. შ-მდე 30 წლამდე მიჰყავს. რომაული ადმინისტრაციული სისტემის დამყარებით ეგვიპტეში ელინისტური ხანა დასრულდა [20]. ელინისტური ხანა ძველი საბერძნეთის ისტორიის მეტად მნიშვნელოვან მონაკვეთს წარმოადგენს და ამის უგულვებელყოფა, იგნორირება, დამაჯერებელი არ უნდა ჩანდეს.

დ. უზნაძე წერს: „ჩემი „რომის ისტორიის“ მეორე გამოცემა საკმაოდ განირჩევა პირველისაგან (რომელიც დაახლოებით ერთ წლის წინ გამოვიდა). არა მარტო გარეგნულად (პირველი გამოცემა ილუსტრაციებს სრულებით არ შეიცავდა), არამედ შინაარსის მხრივაც, ცვლილებები განსაკუთრებით შემდეგ ნაწილებს შეეხო. იტალიის მოსახ-

ლეობა, რომაელთა სარწმუნოება, რომის ძველი წყობილება, რომის რესპუბლიკის პირველი ხანების საგარეო პოლიტიკა (რომელიც სიცილიისათვის თავდაცვითი და შეტევითი ომების ხანად გაიყო), დემოკრატიული წესწყობილება (პირველი გამოცემის მცირე შენიშვნიდან იგი მთელს თავად გადაიქცა). რევოლუციის ხანის დასაწყისი (შინაგანი პირობები, როგორც შედეგი მსოფლიო მონარქიის დამკვიდრებისა), მარიუსის და სულას ხანა (მეორე გამოცემაში მე შევეცადე, ამ ხანის საშინაო ცხოვრება ცალკე დამეხასიათებინა და საგარეო - ცალკე, მაგრამ ისე, რომ რომის იმდროინდელი ცხოვრების ბუნება, როგორც სინთეზი ორივე ამ მიმდინარეობისა, ჩრდილში არ დარჩენილიყო). ტრიუმფირიატების ხანა გარდამავალ ხანად იქნა გამოცხადებული“ [13]. ეს წინასიტყვაობა თარიღდება 1920 წლის 7 ივლისით და სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის იმ ცვლილებებზე, რომელიც ავტორს სახელმძღვანელოს მეორე გამოცემაში შეუტანია. ეს ცვლილებები თვისებრივ ხასიათს ატარებს და სახელმძღვანელოს ხარისხობრივი გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული. შინაარსობრივად უფრო ამდიდრებს მას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მისასაღმებელი უნდა იყოს. მეორე გამოცემა აშკარად წინ გადადგმული ნაბიჯია. როგორც ჩანს, სახელმძღვანელოს დახვეწაზე, სრულყოფაზე, მუშაობა გრძელდებოდა და წამითაც არ შეჩერებულა. აღსანიშნავია, ავტორის თვითკრიტიკული დამოკიდებულება. რა თქმა უნდა, ის შორსაა იმ აზრისაგან, თითქოს სახელმძღვანელო უნაკლო იყოს. „ჩემს სახელმძღვანელოში ზოგი ისეთი ცნობებიცაა მოყვანილი, რომ შეიძლება საშუალო სკოლაში ყველა მათი შესწავლა საჭირო არ აღმოჩნდეს, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ჩვენს პირობებში, როდესაც საკითხავი წიგნები ჯერ კიდევ თითქმის სრულიად არ მოგვეპოვება, ეს გარემოება შეუძლებელია ნაკლად ჩაითვალოს. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელს ადვილად შეუძლია, წიგნში შესაფერისი შემოკლება შეიტანოს [13]. აქ კარგად ჩანს ის პრობლემები, რომელიც საქართველოში არსებობდა მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციის სფეროში.

რომის ისტორიის დაწევა ალექსანდრე მაკედონელის მსოფლიო მონარქიის შექმნით მთლად დამაჯერებელი როლია. საერთო სიუჟეტიდან ამოვარდნილი ჩანს და ჰაერში გამოკიდებული რჩება [13. 5].

სახელმძღვანელოს საფუძვლად უდევს რომის ისტორიის სწორი ქრონოლოგიური პრინციპით დაყოფა. ის რომის ისტორიას სამ პერიოდად ყოფს. მეფობის ხანა, (ქრ. შ. მდე 753-510 წწ.), რესპუბლიკა (ქრ. შ.-მდე 510-30 წწ.) იმპერია (ქრ. შ.-მდე 30 – ქრ. შ.-ის 476 წწ.). საინტერესოა რესპუბლიკის და იმპერიის ხანის პერიოდიზაცია. რესპუბლიკის ეპოქას ის სამ პერიოდად ყოფს. რესპუბლიკის ისტორიაში მნიშვნელოვან მიჯნად მას ესახება ქრ. შ.-მდე 264 წელი, პირველი პუნიკური ომის დაწყება და 146 წელი, როდესაც იკვეთება რომის ჰეგემონია ხმელთაშუაზღვის აუზში. იმპერიას ის პირობით ორ მონაკვეთად ჰყოფს. მათ შორის მიჯნად ასახელებს დიოკლიტიანელის მმართველობის დასაწყისს. 1. პრინციპატი (ქრ. შ. მდე 30, ქრ.-შ.-ის 285). 2. დომინანტი (285-476 წწ.) თუმცა ამ ტერმინების გამოყენებისაგან რატომღაც თავს იკავებს. მის მიერ შემოთავაზებული ცნება აბსოლუტიზმი წარმატებულად ძნელია მივიჩნიოთ [13. 158].

გაიუს იულიუს კეისრის მოღვაწეობის მაღალი შეფასება, ცხადია, სავსებით მართლზომიერი იყო. მაგრამ არ უნდა გადავაჭარბოთ. კეისრის უსაშველოდ განდიდება, გაიდვალება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ გაიუს იულიუს კეისარი მსოფლიო ისტორიაში დ. უზნაძის ერთ-ერთი საყვარელი პიროვნება შეიძლება იყოს.

დ. უზნაძე ისტორიულ მეცნიერებას რომ გაჰყოლოდა და თავის ვიწრო სპეციალობად ძველი ისტორია აერჩია, საქართველოში ამ დარგის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად და კომპეტენტურ მკვლევარად ჩამოყალიბდებოდა. მისი მასწავლებლები ძველ ისტორიაში იყვნენ გერმანელი მეცნიერები ნიზე და ვილკენი. მან მათთან საუკეთესო სკოლა გაიარა და ამ მხრივ მეცნიერული ზრდის კარგი პერსპექტივა გააჩნდა. მან სხვა გზა აირჩია. ეს მისი ნება იყო.

სავსებით კანონზომიერი უნდა იყოს, რომ მაღალკვალი-
ფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებულმა სასკოლო
კომიტეტმა, რომელიც შეიქმნა 1920 წლის 15თებერვალს და
მას სათავეში ედგა დიდი მამულიშვილი და მეცნიერი აკად.
ივანე ჯავახიშვილი, პროფ. გ. ნათაძის რეკომენდაციის სა-
ფუძველზე მიზანშეწონილად ცნო დიმიტრი უზნაძის ძველი
ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს პრემიით დაჯილ-
დობა [6. 41. 21]. ეს ამ სფეროში დ. უზნაძის დეაწლის ღირ-
სეული დაფასება იყო. სუვერენულმა საქართველომ დააფასა
მისი წვლილი სახელმძღვანელოების შექმნის საქმეში. საბ-
ჭოთა საქართველომ ეს სახელმძღვანელოები სავსებით მიი-
ვიწყა. რას იზამთ. ძალზე ნაცნობი და რაც მთავარია, რეა-
ლისტური სურათია. დ. უზნაძის მსოფლიო ისტორიის სა-
ხელმძღვანელოებიდან საუკეთესოდ ძველი მსოფლიოს ის-
ტორიის სახელმძღვანელოები მიგვანჩნია.

* * *

დიმიტრი უზნაძეს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა
და ძველი ისტორიის კარგი სახელმძღვანელო დაეწერა,
აღბათ, ესეც იკმარებდა, მაგრამ მან გადაწყვიტა გაეგრძე-
ლებინა დაწყებული საქმე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ მწვავე ცაიტნოტში, გა-
მორიცხული არაა, რომ დ. უზნაძემ შუა საუკუნეების ის-
ტორიის სახელმძღვანელოს დაწერა ვეღარ მოასწრო. ან
კიდევ, რაც უფრო რეალური ჩანს, მას ეს სახელმძღვანე-
ლო დაწერილი ქონდა, მაგრამ, ეტყობა, სხვადასხვა მი-
ზეზთა გამო, მისი გამოცემა ვერ მოუხერხებია. შეიძლება,
ეს მოსაზრება უფრო სწორი იყოს.

დიმიტრი უზნაძის მიერ ჩაფიქრებული მსოფლიო ის-
ტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების მორიგ ციკლს,
ბუნებრივია, წარმოადგენდა ახალი ისტორიის სახელმძღვა-
ნელო. ის მან დაწერა პედაგოგ ი. გველესიანთან ერთად.

თავის მისიას დ. უზნაძე ასე განმარტავს: „ჩვენი ახა-
ლი ისტორია“ ვინოგრადოვის წიგნის მიხედვით „ახალი
ისტორიის სახელმძღვანელო“ არის შედგენილი. მასალის
დანაწილება და გაშუქება თითქმის სავსებით ამ წიგნიდან
არის ამოღებული. თვით ტექსტიც ძალიან ხშირად იქიდან

არის ნათარგმნი, მაგრამ ჩვენს შრომას თარგმანს მაინც ვერ ვუწოდებთ იმიტომ, რომ როგორც ტექსტში, ისე მასალაშიც იმდენი ცვლილება შევიტანეთ, რომ ჩვენმა ნაშრომმა ვინოგრადოვის წიგნთან შედარებით განსხვავებული სახე მიიღო“ [14]. ამ თვალსაზრისს სიტყვა-სიტყვით იმეორებს დ. უზნაძე მას „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოს მეორე ნაწილის წინასიტყვაობაშიც, რომელიც დათარიღებულია 1918 წლის 20 დეკემბრით [15]. ეს არ იყო ადვილი გზით სიარული. ასეთი ნაბიჯი საკვებით გამართლებული ჩანდა და ძირითადად გამოწვეული იყო იმ მწვავე ცაიტნოტით, რომელიც თან ახლდა დამოუკიდებელ საქართველოში მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნას. ეს იმ ექსტრემალური სიტუაციიდან ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი ჩანდა. ვფიქრობთ, შემთხვევითი არ იყო, რომ მან ყურადღება მიაპყრო, სწორედ, რუსი ისტორიკოსის პ. ვინოგრადოვის „ახალი ისტორიის“ სახელმძღვანელოს. ეს უპირატესად იმით იყო განპირობებული, რომ ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქების დროს დ. უზნაძე ძირითადად პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე გახლდათ ორიენტირებული. ფაქტორივად, მოხდა ისე, რომ მისი და პ. ვინოგრადოვის შეხედულებები დაემთხვა ერთმანეთს. მის არჩევანს, სწორედ, ეს შეხებულება ედო საფუძვლად.

ახალმა სახელმძღვანელომ მაშინვე მიიპყრო თანამედროვეების, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, პრაქტიკოსი პედაგოგების ყურადღება და მათ არ დააყოვნეს გამოეხატათ თავისი დამოკიდებულება ახალი სახელმძღვანელოსადმი. ყურადღებას იპყრობს 1919 წლის გაზეთ „განათლებაში“ გამოქვეყნებული ვრცელი რეცენზია, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის უცნობია და ფაქტობრივად პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში.

პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ეს რეცენზია ყურადღებას იპყრობს იმით, რომ ის არ წარმოადგენს დ. უზნაძის ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს ხოტბას, ქება-დიდებას. ავტორი საკმაოდ კრიტიკულადაა განწყობილი და არ ერიდება სახელმძღვანელოს მიმართ სერიოზულ შენიშვნების გამოთქმას. მისი პოლემისტური ტონი ფასეუ-

ლია, ღირებულია და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი რეცენზიის მეცნიერულ წონას.

რეცენზენტი სახელმძღვანელოს მიმართ გამოთქვამს შემდეგ შენიშვნებს: 1. მას მიაჩნია, რომ სახელმძღვანელო წარმოადგენს რუსი ისტორიკოსის პ. ვინოგრადოვის წიგნის თარგმანს. 2. ავტორი ფიქრობს, რომ ეკონომიკური ისტორიის საკითხებს სახელმძღვანელოში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა. ამის ნიმუშად მას მიაჩნია სამრეწველო გადატრიალებისადმი გამოჩენილი უყურადღებობა, რომლის გარეშე მოწაფეთათვის გაუგებარია ინგლისის მთელი შემდგომი ისტორია. 3. გარკვეული უკმარისობის გრძობა რჩება მას ცალკეული თემების გაშუქების მხრივ. რეცენზენტს საკამათოდ მიაჩნია ავტორის პოზიცია შუა საუკუნეებიდან ახალ დროზე გადასვლის განხილვის დროსაც. მისი აზრით: „ეს გარემოება სრულიად ამახინჯებს მნიშვნელოვან გარდამავალი ხანის შინაარსს და გაუგებარს ხდის შემდეგ ისტორიულ მსვლელობას“. 4. რეცენზენტი არ უარყოფს, რომ პ. ვინოგრადოვის წიგნი წარმოადგენდა სერიოზულ წინ გადადგმულ ნაბიჯს დ. ილოვაისკის სახელმძღვანელოების შემდეგ, მაგრამ თანდათან, დროთა განმავლობაში პ. ვინოგრადოვის სახელმძღვანელო მოძველდა, ყავლი გაუვიდა და უფრო ახალმა ნ. კარევეის და რ. ვიპერის სახელმძღვანელოებმა ჩაანაცვლა. აქედან გამომდინარე, ის ფიქრობს, რომ, ალბათ, უპრიანი იქნებოდა აქცენტის გაკეთება ამ ახალ სახელმძღვანელოებზე და არა ვინოგრადოვის წიგნზე. 5. რეცენზენტი ფიქრობს, რომ სახელმძღვანელოს სტილი, ენა, მძიმეა [22. 110-112].

მიუხედავად ამ შენიშვნებისა, უნდა ითქვას, რომ დასკვნა დადებითია. რეცენზენტს მშვენივრად აქვს გაცნობიერებული, რომ ეს იყო იმ რთული ვითარებიდან ერთ-ერთი პრაგმატული, რეალისტური, გამოსავალი. ჩვენ ამაში საუბრით ვეთანხმებით მას. შემდეგ ის წერს: „მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა თუ ჯერჯერობით მოუხერხებელია სხვანაირათ ჩვენ ზოგიერთ „ორიგინალურ სახელმძღვანელოებს“ მაინც ვამჯობინებთ ვინოგრადოვის „ახალ ისტორიას“ და დროებით მაინც შეიძლებოდა ჩვენს საშუალო სკოლაში მისით სარგებლობა. რადგან სახელმძღვანელო-

ში მოთავსებული მასალა მეცნიერული თვისებების მხრით ზედმიწევნით უმწიკვლოა. თარგმანი სრულიად დამაკმაყოფილებელია“ [22. 112].

ვფიქრობთ, უმჯობესი იქნებოდა, კრიტიკის ავტორს რეცენზია დაეწყო სახელმძღვანელოს დადებითი მხარეების განხილვით. მას სახელმძღვანელოს ძლიერ მხარედ ესახება მისი მეტად მაღალი მეცნიერული დონე და კარგი თარგმანი. საჭირო იყო ამ თემის უფრო გაშლა, განვითარება. ეს შინაარსობრივად გაამდიდრებდა მის საინტერესო რეცენზიას.

შესაძლოა ი. ვიპერის და ნ. კარევეის სახელმძღვანელოები უფრო ახალი და კარგი იყო, მაგრამ არც პ. ვინოგრადოვის სახელმძღვანელო გახლდათ ურიგო. სიკეთიდან სიკეთეს არ ეძებენ.

დ. უზნაძის ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს ერთ-ერთ ღირსებას წარმოადგენს ახალი ისტორიის მეცნიერული პერიოდიზაცია, რაც მნიშვნელოვანწილად ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის კეთილისმყოფელი გავლენის ლოგიკურ შედეგად გვევლინება. დ. უზნაძემ მოგვცა მსოფლიო ისტორიის მეცნიერული, ევროპული, პერიოდიზაცია, რომელიც სავსებით შეესატყვისებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. ეს კარგია.

უწინარესად, უნდა ითქვას, რომ დ. უზნაძე ახალი ისტორიის პერიოდიზაციის საკითხზე საგანგებოდ არ ჩერდება, მაგრამ თუ კარგად ჩაუუკვირდებით ამ თემაზე მინიშნებას, მის სახელმძღვანელოში აუცილებლად ვიპოვით, სად იწყება, დ. უზნაძის შეხედულებით, და სად მთავრდება ახალი ისტორია.

დ. უზნაძის აზრით, შუა საუკუნეების და ახალ ისტორიას შორის ნიშანსვეტად გვევლინება XV-XVI საუკუნეების მიჯნა. სახელდობრ, რენესანსი, კონსტანტინოპოლის დაცემა, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, რეფორმაცია. ამგვარი ხედვა, ვფიქრობთ, სავსებით აკმაყოფილებდა იმდროინდელი ისტორიოგრაფიის მკაცრ მოთხოვნებს და სავსებით მისაღები ჩანდა.

კონკრეტულად რომელ მოვლენებს ანიჭებს ის უპირატესობას. მისი არჩევანი წმინდა პირობითია. ის ამ ორ

ეპოქას შორის მიჯნად იღებს რენესანსს და რეფორმაციას. ეს ახალი ისტორიის პერიოდიზაციის ერთ-ერთი მისაღები ვარიანტი უნდა იყოს, რომელსაც თავისი მომხრეები ჰყავდა, როგორც მაშინ, ისე დღეს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისტორიულ მონაკვეთს რენესანსის დასაწყისიდან რეფორმაციას შორის ის აღიქვამდა, როგორც გარდამავალ ხანას. საგულისხმოა, რომ ასეთი ორმაგი თარიღი რენესანსი და რეფორმაცია ძალიან გავრცელებული იყო ლიბერალურ ისტორიოგრაფიაში. ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა ერთ თარიღზე შეფჯერებულიყავით. ეს არის რეფორმაცია. საკვებით სწორია დ. უზნაძე, როდესაც შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის ნიშანსვეტად XV-XVI საუკუნეების მიჯნა ესახება. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს კონკრეტული მოვლენები. ჩვენ ამ ორ ეპოქას შორის მიჯნად ვიღებთ დიდი გეოგრაფიულ აღმოჩენებს. დ. უზნაძეს კი ასეთად რენესანსი და რეფორმაცია წარმოუდგენია. ის აქცენტს ახალი იდეების წარმოშობაზე აკეთებს. დავა პრინციპულ ხასიათს არ ატარებს და მხოლოდ დეტალებს შეეხება. ამიტომ მკაცრად უდერს რეცენზენტის მოსაზრება „თითქოსდა დ. უზნაძე ამახინჯებს მნიშვნელოვანი გარდამავალი ხანის შინაარსს“. სინამდვილეში ასე არ ყოფილა.

სად მთავრდება, დ. უზნაძის აზრით, ახალი ისტორია და იწყება უახლესი ისტორია. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური. ისტორიკოსთა შორის ამ საკითხში ერთსულდოვნება არასოდეს სუფევდა და აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მათი ერთი ნაწილი ამ ორ ეპოქას შორის მიჯნად იღებს XIX საუკუნის 70-იან წლებს. მეორე ნაწილს ახალი ისტორია მიყავს 1914 წლამდე, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე. საინტერესოა რა გზას ირჩევს დ. უზნაძე. მან სახელმძღვანელოში ეს თემა საკმაოდ თავისებურად გადაწყვიტა, რაც მნიშვნელოვანწილად იმით იყო განპირობებული, რომ იგი ახალი ისტორიის საუკუნეების მიხედვით დაყოფის მომხრედ გვევლინება. ამ თვალსაზრისით, ფრიად ნიშანდობლივი ჩანს სახელმძღვანელოს დასასრული. იგი თხრობას ასრულებს საერთაშორისო ურთიერთობების მოკლე მიმოხილვით XIX საუკუნის მიწუ-

რულს, სახელდობრ აშშ – ესპანეთს შორის ომით 1898 წელს [15. 194-196].

დ. უზნაძეს აღნიშნულ საკითხზე თავისი მკვეთრად გამოკვეთილი პოზიცია გააჩნია, რომელსაც აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. თუ ახალ ისტორიას საუკუნეების მიხედვით დაყოფას დავუდებთ საფუძვლად, მაშინ დ. უზნაძის თვალსაზრისში მიუღებელი არაფერია. ის ახალ ისტორიას ამთავრებს XIX საუკუნის დასასრულს, კონკრეტულად კი აშშ-ესპანეთს შორის ომი 1998 წელს. ეს მართლაც მნიშვნელოვანი მიჯნაა და აქ დ. უზნაძეს ძნელია ვინმე შეედავოს. აქ ერთი რამ უნდა ვთქვათ. საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაზე აქცენტის გაკეთება, ცხადია, მისასაღმებელი უნდა იყოს და ძალიან კარგია. მაგრამ ეს მოსწავლეს ამ ეპოქის ისტორიაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეუქმნის. ეს, ჩვენი აზრით, ორი გარემოებით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. შესაძლოა, ასე ესმოდა საკითხი დ. უზნაძეს. მაშინ, თუ ეს ასეა, ამგვარი ხედვა მიუღებელია და ცალმხრივია. ადვილი შესაძლებელია, რომ აქ აისახა საეკონომიკური ვითარება. სახელმძღვანელოში საგარეო და საშინაო პოლიტიკის გადმოცემის ოპტიმალური ვარიანტი საბოლოოდ ჯერ კიდევ არაა შემუშავებული და ძიების პროცესშია. მუშაობა გრძელდება.

ახალი ისტორიის საუკუნეების მიხედვით დაყოფა საეკონომიკური მისაღები უნდა ჩანდეს და ძალიან ბევრი მომხრე ყავდა, როგორც მაშინ, ისე დღეს. ეს არის ახალი ისტორიის პერიოდიზაციის ერთ-ერთი ვარიანტი. საუკუნეების მიხედვით დაყოფა და ახალი დროის ეპოქები ყოველთვის როდი ემთხვევა ერთმანეთს. ახლა ამ კუთხით შევხედოთ ამ თემას. 1898 წელს ამერიკა – ესპანეთის ომით ახალი ისტორიის დამთავრება ნაადრევად მიგვაჩნია. ახალი ისტორიის ამ მონაკვეთის 1870-1914 წლების შუაზე გახლეჩა დამაჯერებელი როდი ჩანს. ამ ვარიანტში, ალბათ, უმჯობესი იყო თხრობის ბოლომდე მიყვანა და მისი გასრულება 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დაწყებით ან სახელმძღვანელოს დასრულება 1870 წელს, როგორც ეს მიღებული იყო იმჟამინდელ ისტორიოგრაფიაში. მნიშვნე-

ლოვანწილად, ვფიქრობთ, ამით აიხსნება, რომ სახელმძღვანელოში XIX საუკუნის დასასრულის და XX საუკუნის დასაწყისის ისტორია შედარებით მკრთალად, სუსტადაა, გაშუქებული.

დ. უზნაძე საშუალო პოზიციას იკავებს, რაც იმით აიხსნება, რმ ის ახალი ისტორიის საუკუნეების მიხედვით დაყოფის მომხრედ გვევლინება.

ამერიკა-ესპანეთის ომი 1898 წელს მართლაც მნიშვნელოვანი მიჯნაა, მაგრამ ამით კი არ მთავრდება ახალი ისტორია, როგორც ეს ხდება დ. უზნაძისა და ი. გველესიანის სახელმძღვანელოში, არამედ ეს არის ნიშანსვეტი ახალი ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული მონაკვეთის, 1870-1914 წლების შიგნით. ვფიქრობთ, ასე უფრო ადეკვატური იქნებოდა [3.52.24].

აქ წამოიჭრება კიდევ ერთი აქტუალური საკითხი. რა ადგილს მიუჩენდა დ. უზნაძე უახლეს ისტორიას მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის სქემაში. დ. უზნაძის სახით საქმე გვაქვს მსოფლიო ისტორიის სამწვეროვანი დაყოფის, ძველი, შუა და ახალი ისტორია, მომხრესთან. ეტყობა, დ. უზნაძე უახლეს ისტორიას არ მოიაზრებდა როგორც მსოფლო ისტორიის ცალკე პერიოდს, ეპოქას და მას უწინარესად აღიქვამდა ახალი ისტორიის შიგნით, როგორც მის შემადგენელ ერთ-ერთ ნაწილს. საფიქრებელია, რომ დ. უზნაძე XX საუკუნის დასაწყისს მოიაზრებდა როგორც უახლეს ისტორიას.

აღბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება გავარკვიოთ დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება ახალი ისტორიის შიდა პერიოდიზაციის საკითხისადმი. რა მიჯნებს გამოყოფს ახალი ისტორიის შიგნით? ის ახალი ისტორიის საუკუნეების მიხედვით დაყოფის პრინციპს აღიარებს და ახალი ისტორიის შიგნით მნიშვნელოვან ტეხილად XVIII საუკუნის დასაწყისი წარმოუდგენია. ამ თვალსაზრისით მას მნიშვნელოვნად მიაჩნია 1701 წელს პრუსიის სახელმწიფოს დაარსება [14. 5]. ეს მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, მაგრამ პრუსიის სახელმწიფოს წარმოშობაზე არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომს (1700-1714). აღსანიშნავია, რომ პრუსიის

სახელმწიფოს წარმოშობა ესპანეთის მემკვიდრეებისათვის ომის შედეგი იყო. პრუსიამ ისარგებლა იმ სირთულეებით, რომელიც იმპერიას შეექმნა ომი შედეგად და ცალკე გამოეყო [23]. ამიტომ მიგვაჩნია, რომ XVIII საუკუნის ისტორიის თხრობა, უფრო უპრიანი იქნებოდა დაგვეწყო არა პრუსიის სამეფოს დაარსებით, როგორც ეს სახელმძღვანელოშია, არამედ ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომით. ვფიქრობთ, ასე უფრო დამაჯერებელი იქნებოდა [3. 53. 24]. ის ახალ ისტორიას ყოფს საუკუნეების მიხედვით: XVI საუკუნე, XVIII საუკუნე, XIX საუკუნე. ის ახალ ისტორიას ამთავრებს XIX საუკუნის დასასრულს, კერძოდ კი 1898 წელს ამერიკა – ესპანეთის ომით. ამგვარ მიდგომას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი და აქვს არსებობის უფლება, თუმცა საკამათო შეიძლება იყოს. მისი შემდგომი დახვეწა, სრულყოფა, გამორიცხული არ უნდა ჩანდეს.

დ. უზნაძის სახელმძღვანელო წარმოადგენს თავისი დროის პირმშოს. ის არ შეიძლება მოვწყვიტოთ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიას. ფრიად სიმპტომატური უნდა იყოს, რომ როგორც კი დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა, ქართული ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნის იდეამ თავისი აქტუალობა დაკარგა. ახალი ისტორიის სახელმძღვანელოში როგორც სარკეში ისე აისახა მაშინდელი სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის დრამატიზმით აღსავსე სვებედი. საქართველოს რესპუბლიკა ბორძიკით ცდილობს ფეხზე დადგეს. განათლების სისტემა პატარა ბავშვივით პირველ ნაბიჯებს დგამს, სიარულს სწავლობს. მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ნათქვამის დასტური უნდა იყოს.

სუვერენულ საქართველოს, ცხადია, ჰაერივით ესაჭიროებოდა ახალი ისტორიის ქართული სასკოლო სახელმძღვანელოები. მათი შექმნა ქართული ისტორიოგრაფიის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა. ახალი სახელმძღვანელოს დაწერას, ცხადია, დრო ესაჭიროებოდა. დრო კი ძალიან ცოტა იყო. ფაქტობრივად, დ. უზნაძეს და მის კოლეგებს მუშაობა უხდებოდათ მწვავე ცაიტნოტში. ეს, ბუნებრივია, თავის კვალს ტოვებდა სახელმძღვანელოებზე

და აისახებოდა მათ ხარისხზე. გარკვეული სურვილები, ზოგიერთ შემთხვევაში უკმარობის გრძნობა, რომელიც გაგინდება დ. უზნაძის სახელმძღვანელოს გაცნობის დროს, რა თქმა უნდა, ამ ექსტრემალური პოლიტიკური ყოფის ლოგიკური შედეგი იყო. დ. უზნაძის და ი. გველესიანი ახალი ისტორიის სახელმძღვანელო არ წარმოადგენს დასრულებულ სახელმძღვანელოს. ის გამოხატავს სახელმძღვანელოს შექმნის ძირითადი პრინციპების, ძიების შემუშავების პროცესს. მიმდინარეობდა მისი მუდმივი სრულყოფა, დახვეწა, მაგრამ დრო ძალიან ცოტა იყო. ისინი თანდათან, ნელ-ნელა წინ მიიწევდნენ. სწორედ, ამაში მდგომარეობდა პროგრესი. ფაქტობრივად, ეს სახელმძღვანელო წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის ახალი ეროვნული სახელმძღვანელოს შექმნის გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯს. ამით კი არ მთავრდება, არამედ იწყება სახელმძღვანელოს შექმნა.

უწინარესად ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ დამოუკიდებელ საქართველოში სახელმძღვანელოს დაწერის ძირითადი პრინციპების შემუშავების საქმეში სწორი კურსი უნდა ჰქონოდათ არჩეული. სახელმძღვანელოებში ხდება მათი პრაქტიკული რეალიზება. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ უმთავრესად ორიენტირებულები იყვნენ მსოფლიოს ისტორიის სისტემური კურსის გამართვაზე, რომელიც ითვალისწინებდა ისტორიის სწავლებას უძველესი დროიდან თანადროულობამდე. ეს იყო ერთ-ერთი სწორი მეთოდი, რაც მაშინდელი ქართული სკოლის მესვეურთა წარმატებად უნდა მივიჩნიოთ. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს პრობლემები არ იყო. პრობლემები არის და საკმაოდ. ის უმთავრესად ორგანიზაციულ ხასიათს ატარებდა და მისი მოგვარება შეიძლებოდა. საფიქრებელია, რომ თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები დ. უზნაძის და ი. გველესიანი ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს შემდგომი დახვეწა, სრულყოფა გაგრძელდებოდა და ავტორები მასში, ალბათ, გარკვეულ კორექტივებს აუცილებლად შეიტანდნენ. საბოლოოდ ქართული საზოგადოება მიიღებდა ახალი ისტორიის კარგ სახელმძღვანელოს.

ვფიქრობთ, სასურველი იყო სახელმძღვანელოში რუსეთის ისტორიის გაშუქება. ეს თემა პ. ვინოგრადოვის ახალი ისტორიის სახელმძღვანელოში, ცხადია, განხილული არ ყოფილა. ეს საგანი რუსეთის ისტორია, ცალკე საგნად ისწავლებოდა. ეს საშუალებას მისცემდა ავტორებს შეეცნოთ პ. ვინოგრადოვის სახელმძღვანელო, მაგრამ ისინი ასე არ იქცევიან, რაც, ალბათ, იმით აიხსნება, რომ მწვავე ცაიგნოტში იყვნენ მოქცეული. დრო ძალიან ცოტა იყო.

სავსებით ვიზიარებთ რეცენზენტის მოსაზრებას, რომ სახელმძღვანელოში იგრძნობა ეკონომიკური ისტორიისადმი შედარებით გულგრილი დამოკიდებულება. ამ თვალსაზრისით მას მეტად ნიშანდობლივად ესახება სამრეწველო გადატრიალებისადმი დამოკიდებულება „რომლის გარეშე მოწაფე ვერ გაიგებს ინგლისის XIX საუკუნის ისტორიას“ [21. 111]. ეს სახელმძღვანელოს სერიოზული მინუსია, რაც გამოსასწორებელი იყო.

დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმძღვანელოში ისტორიის სხვადასხვა მხარეების შეწონილად წარმოჩენას. ისინი სხვადასხვა „აპარტამენტებში“ არ უნდა განვითავდნენ; პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ისტორია, რელიგია, ზნე-ჩვეულებები, ადამ-წესები, ყოფა, სახელმძღვანელოში თანაბრად უნდა გაშუქდეს. რა დოზით შეიძლება მივაწოდოთ ეს მასალა მოსწავლეებს? საკითხი არის რთული და აქტუალური და მას თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო ამ პრობლემის გადაწყვეტის გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს.

პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ დ. უზნაძის და ი. გველესიანის ახალი ისტორიის სახელმძღვანელოში პოლიტიკური ისტორიის თხრობა მაინც დომინირებს. პოლიტიკური ისტორიის პრიმატი, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და ის, პირველ ყოვლისა, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის გავლენის ლოგიკურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ. დ. უზნაძე, როგორც ისტორიკოსი, საქართველოში პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად მიგვაჩნია. ამავე დროს, დავძენთ,

რომ სახელმძღვანელოში პოლიტიკური ისტორიის გაშუქების შემდგომი დახვეწა, სრულყოფა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. ყურადღებას გავამახვილებთ ორ გარემოებაზე: უწინარესად აუცილებლად უნდა შევიმუშაოთ საშინაო და საგარეო პოლიტიკის გადმოცემის ოპტიმალური ვარიანტი. ალბათ, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო ამ პრინციპების შემუშავების პროცესშია. ამ ეტაპზე კი ასეთი სურათი იკვეთება. სახელმძღვანელოში პოლიტიკური ისტორიის თხრობისას ცალმხრივობა შეინიშნება, რაც იმით გამოიხატება, რომ საგარეო პოლიტიკას შედარებით მეტი ყურადღება ეთმობა, ვიდრე საშინაო პოლიტიკას. ეს კი დაუშვებელია. ალბათ, ურიგო არ იქნებოდა პოლიტიკური ისტორიის თხრობის შინაარსობრივად გამდიდრება. პირველ ყოვლისა, ასეთად მიგვაჩნია ნიდერლანდების განდგომის ისტორიის გაშუქება. ის ჩაიკარგა ესპანეთის ისტორიაში, რაც ნებისთი თუ უნებლიეთ აკნინებს მის ისტორიულ მნიშვნელობას. გამომდინარე მისი მნიშვნელობიდან, ხომ არ აჯობებდა ამ მოვლენის ცალკე გამოყოფა? ეს გაუადვილებდა მოსწავლეებს მის აღქმას.

ორიოდე სიტყვით უნდა შეგჩერდეთ სახელმძღვანელოში კულტურის ისტორიის საკითხების გაშუქებაზე. აღსანიშნავია, რომ ეს თემა სახელმძღვანელოში, ეკონომიკისაგან განსხვავებით, უყურადღებოდ არ რჩება. ეს, ცხადია, კარგია და შინაარსობრივად კიდევ უფრო ამდიდრებს დ. უხნაძის და ი. გველესიანის ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს. ამავე დროს უნდა დაგვიხსოვდეს, რომ ამ თემატიკის განხილვის დროს ადგილი აქვს გარკვეულ არათანმიმდევრობას, რაც უპირატესად იმაში გამოიხატება, რომ XIX საუკუნის კულტურა სახელმძღვანელოში საესებით იგნორირებული იქნა.

რა თქმა უნდა, ურიგო არ იქნებოდა სახელმძღვანელოში საქართველოს ჩართვა მსოფლიო ისტორიის კონტექსტში. საქართველო ევროპის ქვეყნების ურთიერთობა. ამ რაკურსში საკითხის დასმა მოწაფეებს აუცილებლად დააინტერესებდა და აქტუალური იქნებოდა. მას შემეცნებითი დატვირთვაც გააჩნდა. მოსწავლეებს პატრიოტიზმის

გრძნობას გაუღვიძებდა, აზიარებდა საერთოეროვნულ (სახელმწიფოებრივ) ფასეულობებს. ალბათ, დროის სიმცირის გამო მან ვერ შეძლო ამ გზით წასვლა.

აქ გამოთქმული მოსაზრებები, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს შენიშვნებს. ეს არის ერთ-ერთი ვერსია იმ ცვლილებებისა, რომელიც, ჩვენი აზრით, შეიძლებოდა განესორციელებინა დ. უზნაძეს, მაგრამ ამის გაკეთება მას არ დასცალდა. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა.

მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხის შესწავლის დროს დ. უზნაძეს სწორი, მეცნიერული, გზა ჰქონდა არჩეული და უპირატესად პროგრესულ - ლიბერალურ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული. ამგვარი მიდგომა სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიოგრაფიის განვითარების საერთო დონეს და ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ჩარჩოებში. საფიქრებელი იყო, რომ თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები, ეს ხაზი გაგრძელდებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება სულ სხვა გზით წარიმართა [1. 3-4. 25. 78. 26. 371]. შეიძლება ითქვას, რომ ისტორიულ მეცნიერებაში აკად. დიმიტრი უზნაძის პირველი ნაბიჯები წარმატებული აღმოჩნდა. ის იყო ისტორიის კარგი მასწავლებელი და დაწერა საინტერესო სახელმძღვანელოები მსოფლიო ისტორიაში. ჩვენი აზრით, ეს ურიგო დასაწყისი არ უნდა ყოფილიყო.

დასასრულს, ძალიან მოკლედ უნდა შევეხოთ სახელმძღვანელოების მეთოდურ მხარეს. დიმიტრი უზნაძის მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოები მეთოდური თვალსაზრისით მოიკოჭლებს. ფაქტობრივად, მათ არ გააჩნიათ მეთოდური აპარატი. ეს სახელმძღვანელოების სერიოზული მინუსია. სახელმძღვანელოებს ბოლოში დართული უნდა ჰქონოდა ქრონოლოგიური ცხრილი, რომელიც საშუალებას მისცემდა მოწაფეებს ყურადღების კონცენტრაცია მოეხდინათ ძირითად, მთავარ, მოვლენებზე. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ყოველი გაკვეთილის ბოლოს უნდა ყოფილიყო საშინაო დავალებები, კითხვარები, რომლის მი-

ხედვით მასწავლებელი შეამოწმებდა, როგორ შეისწავლეს მოსწავლეებმა გაკვეთილი და აითვისეს ახალი მასალა. ამას დიდი შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. სახელმძღვანელოების მეთოდური ასპექტისადმი დ. უზნაძის გულგრილი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს და ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საქართველოში ისტორიის სწავლების მეთოდოლოგია ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ ჯეროვნად განვითარებული და მხოლოდ მაშინ იღვამდა ფეხს [25. 70-71].

* * *

ამრიგად, აკად. დიმიტრი უზნაძის სახით საქმე გვაქვს საქართველოში პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელთან. მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნა ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე აკად. დ. უზნაძის დამსახურებად გვევლინება. ეს მისი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის ლოგიკური დაგვირგვინებას წარმოადგენს. ფაქტობრივად ამით იწყება დ. უზნაძის გზა ისტორიულ მეცნიერებაში. დ. უზნაძის მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოები იმდროინდელ ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს და ამის გვერდის ავლა, მიხუმათება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, უმართებულო იქნებოდა. ეს სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების განვითარების საერთო დონეს და უპირატესად ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის მიღწევებზე იყო ორიენტირებული. შეიძლება ითქვას, რომ ისტორიულ მეცნიერებაში დ. უზნაძის პირველი ნაბიჯები წარმატებული აღმოჩნდა. ის იყო მსოფლიო ისტორიის კარგი მასწავლებელი და დაწერა მსოფლიო ისტორიის საინტერესო სახელმძღვანელოები. ამით მან თავისი სიტყვა თქვა ქართულ ისტორიოგრაფიაში. დასაწყისი ნამდვილად არ იყო ურიგო. სავარაუდოა, რომ მისი საქმიანობა ამ სფეროში

გაგრძელდებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. რატომ? ალბათ, უმთავრესი მიზეზი მაინც პოლიტიკურ კატაკლიზმებში უნდა ვეძიოთ. დ. უზნაძისათვის, უეჭველად, მიუღებელი იქნებოდა ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია, დიქტატი. ისტორიული მეცნიერების სტალინიზაცია, პოლიტიზირება და იდეოლოგიზირება. მან კარგად დაინახა, რომ ისტორიული მეცნიერება სხვა გზით წავიდა და მეცნიერული კურსიდან გადაუხვია. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დ. უზნაძის, როგორც ისტორიკოსის პასიურობის გასაღებიც, სწორედ, აქ ძევს. რა თქმა უნდა, დიმიტრი უზნაძის როგორც ისტორიკოსის პოტენციული ბოლომდე არ ყოფილა გამოყენებული. მას ამ მიმართულებით უფრო მეტის გაკეთება შეეძლო. თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები, ალბათ, ეს ასეც მოხდებოდა, მაგრამ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ის იძულებული იყო დაღუპებულიყო.

ის მცირე რამ, რისი გაკეთება ისტორიულ მეცნიერებაში დ. უზნაძემ მოასწორო, უდავოდ, დიდ პატივს მიაგებს ღვაწლმოსილ მეცნიერს და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ადგილს ქართულ საისტორიო მეცნიერებაში. მან თავისი კვალი დატოვა XX საუკუნის 10-იანი წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის იყო ისტორიის კარგი მასწავლებელი. მან თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. დაწერა მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოები, რომელიც იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია. ცხადია, ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ დასაწყისისთვის, ვფიქრობთ, საკმაოდ კარგი იყო. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია, რომ ძირითადად, პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე მისი, როგორც ისტორიკოსის მოღვაწეობა ფაქტობრივად, პირველ ნაბიჯებს ვერ გასცდა. მისი, როგორც მკვლევარი - ისტორიკოსის მდიდარი მეცნიერული პოტენციული რეალიზებული არ იქნა. თუ ის ისტორიულ მეცნიერებაში საქმიანობას გააგრძელებდა, ჩვენი ღრმა რწმენით, არანაკლებ წარმატებებს მიაღწევდა და XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ

ისტორიოგრაფიაში მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ საუკეთესო და კომპეტენტურ მეკლევარად მოგვევლინებოდა.

აკად. დიმიტრი უზნაძის მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნულ სახელმძღვანელოების მნიშვნელობა შემდეგში მდგომარეობს: მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციამ მეცნიერული ხასიათი შეიძინა, რაც იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. იკვეთება მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხებისადმი მეცნიერული მიდგომის კონტურები, წანამძღვრები. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი შეუფასებლობა სწორი არ იქნება და ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. აკად. დიმიტრი უზნაძემ თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების, პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში. ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ ამაში მდგომარეობდა.

M. KALANDADZE

DIMITRI UZNADZE AS A HISTORIAN

Academician Dimitri Uznadze (1886-1950) was extremely erudite scientist of a broad range. his name, as that of one the founders of Tbilisi State University and patriarch of Georgian Psychological School, has been written in “Golden letters” in the history of Georgia. He brought world recognition of the Georgian Psychological School. Had not he done anything else, this would be sufficient. His services to Georgian science are even greater. He left his footprint in Georgia philosophical thinking.

Academician dimitri Uznadze, as a historian, has not explored in Georgian historiography. Thus, we found it reasonable to fill in this gap and make this issue a matter of special study. The Soviet government was silently the school textbooks of world history published

under authorship of D. Uznadze in independent Georgia in 1918-1921 and D. Uznadze as a historian gradually fell into oblivion.

The interest of D. Uznadze for the world history was more than a simple liking. It had serious character. In 1910-1913 passed externe exams and studied at Kharkov University at the faculty of history and philology, majoring in history. Upon returning to Georgia he was a teacher of history. He participated in creating of the first national textbooks of world history.

The 1910-s should be considered as the optimal period of his activities as a historian. The services of D. Uznadze to Georgian historiography are that he took part in creating first Georgian, national textbooks of world history. By this he made a good, admirable job and it would not be right to silence and stifle as it was made by the Soviet government.

D. Uznadze wrote the following textbooks of world history: "Priomordial Culture", "Old East", "History of Old Greece", "Old Rome", "New history"(together with I. Gvelesiani). We consider "History of Old Greece"and "Old Rome"to be the best from the textbooks of world history by D. Uznadze. With our careful assumption, in that short period of time he apparently did not manage to publish school textbooks of Middle Ages or had not written them.

Considering the Georgian historiography of that period, the school textbooks of world history by D. Uznadze present an important step forward and, we think, it fully satisfied the general level of historical science in the beginning of XX century.

While evaluating the key of the world history, D. Uznadze makes scientific emphasis and was mainly oriented towards liberal values. This was the right approach, with its strong and weak sides.


The first steps of D. Uznadze in the historical science should be considered as successful. He was a good teacher of world history and wrote first Georgian national textbooks of world history. Had he followed this path, he would, undoubtedly, achieve great success, but he decided otherwise.

We consider academician D. Uznadze as one of the prominent representatives of positivist historiography in Georgia.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999.
2. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006.
3. მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007.
4. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, რობესპიერი ქართულ ისტორიოგრაფიაში – კრებული „ხელისუფლება და საზოგადოება“, №2, 2008.
5. მ. კალანდაძე, ამერიკის შეერთებული შტატების 1861-1865 წლების სამოქალაქო ომის შესწავლა საქართველოში – ამერიკის შესწავლის საკითხები, V, თბ., 2008.
6. ნ. ბერუღავა, დიმიტრი უზნაძე. ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1967.
7. დ. უზნაძე, შემდეგენლი დ. ფარჯანაძე და სხვ. თბ., 1986.
8. შ. ნადირაშვილი, დიმიტრი უზნაძე – წიგნში: დ. უზნაძე, ბიბლიოგრაფია, თბ., 1985.
9. XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის ანთოლოგია. ნაკვეთი პირველი, შემდეგენლი პროფ. ედ. კოდუა, თბ., 1998.
10. დ. უზნაძე, ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა, ქუთაისი, 1917.
11. დ. უზნაძე, პირველყოფილი კულტურის ისტორია, თბ., 1922.
12. დ. უზნაძე, ძველი ისტორია, წიგნი 1, ძველი აღმოსავლეთი და საბერძნეთი, თბ., 1919.
13. დ. უზნაძე, ძველი ისტორია, წიგნი 2, ძველი რომი, თბ., 1920.
14. დ. უზნაძე, ი. გველესიანი, ახალი ისტორია (XV-XVII სს.), თბ., 1918.
15. დ. უზნაძე, ი. გველესიანი, ახალი ისტორია (XVII-XIX სს.), თბ., 1919.
16. „სახალხო საქმე“, №742. 1920.

17. აღ. ნამორაძე, პროფესორი გრიგოლ იასონის ძე ნათაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 77, თბ., 1959.
18. გრ. ნათაძე, პირველყოფილი კულტურა, თბ., 1920.
19. ძველი აღმოსავლეთის ისტორია, თბ., 1971. ქ. თვალთაშვილი, ც. ჩიკვაძე, ძველი მსოფლიოს ისტორია, თბ., 2005.
20. გ. ქავთარია, ძველი საბერძნეთ, თბ., 2005.
21. საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფონდი 1935, აღწერა 1, საქმე 875.
22. განათლება, 1919, №2.
23. Е. Лависсь, Очерки по истории Пруссий, М., 1915.
24. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციაზე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტის IV ყოველწლიური კონფერენცია, თბ., 2011.
25. მ. კალანდაძე, ქართული მედიევისტიკის სათავეებთან, თბ., 2009.
26. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, თბ., 2011.



eka kaWarava

al averdel mRvdel mTavarTa qronol ogi a
(XI-XIV saukuneebi)

კახეთის მთავრების უმთავრესი სალოცავი – ალავერდის მონასტერი, კათედრალის აშენების შემდგომ (XI ს.) საეპისკოპოსო კათედრად იქცა. ალავერდელი ეპისკოპოსი XI-XII საუკუნეებში რანგით საქართველოს სხვა ეპისკოპოსებზე დაწინაურებულია, XIII საუკუნიდან მთავარეპისკოპოსად იხსენიება, მასვე აბარია „საურავად“ შიომღვიმის სამეფო მონასტერი, მის ხელშია გაერთიანებული დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საეპისკოპოსო კათედრები და მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის სახელოებს ფლობს. საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის ხანაში ამბა ალავერდელმა მიტროპოლიტის ხარისხიც მიიღო და ფაქტიურად მთელი კახეთის სამეფოს ეკლესიის მეთაურად იქცა. ნაშრომი ნაწილია ჩვენი კვლევისა „ალავერდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი XV-XVI საუკუნეებში“ და „ალავერდელ მღვდელმთავართა ქრონოლოგია“ (XVII ს. ნაწილი I და ნაწილი II) (2).

აქვე, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, ამ პერიოდის საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული მასალის განსაკუთრებული სიმწირე.

XI საუკუნე
გიორგი აბაძე

პირველი ალავერდელი მღვდელმთავრის ვინაობის გარკვევას შევეცადეთ ნაშრომში „ალავერდის საეპისკოპოსო კათედრის დაარსება“(4). საკითხის გარკვევის საშუალებას იძლევა ალავერდის წმ. გიორგის ეკლესიის აღმოსავ-

ლეთის ფასადის ჯვრის გამოსახულების ქვევით არსებული ტაძრის თანადროული ისტორიული ხასიათის წარწერა:

„+ წმიდაო გიორგი, მეხვადშენ ეყავ წინაშე ღმრთისა მონასა შენსა გიორგი აბაძს, დისწოვლსა გოდერძი ერისთავთ ერისთავისასა, რომელმან აღაშენა ... კონქი ესე“.

ცხადია, გიორგი აბაძს ტაძრის კონქის მაშენებლად მოხსენიება მის ტაძრის მშენებლობის თანამედროვეობას მიუთითებს. ამბა გიორგი ტაძრის ერთ-ერთი ქტიტორია და ამ დროისათვის ის მონასტრის წინამძღვარია (*აბაძ – აბბა – ამბა*). საეპისკოპოსო ხარისხში ის კათედრალის განსრულების დროისათვის უნდა ყოფილიყო აყვანილი. წარწერის თანახმად გიორგი აბაძ გოდერძი ტურისა და მაჭის ერისთავთ-ერისთავის „დისწოვლი“ ანუ დისწულია. იგივე პირი

- ამბა გიორგი, უნდა იხსენიებოდეს ხირსის წმ. სტეფანეს ეკლესიის ტაძრის სამხრეთის ფასადზე, რელიეფური ჯვრის მარჯვენა მკლავზე მოთავსებულ ერთ-ერთ ასომთავრულ წარწერაში. თ. ბარნაველის შენიშვნით, წარწერა ძლიერაა დაზიანებული, მაგრამ გადარჩენილი ფრაგმენტები შესაძლებელს ხდის ტექსტის შემდეგი სახით აღდგენას: „ქრისტე, ადიდე გლახაკი გიორგი მთავარეპისკოპოზი“ (3. 149-150). წარწერის ძლიერ დაზიანების გამო გაშიფვრა მეტად ჰიპოთეტურია.

ვფიქრობთ, სავსებით შესაძლებელია ხირსის წმ. სტეფანეს ტაძრის ამ წარწერაში მოხსენიებული გიორგისა და ალავერდის წინამძღვარ გიორგის გაიგივება, გიორგისა, რომელიც ამ წარწერის შესრულების დროისათვის უკვე ეპისკოპოსის რანგშია. იქ სადაც თ. ბარნაველი აღადგენს სიტყვა მთავარეპისკოპოზს, მეტად სავარაუდოა იყოს „ეპისკოპოზი“. ალავერდელს ჩვენამდე მოღწეული წყაროებით XIII ს-მდე მთავარეპისკოპოსის რანგში ვერ ვხვდებით, რაც თავისთავად გამორიცხავს სიტყვის ამ ფრაგმენტის მთავარეპისკოპოსად წაკითხვას. ამასთანავე წარწერაში არსებული სიტყვა „გლახაკი“ უნდა მიუთითებდეს წარწერაში მოხსენიებული პირის სასულიერო სტატუსს. ასევე საფუძველს მოსაზრებისა, მივიჩნიოთ ამ წარწერის გიორგი ალავერდელ ეპისკოპოსად, იძლევა ამავე ჯვრის მარცხენა მკლავზე მოთავსებული ორ სტრიქონიანი წარწერა, რომ-

ლის ტექსტიც თ. ბარნაველის თანახმად იკითხება: „*ქრისტე აღიდე გაგიკ მეფე*.“ ეს გაგიკ მეფე ყველა მონაცემით რანთა და კახთა მეფე გაგიკია. სავსებით ბუნებრივია კახთა მეფისა და ალავერდელი მღვდელმთავარის თანადროულ წარწერებში მოხსენიება.

საეჭვოა, ერისთავთ-ერისთავის დისწულის ნაცვლად, რომელიც აქ უკვე მოღვაწეობს, ერთ-ერთი მთავარი ქტიტორია, ხანდაზმულიც არ უნდა იყოს (გოდერძი ერისთავთ-ერისთავის დისწულია), სხვა პირი დაესვათ კათედრაზე ეპისკოპოსად. ის მონასტრის წინამძღვარია და ეპისკოპოსის ხარისხშიც იქნებოდა აყვანილი. საწინამძღვრო და საეპისკოპოსო ხარისხის შეთავსების ტრადიციაც (*ამბა ალავერდელი ეპისკოპოსი*) მისგან უნდა მომდინარეობდეს) (4).

ამდენად, XI საუკუნის პირველ ნახევარში დაარსებული ალავერდის საეპისკოპოსო კათედრის პირველი მღვდელმთავარი უნდა იყოს ალავერდის ტაძრის აღმოსავლეთის ფასადის დიდ წარწერაში მოხსენიებული ალავერდის ტაძრის წინამძღვარი და ერთ-ერთი ქტიტორი, გოდერძი ერისთავთ-ერისთავის დისწული გიორგი, რომელიც კახეთის უადრესად წარჩინებულ საგვარეულოს ეკუთვნის.

1089 წლის მიწისძვრისაგან დაზიანებული ალავერდის ტაძარი 1104-1112 წლამდე, 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში გუმბათხამოქცეული იდგა. როგორც ჩანს, კახეთის

იმდროინდელ ხელისუფალთ (კვირიკე IV (1084-1104) და აღსართან II-ს (1104)) მისი აღდგენის ძალა არ შესწევდათ (9, გვ. 95).

წყაროთა უქონლობის გამო ჩვენთვის უცნობია ალავერდის ცხოვრების ეს პერიოდი, არა გვაქვს არავითარი ცნობა ამ პერიოდში მოღვაწე ალავერდელ მღვდელმთავართა შესახებაც.

XII ს.

სვიმეონ ბედიელ-ალავერდელი

XII საუკუნეში მოღვაწე ალავერდელ მღვდელმთავართაგან ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ *სვიმეონ ბედიელ-ალავერდელი*.

დავით IV აღმაშენებლის საბოლოო მიზნის ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია კახეთ-ჰერეთის საქართველოს სახელმწიფო ორგანიზმში დაბრუნება და გაერთიანების პროცესში ჩაბმა. კახეთ-ჰერეთის საბოლოო დაუფლებისათვის მეფეს, 1104 წელს ერწუხის ომის გადახდა მოუხდა. კახეთ-ჰერეთის შემოერთებამ ქართული სახელმწიფო მნიშვნელოვნად გააძლიერა. ამ პოლიტიკურმა აქტმა ასახვა ახლად შემოერთებული სამეფოს უმთავრეს სალოცავში – ალავერდის ტაძარში ჰპოვა. ალავერდის განახლებას მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვა გააჩნდა. ტაძრის ყველაზე თვალსაჩინო ადგილას, საკურთხეველში, შავი საღებავით თეთრ ფონზე ვრცელი და მონუმენტური ფრესკული წარწერაა შესრულებული. წარწერის ტექსტის ამ მოღწეულ ფრაგმენტებში, რომლებიც ტექსტის დაახლოებით ერთ მეხუთედს შეადგენენ, საუბარია ალავერდის ტაძარში ჩატარებულ მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებზე. პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა XII საუკუნის კუთვნილებაა. წარწერის ტექსტში მოხსენიებულია მეფეთ-მეფე დავითი, ძე გიორგისი, ანუ დავით აღმაშენებელი, რაც კახეთის სამეფოში ახალი ხელისუფლების დამყარებას გულისხმობდა. წარწერის შესრულების თარიღს აზუსტებს ვ. სილოგავა და 1104-1112 წლებით განსაზღვრავს.(9.90)

კახეთის სამეფოს შემოერთების (1104) შემდეგ ალავერდის საეპისკოპოსო სრულიად საქართველოს სამსახურშია. დავითის საეკლესიო პოლიტიკა ქვეყნის ერთიანობისათვის ბრძოლის ნაწილია და ამ პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ორი სახელის მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის გაერთიანება (1103-1110 წწ. შორის). აღნიშნული ინსტიტუტის შექმნით ეკლესია სამეფო ხელისუფლების უშუალო დაქვემდებარებაში ექცევა.

გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის გარდაცვალების შემდეგ დავით IV მწიგნობართუხუცესობა გიორგის დისწულს *სვიმეონ ბელიელ-ალავერდელს* უბოძა, 1125 წლიდან ჭყონდიდლობაც მიუმატა. ამ ფაქტის შესახებ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს შემდეგს: დავით მეფემ „*ანისისა მცველად დაუტევნა აზნაურნი მეს-*

ხნი და წარმოვიდა ქართლად... მერმე წარემართა შარვანს, და აღიღო ქალაქი შამახია და ციხე პირიტი, სრულად ყოველი შარვანი, და დაუტყვნა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი, ჰერნი და კახნი. და განმგებელად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართუხუცესი თვისი სუმონ, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი მაშინ ბედიელ-ალავერდელი, მიმსგავსებული გიორგი დედის ძმისა თვისისა, კაცი ყოველითურთ სრული და ბრძენი.” (10.345) იგივე პირი, სვიმეონ ბედიელ-ალავერდელი, იხსენიება დავით აღმაშენებელის შიომღვიმის მონასტრისათვის ბოძებულ ანდერძში (1123-1124), სადაც მეფე მას, როგორც სამღივანწიგნობროს მეთაურს „საურავად“ გადასცემს მღვიმის მონასტერს, რომელსაც როგორც სამეფო მონასტერს „თვნიერ მეფეთა საწირავისა“ არაფერი ეკისრება და „არცა ვის... უც საქმე, თვნიერ ლოცვისა და შეწირვისა“: „აწ ს(ვმეო)ნ ბედიელ-ალავერდელისა იყოს შევედრებ(უ)ლ, რაცა საქმე და საურავი მ(ა)თი იყოს, იგი ივეოფოდის (!) რ(ომე)ლსა ჩ(უ)მნ ვერ მივიწინეთ. და შ(ემ)დგომად მისსა, თუ მისსა ადგილსა, ამითვე წესითა სხუ(ა)დ მწ(იგნობარ)თ-უხუცესი იყოს იგი იურეოდის” (12.58). ასევე აქვე, „გარეშე მონაზუნისა მწიგნობართუხუცესისა სასაურავობასა ვინმე იკადრებდეს, რად გვარი, გინდა ვინ იყოს, – პირველად შენ დაუსაბამო და დაუსრულებელო, ღმერთო, მიაწიე რისხვად შენი...“ (12.58).

ამდენად, ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ალავერდის ეპისკოპოსი სვიმეონი, გიორგი მწიგნობართუხუცესის დისწული, ალავერდისა და ბედიის ეპარქიების მღვდელმთავარი, შემდგომში მწიგნობართუხუცესი და ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსია, მასვე აბარია შარვანი საგამგეოდ და როგორც მწიგნობართუხუცესი ისევე შიომღვიმის სამეფო მონასტრის მეურვე.

XII ს-ის II მეოთხედში საკათალიკოსო ტახტზეა სვიმონ IV (გულაბერისძე). სვიმონ IV-ის შესახებ, ზ. აბაშიძე აღნიშნავს, რომ შესაძლოა ეს სვიმონი გიორგი ჭყონდიდელის დისწული იყოს, რომელიც დავით აღმაშენებლის დროს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი და შირვანის გამგებელი იყო და ბედიელ-ალავერდელის კათედრაც ეჭირა

(8.49). ჩვენის აზრით, სვიმეონ ბედიელ-ალავერდელისა და კათოლიკოს სვიმონ IV-ის გაიგივება მეტად საეჭვოა, ვინაიდან კათოლიკოს-პატრიარქ ნიკოლოზ გულაბერისძის თანახმად: „*ნეტარი მამის ძმა ჩემი სვიმონი, პირველ პატრიარქობისა მისის, მონასტერსა შინა იყო წმიდისა საბასსა არმაზს*“ (8.49). ამ ამონარიდიდან მკაფიოდ ჩანს, რომ კათალიკოსად აღსაყდრებამდე, სვიმონ გულაბერისძე არმაზის წმ. საბას მონასტერში მოღვაწეობს. ამასთანავე, ჩვენს ხელთ არსებულ ცნობებში სვიმონ გულაბერისძე იხსენიება როგორც სვიმონ, ხოლო ბედიელ-ალავერდელი სვიმეონად.

1177 წლით დათარიღებულ, გიორგი III-ის საქართველოს ეკლესიის შეუვალობის განახლების სიგელით, რომლის გაცემის მიზეზად *„ეკლესიათა სამეფოთსა ჩუენისათა ყოვლისა ბეგრისა უსამართლოთსათა და დაჭირებულისაგან კსნად და განთავისუფლება“* (12.72) ქცეულა, *„ამისავე მიზეზისათუის შეკრბეს ყოველნი სამეფოთსა ჩუენისა მონაზონნი და ებისკოპოსნი იმერნი და ამერნი, კათალიკოზი, მოძღუარი და ყოველნი მეუდაბნოენი და მათცა გუიბრძანეს და მოუაჯსენეს დაჭირებულობად ეკლესიათად და განრყუნად სასჯულოთა საქმეთა“* (12.72). გიორგი III-ის ინიციატივით მოწვეულ 1177 წლის საეკლესიო კრებაში ბუნებრივი იქნება *„ებისკოპოსნი იმერნი და ამერნი“*-ში ალავერდელი მღვდელმთავრის მონაწილეობაც ვივარაუდოთ.

XIII საუკუნე

ჩვენს ხელთ არსებული ცნობები XIII საუკუნეში ალავერდელ მღვდელმთავართა შესახებ უაღრესად მწირია. ამ პერიოდში მოღვაწე ალავერდელთაგან ჩვენთვის ცნობილია *ანტონ, იოანე და ბასილ ალავერდელები*. სათანადო მასალის ნაკლებობა მათი ქრონოლოგიის დაზუსტებასაც ართულებს.

ანტონ ალავერდელი – XII ს-ის დამღვეი XIII ს-ის დამღვეი

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარში ანტონ ალავერდელის სახელზე განწესებულია შემდეგი შინაარსის აღაპი: *„ამასვე დღესა აღაპი ანტონი ალავერდელისაი ვინ შეცვალოს შეიმცაცვალებულ არს წესისაგან და სას-*

ჯელისა ქრისტიანეთისა“ (7.51-52). პროხორეს აღაპის ჩაწერიდან ერთი საუკუნის მანძილზე ამ სვინაქსარში აღაპი არ განწესებულა. მხოლოდ XII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან დაიწვეს ახალი აღაპების ჩაწერა და ისიც დიდი შერჩევით. ანასუდღის, ნიკოლოზ გულაბერიძის, ანტონ ალავერდელისა და შოთა მეტურჭლეთუხუცესის აღაპები ის იშვიათი აღაპებია, რომლებიც პროხორეს აღაპის შემდეგ XII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან პირველად ჩაიწერა სვინაქსარში* (6.184). აღაპი ჯვრის მონასტრისადმი გაწეული სამსახურისათვის დაწერილი პირობის წიგნია. ამდენად, სავარაუდოა ჯვრის მონასტერში ანტონ ალავერდელის, სადღეისოდ ჩვენთვის უცნობი, მნიშვნელოვანი წვლილი.

ანტონ ალავერდელისა და შოთა მეტურჭლეთუხუცესის აღაპები ერთი ხელითაა შესრულებული. მსგავსია როგორც ხელი, ისე აღაპის ფორმაც ტექსტის განაწილების წესი სვინაქსარის ფურცლის ქვემო კიდეზე. ანტონ ალავერდელის აღაპი შოთა მეტურჭლეთუხუცესის აღაპის მსგავსად დაწერილია XII-XIII საუკუნეების მიჯნის წვრილი კალიგრაფიული ნუსხურით. ელ. მეტრეველის აზრით, აღაპის პალეოგრაფიული დათარიღება ეჭვს არ იწვევს (7. 51-52). ამასთანავე, დიდია მსგავსება შოთა მეტურჭლეთუხუცესისა და ანტონ ალავერდელის აღაპებსა და ათონის ივერიის მონასტრის №153 აღაპს შორის (7. 51). №153 აღაპი თამარ მეფისა (1184-1213) და კათოლიკოს-პატრიარქის ნიკოლოზ გულაბერიძის (დაახლ. XII ს-ის II ნახ. გარდაიცვალა 1190 წ.) მოსახსენებლადაა განწესებული. ეს მსგავსებაც კიდევ ერთი არგუმენტია საიმისოდ, რომ ანტონ ალავერდელი XII-XIII საუკუნეთა მიჯნის მოღვაწედ მივიჩნიოთ. საისტორიო წყაროებში ვერც ელ. მეტრეველმა და ვერც ჩვენ, ანტონ ალავერდელის შესახებ სხვა ცნობას ვერ მივაკვლიეთ.

ალავერდის შესახებ XIII საუკუნის 30-იან წლებამდე ცნობა არ მოგვეპოვება. ამ პერიოდის პირველი ცნობა

* აღაპის ტექსტის წაკითხვაში დახმარება გაგვიწია ქნმა დალი ჩიტუნაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ.

გეხვედბა 1233 წლით დათარიღებულ აბუსერისძე ტბელის თხზულებაში „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატინე“. აბუსერისძე ტბელის ნაწარმოებში სხვადასხვა სასწაულნი და საკვირველებანია აღწერილი. თხზულების XVI თავში გადმოცემულია ალავერდის წმინდა გიორგის სასწაული, გაგონილი ავტორის მიერ თვით იმ ყრმისაგან, რომელიც სასწაულებრივ გადატანილ იქნა განძიდან ალავერდს. როგორც ჩანს ამ დროისათვის ალავერდი მოქმედია.

ალავერდის ეპარქია მნიშვნელოვნად უნდა დაზიანებულიყო მონღოლთა 1236-1240 წლების შემოსევის დროს. თუმცა მომდევნო პერიოდის საბუთები გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ მიუხედავად ამისა ალავერდის საეპისკოპოსო არ გაუქმებულა. არსებული ფრაგმენტული ცნობების თანახმად XIII საუკუნისათვის ალავერდის კათედრა მოქმედია.

იოანე ალავერდელი

ალავერდელი ეპისკოპოსი იოანე იხსენიება გრიგოლ სურამელის შიომღვიმის მონასტრისადმი შეუვალობის განახლების დაწერილში (1247-1250 წწ.), რომელსაც მღვიმეს აძლევს გრიგოლ ქართლის ერისთავი, „მიმავალი ... წარმართთა თათართა შივან ქრისტეს სჯულისა და ერისა და ეკლესიათა დაცვისათვის.“ (12. 122) საბუთს ამტკიცებენ ქართლის კათალიკოსი და მწიგნობართუხუცეს ყოფილი, „აწ მწირობით წმიდასა უდაბნოსა მღუიმისსა შინა“ „მყოფი“ არსენ IV ბულმაისიძისძე და სხვა სასულიერო და საერო პირები, მათ შორის *იოანე ალავერდელი*: „ქ. ესე ვითა ქართლისა ერისთავსა გრიგოლს დაუწერია თავისა კელითა და მღვმისათვს მათი ნასყიდი სოფელი გავაზელნი უსამართლოდსა ზედა დადებული ბევრისაგან გაუთავისუფლებიან, კოტმნისავე თანა, და წმიდისა მეუფესა ქართლისა ... კათალიკოზსა კანონითა მათითა დაუმტკიცებია, მეცა იოვანე ალავერდელი მტკიცე ვყოფ“ (12. 126).

ალავერდელი ეპისკოპოსი ამოწმებს 1247-1260 წლებით დათარიღებულ ჩაფქვეასძეთა გრიგოლ ვერხუაისძისადმი დაწერილ საბუთს. თუმცა სამწუხაროდ, ამ საბუთიდან

ეპისკოპოსის ვინაობა არ ჩანს: „...მოწამენი არიან: ბექა, მინაი, ალავერდელი, უჩურისძე ინაი, ბოჭოის ძე ვეფხია.“ შესაძლოა ეს იყოს კვლავ იოანე ალავერდელი, გრიგოლ სურამელის საბუთის ერთ-ერთი დამამტკიცებელი (12. 135).

XIII საუკუნის 40-50-იანი წლებისათვის ალავერდის შესახებ მოგვეპოვება ჟამთააღმწერლის ცნობა, თუ როგორ დასაჯა ალავერდის მთავარმოწამემ ხორნაბუჯის ერისთავი, რომელმაც პანკისის ერისთავს თორღუას ხელშეუხებლობა აღუთქვა და პირობა დაარღვია (10. 229-231). ამ ცნობაში საუბარია დავით VII ულუხე და მის მეუღლე ჯიგლა ხათუნზე. „...წარვიდა წინაშე ბათოსა მეფე დავით... და დაუტკევა განმგებელად სახლისა სამეუფოსა დედოფალი ჯიგლა ხათუნ და მესტუმრე ჯიქურ. რამეთუ იყო ესე ჯიქური ერთგული მეფეთა, უმეტეს ყოველთა კაცთა...“ (10. 229-231). დავით მეფემ „თუთოეული თემის-თემისა ადგილი თუთოეულსა კაცსა შევედრის, რომლისათვის კახეთიცა პანკელსა თორღუას შევედრა, და ამცნო რათა ბრძანებასა დედოფლისასა ერჩდეს. ჰგონა თორღუამან არღარა მოსლვა მეფისა, უკუდგა პანკისსა ციხესა, და თვისად დაიჭირა კახეთი...“ (10. 230). დავითი დაბრუნდა „...ვითარ მოიწია ჰერეთს, მიეგებნეს ყოველნი წარჩინებულნი სამეფოსა მისისანი, ხოლო თორღუა შეშინებული უკუდგა პანკისს, ხოლო მეფე მოიწია თბილისს და იყო სიხარული ყოველთა მკვდრთა საქართველოსათა. ხოლო თორღუას მოუწოდა მეფემან, და არა მოვიდა კარვად მეფისა შიშისათვის. და მრავალგზის უწოდა, და ვერ ეძლო გულპყრობად მოსვლად. მაშინ განზრახვითა ჯიქურისათა წარვიდა ხორნაბუჯელი, და მივიდა თორღუას სახლსა, რათა მას მიენდოს, ფიცითა მტკიცითა. ხოლო თორღუა პრქუა: „წარვალ ალავერდს გიორგის წინაშე და მუნ შემომფიცე, და მუნ მიმინდევ. და წარვიდეს ორნივე“ (10. 231).

ალავერდის წმინდა გიორგის ტაძარში „თორღუა გამოება ვესუსა სამოსლისა ალავერდის მთავარმოწამისასა. და მივიდა ხორნაბუჯელიცა, შეჰფიცა და გამოჰსნა ვესუსაგან. ხოლო თორღუამან რქუა: „რა იგი ჰყო ჩემზედა ამან წმიდამან გიორგი გიყოს შენ, რამეთუ მარტო ვარ, და სიკუდილითა ჩემითა უმკვდრო იქმნების მამული ჩემი, ევ-

რეთვე უმკვდრო ჰყოს წმიდამან მთავარმოწამემან სახლი შენი“ (10. 231). ხორნაბუჯის ერისთავმა ფიცი გატეხა, თორღუა პანკელი შეიპყრეს და კლდეკარიდან გადმოაგდეს. ალავერდის მთავარმოწამის აღთქმისა და ფიცის გატეხისათვის ხორნაბუჯელის სახლი მართლაც *„უმკვიდრო იქმნა.“* ჟამთააღმწერლის თანახმად: *„ესრეთ შური იგო ალავერდისა მთავარმოწამემან“* (10. 231).

ბასილი ალავერდელი

ალავერდელი მთავარეპისკოპოსი ბასილი იხსენიება მღვმის კრებულის *ბასილი ალავერდელისადმი დაწერილში. საბუთი პალეოგრაფიული ნიშნებით XIII საუკუნითაა დათარიღებული (12. 190).

ბასილი ალავერდელი მთავარეპისკოპოსისადმი მღვმის კრებულის დაწერილიდან ირკვევა, რომ ბასილი შიომღვიმის მონასტერში აღზრდილა და შემდგომში აქვე გაუჩენია სამწირველო: *„მას ჟამსა, ოდეს დასდევ სასოებაჲ წმიდისა ამის უდაბნოხსა მღვმისა მომართ და წმიდათა მამათა ჩუენთა შიო და ევაგრესათვს, პირველ თვთ აქან ნაზარდი იყავ, ჩუენ ყოველთა გუერდით და ყოველთავე საკუთრებით ერთსულობდი. და იწადნიერე, რადთამცა საუკუნოდ სამლოცველოდ თქუენი ამას უდაბნოსა შინა უკუნი-სამდე გეპულიყო“* (12. 191).

ბასილი ალავერდელმა მღვმის მონასტერში სამწირველო მოძღვრის – ბასილის, ელია მემღვმის, მელქიზედეკ მაწყვერლის, ბასილი თავაურის, ჭყონდიდელ-მწიგნობარის იოვანეს, სამოელისა და უდაბნოს ძმათა შუამდგომლობით გაიჩინა: *„...ყოველთა წმიდათა შუამდგომლობითა და თავსდებობითა დავიწერეთ დაწერილი ესე თქ(უ)ნ, ბასილი ალავერდელ მთ(ა)ვ(ა)რებისკოპოსსა, ჩ(უ)წნ, მღვმეს დამკვდრებულთა ყოველთა კრებულთა, ერთსულობითა ძმათა, დიდთა და მცირეთა ყოველთავე, ერთმანერთისა გამოზრახვითა და ნებისმყოფელობითა: ბასილი მოძღუარმან, მემღვმემან ელია და ყოველთავე ამის უდაბნოხსა ძმათა... და მელქიზედეკ მაწყვერლისა, და ბასილი თავაურისა ძეთა, და ჭყონდიდლისა მწიგნობრისა იოვანე, და სამოელის ხუცესთა პირითა ჩუწნ, ყოველთავე ძმათა გამოგვეცხადე.*

ჩუშნ, ვითა შენდა მომართ სასოებაჲ გუქონდა, ეგრე გავიხარენით და სამწირველოდ თქუშნ მოგაცსენეთ, მღვმეს შინა სახლი და პური უკუდავი ფუძითა ყოვლითურთ, და აგარას ვენაჯი და სახლი, რომლითა ჩუშნ შეგსჯერდით და ვითა დიდ ...რელთა საკურთხეველთა წესსა დარ გაგახინეთ მწირველად თქუშნთს...“ (12. 191)

ასევე XIII საუკუნითაა დათარიღებული „წესი და განგება დარბაზობისა, რომელი აღესრულების მცხეთას კურთხევისა მეფეთასა“ (13. 47-49), სადაც საქართველოს მღვდელმთავართა შორის ამბა ალავერდელი იხსენიება. მეფის კურთხევის ცერემონიალისათვის განწესებული დარბაზობის დროს, ალავერდელი შემოდის და ჯდება ქართლის კათალიკოსის, ჭყონდიდელის, დიდისა სომხითისა მიტრაპოლიტის, მთავარეფისკოპოსისა და მაწყვერელის შემდეგ. საბუთში აღნიშნულია: „შემოვიდეს ამბა ალავერდელი და დაჯდეს ჭყონდიდელსა ქუემოთ, ნატიოთ, უბალიშოდ.“ თავის მხრივ კათალიკოსი, სომხითის მიტრაპოლიტი და მაწყვერელი სხდებიან მეფისგან „მარჯუენით“. ჭყონდიდელი „მარცხენით“, ე. ი. ალავერდელი ჯდება რა ჭყონდიდელის „ქუემოთ“, გამოდის მეფისგან „მარცხენით“ მეორე. ისე რიგით მეექვსე ადგილზეა. ალავერდელს გარდა კახეისკოპოსთაგან „განგება“ ჩამოთვლის ქისიყელ (ბოდბელი), ნინოწმინდელ, რუსთველ, კაწარელ (სამებელი), ხარჭაშნელ, ჭერემელ და გიშელ ეპისკოპოსებს. ამდენად, კახეთიდან რვა ეპისკოპოსია დასახელებული. ყველანი სხდებიან მეფისგან მარცხნივ, ჭყონდიდელის მხარეს. ნატიოთ და ბალიშით მხოლოდ ჭყონდიდელი ზის. ალავერდელი ადგილს იკავებს ნატიოთა და უბალიშოდ, მომდევნონი უბალიშოდ და უნატოდ:

7. „შემოვიდეს ქისიყელი და დაჯდეს ამბა ალავერდელსა ქუემოთ, უნატოდ“.

9. „შემოვიდეს ნინოწმიდელი არქიმანდრიტი და დაჯდეს ქისიყელსა ქუემოთ“.

18. „შემოვიდეს რუსთველი და დაჯდეს წინწყაროელსა ქუემოთ“.

20. „შემოვიდეს კაწარელი და დაჯდეს წინწყაროელსა ქუემოთ“.

28. „შემოვიდეს ხარჭაშნელი და დაჯდეს კარელსა ქუემოთ“.

32. „შემოვიდეს ჭერემ-ქალაქელი და დაჯდეს ბანელსა ქუემოთ“.

35. „შემოვიდეს გიშელი და დაჯდეს დადაშნელსა ქუემოთ“ (13. 47-49).

XIV ს.

ელია ალავერდელი

სინის მთის ქართული მონასტრის სულთა მატეანეში XIV საუკუნის ხელით ჩაწერილია ელია ალავერდელის შემდეგი შინაარსის ალაპი: „სულსა ალ(ა)ვერდელისა ელიას შ(ეუნდო)ს ღ(მერთმა)ნ“ (5. 166).

ამდენად, ალავერდელ მღვდელმთავართა არასრული ქრონოლოგიური რიგი XI-XIV საუკუნეებში ჩვენამდე მოღწეული მასალის საფუძველზე ასეთნაირად გამოიყურება:

XI ს.

გიორგი აბაჲ

XII ს.

სვიმეონ ჭყონდიდელი, ბედიელ-ალავერდელი მთავარეპისკოპოსი XII ს. 20-იანი წწ.

XIII ს.

ანტონ – (XII-XIII სს-თა მიჯანა, XIII ს-ის I მეოთხედი იოანე – 1247-1250

ბასილი – XIII ს.

XIV ს.

ელია ალავერდელი

CHRONOLOGY OF ARCHBISHOPS OF ALAVERDI

The study presents the chronology of the Archbishops of Alaverdi in XI-XIV centuries. As the result of the research, according to the available sources the chronological succession of the Archbishops of Alaverdi has been known. But the paucity of the sources prevented me from reconstructing a complete picture of chronological succession, the life and activities of the Archbishops of Alaverdi.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აბუსერისძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუა-ართყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, 1233 წ., ღ. მუსხელიშვილის გამოცემა, თბ., 1941.
2. ანალები, I, 2005; VI, 2010; VII, 2011, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი.
3. ბარნაველი თ., კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1961.
4. კაჭარავა ე., ალავერდის საეპისკოპოსო კათედრის დაარსება (ეტიუდები), რელიგიის ისტორიის საკითხები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის კომისია, II (იბეჭდება).
5. კლდიაშვილი დ., სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე, თბ., 2008.
6. მეტრეველი ელ., შენიშვნები შოთა მეჭურჭლეთუხუცესის აღაპისა და შოთა რუსთველის ფრესკის ირგვლივ, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ნაკვ. I, თბ., 2007.
7. მეტრეველი ელ., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ. 1962.

8. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები (ავტორები: ზ. აბაშიძე, ე. კაჭარავა, თ. ქორიძე, ქ. ნადირაძე), თბ., 2000.
9. ვ. სილოგავა, XII ს-ის კტიტორული წარწერის ფრაგმენტები ალავერდის ტაძრის საკურთხეველში დავით აღმაშენებლის მოხსენიებით, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, 1992.
10. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, 1955.
11. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბ., 1973.
12. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, I, თბ., 1984.
13. ქართული სამართლის ძეგლები, I, ი. დოლიძის გამოცემა, ტ. II, თბ., 1966.

saqarTvel os kaTol i kos-patriarqis i eoni de
oqropi riZis epistol arul i memkvi dreobi dan

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე (ერისკაცობაში ლონგინოზ ოქროპირიძე) იმ ქართველ სასულიერო პირთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც აქტიურად იბრძოდნენ რუსეთის ხელისუფლების მიერ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში უკანონოდ გაუქმებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. მის სარწმუნოებრივ და პატრიოტული სულისკვეთების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ოჯახურმა გარემომ და იმ წრემ, რომელშიც მას მოღვაწეობა უხდებოდა. მისი ბიძა იყო ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, საქართველოს ეკლესიის წმ. სინოდის მიერ წმინდანად შერაცხული ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე (1824-1907), რომლის მზრუნველობით მან სასულიერო განათლება მიიღო თბილისისა და სტავროპოლის სასულიერო სემინარიებში, ხოლო 1884-1888 წლებში სწავლობდა კიევის სასულიერო აკადემიაში, სადაც იგი ბერად აღიკვეცა და თავისი მოღვაწეობა სარწმუნოებისა და ქვეყნის სამსახურს მიუძღვნა¹.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე ლეონიდე აქტიურ სამისიონერო-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მღვდელმთავრად კურთხევის (1898 წლის 17 აპრილი) შემდეგ იგი სხვადასხვა დროს მსახურობდა გორის, იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიებში.

წმ. ამბროსი (ხელაია) აღმსარებელთან და წმ. კირიონ (საბაგლიშვილი) მღვდელმთავრამესთან ერთად ლეონიდე მეოცე საუკუნის დასაწყისში დაწყებული ქართველ ავტოკეფალისტთა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი იყო. მართალია, მას ისეთი დევნა-შევიწროვება არ განუცდია, როგორც ზემოთდასახელებულ სასულიერო პირებს, მაგრამ ხელისუფლების მიერ მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ლეონიდე ეპისკოპოსი კირიონისა და ამბროსი ხელაიას გადასახლების შემდეგ მეოცე საუკუნის მეორე

ათეულში ერთადერთი პიროვნება იყო, რომლის ხელმძღვანელობით ავტოკეფალისტთა მოძრაობა არ შეჩერებულა. ავტოკეფალისტთა მოძრაობის გამოცოცხლების მიზნით ეპისკოპოს ლეონიდეს 1914 წლისათვის აკაკი წერეთლისათვის უთხოვია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალისტის აღდგენის გამო დაეწერა ჰიმნი². მისი უშუალო ხელმძღვანელობით 1917 წლის 12 მარტს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ეპისკოპოსი ლეონიდე ახალი კათოლიკოს-პატრიარქის არჩევამდე დადგენილი იქნა დროებითი მმართველობის თავმჯდომარედ, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია ახლადავტოკეფალია აღდგენილი ეკლესიის რეორგანიზაციისათვის. 1917 წლის სექტემბერში გამართულ პირველ საეკლესიო კრებაზე კირიონ საძაგლიშვილთან ერთად კათოლიკოს-პატრიარქის კანდიდატურად, დელეგატების მოთხოვნით, ლეონიდეც დასახელდა. მართალია, მან 12 ხმით არჩევნები წააგო, მაგრამ ლეონიდე პირველი იყო, რომელმაც საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრად ახლადარჩეულ კირიონს მიულოცა გამარჯვება. კირიონის არჩევის შემდეგ ლეონიდე თბილისის მიტროპოლიტის მოვალეობას ერთგულად ასრულებდა, მაგრამ „სამშობლოს ქვეყნისა და ეკლესიის ორგულმა აღამიანებმა მოახერხეს უწმინდესსა და უნეტარეს კირიონს შორის დაპირისპირება“³.

წმ. კირიონ მღვდელმთავრის მკვლელობის (1918 წლის 27 ივნისი) შემდეგ 1919 წლის თებერვალში ლეონიდე საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელად იქნა გამოწვესებული.

კათოლიკოს-პატრიარქის ლეონიდე ოქროპირიძის მოღვაწეობის ამსახველი მასალები დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, საქართველოს საპატრიარქოს არქივში და საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში, რომელთა დიდი ნაწილი მკვლევარებისათვის ცნობილია. ჩვენს მიერ საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში არსებულ მის პირად ფონდში მიკვლეული იქნა კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს მიერ 1920 წლის 26 აპრილით დათარიღებული წერილი ვაგზავნილი ინგლისში კენ-

ტერბერიელ ეპისკოპოსისადმი. აღნიშნულ წერილს სრული სახით გთავაზობთ:

„ქრისტე აღსდგა და იგი არს ჩვენს შორის, ნეტარო და ღვთივ საყვარელო ძმაო, დიდებული კენტერბერიის მწვემსმთავარო, მეუფეო ბატონო!

საამო ვალად უდგენ ჩემს თავს ვაუწყო თქვენს მაღალ მეუფებას, რომ საქართველოს ეკლესიამ დაიბრუნა საუკუნის წინათ დაკარგული დამოუკიდებლობა და მდგომარე წელს იდღესასწაულა სამი წლისთავი ავტოკეფალური არსებობისა, რომლითაც იგი არსებობდა მსოფლიო კრებათა დროიდან.

სთვლის რა აღნიშნულ ფაქტს ივერიის ეკლესია უდიდეს ღვთის წყალობად, იგი აღვსილია საღმრთო განგებულებისადმი უღრმესი მადლობით და შვილებრივი სიყვარულით, მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ავტოკეფალობა ხვდა საქართველოს ეკლესიას რევოლუციის, ძველი ღირებულებათა გადაფასების, ათეისტური და ქრისტიანობის საწინააღმდეგო მოძღვრების უამს ფართო საზოგადოებაში.

ამასთან ერთად ხსენებული ეკლესია ყოველი მხრიდან გარემოცულია ფანატიკოს მუსულმანთა მოსახლეობით, რომელიც არც წინეთ და არც ახლა მოსვენებას არ აძლევდა და აძლევს ქრისტიანებს. ამიტომ ამისათვის საძნელო წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა მწვავე კრიზისს და სიძნელეს უნდა განიცდიდეს ამ ათეისტურ მიმართულებასთან და მუსულმანობასთან თავგანწირულად მებრძოლი ქრისტიანობის ობოლი დარაჯი საქართველოს ეკლესია. მიუხედავად აუტანელი გაჭირვებისა ქართული ეკლესია მაინც არ ჰყრის იარაღს და შეურყვნელად სდგას სადარაჯოზე მიშველება-დახმარების იმედით მოძმე ქრისტიანებისაკენ თვალით მიპყრობილი.

„ძმანი ჭირთა შინა სახმარ არიან“ – გვასწავლის ღვთივშთაგონებული მეფე დავითი და აჰა, ქრისტეს მიერ ძმაო, გაჭირვება ჩვენი: როდესაც გააფრთხებული ლომებივით გეკვეთებიან და თავს გვესხმიან ერთის მხრით, ათეისტ-სოციალისტები და მეორე მხრით, მაჰმადიანნი, სტამბის უქონლობის გამო და ადგილობრივ მისი შექმნის შეუძლებლობის მიზეზით, ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებ-

ბას ვავრცელოთ მორწმუნე საზოგადოებაში ქრისტეს მოძღვრება, საღმრთო ბიბლია, საღვთისმსახურო წიგნები და ვაწოდოთ საზოგადოებას ნამდვილი ცნობები ქრისტიანობის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ ევროპაში, ე. ი. დღევანდელი ჩვენი მდგომარეობით ვემსგავსებით ყანაში სამკალად გასულ იმ მუშას, რომლებსაც არც ცელი აქვთ და არც ნამკალი.

ამიტომ, ქრისტიანული კადნიერებით მოგმართავთ თქვენ და თქვენი სახით დიდ ბრიტანეთის მორწმუნე ერს მხურვალე ვედრებით: ძმური დახმარების ხელი გამოუწოდეთ ამჟამად დიდს გაჭირვებაში მყოფ ქართულ ეკლესიას დროის შესაფერისად მოწყობილი სტამბის მოძღვანა-მოშველიებით და ამით მოგვეცით შეძლება, რომ ქრისტიანობის დროშა დაბლა არ დაეხაროთ სასიხარულოდ ურწმუნოება-მუსულმანობისა.

დარწმუნებული, რომ მკვედრეთით აღდგენილი ჩვენი მაცხოვრის სახელით თქვენდამი მომართული ჩემი ხმა გამოიწვევს როგორც თქვენს სამწყსოს გამოძახილს.

დავშთები თქვენდამი უღრმესი პატივისცემით და ქრისტიანული ძმური სიყვარულით სრულიად საქართველის კატოლიკოს-პატრიარქი მდაბალი ლეონიდ პირველი.

26 აპრილი, 1920 წელი, თბილისი⁴.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს პირად ფონდში ამავე ნომრით დაცულია აღნიშნული წერილის ინგლისური თარგმანი, რომელიც საკათალიკოსოს ბლანკიან ფურცელზე ხელნაწერის სახით არის წარმოდგენილი⁵.

საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის წერილი თავისი შინაარსით თავისთავად საინტერესოა. წერილში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე ბრიტანეთის ანგლიკანური ეკლესიის უმაღლეს იერარქს მოკლედ აცნობებს, რომ ახლადავტოკეფალია აღდგენილ საქართველოს ეკლესიას დიდი საფრთხე შეექმნა ათეისტურად განწყობილი სოციალისტების მიერ. წერილში დაკონკრეტებული არ არის, მაგრამ ცნობილია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოსულმა სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ დიდი სიძნელებები შეუქმნა „მონობის ტყვეობიდან“ გათავისუფლებულ

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას. ხელისუფლებამ დახმარების ნაცვლად საგრძნობლად შეზღუდა ეკლესიის როლი. პირველ რიგში მოხდა ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკავება, რაც თვით ეკლესიისათვისაც მისაღები იყო, რადგან სახელმწიფო ვედარ ჩაერეოდა ეკლესიის საშინაო საქმეებში. სკოლებში აიკრძალა საღმრთო რჯულის სწავლება, გაუქმდა საქორწინო რეგისტრაციაში ჯვრისწერა, დაუფინანსებლობის გამო 1918 წელს ფუნქციონირება შეწყვიტა სასულიერო კადრების მომზადების ერთადერთმა სასულიერო სასწავლებელმა – თბილისის სასულიერო სემინარიამ. მისი მდიდარი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი სასულიერო სემინარიის მაშინდელმა რექტორმა, დეკანოზმა კორნელი კეკელიძემ გადარჩენის მიზნით გადასცა ახლადდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტს, სადაც დღესაც ინახება. ხელისუფლების განკარგულებით გაუქმდა დაბალი ტიპის სასულიერო სასწავლებლები და სამრევლო სკოლები⁶.

ხელისუფლების სათავეში მოსულმა ათეისტურმა სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ უარი განაცხადა ეკლესიის დაფინანსებაზე. ღვთისმსახურებისათვის საჭირო წიგნების დაბეჭდვა იმდროისათვის მატერიალური სახსრების უქონლობის გამო შეუძლებელი იყო. ამ მიზნით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ დახმარებისათვის მიმართა კენტერბერიის ანგლიკან ეპისკოპოსს. ქართველი მწვემსმთავრის ადრესატი შემთხვევით არ იქნა შერჩეული. ინგლისში, ჯერ კიდევ, 1804 წელს ჩამოყალიბდა „დიდი ბრიტანეთისა და უცხო ქვეყანათა ბიბლიური საზოგადოება“, რომელიც დაარსების დღიდანვე სხვადასხვა ქვეყნებში ქმნიდა ფილიალებს და საკუთარი დაფინანსებით ბეჭდავდა საღმრთო წერილს, სხვადასხვა სასულიერო ლიტერატურას და თავისთავად გახსნილ იაფასიან მაღაზიებით ახდენდა ღვთის სიტყვის გავრცელებას მოსახლეობაში. ამ საზოგადოების დაფინანსებით, მე-19 საუკუნის 10-იანი წლებიდან ქართულ ენაზე სასულიერო ლიტერატურის რამდენიმე ნიმუში გამოიცა. მათი ფინანსებით პირველი წიგნი „ახალი აღთქმა“ ქართულ ენაზე 1816 წელს დაიბეჭდა მოსკოვში. საზოგადოების ინიციატივით

მე-19 საუკუნის 20-იან წლებში თბილისში გაიხსნა წიგნის საწვობი და იაფასიანი მაღაზია.

ჩვენთვის უცნობია თუ რა გავლენა ჰქონდა კენტერბერის ეპიკოპოსს ბრიტანეთის ბიბლიურ საზოგადოებაზე, მაგრამ უეჭველია, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდეს დიდი იმედი ჰქონდა სტამბის შექმნაში მისი დახმარებისა. საქართველოს ეკლესიის მწვემსმთავრის სურვილს განხორციელება არ ეწერა, რადგან საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ეკლესია ბოლშევიკური რეჟიმის გამო მძიმე ვითარებაში ჩავარდა და ბუნებრივია უცხო ქვეყნის სასულიერო იერარქს დიდი სურვილიც რომ ჰქონოდა, ადგილობრივი ხელისუფალთა წინააღმდეგობის გამო, საქართველოს ეკლესიას დახმარებას ვერ გაუწევდა.


E. BUBULASHVILI

**FROM EPISTOLARY INHERITANCE
OF CATHOLICOS-PATRIARCH
OF GEORGIA – LEONIDE OKROPIRIDZE**

In the scientific work is represented the letter of the Catholicos-Patriarch Leonide. The letter that we found was kept in his private fund in the Central Archive of Georgia, signed by him in 1920 and addressed to Anglican Bishop of Britain. From the letter we find out that the Catholicos Leonide appeals to the leader of the Anglican Church of Britain to help the Georgian Church, which had recently restored its autocephaly, to set out on a printing-house.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე (1918-1921), თბ., 2000, გვ. 3.
2. ე. ბუბულაშვილი, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, ქრისტიანობა საქართველოში, ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევები, თბ., 2000, გვ. 56.
3. ს. ვარდოსანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.
4. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1699, აღწ. 1, საქმე №91, ფურც. 1-2.
5. ე. ბუბულაშვილი, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი 1918-1921 წლების საქართველოში, ლოგოსი, 2003, №1, გვ. 58-59.
6. [ნ. პაპუაშვილი], ბიბლიური საზოგადოება და ბიბლიის სახლი, ჟურნალი „სიტყვა“, 1998, №2, გვ. 4.



ni no mai suraZe

qarTul i xal xuri musi ki s ganvi Tarebi s uZvel esi
safexurebi

I. აღმოსავლეთ საქართველო
(მუსიკალური მასალის ანალიზი)

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ზოგადი ხასიათის მოსაზრებანი ქართული ხალხური სიმღერების საერთო ძირიდან მომდინარეობის შესახებ (ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი, შ. ასლანიშვილი, გრ. ჩხიკვაძე, ვ. გვახარია), თუმცა კულტურის ეს ფენომენი – ხალხური მუსიკა ქართველი ხალხის ეთნიკურ ისტორიასთან, ეთნოგენეზურ საკითხებთან მიმართებაში, XX საუკუნის 60-იან წლებამდე საგანგებო შესწავლის და ინტერპრეტაციის საგანი არ გამხდარა. ამ ასპექტით კვლევისათვის ჩემი ყურადღება მიიქცია შ. ასლანიშვილის მიერ გამოვლენილმა მელოდიის ორმა სახეობამ, რომელთაგან პირველი დადმავალი მიმართულებისაა, მეორე – აღმავალი. მელოდიის ამ ორი სახეობის დამაბოლოებელი ნაწილი ერთგვაროვანია და დაღექილია სიმღერის შედარებით კონსერვატულ ნაწილებში (მოდახილსა და უმთავრესად კი – დამაბოლოებელ ნაგებობებში). ანგარიშგასაწვევია აგრეთვე მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართული ხალხური მუსიკის მრავალსაუკუნოვანი განვითარების მანძილზე გამომუშავდა „ინტონაციური ფორმულები“, რომლებიც ინტონაციური ნორმების სახით ჩამოყალიბდა ქართული ხალხური სიმღერის ყველა განშტოებაში. ამავე დროს ყოველმა განშტოებამ გამოიმუშავა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი „ინტონაციური ნორმები“ (ასლანიშვილი, 1954: 40, 78-82, 96-122).

ქართულ ხალხურ სიმღერებში ასახულია ქართველი ხალხის მუსიკალურ-ესთეტიკური აზროვნების განვითარე-

ბის თითქმის ყველა საფეხური. ამათგან უძველესი, უკანასკნელ დრომდე, საქართველოს მთის მოსახლეობამ შემოინახა. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა ასტრალურ და, განსაკუთრებით კი, მიცვალებულის კულტებთან დაკავშირებული საფერხულოები და ნატირლები, რომლებიც ორგანულად არის დაკავშირებული ქრისტიანობის წინარე ხანის რწმენა-წარმოდგენებთან.

მუსიკალურ ტექსტებს შორის არქიტექტონიკის თვალსაზრისით საყურადღებოა თუშური საფერხულო სიმღერის (ჩაწერილია ფანდურის თანხლების გარეშე) „ქორბეგელას“ ვარიანტები*. პირველ მათგანში (1) ფრაზა (ფრაზები, გარდა ორი უკანასკნელი ფრაზისა) იწყება ფა-დიეზ კილოს მეოთხე




საფეხურით (სი), რომელიც ადის კილოს კვინტაში (დო-დიეზი), შემდეგ, ბგერათრივი დაღმავალი ტალღისებური მოძრაობით ჩამოდის ტონიკაში (ფა-დიეზი). ფრაზის პირველი და მეორე მელოდიური მიმოქცევების დასაწყისში, ტაქტის ძლიერ დროზე მოცემული კილოს მეოთხე საფეხური, კვინტის დიაპაზონის მომცველ მელოდიაში, აძლიერებს კვარტის ინტერვალის (ფა-დიეზ - სი), როგორც მელოდიის ჰარმონიული საყრდენის შეგრძნებას. მეორე ვარიანტში (2)



ფრაზა (ფრაზები) კილოს კვინტით (დო-დიეზი) იწყება, რომელსაც მოსდევს ბგერათა დაღმავალი მოძრაობა ტონიკამდე (ფა-დიეზი). აქ, მელოდიის დასაწყისში, კილოს კვარტას ჩაენაცვლა კვინტა (დო-დიეზი). ამავე დროს კვინ-

* ჩემს მიერ გაანალიზებული მრავალრიცხოვანი მუსიკალური ტექსტებიდან წინამდებარე ნაშრომში მხოლოდ ტიპიური ნიმუშებია წარმოდგენილი.

ტის ინტერვალი (ფა-დიეზი – დო-დიეზი) მელოდიის ჰარმონიულ საყრდენად იქცა. „ქორბელელას“ (ან „ლაშარის სიმღერის“) მესამე ვარიანტში (3) დიაპაზონი აგრეთვე კვინტის ინტერვალს მოიცავს. ფრაზების დასაწყისში, ერთი მხრივ, წარმოდგენილია მელოდიის დადმავალი მოძრაობა



კილოს კვინტიდან ტონიკამდე, მეორე მხრივ – აღმავალი, კილოს ტერციიდან კვინტამდე, რომელსაც კვლავ ბგერათა დადმავალი მოძრაობა მოსდევს. მელოდიის ამ ორი მიმართულების შუალედური (გარდამავალი) ფორმაა მელოდიის დასაწყისში კილოს კვინტის შემზადება კვარტით, ანუ ბგერათა მოძრაობა კილოს კვარტიდან კვინტაში, შემდეგ კი, დადმავალი სვლა ტონიკაში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მელოდია, რომლის დასაწყისში მოცემულია ბგერათა აღმავალი მოძრაობა კილოს ტერციიდან კვინტაში, მოგვიანებით, თუშთა სასიმღერო შემოქმედებაში, სეკვენტურად მოძრავ, მკვეთრ ოთხ ფრაზად დაყოფილ საცეკვაო ხასიათის სიმღერად ჩამოყალიბდა (ასლანიშვილი, 1956: 113-119).

საფერხულო სიმღერებში რიტმულ-ინტონაციურად ცალკეული მელოდიური მიმოქცევებისა თუ ფრაზების შერჩევა ცხადყოფს, რომ ამ სიმღერების მელოდიურ-ინტონაციური საფუძველი ბგერათა დადმავალი მოძრაობაა კილოს კვარტიდან ტონიკამდე. ამავე საფუძველს ემყარება თუშური ისტორიულ-საგმირო სიმღერა „დიკლოს მოვიდა“ (4).



ინტონაციურად და სამწილადი მეტრით, ეს სიმღერა ახლოს დგას ზემოხსენებულ საფერხულოებთან, განსა-

კუთრებით – №1 „ქორბეღელასთან“. ამავე დროს მას გააჩნია უშუალო ვარიანტი „თუშო ნუ მიხვალ ხოშარას“ (5), რომლის მელოდია ბანში ნაწილობრივ ემყარება გაფართოებულ VII საფეხურს.




თუშური „ქორბეღელას“ (1, 2) ვარიანტია „მაყრული“ (6). ფიქრობენ, რომ ფერხულებისათვის დამახასიათებელი სამწილადი ზომისა და რბილი სინკოპის გამო, „მაყრული“



იმ საფერხულოთა რიგს უნდა მიეკუთვნებოდეს, რომლებიც სრულდება ქორწილში, ნეფის სახლში პატარძლის შესვლისას და კერის ირგვლივ შემოვლის დროს. ფერხულებისათვის დამახასიათებელ ზემოაღნიშნულ ნიშნებთან ერთად, ტაქტების კენტი რიცხვი, დაღმავალი მოძრაობა კილოს კვინტიდან და კვინტის კვარტით მომზადება, უნდა მიგვანიშნებდნეს ამ მელოდიის აღმოსავლეთ საქართველოში ძველთაგანვე გავრცელებაზე (ასლანიშვილი, 1956: 110-111).

თუშურ საფერხულო სიმღერებთან მიმართებაში საყურადღებოა მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული სამგლოვიარო სიმღერის „დალაფს“ ვარიანტები (7). №7.1 „დალაფს“ პირველი ფრაზა №2 „ქორბეღელას“ უშუალო



ვარიანტია. №7.2 „დალაღს“ პირველ ფრაზაში წარმოდგენილია ნახტომი კილოს ტერციდან (სი-ბემოლი) კვინტაში (რე), შემდეგ – დაღმავალი სვლა ტონიკაში (სოლ). მელოდიის დასაწყისში ბგერათა ამგვარი მოძრაობის გამო, „დალაღ“ უშუალოდ უკავშირდება „ლაშარის სიმღერის“ (3) ვარიანტებს. ორივე მათგანს თითქმის მთელ საქართველოში გავრცელებული საწესო საფერხულო სიმღერის „იავნანას“ მარტივ სახეობად მიიჩნევენ (ასლანიშვილი, 1956: 110-112, 151).

თუშური ისტორიულ-საგმირო სიმღერები მელოდიურ-ინტონაციურ კავშირს ავლენს საფერხულოებთან. ასეთებია მაგალითად, „ეს შემოდგომის ხან მოვიდა“ (8.1), „პატარა დავრჩი ობოლი“ (8.2), „ქალაქ მეტეხის ციხეო“ (8.3), „ზეზვა გაფრინდაული“ (8.4), „თუშური სიმღერა“ (8.5). ფიქრობენ, რომ „თუშური სიმღერის“ კადანსში წარმოდგენილი მელიზმატიკური მელოდიური მიმოქცევა, კახური სიმღერების გავლენის შედეგია; კილოს მეოთხე საფეხური (სი),




რომელზეც აგებულია ეს მელიოდიური მიმოქცევა, ფრაზების შემაერთებელი ინტონაციაა (ასლანიშვილი, 1956: 80, 115). იგი თავს იჩენს ქართლურ სიმღერებშიც (9).



ზოგიერთ ფრაზაში შეინიშნება მელოდური მიმოქცევების გაფართოება (10). ასეთ შემთხვევაში მუსიკალური ფრაზა, ნაცვლად ლექსის ერთი ტაქვისა, ორ ტაქვს მოიცავს. ფრაზის შიგნით მელოდურ მიმოქცევათა გაფართოება,



ახალი ფრაზების წარმოშობის და მათი შედარებით დიდ ფორმაში გაერთიანების საწინდარია. გაფართოებული მელოდური მიმოქცევების საფუძველზე წარმოქმნილი ფრაზები საკმაოდ გამოკვეთილია და საბოლოოდ, ოთხი ფრაზისაგან შემდგარ წინადადებას ქმნის. მელოდის გაფართოება კვინტის დიაპაზონში მიმდინარეობს. ხანდახან მელოდიაში ჩნდება კილოს მეშვიდე საფეხური (11), რომელიც



დიაპაზონს აფართოებს სექსტამდე. ამ შემთხვევაში იგი ბანის VII საფეხურად გაიაზრება. კვინტის დიაპაზონით შემოიფარგლება აგრეთვე იმ სიმღერების მელოდები, რომლებიც გენეტურად დაკავშირებულია თუშთა მუსიკალური აზროვნების განვითარების უძველესი ეტაპების ამ

სახველ სიმღერებთან (ასეთებია მაგალითად, „მეცხვარის



სიმღერა“ (12.1), „ეს შემოდგომა მოვიდა“ (12.2), „ჯარისკაცის სიმღერა“ (12.3) და სხვ. რიგ სიმღერებში – „იასხარის სიმღერა“ (13.1) „შამილის დაჭერის სიმღერა“ (13.2) „ჯოყოლას სიმღერა“ (13.3) – მელოდიის დიაპაზონი გაფართოებულია სექსტამდე და სექტიმამდე. სიმღერებში – „ეს შე-



მოდგომის ხან მოვიდა (14.1) „ზეზვა გაფრინდაული“ (14.2) „მოვიდა გიორგობისთვე“ (14.3) და სხვ. – დომინანტური ფუნქციის მატარებელი კილოს მეორე საფეხური ხშირად ხაზგასმულია მელოდიის დამაბოლოებელი ახალი ფრაზით, ან საკადანსო ფრაზის გამეორებით. მუსიკალური აზრის დამაბოლოებელი ფრაზა ხშირ შემთხვევაში გამოირჩევა ტონიკური ბგერის მრავალჯერადი გამეორებით.

ყველა ზემოხსენებული ერთხმიანი სიმღერები საკრავის თანხლებით სრულდება (თუმცა ჩაწერილია საკრავის თანხლების გარეშე). თუშ რესპოდენტა (მთხრობელთა) გადმოცემით, თუ ხელთ საკრავი არა აქვთ, სიმღერას ბანის თანხლებით ასრულებენ. ფანდურს და გარმონს არა მხოლოდ აკომპანემენტის ფუნქცია აქვთ, არამედ ამ საკრავებზე ხშირად გადატანილია მელოდიაც. მაგალითად, ფანდურზე გადატანილია სალამურის ჰანგები, რომლებიც ხშიერი მუსიკის ტრადიციაზეა შექმნილი. ასეთებია

ზგეხა სი უახლოვება დოს

სიმღერები „ვაცის გადაყვანისას“ (15) და „ვაცის გადაყვანის შემდეგ“ (16). არსებობს აგრეთვე „ვაცის გაქეჩვასთან“ დაკავშირებული სიმღერა, რომელიც სალამურზეა შესრულებული. შენიშნულია, რომ ეს სიმღერა სრულდება არა მხოლოდ ცხვრის გაქეჩვისას (ნიშნავს გარეკვას, გაძღოლას), არამედ – ცხვრის მოგროვების დროსაც (ასლანიშვილი, 1956: 132; შილაკაძე, 1970: 73). გარმონზე და ბალაღაიკაზე სრულდება თუშური საცეკვაოები და მელიოდიები, მაგალითად, „თუშური საცეკვაო“ (17.1) „ძველებული საცეკვაო“ (17.2) და სხვ.

The image shows four systems of handwritten musical notation. The first system is labeled '17.1 ზაღაღაიკა' and features a treble staff with a melody and a bass staff with a rhythmic accompaniment. The second system is unlabeled but continues the piece. The third system is labeled '17.2 ვახშონი' and also consists of two staves. The fourth system continues the second piece. The notation includes various note values, rests, and clefs.


თუშებში საკრავებს შორის, დიდი უპირატესობით სარგებლობს გარმონი, რომელმაც თუშთა სასიმღერო შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა. გარ-

მონიკა ან „ბუზიკა“ მთიელთა სამუსიკო პრაქტიკაში შემოტანილია ჩრდილო-კავკასიიდან XIX საუკუნეში. მთაში ამ საკრავის სხვადასხვა სახეობაა გავრცელებული (ჩხიკვაძე, 1960: XIX-XX). გასულ საუკუნეში, თუშებში გავრცელდა ბალაღაიკა, რომელიც აგრეთვე ჩრდილო-კავკასიიდან უნდა იყოს თუშეთში შემოტანილი. ბალაღაიკა გავრცელებულია ჩანჩეთ-ინგუშეთსა და პანკისის ხეობის ქისტებში. გარმონის აკომპანემენტი გარკვეულწილად უნდა ჩანაცვლებოდა ორხმიან სიმღერებში ბანის მთქმელის ფუნქციას. თავად თუშური მელოდიის ინსტრუმენტული ხასიათი (დამხმარე ბგერების უხვად გამოყენება, მეღიზმები, ორნამენტისა) ახსნილია მასზე საკრავიერი მუსიკის გავლენით (ასლანიშვილი, 1956: 124; ჩხიკვაძე, 1960: XVII).




თუშური სიმღერები ძირითადად მინორულ – ეოლიურ და ფრიგიულ კილოებში სრულდება. ფრიგიულ კილოში შეინიშნება გადიდებული სეკუნდა კილოს მეორე და მესამე საფეხურებს შორის, იშვიათად ჩნდება დორიული კილო. ასეთთა რიგს მიეკუთვნება „შამილის დაჭერის სიმღერა“ (18.1), „მოვიდა გიორგობისთვე“ და სხვა (18.2).

თუშური სიმღერები ორხმიანია. ერთხმიან სიმღერებში ხანდახან ფარული ორხმიანობა იჩენს თავს. მაგალითად, სიმღერაში „უნდა მოგწერო წერილი“ (19.1), ფრაზების დასაწყისში მოცემული კილოს ტონიკა (რე) მელოდის ჰარმონიულ საყრდენად გაიაზრება. საყურადღებოა, რომ სიმღერაში არ ხდება ტონიკური ბგერის დროებითი



შენაცვლება კილოს მეშვიდე (დომინანტური) საფეხურით. მსგავსი მაგალითი გვხვდება საკრავის (გარმონის) თანხლებით შესრულებულ სიმღერაში „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ (19.2), რომლის პირველი წინადადების ჰარმონიული საყრდენი კილოს ტონიკაა (ლა). სიმღერაში „შირაქში წასვლას ამბობენ“ (19.3), წინადადების ბოლოს ჩნდება კილოს მეშვიდე საფეხური, რომელიც ბანის VII საფეხურის ფუნქციას იძენს. მრავალხმიანობის თვალსაზრისით საყურადღებოა სამგლოვიარო სიმღერა „დალა“ (19.4), რომელიც ფარული ორხმიანობის ნიმუშია. იგი მთქმელის და გუნდის მონაცვლეობით სრულდება. ნიშანდობლივია მოსაზრება იმის შესახებ, რომ გუნდი არ იმეორებს დამწყების მელოდიას, არამედ მის მიერ შესრულებული ნაწილი მელოდიზირებული შებანებაა, რომელიც I-VII საფეხურებზეა აგებული (ნაკაშიძე, 2004: 78. შეადარეთ Жордания, 1989: 80-81). თუშურ საფერხულო სიმღერებთან მიმართებაში აღსა-



ნიშნავია ფშაური საქორწილო საფერხულო „ჯვარის წინასა“. ვარიანტებიდან (20) ჩანს, რომ „ჯვარის წინას“ მელოდია გაფართოებულია კილოს კვინტიდან სეპტიმამდე. ფშაური „ჯვარის წინას“ (21.1) შედარება თუშურ „ქორბელე-



ლასთან“ (21.2) უეჭველად მიგვანიშნებს მათ საერთო მელოდიულ-ინტონაციურ წარმომავლობაზე. „ქორბელელასაგან“ განსხვავებით ფშაურ საფერხულოს ახასიათებს რიტმული შეხერება ფრაზის ბოლოს, ფრიგიული კილოს მეორე საფეხურზე, რის გამოც წინ არის წამოწეული გადიდებული კვარტის ინტერვალი კილოს კვინტასა და დადაბლებულ მეორე საფეხურს შორის.



ფშაური „ფერხისები“ „ჯვარის წინას“ უშუალო ვარიანტებია (22). „ჯვარის წინას“ ინტონაციებზეა აგებული ფშაური „დექსობა“ (23), რომლის მელოდია კვინტის დიაპაზონს მოიცავს. მისთვის დამახასიათებელია რიტმულად მყარი საკადანსო საფეხურების (VII, I) ხელმეორედ გამეო-

რება, რაც ფშაური სიმღერებისათვის დამახასიათებელ ინტონაციურ საქცევს ქმნის.



ფშაურ სასიმღერო შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საყოფაცხოვრებო სიმღერებს – „ფშაურებს“, რომლებიც საფერხულოების ტრადიციაზეა შექმნილი. მათ შორის №24.1.



ინტონაციურად უშუალოდ ენათესავება „ჯვარის წინას“ მუსიკალურ ტექსტებს. მათგან განსხვავებით „ფშაური“ თხრობითი ხასიათის მქოლია, რომლის მეტრი განუსაზღვრელია. „ფშაურის“ ვარიანტები (24.2, 3) გამოიყვება ორნამენტით – ფართო მელოდიური სვლებით და რიტმული ნახაზებით. საფერხულო სიმღერების ანალოგიურად, „ფშაურები“ სრულდება ორი მთქმელისა და მობანეთა მონაცვლეობით. „ფშაურების“ ვარიანტია სატრფიალო სიმღერა „ქალო“ (25).




ზემოსენებულ სიმღერებში წინადადების ბოლოს შენიშნულია მოკლე ფრაზის არსებობა, რომელიც წინა ფრაზის ან დამაბოლოებელი მელოდიური მიმოქცევის გამეორებაა (ასლანიშვილი, 1956: 46). იგი „ლექსობაში“ (23) წარმოდგენილი კადანსის განვითარებული ფორმაა, რომელიც სიმღერის ძირითად ნაწილთან ერთად, ფშაური სიმღერებისათვის დამახასიათებელ ინტონაციურ თავისებურებას ქმნის. აღსანიშნავია, რომ დამაბოლოებელ ფრაზებში ბანის VII საფეხური, ყველა შემთხვევაში, მელოდიას უერთდება კილოს მეორე საფეხურზე და წყდება ტონიკაში. ფშაურ სიმღერებში გაბატონებულია მინორული კილოები, იშვიათად ჩნდება მიქსოლიდიური კილო. ფრიგიულ კილოს ახასიათებს ფრაზების ბოლოს მოცემული მცირე სეკუნდა, რომლის სიმყარის გამო მელოდიურ მონაკვეთებში ჩნდება გადიდებული კვარტის უღერადობა კილოს კვინტასა და მეორე საფეხურს შორის. ამ კილოს ვარიანტები იქმნება ტერციისა და სექსტის შეცვლით. დიდი ტერციის გამოყენების შემთხვევაში, მელოდიის დადმავალი მოძრაობისას ჩნდება გადიდებული სეკუნდა კილოს მეორე და მესამე საფეხურებს შორის, ხოლო დიდი სექსტა (წარმოქმნილი მეექვსე საფეხურის ამალღების შედეგად) ქმნის გადიდებულ კვინტას (Аракишвили, 1948: 9; ასლანიშვილი, 1956: 44-45; ჩხიკვაძე, 1960: XVIII; მაისურაძე, 1971: 66-68, 70). დროთა განმავლობაში დამკვიდრებულმა ფშაური სიმღერებისათვის დამახასიათებელმა ნიშნებმა განსაზღვრა მისი ხალხური სახელწოდება „ფშაური“ ან „ფშაური კილო“. „ფშაური კილო“ პროფესიულ მუსიკაში დამკვიდრება უკავშირდება კომპოზიტორ შალვა მშველიძის სახელს (ღონაძე, 1946: 15). აღსანიშნავია, რომ საყოფაცხოვრებო

სიმღერები „ფშაურები“, ამავე სახელწოდებით გავრცელებულია ხევისურეთში, გუდამაყარსა და მთიულეთში.

ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ზემოხსენებული ფშაური სიმღერები ენათესავება საფერხულო სიმღერებს, რომლებიც, თავის მხრივ, უშუალო მელოდირ-ინტონაციურ კავშირშია თუშურ საფერხულოებთან.




ფშაური „ფერხისების“ ანალოგიურად ხევისურული „ფერხისულებისათვის“ დამახასიათებელია ფრიგიული კილო, რიტმული შეჩერება კილოს მეორე საფეხურზე, გადიდებული კვარტის ჟღერადობა კილოს მეორე და მესამე საფეხურებს შორის. ხევისურული „ფერხისულები“ ფართო დიაპაზონით გამოირჩევა, მელოდია ზოგჯერ ოქტავის დიაპაზონს



მოიცავს. ხევისურული ისტორიულ-საგმირო სიმღერა „ზენაით იბარებიან“ (27.1) სქემატურად იმეორებს თუშურ, ფშაურ და ხევისურულ საფერხულოებს. იგი ეოლიურ კილოში სრულდება, თუმცა მის უშუალო ვარიანტში „შატილ მოვიდის ლაშქარი“ (27.2) შეინიშნება ფრიგიულ კილოში გადახრა. „სიმღერა


ხასმატზე“ (28), რომელიც საყოფაცხოვრებო ხასიათისაა, მელოდიურ-ინტონაციურად თითქმის იმეორებს საფერხულოებს.



ხევსურულ სასიმღერო შემოქმედებაში გამოირჩევა რიგი საწესო და ისტორიულ-საგმირო სიმღერებისა – „ჯვარიონის სიმღერა“ (28.1), „ბელლისკრული“ (28.2), „საქორწინო სიმღერა“ (28.3), „გვარის სიმღერა“ (29.4), „კობა ცისკარაული“ (29.5) (რომლის თანმხლები ფანდურის აკომპანემენტიდან ჩანს, რომ მელოდიის საყრდენი კვარტაა (რე-სოლ)), „თახზე მღერა“ (29.6), „ურჯულო რჯული“ (29.7). მუსიკალური წყობის თვალსაზრისით ამ სიმღერების მელოდია მიჩნეულია ქართული მუსიკალური ფოლკლორის უძველეს ფორმად. შენიშნულია, რომ ბგერათა




დაღმავალი მოძრაობის დროს მელოდიის დამახასიათებელ ინტონაციას წარმოადგენს სვლა ქვევით, ტერციის საშუალებით კვარტისაკენ (ფა – რე – დო; დო – სი-ბემოლ – სოლ), რაც ფრაზებს პენტატონიკურ უღერადობას სძენს (ასლანიშვილი, 1956: 26-27; ჟორდანია მ., 1959: 19-20). ზემოსხენებულ დეკლამაციური ხასიათის სიმღერებში ჩანს ჩამოყალიბებული კილოებრივი აზროვნება, რომელმაც რელიქტის სახით შემოინახა მუსიკალური გამომსახველობის უძველესი ფორმა – ანჰემიტონური პენტატონიკა. რიგი ხევსურული ისტორიულ-საგმირო თუ საყოფაცხოვრებო




სიმღერებისა, ხევსურთა განმარტებით „ფშაურად“ სრულდება. მაგალითად, ისტორიულ-საგმირო სიმღერებში (30.1,2) ფრაზების ბოლოს მოცემულ კადანსებში შეინიშნება ფშაური „ლექსობის“ (23) გავლენა. ხევსურეთში გავრცელებული საყოფაცხოვრებო სიმღერები, „ფშაურის“ სახელწოდებით ორნამენტიკით და ინტონაციურად უახლოვდება ფშაურ „ფშაურებს“ (31), იმ განსხვავებით, რომ ხევსურულში არ ხდება ფრაზისა თუ ფრაზის დამაბოლოებელი მელოდიური მიმოქცევის გამეორება მისი ხაზგასმის მიზნით. გარდა ამისა, ფშაურ „ფშაურებში“ ჩნდება ფრიგიული კილოს ვარიანტები.



ფშაური და ხევსურული საფერხულო და ნაწილობრივ ინტორიულ-საგმირო სიმღერები გენეტურ კავშირშია თუშურ საფერხულოებთან. თუშურისაგან განსხვავებით ფშაური და ხევსურული სიმღერების შემდგომი მელოდირ-ინტონაციური და ჰარმონიული განვითარება ერთხანს საერთო გზით მიმდინარეობს. უფრო მოგვიანებით, ფშაური სასიმღერო შემოქმედება სცილდება ხევსურულს და უჩნდება გარკვეული მელოდირ-ინტონაციური და ჰარმონიული თავისებურებანი, რომლებიც მხოლოდ მისთვის, ფშაური სიმღერებისათვის არის დამახასიათებელი.



გუდამაყრულ საფერხულოებს შორის (32.1,2) ყურად-
 ლებას იქცევს სამხმინი სიმღერა „ჯვარის წინასა“ (32.1)
 რომლის ძირითადი მელოდია (მეორე ხმა) მოიცავს კვარ-
 ტის ან კვინტის დიაპაზონს. მაგალითიდან ჩანს, რომ მე-
 ლოდიურ-ინტონაციურად „ჯვარის წინასა“ გენეტურ კავ-
 შირშია თუშურ და ფშავ-ხევსურულ საფერხულო სიმღე-
 რებთან. განსაკუთრებით საწყისი ბგერებით პირველი წინა-
 დადება ახლოს დგას „ქორბეღელას“ (1) და „მაყრულის“
 (6.1, 2) ვარიანტებთან. მათგან განსხვავებით, გუდამაყრულ
 საფერხულოში ლა კილოს მეორე საფეხური, რომელიც
 ბანში VII საფეხურს ემყარება, ხაზგასმულია ახალი, დამა-
 ბოლოებელი ფრაზის სახით. „ჯვარის წინას“ ვარიანტში
 მელოდიის დიაპაზონი გაფართოებულია სექსტამდე. გუდა-
 მაყრული სამხმინი „ფერხისას“ (33) მელოდია „ჯვარის
 წინას“ მუსიკალური ტექსტების ვარიანტია.



გუდამაყარში გავრცელებული „ფშაურები“ (34)
 სტრუქტურულად ხევსურულ „ფშაურებს“ ენათესავება.



მთიულური სიმღერების ორ და სამხმინ ვარიანტებ-
 ში ძირითადი მელოდია უშუალო კავშირშია გუდამაყრულ
 საფერხულოებთან (35). მთიულური „ჯვარის წინასა“ (35.5),
 ფრაზის ბოლოს მოცემული რიტმულად მყარი მეორე სა-
 ფეხურით (სი-ბემოლი) და გადიდებული კვარტის უღერა-
 დობით (ლა კილოს მეორე და მეხუთე საფეხურებს შო-
 რის) ხევსურული „ფერხისულის“ და ფშაური „ჯვარის წი-

35.1

35.2

35.3

35.4

35.5

ნას“ ვარიანტებს ენათესავება. მთიულური „ჯვარის წინას“ (35.5) ინტონაციებზეა აგებული შრომის სიმღერა „ნამგლური“ (36). სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია ხევისურული, ფშაური და მთიულური საფერხულოებისა და „ნამ-




გლურის“ ურთიერთკავშირის შესახებ (ჩხიკვაძე, 1940: 46-47; Чхиквадзе, 1957: 43; ასლანიშვილი, 1954: 281-282; მაისურაძე, 1971: 158-161). საფერხულო სიმღერებიდან მომდინარეა აგრეთვე „ნამგლური“ (37.1) და საყოფაცხოვრებო სიმღერა „ღოროქედანო“ (37.2).



მთიულური „ლომისური“ (35.4) სრულდება არა მხოლოდ ფერხულში, არამედ საწესო სიმღერის სახითაც. მთხრობელთა გადმოცემით საწესო სიმღერა „ლომისური“ (38.1), მთიულური „ჯვარის წინას“ (38.2) „ხმაზე“ სრულდება. ეს უკანასკნელი მოხეური „დიდების“ (38.3) უშუალო ვარიანტია. მთიულურ სიმღერებს ახასიათებს მუსიკალური გამომსახველობის თავისებური ფორმა, რომლითაც იგი განსხვავდება არა მხოლოდ გუდამაყრული, არამედ – მოხეური სიმღერებისაგან. მაგალითად, მთიულურ „ფერხისაში“ (39) ყოველი მეორე წინადადება ბანში ემყარება გაფართოებულ VII საფეხურს, რომელიც განამტკიცებს წინა

წინადადებაში მოცემულ ბანის VII საფეხურს. ამავე დროს წინადადებებს შორის წარმოიქმნება დიალოგი.




მთიულური საწესო სიმღერის „ლომისის ჯგერისა“ (40) შუა ხმაში შეინიშნება „იავნანას“ ინტონაციური გავლენა. მთიულურ სიმღერებს შორის საყურადღებოა საყოფაცხოვრებო სიმღერა „ფშაური“ (41), რომელიც სტრუქტურულად და ინტონაციურად ზემოთ წარმოდგენილ „ფშაურებს“ უკავშირდება.




მთიულეთში გავრცელებულია რიგი ქართული სიმღერებისა: „ბერიკაცი“, „ჩაფუხტეთ ბარათაშვილსა“, „გაფრინდი შავო მერცხალო“ და სხვ. (ჩხიკვაძე, 1960: XVIII).

აღმოსავლეთ საქართველოს მთიულთა საფერხულო სიმღერებს შორის საინტერესოა მოხეური „გერგეტულა“ (42), რომლის ძირითადი მელოდიური ქსოვილი კვარტის ან კვინტის დიაპაზონს მოიცავს. იგი გენეტურ კავშირშია აღმოსავლეთ საქართველოს მთიულთა საფერხულოებთან.



„გერგეტულას“ გააჩნია უშუალო ვარიანტები, მათ შორის – „საფერხულო“ (43.1). მოხეურ სასიმღერო შემოქმედებაში



დამკვიდრებულია საწესო საფერხულო სიმღერა „იავნანა“ (44.1). მელოდიის ინტონაციური მხარე მიგვანიშნებს, რომ



მომღერალმა (რომლის მიერ შესრულებულია ძირითადი მელოდია) ერთმანეთს შეუთავსა „იავნანას“ სამხშიანი ვარიანტის ძირითადი და ზედა, პირველი ხმები. ეს ნათლად ჩანს მისი შედარებისას ქართლურ „იავნანასთან“ (44.2). „იავნანას“ მელოდიის ძლიერი გავლენა შეინიშნება მოხეურ სამხშიან საქორწილო სიმღერაში „ჯორული“ („ჯვარული“) (45.1), რომლის შუა ხმა ძირითადად „იავნანას“ მელოდიაზეა აგებული; სუფრულ სიმღერაში „სმური“ (45.2), შრომის სიმღერაში „მთიბლური“ (45.3), რომლის უშუალო ვარიანტია „არაღე“ (45.4). „იავნანას“ მელოდიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მოხეური სასიმღერო შემოქმედების შემდგომ განვითარებაში.

45.1

45.2

45.3

45.4

ზემოთ წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალა მრავალმხრივია საინტერესო: გამოვლინდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა საფერხულო სიმღერების გენეტური ერთობა, რომლის საფუძველია კვარტის დიაპაზონის მომცველი ჰანგი „მინორული“ უღერადობით და ბგერათა დაღმავალი მოძრაობით კილოს კვარტიდან ტონიკამდე. ვარიანტებში გამოირჩევა მეტ-ნაკლებად განსხვავებული რიტმულ-ინტონაციური გამომსახველობით. ეს ფუძე-ჰანგი ან მელოდირი ფორმულა თავს იჩენს ისტორიულ-საგმირო და საყოფაცხოვრებო სიმღერებში, რომლებიც ქართველთა

მუსიკალური აზროვნების განვითარების უძველეს ეტაპებს ასახავს. მასალაში ჩანს, ფუძე-ჰანგის თანდათანობით გაფართოების გზები. მელოდიის დასაწყისში, იგი გაფართოებულია ბგერათა აღმავალი სვლით კილოს კვარტიდან ან ტერციდან კვინტამდე დაღმავალი მოძრაობით კვინტიდან (სექსტიდან, სეპტიმიდან, ოქტავიდან) ტონიკამდე. მელოდიის გაფართოების შედეგად თავდაპირველი ფუძე-ჰანგი ინაცვლებს სიმღერის დასკვნით ნაწილში. სწორედ ეს მელოდიური ფორმულა ან ფუძე-ჰანგი უნდა იყოს დაღეკილი სიმღერების დასკვნით ნაგებობებში. კილოს კვარტის კვინტით შენაცვლება გარდამავალი ფორმაა დაღმავალი და აღმავალი მიმართულების მქონე მელოდიებს შორის, მაგრამ ამავე დროს, იგი სიმღერის დამახასიათებელ ინტონაციურ თავისებურებას ქმნის ისე, როგორც ბგერათა აღმავალი მოძრაობა კილოს ტერციდან კვინტაში. ანალიზმა გამოავლინა, ფუძე-ჰანგის შემდგომი განვითარების პროცესი, რაც აღინიშნება ფრაზის შიგნით მელოდიური მიმოქცევების თანდათანობითი გაფართოებით და მათი უფრო დიდ ფორმაში – წინადადებაში გაერთიანებით. ფუძე-ჰანგის გაფართოება იმავდროულად მისი დიფერენციაციის საწინდარი გახდა. მელოდიურ-ინტონაციური თავისებურებანი, რომლებიც ფუძე-ჰანგის გაფართოების შედეგად წარმოიქმნა, მოგვიანებით ცალკეული მუსიკალური დიალექტების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ნიშნად იქცა.

* * *

თუშური ერთხმიანი საფერხულო „ქორბედელა“ ფანდურის თანხლებით სრულდება. ფშაური და ხევსურული საფერხულოები („ფერხისული“, „ფერხისა“) ორხმიანია, გუდამაყრული, მთიულური და მოხეური – ორი და სამხმიანი. ფშაური საფერხულოს „ჯვარის წინას“ მუსიკალურ ტექსტებში (46.1), ბანში VII საფეხური ჩნდება ფრაზის დასასრულს, მელოდიაში მოცემულ კილოს მეორე საფეხურთან კავშირში და წყდება ტონიკაში. ფშაურ „ფერხისაში“ (46.2) კილოს მეორე საფეხური გაფართოებულია. ხევსურულ „ფერხისულში“ (47.1). ბანში VII საფეხური ჩნდება კილოს გაფართოებულ მეორე საფეხურზე, რომელიც ძირ-

46.1

46.2

47.1

47.2

47.3

თაღად იმეორებს მელოდიას. „ფერხისულის“ ორი დანარჩენი ვარიანტიდან (47.2,3), ერთში ცალკეული ფრაზები, მეორეში კი ყველა ფრაზა ბანში ემყარება გაფართოებულ VII საფეხურს, რომელიც ფრაზის ბოლოს კვლავ უბრუნდება თავდაპირველი კილოს ტონიკას. მუსიკალური მასალიდან ჩანს, რომ ბანის VII საფეხური მელოდიის გაფართოების შესაბამისად თანდათან ფართოვდება და მელოდი-

ის ძირითადი ჰარმონიული საყრდენის სახით წარმოჩნდება, უფრო სწორედ იგი ნაწილობრივ კარგავს VII საფეხურის ფუნქციას და ორმაგი ფუნქციის მატარებელი ხდება: ერთი მხრივ, გაფართოებული VII საფეხურია ფრაზის ბოლოს წარმოდგენილი ძირითადი კილოს I საფეხურის მიმართ, მეორე მხრივ – ახალი კილოს I საფეხურია, თუმცა იგი სრულ დამოუკიდებლობას ვერ აღწევს. აქედან გამომდინარე, საკადანსო სვლა გარკვეულწილად მოდულაციური კადანსის ელფერს იძენს (I=VII I), კერძოდ, ჩნდება ქართული (ეოლიური) კადანსი. ზემოთ განხილული მაგალითებიდან შესაძლებელია თვალი მივადევნოთ ერთი გარკვეული კილოს მქონე მელოდიაში ახალი კილოს წარმოქმნისა და მოდულაციური კადანსის ჩასახვის პროცესს. მსგავსი მაგალითები, რომლებშიც მელოდია ბანში ემყარება გაფართოებულ VII საფეხურს, გვხვდება გუდამაყრულ (48.1), მთიულურ (48.2) და მოხეურ (48.3) სიმღერებში. ამავე დროს ირკვევა, რომ ბანის VII საფეხურის გაფართოებამ




წინ წამოსწია (48 1, 2, 3) დორიული და მიქსოლიდიური კილოები. მთიულურ საფერხულ და სხვა საწესო სიმღერებში, განსხვავებით გუდამაყრულისაგან და მოხურისაგან, ყოველი მეორე წინადადება ბანში აგრეთვე გაფართოებულ VII საფეხურს ემყარება, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი განამტკიცებს პირველ წინადადებაში მოცემულ ბანის VII საფეხურს (48.3). მოხურ საფერხულში „გერგეტულა“ (48.3) ზოგიერთი ფრაზა სრულდება თავდაპირველ სოლ კილოში, დანარჩენი – ბანის VII საფეხურს ემყარება, რომელიც იმავედროულად გაიაზრება როგორც ფა კილოს I საფეხური. მოხური „საფერხულო“ (49) ბანში გაბატონებულია გაფართოებული VII საფეხური (სოლ), რომელიც



აგრეთვე დამოუკიდებელი კილოს I საფეხურის ფუნქციას იძენს. ფრაზის დასაწყისში ბანში წარმოდგენილი ბგერა სი-ბემოლი, განიხილება როგორც სოლ კილოს I საფეხურის ტერცია, რომელიც შემდეგ ტაქტში გადადის I საფეხურის პრიმაში (სოლ). მეხუთე ტაქტში სოლ კილოს I საფეხური, თავის მხრივ, იჩენს VII საფეხურს (ფა), თუმცა საკადანსო სვლა თავდაპირველი და კილოს I საფეხურში ცვლის ფუნქციონალურ ურთიერთდამოკიდებულებას წინა რე საფეხურთა შორის: სოლ კილოს VII საფეხური იცვლის ფუნქციას და კილოს I საფეხურის მიმართ და გარდაიქმნება მის VI საფეხურად, ხოლო სოლ კილოს I საფეხური – მის VII საფეხურად, რაც განაპირობებს საკადანსო სვლაში ბანის საფეხურთა შემდეგ თანმიმდევრობას: სოლ კილოს VII = და კილოს VI VII I. აღსანიშნავია, რომ „საფერხულოში“ მოდულაციის შედეგად მიღებული და კილოს VI საფეხური (ფა-ლა) იმავედროულად გარკვეულ დამოუკიდებლობას იძენს იმის გამო, რომ მისი მომ-

დევნო VII საფეხური, რომელიც წარმოდგენილია პრიმისა და ტერციის სახით (სოლ – სი-ბემოლი), მერყეობს ლა კილოს VI და I საფეხურებს შორის. გარდა ამისა, VI საფეხური მოცემულია ტაქტის ძლიერ დროზე და დამოუკიდებელი კილოს I საფეხურის ნიშნებს იძენს, რის გამოც ჩნდება ფრიგიული კადანსის ჩანასახი (I II III(I)). შემდეგში, მსგავსად ბანში VII საფეხურის გაფართოებისა, VI საფეხურის გაფართოების საფუძველზე ყალიბდება ფრიგიული კადანსი.

ამგვარად, ხევსურულ, ფშაურ, გუდამაყრულ, მთიულურ და მოხეურ სიმღერებში გამოვლინდა ბანში დომინანტური ფუნქციის მატარებელი საფეხურის (VII) გაფართოების ერთგვაროვანი გზა; ახალი კილოების და, შესაბამისად, მოდულაციური კადანსების წარმოქმნის პროცესი. იმავე დროს, გუდამაყრულ, მთიულურ და მოხეურ საფერხულო სიმღერებში, ბანის VII საფეხურის გაფართოების შედეგად, ახალი მუსიკალური ნაგებობა წარმოიქმნება. მაგალითად, მოხეურ „გერგეტულაში“ (50) ბანის VII საფეხური (დროებითი ფა კილოს I საფეხური, ფრაზის ბოლოს, თავდაპირველ სოლ კილოსთან მიმართებაში კვლავ VII საფეხურის ფუნქციას იძენს) კილოს მეორე საფეხურთან ერთად წარმოდგენილია საკადანსო ნაგებობის სახით; სამ-




ხმიან საწესო სიმღერაში „დიდება“ (51) (რომელიც მელოდიურ-ინტონაციურად საფერხულოებს უკავშირდება), VII საფეხური გაფართოებულია და წინ წამოწეულია ახალი მუსიკალური ნაგებობის სახით. ასეთ შემთხვევაში ძირითადი მელოდია გადაადგილდება სიმღერის შესავალ ნაწილში.




იგივე შეინიშნება გუდამაყრულ („ჯვრის წინასა“ (52.1, 2), „საფერხულო“ (52.3)) და მთიულურ („საფერხულო“ (52.4, 5), „ჯვრის წინასა“ (52.6)) სიმღერებში.





მუსიკალური მასალიდან ჩანს, რომ ძირითადი მელოდია თანდათან გადაადგილდება სიმღერის შესავალ ნაწილში და ადგილს უთმობს ბანის VII საფეხურზე წარმოქმნილ ახალ მუსიკალურ ნაგებობას. იგი დამოუკიდებელი მელოდიის სახით თავს იჩენს აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სიმღერებში, კერძოდ, ქართლური „ჯვარის წინას“ ვარიანტებში (53.1, 2) მელოდია ბანში ემყარება გა-



ფართოებულ VII საფეხურს, რომელიც ახალი კილოს I საფეხურის ფუნქციას იძენს. პირველ ვარიანტში სოლ კილო ყოველი ფრაზის ბოლოს უბრუნდება თავდაპირველ

ლა კილოს. მეორე ვარიანტში, ფრაზების ბოლოს, ბანში, სოლ კილოს I საფეხური წარმოდგენილია პრიმის და ტერციის სახით (სოლ – სი-ბემოლი), რის გამოც იგი გაი-აზრება როგორც ფა კილოს II საფეხური. „მგზავრული მაყრული“ (54) „ჯვარის წინას“ მუსიკალური ტექსტების ვარიანტია. აქაც, ბანში თავდაპირველი სოლ კილოს I საფეხური (სოლ – სი-ბემოლი) ახალი ფა კილოს II საფეხურის ფუნქციას იძენს. სიმღერა დასრულებულია რთული



მოდულაციური კვარტული კადანსის ვარიანტით, რომელიც საფეხურთა შემდეგ თანმიმდევრობას მოიცავს: I ფა კილო, II I³ I სი-ბემოლ კილო.

ზემოთ წარმოდგენილი ქართლური მუსიკალური მასალა უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საწესო საფერხულო სიმღერის „ჯვარის წინას“ მუსიკალური ტექსტი ოდესღაც საერთო უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობისათვის. ჰარმონიულ ელემენტთა შემდგომი განვითარების პროცესში, ბარის ვარიანტებში თავდაპირველ მელოდიას თანდათან ჩაენაცვლა ახალი მუსიკალური ნაგებობა. ორხმიან ვარიანტებში, ბანის VII საფეხურზე წარმოქმნილ ამ მუსიკალურ ნაგებობებში ძირითადი მელოდია ზედა ხმაშია, სამხმიან ვარიანტებში – შუა, მეორე ხმაში; მელოდიურ-ინტონაციურად იგი გენეტურ კავშირშია ფუძე-ჰანგთან, რომელიც საფუძვლად დაედო საფერხულოებს და საერთოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მთელ სასიმღერო შემოქმედებას. ეს მუსიკალური ნაგებობა ამ შემთხვევაში მეორადი მოვლენაა, რომელიც წარმოიქმნა მუსიკალური აზროვნების განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე.

ზემოთ განხილული სიმღერების მაგალითზე შესაძლებელია თვალი მივადევნოთ ჰარმონიულ ელემენტთა განვითარების პროცესს, მათ მჭიდრო ურთიერკავშირს. ნათე-

ლია, რომ ერთი ჰარმონიული ელემენტის წინ წამოწევა სხვა დანარჩენ ჰარმონიულ ელემენტთა ახალი ფორმების წარმოქმნის და ჩამოყალიბების საწინდარია. ანალიზმა გამოავლინა, ერთი მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სიმღერებში ბანის VII საფეხურის გაფართოების საერთო გზა. მეორე მხრივ – გუდამაყრულ, მთიულურ და მოხეურ სიმღერებში, განსხვავებით ფშაური და ხევსურული-საგან, საკადანსო ნაწილის თანდათანობითი გაფართოებისა და ახალი მუსიკალური ნაგებობის ჩამოყალიბების პროცესი.

ქართველთა მუსიკალური აზროვნების განვითარების უძველესი ფორმები მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ ნატირლებში ვლინდება. ამ მხრივ საყურადღებოა თუშური „ხმით ნატირალის“ ვარიანტები. მუსიკალური მასალიდან ირკვევა, რომ „ხმით ნატირლებში“ ფრაზები მოიცავს კვარტის, კვინტის ან სექსტის დიაპაზონს (55)*. ნათელია, რომ „ხმით ნატირლების“ ინტონაციური საფუძველი კვარტის დიაპაზონის მქონე ჰანგია. მიუხედავად იმისა, რომ ნატირლები მღერითი დეკლამაციის ხასიათს ატარებს, ფრაზებში შეინიშნება ბგერათა ტალღისებური მოძრაობა, მელოდიის დიაპაზონის გაფართოება; წინადადების დამბოლოებელი ფრაზა, რომელიც ხაზს უსვამს წინა ფრაზაში წარმოდგენილ საკადანსო მელოდიურ მიმოქცევას; გადიდებული სეკუნდა კილოს მეორე და მესამე საფე-



* №1-8 „ხმით ნატირალი“ ჩემი თხოვნით ჩაიწერა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ნანული აზიკურმა (თუშეთი, 1976 წ.), რის გამოც მაღლობას ვუხედი.



ხურებს შორის. მელოდირ-ინტონაციური კავშირი ვლინდება არა მხოლოდ ზემოსხენებულ ვარიანტებს შორის, არამედ – იმ სიმღერებთან, რომლებიც მუსიკალური აზროვნების განვითარების უძველესი ეტაპების ამსახველია („ქორბელა“, „მაყრული“, „ფერხული“, „ჯგრის წინასა“, „აკვნის ნანა“, „დიკლოს მოვიდა და სხვ.).

თუშეთში გავრცელებულია ცალკეული პირების მიერ შექმნილი სამგლოვიარო სიმღერები, რომლებიც გადატანილია გარმონზე. ასეთებია: „ანიკოს ტირილი“ (56.1), „წოვა ქალის ტირილი“ (56.2), „წოვა ქალის ტირილი შვილზე“ (56.3).

56.1
გაზომენი

56.2
გაზომენი

56.3

ხევსურული ტირილები – „დათვლით“ (57.1, 2, 3, 4). „დახილით“ (57.5, 6) და „ხმით“ (57.7, 8, 9, 10) გამოირჩევა ფართო დიაპაზონით. მელოდიისათვის დამახასიათებელია ბგერათა დადმავალი მოძრაობა კილოს უმაღლესი ბგერიდან ტონიკამდე. აქაც ჩნდება გადიდებული სეკუნდა კი-

57.1


57.2

57.3

57.4



ლოს მეორე და მესამე საფეხურებს შორის. ხევესურულ ტირილებს შორის აღსანიშნავია „ძახილით ტირილის“ (58.1) ერთ-ერთი ვარიანტი, რომლის შედარება თუშურ



„ხმით ნატირალთან“ (58.2) მიუთითებს ნატირლების საერთო ინტონაციურ წარმომავლობაზე.

ხევესურულ „ხმით ნატირლებში“ თითოეული მუსიკალური სტროფის თანმხლები ქვითინი, შემდეგში მისამღერის სახით ჩამოყალიბდა. დადგენილია, რომ იგი სტროფე-

ბის შემაერთებელი ბგერაა ან – მელოდიური მიმოქცევა, რომელიც ყველა შემთხვევაში აგებულია კილოს მეოთხე საფეხურზე (ასლანიშვილი, 1956: 40). ეს უკანასკნელი კილოს ტონიკასთან ერთად აღიქმება როგორც მელოდიის ჰარმონიული საყრდენი.

„ხმით ნატირლებმა“ განსაკუთრებული როლი შეასრულა „მთიბლურების“ მუსიკალური ტექსტების ფორმირებაში (59.1, 2). ხევესურეთში, თიბვაში შესრულებულ „ხმით ნატირალს“ „გვრინი“ ეწოდება (59.3). შ. ასლანიშვილი მას მოიხსენიებს „სამგლოვიაროს“ სახელწოდებით (ასლანიშვილი, 1956: 32). მისივე სიტყვიერი განმარტებით, იგი თიბვაში შესრულებული „გვრინის“ მუსიკალური ტექსტი იყო.


The image contains three musical staves, each with a label above it: 59.1, 59.2, and 59.3. Each staff shows a single melodic line in a treble clef. Staff 59.1 is in a key with one sharp (F#) and contains a sequence of eighth and quarter notes, ending with a double bar line and an 'x' mark. Staff 59.2 is in a key with one flat (Bb) and contains a sequence of eighth and quarter notes, ending with a double bar line and an 'x' mark. Staff 59.3 is in a key with one sharp (F#) and contains a sequence of eighth and quarter notes, ending with a double bar line and an 'x' mark.

მუსიკალური ტექსტების ანალიზი მიგვანიშნებს, რომ „გვრინი“, როგორც ჩანს, გარკვეული პერიოდიდან დაცილდა „ხმით ნატირალს“ და შუალედური ადგილი დაიკავა „ხმით ნატირლებსა“ და საკუთრივ „მთიბლურებს“ შორის. დადგენილია, რომ ლექსთწყობის თვალსაზრისით მთიბლურები „ხმით ნატირლების“ იდენტურია და მეორადი მოვლენაა, ნატირლების ტრადიციაზე წარმოქმნილი (ოჩიაური, 1951: 427-428). „მთიბლურებსა“ და „ხმით ნატირლებს“ შორის უშუალო მუსიკალურ-ინტონაციური კავშირი არსებობს. სიძველის მხრივ, მათ შორის უპირატესობა „მთიბ-

ლურებს“ ენიჭება (ასლანიშვილი, 1956: 34-35). მთიბლური სიმღერები განვითარებული სტრუქტურით გამოირჩევა წინადადება რამდენიმე (სამ ან ოთხ) ფრაზას მოიცავს; მათი ტალღისებური მოძრაობა მთიბლურებს მეტ მუსიკალურ გამომსახველობას ანიჭებს.



ფშაური მთიბლურები (60.1, 2) მუსიკალურ-ინტონაციურად აგრეთვე ფშაურ „ხმით ნატირლებს“ ენათესავება (60.3).




ხევსურულმა სასიმღერო შემოქმედებამ შემოინახა ისტორიულ-საგმირო სიმღერების (61.1, 2) უშუალო ინტონაციური კავშირი ნატირლებთან (61.3, 4). იმავედროულად რიგ ისტორიულ-საგმირო სიმღერებში შეინიშნება საფერხულოების მელოდიურ-ინტონაციური გავლენა.

„ნატირლები“ ძირითადად ეოლიურ და ფრიგიულ (იშვითად დორიულ) კილოებში სრულდება. ეს ის უძველესი


კილოებია, რომლებიც საფუძვლად დაედო არა მხოლოდ ნატირლებს, არამედ საფერხულოებს და საერთოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სასიმღერო შემოქმედებას.

მუსიკალური მასალა მოწმობს, რომ ნატირლების მელოდიურ-ინტონაციური საფუძველი კვარტის დიაპაზონის მქონე ფუძე-ჰანგია. იგი მკაფიოდ ჩანს თუშურ „ხმით ნატირლებში“. მასალის ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ „ხმით ნატირლებმა“ საფერხულოებთან ერთად არსებითი როლი შეასრულა ფუძე-ჰანგის ფორმირებასა და შემდგომ განვითარებაში. აღსანიშნავია, რომ საფერხულოები, ხმით ნატირლებისაგან განსხვავებით, მელოდიურ-ინტონაციური და ჰარმონიული განვითარების უფრო მდიდარი გამომსახველობითი ხერხებით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ „ხმით ნატირლებში“, სიტყვიერ ტექსტებთან ერთად, არსებითია მუსიკალურ-ინტონაციური მხარე, ისინი არ სცლიდება მღერით დეკლამაციას, ვერ აღწევს იმ ფართო შესაძლებლობებს, რომლებიც საფერხულო სიმღერებს ახასიათებს.


კვარტის დიაპაზონის მქონე მელოდიური ფორმულა აკენის ნანებში ვლინდება. ქვემოთ საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ თუშურ მუსიკალურ მასალას (62. 1-14).



62.5



62.6



62.7



62.8



62.9



62.10



62.11



62.12



62.13



62.14



„ნანა“ №1 სრულდება კვარტის დიაპაზონში. ყოველი ფრაზა იწყება კილოს კვარტით (მი-ბემოლი) და ბგერათა დადმავალი სვლით მთავრდება კილოს ტონიკით (სი-ბემოლი). კვარტის (მი-ბემოლი) შემდეგ, რიტმული შეჩერება კილოს ტერციაზე (რე-ბემოლი), რაც მის გამეორებაში გამოიხატება, ბგერათა დადმავალ მოძრაობას მღერადობას სძენს. კვარტის დიაპაზონით და ბგერათა დადმავალი მოძრაობით „ნანა“ №1 ახლოს დგას მაგალითად, სიმღერებთან „დიკოს მოვიდა“ (4) და „ქორბედელა“ (5). №2 „ნანას“ მელოდია იწყება კილოს კვარტით (ფა) და მრავალჯერადი განმეორების შემდეგ ჩამოდის სეკუნდით ქვევით, კილოს რიტმულად მყარ ტერციაში (მი-ბემოლი). აქ მთავრდება მელოდიის პირველი ნაწილი. მეორე, დასკვნითი ნაწილი იწყება კილოს ტერციით (მი-ბემოლი), რომელსაც მოსდევს ბგერა დო ფორშლაგით, რომელიც კვლავ აფართოებს მელოდიის ამ ნაწილს კვარტამდე, და შემდეგ, ბგერები სეკუნდური მოძრაობით ჩამოდის ტონიკაში (დო). ამგვარად, №1 „ნანასაგან“ განსხვავებით, №2 უფრო გაფართოებულია. №3 „ნანაში“ მელოდია წინადადებამდე ფართოვდება. პირველი ფრაზა იწყება კილოს კვარტით (მი), რომელიც თანდათან ჩამოდის ტონიკაში (სი). მეორე ფრაზა მოიცავს ბგერათა დადმავალ სვლას კილოს ტერციიდან (რე) ტონიკამდე (სი). №2 „ნანასაგან“ განსხვავებით, იგი მელოდიაში საკადანსო სვლას განამტკიცებს. იგივე შეინიშნება №4 „ნანაში“. მასში მეორე ფრაზა, რომელშიც მელოდია სეკუნდური მოძრაობით, კილოს ტერციიდან (რე) ჩადის ტონიკაში (სი-ბემოლი), განამტკიცებს წინარე ფრაზაში ძირითადი მელოდიის საკადანსო სვლას. იმავედროულად, შესაძლოა, აღნიშნული ფრაზა შემდეგში საფუძვლად დაედო „ნანას“ ახალ ვარიანტებს. იგი თავისი შინაარსით ესატყვისება, მაგალითად, გუდამაყრულ, მთიულურ და მოხეურ საფერხულო სიმღერებში ბანის VII საფეხურზე წარმოქმნილ საკადანსო ნაგებობას. მსგავსი ვითარებია №5 „ნანაში“, რომლის მელოდია კილოს ტერციიდან (ფა) ბგერათა დადმავალი სვლით ჩადის კილოს ტონიკაში (რე). №6-11 „ნანას“ ვარიანტებში დიაპაზონი კვლავ გაფართოებულია კვარტამდე. მათ შორის ოთხი მათგანის

ფრაზებში ხაზგასმულია კილოს მეორე საფეხური. იგი გაიაზრება როგორც მელოდიის ჰარმონიული საყრდენი, რომელიც ფრაზების ბოლოს წყდება კილოს ტონიკაში. №11 „ნანას“ უშუალო ვარიანტია №12, რომლის დიაპაზონი გაფართოებულია კვინტამდე (სი – ფა-დიეზი). №14 „ნანა“ მელოდიურ-ინტონაციურად „ქორბეღელას“ (2) ენათესავება.

ხევსურული „ნანას“ (63.1-7) პირველი ორი ვარიანტი (63.1, 2) სრულდება კვარტის დიაპაზონში. ოთხჯერ გამეორებული ფრაზა, რომელსაც ლექსის ორი სტრიქონი შეესაბამება, ქმნის ერთ მუსიკალურ სტროფს. №2 „ნანას“ თი-





თოეული ფრაზა მთავრდება კილოს მეორე საფეხურით (რე) რომელსაც შემდეგი ფრაზის დასაწყისში მოსდევს ტონიკა (დო). ეს უკანასკნელი, კილოს მეოთხე საფეხურთან (ფა) ერთად მელოდიის ჰარმონიული საყრდენია. იგი ერთდროულად წარმოადგენს წინარე ფრაზის დასასრულს და მომდევნო ფრაზის დასაწყისს და ამგვარად, ფრაზების შემაერთებული ბგერის ფუნქციას იძენს. მუსიკალური სტროფების ბოლოს, ლექსის სტრიქონის შესაბამისად, მოცემული რიტმულად მყარი კილოს მეორე საფეხური (რე) ფრიგიული კილოს ტონიკად გარდაიქმნება. აქედან გამომდინარე, მასთან მიმართებაში, ბგერა დო კილოს მეშვიდე საფეხურის ფუნქციის მატარებელი ხდება (მაისურაძე, 1971: 146, 149-151; 2012: 317, 323-326).

ზემოსხენებული ხევსურული აკვნის ნანების შედარებისას თუშურ აკვნის ნანებთან, ირკვევა, რომ თითოეული მათგანი ძირითადი მუსიკალური თემის სახეცვლილი განმეორებაა. №3 „ნანას“ დიაპაზონი გაფართოებულია კვინტამდე (დო – სოლ). თუმცა ტაქტის ძლიერ დროზე კილოს

კვარტის (ფა) დაბეჭდვით გამეორება მიუთითებს იმაზე, რომ მელოდიის ჰარმონიული საყრდენი კვარტის (დო – ფა) ინტერვალია, მელოდია ინტონაციურად გენეტურ კავშირშია თუშურ „ნანასთან“, „ქორბედელასთან“, „მაყრულთან“ და სხვ. №4 „ნანაში“ მელოდიის დიაპაზონი გაფართოებულია სექსტამდე (სი – სოლ). ფრაზები იწყება აღმავალი სვლით ძირითადად კილოს კვარტიდან სექსტამდე, შემდეგ ბგერათრივი დაღმავალი სვლით ჩამოდის ტონიკაში. გამონაკლისის სახით ფრაზების დასაწყისში ჩნდება ნახტომი კილოს ტონიკიდან ან ტერციიდან სექსტამდე. ნათელია, რომ „ნანას“ საფუძვლად უდევს კვარტის დიაპაზონის მქონე ფუძე-ჰანგი. „ნანა“ №5 მოიცავს სეპტიმის დიაპაზონს, მელოდიის დასაწყისში აღინიშნება აღმავალი ნახტომი კილოს კვარტიდან (მი-ბემოლი) სექსტაზე (სოლ-ბემოლი) ან აღმავალი სეკუნდური მოძრაობა კილოს კვინტიდან სექსტამდე ან – სექსტიდან სეპტიმამდე. რასაც მოსდევს ბგერათა დაღმავალი მოძრაობა კილოს ტონიკამდე. განსხვავებით სხვა დანარჩენი ხევესურული ნანებისაგან, №6 „ნანაში“ მსგავსად თუშური ნანებისა, ხაზგასმულია კილოს მეორე საფეხური. №7 „ნანა“ ხასიათდება ბგერათა დაღმავალი მოძრაობით კილოს სეპტიმიდან (მი-ბემოლი) ტონიკამდე (ფა). სტრუქტურულად იგი ხევესურულ საფერხულოებს უახლოვდება.


გუდამაყრული „ნანას“ (63.8) მელოდია კვარტის დიაპაზონს (რე – ლა). მოიცავს. ბგერა სოლ მელოდიის დიაპაზონს კვინტამდე აფართოებს, მაგრამ აქ, იგი გაიაზრება როგორც ბანის მეშვიდე საფეხური. მთიულური „ნანას“ (63.9, 10) ბოლო ფრაზაში, გუდამაყრული „ნანას“ ანალოგიურად, თავდაპირველი მელოდიური ქსოვილი ჩნდება.


აკვნის ნანებისათვის დამახასიათებელია ეოლიური და ფრიგიული კილოები. გამონაკლისს წარმოადგენს ხევესურული „ნანას“ ერთ-ერთი ვარიანტი (63.7), რომელიც დორიულ კილოში სრულდება.

მუსიკალური ტექსტების ანალიზიდან ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიულთა აკვნის ნანები გენეტურად დაკავშირებულია ნატირლებთან, საფერხულოებთან და ნაწილობრივ – ისტორიულ-საგმირო სიმღერებთან,


რომლებიც ქართველთა მუსიკალური აზროვნების განვითარების ადრეული ეტაპების ამსახველია. ნათლად ჩანს „ნანების“ ვარიაციული განვითარების გზები. მოგვიანებით, აკენის ნანებში შეინიშნება საფერხულოების თუ საყოფაცხოვრებო სიმღერების ინტონაციური გავლენა.

მუსიკალური აზროვნების განვითარების უძველესი ფორმები, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სიმღერებში შემონახა, აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სიმღერებში ვლინდება. ზემოთ, ქართლური და ფშაური „ჯვარის ნანას“ ვარიანტების შედარებისას, გამოვთქვი ვარაუდი, რომ ოდესღაც ამ საფერხულოთა მუსიკალური ტექსტები საერთო იყო. მოგვიანებით, ჰარმონიულ ელემენტთა განვითარების პროცესში თავდაპირველმა, ძირითადმა მელოდიამ ადგილი დაუთმო ბანში VII საფეხურზე წარმოქმნილ ახალ მუსიკალურ ნაგებობას. ფშაური „ჯვარის წინას“ ინტონაციების კვალი შეინიშნება ქართლურ და კახურ საწესო სიმღერებში: „მუმილი მუხასა“, „მაყრული“, „დავლით ღვინო“ (64.1, 2, 3). აღსანიშნავია ქართლური სამგლოვიარო სიმღერის „მეფე ერეკლეს დატირება“ (65.1) უშუალო ინტონაციური კავშირი ფშაურ „ლექსობასთან“ (29.1).





ზემოთ აღინიშნა, რომ ქართულ ხალხურ სიმღერებში დადგენილია მელოდიის ორი სახეობა, რომელთაგან პირველი დადმავალი მიმართულებისაა, მეორე – აღმავალი. ზოგჯერ მელოდია იწყება კილოს ტონიკური ბგერით, რომელსაც მოსდევს ნახტომი უმაღლეს ბგერაზე (66.1, 2).



საწყისი ბგერა რიგ შემთხვევაში ნაგულისხმევი საორღანო პუნქტია, სხვა შემთხვევაში მელოდიის შემადგენელი ბგერაა. მელოდიის მეორე სახეობას ქმნის ბგერათა აღმავალი

მოდრაობა კილოს ტერციდან. ამის ნათელი მაგალითია საფერხულო სიმღერა „იავნანა“ (67.1). მის მარტივ ვარიანტებს შორის აღსანიშნავია თუშური საფერხულო „ლაშარის სიმღერა“ („ქორბედელას“ ვარიანტი). „იავნანას“ მელოდიაში ბგერათა სეკუნდური მოძრაობა ქმნის ინდივიდუალობით გამოირჩეულ, ჩაკეტილ მელოდიას, განსხვავებით „ლაშარის სიმღერისაგან, რომელიც ახლო დგას მღერით რეჩიტატიულ ფორმასთან (ასლანიშვილი: 1954, 96-110, 117-118, 151). „იავნანას“ თიანეთური ვარიანტი (67.4), რომელიც „ხატის იავნანას“ სახელით მოიხსენიება, სრულდება სალოცავში (ხატში), ხატისაგან დამიზებულების მიერ. გან-

67.2

67.3

67.4

67.5

67.6



სხვაგვებით სამწილადი მეტრის მქონე „იავნანასაგან“, „ხატის იავნანას“ მელოდია რეჩიტატიული ხასიათისაა. „იავნანას“ (67.2), რომელიც რეჩიტატივებს შეიცავს, აგრეთვე „ხატის იავნანას“ უნდა იყოს. რაჭული ვარიანტების (67.7, 8) ძირითადი მელოდია იწყება კილოს კვარტით, რომელიც ადის კვინტაში, შემდეგ ბგერათა დაღმავალი მოძრაობით ჩამოდის ტონიკაში. ქვემოთ წარმოდგენილია მოხეური „იავნანას“ (67.5) მეორე წინადადების პირველი ნაწილი და პირველი წინადადების მეორე, დასკვნითი ნაწილი. იგი ახლოს დგას თუშური „ქორბელელას“ ერთ-ერთ ვარიანტთან. „იავნანასაგან“ განსხვავებით, „ქორბელელას“ მელოდია (68.2)



ერთ ფრაზას მოიცავს. მასში ჩნდება ბგერათა სეკვენტური მოძრაობის ჩანასახი. „იავნანას“ მელოდია გაფართოებულია და ორი ფრაზისაგან შედგება.


„იავნანას“ მუსიკალური ტექსტები გენეტურად დაკავშირებულია თუშური საფერხულო სიმღერების ვარიანტებთან, მათ შორის „ქორბელელასთან“, რომლის დასაწყისში

ბგერები მოძრაობს კილოს კვარტიდან კვინტაში; „ლაშარის სიმღერასთან“ („ქორბელელას“ ვარიანტი), რომლის მელოდია შეიცავს აღმაველ მოძრაობას კილოს ტერციიდან კვინტაში (მელოდიურ-ინტონაციურად იგი თუშური საფერხულო სიმღერების განვითარებული ფორმაა). მუსიკალური მასალა საკმარისია იმისათვის რომ თვალი მივაღვენოთ აღმაველი მიმართულების მქონე მელოდიის ფორმირებას.

უძველეს საწესო-საფერხულო სიმღერებს შორის საყურადღებოა „დედაკაცების ფერხული“ (69.1), „ლაზარე“ (69.2), „მზე შინა და მზე გარეთა“ (69.3, 4) და სხვ. რომელთა მელოდია „იავნანას“ ინტონაციურ არეში შედის.



აქ არ ვიმსჯელებ აღმაველი მიმართულების მქონე ქართულ ხალხურ სიმღერებზე, რომლებიც განხილულია შ. ასლანიშვილის მიერ (ასლანიშვილი, 1954: 101, 113, 113-136, 142-146). შეეხერდები მხოლოდ ქართლური „იავნანას“ სამხმიან ვარიანტზე (70.1), რომელშიც პირველი და მეორე ხმები ბანის გარეშეა წარმოდგენილი. მისი შედარებისას



კახურ და ქართლურ შრომის სიმღერასთან – „გლესამ და გლესამ ნამგალო“ (71.2, 3). ირკვევა, რომ ორივე მათგანი „იავნანას“ ვარიანტებია იმ განსხვავებით, რომ დასაწყისში (შუა, მეორე ხმა) მოცემულია ბგერათა დადგმავალი სვლა კილოს სეპტიმიდან. სიმღერის „გლესამ და გლესამ ნამგალო“ (70.2) უშუალო ვარიანტია კახური „საფერხულო“ (71).



მასში შუა, ძირითადი ხმა გაფართოებულია ბგერათა მრავალჯერადი გამეორებით. გარდა ამისა, სიმღერის საკადანსო ნაწილში მელოდია, ემყარება რა ბანის VII საფეხურს, გაფართოებულია. იგი იწყება კილოს მეორე საფე-

ხურით (სოლ), რომელიც გადადის კვარტაში (სი-ბემოლი).
 ეს უკანასკნელი ჩამოდის ტონიკაში (ფა). „საფერხულოს“
 შუა ხმა თითქმის მეორდება ორხმიან სატრფიალო სიმღე-
 რაში „ნეტავი გოგო“ (72.1). ამავე ინტონაციაზეა აგებული

72. 1

72. 2

72. 3


72. 4

72. 5



შრომის სიმღერა „აღზევანს წავალ“ (72.2, 3). ქართლურ და კახურ სასიმღერო შემოქმედებაში „საფერხულოს“ ვარიანტები მრავლად მოიპოვება. მათ შორისაა „ფერხული ჩავაბათ“ (72.4), „გოგოასა“ (72.5) და სხვ.

„საფერხულოს“ (71) ზედა, პირველი ხმა, შუა ხმის შესაბამისად, მელოდიის დასაწყისში გაფართოებულია. მისი შედარებისას კახურ საფერხულო სიმღერასთან „თამარ მეფე“ (73) ირკვევა, რომ ამ უკანასკნელში ძირითადი მელოდია თითქმის იმეორებს „საფერხულოს“ პირველ ხმას



იმ განსხვავებით, რომ მასში მეორე, დასკვნითი ნაწილი შეზღუდულია. ამგვარად, სამხმიან სიმღერაში პირველი ხმა ძირითადი მელოდიის ფუნქციას იძენს. ვარიანტებს შორის



74.2

Handwritten musical score for exercise 74.2, 3/4 time signature. The score consists of three staves: a treble clef staff at the top, a middle treble clef staff, and a bass clef staff at the bottom. The music is written in a simple, rhythmic style with quarter and eighth notes. The key signature is one flat (B-flat).

74.3

Handwritten musical score for exercise 74.3, 3/4 time signature. The score consists of two staves: a treble clef staff at the top and a bass clef staff at the bottom. The music is written in a simple, rhythmic style with quarter and eighth notes. The key signature is one flat (B-flat).

74.4

Handwritten musical score for exercise 74.4, 3/4 time signature. The score consists of three staves: a treble clef staff at the top, a middle treble clef staff, and a bass clef staff at the bottom. The music is written in a simple, rhythmic style with quarter and eighth notes. The key signature is one flat (B-flat).

74.5

Handwritten musical score for exercise 74.5, 3/4 time signature. The score consists of three staves: a treble clef staff at the top, a middle treble clef staff, and a bass clef staff at the bottom. The music is written in a simple, rhythmic style with quarter and eighth notes. The key signature is one flat (B-flat).

74. 6

Handwritten musical score for exercise 74.6, measures 1-4. The score is written in common time (C) on a treble and bass staff. The treble staff contains a melody with a triplet and a quintuplet. The bass staff provides a simple accompaniment with long notes and some eighth notes.

74. 7.

Handwritten musical score for exercise 74.7, measures 1-4. The score is written in common time (C) on a treble and bass staff. The treble staff contains a melody with eighth notes and quarter notes. The bass staff provides a simple accompaniment with quarter notes.



74. 8

Handwritten musical score for exercise 74.8, measures 1-4. The score is written in 2/4 time with a key signature of one flat (B-flat) on a treble and bass staff. The treble staff contains a melody with eighth notes and quarter notes. The bass staff provides a simple accompaniment with quarter notes.

74. 9

Handwritten musical score for exercise 74.9, measures 1-4. The score is written in 2/4 time with a key signature of one flat (B-flat) on a treble and bass staff. The treble staff contains a melody with eighth notes and quarter notes. The bass staff provides a simple accompaniment with quarter notes.

შეიძლება დავასახელოთ „შავლეგო“ (74.1, 2), „საფერხლო“ (74.3), „გლესამ და გლესამ ნამგალო“ (74.4), „ძველებური მაყრული“ (74.5), „მაყრული“ (74.6), „მეზაყრული“ (74.7), „გზა სიარულმა დალია“ (74.8), „ლაშქრული“ (74.9) და სხვა. ამ ნიმუშების გაფართოებული ვარიანტებია „ვისია ქალი ღამაზი“ (75.1). „თეთრო ბატო“ (75.2) და სხვ.




ზემოსხენებულ სიმღერებთან მიმართებაში ყურადღებას იქცევს მესხური სუფრული სიმღერების ვარიანტები (76.1, 2). როგორც ჩანს, ამ სიმღერების მელოდია „თამარ მეფის“ (73) და „შავლეგოს“ (74.1, 2). ტიპის მრავალხმიანი სიმღერების პირველი ხმის ფრაგმენტია, რომელიც მესხურ სასიმღერო შემოქმედებას ერთხმიანი სიმღერების სახით შემორჩა.



მუსიკალური მასალიდან ირკვევა, რომ „იავნანა“ ქართველი ხალხის მუსიკალური აზროვნების განვითარების გარკვეული ეტაპია. მთელი რიგი საწესო თუ საყოფაცხოვრებო სიმღერებისა „იავნანას“ მელოდიის შემდგომი განვი-

თარების შედეგია. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სიმღერები წარმოქმნილი, ერთი მხრივ, „იაგნანას“ ძირითადი მელოდიის (შუა ხმა) ვარიაციული განვითარების საფუძველზე, მეორე მხრივ – „იაგნანას“ ზედა ხმის წინ წამოწევისა და დამოუკიდებელი მელოდიის სახით ჩამოყალიბების შედეგად.

ქართლურ და კახურ სასიმღერო შემოქმედებაში მელოდიის სიმარტივით გამოირჩევა შრომის, განსაკუთრებით მკის და – საცეკვაო სიმღერები. დადგენილია, რომ ამ მუსიკალურ ჟანრებს შორის უშუალო კავშირი არსებობს (ასლანიშვილი, 1954: 73, 28-281). შრომის სიმღერა „ჰერო“ (77) ფუძე-ჰანგს შეიცავს. მელოდია, კვარტის დიაპაზონით,



ინტონაციურად და სტრუქტურულად ხევისურული და თუშური აკნის ნანების უმარტივესი ვარიანტების სახეშეცვლილი გამეორებაა. კილოს ტონიკა ფრაზების შემადგენელი ბგერის ფუნქციას ითავსებს. მესამე ფრაზაში კილოს კვარტა ადის სეკუნდით ზევით, კვინტაში, რასაც მოსდევს ბგერათა დაღმავალი მოძრაობა ტონიკაში. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სიმღერების მსგავსად, აქაც სახეზეა კვარტის კვინტით ჩანაცვლება. ზემოსხენე-



78.3

Handwritten musical score for exercise 78.3, measures 1-4. It features a treble and bass staff in 6/8 time with a key signature of two flats. The melody in the treble staff consists of eighth notes, and the bass staff provides a steady eighth-note accompaniment.

78.4

Handwritten musical score for exercise 78.4, measures 1-4. It features a treble and bass staff in 3/8 time with a key signature of two flats. The treble staff has a melody of quarter notes, while the bass staff has a steady eighth-note accompaniment.

78.5

Handwritten musical score for exercise 78.5, measures 1-4. It features a treble and bass staff in 2/4 time with a key signature of two flats. The treble staff has a melody of quarter notes, and the bass staff has a steady eighth-note accompaniment.

78.6

Handwritten musical score for exercise 78.6, measures 1-4. It features a treble and bass staff in 2/4 time with a key signature of two flats. The treble staff has a melody of eighth notes, and the bass staff has a steady eighth-note accompaniment.

78.7

Handwritten musical score for exercise 78.7, measures 1-4. It features a treble and bass staff in 3/8 time with a key signature of two flats. The treble staff has a melody of quarter notes, and the bass staff has a steady eighth-note accompaniment.

78.8

Handwritten musical score for exercise 78.8, measures 1-4. It features a treble and bass staff in 2/4 time with a key signature of two flats. The treble staff has a melody of quarter notes, and the bass staff has a steady eighth-note accompaniment.

ბულ სიმღერას გააჩნია მთელი რიგი ვარიანტებისა: „ჰერიო“ (78.1, 2, 8), „ჰერიო, ჰერი-ოვა“ (78.3), „ჰერი ევა“ (78.4, 5, 6, 7); ქართლური და კახური საცეკვაოები – „ფარინა“ (79.1), „გოგონა“ (79.2), „საცეკვაო“ (79.3) და სხვ., რომლებიც მელოდიურ-ინტონაციურად ზემოთ წარმოდგენილ შრომის სიმღერებს უკავშირდება.




მუსიკალური გამომსახველობის უძველესი ფორმები თავს იხევენ აგრეთვე ქართლურ და კახურ შრომის სიმღერებში – „ოროველას“ (80.1, 2) და „ურმულის“ (80.3, 4) ვა-





რიანტებში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სტრუქტურით და სტილისტური თავისებურებებით ქართლური და კახური „ოროველას“ (80.1, 2) მელოდია აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა, ხევსურთა სიმღერებს ენათესავება (ჟორდანიას მ., 1955; იხ. მამალაძე, 1963: 31-32); ხევსურული და ფშაური „მთიბლურები“ (81.1, 2) რიტმულად და ინტონაციურად ქართლურ ურმულებს (81.3, 4) უკავშირდება. ბგერათა



დაღმავალი მოძრაობა, გაბმული ბგერების არარსებობა, აღმავალი ნახტომები კილოს სეპტიმაზე და, შემდეგ, კვლავ ტონიკაში დაბრუნება, ყოველივე ეს დამახასიათებელია როგორც ურმულებისათვის, ისე მთიბლურებისათვის (ასლანიშვილი, 1954: 292-294).

ქართული ხალხური სიმღერების ცალკეული ნიმუშების ურთიერთშედარება საშუალებას იძლევა თვალი მივადევნოთ მელოდურ-ინტონაციურ და ჰარმონიულ ელემენტთა გაფართოების პროცესს. ქვემოთ, საილუსტრაციოდ

წარმოვადგენთ ხალხური სიმღერების რამდენიმე ნიმუშს, მაგალითად: „დაღაღ“ (82.1), „შავექუდას ცოლი“ (82.2), „გაფრინდი შავო მერცხალო“ (82.3), „ჭონა“ (82.4) და სხვ.

82.1



82.2



82.3



82.4



The first system of musical notation consists of three staves. The top staff is in treble clef, the middle in alto clef, and the bottom in bass clef. The key signature has one flat (B-flat). The time signature is 3/4. The music features complex rhythmic patterns, including triplets and sixteenth notes, with various accidentals and phrasing slurs.

The second system of musical notation continues the piece with similar rhythmic complexity. It features three staves (treble, alto, and bass clefs) with a key signature of one flat and a 3/4 time signature. The music includes various rhythmic figures, slurs, and phrasing marks.

The third system of musical notation shows further development of the musical themes. It consists of three staves (treble, alto, and bass clefs) with a key signature of one flat and a 3/4 time signature. The notation includes complex rhythmic patterns and phrasing.

The fourth system of musical notation concludes the piece with a final cadence. It features three staves (treble, alto, and bass clefs) with a key signature of one flat and a 3/4 time signature. The music ends with a clear resolution.

ქართული ხალხური სიმღერების განვითარების უძველესი საფეხურების კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მესხური სიმღერები. ვ. მაღრაძის დაკვირვებით მესხური სიმღერების ნაწილი აგებულია „იავნანას“ ინტონაციებზე, ნაწილი – მის ფრაგმენტებზე (მაღრაძე, 1987: 37-

42). გარდა სიმღერების ამ ორი ჯგუფისა, არის კიდევ რიგი სიმღერებისა, რომლებშიც „იანანას“ მელოდია უცვლელად არის გატარებული, მაგალითად: „ვარძიობა ძიობასა“ (83.1), „მჭედელო, ჩემო მჭედელო“ (83.2), „დიდი ფერხული“ (83.3).



მესხური სიმღერებისათვის დამახასიათებელ კადანსთა შორის ინტერესს იწვევს „გ“ კადანსი (84.1). იგი სრულიად ახალ კადანსად არის მიჩნეული, რომელიც სათანადო შესწავლას საჭიროებს (მალრაძე, 1987: 37-42). ამ კადანსით



მთავრდება მაგალითად, მესხური სიმღერა „დარეჯან გავათხიებენ“ (84.1) (Маисურაძე, 1990: 69-63). ამ სიმღერაში წარმოდგენილი „გ“ კადანსის შედარებისას ხევსურული „ხმით ნატირალის“ ფრაზების შემაერთებელ მელოდიურ მიმოქცევასთან (ქვითინი – მისამღერი) (84.2) ირკვევა, რომ ორივე შემთხვევაში ერთიდაიგივე მოვლენასთან გვაქვს საქმე. ხევსურული „ხმით ნატირლების“ მუსიკალურ ტექ-

სტებში ჩანს ამ მელოდიური მიმოქცევის თანდათანობითი განვითარების პროცესი. კერძოდ, იგი თავდაპირველად კილოს მეოთხე საფეხურზე აგებული ფრაზების შემაერთებელი ბგერაა, შემდეგ ამ საფეხურზე ჩნდება მუსიკალური ნაგებობა, რომელიც მისამღერის სახით ყალიბდება (მაისურაძე, 1971: 20; Маисураძე, 1990: 40-41). მესხური სიმღერის „დარეჯან გაგათხიებენ“ (84.1) პირველ წინადადებაში შემაერთებელი მუსიკალური ნაგებობა მთავრდება ბგერით ლა, რითაც ხაზგასმულია მი კილოს მეოთხე საფეხური, როგორც წინადადების შემაერთებელი ბგერა. მეორე წინადადების ბოლოს რიტმულად მყარ მეოთხე საფეხურს მოსდევს ბგერა სოლ, რომელიც კილოს ტონიკის ნიშნებს იძენს, თუმცა მომდევნო წინადადებასთან მიმართებაში იგი გაიაზრება როგორც ძირითადი მი კილოს ტერცია. გარდა ამისა, შემაერთებელი მუსიკალური ნაგებობა წინადადების ორგანული ნაწილია, რაზეც მიუთითებს შესაბამისი სიტყვიერი ტექსტი. ყოველივე ეს ამ ნაგებობას კადანსის მნიშვნელობას ანიჭებს. აღსანიშნავია, რომ „ხმით ნატირალში“ ბგერა ფა აგრეთვე კილოს ტონიკის ნიშნებს იძენს, თუმცა აქაც შემდეგ ფრაზებთან მიმართებაში ძირითადი რე კილოს ტერციად გაიაზრება (Маисураძე, 1990: 60-64).

მუსიკალური ტექსტების ანალიზიდან მკაფიოდ ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერების მელოდიურ-ინტონაციური საფუძველი კვარტის დიაპაზონის მომცველი ჰანგია „მინორული“ ელფერით და ბგერათა დადმავალი მოძრაობით კილოს კვარტიდან ძირითად საყრდენ ბგერამდე ანუ ტონიკამდე. ვარიანტებში იგი წარმოდგენილია მეტ-ნაკლებად განსხვავებული რიტმულ-ინტონაციური უღერადობით. ეს მელოდიური ფორმულა ან ფუძე-ჰანგი, დასაწყის ნაწილში, გაფართოებულია ბგერათა აღმავალი მოძრაობით კილოს კვარტიდან ან ტერციიდან კვინტამდე ან დადმავალი მოძრაობით კვინტიდან ტონიკამდე. მელოდიის დასაწყისში კილოს კვინტის კვარტით მომზადება გარდამავალი ფორმაა მელოდიის ორ – აღმავალ და დადმავალ – მიმართულებას შორის. ანალიზმა გამოავლინა ფუძე-ჰანგის შემდგომი გაფართოების პროცესი: 1. მელოდიის დიაპაზონი იზრდება სექსტამდე, სეპტიმამდე,

ოქტავამდე და ამასთანავე ჩნდება ბგერათა დაღმავალი ტალღისებური ან ზიგზაგისებური მოძრაობა კილოს უმაღლესი ბგერიდან ტონიკამდე; 2. ფრაზის შიგნით მელოდიური მიმოქცევები, თანდათანობითი გაფართოების შედეგად, შედარებით დიდ ფორმაში, წინადადებაში ერთიანდება; 3. ფართოვდება სიმღერის საკადანსო ნაწილი, რაც, თავის მხრივ, ბიძგს აძლევს ახალი მუსიკალური ნაგებობის წარმოქმნას. პირველ ორ შემთხვევაში თავდაპირველი მელოდიური ფორმულა სიმღერის დასკვნით ნაწილში ინაცვლებს, მესამეში – შესავალ ნაწილში, მუსიკალური აზროვნების განვითარების პროცესში წარმოქმნილი ზემოხსენებული მელოდიურ-ინტონაციური თავისებურებანი შემდეგში ცალკეული მუსიკალური დიალექტების დამახასიათებელ ნიშნებად იქცნენ.

წარმოდგენილი მელოდიური ფორმულა ან ფუძე-ჰანგი, რომელშიც თავს იყრის ადრე არსებული ყველა მუსიკალურ-სმენითი მონაპოვარი, უნივერსალურია. ამასთანავე იგი გარკვეული სტრუქტურის მქონე ინტონაციურ არეში თავსდება და გამოირჩევა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფონოლოგიური და მორფოლოგიური წყობით. საგულისხმოა, რომ ფუძე-ჰანგის სტილისტური თავისებურების ჩამოყალიბებაში არსებითი როლი უნდა შეესრულებინა მეტყველების ინტონაციურ თავისებურებას, მის მელოდიურ-რიტმულ მხარეს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სიმღერების საერთო ინტონაციური საფუძველი, მისი შემდგომი განვითარების პროცესი და ის ინტონაციური თავისებურებანი, რომლებიც მთის ცალკეულ ეთნოგრაფიულ ჯგუფებში (კუთხეებში) ყალიბდება, მკაფიოდ იჩენს თავს საფერხულ სიმღერებში. მუსიკალური მასალა თანმიმდევრულად წარმოაჩენს ბანში VII საფეხურის გაფართოების პროცესს: 1. თავდაპირველად იგი ჩნდება ფრაზის დასასრულს, შემდეგ ფართოვდება მელოდიაში კილოს II საფეხურის გაფართოების შესაბამისად, რის საფუძველზეც ბანის VII საფეხური ორმაგ ფუნქციას იძენს: ერთი მხრივ გაფართოებული VII საფეხურია, მეორე მხრივ – გაფართოების შედეგად მიღებული ახალი კილოს I საფეხურია, თუმცა სრულ

დამოუკიდებლობას ვერ აღწევს. ამგვარად, ერთი გარკვეული კილოს შემცველ მელოდიაში ახალი კილოს წარმონაქმნი ჩნდება. 2. საკადანსო ნაგებობის გაფართოების შედეგად ბანის VII საფეხურზე ყალიბდება ახალი მუსიკალური ნაგებობა, რომელიც უფრო მოგვიანებით დამოუკიდებელი მელოდიის სახით მკვიდრდება აღმოსავლეთ საქართველოს ბარში. ამ მუსიკალური ნაგებობის ორხმიან ვარიანტებში ძირითადი მელოდიური ქსოვილი ზედა, პირველ ხმაშია მოცემული, სამხმიან ვარიანტებში – შუა ხმაში. ახალი მუსიკალური ნაგებობა გენეტიურ კავშირშია თავდაპირველ მელოდიურ ფორმულასთან, მაგრამ იგი მეორეული მოვლენაა და წარმოქმნილია მუსიკალური აზროვნების განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე. ამგვარად, მუსიკალური მასალა შესაძლებლობას იძლევა თვალი მივადევნოთ ჰარმონიულ ელემენტთა თანმიმდევრული, კანონზომიერი განვითარების პროცესს, მათ მჭიდრო შრთიერთკავშირს. ნათელია, რომ ერთი ჰარმონიული ელემენტის წინ წამოწევა სხვა დანარჩენ ელემენტთა ახალი ფორმების წარმოქმნის და ჩამოყალიბების საწინდარია.

ქართველი ხალხის მუსიკალური აზროვნების განვითარების უადრესი საფეხურების კვლევისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული დატირების სახეობანი („დათვლით“, „ძახილით“, „ხმით“), რომელთა ინტონაციური საფუძველი ზემოხსენებული ფუძე-ჰანგია. უეჭველად დიდია „ხმით ნატირლების“ მუსიკალური ტექსტების მნიშვნელობა დატირების სახეობათა ფორმირებაში. მუსიკალური მასალა მოწმობს, რომ „ხმით ნატირლებმა“ არსებითი როლი შეასრულა თავდაპირველი მელოდიური ფორმულის ან ფუძე-ჰანგის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ნიშანდობლივია, ერთი მხრივ, „მთიბლურების“ მონათესაობა „ხმით ნატირლებთან“, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში გაგრძელებული „ოროველებისა“ და „ურმულების“ სტრუქტურულ-სტილისტურ თავისებურებათა სიახლოვე „მთიბლურებთან“ და საზოგადოდ მთიელთა სიმღერებთან. ცალკეა აღსანიშნავი ნატირლების როლი ისტორიულ-საგმირო სიმღერების ჩასახვა-განვითარებაში, რაზეც მიუთითებს,

ზოგ შემთხვევაში, ამ უკანასკნელთა უშუალო ინტონაციური კავშირი ნატირლებთან. მიუხედავად იმისა, რომ „ხმით ნატირლებში“ სიტყვიერ ტექსტთან ერთად არსებითია კილო-ინტონაციური მხარე, ისინი ვერ სცილდება მღერიით დეკლამაციის ჩარჩოებს, ვერ აღწევს იმ შესაძლებლობებს, რომლებიც საფერხულო სიმღერებს გააჩნია, საფერხულოები ინტონაციური და ჰარმონიული განვითარების შედარებით ფართო შესაძლებლობებით და მდიდარი გამომსახველობითი ხერხებით გამოირჩევა. ამიტომ, ქართული ხალხური სიმღერების შემდგომი განვითარების პროცესში საფერხულოების მძლავრი ინტონაციური გავლენა შეინიშნება.

საყურადღებო მუსიკალურ მასალას ვფლობთ აკვნის ნანების სახით, მასალა ნათლად ავლენს გენეტურ კავშირს სამგლოვიარო, საფერხულო და ნაწილობრივ ისტორიულ-საგმირო სიმღერების იმ ნიმუშებთან, რომლებიც ქართული ხალხური მუსიკის განვითარების უძველეს ეტაპებს ასახავს; აკვნის ნანების ვარიაციული განვითარების თავისებურ გზებს; უფრო მოგვიანებით, განვითარების მომდევნო საფეხურებზე, საფერხულო, თუ საყოფაცხოვრებო სიმღერების ინტონაციურ გავლენას აკვნის ნანებზე.

ქართველი ხალხის მუსიკალური აზროვნების განვითარების უძველესმა ფორმებმა მეტ-ნაკლებად ბარის სიმღერებშიც იჩინა თავი. ამ მხრივ საინტერესოა საწესო საფერხულო საგალობელი „იავნანა“. აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და მთის (ხევი, მთიულეთი) მასალა მკაფიოდ გვიდასტურებს, რომ „იავნანას“ მელოდია ერთ-ერთი უძველესი და ამასთანავე განვითარების გარკვეული ეტაპია ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ისტორიაში. ინტონაციური თავისებურებანი, რომლებიც ქართველურ ტომთა ეთნიკური განვითარების პროცესში ყალიბდება და საბოლოოდ მუსიკალური ფუძე-ენის სახით წარმოგვესახება, „იავნანას“ მელოდიაში განვითარების გარკვეულ დონეს აღწევს, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც „იავნანას“ მელოდიას ენიჭება ქართული ხალხური მუსიკის განვითარების მომდევნო საფეხურებზე. მრავალი საწესო, შრომის თუ საყოფაცხოვრებო სიმღერა „იავნანას“ ინტონაციურ არეში ექცევა. ამ

მხრივ ყურადღებას იმსახურებს სიმღერები წარმოქმნილი სამხმიანი „იავნანას“ მელოდიის შუა ძირითადი ხმის ვარიაციული განვითარებისა, ან მისი ზედა, პირველი ხმის დამოუკიდებელი მელოდიის სახით წინ წამოწევის შედეგად. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მესხური სიმღერების ნაწილს „იავნანას“ ტიპის ინტონაციები უდევს საფუძვლად, ნაწილს – მისი ფრაგმენტები. მესხური სიმღერების დერივატულობა შესაძლებელია დამაჯერებელი იყოს, თუ გავითვალისწინებთ ქართული კულტურის ამ ერთ-ერთი მძლავრი კერის მიმე ისტორიულ ხვედრს, რომელიც დაკავშირებულია ამ მხარეში ხანგრძლივი დროის მანძილზე ოსმალთა ბატონობასთან, მესხურ სიმღერებში დადგენილი „გ“ კადანსის საფუძველი კილოს მეოთხე საფეხურზე აგებული შემაერთებელი მუსიკალური ნაგებობაა. ფრაზისა თუ წინადადებების დასასრულს, ტონიკური ბგერის შემდეგ, კილოს მეოთხე საფეხურზე (შემაერთებელ ბგერაზე) გადასვლა კანონზომიერია, რადგან იგი გენეტურად უკავშირდება მუსიკალური აზროვნების განვითარების იმ უძველეს საფეხურს, როდესაც მელოდიის ჰარმონიულ საყრდენად კვარტა გაიაზრებოდა. შემაერთებელი მუსიკალური ნაგებობანი დამახასიათებელია საზოგადოდ ქართული ხალხური სიმღერებისათვის. ხაზგასასმელია, რომ ამათგან მესხური განსაკუთრებულ ინტონაციურ სიახლოვეს ამჟღავნებს ხევსურულ „ხმით ნატირალეში“ ფრაზების დასასრულს, მისამღერის სახით არსებულ შემაერთებელ ნაგებობებთან. საერთოდ, მესხთა მუსიკალურმა აზროვნებამ შემოგვინახა ქართული ხალხური მუსიკის განვითარების უძველესი შრეები, რაც, თავის მხრივ მოსხების, ანუ მესხების – ერთ-ერთი ქართველური ტომის – ეთნოგენეზის შესახებ არსებული მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს.

უძველესი ხანის ქართული მუსიკალური კულტურის კვლევისათვის უძვირფასეს მასალას გვაწვდის დასავლეთ საქართველო, რომლის შესახებ ნაშრომის მომდევნო ნაწილში (II) იქნება საუბარი.

THE ANCIENT STAGES OF GEORGIAN FOLK MUSIC
DEVELOPMENT

1. East Georgia
(The analysis of musical material)

On the basis of the musical texts analysis the common musical language and its development is shown in the article.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

- აზიკური ნ., საველე მუსიკალური მასალა, თუშეთი, 1971.
- ასლანიშვილი შ., ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, I, თბილისი, 1954.
- ასლანიშვილი შ., ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, II, თბილისი, 1956.
- ასლანიშვილი შ., ქართლ-კახური ხალხური სიმღერების ჰარმონია, II გამ., თბილისი, 1970.
- არაყიშვილი – არაკიშვილი დ. (არაკჩიევ), Краткий очерк развития грузинской (карталино-кахетинской) народной песни. Оттиск из I т. «Трудов МЭК» Москва, 1905.
- არაყიშვილი – არაკიშვილი დ. (არაკჩიევ), Грузинское народное музыкальное творчество, Оттиск из V т. «Трудов МЭК», Москва, 1916.
- არაყიშვილი დ., ქართული მუსიკა, ქუთაისი, 1925.
- არაყიშვილი – არაკიშვილი დ., Обзор народной песни Восточной Грузии, Тбилиси, 1948.
- გვახარია ვ., ქართული მუსიკის მშვენიერება (ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრება), თბილისი, 1971.
- მაისურაძე ნ., აღმოსავლეთ საქართველოს მუსიკალური კულტურა, თბილისი, 1971.
- მაისურაძე – მაისურაძე ნ., Проблемы генезиса, становления и развития грузинской народной музыки, Тбилиси, 1983.

- მაისურაძე ნ., ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, თბილისი, 1991.
- მაისურაძე – Маисурадзе Н., О древнейшие этапы развития грузинской народной музыки, Тбилиси, 1990.
- მაისურაძე ნ., ქართული ხალხური მუსიკის ჰარმონიის საკითხები // ანალები, №8, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი, თბილისი, 2012.
- მამალაძე თ., შრომის სიმღერები კახეთში, თბილისი, 1963.
- მალრაძე ვ., ქართული (მესხური) ხალხური სიმღერები, თბილისი, 1987.
- მალრაძე ვ., ქართული ხალხური სიმღერის ისტორიისათვის (მესხური დიალექტი), დისერტაცია, თბილისი, 1971.
- ნაკაშიძე ქ., „დალადა“-ს შესახებ // საინსტიტუტო სამეცნიერო სესია. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2004.
- ონიაური თ., ხევსურული მთიბლური სიმღერა „გერინი“, მიმომხილველი, II, თბილისი, 1951.
- ქორღანია მ., ხევსურული სიმღერები, სადიპლომო ნაშრომი, თბილისი, 1955.
- ქორღანია მ., პენტანტონიკის შესახებ ქართულ ხალხურ სიმღერებში // ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ-პედაგოგთა VIII სამეცნიერო სესია, თბილისი, 1959.
- ქორღანია – Жордания И., Грузинское традиционное многоголосие в международном контексте многоголосных культур, Тбилиси, 1989.
- შილაკაძე მ., ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, თბილისი, 1970.
- ჩხიკვაძე გრ., ქართული მუსიკა // საბჭოთა ხელოვნება, 1940, №10.
- ჩხიკვაძე – Чхиквадзе Гр., Народная песня // Грузинская музыкальная культура, Москва, 1957.
- ჩხიკვაძე გრ., ქართული ხალხური სიმღერა, I, რედაქტორი და შემდგენელი გრ. ჩხიკვაძე, თბილისი, 1960.

`saWi ri sufl o saxl i`

ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარების გამოხატვის გარეგან ფორმას გლოვა წარმოადგენს. გლოვის წესი ქართველთა შორის უძველესი დროიდან ყალიბდება. მისი საწესო გამოვლინება ისეთი საშუალებებით ხდებოდა, როგორცაა სამგლოვიარო ტანსაცმლის ხმარება, მამაკაცების მიერ გლოვის ნიშნად თმა-წვერის მოშვება, გარკვეული სახის აკრძალვები და სხვ. მაგრამ, ხალხურმა ყოფამ შემოინახა გლოვის გამოხატვის კიდევ ერთი ჩვეულება. მხედველობაში გვაქვს თ. სახოკიას მიერ სამეგრელოში დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალა: მისი ცნობით, როდესაც ქმარს ცოლი მოუკვდებოდა, ტირილის (დაკრძალვის) დღეს წნავდნენ კარავს და სადმე კუთხეში მიდგამდნენ. ამ კარავში შედიოდა დაქვრივებული, უზომოდ დამწუხრებული, სასოწარკვეთილი ქმარი, რომელიც მიიჩნევდა, რომ „ბნელშია და ღირსი არ არის მზის სინათლის ყურებისა“. როდესაც მოტირალნი მიცვალებულს იტირებდნენ, შემდეგ ისინი მიდიოდნენ ამ კარავთან და შიგ მჯდომ ქმარს მიუსამძიმებდნენ ხოლმე (13, 168). როგორც ვხედავთ, სახეზე გვაქვს მგლოვიარისათვის განკუთვნილი საგანგებო სამყოფელის არსებობის ფაქტი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჭირისუფლისათვის განკუთვნილი სამგლოვიარო სამყოფელის არსებობა არამხოლოდ ეთნოგრაფიული მასალით, არამედ ისტორიული წყაროებითაც დასტურდება. ერთ-ერთი უძველესია „მცხეთურ ხელნაწერში“ დაცული ცნობა ივლითის შესახებ, რომელიც მეუღლის, მეფე მანასეს გარდაცვალების გამო გლოვას შემდეგნაირად გამოხატავს: „...და იყო ივლით სახლსა თვისსა სამ წელ და ექუს თუე და იქმნა კარავი ერდოსა ზედა სახლისა თვისისა და შეიმოსა წელთა მისთა ძაძა და ემოსა სამოსელი ქურობისა“ (11, 63). ეს ისტორიული წყარო იმის გარდა, რომ გვაწვდის ძვირფას ცნობებს გლოვის გამოხატვის სხვადასხვა ჩვეულების შესახებ, აფიქსირებს ივლითის სახლის ერდოზე კარვის დადგმის

ფაქტს. ეს კარავი რომ სამგლოვიარო დანიშნულებისაა და იგი მგლოვიარე ივლითისთვისაა განკუთვნილი, ამაზე, უპირველეს ყოვლისა, მიგვანიშნებს კარვის დადგმის დრო (მეფის გარდაცვალება) და ადგილი (ივლითის სახლის ერლო); ასევე კარვის დადგმასთან სამგლოვიარო ატრიბუტებით (ქვრივის სამოსის ჩაცმა, გლოვის ნიშნად წელზე ძადის შემორტყმა) ივლითის შემოსვის თანხვედრა. ამდენად, ზემოხსენებული კარავი იმავე მიზანს უნდა ემსახურებოდეს, რასაც ეთნოგრაფიული მასალით დადასტურებული სამგლოვიარო სამყოფელი.

საქართველოში ასეთი წესის არსებობის შესახებ სხვა ისტორიული წყაროებიც იტყობინებიან. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, რომელიც აღწერს რა ქართული ყოფისათვის დამახასიათებელ გლოვის წესს, მიუთითებს, რომ „განჰყვებიან საფლავამდე ცოლნი ქმარსა და ქმარნი ცოლთა... ჯინსა შინა მსხდომარენი” (3, 24-25). აქაც მგლოვიარისათვის განკუთვნილ სათავსთან – ჯინთან გვაქვს საქმე. მსგავსი სათავსის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც მარიამ დედოფლის ერთადერთი შვილის ოტიას დაკრძალვის აღწერისას, მიუთითებს, რომ „...ქართველნი ძაძითა და შავით შეიმოსნენ, ლასტიჯინ დააწვნივინეს, ვითაც კუბონი და დედოფალი ვითაც მკვდარი შიგ მიიდეს და შავი ზეწარი გადააფარეს” (15, 523; 8). ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს მგლოვიარისათვის საგანგებო სამყოფელის ლასტიჯინის მომზადების ფაქტს.

სამგლოვიარო სამყოფელის შესახებ ცნობას გვაწვდის თეიმურაზ II. „დღისა და ღამის” გაბაასების ერთ-ერთ თავში, რომელსაც „კაცის სიკვდილი” ეწოდება, იგი ამ სამყოფელს „სხვა სახლის” ან „საჭირისუფლო სახლის” სახელწოდებით მოიხსენიებს:

...ერთსა შოშობსა იქივე იტირებენ მკვდარსა და, მერე ჭირისუფალთა შეასხმენ სხვასა სახლსა და ...გაიგლიჯება დიდათა ქვრივი, თავს მოიძულებსა, გამოიყვანენ ტირილით, რახან იჯერებს გულებსა, საჭირისუფლოს სახლშია ძლივდა მიიწევს სულებსა” (7, 97-100).

ამ ცნობიდან ირკვევა, რომ არსებობდა „სხვა სახლი“, რომელიც მხოლოდ მგლოვიარისათვის იყო განკუთვნილი, რის გამოც მას მინიჭებული ჰქონდა „საჭირისუფლო სახლის“ სახელწოდება ანუ ეს იყო ადგილი (ცალკე სახლი ან ოთახი ან რაღაც სათავსი), სადაც მხოლოდ ჭირისუფლის ყოფნა იყო დაშვებული.

როგორც იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ აღწერილი გლოვის წესიდან ირკვევა, მეფესაც კი ორი დიდი პალატი ჰქონდა: ერთი საღვინო, მეორე კი სამგლოვიარო. „საგლოველი პალატი იყო შავით მოკრული, ხავერდითა და სადა ფარჩითა და ჭერის შუაგულ ეკერა ჯვარი წითელი ფარჩის, მომასწავებელ შემხედველთათვის, რომელ მწუხარებასა შეუდგების მხიარულება, მოწყალებითა ღვთისაჲთა და მით ინუგეშებენ თავს მგლოვიარენი“ (10, 228).

ზემოთ მოტანილი ცნობები გვიჩვენებენ, რომ გლოვის დროს ჭირისუფლის სხვა სამყოფელში განცალკევება წესად იყო მიღებული, რომელსაც იცავდნენ საზოგადოების როგორც დაბალი ფენის, ისე მაღალი წრის წარმომადგენლები.

ისტორიული წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალის მონაცემებით სამგლოვიარო სამყოფელი ცნობილი იყო „კარავის“, „ჯინის“, „ლასტიჯინის“, „საბნელოს“, „საჭირისუფლო სახლის“ სახელწოდებით. როგორც ირკვევა, მგლოვიარისათვის განკუთვნილი სამყოფელი ორი სახის იყო: 1. „ჯინი“ და „ლასტიჯინი“ ხანმოკლე მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი. მათი საშუალებით ჭირისპატრონი საფლავამდე აცილებდა გარდაცვლილ უახლოეს ადამიანს; 2. „საჭირისუფლო სახლი“, „კარავი“ და „საბნელო“, რომელთაც საცხოვრებლის სახე ჰქონდათ, მგლოვიარის ხანგრძლივი ყოფნისათვის იყო გამიზნული (40 დღე ან უფრო მეტხანს).

ლექსიკოგრაფიული მონაცემებით („ძველი ქართული ენის ლექსიკონი“; „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“) „კარავი“ წარმოადგენს „დროებით სადგომს“, „ტალავარს“, „საჩრდილობელს“. სულხან-საბა ორბელიანი „კარავს“ „საჩრდილობელისა“ და „სახლის“ სახელწოდებით მოიხსენიებს. სამგლოვიარო წეს-ჩვეულებებთან მიმართებაში „კარავის“ როგორც დროებითი სადგომის განმარტება, ესადაგება მასში გლოვის წესით გათვალისწინებულ

ჭირისუფლის განსაზღვრული დროით ყოფნის ჩვეულებას. (სწორედ ამ მიზნით მზადდებოდა ეთნოგრაფიულ ყოფაში დაფიქსირებული მოწნული კარავი; ასევე ზემოთხსენებული კარავი მგლოვიარე ივლითისათვის).

ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ასახელებს მგლოვიარის ერთ-ერთ სამყოფელს „ჯინს“, მაგრამ იგი მის აღწერილობას არ იძლევა. მას დაფიქსირებული აქვს მხოლოდ მისი ფუნქცია

ჯინით ჭირისუფლის საფლავამდე გამგზავრება. სულხან-საბა ორბელიანი „ჯინს“ განმარტავს როგორც მოწნულ „გოდორ-მარხილს“. მოწნული პირგანიერი კალათის სახელით არის „ჯინი“ მოხსენებული „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“. ამ განმარტების მიხედვითაც „ჯინი“ მოწნული, პირგანიერი კალათაა ტვირთის საზიდავად, რომელიც ორ კაცს სახელურებით მიაქვს ან ურემზე დგამენ. სავარაუდოა, რომ ვახუშტის მიერ დასახელებული „ჯინი“ ასეთივე მოწნული, პირგანიერი სათავესო იყო, რომლის წადება სასაფლაომდე ზემოთდასახელებული წესით ხდებოდა. ეს ტერმინი დღესაც მოწმდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოწნული დიდი გოდორის ან მოწნული საწოლის აღსანიშნავად. (ქართლი, ხევსურეთი, ფშავი, მესხეთი და სხვა). ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ქართლში არსებობს ორი სიტყვის „ჯინისა“ და „გოდორის“ ურთიერთშერწყმით მიღებული „ჯინგოდორა“, რომელიც მოწნულ-კედლიან სათავეს-სასიმინდეს ეწოდება (16). რაც შეეხება ისტორიულ წყაროებში მოხსენებულ ტერმინებს „ჯინსა“ და „ლასტიჯინს“, ვფიქრობთ, რომ ისინი ერთმანეთის სინონიმებია და აღნიშნავენ მოწნულ სათავეს-გოდორს ან დიდ, პირგანიერ კალათას, რომელიც სხვა დანიშნულებასთან ერთად გლოვის დროსაც გამოიყენებოდა.

წყაროებში გარდაცვლილის პატრონის განმარტოების ადგილი „საჭირისუფლო სახლის“ სახელითაც არის მოხსენებული. მასთან მიმართებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სულხან-საბა ორბელიანის მიერ სიტყვა „სახლის“ მნიშვნელობის ახსნა. ამ სიტყვის სხვადასხვა განმარტებებს შორის, მას დასახელებული აქვს „სახლი სულმწარისა“. თუ გავითვალისწინებთ ისტორიული წყარო-

ების ცნობებსა და ეთნოგრაფიულ მასალას ჭირისპატრონისათვის განკუთვნილი სამყოფელის არსებობის შესახებ, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ „სახლი სულმწარისა“ იგივე მგლოვიარის დროებითი სამყოფელი უნდა იყოს, რომელსაც სხვადასხვა სახელწოდება, მათ შორის „სახლი სულმწარისა“ მიესადაგება. ასეთი სახელწოდება თავისი შინაარსით გამოხატავს მასში განმარტოებული ჭირისპატრონის განწყობას, მის სულიერ მდგომარეობას. მგლოვიარის ადგილსამყოფელისათვის „საჭირისუფლო სახლის“ წოდება კი ხაზს უსვამს, მკვეთრად წარმოაჩენს იმ გარემოებას, რომ ეს „სახლი“ (რომელიც, შესაძლოა, საცხოვრებელს არ წარმოადგენდა და მას პირობითად მოიხსენიებდნენ „სახლის“ სახელწოდებით) მხოლოდ ჭირისპატრონისათვის იყო განკუთვნილი. „საჭირისუფლო სახლი“ („სახლი სულმწარისა“) იმ პიროვნებისათვის იყო გამზადებული, რომელსაც უდიდესი სულიერი განცდები გააჩნდა უახლოესი ადამიანის დაკარგვის გამო. სწორედ ასეთი ჭირისუფლისათვის კეთდებოდა „ჯინი“, „ლასტიჯინი“, „კარავი“ თუ „საბნელო“. თითოეული მათგანი წარმოადგენდა მგლოვიარის ხანმოკლე თუ შედარებით ხანგრძლივი დროისათვის განკუთვნილ სამყოფელს, რომელთაც შესაძლოა, ზოგადად „საჭირისუფლო სახლიც“ ერქვათ. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს თვით ისტორიულ წყაროებში ასეთი სამყოფელის აღმნიშვნელი ტერმინის „საჭირისუფლოს“ არსებობა, რომელიც აშკარად განსაზღვრავს ამ ადგილსამყოფელის კუთვნილებასა და ფუნქციას (წესის თანახმად, უდიდესი მწუხარების გამო აქ უნდა ყოფილიყო მგლოვიარე განმარტოებული). ამასთანავე, როგორც ირკვევა, ეს ადგილი მხოლოდ გარდაცვლილის უახლოესი ადამიანების დედის, მამის ან მეუღლისათვის იყო გათვალისწინებული. ეს წესი სხვა მგლოვიარე ნათესავენს არ ეხებოდა.

ჭირისპატრონის მწუხარებას არამხოლოდ საგანგებო სათავსში ყოფნა გამოხატავდა, არამედ ამ სათავსზე შემოკრული ძაძაც მიუთითებდა გლოვის სიმძიმეზე. სწორედ ასეთი იყო ვახუშტი ბაგრატიონის ცნობის თანახმად მგლოვიარის სამყოფელი ჯინი: „...განჰყვებიან საფლავამდე ჯინსა შინა მსხდომარენი... ძაძითა მოკრულთა“ (3, 24-

25). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ძაძა” ძველთაგანვე დარდის, გლოვის სიმბოლოდ იყო მიჩნეული. ისტორიული წყაროების მიხედვით „ძაძის” ჩაცმით თუ „ძაძის” შემორტყმით ადამიანები გამოხატავდნენ როგორც პირად, ისე საერთო სახალხო მწუხარებას (11, 64). საინტერესოა, რომ ძაძის შემორტყმით გლოვის გამოხატვის ეს ფორმა ქართველთა ყოფას ბოლო დრომდე შემორჩა (თუშეთი, ქართლი, კახეთი, სამეგრელო და სხვ.) მამაკაცების მიერ მარცხენა ხელზე შავი ფერის სამკლაურის შემოკერის თუ საცხოვრებელი სახლის აივნის ბოძზე შავი ფერის ნაჭრის შემოხვევის სახით. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ძაძა სელის, კანაფის ან მცენარე ძაძისგან მიღებული უხეში ქსოვილი იყო, რომლისგანაც ჭირისუფალი თვითგვემის მიზნით, სამგლოვიარო ტანსაცმელს ამზადებდა (5, 153). მაგრამ, როგორც ჩანს, ძაძის უხეში ქსოვილი არამხოლოდ სამგლოვიარო ტანსაცმლის დასამზადებლად, არამედ გარკვეული სიდიდისა და დანიშნულების სათავსის გასაკეთებლადაც გამოიყენებოდა. ამის შესახებ ისტორიულ წყაროებს შემოუნახავთ ცნობები. მაგალითად: „ყოველსავე ჭურჭერსა ძელისა... გინა ძაძასა”. „ერთი ძაძაჲ პური”; „იპოვნეს ივინი ძაძანი სავსენი იფკლითა” და სხვ. განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ასეთი სათავსი, საჭიროების შემთხვევაში, ადამიანისთვისაც გამოიყენებოდა: „რაჟამს დამძალე მე ძაძასა ქუეშე სამატყლესა” ანდა „უბრძანა ძაძაჲ კანაფისაჲ მიღებად და შთასუა იგი მას შინა” (1, 524). თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ძაძის შემორტყმით ან მცენარე ძაძის უხეში მასალისგან დამზადებული ძაძის სამოსის ჩაცმით გლოვის გამოხატვა შეიძლებოდა, მაშინ გამორიცხული არ არის, რომ ამ მასალისგან (ძაძისაგან) დამზადებული სათავსიც ყოფილიყო გამოყენებული იმავე მიზნით. ამიტომ, სავარაუდოა, რომ სწორედ ძაძის უხეში მასალისგან წნავდნენ მგლოვიარის სამყოფელ ჯინსა თუ კარავს. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია იგი იყოს წინამორბედი ვახუშტი ბაგრატიონის მიერ აღწერილი მგლოვიარის სამყოფელისა, რომელიც ძაძაშემოკრული ჯინის სახითღა შემორჩა. ძაძისაგან მოწნულ ან ძაძაშემოკრულ სა-

თავსში მგლოვიარის ყოფნა კიდევ უფრო მძლავრად წარმოაჩენდა ჭირისპატრონის მწუხარებას.

ვეხებით რა სამგლოვიარო სამყოფელში ჭირისპატრონის განცალკევების საკითხს, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ ამავე დროს, მგლოვიარე სიბნელით უნდა ყოფილიყო მოცული, იგი სიბნელეში უნდა ყოფილიყო განმარტოებული. სწორედ ამას ითვალისწინებდა ორმოცი დღის განმავლობაში საჭირისუფლო კარავში ყოფნა. არამხოლოდ ეთნოგრაფიულ მასალას, არამედ ისტორიულ წყაროებსაც შემოუნახავთ ცნობები ამ წესის შესახებ, კერძოდ, გიორგი III-ის მეუღლისა და თამარის დედის გარდაცვალების გამო...” აღვდეს ჳმანი ვაებისა და ტყეებისანი...და თამარი შეიზღუდა ბნელითა” (9, 70); პაპუნა ორბელიანი აღწერს რა თეიმურაზ მეფის მეუღლის გარდაცვალების ამბავს, აღნიშნავს, რომ ამის გამო ...”დაბრძანდა ბატონი საბნელოსა შინა” (15, 523); ვახუშტი ბაგრატიონი ჭირისუფალს ბნელ ჯინში მჯდომარედ წარმოგვიდგენს, იგი ჯინს „ბნელის” ეპითეტით მოიხსენიებს...”განჰყვებიან საფლავამდე ჯინსა შინა მჯდომარენი ბნელსა, ძაძითა მოკრულთა” (3, 24-25). ჩვენი აზრით, მგლოვიარის სიბნელეში ყოფნის ჩვეულებას შესანიშნავად წარმოაჩენს დაკრძალვის დღეს მოწნული ღასტიჯინის გამოყენებაც, რომელსაც შავი ფერის მატერიას გადააფარებდნენ ხოლმე, ალბათ, იქ მყოფი ჭირისპატრონის სინათლისაგან დაცვისა და სიბნელეში ყოფნის მიზნით. მსგავს ვითარებას უნდა ჰქონოდა ადგილი ვახუშტის მიერ აღწერილი ჯინის შემთხვევაშიც (ამიტომაც უწოდებს მას „ბნელს”). „საბნელო” იგივე „საჭირისუფლო სახლია”, რომელსაც ეს სახელწოდება მიღებული უნდა ჰქონდეს სამგლოვიარო სამყოფლისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ძირითადი ნიშნის სიბნელის გამო.

ჭირისპატრონის სიბნელეში განმარტოების ჩვეულების შესახებ ცნობებს მხატვრულ ლიტერატურაშიც ვხვდებით. შავების ჩაცმა და ბნელში ჯდომა არამხოლოდ ორმოცი დღის, არამედ მთელი წლის განმავლობაში დამოწმებულია „ვეფხისტყაოსანში”, სადაც ტარიელი მამის გარდაცვალების გამო ამბობს:

.....მე წელიწდამდის ბნელსა ვჯე, საწუთრო
გაცუდებულა”...

ანდა

.....ვიჯექ ბნელსა ცეცხლ-ნადები ნათელ შრეტით
დანავსები,
ნადველს ვსვამდი, სამსალითა გული მქონდა
შენავსები”...

ამრიგად, როგორც ზემოთმოტანილი მასალიდან ირ-
კვევა, ჭირისპატრონი გლოვის დროს არამხოლოდ სხეები-
საგან იყო განცალკევებული, არამედ იგი სიბნელეშიც იმ-
ყოფებოდა. ამ ჩვეულებასთან მიმართებაში, უპირველეს
ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ქართველთა უძველესი რე-
ლიგიური წარმოდგენები სამყაროს შესახებ და შავი ფე-
რის როლი მიცვალებულთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებ-
ებში. უნდა აღვნიშნოთ, რომ უძველესი წარმოდგენები
სუღეთსა და სამზეოზე შეიცავს შეხედულებებს სამი სამ-
ყაროს ზესკნელის, შუასკნელისა და ქვესკნელის შესა-
ხებ. ხალხური რელიგიური აზროვნების მიხედვით, თითო-
ელ მათგანს თავისი მოსახლეობა ჰყავს ზესკნელი, რო-
მელიც შეესაბამება ცას ღვთაებებისა და მნათობების
სამყაროს; შუასკნელი ანუ სამზეო ადამიანთა და ცხო-
ველთა სამყოფელია; ქვესკნელი კი წყლისა და მუდმივი
სიბნელის სამყაროა (14, 88). სამივე სამყარო შესაბამისი
სიმბოლური ფერებითაა წარმოდგენილი: თეთრი ზესკნე-
ლი, წითელი ან ჭრელი შუასკნელი, შავი ქვესკნელი.
რწმენის თანახმად, ქვესკნელი იყო ის სამყარო, რომელიც
მიწისქვეშ მდებარეობდა და სადაც გარდაცვლილები იმყო-
ფებოდნენ. ქვესკნელის შავი ფერი მიწის სიმბოლურ ფე-
რად იყო აღქმული. ამიტომაც იყო, რომ საქართველოში
საიქიოს „შავეთსაც“ უწოდებდნენ. ამით უნდა აიხსნას ის,
რომ შავი ფერი დომინირებდა მიცვალებულთან დაკავში-
რებულ წეს-ჩვეულებებში: შავი ფერის იყო სამგლოვიარო
ტანსაცმელი, მგლოვიარენი შავი თხის ტყავით იმოსებოდ-
ნენ, ჭირისპატრონი შავი ფერის საბანს იხურავდა, შავი
ფერის ძროხის გადაფხეკილი ტყავისაგან ამოსხმულ ქა-
ლამანს ხმარობდა, თუშეთში მგლოვიარე ქალები ატარებ-
დნენ ე.წ. „უბის ჯაჭვს“, რომელსაც შავი ფერის ნაბდის

ნატრები ჰქონდა ბოლოში შებმული და სხვ. სამგლოვიარო წეს-ჩვეულებებში შავ ფერს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სხვა კავკასიელ ხალხთა ყოფაშიც. მაგალითად, დაღესტანში შავით მოსილი ქვრივი 40 დღის განმავლობაში გარდაცვლილი მეუღლის შავ ნაბადზე უნდა მჯდარიყო (18, 96, 297) და სხვ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, შავი ფერი ასოცირდებოდა „შავეთან“ ანუ საიქიოსთან. მაგრამ, ამავე დროს, შავი ფერი სიბნელის სიმბოლოსაც წარმოადგენს და თავისთავად საიქიოც სიბნელით მოცულად წარმოიდგინება. თუ გავითვალისწინებთ მგლოვიარის სიბნელეში ყოფნის ჩვეულებას, აშკარა ხდება, რომ ჭირისპატრონი ცდილობდა თავი წარმოედგინა სუღეთის ანუ იმ სამყაროს ბინადრად, სადაც მისი გარდაცვლილი უახლოესი ადამიანი იმყოფებოდა. ამას იგი შესაბამისი ნიშნით სიბნელეში // სიშავეში ყოფნით გამოხატავდა ანუ თავის მიზანს სიბნელეში ყოფნით „აღწევდა“. ამაში კი მას „ეხმარებოდა“ „საჭირისუფლო სახლის“ ყოველი სახეობისათვის დამახასიათებელი მთავარი ნიშანი სიბნელე. სწორედ ამ ვითარების ამსახველი უნდა იყოს მგლოვიარის განმარტოების ადგილის ერთ-ერთი სახელწოდება „საბნელო“.

სიბნელეში ყოფნით მგლოვიარე სიმბოლურად თავის ყოფას მიცვალებულის მდგომარეობასთან ათანაბრებდა, რაც უნდა მივაკუთვნოთ იმავე რიგის საშუალებებს, როგორც იყო ჩვეულება გასვენებისას მგლოვიარის ძაძაშემოკრულ ჯინში ან შავი მატყერით გადაფარებულ ლასტიჯინში ჯდომა და ამ სახით დაკრძალვის პროცესიაში მონაწილეობა; ასევე, დაკრძალვის დღეს გარდაცვლილი ცოლისა და მისი ცოცხალი ქმრის ტანსაცმელზე ერთდროული დატირება (სამეგრელო), გარდაცვლილ ქმართან ერთად ცოლის საიქიოში „გამგზავრების“ ხევესურული წესი და სხვ. ეს რიტუალური ქმედებანი წარმოადგენენ გარდაცვლილთან ერთად იმქვეყნად გამგზავრებისა და მასთან ყოფნის იმიტაციას. სამზეოში დარჩენილი ჭირისუფლისათვის სუღეთთან ასოცირდება ისტორიულ წყაროებში მოხსენებული „ჯინი“, „ლასტიჯინი“, „საბნელო“ ან ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი „კარავი“, რომლებიც მგლოვიარე

რის განმარტოების ადგილსამყოფელს წარმოადგენდნენ. სავარაუდოა, რომ სიმბოლურად ასეთსავე როლს ასრულებდა სამეგრელოსა და ლეჩხუმში დაფიქსირებული მგლოვიარე ქალის „ქოხის“ სახელწოდებით ცნობილი კარვის ან ნაბდის მსგავსი, ადამიანის მთლიანად დამფარავი მოსასხამი (4, 282; 17, 185), საიდანაც მას მხოლოდ თვალები მოუჩანდა.

განხილულ საკითხთან მიმართებაში საჭიროდ მიგვაჩნია აღენიშნოთ შემდეგიც: ქართველთა ძველი რწმენის თანახმად, გარდაცვლილის სულს ცოცხალი ადამიანის მსგავსად, იმქვეყნად, სხვა ყველაფერთან ერთად (ტანსაცმელი, საკვები, ცხოველები დას ხვ), ესაჭიროებოდა საცხოვრებელიც. რელიგიის ისტორიაში ცნობილია, რომ სულეთის საცხოვრისი ადამიანებს ამქვეყნის ანალოგიურად ჰქონდათ წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, შესაფერისი სამყოფი გარდაცვლილისათვის ამქვეყნიურის მსგავსი უნდა ყოფილიყო. ამ შეხედულებამ თავისი ასახვა ჰპოვა საფლავის ძეგლებშიც, რომლებიც საკმაოდ ნათლად ასახავდნენ საცხოვრებელი ნაგებობების ტიპებს. ქართველთა უძველესი რელიგიური რწმენა იმქვეყნად სიცოცხლის გაგრძელებისა, განაპირობებდა მეტ-ნაკლებად სახლისებურად სამარხთა აგებას და ნამდვილი შენობების აღმართვას, რასაც შესანიშნავად ადასტურებს მცხეთის არქეოლოგიური ძეგლები (თითო დიდი აკლდამა ბაგინეთსა და მცხეთის სადგურთან) (72, 321). ასევე, თუ გავითვალისწინებთ ვიტრუვიუსის ცნობებს (ჩვ. წთ. I საუკ), ხევსურეთისა და თუშეთის აკლდამების აგებულებაში მოწმდება კოლხური სახლის კონსტრუქცია (გვირგვინიანი ჭერი, საფეხურიანი გადახურვა) ე.ი. საცხოვრებლის ელემენტები ასახულია მიცვალებულისათვის განკუთვნილ ნაგებობებში.

რაც შეეხება სამგლოვიარო კარავს, რომლის შესახებაც არსებობს ეთნოგრაფიული მონაცემები, იგი ყურადღებას იპყრობს არამარტო თავისი დანიშნულებით, არამედ იმითაც, რომ იგი დიდ მსგავსებას ავლენს სამეგრელოში. გავრცელებულ წნულკედლიან ფაცხასთან (6, 106). თუ საჭირისუფლო კარავი მგლოვიარეთა მიერ იმქვეყნიურ სამყოფლად აღიქმებოდა (რაც ზემოთ ვარაუდის სახით გამოვთქვით), მაშინ გამორიცხული არ არის, რომ ტრადიცი-

ული საცხოვრებლის სახე გამეორებულიყო მოწნული სამ-
გლოვიარო კარავის აგებულებაში და ამდენად იგი (კარა-
ვი) წარმოადგენდეს იმქვეყნიური საცხოვრისის მატერია-
ლურ განსახიერებას სამზეოში, რომელიც ტიპოლოგიურად
იმეორებს ყოფაში გავრცელებული ნაგებობის სახეს.

ამრიგად, ისტორიული წყაროების მონაცემებისა და ეთ-
ნოგრაფიული მასალის მიხედვით, გლოვის გამოხატვის ერთ-
ერთ საშუალებას საგანგებო სამყოფელიც წარმოადგენდა,
რომელშიც ჭირისპატრონი გლოვის გარკვეულ მონაკვეთს
ატარებდა. იგი მხოლოდ უახლოესი ადამიანის შვილის ან
მეუღლის დაკარგვის შემთხვევაში ხდებოდა მგლოვიარის
ყველასაგან განცალკევების ადგილი. ამ დროებითი სამყოფე-
ლის ყველა სახეობა („ჯინი“, „ლასტიჯინი“, „კარავი“, „საბ-
ნელო“) შეიძლება გაერთიანდეს „საჭირისუფლო სახლის“
ზოგადი სახელწოდების ქვეშ, რომელიც მიესადაგება თითო-
ეულ მათგანს. „საჭირისუფლო სახლში“ ყოფნით მგლოვიარე
თავის არსებობას სიმბოლურად მიცვალებულის მდგომარეო-
ბასთან ათანაბრებდა და ჰქმნიდა იმ ქვეყნად ყოფნის იმიტა-
ციას. ამ გზით ჭირისუფლის მიერ ხდებოდა საიქიოს მიკრო-
სამყაროს შექმნა, რომლის მატერიალურ განსახიერებას „სა-
ჭირისუფლო სახლი“ წარმოადგენდა.

“MOURNING HOUSE”


According to the ancient Georgian sources and ethnographic materials, isolation of a widowed person to other place for definite period of time (40 days) represented one of the means of mourning. The name itself “Mourning House” indicates that only the widowed person could be there.

By isolating in “Mourning House” the widowed person equalized his existence to the deceased and thus imitated being in the other world. The widowed person used to create the other world’s micro universe in this way that was materialized in “Mourning House”.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აბულაძე ი., „ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973 წ.
2. არჩილიანი, ტ. II.
3. ბატონიშვილი ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ქართლის ცხოვრება, ტ. IV.
4. ბეზარაშვილი ც., „სამეგრელოში ქალის ჩაცმულობა“ კრებ. „სამეგრელო“, თბ., 1979 წ.
5. გიორგაძე დ., „რიტუალური სამოსელის საკითხისათვის“ („სულის ტალავარი“), ანალები, №6, 2010 წ.
6. გუგუშკორი გ. „საოჯახო ყოფა სამეგრელოს მოსახლეობაში (ჩხოროწყუს რ-ის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)“, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, VII, თბ., 2005 წ.
7. თეიმურაზ II, „დღისა და ღამის გაბაასება“, თხზ. სრ. კრებ. გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1939 წ.
8. „ივერია“, გაზ. 1888 წ., №118.

9. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის გამოც.
10. კეკელიძე კ., „გოდების ჯანრი“ და „გლოვის წესი“ ძველ ქართულ ლიტერატურაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, 1956 წ.
11. მცხეთური ხელნაწერი ე. დოხანაშვილის რედაქტირებით, თბ., 1983 წ.
12. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959 წ.
13. სახოკია თ., „მიცვალებულის კულტი სამეგრელოში“, მსე III, 1940 წ.
14. სურგულაძე ი., „ქართველთა აგრარული რწმენა-წარმოდგენების ისტორიიდან“ (მომაკვდავი და აღდგენილი ღვთაებები), მსე, XIX, თბ., 1978 წ.
15. ქართლის ცხოვრება, ტ. II.
16. ღლონტი „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“, თბ., 1984 წ.
17. ქაჯაია ნ., „მიცვალებულის კულტი ლენხუმში“, კრებ. „ლენხუმი“, თბ., 1985 წ.
18. Гаджиева С.Ш., Семья и брак у народов Дагестана в XIX-нач. XX в., М., 1985 г.



გეტეან დირმელაშვილი

**საქართველოს საუკუნეების ანტიკების
გამოსახულებათა ტიპოლოგიკისათვის**

ანტიკური სამშენებლო დეტალია, რომელიც ღარიანი კრამიტის – კალიპტერის აკეცილ კიდიან სახეს წარმოადგენს. იგი ანტიკური დროიდან ცნობილია როგორც ფართოდ გამოყენებადი დეტალი, რომელსაც ხმარობდნენ შენობის სახურავის კიდეებში მოსართავად (Словарь Античности 1989: 35). მსოფლიოში ის გამოიყენებოდა როგორც საკულტო, ისე საერო შენობათა გადახურვაში. რაც შეეხება საქართველოს, აქ აღმოჩენილი ანტიკურების უძველესი ნიმუშები IV და შემდგომი საუკუნეებითაა დათარიღებული. ადრეული ანტიკურები ცალკეული ნიმუშებითაა წარმოდგენილი ისტორიული საქართველოს სხვადასხვა ადგილებიდან და ძირითადად, ქრისტიანული სიმბოლიკის გამომხატველია. მომდევნო საუკუნეთა ანტიკურებს, რომელთა რიცხვი გაცილებით მეტია, სიმბოლიკას ძირითადად ჯვრის გამოსახულებები ცვლის.

ანტიკურების უძველესი ნიმუშების უმრავლესობა საკულტო ნაგებობების არქეოლოგიური შესწავლის დროს გამოვლინდა. თუმცა, იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ისინი აღმოჩნდა სასახლის ნანგრევებშიც. ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე გამოსახულებიანი ანტიკურები დაფიქსირდა როგორც ეკლესიის, ისე სასახლის გადახურვაში, მოწმობს, რომ რელიგიური თემატიკის გამოსახულებიან ანტიკურებს უკვე VI საუკუნიდან იყენებდნენ როგორც საკულტო, ისე საერო ხასიათის შენობების კედლისა და სახურავის გარდამავალ მორთულობად.

ადრექრისტიანული ხანის ანტიკურის გამოსახულებები საქართველოში ოთხი ტიპითაა წარმოდგენილი: ხის,

ირმის ან ირმისნაირთა, ჯვრის და ანთროპომორფულ ფიგურათა გამომხატველნი. მათგან ყველაზე ადრეულ ნიმუშებს ქრისტიანულ სიმბოლოიანი ანტიფიქსები შეადგენენ. ერთ-ერთი ასეთი კრამიტი, რომელიც IV ს. თარიღდება, 2000 წ. აღმოჩნდა სვეტიცხოვლის ეზოში (ყიფიანი 2001: 40-44). ანტიფიქსზე მოცემულია ერთ საფეხურიან კვარცხლბეკზე აღმართული „სიცოცხლის ხე“. მას სამად განტოტვილი წვერო, დაბლა დაშვებული ბროწეულისებრი ნაყოფით დამძიმებული და განივი ტოტები აქვს, რომლებიც, იმავედროულად, ჯვრის მკლავებს წარმოადგენს (სურ.1). გარდა თავისი არქაულობისა, ანტიფიქსი გაცილებით მეტი ინტერესს აღძრავს, თუ მხედველობაში მივიღებთ ორ გარემოებას: ერთი ესაა „ნინოს ცხოვრება“-სა და ლეონტი მროველთან დაცული მონათხრობი სასწაულმოქმედ ხეებზე, რომელთაგან ერთი სვეტიცხოვლად იქცა, ხოლო მეორეთი ჯვარი გამოიკეთეს და სალოცველად აღმართეს („მოქცევაჲ ქართლისაჲ“ 1963: 148; ლეონტი მროველი 1955: 119-120). მეორე გარემოება კი მისი აღმოჩენის ადგილია – სვეტიცხოვლის ეზო – ადგილი, სადაც უშუალოდ ხდებოდა ქართულ წერილობით წყაროებში დაცული სასწაულები. თუ კი ჩვენი ხაზგასმები სწორია, მაშინ, ვფიქრობთ, არაა გამორიცხული, ანტიფიქსზე სწორედ ქართლის მოქცევასთან დაკავშირებული სასწაული იყოს სიმბოლიზებული.

ხის საკულტო მცენარედ აღქმის კიდევ ერთი დადასტურებაა „შავი მთის“ ანტიფიქსები, რომლებიც 1989-1991 წწ. შირაქში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს საკულტო ნაგებობის ფენებში აღმოჩნდა (სურ.4). V-VI სს. კრამიტის ნატეხები გამოსახავენ სიცოცხლის ხეებს გრძელი, მაღლა აწეული წვრილი ტოტებით, რომელთაც გარშემო კოპები შემოუყვება (მაისურაძე... 2004: 35).

ამავე პერიოდით თარიღდება ქრისტიანული სიმბოლოს – ირემთა გამოსახულებიანი ორი ანტიფიქსი ახიზიდან და ურბნისიდან.

კლარჯეთის ახიზის ეკლესიის ანტიფიქსზე¹ ირემი ოდნავ დადაბლებულ ფონზე, მარჯვენა პროფილშია წარმოდგენილი და მიემართება მის ფეხებთან გამოსახული ტოლმკლავა ჯვრისკენ (სურ.7). ცხოველის ფეხები მოძრაობაშია (წინა ფეხის აწევით თითქოს ვედრების პოზა მიუციათ მისთვის), ტანი ოდნავ გრძელია, კუდი შესამჩნევი, კისერი შემართული, თავი გასწორებული, რქები გრძელი და უკან გადაწეული. წინა ფერდზე მრგვალი ნიშნული აქვს, რომელშიც წერტილი ზის. როგორც ჩანს, ამით მისი ღვთაებრივობა, წილიანობა უნდა იყოს მინიშნებული, რაც კარგად დადასტურებული ფაქტია როგორც წარმართულ, ისე ადრექრისტიანული ხანის ძეგლებზე. ასეთი სოლარული ნიშნებით ფერდსა თუ გავაზე „დადღასმულნი“ იყვნენ ირმისნაირთა ოჯახის ცხოველები, ღომები და ცხენები, რაც მათ საკრალურობაზე მიანიშნებდა (სურგულაძე 1986: 115; ფანცხავა 1988: 39). როგორც აღვნიშნეთ, ირემი მიისწრაფვის მის წინ გამოსახული ჯვრისკენ, რაც სიმბოლურად იხსნება, როგორც ევქარისტის გადმოცემა (დიდმელაშვილი 2010: 67-73).

რაც შეეხება მეორე ანტიფიქსს, იგი აღმოჩნდა ურბნისის შემოგარენში – ქვაცხელაზე (სურ.8). VI ს. დათარიღებულ ანტიფიქსზე გამოსახულება შტამპითაა დატანილი და გამოსახავს სამ ირმისებრთა ოჯახის ცხოველს (აღ. ჯავახიშვილი მას ირმებად ასახელებს, ხოლო პ. ზაქარაია – ჯიხვებად). მათგან ერთი დიდი ზომისაა და ცენტრშია მოცემული, ხოლო დანარჩენი ორი – მის ფეხებს შორის და ზურგს ზემოთ (ჯავახიშვილი... 1962: 4; ზაქარაია 1965: 68). როგორც ჩანს, აქ დედა-შვილის სიუჟეტთან უნდა გვეკონდეს საქმე, რომლის მსგავსი თემატიკის გამოსახულებები საქართველოში იშვიათობას არ წარმოადგენდა. ისინი უფრო საბეჭდავებიდანაა ცნობილი, რომლებიც ძვ.წ. V-ახ.წ. II სს. თარიღდება (ლორთქიფანიძე 1959:106-107; გაგოშიძე 1982: 17-35; Максимова 1941: 84-86). მათზე ვხვდეთ

¹ ახიზის ეს ანტიფიქსი ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს არქეოლოგიური მუზეუმის ფონდში, საინვენტარო ნომრით ა477(95-07).

ბით არა მხოლოდ ფური-შვლის, არამედ ფაშატი-კვიცისა და ძროხა-ხბოს გამოსახულებებსაც. ადრექრისტიანულ პერიოდში მსგავსი თემატიკის გამოსახულებებმა არსებობა გააგრძელა უკვე როგორც ქრისტიანული სიმბოლიკის ნაწილმა. ისინი განიმარტებოდა როგორც დედაეკლესიისა და მისკენ სწრაფულ მორწმუნეთა გამოსახულება (Clément d'Alexandrie 1846: I,5-6). სწორედ ამის გამომხატველია ძროხა-ხბოს გამოსახულება ბიჭვინთის მოზაიკაზე (დიდმელაშვილი 2011: 136-146) და ვფიქრობთ, იგივეს უნდა გადმოსცემდეს ურბნისის ანტიფიქსიც.

ქრისტიანობის შემოსვლასა და დამკვიდრებასთან ერთად, თანდათან მრავლდება და უცვლელ რელიგიური კუთვნილების მანქვენებლად მკვიდრდება ჯვრის გამოსახულებები ძეგლებზე. იგივე პროცესს ადგილი აქვს ანტიფიქსების შემთხვევაშიც. ის, თუ როგორ გაიარა ცვლილების გზა ქრისტიანულმა სიმბოლიკამ ხის სახით გამოსატული ჯვრიდან თავად ჯვრის გამოსახულებამდე, ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს მრამბის ეკლესიის შესწავლისას აღმოჩენილი ანტიფიქსი, რომელიც ეკლესიის თანადროულია და VI-VIII სს. თარიღდება (სურ.2). მასზე გამოსახულია კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარი, რომლის განივი მკლავების ზემოდან მოცემულია ასტრალური სიმბოლიკა – მზე და მთვარე. ჯვრის მარჯვენა მხარეს, მკლავს ქვემოთ გამოსახულია სიცოცხლის ხე, ხოლო მარცხნივ – კვადრატული ფორმის საგანი (საკურთხეველი?), რომლის ცენტრში ოთხმკლავა ბორჯღალია მოცემული, ზედაპირზე კი ორი ვერტიკალური ზოლია ამომართული (ბერძენიშვილი 2006: 91-92).

მიუხედავად იმისა, რომ ადრეფეოდალური პერიოდის ანტიფიქსებზე გამოსახული ჯვრების მიხედვით მათი ქრონოლოგიური კლასიფიკაცია ძნელია, რადგან ერთნაირი ჯვრის ტიპები სხვადასხვა საუკუნის კრამიტებს ამკობს, ერთგვარი ქრონოლოგიური ზღვარი მაინც ივლება. მაგალითად, უფრო ადრეულ (V-VI სს.) ნიმუშებზე ჯვრები ან სადადაა წარმოდგენილი (ნოქალაქევი, თხოთის მთა (მახარაძე... 2013: 3-6)), ანდა ფოთლოვან-ფრთოვანი ღეროთი დამშენებული, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში აყ

ვაგებული ჯვრის სახელითაა ცნობილი. ამ უკანასკნელთა მაგალითად დავასახელებდით ურბნისისა და ახიზის ანტეფიქსებს (სურ.5-7), რომლებზეც გამოსახულია განედლებული ჯვრები (ფრთისებრ გაშლილი ფოთლებით). მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების გათვალისწინებით, ზ. სხირტლაძე მათ VI-VII სს. ათარიღებს (სხირტლაძე 1991: 154-160), მაგრამ, რიგი გარემოებების გამო, ვფიქრობთ, ისინი V ს. ბოლო პერიოდის ნაკეთობებს უნდა წარმოადგენდნენ (ერთი რომ ახიზის ანტეფიქსების აყვავებული ჯვრები მსგავსებას პოულობენ წილკნის ტაძრის რელიეფებთან, მეორე რომ ახიზის ანტეფიქსზე ჯვართან ერთად გამოსახული ირემი წილკნის რელიეფის იდენტურია)².

ამავე პერიოდის, VI ს., ნაკეთობად გვევლინება ალავერდის კათედრალის „დაბალი პალატის“ სიახლოვეს აღმოჩენილი ნიმუში (სურ.3), რომელზეც ჯვრის ქვემოთ ნახევარმთვარის ჰორიზონტალური გამოსახულებაა და რომელსაც მკვლევარები ფრთებისა და მცენარეული მოტივის სქემატიზაციად აღიქვამენ (წერეთელი... 2009: 46-53).

მომდევნო პერიოდის ანტეფიქსებზე აყვავებული ჯვრები აღარ გვხვდება. ისინი ადგილს უთმობენ სიუჟეტურ, მსოლოდ ჯვრის გამოსახულებიან და წარწერებთან ერთად მოცემულ ჯვრის გამოსახულებებს.

ამ ანტეფიქსებში ცალკე ჯგუფს ქმნის ხუთკუთხედის მოყვანილობის ანტეფიქსები, რომელთა წვერო ტოლფერდა სამკუთხედის ფორმისაა (სურ.9-14). ხშირ შემთხვევაში მათ კიდეზე მთლიანად დაუყვებათ ორმაგი სადა ლილვი და ზოგჯერ, ჩნდება ჭდეული კოპების მარტივი ორნამენტი. ანტეფიქსების შიდა სივრცეში მოცემულია მალტური ტიპის ჯვრები. ზოგ შემთხვევაში ჯვრის კიდეები უფრო ღრმადაა შეჭრილი, ზოგ შემთხვევაში კი ნაკლებად. ამასთან, მათი ზომებიც მერყევია, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ზოგჯერ რელიეფები ხელით დაიტანებოდა. ასეთი ტიპის გამოსახულებები მრავლად მოგვეპოვება და არა მხოლოდ საკულტო ნაგებობებიდან, არამედ საეროდანაც. მრავალ-

² აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვრცლად იხილეთ: მშვილდაძე... 2008: 109-117.

რიცხოვანია მათი აღმოჩენის ადგილებიც: გუდავა (ოჩამჩირე), ნოქალაქევი (ათამდე ერთეული), ნაჯახოვო (სადაც 8 ერთნაირი ანტეფიქსია მიკვლეული), ურბნისი, ქუთაისი (მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ბაგრატის ტაძრის ინტერიერში აღმოჩენილი ანტეფიქსები, რომელთაგან ერთი ხელითაა ნაძერწი, ხოლო დანარჩენი ყალიბშია დამზადებული. ყველა მათგანი გამოსახავს მალტურ ჯვარს. მათგან ხელით ნაძერწი ანტეფიქსი V-VI სს. თარიღდება, დანარჩენი კი VII-VIII სს.), მსიგხუა (გუდაუთა), სადაც 46 ერთმანეთის იდენტური ანტეფიქსი აღმოჩნდა ქართული ასომთავრული წარწერითურთ. ასეთივე უცნობი წარმომავლობის ორი ნიმუში ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმშიც (ზამთარაძე 1979: 77-78; ზაქარაია... 1991: 78, 91-92; ზაქარაია 1965: 68; სილოგავა 2006: 257-259, სურ. 47, 48; ჯღამაია 1980: 49). ჩვენს მიერ ჩამოთვლილი შემთხვევებიდან, ყველაზე ადრეული უნდა იყოს ნოქალაქევის სასახლის ნანგრევებში გამოვლენილი ანტეფიქსების ათამდე ერთეული, რომლითაც VI ს. აგებული სასახლის წინა ფასადი უნდა ყოფილიყო შემკული (ზაქარაია... 1991: 91-92, 266). იდენტური ჯვრის გამოსახულებიანი ანტეფიქსების აღმოჩენა მოგვიანო (ზოგჯერ რამდენიმე საუკუნითაც კი) პერიოდის ძეგლებზე, მეტყველებს, რომ მალტური ტიპის ჯვრების დატანა სამშენებლო კერამიკაზე დიდხანს ყოფილა ხმარებაში და არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში, არამედ ძლიერ მოშორებულ ადგილებშიც.

IX საუკუნიდან ანტეფიქსებზე გამოჩენას იწყებს ქართული ასომთავრული ანბანით შესრულებული წარწერები. ძირითადად, ისინი მოცემულია ანტეფიქსის ცენტრში გამოსახული ჯვრის თავსა და მის მკლავებს შორის, იმისდა მიხედვით, თუ რა მოცულობის ტექსტი დაიტანებოდა ზედაპირზე. თუმცა, გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როდესაც ანტეფიქსის მთელი სივრცე უკავია წარწერას და მის „ქ“ გრაფემას იმავე დროს ჯვრის დატვირთვაც აქვს შექმნილი. ასეთ შემთხვევად გვევლინება სწორედ, ვანნაძიანის X ს. დათარიღებულ ანტეფიქსზე მოცემული გიორგი წირქუაელის წარწერა (სურ.15) (სილოგავა 2008: 117). წარწერების შინაარსი, როგორც წესი, მოსახსენიებელ-შემავედრე-

ბელია. ასე მაგალითად, მსიგხუას ანტეფიქსებზე მოცემულია ტექსტი: „ქრისტე, შეიწყალე მიქაელ“ ან „მიქაელ, ამინ“ (სურ.13-14), ს. ვაჩნაძიანის ანტეფიქსზე იკითხება – „ქრისტე, აღიდე გიორგი წირქუაღელი“, ს. ქუნცის ანტეფიქსზე – „ქრისტე, შეიწყალე ხუცრი“ (სურ.18) და სხვ. (სილოგავა 2006: 257-259; სილოგავა 2008: 116). მაგრამ, ცნობილია ისეთი გამონაკლისებიც, როდესაც ტექსტში ისტორიული პირი არ იხსენიება და მისი წარწერა ტრაფარეტულია. ასეთ გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს XV-XVI სს. ანტეფიქსი პარხლის ბაზილიკიდან (სურ.16), რომლის ტექსტს ვ. სილოგავა ადაღვენს, როგორც „ძლევაჲ იესუ ქრისტესი“ (სილოგავა 2008: 121).

ცალკე უნდა შევანეროთ ყურადღება ურბნისში აღმოჩენილ ერთ, სრულიად განსხვავებული გამოსახულების ანტეფიქსზე (სურ. 17), რომელზეც მარცხენა პროფილში მოცემულია მხედრის გამოსახულება. მამაკაცი სახით ფასშია წარმოდგენილი და მნახველს უყურებს. ხელები ფართოდ აქვს გაშლილი მიგებების ნიშნად, მათგან მარცხენაში რაღაც საგანი უჭირავს (ზაქარაია 1965: 68, სურ. 42). მსგავსი გამოსახულებიანი ანტეფიქსი იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს, თუმცა კი ორი შემთხვევა მაინც შეიძლება დასახელდეს: ერთი ესაა წყალტუბოს რაიონის სოფ. ზედა მესხეთში აღმოჩენილი ანტეფიქსი, რომელიც IX ბოლო – X ს. დასაწყისით თარიღდება. ანტეფიქსს თავის ნაწილი მოტეხილი აქვს. ზედაპირზე გამოსახულია ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი პროფილში მარცხნივ რაც გარკვეულ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს წმინდა გიორგის იკონოგრაფიაში. მხედარს მოკლე ტუნიკა მოსავს და ხელთ უპყრია შუბი. ცხენი შეკაზმული უნდა ყოფილიყო, თუმცა კი უზანგი არსად ჩანს, რაც გამოსახულების ადრეულობაზე უნდა მიანიშნებდეს. რაინდისა და ცხენის ფეხებთან მოცემულია შუბით განგმირული გველეშაპი. აღნიშნული ანტეფიქსი გამოქვეყნებული აქვს დ. ბერძენიშვილს, რომელიც წერს, რომ „გამოსახულება ანტეფიქსზე მის გამოწვამდე, ნედლ თიხაზეა შესრულებული. წვეტიანი საგნის საშუალებით რელიეფი ყალიბზეა ამოჭრილი და ტვიფრის საშუალებითაა მოცემული. ეს

გარკვეულ სიძნელესთან იყო დაკავშირებული და ამით აიხსნება, რომ წმინდა გიორგის შუბი მარცხენა ხელში უპყრია და კომპოზიცია მარჯვენა მხარის ნაცვლად მარცხნიდანაა გადმოცემული“ (ბერძენიშვილი 2011: 27-35). ვფიქრობთ, რომ მკვლევარს უნდა დავეთანხმოთ, რადგან, სწორედ ეს ახსნის გამოსახულების მიმართულებას არა მარჯვნივ, არამედ მარცხნივ, ანუ საბუქდავის პრინციპით. წმინდა გიორგის გამოსახულება მარჯვენა პროფილში უნდა ყოფილიყო მოცემული სწორედ ყალიბზე, ანაბუქდზე კი ის მოპირდაპირე მიმართულებით აისახა. ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს მსგავსი შემთხვევების განსაკუთრებით მრავლად დაფიქსირება მომდევნო საუკუნეების არტეფაქტებზე. საკმარისია მხოლოდ გავიხსენოთ სარკისებური პრინციპით დატანილი ასომთავრული წარწერები მცხეთაში აღმოჩენილ კრამიტებზე (ნიკოლაიშვილი... 2009: 72-75). მსგავსივე პრინციპითაა შესრულებული წმინდა გიორგის გამოსახულება მეორე ანტეფიქსზე, რომელიც სოფ. ქუნცის (ასპინძის რ.-ნი) ეკლესიიდან მომდინარეობს (სურ.18) და X ს. თარიღდება. განსხვავებით პირველისგან, გამოსახულება დახვეწილი და ფაქიზი ნამუშევარია. ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი ასევე მარცხენა პროფილშია მოცემული, აცვია მოკლე კაბა და ხელში უპყრია შუბი, რომელსაც მალტური ჯვრის გამოსახულებიანი ბუნი აქვს (ჯვარი ურბნისის და ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდში დაცული X-XI სს. ანტეფიქსებზე მოცემული ჯვრების ანალოგიურია (ზაქარაია 1965: 68; ჯღამაია 1980: 49)). ცხენი მოძრაობაშია წარმოდგენილი, რაც გადმოცემულია არა მხოლოდ ფეხების მოძრაობით, არამედ კუდითაც. მხედრის ფეხებთან გამოსახულია შუბით განგმირული დიოკლეტიანე (ჯღამაია 1980: 49). ანტეფიქსის ქვედა კიდე მთლიანად შევსებულია ჭდეული კოპებით.

როგორც ცნობილია, ანტეფიქსებზე გამოსახულებები ორი წესით დაიტანებოდა: ხელით და შტამპით. ხელით შესრულებული გამოსახულებები რელიეფურია. ასეთი შემთხვევები გაცილებით ხშირია IX და შემდგომი საუკუნეების ანტეფიქსებზე. მაგალითად, იგივე ნოქალაქევის და ნაჯახოვოს კრამიტები, რომლებზე გამოსახული ჯვრების

განსხვავებულობა ზომებსა და მცირეოდენ ფორმებშიც ამავე მიზეზით ახსნა პ. ზაქარაიამ (ზაქარაია... 1991: 91-92, 266).

რაც შეეხება შტამპით დატანილ გამოსახულებებს, ისინი უკვე არა მხოლოდ რელიეფურ, არამედ ზედაპირზე ჩატრილ ნიმუშებსაც ქმნიან. ამ ტიპის ანტეფიქსებში ექცევა სამი ერთეული: ორი ახიზიდან და ერთი ურბნისიდან. ურბნისის ანტეფიქსზე (ა32 (52: 3887)) ერთი ჯვარია გამოსახული (სურ. 5), ახიზის ერთ ანტეფიქსზე ორი ერთმანეთისკენ გადახრილი ჯვარი (ინვ. №ა476(95-07)) (სურ. 6), ხოლო მეორეზე იგი ირმის ფეხებთანაა მოცემული (ინვ. №ა477(95-07)) (სურ.7). ამ ანტეფიქსებზე საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ, რადგან დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში მათთან დაკავშირებით უზუსტობაა დამკვიდრებული. ეს ლაფსუსი გაიპარა პ. ზაქარაიას მონოგრაფიაში და შემდეგ უკვე, ინერციით, დღემდე მოვიდა (ზაქარაია 1965: 67-68; ჯღამაია 1980: 16; სხირტლაძე 1991: 154-160). საქმე ისაა, რომ, პ. ზაქარაიას მონოგრაფიაში, „ურბნისის ხუროთმოძღვრება“, მოტანილია ურბნისის სამი ანტეფიქსის გამოსახულება, რომელთაც თან ახლავს მკვლევარის განმარტება: „პროფ. გ. ჩუბინაშვილმა გადმოგვცა რამდენიმე ფოტო და ნახატი, სადაც აღბეჭდილი იყო კერამიკული ანტეფიქსები. მისი ცნობით, ეს კერამიკული ექსპონატები ინახებოდა კავკასიის მუზეუმში და მის მიერ ისინი ფიქსირებული იყო 1915-1916 წწ. ჩვენ ბევრი ვეძებეთ ეს ექსპონატები სხვადასხვა მუზეუმში, მაგრამ ჯერჯერობით მათ ვერ მივაკვლიეთ“ (ზაქარაია 1965: 67). წარმოდგენილი სურათების მიხედვით პ. ზაქარაიას დამოწმებული ანტეფიქსები, თუ არ გავითვალისწინებთ ზომათა სხვაობას მათსა და მუზეუმის ექსპონატთა შორის (1. ინვ. №ა32: 11×8,5სმ (ტაბ. XIII4), პ. ზაქარაიას მიხედვით – 7×5სმ (ტაბ. XIV2). 2. ინვ. №ა476: 15,5×9,5სმ (ტაბ. XIII2), პ. ზაქარაიას მიხედვით – 10×5სმ (ტაბ. XIV1). 3. ინვ. №ა477: 17,5×12,5სმ (ტაბ. XIII3), პ. ზაქარაიას მიხედვით – 10×6სმ (ტაბ. XIV3)), სხვა არაფერია, თუ არა ჩვენს მიერ განხილული სამი ანტეფიქსი. ამათგან, ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმის დავთარში ორის წარმომშობად ახიზის ტაძარი, ხოლო მათ გადამცემად ა. ფლორენსკია დასახე-

ლებული, რომელიც მუხეუმისვე წარგზავნით, XX ს. 10-იან წლებში იმყოფებოდა ახიზაში. რაც შეეხება მესამეს, იმავე დავთარში, იმავე ხელით, მითითებულია, რომ იგი მომდინარეობს ურბნისიდან და შემოწირულია ა.გ. კომაროვის მიერ. ამდენად, პ. ზაქარაიას ცნობა იმის თაობაზე, რომ გ. ჩუბინაშვილმა მას ურბნისში აღმოჩენილი სამი ანტიფიქსის ფოტო აჩვენა, არაზუსტია.

ამ ანტიფიქსთა შემთხვევაში მნიშვნელოვანია ისიც, რომ ახიზისა და ურბნისის ანტიფიქსებზე გამოსახული ჯვრები იდენტურია არა მხოლოდ ფორმით, არამედ ზომებითაც: ისინი აღმართულია პატარა ბუნზე, რომელიც თავის მხრივ ფრთების შესაყარზე დგას. ფრთები (ფოთლები) წვეროებისკენ, ჯვრის მხრების გასწვრივ, პატარა ბურთულებად ეხვევა (ირმის ფეხებთან მოცემული ჯვრის შემთხვევაში ასეთ ზედმიწევნით მსგავსებაზე საუბარი ძნელია მისი დაზიანებულობის გამო: მარცხენა ფრთის მხოლოდ ორი ნიშნულია შემორჩენილი, მარჯვენა კი მხოლოდ „ცრემლითდა“ წარმოდგენილი). ამ ჯვრების ზომებში თანხვედრამ, და ფორმათა ერთგვარობამ გვიკარნახა ანაბეჭდების გაკეთება, იმისთვის, რომ ნათლად დაგვეჩვენა ამ ჯვრების ერთიდაიმავე დედანიდან წარმომავლობა. შედეგმა მოლოდინი დაადასტურა: ურბნისისა და ახიზის ჯვრები ერთი ყალიბითაა დაშტამპული (ახიზის მესამე ანტიფიქსის ჯვრის გამოსახულების დატანაზე დაზუსტებით ამის თქმა ძნელია), რაც თავის მხრივ გვაფიქრებინებს, რომ ახიზისა და ურბნისის, ორი ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულ პუნქტში დადასტურებული ანტიფიქსები ერთი სახელოსნო სკოლის მაკავშირებლად მივიჩნიოთ.

ამდენად, ანტიფიქსიანი კალიბტრები V-XI სს. ქართულ სინამდვილეში ფართოდ გამოყენებად სამშენებლო დეტალს წარმოადგენდა, რომლითაც ამკობდნენ ძირითადად საკულტო, ზოგჯერ კი საერო დანიშნულების ძეგლებს. მათი რელიეფური გამოსახულებები მთლიანად შეესაბამებოდა ქრისტიანულ ტრადიციებს და ეპოქის შესაბამისად იცვლებოდა: ადრექრისტიანულ პერიოდში ქრისტიანულ სიმბოლოებს გამოსახავდა, რომელთაც ადრეფეოდალურ პერიოდში ჯვრის, ქართულ ასომთავრულწარწერიანი

და წმინდა გიორგის გამოსახულებიანი ანტიფიქსები ცვლის. განვითარებულ შუა საუკუნეებში ანტიფიქსების გამოვლენის შემთხვევების საგრძნობი კლება მათზე მოთხოვნილების შემცირებაზე უნდა მეტყველებდეს.

K. DIGMELASHVILI

TYPIFICATION OF REPRESENTATIONS ON MEDIEVAL GEORGIAN ANTEFIXES

The article deals with typification of representations on medieval antefixes, discovered in Georgia.

Antefix is a construction detail, which represents an upright ornament terminating the covering tiles of the roof. It was used for decoration at the eaves of a tiled roof. It occurred worldwide in the roofing of cultic as well as secular buildings.

Covering tiles with antefixes in Georgia of the 5th-11th centuries were widely used construction details, which were found in the ornamentation of mainly cultic and sometimes secular buildings. Their relief images were in full compliance with the Christian traditions and were changing according to various periods.

Images of medieval antefixes in Georgia are represented by four types: depicting a tree, deer or cervids, the cross and anthropomorphic figures. Of these, the earliest specimens are antefixes with Christian symbols. On antefixes of the subsequent period, the 6th-7th cc., representations of the Maltese cross appear. This symbol was used for decoration of construction ceramics for a long time, not in just one particular geographical area, but also in very remote places. From the 8th century, inscriptions in the Georgian *Asomtavruli* script began to appear on antefixes with the representation of the cross, their content being commemorative-supplicatory.

As regards anthropomorphic images, antefixes bearing this relief are represented in the 8th-11th cc. only by three specimens, depicting St. George.

The fact that instances of occurrence of antefixes decreased considerably in the developed Middle Ages indicates the lessening of the demand for them.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:




1. ბერძენიშვილი ი. 2006: *ქრისტიანობის გავრცელება აფხაზეთში არქეოლოგიური მასალების მიხედვით (IV-VIII სს.)*. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
2. ბერძენიშვილი დ. 2011: *წმინდა გიორგის გამოსახულებიანი კალიპტერის ანტიკვიქსი ზედა მესხეთიდან*. წელიწადეული. ი. ჭავჭავაძის სახ. ქუთაისის სამეცნ. ბიბლიოთეკის ჟურნალი. III. ქუთაისი.
3. გავოშიძე ი. 1982: *თრიალეთის სამაროვნები. კატალოგი. ანტიკური ხანის სამაროვნები*. III. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
4. ნიკოლაიშვილი ვ., სიხარულიძე ა., დიდმელაშვილი ქ., პაპიძე ი., პაპიძე მ. 2009: *ბელტისციხე-ბებრისციხე*. თბილისი.
5. დიდმელაშვილი ქ. 2010: *ქრისტიანული სიმბოლიკა I-VI სს. საქართველოში*. დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
6. დიდმელაშვილი ქ. 2011: *ბიჭვინთის აბსიდის მოზაიკის სემანტიკის შესწავლისათვის*. ჟ. „ამირანი“. კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე. XXIII. მონრეალი-თბილისი.
7. ზამთარაძე მ. 1979: გუდავის არქეოლოგიური მონაპოვარი. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე. 34-B.
8. ზაქარაია პ. 1965: *ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
9. ზაქარაია პ., კაპანაძე თ. 1991: *ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

10. ლეონტი მროველი. 1955: *ნინოს მიერ ქართლის მოქცევა*. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. I. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“.
11. ლორთქიფანიძე მ. 1969: *ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი*. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
12. მაისურაძე ბ., რუსიშვილი რ. 2004: *შირაქის ექსპედიცია 1989-1991 წლებში, საგველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში (მოკლე ანგარიშები)*. თბილისი: ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი.
13. მახარაძე გ., ბერიკაშვილი დ. 2013: *არქეოლოგიური გათხრები. თხოთის მთა წმინდა ნინოს ეკლესია*. ძველი ხელოვნება დღეს. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ჟურნალი. №3. თბილისი.
14. „*მოქცევაჲ ქართლისაჲ*“. 1963: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. დასაბუქდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ჯიქიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა.
15. მშვილდაძე მ., დიდმელაშვილი ქ. 2008: *წიღებისა და ახიზის რელიეფების სიმბოლოების შესწავლის საკითხისათვის*. ქ. „ამირანი“. კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე. XX. მონრეალი-თბილისი.
16. სილოგავა ვ. 2006: *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა*. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.
17. სილოგავა ვ. 2008: *ანტეფიქსის ნატეხი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტით პარხლის მიდამოების ეკლესიიდან*. გულანი. ახალციხე: გამომცემლობა „ნეკერი“, 4.
18. სურგულაძე ი. 1986: *ქართული ხაღხური ორნამენტის სიმბოლიკა*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.


19. სხირტლაძე ზ. 1991: *ახიზის ეკლესიისა და მისი მოზაიკის გამო.* ჟ. ლიტერატურა და ხელოვნება. გამომცემლობა: „მეცნიერება“. 3.
20. ფანცხავა ღ. 1988: *კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
21. ყიფიანი გ. 2001: *სვეტიცხოვლის ეზოში აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალები.* მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის V სამეცნიერო სესია. 2000 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგების ანგარიშები. თბილისი.
22. წერეთელი კ., ცინდელიანი მ. 2009: *ანტეფიქსი ალავერდის მონასტრიდან.* ჟ. „ამირანი“. კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე. XXI. მონრეალი-თბილისი.
23. ჯავახიშვილი ა., ღლონტი ღ. 1962: *ურბნისი.* I. თბილისი: საქ.მეც. აკად. გამ.-ბა.
24. ჯღამაია ჯ. 1980: *სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
25. Максимова М. И. 1941: *Стеклянные многогранные печати найденные на территории Грузии.* ჟ. მოამბე. აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ჟურნალი. X.
26. *Словарь античности.* 1989: перевод с немецкого. Москва: издательство «Прогресс».
27. Clement d'Alexandrie. 1846: *Le divin maitre ou le pedagogue. Défense du christianisme par les pères des premiers siècles de l'église, contre les philosophes, les païens et les juifs.* Traductions publiés par M. de Genoude. Paris: Éditeur Librairie de Perrodil.

სურათები:

1. სეგტიცხოვლის ანტეფიქსი, IV ს.
2. მრამბის ანტეფიქსი, VI-VIII სს.
3. ალავერდის ანტეფიქსი, VI ს.
4. „შავი მთის“ ანტეფიქსები, V-VI სს.
5. ურბნისის ანტეფიქსი, V ს.
6. ახიზის ანტეფიქსი, V ს.
7. ახიზის ანტეფიქსი, V ს.
8. ურბნისის ანტეფიქსი, VI ს.
9. ნოქალაქევის ანტეფიქსი, VI-VIII სს.
10. გუდავის ანტეფიქსი, IX-X სს.
11. ს.ა.კ. ხელოვ. მუზ. ანტეფიქსი, X-XI სს.
12. ურბნისის ანტეფიქსი, X ს.
13-14. მსიგხუას ანტეფიქსები, IX-X სს.
15. ვაჩნაძიანის ანტეფიქსი, Xს.
16. პარხლის ანტეფიქსი, XV-XVI სს.
17. ურბნისის ანტეფიქსი.
18. ს. ქუნცის ანტეფიქსი, X ს.



1. 2. 3.






4.




5. 6.



7. 8.



9. 10. 11.




12. 13. 14.



15. 16.



17. 18. 19.



nest an sul ava

wm. gi orgi mTawmi del i da qarTul i
gal obi s mra val xmi anobi s probl ema

წმ. გიორგი მთაწმიდლის სამგალობლო მონაცემების თაობაზე გიორგი მცირე თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში მოგვითხრობს, რომ გიორგი ყმაწვილობაშივე „უმეტეს ყოველთა ჰასაკის – სწორთა მისთასა წარმება. და საგალობელი იგი საწელიწდონი და შეწყობილებანი იგი გალობათანი მეესა შინა ზეპირით დაისწავლნა“ (ძეგლები 1967: 116), რაც იმას ნიშნავს, რომ ხმათა შეწყობას ადვილად იმახსოვრებდა და ზეპირად იცოდა მთელი წლის საგალობლები ხმათა შეწყობით, რითაც იგი თავის თანამგალობელთ აღემატებოდა და რითაც საოცრად ჰგავდა თავის დიდ წინამორბედებს წმ. გრიგოლ ხანძთელს, რომელიც „წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა საქადაგებელსა გალობასა სრულიად წელიწადისა განგებითა მოძღუარი იყო განუკითხველად“ (ძეგლები 1963/1964: 281-282), ხოლო თავისი მოღვაწეობის გვიანდელ ეტაპზე საწელიწდო იადგარი შეადგინა, და მიქაელ მოდრეკილს, რომელმაც „იღუაწა და ყოველით კერძო შრომად აჩუენა უზეშთავს ძალისა მისისა“ (S-425, 24r), რათა ქართულ ენაზე არსებული ყველა მეხური საგალობელი შეეკრიბა და ჭეშმარიტებით ჩაეწერა.

წმ. გიორგი მთაწმიდლის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობის, ქართული გალობის მრავალხმიანობისადმი მისი დამოკიდებულების შესასწავლად საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება მისივე ბიოგრაფის, გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულების მონაცემებსა და წმ. გიორგი მთაწმიდლისეული ჰიმნოგრაფიული კრებულებისათვის მის მიერვე დართულ ანდერძებს, რომელთა გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა მეხელთა

და მათი შემდგომი თაობის მგალობლების საქმიანობის, ქართული გალობის მრავალხმიანობის შესახებ. მეხელებმა თავიანთი მოღვაწეობა X საუკუნის ბოლოსთვის დაასრულეს და XI საუკუნეში მეხური იადგარი უკვე აღარ იქმნებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ, როგორც ჩანს, მეხელთა მოღვაწეობის დიდი, ბრწყინვალე ეპოქა დასრულდა, მაგრამ მათი საქმიანობა XI საუკუნის ჰიმნოგრაფებისათვის გზამკვლევადად დარჩა, რასაც წმ. გიორგი მთაწმიდლის ანდერძის სიტყვები მოწმობს: „*მეხელნი მოძღურად მყვანანო*“. წმ. გიორგი მთაწმიდელი ქართულ გალობას უკვე მრავალხმიანად რომ აღიქვამს, უპირველეს ყოვლისა, ამას გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულების ტექსტი გვიდასტურებს. ივანე ჯავახიშვილმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ამ თხზულებაში დაცულ ცნობას წმ. გიორგი მთაწმიდლის მიერ გაწვრთნილი ოთხმოცი ობოლი ბავშვის გალობის შესახებ ბიზანტიის კეისრის წინაშე, რომელმაც ქართველ წმიდა მამას უთხრა: „*განვისწავლიან ბერძულსა გუარსა ზედა, კეთილო ბერო, შენნი ობოლნი*“ (ძეგლები 1967: 184); ე. ი. ბიზანტიის იმპერატორმა იცოდა, რომ ქართული და ბერძნული გალობების გვარები სხვადასხვა იყო; ეს სიტყვები უცილობლად ამტკიცებენ ქართული და ბერძნული გალობის სხვადასხვაობას. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით: „ათონის ქართველი ბერები თავიანთ მონასტერში ქართულსა „გუარსა ზედა“ გალობენ და ის ბერძნული გვარი გალობა, რომელიც წმ. გიორგი მთაწმიდელმა მოასმენინა, პირადად მის საამებლად იყო მოწყობილი“ (ჯავახიშვილი, 1998: 600), ხოლო მიქაელ მოდრეკილის ანდერძის სიტყვები: „*საყუარელნო, უკუეთუ ერთსა ძლისპირსა ზედა რომელიმე კილოდ ერთი ორ-გუარად იყოს აღნიშნულ, ნუ უცხო-გინჩ, ნუცა ურთიერთას წინააღმდეგომ, რამეთუ რომელიმე მრავლისა ძლისპირისა ერთი კილოდ ორგუარად არს მეხურად; ხოლო შენ რომელი გინე, ბრძანე, რამეთუ ორივე ჭეშმარიტ არს*“ (S-425, 27რ) – ორხმიანობის დადასტურებად მიანჩნია. „ორ ხმაზე რომ არ იყოს საუბარი, რატომ და რისთვის უნდა ყოფილიყო ორი პარალელური ჰანგი ერთი საგალობლისა?“ (ჯავახიშვილი, 1998: 600). მისივე შეხედულებ

ბით, ქართული გალობის მრავალხმიანობა ეტაპობრივად უნდა მიღწეულიყო, თავდაპირველად იგი იყო ერთხმიანი, შემდეგ გახდა ორხმიანი, რასაც ადასტურებენ X საუკუნის მონაცემები და ბოლოს გახდა სამხმიანი, რაც განმარტებული აქვს იოანე პეტრიწს („მზახრ, ჟირ, ბამ“).

ივანე ჯავახიშვილმა დასვა კითხვა, თუ როდის შეიძლება ქართული გალობა დაშორებოდა ბერძნულს. იგი X საუკუნეში უკვე დადასტურებულ ფაქტად მიიჩნევს საეკლესიო ქართული გალობის მრავალხმიანობას. კერძოდ, მიქაელ მოდრეკილის ანდერძზე დაკვირვების საფუძველზე განაცხადა: „უკვე მიქაელ მოდრეკილამდე, ე. ი. X საუკუნემდე, „ენითა ქართველთაჲთა“ იყო სძლისპირნი და საგალობელნი, როგორც „ბერძულნი“, ისევე ქართულნიც. ამნაირად, ბერძნულისაგან განსხვავებული ქართული შემოქმედება საეკლესიო მუსიკის სფეროში მეთავე საუკუნეზე უწინარესაც ყოფილა“ (ჯავახიშვილი, 1998: 598).

ელენე მეტრეველმა 1971 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში საკამათოდ მიიჩნია ივანე ჯავახიშვილის დათარიღებაც და გიორგი მცირის ცნობაც. მან თავისი შეხედულება მეტად ფრთხილად გამოხატა: „ვინაიდან კონკრეტულად რა სახის უნდა ყოფილიყო ბერძნული საეკლესიო გალობის კილოები მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ადრეულ საფეხურზე, ამაზე დღეს ზუსტად არაფრის თქმა არ შეიძლება იმის გამო, რომ არ არის ამოხსნილი ადრებიზატიური ნოტაცია. მით უმეტეს, არაფრის თქმა არ შეიძლება ქართული საგალობლების კილოების შესახებ, რომლებიც ბერძნული საეკლესიო გალობის განვითარების იმაზე ადრეულ პერიოდს ასახავენ (ნევშების თვალსაზრისით, ყოველ შემთხვევაში), ვიდრე დღემდე მოღწეული ბერძნული ნევშირებული ხელნაწერების – (X საუკუნე) – მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ“ (ძლისპირნი, 1971: 045-048). მანვე საკვებით სამართლიანად შენიშნა, რომ საქართველოში მოქმედებდა მრავალკილოანი საეკლესიო გალობა, რომელსაც საფუძვლად უდევს ერთიანი მუსიკალური ქართული ფუძე. თუმცა ვარაუდობდა, რომ ქართული საეკლესიო გალობა მრავალხმიანი გვიან, XII საუკუნიდან, გახდა (იქვე). შემდეგში მან რამდენადმე შეიცვალა თავისი

შეხედულება და მრავალხმიანობა X საუკუნეში რეალურად არსებულ ფაქტად მიიჩნია (მეტრეველი, 2002: 113-114).

წმ. გიორგი მთაწმიდელის ანდერძ-მინაწერები და გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“ დაცული ცნობები უტყუარად ადასტურებენ, რომ წმ. გიორგი მთაწმიდელის მოღვაწეობის დროს ქართული გალობა მრავალხმიანი იყო და მისი საწყისი საუკუნეებს მიღმა საძიებელი. ყოველივე ეს იმას მიუთითებს, რომ ქართული საეკლესიო გალობის მრავალხმიანობის პრინციპები შემუშავდა არა უგვიანეს VII-VIII საუკუნეების მიჯნისა, ბიზანტიაში მიმდინარე ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული რეფორმების პარალელურად, რადგან ქართველები სწრაფად რეაგირებდნენ საზღვარგარეთის მონასტრებსა და საღვთისმეტყველო ცენტრებში მიმდინარე სიახლეებზე, და მალევე დაკანონდა; ტერმინოლოგიური ჩამოყალიბება მიმდინარეობდა X-XII საუკუნეებში, ხოლო საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური თვალსაზრისით განაზოგადა იოანე პეტრიწმა XII საუკუნეში. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ თეორიული განზოგადება და სპეციალური დარგობრივ-საგნობრივი ტერმინოლოგიის შემუშავება ხანგრძლივი დაკვირვებისა და პრაქტიკული გამოცდილების შედეგია. ტერმინთა ჩამოყალიბებას წინ უძღვის პრაქტიკული საქმიანობის ხანგრძლივი პროცესი, რასაც, შესაძლოა, საუკუნეები დასჭირდეს. ზემოხსენებულ ტერმინთა არსებობა X საუკუნეში კი იმას მოასწავებს, რომ საქართველოში ბევრად ადრე ითხზებოდა ორიგინალური, ქართული მელოსის მქონე საგალობლები, ე. ი. იქმნებოდა ქართული ეროვნული სამგალობლო ტრადიცია, რის დამკვიდრებასა და კანონიზებას საუკუნეები დასჭირდა. ამრიგად, საეკლესიო გალობის გაქართულება მის მრავალხმიანობაში გამომჟღავნდა, ხოლო მრავალხმიანობა ქართველი ერის მუსიკალური სააზროვნო კატეგორიაა.

ვფიქრობ, ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობას ადასტურებს წმ. გიორგი მთაწმიდელის პოლემიკა ანტიოქიის პატრიარქთან, როდესაც ათონის ივირონის მონასტრის ერთ-ერთმა უდიდესმა მოღვაწემ აღნიშნა ქართული ეკლესიის სამოციქულო წილხვედრილობა და

დაასაბუთა მისი მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებლობა. გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულება მოგვითხრობს წმ. გიორგი მთაწმიდლისა და ანტიოქიის პატრიარქის თევდოსის შეხვედრის მიზანზე. მსჯელობა შეეხებოდა ქართველთა მართლმადიდებლობისა და ქართულ ეკლესიაში ლიტურგიის აღსრულების საკითხს. პატრიარქმა წმ. გიორგი მთაწმიდლისაგან გამოიკითხა ყოველი, რაც მას აინტერესებდა, „გულისკმა-ყო პატრიარქმან, ვითარმედ მადლი ღმრთისაჲ დამკედრებულ არს მის თანა“ და ბერს მიმართა შემდეგი სიტყვებით: „პატიოსანო მამაო, კურთხეულ არს ღმერთი, რომელ ვიხილე სიწმიდე შენი. და აჰა ესერა, გხედავ მოწყალებითა ღმრთისაჲთა, დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, სხვთა კულა ყოვლითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარ. ხოლო მითხარ ნათესავისა შენისათჳს, არს რაჲ ნაკლულევანებაჲ მართლისა სარწმუნოებისაჲ მათ თანა გინა ურთიერთარს განყოფილებაჲ მათ შორის და ჩუენ შორის?“ (ძეგლები, 1967: 151). წმ. გიორგი მთაწმიდელმა მოატანინა წმ. ანდრია პირველწოდებულის „მიმოსლვანი“ და ანტიოქიის პატრიარქს დაუდასტურა ქართული ეკლესიის სამოციქულოდ მიჩნევის საფუძველი, დაიცვა მისი ავტოკეფალურობა: „შ წმიდაო მეუფეო, რაღსათჳს-მე ესრეთ ადვილად ჰელ-ჰყავ ღიღისა ამისა და მადლისა საქმისა მოგონებად და აღსრულებად, და ვინ-მე არიან უგუნურნი იგი გამზრახნი შენნი, ანუ რად ესრეთ უგუნურად შევირაცხიეს ნათესავი ქართველთაჲ, წრფელი და უმანკოდ? აჰა ესერა ვარ მე უნარჩევესი და უმდაბლესი ყოველთა ძმათა ჩემთაჲ“ (ძეგლები, 1967: 153); „... წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ და ვინადოვან ერთი ღმერთი გვცნობიეს, არღარა უარ-გვყოფიეს და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი. და ყოველთა უარის-მყოფელთა და მწვალებელთა შევაჩუენებთ და ვსწყევთ. ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მათ მოციქულთასა მტკიცე ვართ“ (ძეგლები, 1967: 154). ვფიქრობ, რომ გიორგი მთაწმიდლის პოლემიკა ანტიოქიის პატრიარქთან ადასტურებს ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობას, როდესაც ათონის ივირონის მონასტრის

ერთ-ერთმა უდიდესმა მოღვაწემ აღნიშნა ქართული ეკლესიის საუკუნეობრივი დამოუკიდებლობა, სამოციქულო წილხვედრილობა და მართლმადიდებლობის განუხრელი დაცვა ისე, რომ არასოდეს მიდრეკილა რომელიმე მწვალებლური მიმდინარეობისაკენ: „ესე არს სარწმუნოებაჲ მართალი ნათესავისა ჩუენისაჲ და რაჟამს ერთგვის გჳცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ არცა მარცხლ, ვინა მარჯულ და არცა მივდრეკებით, თუ ღმერთსა უნდეს“ (ძეგლები, 1967: 178). ეს ვრცელი ამონარიდები „წმ. გიორგი მთაწმიდლის ცხორებიდან“ იმისთვის დავიმოწმეთ, რომ გვეჩვენებინა წმ. გიორგი მთაწმიდელის ბრძოლა საქართველოს ეკლესიის უფლებების დასაცავად. იმ დროისათვის, როდესაც ეს პოლემიკა გაიმართა წმ. გიორგი მთაწმიდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის, ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობა აღიარებული რომ არ ყოფილიყო, ცხადია, ანტიოქიის პატრიარქი წმ. გიორგი მთაწმიდელს უთუოდ უსაყვედურებდა და ლიტურგიის არაკანონიკურობაში დასდებდა ბრალს. წმ. გიორგი მთაწმიდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის კამათი მოწმობს იმას, რომ ამ დროისათვის ქართული გალობის მრავალხმიანობა საუკუნეებგამოვლილია და იგი კანონიკურია.

ჩემი აზრით, ქართული საეკლესიო გალობის გამრავალხმიანების დასრულება მოსალოდნელია არა უგვიანეს VIII საუკუნის I ნახევრისა, როდესაც ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში უკვე დამთავრდა სამგალობლო რეფორმა; საეკლესიო გალობის რეფორმას საქართველოშიც ამავე ეპოქაში უნდა ჰქონოდა ადგილი, რადგან ქართველები სწრაფად რეაგირებდნენ უცხოეთის ეკლესიების სიახლეებზე და ითვისებდნენ ყოველგვარ ახალ ლიტურგიკულ წესს. თუმცა იგი შეიძლება ადრინდელიც იყოს, ვინაიდან IV საუკუნის დასაწყისში გაქრისტიანებული საქართველოს ეკლესიის მრევლი, რომლის სმენა საუკუნეების მანძილზე მრავალხმიან ხალხურ სიმღერასა და წარმართული პერიოდის მრავალხმიან საკულტო გალობას იყო შეჩვეული, დიდხანს ვერ იგუებდა ერთხმიან გალობას და მასში უთუოდ ადრევე შეიტანდა ეროვნული მუსიკალური სააზროვნო სისტე-

მის უპირველეს, უმთავრეს მახასიათებელს – პოლიფონიურობას.

მართალია, საქართველოში ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადებისას საეკლესიო გაღობაც, როგორც ზოგადად ლიტურგია, პალესტინიდან და საბერძნეთიდან შემოვიდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი არ განვითარდებოდა და ეროვნულ, ქართულ ხასიათს არ შეიძენდა. ქართული ენის ბუნება და ქართული მუსიკალური მრავალხმიანობის სისტემა მოითხოვდა პალესტინური და ბერძნული წიაღიდან წამოსული ქრისტიანული საეკლესიო გაღობის გაქართულებას. ცნობილია, ყოველი ერის წარმომადგენელი გარესამყაროს აღქმის გამოხატვას მშობლიურ ენაზე აღწევს ყველაზე უკეთ, რაც იმას მიუთითებს, რომ რელიგიური განცდა და განწყობაც, მელოსით გამოხატული, ყველაზე ნათლად მშობლიური მუსიკალური სისტემით აღიქმება და გადმოიცემა. ქართველი ერი ფრთხილად ეკიდებოდა ყოველივე უცხოურს, რაც მისი სულიერი და ფსიქიკური წყობისათვის მიუღებელი იყო და ცდილობდა ეროვნულის შენარჩუნებას, ხოლო საჭირო შემთხვევაში – საუკუნეთა მანძილზე ოფიციალურ დონეზე მიჩქმალული, მაგრამ ერის მესხიერებაში შემონახული ეროვნული ფენომენის აღორძინებას, გაქართულებას.

რას ნიშნავს გაღობის გაქართულება? გაღობის გაქართულება ნიშნავს ქართული გაღობისათვის ეროვნული მუსიკალური თვისებების შექმნებას*. ქართული ეროვნული მუსიკის, წინარექრისტიანული გაღობა-სიმღერის უმთავრესი თვისება კი მისი პოლიფონიურობაა. ამრიგად, საეკლესიო გაღობის გაქართულება მის მრავალხმიანობაში გამომჟღავნდა. ივანე ჯავახიშვილი წერდა: „მრავალხმიანობა ქართული მუსიკის ორსავე, საეკლესიო და საერო შტოშიც

* ნ. უსპენსკიმ მდიდარი მასალის საფუძველზე წარმოაჩინა სლავური გაღობის განვითარების ისტორიული სურათი, ეტაპები, მისი მომდინარეობა და დამოკიდებულება ბიზანტიურ გაღობაზე, ამავე დროს, მისი განვითარება ეროვნულ ნიადაგზე, რაც ეროვნული და სტილისტური ფორმების ხანგრძლივი ძიებით იქნა მიღწეული (უსპენსკი 1965: 55).

გვაქვს. დაუჯერებელია, რომ მრავალხმიანობა ერთსაცა და მეორეშიც სრულებით დამოუკიდებელივ გაჩენილიყო, ამიტომ ერთი მათგანი უნდა მრავალხმიანობის დამწყები და შემქმნელი იყოს, მეორე მის შემთვისებლად და დამწინაურებლად არის საგულისხმებელი“ (ჯავახიშვილი, 1998: 663).

ე. მეტრეველმა თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში კითხვაზე: „არსებობდა თუ არა განსხვავება ქართულ და ბერძნულ საგალობო ტრადიციებს შორის, ანუ ჰქონდათ თუ არა ქართველებს საკუთარი საეკლესიო ჰანგები“, უპასუხა: „ამ შემთხვევაში ტერმინ „მეხელს“ დიდი მნიშვნელობა გააჩნია. თუ „მეხელის“ განმარტება სწორია, რომ ეს დაკავშირებულია ბერძნულ იქიძ-სთან, მაშინ სრულიად შესაძლებელია, იმ დროის ქართველებს თავისი „მეხელობა“, თავისი ჰანგი ჰქონოდათ. რადგან არსებობს ტერმინი და ამ ტერმინს განსაზღვრული შინაარსი გააჩნია, ცხადია, გეჰქონდა არა მხოლოდ საკუთარი ჰანგი-მელოდია, არამედ – საკუთარი წესიც მისი შესრულებისა... რადგან არსებობდა ტერმინი „მეხელი“, აუცილებლად უნდა არსებულიყო ადგილობრივი სამგალობლო ტრადიცია, შესაძლოა, ბევრი რამ გადმოვიდა კიდევ ბერძნულიდან, მაგრამ საქართველოში ადგილობრივი ტრადიცია უნდა ყოფილიყო“. მორიგი კითხვა შეეხებოდა ამ ტრადიციაში მრავალხმიანობის ადგილსა და როლს: „შესაძლებელია ეს ადგილობრივი ტრადიცია გამოსატულიყო მრავალხმიანობაში?“ რასაც ე. მეტრეველი დაეთანხმა და, ბოლოს, დაშორდებოდა თუ არა კანონიკურ საფუძველს ქართული ტრადიციის ზეგავლენით გამრავალხმიანებული საგალობო ჰანგი, მან უპასუხა, რომ არ შეიძლებოდა.

წმ. გიორგი მთაწმიდელი „თთუენის“ ერთ-ერთ ანდერძში მეხელების ზოგიერთ უზუსტობას, ტექსტის თარგმნისა და გალობის კილოს დადების შეუსაბამობას აღნიშნავს: *„ესე რომელ მეხურნი გალობანი ზოგან ორგუარად დავუწერიან, ვინა დასდებელსა შინა სიტყუად გამოგუცვალეპია, ნუვის უკურს, ნუცა ვინ ამოდ ზრახავს. ესე ვითა დავუწერია ჩუენ, ბერძულად ესე არს, და ფრიადი ჭირი მინახავს მათსა გამოძიებასა და შეწყობასა და შენდა ორივე*

დამიწვრია, რომელ განპნათლდე შენ, რად ზრახავ ამოდ? მეხელთა მას ჟამსა ახლად თარგმნეს და ესთენი მეცნიერება დასდებლისად არა იყო, და გინათუ სიღრმისაგან სიტყვსა ვერ შეიგნეს, გინა თუ ბუნებასა ეგრე მოაშუნდა, და ვინ უწყის, ჩუენ კულა, რადოდენ ეგების, ბერძულსა დაგვმსგავსებია. და თუ ვინ მეცნიერ იყოს ბერძულისა, ნახოს ძალი და ცნას, რომელ ჭეშმარიტსა ვიტყვთ. მეხელნი ჩემსა უფრო არავის უყუარან და მოძღურად მყვანან და ღმერთმემოსილად“ (წმ. გიორგი მთაწმიდელი 2007: 467). წმ. გიორგი მთაწმიდელი ტექსტისა და გალობის კილოს უზუსტობას იმით ხსნის, რომ, ერთი მხრივ, დასდებლის მეცნიერება¹ ასე ღრმად განვითარებული არ იყო და სიტყვის სემანტიკურ სიღრმეს ვერ ჩასწვდნენ, მეორე მხრივ, გალობის ბუნებას ასე შეჰფეროდა. ანდერძის შემდგენელი ბუნებაში ქართული ტექსტისა და გალობის შეწყობას, მუსიკალურ მხარეს გულისხმობს, ამიტომაც ტექსტი ყოველთვის სწორად ვერ ითარგმნებოდა. აუცილებელი იყო საგალობლის ტექსტისა და მუსიკის ზუსტი შეხამება ძლისპირებთან, ბოლოს მისი ნევმირება (მეტრეველი, 1966: 170). მართალია, მეხელთა საქმიანობას იგი უმაღლეს შეფასებას აძლევს, მაგრამ მეხელები პროფესიონალ მუსიკოსებად მიაჩნია და არა პროფესიონალ მთარგმნელებად.

მეხელობა ურთულესი პროფესია იყო, მას რვა ხმის სხვადასხვა კილოზე საგალობელთა გაწყობა უნდა შეძლებოდა. მეხელი ისაა, ვინც ხმას უწყობს, ჰანგებს, მელოდიას ახამებს, ხმის შეწყობა კი მრავალ ხმას, ყოველ შემთხვევაში ერთზე მეტ ხმას, გულისხმობს. ტერმინი „მეხური“ კ. კეკელიძემ სრულიად სამართლიანად დაუკავშირა ბერძნულ ἠχοῖς-ს, რაც ქართულად ვმას აღნიშნავს: „ეს ტერმინი არის მუსიკალური და აღნიშნავს კილოს საგალობლისა, მეხურად წოდებული ჰიმნი უნდა გალობით იქნას შესრულებული და არა წაკითხვით... ამ მიზნით მათ ხშირად ნიშნები ან ნოტებიც აქვთ დართული“ (კეკელიძე

¹ დასდებლის მეცნიერება (ცოდნა) გულისხმობს სტროფის რიტმულ სახეს, ძლისპირთან მის რიტმულ შესატყვისობას (მეტრეველი 1966: 170).

1960: 606). ე. მეტრეველმა თავდაპირველად ივარაუდა, რომ ნეემების ხმარება ქართველებმა შემოიღეს არა საბაწმიდის ქართველ მოღვაწეთა წრეში X საუკუნის I ნახევარში, არამედ II ნახევარში, კონსტანტინოპოლისა და ათონის ჰიმნოგრაფთა წრეში. მაგრამ ეს ვარაუდი თავადვე უარყო, ვინაიდან X საუკუნის I ნახევრის პალესტინური წარმომავლობის ორი უძველესი იადგარი – Sin. 1 და Sin. 14 ნეემირებულია. მისი შეხედულებით, „მეხური გალობა არის „კმეანი გალობის“ ახალი, ყველაზე სრულყოფილი სახე; მეხური საგალობლების შემცველ იადგარებს „მეხური იადგარები“ ეწოდება. ნეემირებული „მეხური იადგარი“ პირველ რიგში სასწავლო წიგნი იყო, განკუთვნილი მგალობელთა განსწავლისათვის“ (მეტრეველი, 1966: 175). მეხელნი იყვნენ პოეტებიც და კომპოზიტორებიც, ვინაიდან ისინი ქმნიდნენ საგალობლის საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ ტექსტს, რომელსაც უხამებდნენ მელოდიას ძლისპირის მიხედვით, ხელნაწერებში ეს ნეემებით გადმოიცემოდა. ტერმინები „მეხელი“ და „მეხური“ უთუოდ „კმეანი გალობიდან“ მომდინარეობენ, ხოლო „კმეანი გალობის“ კანონიზება უკავშირდება იოანე დამასკელის სახელს. ამიტომ ეს მოვლენა, საგალობლის ტექსტის თხზვა და მისი მუსიკალურად გაწყობა ერთი და იმავე პირის მიერ, ქართულ ჰიმნოგრაფიაშიც, ბერძნულის კვალდაკვალ, მოსალოდნელია VIII საუკუნის შუა წლებიდან.

გალობის მოძღვრობა უთუოდ გულისხმობს ჰანგის, მელოდიის, კილოს სწავლებას; წმ. გიორგი მთაწმიდელი წერდა: „მეხელნი მოძღურად მყვანან და ღმერთშემოსილად“, ე. ი. მეხელნი, ანუ საგალობელთა მუსიკალურად გამწყობნი, არიან მისი მოძღვრები.

ტერმინების „მეხურისა“ და „მეხელის“ X საუკუნეში არსებობა იმას ნიშნავს, რომ ქართულ გალობას უკვე ჰქონდა საკუთარი კმეანობა, მელოდია, ე. ი. ის უკვე იყო განსხვავებული მეორისაგან, ანუ ბერძნულისაგან. ყურადღება მივაქციოთ მიქაელ მოდრეკილის ანდერძში ნათქვამს, რომ მან შეკრიბა „საგალობელნი მეხურნი: ბერძულნი და ქართულნი“. აქ არა მხოლოდ საგალობელთა ბერძნულ-ქართული საგალობლები და მათი ხმით შესრულებაა ნა-

გულისხმები, არამედ ბერძნულ-ქართული გალობების განსხვავება იგულისხმება. ეს განსხვავება ერთხმიანობა-მრავალხმიანობაშიც ვლინდება.

ქართული გალობის მრავალხმიანობის პრობლემის შესწავლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ ქართულად თარგმნის ისტორიას. მის შესახებ ჰიმნოლოგთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებლობას გვაძლევს ვივარაუდოთ, როგორ იქცა ბიზანტიური მონოდიური კულტურის ჰიმნოგრაფიული ძეგლის თარგმნა მისი ეროვნული ტრადიციული მუსიკალური ცნობიერების ყალიბში მოქცევის პროცესად. არსენ ბერის ცნობილი ანდერძის განხილვისას ივ. ჯავახიშვილმა მიუთითა, რომ XII საუკუნის საქართველოში საგალობლის სიტყვების თარგმნა და მისთვის ჰანგის შეწყობა (ხმის დადების ხელის მიყოფა) სხვადასხვა სპეციალობად ითვლებოდა (ჯავახიშვილი 1998: 650). ხმის დადებისათვის ხელის მიყოფაში ზ. ჭავჭავაძემ ჰანგის მრავალხმიან წყობაში მოქცევა იგულისხმა (ჭავჭავაძე 1993: 44). ძნელი სათქმელია, ჩვენამდე შემონახული ძლისპირები არსენ ბერისა და იოანე კათალიკოსის გამრავალხმიანებული ვარიანტი იყო თუ არა, ან მათი მიზანი იყო თუ არა კანონიკური ჰანგის მრავალხმიან წყობაში გადმოტანა, მაგრამ საფიქრებელია, რომ ერთხმიანი გალობის ნიმუშს ქართული სამგალობლო პრაქტიკა არ მიიღებდა მრავალხმიანი გალობის აზროვნების საფუძველზე გადამუშავების გარეშე. მუსიკალურ წყობას კი განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იგი ქართული ეთნოსის თვისებებს გამოხატავს.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ წმ. ეფთვიმე და წმ. გიორგი მთაწმიდელები წმ. ანდრია კრიტელის საგალობლის თარგმნისას ძლისპირებს არ თარგმნიდნენ, ისინი ადრე ნათარგმნ ძლისპირებს იყენებდნენ. ამ დროისათვის ქართულ ენაზე უკვე არსებობდა ნევმირებული ძლისპირები. წმ. ექვთიმე მთაწმიდელმა ხმა შეუცვალა წმ. ანდრია კრიტელის „დიდ კანონს“, „ჰმისაგანცა თვისისა და ძლისპირთაგან შეეცვალნეს“ და მეექვსე ხმაზე დაწერილი კანონის ტექსტი მეოთხე ხმის მზა ძლისპირებს შეუფარდა,

რითაც, ფაქტობრივად, მთლიანად შეცვალა პირველწყაროს სტრუქტურა. ძნელი განსამარტავია, თუ რატომ შეცვალა საგალობლის ხმა წმ. ეფთვიმე მთაწმიდელმა. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ იმ პერიოდში ხმას არ ჰქონდა მყარად გამოსატული კანონიკური ფუნქცია. წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთი დიდი ავტორიტეტი, როგორც ექვთიმე გახლდათ, ხმას არ შეცვლიდა. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეიძლება ითქვას, რასაც საპირისპირო მხარეც აქვს.

მოგვიანებით წმ. გიორგი მთაწმიდელმა ეფთვიმესეული ხმა დატოვა, „დაღათუ კმაე არა შეეცვალა, გარნა თუსთა ძლისპირთა ზედა თარგმნაე არცა მას გულს-ედგინა“, თუმცა ქართულ სამგალობლო პრაქტიკაში ადაპტირებულ ძლისპირებზე გააწყო წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ მისეული თარგმანის ვერსია. ძლისპირთა და მთელი კანონის მეტრული საზომის შეცვლამ საგალობლის ქართული ვერსია დედანს მკვეთრად დააცილა, რაც საფუძველი გახდა დავით აღმაშენებლის ეპოქაში მისი ტექსტის ხელახლა თარგმნისა არსენ ბერის მიერ, ხოლო მუსიკალურად იოანე კათალიკოსის მიერ გაწყობისა. არსენის სიტყვით, „*უცვალებულად თუხისაგან კმისა, თუთ მათვე ძლისპირთა ზედა მათთა, რომელთა ზედა წმიდასა ანდრეას ბერძულად აღეწერნეს, ბრძანებითა და ჯერ-ჩინებითა კეთილად მსახურისა და ღმრთივ დაცვულისა დავით აფხაზთა და ქართველთა და რანთა და კახთა მეფისათა, რომელმან მე (ე. ი. არსენის) თარგმანებისა, ხოლო წმიდასა მწყემსთა-მწყემსსა იოანეს, ქართლისა კათალიკოსსა, ვითარცა კეთილად მორთულსა ორღანოსა კვლოანთ-მთავრისა სულისასა, კმისა დადებისა კელ-ყოფაე გუბრძანა, ვინადთგან უცხონი იყვნეს ჩუენისა ენისაგან ძლისპირნი ამათნი*“ (მეტრეველი 1966: 177). ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ XI საუკუნის მიწურულისათვის მეხელის საქმიანობა უკვე ორდაა გაყოფილი: ერთი, რომელიც დაუფლებულია „დასდებელის მეცნიერებას“, თარგმნის ტექსტს, მეორე, რომელიც დვთივმიმადლებულია მუსიკალური ნიჭით, მიმართავს გალობის კილოს დადებას ტექსტზე. ამიტომ მეხელები XI საუკუნეში უკვე აღარ არიან.

აქვე მინდა დავსვა საკითხი იმის შესახებ, რომ თარგმნა მხოლოდ ერთი ენიდან მეორეზე გადაღებას არ გულისხმობს, არამედ განმარტებას, კომენტირებას. აქედან გამომდინარე, როგორ გავიგოთ გალობასთან დაკავშირებით ნათქვამი „მეხელთა მას ჟამსა ახლად თარგმნეს და ესთენი მეცნიერება დასდებლისაჲ არა იყო“? თარგმნა მხოლოდ ტექსტს შეეხება თუ გალობის კილოსაც? კილოს თარგმნა კი გულისხმობს კილოს ზუსტად გადმოღებას, ანუ ერთხმიანად შესრულებას? ეს კითხვები ბოლომდე პასუხგაცემული არ არის, მხოლოდ ვარაუდების დონეზე შეიძლება გამოითქვას ზოგიერთი მოსაზრება.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: ქართველი ერის მუსიკალური აზროვნება ისევე ძველია, როგორც ქართული სიტყვა, ლექსი, ცეკვა, მითოპოეტური სამყარო, ფოლკლორი. დმერთმა ქართველი ერი გამოარჩია იმით, რომ პოლიფონიური საერო სიმღერა და საეკლესიო გალობა მიანიჭა. შოთა რუსთველის ნათქვამი: „გვაქვს უთვალავი ფერითა“ მუსიკალურ მრავალფეროვნებასა და პოლიფონიურობასაც გვაგულისხმებინებს, ვინაიდან მრავალფეროვნება ქართველი ერის აზროვნების, მისი ეროვნული ცნობიერების, შინაგანი სულიერი სამყაროს გამოვლინებაა, ქართველი ერის სააზროვნო სისტემაა. ამიტომ ქართულ საეკლესიო გალობაში მრავალხმიანობა, რომელიც წინარექრისტიანული მუსიკალური კულტურის არსებითი ნიშანი იყო, ადრევე შევიდა, იმ დროიდან მაინც, როდესაც უკვე შეიქმნა პირველი ქართული ორიგინალური საგალობლები. ქართულ საეკლესიო გალობაში ისევე შევიდა წინარექრისტიანული მრავალხმიანობის ტრადიცია, როგორც ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის წიაღში საგალობელთა პარალელურად არსებული ქართული ლექსის უძველესი ფორმები, როგორც ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში – წინარექრისტიანული არქიტექტურის ელემენტები.

**THE SAINT GIORGI MTATSMINDELI AND
THE PROBLEM OF THE POLYPHONY**

Giorgi Mtsire in his hagiographical work tells us about the polyphony of the Saint Giorgi Mtatsmindeli. He says that Saint Giorgi Mtatsmindeli was educated in the art of polyphony in his youths. He knew all hymns of years and was easily adopted in oral teaching, for this he was excellent within his colleagues and as like his great ancestors Saint Grigol Khandzteli and Mikael Modrekili.

To study the hymnographical heritage and his attitude to the Georgian polyphony we must get acquainted his biography from the Giorgi Mtsire's hagiographical works and also with The Will added to the hymnographical works of Saint Giorgi Mtsatsmineli. On the based of abovementioned works we can say some interesting view about the works of Mekhels' and their heritage's hymnographical works. Traditions ruined from Mekhels' stayed like the guide for the hymnographs of XI century. The Saint Giorgi Mtatsmindeli said: *Mekhels' are my teachers, priests*. From the hagiographical works of Giorgi Mtsire we confirm that hymns of Giorgi Mtatsmindeli were polyphonic. Georgian science Ivane Javakhishvili payed great attention to the fact saved in this story about the 80 orphans grew up by the Saint Giorgi Mtatsmindeli, they chanted in front of the Caesar of Byzantium and the Caesar mentioned the polyphonic style of the song. It means that the Caesar knew about the differences of Georgian and Greece chants and he had already mentioned that.

The polyphone of Georgian chants did not begin at once, this was the long period of formation. From the beginning it was monophonic and then it becomes polyphonic. Joan Petritsi classified Georgian polyphonic chants according the phonics: (Mzakhr/first, Jhir/second, Bam/third).


From the polemics within the Patriarch of Antioch and the Saint Giorgi Mtatsmindeli we confirm the canonically of polyphony of Georgian chants. The Saint Giorgi Mtatsmindeli confirms the apostolic history and long independency of Georgian church. At the time of this polemics the canonicity of Georgian chant's polyphony had already been confirmed otherwise the Patriarch of Antioch would

reprimanded Saint Giorgi Mtatsmindeli and he would have been accused in noncanonicallity of liturgy. This polemic confirms that the Georgian polyphonic chants are canonical and has long history. It is supposed that the first years Christianity and Christian people in churches did not get used the monophonic style of chants because Georgian folk and traditions were acquainted only to the polyphonic style of songs. It means that the changes in the style of chants must be made from the beginning. The Georgian chants would have changed from the monophonic to the polyphonic from the early stage of liturgy. Diversity is the main detection of Georgian mind, Georgian national spiritual life, diversity is the system of thinking. So it gives us the chance to say that the polyphony must have been the style of Georgian chants from the early stage of our church development. In parallel of Georgian hymnography there were used the old style of Georgian poetry as it was in architect of Georgian church, there are plenty of pre-Christianity elements on Georgian architect.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

- წმ. გიორგი მთაწმიდელი 2007 – გიორგი მთაწმიდელის თვენი (სექტემბერი), გამოსცა, გამოკვლევა, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო ლალი ჯღამაიამ, თბ., 2007.
- კეკელიძე 1960 – კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1960.
- ლოლაშვილი 1982 – ი. ლოლაშვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, თბ., „მეცნიერება“, 1982.
- მეტრეველი 1966 – ე. მეტრეველი, „მეხელისა“ და „მეხურის“ გაგებისათვის, კრებულში: შოთა რუსთველი (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი), თბ., „მეცნიერება“, 1966.
- მეტრეველი 1971 – ძლისპირნი, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელენე მეტრეველმა, თბ., „მეცნიერება“, 1971.

- მიქაელ მოდრეკილი 1978** – მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, I-II-III, გამოსაცემად მოამზადა ვაჟა გვახარიაშვილი, თბ., 1978.
- სუხიაშვილი 2001** – მ. სუხიაშვილი, *ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიული განვითარების ზოგიერთი საკითხის შესახებ*. კრებულში: *სასულიერო და საერო მუსიკის მრავალხმიანობის პრობლემები*, თბ., 2001.
- უსპენსკი 1965** – Н. Успенский, *Древнерусское певческое искусство*. М., 1965.
- ქართული საეკლესიო...** 2002 – *ქართული საეკლესიო გალობის თანამედროვე პრობლემები*, თბ., 2002.
- ძეგლები 1963/1964** – *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტურჯიის ძეგლები*, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., „მეცნიერება“, 1963-1964.
- ძეგლები 1967** – *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტურჯიის ძეგლები*, II, გამოსაცემად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., „მეცნიერება“, 1967.
- ჯავახიშვილი 1998** – ი. ჯავახიშვილი, *ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები*, თხზ. XI, თბ., თსუ გამომც., 1998.



oTar j anel iZe

**istoriis aqtual izaci a ruseT-saqarTvel os
urTierTobi s post sabWoTa peri odSi**

წარსულში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის შედეგები არცთუ იშვიათად აწმყოში მათი თანაცხოვრების ხასიათზეც რელიეფურად აისახება. უფრო მეტად ეს უშუალო მეზობელ ან გეოგრაფიულად ახლომდებარე სახელმწიფოებზე ითქმის. ასეთთა რიცხვშია საქართველო და რუსეთი, რომელთა ურთიერთკავშირის ისტორია სათავეს საუკუნეთა სიღრმეში იღებს.

პირველწყაროთა მოწმობით, ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული საქართველოს პოლიტიკური ვექტორი დასავლეთისაკენ იყო მიმართული. რომის იმპერიის ორად გაყოფის შემდეგ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში საქართველოს დასავლური პორიზონტი არსებითად ბიზანტიით შემოიფარგლებოდა, თუმცა იგი ცივილიზაციურად და პოლიტიკურადაც ევროპის ნაწილს წარმოადგენდა.

მომდევნო ხანის ისტორიულმა ბედუკუდმართობამ საქართველო მოსწყვიტა განვითარების ბუნებრივ ორბიტას და ევროპულ სივრცეს დააშორა. XV-XVI საუკუნეებიდან, მას შემდეგ რაც ირან-ოსმალეთის აგრესიულ გარემოცვაში მოქცევამ ქართველი ერის თვითმყოფადობას, განსაკუთრებით მის სარწმუნოებრივ საფუძველს – ქრისტიანობას სერიოზული საფრთხე შეუქმნა, საქართველომ მოკავშირისა და მფარველის ძიება ჩრდილოეთით – მართლმადიდებელ რუსეთში დაიწყო. ქართველები ერთმორწმუნე რუსეთში ხედავდნენ იმედს და რეალურ ძალას, რომელსაც მძიმე განსაცდელში მათი დაცვა და გადარჩენა შეეძლო.

ამავე პერიოდში სამხრეთ კავკასიის რეგიონისადმი ინტერესი რუსეთის სახელმწიფოშიც გამოიკვეთა. რუსეთმა

პირველი კონტაქტები ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შედეგად წარმოშობილ კახეთის სამეფოსთან დაამყარა. XVI საუკუნის 80-იან წლებში კახეთ-რუსეთის ურთიერთობა მათ შორის „ფიცის წიგნის“ გაფორმებითა და კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლით აღინიშნა. ორი საუკუნის შემდეგ, 1783 წელს კი რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთს შორის ცნობილი გეორგიევსკის ტრაქტატიც დაიდო.

ქართველთა მოლოდინი არ გამართლდა. რუსეთმა ხელშეკრულების პირობები არ შეასრულა. მან ერთმორწმუნე ხალხის დაცვისა და მფარველობის ნაცვლად მოშალა ქართლ-კახეთის სამეფო, გააუქმა ბაგრატიონთა ტახტი და გუბერნიად გარდაქმნილი აღმოსავლეთ საქართველო საკუთარი იმპერიის ნაწილად გამოაცხადა. მომდევნო ათწლეულებში დასავლეთ საქართველოც დაპყრობათა გზით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა.

ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების გარდა, ცარიზმმა არც ადგილობრივი სამოციქულო ეკლესია დაინდო, რომელსაც ავტოკეფალია წარსტაცა და იგი რუსეთის სინოდს დაუქვემდებარა.

პატარა და სუსტ ქვეყანაზე უხეში ძალმომრეობის ხსენებული ფაქტები ჯერ კიდევ ცარიზმის ოფიციალურმა ისტორიოგრაფიამ გააყალბა. ბაგრატიონთა ლეგიტიმური დინასტიის ხელისუფლებისაგან ჩამოცილება და ქართული სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაცია, ისევე როგორც საქართველოს რომანოვთა იმპერიაში ინკორპორაცია არა ანექსიად, არამედ რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობით შეერთებად მოინათლა.

საბჭოთა საისტორიო მეცნიერებაში საქართველოს ინკორპორაციასთან დაკავშირებით უკრიტიკოდ იყო გაზიარებული სტალინური თვალსაზრისი ე. წ. მცირე ბოროტების შესახებ. ეს დირექტიული დებულება ასე გამოითქმოდა: XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება იყო ბოროტება, მაგრამ ნაკლები ბოროტება მაჰმადიანური აგრესიისა და ქართველი ხალხის ფიზიკური გადაშენების საფრთხესთან შედარებით (1, 56).

გასული საუკუნის 80-იან წლებში გაჩნდა ახალი მცდარი თვალსაზრისი ამ ბოროტების საერთოდ უარყოფისა და საქართველოს რუსეთთან შეერთების მხოლოდ სიკეთედ აღიარების თაობაზე.

იმპერიულ მარწუხებში ჩავარდნილ ქართველ ერს გარუსებისა და სრული ასიმილაციის საფრთხე დაემუქრა. ქართული ენა ყველა სახელმწიფო ინსტიტუციიდან, მათ შორის სკოლიდანაც განიდევნა, ეკლესიებში წირვა-ლოცვა სლავურ ენაზე გადაიყვანეს, სრულიად იგნორირებული იყო ადგილობრივი მოსახლეობის უფლებები, რუსული ადმინისტრაცია მიმართავდა მხარის დემოგრაფიულ ექსპანსიას, ეკონომიურ დაკაბალებას და სხვ.

ქართველი ხალხი არ შერიგებია საკუთარი იდენტობის საფუძველთა ხელყოფას, მან კოლონიურ რეჟიმს იმთავითვე საპროტესტო მოძრაობა – შეთქმულებები და აჯანყებები დაუპირისპირა. ერთი თანამედროვის სიტყვით, XIX საუკუნის პირველი ნახევარი იყო დრო, როდესაც „თითქმის მთელ საქართველოს ... გატენილ თოფებზე ეძინა“, იგი თავგამეტებით იბრძოდა ეროვნული თავისუფლებისათვის, მაგრამ ეს ბრძოლა არასოდეს გადაზრდილა რუსეთისა და რუსი ხალხის სიძულვილში.

ამავე საუკუნის 40-იანი წლებიდან მეფის მთავრობამ შიშველი ძალმომრეობის კურსი რამდენადმე შეარბილა, ქართულ არისტოკრატიას სამხედრო და სახელმწიფო იერარქიაში დაწინაურების საშუალება მისცა და ამით იმპერიისადმი მისი ღოიადლობის მიღწევას შეეცადა. საქართველოში განმათავისუფლებელი მოძრაობა რამდენადმე დაცხრა, თუმცა ბოლომდე არ აღმოფხვრილა. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ახლა უპირატესობა მშვიდობიანი წინააღმდეგობის ფორმებს მიენიჭა.

ცარიზმმა ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ წარმოებული ომებით, რომლებშიც რუსთა მხარდამხარ ქართველთა მრავალრიცხოვანი სახალხო ლაშქარიც მონაწილეობდა, ორივე ეს მეტოქე კავკასიიდან გააძევა და იმპერიის საზღვრები მათ მიერ მიტაცებული აქაური სამფლობელოების ხარჯზეც გააფართოვა. კავკასიის რეგიონის დასაუფლებლად რუსეთის იმპერიამ მეტად დიდი მსხვერ-

პლი გაიღო. დ. ვედენევის გამოანგარიშებით, 1801-1885 წლების განმავლობაში რუსეთმა ირანის, ოსმალეთის, სამხრეთ თუ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან დაპირისპირებაში არანაკლებ 77 ათასი ადამიანი დაკარგა ბრძოლის ველზე დაღუპულთა, მოკლულთა, ტყვედ ჩავარდნილთა თუ ავადმყოფობით გარდაცვლლილთა სახით (2). ყოველივე ამის გათვალისწინებით, ასევე მხარის გეოსტრატეგიული, ეკონომიკური თუ პოლიტიკური მნიშვნელობის გამო, ცარიზმი იმპერიასთან კავკასიის შერწყმას განსაკუთრებული გულმოდგინებით ეკიდებოდა.

რუსეთის საუკუნოვან კოლონიურ უღელს საქართველომ თავი მხოლოდ თვითმპყრობელობის დამხობისა და ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდგომ დააღწია და ეროვნული სახელმწიფოებრიობა აღიდგინა. 1918 წლის 26 მაისიდან მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაც იყო აღბეჭდილი. სამხრეთ კავკასიის ამ პატარა ქვეყნის სუვერენიტეტი მაშინ ორ ათეულზე მეტმა დიდმა და მცირე სახელმწიფომ, მათ შორის საბჭოთა რუსეთმაც აღიარა. მიუხედავად ამისა, თავისუფლების გზაზე გამოსულ საქართველოს ევროპის პოლიტიკურმა მესვეურებმა უარი უთხრეს ერთა ლიგაში მიღებაზე და იგი ამ საერთაშორისო უნივერსალური ორგანიზაციის მიღმა დატოვეს. ერთა ლიგის წევრობას შეეძლო საქართველო დაეცვა გარე აგრესიისაგან და მისი დამოუკიდებლობა უზრუნველყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. საქართველო მარტო დარჩა ბოლშევიკური რუსეთის პირისპირ, რომელმაც 1921 წლის თებერვალ-მარტში იგი თავს მოხვეულ ომში დაამარცხა და მის სახელმწიფოებრივ განვითარებასაც ბოლო მოუღო.

კრემლმა გასაბჭოებული, სინამდვილეში ოკუპირებული-ანექსირებული საქართველო (საქართველოს საჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა) ჯერ ავტონომიურ ერთეულებად დაანაწევრა (აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი), მერე ამიერკავკასიის ფედერაციაში, ხოლო მისი მეშვეობით სსრ კავშირად წოდებულ იმპერიაში გააერთიანა. 1936 წელს ამიერკავკასიის ფედერაცია გაუქმდა, საქართველო

საბჭოთა კავშირის შემაღვენლობაში დარჩა როგორც ცალკე მოკავშირე რესპუბლიკა და ამგვარად იწოდებოდა 1990 წლამდე, ვიდრე ქვეყანაში კომუნისტური მმართველობა ეროვნული ხელისუფლებით შეიცვლებოდა. ამ ხნის განმავლობაში ქართველმა ხალხმა საბჭოეთში სოციალიზმის მშენებლობის ექსპერიმენტის ყველა შედეგი სრულად განიცადა, მათ შორის მასობრივი რეპრესიებიც. იმათ გარდა, ვინც ემიგრაციაში გაასწრო ან ანტისაბჭოთა გამოსვლებში მონაწილეობისათვის სიცოცხლეს გამოასაღმეს, 12 ათასი ქართველი გულაგის საკონცენტრაციო ბანაკებში გამოამწყვდიეს. მეორე მსოფლიო ომში გაწვეული საქართველოს 700 ათასი მებრძოლიდან ყოველი მესამე დაიღუპა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ასეთია რუსეთ-საქართველოს თითქმის ორასწლიანი თანაცხოვრების ისტორია უზოგადეს შტრიხებში. ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ თანაცხოვრებას საქართველოსათვის გარკვეული პოზიტივიც ახლდა. მართალია, რუსეთის იმპერიის შემაღვენლობაში, მაგარამ მაინც, XIX საუკუნეში შესაძლებელი გახდა საქართველოს ტერიტორიული გამთლიანება, აღიკვეთა ლეკთა გამუდმებული თავდასხმები, შეწყდა ტყვის სყიდვა და ბოლო მოედო ფეოდალურ შინაომებს. გაიზარდა მოსახლეობის რიცხვი და განმტკიცდა კავშირი ქვეყნის ცალკეულ კუთხეებს შორის. მომდევნო საუკუნეში, საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებშიც კი, საქართველო ერთგვარ სოციალურ და ეკონომიკურ წინსვლას განიცდიდა, აღმავლობის გზას ადგა ქართული კულტურა, ხელოვნება, მეცნიერება, სპორტი და სხვ. თუმცა ეს მიღწევები ვერ გადასწონიდა მთავარს – წართმეულ თავისუფლებას. სწორედ ამიტომ, ქართველი ხალხი გაურბოდა იმპერიულ რეჟიმს და, როგორც ცნობილია, ორჯერ – 1918 და 1991 წლებში მისგან თავდახსნა მოახერხა.

კომუნისტური იდეოლოგიით გაუღენთილი ისტორიოგრაფია საბჭოურ სინამდვილეში მოვლენებს თავის რეალურ სახელს ვერ დაარქმევდა და არც დაურქმევია. პირიქით, ხელისუფალთა ნების შესაბამისად, საბჭოთა ისტორიკოსებმა წარსული მათთვის სასურველ პოლიტიკურ ყაი-

დაზე გამართეს. რუსეთის სახელმწიფოსათვის საწოთირო ფაქტები მიაფუჩეჩეს ანდა შეალამაზეს და სიცრუის გარსში გახვიეს. მათ ყოფნიდათ სითამამე, სხვა ქვეყნის დაპყრობისათვის მისი განთავისუფლება ეწოდებინათ, ბოროტება სიკეთედ გაესაღებინათ, რუსეთის აგრესია დაეფარათ და ძალადობა სათნოებად წარმოეჩინათ. ასე იყო საქართველოსთან მიმართებაშიც.

ისტორიის ფალსიფიცირების მეთოდი საბჭოთა ხელისუფლებამ დიდწილად მეფის რუსეთისაგან იმემკვიდრა. ქართველი პოეტის ტიციან ტაბიძის სიტყვით რომ ვთქვათ, „არსად ისე არ დამსგავსებია ისტორია ზღაპარს, როგორც რუსეთში“.

ცნობილი რუსი ისტორიკოს იური აფანასიევი თავის წიგნში „Опасная Россия“ შენიშნავს, რომ კარამზინის დროიდან რუსეთი ცხოვრობს „გამოგონილი წარსულით“. ჯერ კიდევ 1987 წლის აპრილში, მოსკოვში გამართულ ისტორიკოსთა და მწერალთა სამეცნიერო კონფერენციაზე ი. აფანასიევმა თავისსავე კითხვაზე – რას წარმოადგენს ჩვენი თანამედროვე ისტორიული ცოდნა? – უპასუხა: არ არის მსოფლიოში ისეთი ფალსიფიცირებული ისტორიის მქონე არც ერთი ქვეყანა, როგორც ჩვენია. საბჭოთა რეჟიმს ისტორია სჭირდებოდა არა მეცნიერებად, არამედ პროპაგანდის მსახურად, რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულებათა გასამართლებლად (3, 56).

ამიტომაც იყო, რომ რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები სიმართლეს საქართველო-რუსეთის წარსული ურთიერთობის შესახებ საბჭოთა რეჟიმის აღსასრულამდე მალაგდნენ ან შეგნებულად აყალბებდნენ. საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილი ფაქტიც გამოდგება.

1990 წლის 1 სექტემბერს მოსკოვში საქართველოსა და რუსეთს შორის ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება დაიდო. ხელშეკრულების ხელმოწერის დროს, მაშინ რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბორის ელცინმა განაცხადა: „მთელი თავიანთი ერთობლივი ისტორიის მანძილზე... რუსეთსა და საქართველოს არასოდეს უომიათ ერთმანეთთან, არ ჰქონიათ დავა

საზღვრების გამო, არაფერი ჰქონიათ გასაყოფი“ (4). ეს თვალსაზრისი მცდარია, არ ასახავს რეალობას და წარსულის მხოლოდ კონიუნქტურულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს..

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდგომ ფართო გავრცელება ჰპოვეს ისტორიის განსხვავებულმა ვერსიებმა. მარქსისტულ იდეოლოგიას თავდაღწეული ისტორიული ნარატივი გასული საუკუნის 90-იან წლებში ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში ეთნონაციონალიზმის რელსებზე იქნა გადაყვანილი. ამასთან, თუ კომუნისტურ პერიოდში ისტორია „იდეოლოგიურად ანგაჟირებული“ დარგი იყო, ახლა იგი „პოლიტიკური ანგაჟირების“ მსხვერპლად იქცა. ისტორიული ფაქტებისა თუ მოვლენების თვითნებური განმარტებები პოლიტიკაშიც მომძლავრდა, რაც, მაქს ვებერის სიტყვით, სრულიადაც არ ნიშნავს „პოლიტიკის გამეცნიერებას ან პოლიტიკის სციენტოფიკაციას“. ეს უფრო წარსულის პოლიტიზაცია, ისტორიით მანიპულირება და მისი ინსტრუმენტალიზაციაა (5), რასაც მეტწილად პოლიტიკური ინტერესი და მოტივაცია განაპირობებს.

თანამედროვე საქართველოსაგან განსხვავებით, ისტორიისადმი ამგვარი მიდგომა უფრო რუსეთში შეინიშნება. წარსულთან მიმართებას იქ დღესაც დიდწილად პოლიტიკა და სახელმწიფოს მესვეურთა ნება განსაზღვრავს.

ისტორია რუსეთის ფედერაციაში სულ უფრო და უფრო პოლიტიკური ინტერესების მძევალი, მისი მსახური ხდება. თუ მეფისდროინდელი რუსეთი პოლიტიკის იარაღად სკოლას, ეკლესიას, კოლონიზაციას, ეკონომიკურ ბერკეტებსა და სხვ. იყენებდა, თანამედროვე რუსეთში ამ არსენალს ისტორიაც დაემატა.

პოსტსაბჭოთა პერიოდის რუსეთის უმაღლეს ხელისუფალთა საჯარო გამოსვლებსა თუ პოლიტიკურ ნარატივში დიდი ადგილი ეთმობა ისტორიით მანიპულაციას, მათ შორის საქართველო-რუსეთის ურთიერთობის, საქართველოს ისტორიული კუთხეების – აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის წარსულთან დაკავშირებით.

ისტორიის ინსტრუმენტალიზაცია, როგორც გეოპოლიტიკური სტრატეგიის ნაწილი, თანამედროვე რუსეთში სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი. ამით უნდა აიხსნას, რომ ისტორიის პრობლემატიკა ისეთ პოლიტიკურ დოკუმენტშიც კი აისახა, როგორც „რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია“. დოკუმენტის ტექსტი შეიცავს მოწოდებას, რომ „არ დაეუშვათ ისტორიული თემის პრაქტიკული პოლიტიკის ინსტრუმენტად ქცევა“ (6).

ისტორიულ თემათა პოლიტიზაციის წინააღმდეგ მოქმედება ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად აქვს დასახული რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს. სამინისტროს კოლეგიამ 2008 წლის მარტში აუცილებლად მიიჩნია თავის საზღვარგარეთულ დაწესებულებათა ძალისხმევის გააქტიურება და ამ მიმართულებით საქმიანობისათვის უფრო „სისტემური და შემტვეი ხასიათის“ მიცემა (7).

არანაკლებ საყურადღებოა, რომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში არსებობს ისტორიულ-დოკუმენტური დეპარტამენტი, რომელიც ინტერნეტ-ტექნოლოგიის გამოყენებით ავრცელებს ისტორიის კონიუნქტურულ ვერსიებს, მათ შორის საქართველოს ისტორიის შესახებაც. მაგალითად, სამინისტროს ვებგვერდზე საერთო სათაურით „О роли России в поддержании политического равновесия в Европе“ განთავსებულია ნარკვევი „საქართველო“ (8). იგი ეხება რუსულ-ქართული ურთიერთობის მონაკვეთს XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე და წარმოაჩენს ორი ქვეყნის დაახლოების პერიპეტეებს გეორგიევსკის ტრაქტატის წინა პერიოდიდან საქართველოს რუსეთის იმპერიაში ინკორპორირებამდე.

ნარკვევში საგანგებოდაა გამოტოვებული იმპერატორ პავლე I-ის 1800 წლის 18 დეკემბრის მანიფესტი, რომელსაც ხელი ჯერ კიდევ გიორგი XII-ის სიცოცხლეში მოეწერა და ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის გუბერნიად გამოცხადებას ითვალისწინებდა (9, 278). ინტერნეტმასალაში არაფერია ნათქვამი პეტერბურგში მყოფი ქართული

ელჩობის, დავით თუ იულონ ბაგრატიონების ძალისხმევაზე ტახტისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად და აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთება „ქართველთა თხოვნის დაკმაყოფილებადა“ სახელდებული.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, რომელსაც მხოლოდ ერთი აბზაცი ეთმობა, საუბარია არა მის ანექსიაზე, არამედ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ეტაპობრივ შესვლაზე.

საარქივო დოკუმენტებით უხვად გაჯერებული ნარკვევი, ერთი შეხედვით, აკადემიური ნაშრომის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ სინამდვილეში, ეს არის პოლიტიკური ტექსტი, საქართველოს რუსეთთან დაკავშირება-შეერთების რუსული პოლიტიკური მოდელი.

ხსენებული ტექსტში ჩამოყალიბებულ დებულებას ხშირად იმეორებენ რუსეთის უმაღლესი პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენლები. მაგალითად, 2008 წლის 28 აგვისტოს, სატელევიზიო კომპანია „სი-ენ-ენ“-ისათვის მიცემულ ინტერვიუში ვლადიმერ პუტინი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის პრობლემებსაც შეეხო და მასზე საუბრისას განაცხადა: ყველა კავკასიური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი თავის დროზე რუსეთის შემადგენლობაში ნებაყოფილებით შევიდა. მათგან პირველი იყო ოსეთი, რომელიც თითქოს XVIII საუკუნეში ერთიან პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, ჩრდილოეთი და სამხრეთ ოსეთი ერთ სახელმწიფოს შეადგენდა და იგი რუსეთს 1745-1747 წლებში შეუერთდა. 1801 წელს რუსეთის შემადგენლობაში საკუთარი ნებით შევიდა საქართველოც, რომელიც შევიწროებული იყო ოსმალეთის იმპერიის მიერ (10).

ცოტა უფრო ადრე, 2006 წლის 25 ოქტომბერს, რუსეთის მოსახლეობისათვის გამართულ ტელეხიდაში, ვ. პუტინმა ღია ეთერში კიდევ ერთი ისტორიული ფაქტის პოლიტიკური ინტერპრეტაცია სცადა და აღნიშნა: 1801 წელს, როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, არც აფხაზეთი

და არც სამხრეთ ოსეთი არ შედიოდნენ საქართველოს შემადგენლობაში (11).

პირველად ე. წ. „ნებაყოფლობით შეერთებას“ შეეცხები და თანაც მოკლედ, რადგან ამ საკითხზე სპეციალური ნარკვევი უკვე გამოვაქვეყნე ქართულ და რუსულ ენებზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ XV საუკუნის ბოლოდან მოყოლებული ქართველი მეფე-მთავრები რუსეთთან დაახლოებასა და მისგან მფარველობას ინტენსიურად ესწრაფვოდნენ. შემორჩენილია მათი მრავალი წერილობითი თხოვნა, რომელიც ელჩებს მოსკოვისა თუ სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარზე საქართველოდან სხვადასხვა დროს ჩაჰქონდათ. საპასუხო წერილებში რუსთხელმწიფეები სიტყვიერ დაპირებას არ იშურებდნენ, მაგრამ მატერიალური და სამხედრო დახმარების თვალსაზრისით სიძუნწეს იჩენდნენ (12, 310).

რუსეთზე შეუქცევადმა ორიენტაციამ საქართველოს ყველა მეზობელი ქვეყანა მის წინააღმდეგ განაწყო. განსაკუთრებით განაწყენდა ირანი, რომელმაც 1795 წელს შური თბილისის აოხრებით იძია. რუსეთი მხოლოდ ამის შემდეგ გამოესარჩლა თავის მფარველობაში მყოფ ქართლ-კახეთს, მაგრამ 1796 წელს ტახტზე ასულმა ახალმა იმპერატორმა პავლე I-მა ირანის წინააღმდეგ დაწყებული ლაშქრობა მოშალა და ჯარი უკანვე გაიწვია. საქართველო გარეშე აგრესიისაგან კვლავ დაუცველი დარჩა.

გიორგი XII-ის მმართველობის პერიოდში (1798-1800 წ.წ.) სიტუაცია აღმოსავლეთ საქართველოში კიდევ უფრო დაიძაბა. უკიდურესად გართულებულმა საშინაო და საგარეო ვითარებამ, პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტ და ფიზიკურად სნეულ მეფეს ქართლ-კახეთის რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში გადაცემაზე ფიქრი აღუძრა. გეორგიევსკის ტრაქტატით განსზღვრული მფარველობა-მოკავშირეობის ნაცვლად, რუსეთისათვის მეტ დათმობასა და საკუთარი უფლებამოსილების შეზღუდვას, გიორგი XII-ის გათვლით, ერთმორწმუნე ქვეყნისაგან დახმარება უფრო რე-

აღური უნდა გაეხადა (13, 192). საკუთარი ქვეყნის გადასარჩენად სწორედ რეალური დახმარების მიღება და არა სამეფოს გაუქმება ამოძრავებდა ქართველ მეფეს, როდესაც 1800 წლის სექტემბერში ელჩების ხელით პავლე I-ს ე.წ. სათხოვარი პუნქტების სახელწოდებით ცნობილი ნოტა გაუგზავნა.

გიორგი XII-ის მთავარი თხოვნა იყო, რომ რუსეთს საქართველო სამუდამო მფარველობაში მიეღო, ხოლო საქართველოს ტახტი, აგრეთვე სამუდამოდ, გიორგის შთამომავლობის ხელში დარჩენილიყო (14, 287). ნოტა არ გულისხმობდა მეფის უფლებაზე ხელის აღებას და არც რუსეთის იმპერიასთან უპირობო შეერთებას. ეს თავის დროზე მკაფიოდ გამოთქვა რუსმა ისტორიკოსმა, აკადემიკოსმა ნ. დუბროვინმა. მისი სიტყვით, გიორგი XII ცდილობდა რუსეთის ჯართა და ფინანსებით ესარგებლა და არც მეფობის უპირატესობა დაეკარგა (15, 239; 16, 35).

ქართველი მეფის ნოტაში ფორმულირებული წინადადება „სამუდამოდ მიიღოს რუსეთის მფარველობა“ საიმპერატორო კარმა ისეთი შინაარსით აღიქვა, როგორც თვითონ სჭირდებოდა: თითქოს ქართლ-კახეთი იმპერიის შემადგენლობაში შესვლას უბრალო ტერიტორიის სახით, ყოველგვარი იურიდიული სტატუსისა და უფლებრივი მდგომარეობის გარეშე ითხოვდა (17, 176).

ქართველი ელჩების მიერ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში წარდგენილი ნოტა, რომელიც თავდაპირველად ექვსი პუნქტისაგან შედგებოდა, პეტერბურგში საფუძვლიანად განიხილეს. დოკუმენტის ძირითად დებულებათა განგრცობისა და ტექსტის რედაქტირების შედეგად რუსმა დიპლომატებმა 16 პუნქტის შემცველი იმგვარი „სათხოვარი პუნქტები“ შეიმუშავეს (14, XXXVII), რომლის შინაარსს რუსეთის მფლობელობისათვის აღმოსავლეთ საქართველოში კანონიერი საფუძველი უნდა შეექმნა.

ე.წ. სათხოვარ პუნქტებს არ ჰქონია მეფის ხელმოწერა. ნოტა 1800 წლის 17 ნოემბერს ჯერ აპრობირებულ იქნა იმპერატორ პავლე I-ის მიერ, შემდეგ კი გამოიგზავნა თბი-

ლისში, რათა იგი გიორგი XII-საც დაედასტურებინა. თუ ტექსტს ქართლ-კახეთის მონარქიც მოიწონებდა და მასზე ოფიციალურად ხელს მოაწერდა, ასეთ შემთხვევაში იგი იურიდიულ ძალას შეიძენდა. ამასთან, ამ დოკუმენტის საფუძველზე უნდა მომზადებულიყო და გაეფორმებინათ ახალი ორმხრივი ხელშეკრულებაც (9, 463; 13, 187).

1800 წლის 18 დეკემბერს, პავლე I-მა, აღარ დაუცადა რა საქართველოდან ელჩების დაბრუნებას, ჯერ კიდევ გიორგი XII-ის სიცოცხლეში, ხელი მოაწერა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების მანიფესტს. დოკუმენტს ერთხანს საიდუმლოდ ინახავდნენ, თუმცა კავკასიის სამხედრო ხაზის უფროსს გენერალ კ. კნორინგს იგი მაშინვე გაუგზავნეს და მოქმედების სათანადო ინსტრუქციაც დაუსახეს. გენერალს მანიფესტი მეფე გიორგის გარდაცვალებისთანავე უნდა გამოექვეყნებინა, სხვა შემთხვევაში კი იგი პეტერბურგიდან ახალ განკარგულებას უნდა დალოდებოდა (15, 342-343). მიღებული დავალების შესაბამისად, კნორინგმა გიორგის სიკვდილის შემდეგ სამეფო ტახტზე ასვლის უფლება აღარავის მისცა (18, 177-178).

პავლე I-ის მანიფესტი პეტერბურგში ოფიციალურად მომდევნო თვეში გამოქვეყნდა, (15, 355), ქართველ ხალხს კი მისი შინაარსი უფრო მოგვიანებით, – 1801 წლის თებერვალში გააცნეს.

ჯერ კიდევ რომანოვთა ზეობის პერიოდში თბილისში რუსულ ენაზე გამოცემულ არქეოგრაფიული კომისიის აქტებში დაცულია არაერთი დოკუმენტი, რომლებიც ცხადყოფენ, რომ რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ ქართული სამეფოს ლიკვიდაცია თვითნებურად განახორციელა და ქართლ-კახეთის სამეფო სამხედრო ძალით დაიპყრო. სხენებულ მასალებზე დაყრდნობით ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი 1800 წლის ბოლოს საქართველოში განვითარებულ მოვლენას სახელმწიფო გადატრიალების კვალიფიკაციასაც კი აძლევს (19, 371-173; 20, 228).

მეტი თვალსაჩინოებისათვის, რამდენიმე დოკუმენტს სხენებულნი გამოცემიდან ქვემოთ დავიმოწმებ. 1799 წლის

შემოდგომის მიწურულს, გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე, თბილისში რუსეთის არმიის ორი ბატალიონი შემოვიდა. ჯართან ერთად, რომელსაც წინ გენერალი ლაზარევი მოუძღვოდა, საქართველოში რუსეთის მინისტრი-წარმომადგენელი გენერალი კოვალენსკიც გამოიგზავნა. რუსმა გენერლებმა გულუბრყვილოდ მიმნდობი ქართველი მეფე თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს. მათვე სრული კონტროლი დაამყარეს სატახტო ქალაქზე – თბილისის ქუჩებში საგუშაგოები განალაგეს და ყარაული განაწესეს. აღსანიშნავია, რომ რუს ჯარისკაცთა ყარაული მეფის სასახლესთანაც მორიგეობდა (18, 101, 105, 108). კოვალენსკი და ლაზარევი თვითნებურად არ მოქმედებდნენ, ისინი თავიანთი ხელისუფლების საიდუმლო ინსტრუქციის შესაბამისად იქცეოდნენ, რომელიც მათგან თვით მეფეზეც კი განუწყვეტელი თვალყურის დევნებას მოითხოვდა (18, 94).

ლაზარევი იმდენად გულმოდგინედ ასრულებდა დავალებას, რომ გიორგი XII-ს სასთუმალთან მჯდომი დამეებსაც კი უთენებდა სულთმობრძავ მონარქს (18, 187). მიზანი ის იყო, რომ არ გამოპარვოდათ მეფის გარდაცვალება, რასაც მყისიერად ტახტზე მემკვიდრის ასვლა მოჰყვებოდა. ამას კი შეიძლებოდა რუსეთის გეგმები საქართველოში საერთოდ ჩაეშალა.

დადსტურებული ფაქტია, რომ გენერალმა ლაზარევმა სამხედრო რაზმების გამოყენებით აღკვეთა როგორც დავით გიორგის ძის, ისე იულონ ერეკლეს ძის გამეფების მცდელობა (18, 187; 21, 3).

იმპერატორის მითითებით, 1800 წლის დეკემბერში კნორინგმა და ლაზარევმა უზრუნველყვეს კავკასიის ხაზიდან საქართველოში არტილერიით აღჭურვილი დამატებითი რაზმების გადმოყვანა. მალე ქართლ-კახეთის ტერიტორია 10 ათას რუს ჯარისკაცს ჰქონდა ოკუპირებული (9, 466), თუმცა პავლე I ვერ მოესწრო თავისი განზრახვის სრულად განხორციელებას. 1801 წლის 11 მარტს იგი შეთქმულების მსხვერპლი გახდა.

ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ისე, რომ პავლე I-ის 1800 წლის 18 დეკემბრის მანიფესტი არ გაუქმებია, საქართველოს საკითხი კვლავ განსჯის საგნად აქცია და მისი განხილვა სახელმწიფო საბჭოს დაავალა (22, 1191).

სახელმწიფო საბჭო არ დაინტერესებულა იმ ვალდებულებებით, რომლებიც რუსეთს საქართველოს მიმართ ჰქონდა ნაკისრი 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით და 1799 წლის მისი განახლებული რედაქციით. აღარავის გახსენებია არც ორმხრივი ხელშეკრულების იდეაც. საკითხი ასე იდგა: „ან საქართველოს მიტოვება ბედის ანაბარად ან მისი სრული ინკორპორაცია“. საბჭოს მხოლოდ ზოგიერთი წევრი ასაბუთებდა, რომ იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე, უფრო ხელსაყრელი იქნებოდა საქართველოს მფარველობაში შენარჩუნება და არა მისი შემოერთება.

სახელმწიფო საბჭომ თავის 1801 წლის 8 აგვისტოს სხდომაზე ქართლ-კახეთის სამეფოს ლიკციდაციისა და მისი რუსეთთან შეერთების გადაწყვეტილება მიიღო. „იმპერიის ღირსება, ჩვენი საზღვრების დაცვა თურქების მხრივ თუ მთიელთა თავდასხმებისაგან და ყველა სხვა სარგებლობანი რუსეთისათვის, დიდი ხნიდან აიძულებდა მთავრობას ეფიქრა ამ ამბებზე და მიეღო ეს გადაწყვეტილება“, ნათქვამია ალექსანდრე I-ის საიდუმლო რესკრიპტში გენერალ კნორინგისადმი (23, 49-50).

ამრიგად, საქართველო რუსეთის შემადგენლობაში ურთიერთშეთანხმების გზითა და ნებაყოფლობით არ შესულა. საქართველოს საკითხი გადაწყდა „ძლიერის უფლებით“ და როგორც ზურაბ ავალიშვილი წერს, „მარტივი ანექსიით“ (13, 187).

რუსი ისტორიკოსი ო. მარკოვას სიტყვით, საქართველოს რუსეთთან შეერთება არსებითად ანექსია იყო, თუმცა „ნებაყოფლობითობად“ გარდასახული (24, 91).

ახლა გავარკვიოთ, როდის მოექცა ოსეთი რუსეთის იმპერიის მფლობელობაში, იყო თუ არა ოსეთი ერთიანი იმ დროს და შედიოდა თუ არა „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოს შემადგენლობაში, როცა ეს უკანასკნელი რუსეთმა თავის გუბერნიად გარდაქმნა.

ვ. პუტინის ზემოთ მოყვანილ განცხადებამდე სამი წლით ადრე, 2004 წლის 10 ივლისს, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბირომ თავის პლენარულ სხდომაზე მიიღო განცხადება, რომელშიც საგანგებოდ ჩაწერა: ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში ნებაყოფლობით შევიდა 1774 წელს, როგორც ერთიანი ოსეთი და არა როგორც სამხრეთი და ჩრდილოეთ ოსეთი (25).

ჩრდილოეთ ოსეთის – ალანიის რესპუბლიკის ოფიციალურ საიტზე განთავსებულ ინფორმაციაში რუსეთთან ჩრდილოეთ ოსეთის ნებაყოფლობით შეერთების თარიღად 1784 წელია მითითებული და არაფერი ნათქვამი სამხრეთ ოსეთზე (26). ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ექსპრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე კი ვკითხულობთ: 1774 წელს ოსები, 1801 წელს კი აღმოსავლეთ საქართველო შევიდნენ რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში (27).

საბჭოთა პერიოდში ერთ-ერთ ყველაზე სოლიდურ აკადემიურ სამეცნიერო გამოცემად, მათ შორის ისტორიის სფეროშიც, ენციკლოპედია მიიჩნეოდა, რომელიც ისტორიოგრაფიის თანადროულ მიღწევებს სრულად ასახავდა. ვნახოთ, რა წერია ენციკლოპედიებში ჩვენთვის საინტერესო საკითხზე:

მონღოლთა შემოსევების შემდეგ ოსებმა კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე 4 მსხვილი საზოგადოება ჩამოაყალიბეს: დიგორის, ალაგირის, ქურთათისა და თაგაურის. სამხრეთ კალთებზე კი მრავალი წვრილი ერთეული, რომლებიც ქართველი ფეოდალების ხელქვეით ცხოვრობდნენ. ჩრდილოეთ ოსეთი რუსეთს XVIII საუკუნის ბოლოს შეუერთდა (28, 642; 29, 151).

დასავლეთის რაიონის ოსები დაახლოებით XVI საუკუნიდან მოქცეულნი იყვნენ ყაბარდოელი ფეოდალების ქვეშევრდომობაში (30, 674).

ყაბარდოს მფლობელობაში იმყოფებოდა ყველა მეზობელი მთიელი ტომი – ინგუშები, ოსები, აბაზინები. ... ყაბარდოელები ფლობდნენ ყველა გზას, რომელიც კავკასიონის მთავარი ქედის გადასასვლელებს უკავშირდებოდა (31, 78; 29, 151).

დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის ბოლო გამოცემის მე-14 ტომში განთავსებულია სტატია „ქუჩუკ-კაინარჯის ზავი“. მასში ჩართულ რუკაზე, რომელიც ზავის შესაბამისად განხორციელებულ ტერიტორიულ ცვლილებებს ასახავს, წერია: „ოსეთი რუსეთის სამფლობელო გახდა ყაბარდოზე დამოკიდებულების ძალით“, საკუთრივ „ოსეთის“ ადგილმდებარეობა კი ჩრდილოეთ კავკასიაშია მითითებული (32, 79).

მაშასადამე, საბჭოთა პერიოდის ენციკლოპედიების მონაცემებით, XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის, „ოსეთი“ როგორც ერთიანი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული ან გეოგრაფიული ცნება, არსად მოიხსენიება. ლაპარაკია, ერთის მხრივ, ყაბარდოელთა ქვეშევრდომ ოსურ საზოგადოებებზე ჩრდილოეთ კავკასიაში და, მეორეს მხრივ, კავკასიის სამხრეთ კალთებზე არსებულ ოსურ დასახლებებზე, რომლებიც ქართველ ფეოდალებს ექვემდებარებოდნენ.

რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ამა თუ იმ ტერიტორიის შესვლის თარიღის დასადგენად მნიშვნელოვანი დოკუმენტური წყაროა რუს მეფეთა და იმპერატორთა ტიტულატურა. დადასტურებულია, რომ რუს ხელმწიფეთა სრული სამეფო ტიტული („დიდი ტიტული“) შეიცავდა მეფეთა მფლობელობაში მყოფი მიწების თანმიმდევრობით ჩამონათვალს (33).

როგორც ცნობილია, XVI საუკუნის 50-იანი წლებიდან, ივანე IV-ის ჩერქეზეთის მთავრის ასულზე დაქორწინების გზით, ყაბარდო რუსეთის ხელდებული ქვეყანა გახდა. ამის შედეგად, ივანეს მემკვიდრის, თევდორე ივანისძის ტიტულში (1584-1598) განჩნდა ფორმულირება: „Государь ... Кабардинския земли Черкесских и Горских князей“ (34, 123; 35, CVII-CVIII; 36). აქედან მოყოლებული პეტრე III-ის ჩათვლით (1761-1762) სამეფო ტიტული არსებითად აღარ შეცვლილა. ეკატერინე II-ის (1762-1796) დროს რუსეთს შეუერთდა ყირიმის სახანო, კურღანდიის, სემიგალიისა და პილტენსკის სამფლობელოები, რის გამოც იმპერატორის ტიტულს დაე-

მატა ჩამონათვალი: „Царица Херсона Таврическаго и княгиня Курляндская и Семигальская“ (34, 151).

ეკატერინეს ტიტულში აღარ აისახა 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავით რუსეთისათვის ყაბარდოს გადაცემის ფაქტი, რადგან ყაბარდოს მიწების მფლობელად, როგორც ვნახეთ, თავი ჯერ კიდევ თვედორე ივანისძემ გამოაცხადა.

ამგვარად, რუსეთის მეფეთა და იმპერატორთა ტიტულში „ოსეთი“ არ ფიგურირებს, რისი ახსნაც მეტად იოლია: რუსეთთან შეერთების დროისათვის ოსებს რაიმე სახის ცალკე ადმინისტრაციული ერთეული არ გააჩნდათ. როგორც აღვნიშნე, ოსური თემები (საზოგადოებები) ჩრდილოეთ კავკასიაში ყაბარდოს მფლობელობაში იყო მოქცეული, ხოლო კავკასიონის ქედის სამხრეთით, ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე დასახლებული ოსები, ხიზნის სტატუსით, ქართველ თავადების მორჩილებდნენ (18, 581, 585).

მაშ, რა გადავიდა რუსეთის იმპერიის მფლობელობაში ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებით? მეტი სიცხადისათვის მოკლედ თვით ქუჩუკ-კაინარჯის საზავო პირობებსაც ვავეცნოთ.

1768 წლიდან მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომი 1774 წლის 10 ივლისს, ბულგარულ სოფელ ქუჩუკ-კაინარჯში დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებით დასრულდა. ზავის პუნქტების შესაბამისად, ოსმალეთის იმპერიას ჩამოცილდა ყირიმის სახანო, რომელიც დამოუკიდებელ ერთეულად გამოცხადდა. რუსეთს მიუერთდა შავი ზღვის სანაპიროს ნაწილი ციხე-სიმაგრეებით: ქერჩი, ენიყალე და კინბურნი, რუსეთის მფლობელობაში დარჩა დიდი და მცირე ყაბარდო. მოლდოვასა და ვალახეთს მიეცათ ავტონომია და ეს სამთავროები რუსეთის მფარველობაში გადავიდნენ (37, 349-360).

ხელშეკრულებაში არავითარ ოსეთი, არც ერთიანი და არც გაყოფილი, არც ჩრდილოეთი და არც სამხრეთი, ნახსენები არ არის. აქედან გამომდინარე, უნდა გავიზიაროთ ცნობილი ისტორიკოსის ე. დრუჟინინას ზემოთ მოყვანილი დასკვნა, რომ „ოსეთი რუსეთის სამფლობელო ყაბარდოზე დამოკიდებულების ძალით გახდა“.

რუსი და ოსი ისტორიკოსები ნ. კიპიანინა, მ. ბლიევი და ვ. დეგოევი თავიანთ კოლექტიურ მონოგრაფიაში მიუთითებენ: აღმოსავლეთ ოსეთი (თაგაური) რუსეთის შემადგენლობაში შევიდა 1770 წელს, ქურთათისა და ალაგირის საზოგადოებები რუსეთს შეუერთდნენ 1774 წელს, ხოლო დიგორის თემმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო 1781 წელს, რითაც დასრულდა ამ კუთხის შეერთება რუსეთთან, „რაც არ ყოფილა ერთდროული აქტი“. ავტორები რუსეთთან ოსეთის შეერთების თარიღად მაინც 1774 წელს მიიჩნევენ, რადგან, მათი სიტყვით: სწორედ ამ დროიდან განიხილავდა რუსეთის მთავრობა ოსეთს, როგორც რუსეთის შემადგენლობაში მყოფ რაიონს (38, 43-44). მონოგრაფიაში, განსხვავებით ვ. პუტინის ციტატებისაგან, არაფერია ნათქვამი ერთიან ოსურ სახელმწიფოზე, რომელიც თითქოს სამხრეთ ოსეთსაც აერთიანებდა და რუსეთს მასთან ერთად შეუერთდა.

კავკასიის ქედის სამხრეთ კალთებზე ოსური სოფლები XVII საუკუნიდან გაჩნდა. ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოს მხარეს მიგრირებულ ოსთა განსახლების არეალი XVIII საუკუნის 70-იანი წლებისათვის ისტორიული შიდა ქართლის მთიან ნაწილს მოიცავდა (39, 69, 128, 130), მომდევნო ხანებში კი უფრო სამხრეთითაც ჩამოიწია. ეს ტერიტორია, რომელიც განუყოფლად ჯერ ერთიანი საქართველოს, შემდეგ ქართლის და ბოლოს ქართლ-კახეთის სამეფოში შედიოდა და რომლის საფუძველზე კომუნისტურმა ხელისუფლებამ 1922 წელს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ჩამოაყალიბა, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში 1801 წლიდან – აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მიწა-წყალთან ერთად მოექცა. ამის საილუსტრაციო სხვა უამრავ პირველწყაროს გარდა, არსებობს 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატზე თანდართული აღმოსავლეთ საქართველოს, ასევე კავკასიის რუკები, რომლებიც რუსეთის სახელმწიფო არქივებშია დაცული. ამ რუკებზე საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიის ქედის გასწვრივ გადის, ისე რომ შიდა ქართლის ტერიტო-

რია ქართლ-კახეთის სამეფოს შემადგენლობაშია დაფიქსირებული (40; 41, 28).

მდინარეების არაგვისა და ლიახვის ზემოწელზე მცხოვრები ოსები ქართველი თავადების – ერისთავების, მანაბლებისა და ფავლენიშვილების ქვეშევრდომები იყვნენ (42, 13, 18, 53). მოიპოვება საარქივო დოკუმენტური მასალაც, საიდანაც მკაფიოდ ჩანს, რომ ამ მდინარეების ხეობათა ოსურ და ქართულ-ოსურ სოფლებში ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს, ლეკთა შემოსევების მოსაგერიებლად, ე.წ. სამღვეროები (სოფლის მცხოვრებთა სახელდახელო შეიარაღებული რაზმები) ჰქონდა შექმნილი, რომლებსაც თავადები ხელმძღვანელობდნენ (43). ამასთან, ერეკლე II-ის მიერ გაცემულ არაერთ საბუთში საქართველოში მცხოვრები ოსები „ჩვენ ოსებად“ მოიხსენიებიან (44).

რუსულ წყაროებში დაცულია ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ შიდა ქართლის ოსებით დასახლებული მიწა-წყალი ძველთაგანვე ქართველ მეფეებს ეკუთვნოდათ (18, 582), ცალკეულ ხეობას ქსნის ერისთავები ეპატრონებოდნენ (45, 377, 384) და რომ აქაურ სოფლებს ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის დროსაც ქართველი მოურავები განაგებდნენ (18, 194-195).

რუსეთის იმპერიაში საქართველოს ინკორპორირების შემდგომ ეს ტერიტორია, მისი ჩრდილოეთი პროვინცია დვალეთითურთ, რომლის მოსახლეობა რუსებს დიდხანს წინააღმდეგობას უწევდა და მხოლოდ სამხედრო ძალით იქნა დამორჩილებული (18, 585, 588), ერთხანს საქართველოს, შემდეგ იმერეთის გუბერნიაში შედიოდა, ბოლოს კი თბილისის გუბერნიის გორის მაზრის ნაწილს შეადგენდა. 1858 წელს კავკასიის მეფისნაცვლის ალექსანდრ ბარიატინსკის განკარგულებით, დვალეთი (რუსული სახელწოდებით – ნარის უბანი) ოსეთის სამხედრო ოკრუგს შეუერთეს (46, 450-451). რაც შეეხება შიდა ქართლის დანარჩენ ოსურ სოფლებს, ისინი კვლავ თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში დარჩნენ.

მეფის რუსეთის გენერლების (სტრეკალოვი, რენენკამპფი და სხვ.) ჩანაწერებით ამგვარი საყურადღებო სურათიც იკვეთება, კერძოდ: ჩრდილოელ ოსებს სამხრეთით მცხოვრებ

თავიანთი თანამეტომეებთან იმდენად გაწყვეტილი ჰქონიათ კონტაქტი და ისე გაუცხოებულან მათგან, რომ წინათ ორივესათვის მშობლიურ ოსურ ენაზე XIX საუკუნისათვის თურმე ურთიერთობაც კი უჭირდათ (42, 20, 76-77).

სახელწოდება „სამხრეთ ოსეთი“ ხელოვნური ტერმინია და იგი რუსმა სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებმა XIX საუკუნეში დაამკვიდრეს. მანამდე არ მოიპოვება არანაირი საბუთი, რომელიც დაამტკიცებდა, რომ შიდა ქართლის მთიანეთი ოსეთად იწოდებოდა (47).

ახლა რაც შეეხება აფხაზეთს. საისტორიო მეცნიერებაში ბოლო დრომდე გაზიარებული იყო თვალსაზრისი, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, ყოველთვის საერთო ქართული ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სივრცის ორგანული ნაწილი იყო. აკადემიკოს მ. ლორთქიფანიძის სიტყვით, ეს კუთხე მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ქართულ ისტორიულ-პოლიტიკურ სამყაროს განეკუთვნებოდა (48). აფხაზეთი სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ტერიტორიას მოიცავდა, მაგრამ ყოველთვის, XX საუკუნის 90-იან წლებამდე, ქართული მოსახლეობა აქ მუდამ აღემატებოდა აფხაზურს.

უძველესი დროიდან აფხაზეთი კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. შემდეგ, როგორც სამთავრო, იგი კოლხეთის მემკვიდრე ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. VI საუკუნიდან, როცა ეგრისის სამეფო დასუსტდა, აფხაზეთი ბიზანტიის მფლობელობაში მოექცა და მისი მთავრები (არქონტები) ბიზანტიის იმპერატორის ვასალები იყვნენ. VIII საუკუნის 80-იან წლებში ეგრისი და აფხაზეთი ერთ პოლიტიკურ ერთეულად გაერთიანდა. იმავე საუკუნის ბოლოს ლეონ აფხაზთა მთავარი ბიზანტიის ვასალობისაგან განთავისუფლდა და თავი მეფედ გამოაცხადა („სახელიდვა მეფე აფხაზთა“). სომეხი ისტორიკოსი იოანე დრასხანაკერტელი ამ სახელმწიფოს „ეგრისს“ უწოდებს, მის მეფეს – „ეგრისის მეფეს“, ხოლო მცხოვრებთ – „ეგრისელებს“ (49, 38, 109, 119).

აფხაზთა სამეფო ქართული (დასავლურქართული) სახელმწიფო იყო, რაც დადასტურებულია ამ ტერიტორიაზე მიკვლეული მრავალი არქეოლოგიური მასალით, ქართული

არქიტექტურული ძეგლით, ტოპონიმიკითა თუ ეპიგრაფიკით. ქართველ მეცნიერთა (ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ...) მიერ უდავოდ აღიარებული ეს დებულება ცნობილმა რუსმა ისტორიკოსებმა ა. ნოვოსელცევმა (50, 401), ლ. გუმილოვმა (51) და სხვ. გაიზიარეს (52).

ბიზანტიისაგან თავდაღწევის შემდეგ ცნება „აფხაზეთის“ მნიშვნელობა კიდევ უფრო გაფართოვდა: ის ახლა უკვე ნიშნავდა დასავლეთ საქართველოს, დასავლელ ქართველს, საკუთრივ აფხაზსაც და საკუთრივ აფხაზეთსაც. საქართველოს გაერთიანების დროიდან (X საუკუნე) ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში „აფხაზეთი“ და „აფხაზი“, როგორც წესი, ზოგადად „საქართველოს“ და „ქართველის“ აღსანიშნავად გამოიყენება (53, 17). შემთხვევითი არ არის, რომ ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში პირველ ადგილზე იდგა „მეფე აფხაზთა“ და იგი საქართველოს დაშლამდე (XV საუკუნის ბოლო) ამგვარადვე დარჩა.

როცა ერთიანი ქართული სახელმწიფო რამდენიმე ნაწილად დანაწევრდა, აფხაზეთი იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში იმყოფებოდა. მომდევნო პერიოდში ქვეყნის ფეოდალური დაშლის პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა და საკუთრივ იმერეთის სამეფოში გურიის, სამეგრელოსა და სვანეთის სამთავროები აღმოცენდა. აფხაზეთს სამეგრელოს (ოდიშის) მთავარი დაეპატრონა, მაგრამ XVII საუკუნეში თავადმა შერვაშიძეებმა ამ კუთხის ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბება მოახსრეს. თუმცა მათ არასოდეს დავიწყებით, რომ აფხაზეთი „აშლილობის ჟამამდე დადიანის სამფლობელოს ნაწილი იყო და მასვე ემორჩილებოდა“ (54, 536).

იმერეთის მეფე სოლომონ II-ე (1784-1810) ცდილობდა გაეერთიანებინა დასავლეთ საქართველო, რომელიც იურიდიულად მისი სამფლობელო იყო. სოლომონი თავს „ქვემოთისა ივერიისა და სხუათა მეფეს“ უწოდებდა, მაგრამ რეალურად იგი სამეგრელოსა და აფხაზეთს ვეღარ აკონტროლებდა. აქაური მმართველები იმერეთის მეფის უზენა-

ესობას არ სცნობდნენ, მას უპირისპირდებოდნენ და ერთმანეთსაც ტერიტორიებს ეცილებოდნენ.

XIX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთი ფაქტობრივად არც ქართლ-კახეთისა და არც იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში აღარ შედიოდა. აფხაზეთს იმ დროს ნომინალურად მისი მთავრები – შარვაშიძეები განაგებდნენ, თუმცა სამთავრო ოსმალეთის მფლობელობაში იმყოფებოდა, როგორც ერთ-ერთი დაპყრობილი პროვინცია. თურქ-ოსმალთა ხელისუფლება აფხაზეთს გამუსლიმებისა და ქართველთაგან გათიშვის პროცესს ახორციელებდა. ამის მიუხედავად, სამთავროს დანარჩენ საქართველოსთან კავშირი არ გაუწყვეტია. აფხაზეთში ოფიციალური ენა კვლავ ქართული იყო, რის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ადგილობრივი მთავრები რუსეთის იმპერატორს ქვეშევრდომობაში შესვლას ქართულ ენაზე დაწერილი წერილებით თხოვდნენ.

კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ კარგად იცოდა, რომ ვიდრე აფხაზეთს ოსმალეთი მიიტაცებდა, ეს კუთხე საქართველოს პროვინცია იყო, (54, 463) და ამ გარემოებას კიდევაც იყენებდა თურქეთთან დიპლომატიურ ურთიერთობაში.

1810 წელს აფხაზეთის მთავრმა გიორგი (საფარ ბე) შარვაშიძემ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო, მაგრამ აფხაზეთი დიდხანს არ მორჩილებდნენ იმპერიის ხელისუფალთ, სძულდათ რუსები და არ წყვეტდნენ მათ მტრობას. კავკასიის მთავრამართებელი გრაფი პასკევიჩი აღნიშნავდა: ჩვენს ფიქტიურ მმართველობას აფხაზეთში იმდენი სირთულე ახლდა თან, რომ არაერთხელ დაისვა საკითხი მისი თურქებისათვის დაბრუნების შესახებო (55, 124-128).

რუსული მმართველობა აფხაზეთში სრულად მხოლოდ მას შემდეგ დამყარდა, რაც 1864 წელს ცარიზმმა მთელი კავკასიის დაპყრობა წარმატებით დაასრულა. გაუქმებულ აფხაზეთის სამთავროს, რომელიც ქუთაისის გუბერნიაში ერთიანდებოდა, ჯერ სოხუმის სამხედრო განყოფილება, 1883 წლიდან კი სოხუმის ოლქი უწოდეს. რუსეთის მძიმე კოლონიური პოლიტიკის შედეგად, 1866 და 1877 წლებში ათეულობით ათასი ადგილობრივი მცხოვრები იძულებული გახდა აფხაზეთიდან ოსმალეთში გადასახლე-

ბულიყო, რაც ისტორიაში მუხაჯირობის სახელით დამკვიდრდა. ადგილზე დარჩენილი აფხაზები „დამნაშავე ხალხად“ გამოაცხადეს (56, 256, 259).

რუსეთის ხელისუფლება აქტიურად წარმართავდა საქართველოდან აფხაზეთის ჩამოშორების პროცესს. 1903 წელს მეფის მთავრობამ გაგრისა და ბზიფის რაიონები ქუთაისის გუბერნიიდან გამოყო და შავი ზღვის გუბერნიას მიაწერა, მაგრამ ქართველი და აფხაზი ხალხების სრული გათიშვა ვერ შეძლო. როდესაც 1917 წელს რუსეთში მონარქია დაემხო, სოხუმში აღმოცენებული ადგილობრივი ხელისუფლება ჯერ რუსეთის დროებითი მთავრობის რწმუნებულ ორგანოს – ოზაკომს დაექვემდებარა, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის კომისარიატის იურისდიქციაში მოექცა.

1918 წლის 26 მაისს საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა და დემოკრატიული რესპუბლიკა ჩამოაყალიბა. სოხუმის ოლქი, რომელსაც მისი ნამდვილი სახელი აფხაზეთი დაუბრუნდა, ავტონომიის სტატუსით, ამ რესპუბლიკის ნაწილი იყო. შეთანხმება თავიდან აფხაზეთს სახალხო საბჭოსა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმდა, 1919 წლის 20 მარტს კი აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო „აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“, რომლის პირველ მუხლში აღნიშნული იყო: „აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული“. აქტი საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ – დამფუძნებელმა კრებამ მოიწონა და დაამტკიცა (57, 306-308). საყურადღებოა ასევე, რომ 1920 წლის 7 მაისის მოსკოვის ხელშეკრულებით, ყოფილმა მეტროპოლიამ – რუსეთმა აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილად ცნო (58, 75-83).

როგორც ვნახეთ, საქართველოს და მისი ცალკეული კუთხეების რუსეთის იმპერიასთან დაკავშირების ვირტუალური სურათი, რომელსაც კრემლის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და რუსული ისტორიოგრაფია წარმოაჩენს, ძირეულად განსხვავდება იმ სინამდვილისაგან, რაც ისტორიამ შემოგვინახა. შეუიარაღებელი თვალითაც აქ მკაფი-

ოდ მოსჩანს წარსულით მანიპულირება და ისტორიის ინსტრუმენტალიზაცია.

რუსეთ-საქართველოს, ამ მეზობელ სახელმწიფოთა შორის ისტორიის აქტუალიზაციის საკითხი ისტორიისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების ჭრილშია გასააზრებელი, რადგან ისტორიის პოლიტიკურ ინტერპრეტაციას, როგორც წესი, პოლიტიკური საფუძველი აქვს. ეს აზრი ამერიკელმა მკვლევარმა ნ. ჰოლკომბიმ (Artur N. Holcombe) ჯერ კიდევ 1936 წელს გამოთქვა (59).

შემთხვევითი არ არის, რომ საქართველო-რუსეთის წარსული ურთიერთობები პოსტსაბჭოთა პერიოდში ძირითადად პოლიტიკურ დისკურსში განიხილება. ისტორიულ ნარატივში ხშირად ყურადღება აქცენტირებულია არა ფაქტების მეცნიერულ ანალიზზე, არამედ მათ კონიუქტურულ ინტერპრეტაციაზე, რაც თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში ინდოქტრინაციად აღიწერება (60).

ცნობილია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური ელიტა, რომელსაც გარდასულ დროში სადღეისოდ მისთვის სასურველი წარსულის ხატი არ მოეპოვება, ისტორიის სოციალურ კონსტრუირებას მიმართავს. მისი მიზანია შთააგონოს საზოგადოებას ახალი მითოლოგიზებული შეხედულებები და დაარწმუნოს მათ სისწორეში.

ACTUALIZATION OF HISTORY OF RUSSIAN-GEORGIAN RELATIONS IN POST SOVIET PERIOD

In the article the issue of actualization of history of Russian-Georgian relations is viewed in the section of interrelations of history and politics.

There is noted that in the history of modern Russian Federation history has become a hostage of political interests and its servant. Instrumentalisation of the past as a part of geopolitical strategy is lifted to the category of the State politics. Consequently, there are created conjuncture versions of history, about the history of Georgia as well.

In the Kremlin, they have worked out a special political model of history of union of Georgia to Russia according to which all Caucasian state formations joined Russia voluntarily. First this was done by Ossetia in 1745-1747, which supposedly was a unified political entity in the XVIII century – North and South Ossetia being one state. In 1801, Georgia was also united to Russia voluntarily and there were neither Abkhazia nor Ossetia in its composition.

In the work on the bases of source analyses, such political interpretations are rejected and it is proved, that Georgia was incorporated into Russian Empire by the way of conquest.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Якунин А. О применении понятия «наименьшее зло» в оценке присоединения к России нерусских народностей, Вопросы истории; 1951, N 11.
2. Д. Веденеев, 77 тысяч, журнал Родина, 2012, 8.
http://www.istrodina.com/rodina_articul.php3?id=122&n=7
3. О чем говорят и пишут историки, М., 1988.
4. გაბ. „კომუნისტო, 1990 წ., 3 სექტემბერი.

5. <http://www.politizdat.ru/review/82/>
6. <http://президент.рф/acts/785>
7. <http://narodinfo.ru/news/print/46245.html>
8. <http://www.mid.ru/ns-arch.nsf/iddvidbul>
9. П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, кн. II, СПб, 1869.
10. <http://www.polemics.ru/articles/?articleID=12234&hide-Text=0&itemPage=1>
11. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2006 წ. 27 ოქტომბერი.
12. О. Маркова, Россия, Закавказье и международные отношения в конце XVIII века, М., 1966.
13. З. Авалов, Присоединение Грузии к России, СПб., 1901.
14. А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии, т. II, вып. II, СПб, 1902.
15. Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе, т. 3, СПб, 1886.
16. М. Хелтуплишвили. Вступление Грузии в состав Российской империи, Кутаиси, 1901.
17. О. Джанелидзе, Завоевание или добровольное соединение? წიგნში – Некоторые вопросы грузино-русских взаимоотношений в современной историографии, Тб., 2011.
18. АКАК, I.
19. ი. კვესელავა, სახელმწიფო გადატრიალების პერიპეტიები აღმოსავლეთ საქართველოში (XIX საუკუნის დასაწყისი), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2011, 1 (9).
20. დ. შველიძე, ე. ასტახიშვილი, გიორგი მეთორმეტის კაპიტულანტური პოლიტიკის მიზეზები და შედეგები (1798-1801 წ.წ.), ჟურნალი „ანალები“, 2012, № 8.
21. ო. ჯანელიძე, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009.
22. Архив Государственного Совета, т. III, СПб, 1878.
23. О. Джанелидзе. Грузинский вопрос в Петербурге. *Литературная Грузия*, 2003, № 1-3.
24. О. Маркова, Присоединение Грузии к России в 1801 году, *Историк-марксист*, 1940, №3.

25. <http://www.materick.ru/index.php?section=analitics&bulid=85&bulsectionid=7471>
26. <http://rso-a.ru/about/detail.php?ID=1641>
27. <http://www.ex-presidentrso.ru/republic/history.php>
28. Советская историческая энциклопедия, 10, М., 1969.
29. Большая Советская энциклопедия, 23, М., 1976.
30. Советская историческая энциклопедия, 12, М., 1969.
31. Энциклопедический словарь, т. XIII А, СПб., 1894. Издатели Ф. Брокгауз и И. Ефрон.
32. Большая Советская энциклопедия, 14, М., 1973.
33. История царского титула в России, http://funnypolitology.ucoz.com/publ/stranicy_istorii/istorija_carskogo_titula_v_rossii/17-1-0-673
34. А. Лакиер, История титула государей России, журнал Министерства народного просвещения, часть 56, СПб., 1847.
35. Белокуров С.А. Сношения России с Кавказом. Материалы, извлеченные из Московского главного архива Министерства иностранных дел. Выпуск 1. 1578-1613 гг. М. 1889.
36. adhist.kbsu.ru/book/3/3_1_1.h
37. Дружинина Е. И., Ключук-Кайнарджийский мир 1774 (его подготовка и заключение), М., 1955.
38. Киняпина Н.С., Блиев М.М., Дегоев В.В. Кавказ и Средняя Азия во внешней политике России. Вторая половина XVIII – 80-е гг. XIX в. М., 1984.
39. Р.Топчишвили – Осетины в Грузии: миф и реальность, Тб., 2009.
40. <http://abkhazeti.info/news/1223171368.php>
41. Открытое письмо премьер-министру Российской Федерации В. Путину, ჟურნ. „ანალიტიკა“, 2008, № 3.
42. В. Чудинов, Окончательное покорение осетин, Кавказский Сборник, т. XIII, Тифлис, 1899.
43. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD, საბ. 13714. დამოწმებულია წიგნიდან: ი. აღიმბარაშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა მეთვარამეტე საუკუნეში, თბ., 2009.
44. http://expertclub.ge/portal/cnid_4982/alias_Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx

45. АКАК, т. VII.
46. Иваненко З. Гражданское управление Закавказьем. Тифлис, 1873.
47. რ. მეტრეველი, აღუვსებელი საწყაული, ანუ ამაოება ამაოთა, <http://burusi.wordpress.com/2010/03/08/roin-metreveli/>
48. <http://abkhazeti.info/news/1223171368.php>
49. ივანეს დრასხანაკერტცი, სომხეთის ისტორია, სომხური ტექსტი, ქართული თარგმანი და კომენტარები ე. ცაგარეიშვილისა, თბ., 1965.
50. Константин Багрянородный. «Об управлении империей». Греческий текст, перевод, комментарии. Под. ред. Г. Г. Литаврина, А. П. Новосельцева. М., 1989, комментарий 17 к главе 42, в соавторстве с М. В. Бибиковым. http://oldru.narod.ru/biblio/kb_k30_43.htm#42
51. <http://gumilevica.kulichki.net/HE2/he2103.htm>
52. <http://iberiana2.wordpress.com/abkhazia/papaskiri/>
53. მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990.
54. АКАК, т. II.
55. Утверждение наше в Абхазии, Кавказский Сборник, т. XIII, Тифлис, 1899.
56. О. Бгажба, С. Лакоба, История Абхазии, Сухум, 2006.
57. N. Asatiani, O. Janelidze, Hystori of Georgia, Tbilisi, 2009.
58. Оккупация и фактическая аннексия Грузии. О политической и правовой оценке нарушения договора между Грузией и Советской Россией от 7 мая 1920 года. Документы и материалы. Тб., 1990.
59. Holcombe, N. A. The political interpretation of history, The American Political Science Review, # 1, ibid 6, vol. XXXI accessed. <http://www.istor.org/stable/1948039>
60. <http://pioss.net/blog/termins/734.html>

saqarTvel os Tanamedrove istoriis
saki Txi saTvis

საბჭოთა კავშირის დაშლამ მსოფლიოს გეოპოლიტიკური კონფიგურაცია მეტნაკლებად შეცვალა. ეს გარემოება დაპირისპირებულ სოციალ-პოლიტიკურ სისტემათაგან ერთის მარცხისა და მეორის გამარჯვების შედეგია, რაც, თავის მხრივ, ცალსახად გამარჯვებული სისტემის სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებს. ამგვარი ვითარება, ერთი შეხედვით, სისტემური ცვლილებების მომასწავებელი უნდა ყოფილიყო საქართველოშიც...

ნიშანდობლივია, რომ როდესაც საბჭოთა იმპერიის დაშლაზე ვსაუბრობთ ძალაუნებურად ვგულისხმობთ ბევრად მეტს, ვიდრე ეს სინამდვილეში მოხდა. რეალობა კი იმაში მდგომარეობს, რომ დაიშალა მხოლოდ ერთიანი საკავშირო პარტიული აპარატი, ერთიანი საკავშირო საბჭოთა არმია, ხოლო სოციალურ-პოლიტიკური სისტემა კი იმპერიის სივრცეში ისევ უცვლელი დარჩა. შექმნილ რეალობას თანამედროვე პოლიტოლოგიურმა მეცნიერებამ შესაბამისი ტერმინი – „პოსტსაბჭოთა სივრცე“ შეურჩია.

ეს იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის პერიფერიაზე აღმოცენებულმა სახელმწიფოებმა თავიანთი განვითარების უკანასკნელი 20 წლის მანძილზე, მრავალი ეროვნული თავისებურებების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი რამ საერთო შეინარჩუნეს. ძირითადად ეს ყბადაღებული „Homo Sovieticus“-ის მენტალური მემკვიდრეობა გახლავთ. არავითარ დავას არ იწვევს ის მოსაზრებაც, რომ რუსეთი, როგორც საბჭოთა იმპერიის გამგრძელებელი და მემკვიდრე, რომლის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითად მიზანსა და საკრალურ ამოცანას 1991 წელს შემდგარი სეცესიის დაძლევა წარმოადგენს, სხვა მრავალთან ერთად, სწორედ ამ გარემოებას იყენებს ახალ სახელმწიფოებზე ზეწოლისა და პრაქტიკულად მათი მართვა-გამგებლობის საშუალებად... უფრო მეტიც, სწორედ ეს გარემოება უნდა მივიჩნიოთ პოლიტიკური სისტემის შენარჩუნების საფუძვლად

საბჭოთა იმპერიის საზღვრებში. აღნიშნულმა მენტალურმა მემკვიდრეობამ ყოველ ხალხში ბალტიის ზღვიდან ჩინეთის საზღვრამდე ისტორიული თვითმყოფადობის გათვალისწინებით სხვადასხვა გამოვლინება ჰპოვა. თუკი ბალტიის სახელმწიფოებმა ეს მემკვიდრეობა შედარებით ადვილად დაძლიეს და პოსტსაბჭოთა პოლიტიკური სივრცისა და სისტემისათვის თავის დაღწევა შესძლეს, შუა აზიის ქვეყნებში ეს საკითხი ჯერაც არ გამხდარა განსჯის საგანი. ამ თვალსაზრისით საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს. ვინაიდან ამ ერთი შეხედვით პროგრესულ კავკასიურ რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესები, არსებული ფორმალური და ფაქტობრივი გარემოებების შეუსაბამობა მკაფიოდ მიუთითებს მენტალურ „ცვლილებებზე“ პოსტსაბჭოთა სივრცეში ზოგადად და შესაბამისად რუსეთის სტრატეგიის ძლიერსა და სუსტ პოზიციებზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს უახლესი ისტორიის ანალიზი უადრესად დროულ და საჭირო საქმედ გვესახება. ძირითადი კითხვა რასაც პასუხი უნდა გაეცეს კი იმაში მდგომარეობს, თუ რატომ რჩება საქართველო დეკლარირებული საგარეო კურსის მიუხედავად ჯერ კიდევ ე.წ. „პოსტსაბჭოთა სივრცის“ ნაწილად, თუ რამ განაპირობა ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმატებული გამიჯვნა და შესაბამისად დამოუკიდებლობაც? ამიტომაც შეგნებულად ვარიდებთ თავს ბოლო ოცწლეულის ნარატიულ გადმოცემას და გვინდა ძირითადი ყურადღება ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების გააზრებას დაეუთმოთ.

იმისათვის კი, რომ მიმდინარე პროცესის ადეკვატური შეფასება შევძლოთ სოციოლოგიური და ისტორიული ექსპურსი მოგვიწევს. სოციოლოგიური იმდენად, რამდენადაც, სოციოლოგია, როგორც ისტორიული მეცნიერების წიადიდან აღმოცენებული, დღეს უკვე დამოუკიდებელი დისციპლინა დაკავებულია აწმყოს შესწავლით, ისტორია კი წარსულის. მიუხედავად ამ განსხვავებისა ორივე დისციპლინა ადამიანსა და მის ქმედებებს სწავლობს. ადამიანის ქმედება კი წარმოუდგენელია დროის კატეგორიის გა-

რეშე, ამდენად დროის კატეგორია არის ის, რაც ამ ორ დისციპლინას აერთიანებს. საზოგადოდ ცნობილია, რომ კითხვები წარსულის მიმართ აწმყოდან გამომდინარეობს, აწმყოს შეცნობა კი წარსულის გარეშე შეუძლებელია. სხვა სიტყვებით – ისტორია სოციოლოგიის გარეშე ბრმაა, ხოლო სოციოლოგია ისტორიის გარეშე ცარიელი¹.

შედარებითი ანალიზისათვის დაკვირვების ობიექტად სოციალური თანაცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი – სოციალური კონფლიქტი ავირჩიეთ. იმ მარტივი გარემოების გამო, რომ კონფლიქტი ბევრად უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს არსებულ სოციალურ ვითარებასა და ურთიერთობებს, რაც თავის მხრივ თანამედროვე ქართული რეალობის განვითარებულ სამყაროსთან არა მხოლოდ შედარების, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე პროცესების განზოგადების საშუალებასაც იძლევა.

საქართველოს ისტორიის უკანასკნელი ოცწლეულის უმთავრეს შედეგად ის გარემოება უნდა იქნას მიჩნეული, რომ სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ატრიბუტიკისა და გარეგანი ფორმების მიუხედავად, საქართველო დღეს მხოლოდ ფორმალურად არის დამოუკიდებელი და ასევე ფორმალურად წარმოადგენს სახელმწიფოს თანამედროვე გაგებით. იგი არაფრით პასუხობს სახელმწიფოებრივად შეკრული საზოგადოების მოთხოვნებს. უფრო მართებულად იქნებოდა გვეთქვა, რომ ლენინიზმის საუკეთესო ტრადიციებში იგი პერმანენტული რეფორმიზმის მქადაგებელ „ზედამხედველ სახელმწიფოდ“ ჩამოყალიბდა.

ამასთან, საქართველოს ისტორიის უკანასკნელი ოცწლეული ერთმნიშვნელოვნად დეზინტეგრაციის პროცესის ისტორიად უნდა იქნას შეფასებული. დეზინტეგრაციის პროცესისა, რომელიც ორ ძირითად მიმართულებაში გამოვლინდა:

¹ Hans Ulrich Wehler, *Historische Sozialwissenschaft und Geschichtsschreibung* (Studien zu Aufgaben und Traditionen deutscher Geschichtswissenschaft), Vandenhoeck & Ruprecht, Göttingen, 1980, გვ. 43.

– პოლიტიკური, ანუ რეგიონალური დეზინტეგრაცია – სამოქალაქო ომისა და კონფლიქტების შედეგად შემდგარი სეცესია.

– სოციალური დეზინტეგრაცია – გასაზოგადოების პრობლემა.

ამ შემთხვევაში უფრო მართებული იქნებოდა გვესაუბრა საზოგადოებრივი, ანუ სოციალური ინტეგრაციის არარსებობაზე, რომლის შედეგები ჯერ რეგიონალურ კონფლიქტებში, ხოლო მოგვიანებით კი სოციალურ ანომიაში გამოვლინდა.

სოციოლოგიური მეცნიერება ინტეგრაციას ორ საფეხურად განიხილავს. პირველი საფეხური ე.წ. **სოციალური ინტეგრაციაა**, რომლის ძირითად პროდუქტად სოციალური სისტემა – საზოგადოება, ხოლო შემადგენელ ელემენტად და ასევე პროცესის შემოქმედად პიროვნება, ანუ ინდივიდი ითვლება. გასაზოგადოების თეორიის ფუძემდებლად „ბურჟუაზიულ მარქსად“ წოდებული, სოციოლოგიური მეცნიერების კლასიკოსი მაქს ვებერი (1864-1920)² არის მიჩნეული. ინდივიდუალიზმისა კი მაქს შტირნერი³, ფერდინანდ ტიონისი და ასევე კლასიკოსი სოციოლოგი ნორბერტ ელიასი (1897-1990)⁴.

მეორე საფეხური ე.წ. **სისტემური ინტეგრაცია ანუ სტრუქტურული ფუნქციონალიზმი** გახლავთ, რომელიც

² Max Weber, *Wirtschaft und Gesellschaft: Grundriss der verstehender Soziologie*, Tübingen: J.B. Mohr (Paul Siebeck) 1922. ტერმინი გასაზოგადოება – გერმანულად – Vergesellschaftung, ინგლისურში – socialization – მიუთითებს, რომ საზოგადოებად ქცევის პროცესი სოციალურობის სინონიმია. ქართული შესატყვისი ორიგინალის ანუ გერმანულის თარგმანს შევეფარდეთ, ვინაიდან ჩვენის აზრით, შინაარსობრივად უფრო ნათლად ასახავს პრობლემის არსს.

³ Max Stirner, *der Einzige und sein Eigenthum*, Otto Wigand, Leipzig, 1845.

⁴ Norbert Elias, *Über den Prozess der Zivilisation, Soziogenetische und psychogenetische Untersuchungen*, Bd.1 *Wandlungen des Verhaltens in den weltlichen Oberschichten des Abendlandes*. Bd.2, *Wandlungen der Gesellschaft: Entwurf zu einer Theorie der Zivilisation*, Basel, Verlag Haus zum Falken, 1939.

სწავლობს ურთიერთობებს საზოგადოებრივ სტრუქტურებსა და სისტემებს შორის. ამ თეორიის ფუძემდებლებად მოდერნისტული სოციოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი – ამერიკელი ტალკოტ პარსონსი (1902-1979)⁵ და მისი მოწაფე გერმანელი სოციოლოგი ნიკლას ლუჰმანი (1927-1998)⁶ ითვლებიან.

ამრიგად, თანამედროვე სოციოლოგიური მეცნიერება ინტეგრაციის ცნებაში გულისხმობს დიალექტიკურ ურთიერთდამოკიდებულებას სოციალურსა და სისტემურ ინტეგრაციას შორის. „თუკი სოციალური ინტეგრაციის დროს საქმე გვაქვს ერთი სოციალური სისტემის მოქმედთა (ანუ ინდივიდთა) მოწესრიგებულსა თუ კონფლიქტურ ურთიერთობებთან, სისტემური ინტეგრაციის შემთხვევაში საქმე ეხება მოწესრიგებულსა თუ კონფლიქტურ ურთიერთობებს ერთი სოციალური სისტემის ნაწილებს (ანუ სტრუქტურებს) შორის“⁷.

ესი იგი საქმე ეხება ურთიერთმიმართებას ნაწილსა და მთელს შორის. ეს მთელი, ანუ **თავად სისტემა არის საზოგადოება**, რომელიც შედგება გარკვეული რაოდენობის ელემენტებისაგან (პიროვნებებისაგან, ინდივიდებისაგან) და გარკვეული რაოდენობის რელაციებისაგან (კონტაქტებისაგან, ურთიერთობებისაგან)⁸. ამავე დროს საზოგადოება განიხილება მრავლისმომცველ სისტემად, რომე-

⁵ იხ. Talcott Parsons, *The Structure of Social Action*, New York: McGraw-Hill, 1937; იხ. აგრეთვე, Talcott Parsons, *The System of Modern Societies*, Englewood Cliffs, New Jersey: Prentice-Hall, 1971

⁶ იხ. Niclas Luhmann, *Soziale Systeme: Grundriss einer allgemeiner Theorie*, Frankfurt/M: Suhrkamp, 1984

⁷ David Lockwood, *Sozialintegration und Systemintegration*, კრებულში: Peter Imbusch, Wilhelm Heitmeyer, (Hrg), *Integration – Desintegration. Ein Reader zur Ordnungsproblematik moderner Gesellschaften*. ციკლიდან: *Analysen zu gesellschaftlicher Integration und Desintegration*. Wiesbaden, VS Verlag, 2008, გვ. 36.

⁸ Jurgen Friedrichs, Wolfgang Jagodzinski, *Theorien sozialer Integration*, კრებულში: Peter Imbusch, Wilhelm Heitmeyer (Hrg) *Integration – Desintegration, ein Reader zur Ordnungsproblematik moderner Gesellschaften*, Wiesbaden, 2008, გვ. 95.

ლიც თავის მხრივ ფუნქციონალურ სტრუქტურებში ან სისტემებში დიფერენცირდება.

თანამედროვე სოციოლოგიური მეცნიერება სწავლობს საზოგადოებრივი სისტემების ფუნქციონალურ დიფერენციაციას და მათ ურთიერთდამოკიდებულებას, ურთიერთ წესრიგს. საუბარია ინტეგრაციაზე დიფერენციაციის გზით, როდესაც თითოეული სუბსისტემა მნიშვნელობას იძენს მხოლოდ მთელის არსებობის პირობებში, მაგრამ დიფერენცირდება სხვებისაგან. ამის წინაპირობაა პლურალიზმი ყველა სისტემურ დონეზე. შუამავლად კი ინტეგრირენციაციის პრინციპი გვევლინება⁹.

თუკი სისტემური ინტეგრაციისათვის ამოსავალ წერტილს საზოგადოებრივი სისტემების დიფერენცირება წარმოადგენს, მაშინ ინდივიდუალიზაცია შეიძლება სოციალური ინტეგრაციის წინაპირობად წარმოვიდგინოთ (დიფერენციაციის გაგებით პიროვნულ დონეზე)¹⁰ რომლის მთავარი ელემენტი ადამიანი – პიროვნება გახლავთ. ამგვარი შეხედულება ეფუძნება ინდივიდუალური და საზოგადოებრივი სტრუქტურების თანადროულ განვითარებას, რომელნიც არ არიან ერთმანეთისგან განცალკევებულნი, არამედ ერთმანეთთან ინდერდეპენდენტულ ურთიერთობაში იმყოფებიან და ამდენად მუდმივი ცვლილების პროცესს ექვემდებარებიან.

ამრიგად, სისტემური და ფუნქციონალური დიფერენციაცია თანამედროვეობის ანუ მოდერნიზმის ძირითად განმსაზღვრელ ნიშნად უნდა იქნას მიჩნეული. ინდივიდუალიზაცია კი სოციალური ინტეგრაციის ანუ გასაზოგადოების პროცესის განმსაზღვრელად. აქსიომაა, რომ გასაზოგადოების გარეშე ვერ იარსებებს მოდერნი, რომ საზოგადოების არარსებობის პირობებში, ვერც მისი სტრუქტურები და სისტემები იარსებებენ. ამრიგად პიროვნება, როგორც მთელის მიკროელემენტი, მთელი კონსტრუქციის სა-

⁹ Michael Opielka, *Gemeinschaft in Gesellschaft, Soziologie nach Hegel und Parsons*, 2 გადაშუშავებული გამოცემა, VS Verlag, Wiesbaden, 2006, გვ. 105-106.

¹⁰ Caterina Herold, *Individuum und Gesellschaft*, Norbert Elias und Max Weber im Vergleich, Studienarbeit, Nordestedt, 2007.

ფუძვლად უნდა იქნას შეფასებული. სხვა სიტყვებით, როდესაც გასაზოგადოებაზე ვსაუბრობთ, საქმე ეხება პიროვნების ინტეგრაციას სისტემაში.

დასავლური „ინდივიდუალისტური“ ტრადიციის შესაბამისად, პიროვნება გარკვეული მნიშვნელობით „თვითღირებულება“, ეს არის სტატუსი, იგი არა მხოლოდ სამართლის სუბიექტია, არამედ გადაწყვეტილების მიმღები, მოქმედი... ესე იგი საქმე ეხება ქმედების წესს, მოქმედის ეკონომიკურსა და სოციალურ რაციონალურობას. დამოუკიდებელი და რაციონალური ქმედების წესი კი მხოლოდ ეკონომიკურად დამოუკიდებელი პიროვნების თვისებაა. მოკლედ რომ ვთქვათ, საქმე ეხება ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობის თანხვედრას.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად გვესახება თანამედროვეობაში მოქალაქის ორმაგი მნიშვნელობის გათვალისწინება, როგორც Bourgeois თუ Citoyen¹¹. ქართული შესატყვისით ქალაქელისა თუ მოქალაქის... სხვა სიტყვებით, როგორც ეკონომიკური ზრდის მაუწყებლისა თუ როგორც სახელმწიფოს მოქალაქისა, რომელიც მონაწილეობის თანაბარ შანსებს ითხოვს.

ამ ტერმინების თანამედროვე გაგება ისევე, როგორც სამოქალაქო საზოგადოებისა „...ორივე მნიშვნელობას ერთმანეთში ურევს და ამით გაუგებრობას იწვევს, თუმცაღა ეს თავდაპირველად მხოლოდ ძველი რომაული „societas civilis“ თარგმანი იყო, რაც დღევანდელ ანგლო-საქსონურ civil Society-ში განაგრძობს არსებობას“¹².

ამ ცნებების აღრევა და გაუგებრობა პოსტსაბჭოთა სივრცეში განსაკუთრებულად საგრძნობია. ვინაიდან უინი-

¹¹ Lothar Gall, *Gemeinde und Staat in der politischen Theorie des frühen 19. Jahrhunderts*, კრებულში Peter Blicke (Hrg), *Theorien kommunaler Ordnung in Europa*, seriidan: *Schriften des Historischen Kollegs* (36), Oldenburg Verlag, München, 1996, გვ. 63-74.

¹² Ralf Dahrendorf, *Der moderne soziale Konflikt, Essay zur Politik der Freiheit*, კრებულში: Peter Imbusch, Wilhelm Heitmeyer (Hrg) *Integration Desintegration, ein Reader zur Ordnungsproblematik moderner Gesellschaften*, Wiesbaden, 2008, გვ. 355.

ცივილიზაციული მოქალაქეებიც სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, რომელთაც უცილობელი მოქალაქეობრივი უფლება გააჩნიათ ხელი მიუწვდებოდეთ მატერიალურ დოვლათზე ზოგადად, მათ შორის: სამუშაო, საცხოვრებელსა და სამომხმარებლო ბაზრებზე, მაგრამ მოკლებულნი არიან შემოქმედებით ინიციატივას. არ არსებობს **სისტემა**, რომელიც ამას დაარეგულირებს და მოაწესრიგებს – არ არსებობს **საზოგადოება**. ეკონომიკურად დამოკიდებული ადამიანი მოკლებულია თავისუფალი ქმედების საშუალებას, იგი იძულებულია იმოქმედოს კონიუნქტურის გათვალისწინებით, მისი ქმედება ემოციური და ირაციონალურია. ამგვარი ქმედების წესი კი გასაზოგადოების პროცესს ვერაფერს შემატებს.

მაშინაც კი, როდესაც საქმე ფიზიკურ გადარჩენას ეხება, ადამიანები არ არღვევენ სოციალურ ნორმებს, არამედ თავიანთ მდგომარეობას ბედისწერად აღიქვამენ. ასეთ შემთხვევაში ერთად-ერთი ხსნა სოციალური ყოფის ძირეულ და ერთბაშად ცვლილებაში მდგომარეობს, რევოლუციების პერმანენტულ მოლოდინში... რევოლუციების მოლოდინი კი ასევე ირაციონალურია. „რაცა იქნება“, „ვინმე გამოჩნდება“ „ვიღაც გააკეთებს“. ეს ვინმე – მოქალაქე-მესაკუთრე – სოციალური ინტეგრაციის მთავარი ელემენტი და შემოქმედი კი პოსტსაბჭოთა სივრცეში ჯერ კიდევ იღვენება.. ვინაიდან მისი დამოუკიდებელი და რაციონალური ქმედების წესი ნებისმიერი დიქტატურისათვის უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენს. **ამდენად პოსტსაბჭოთა სივრცის ძირითადი სოციალური კონფლიქტი არის კონფლიქტი პიროვნებასა და რეჟიმს შორის, მოქმედ სუბიექტსა და ჩამოყალიბებულ მმართველობის სისტემას შორის.**

სოციოლოგიური მეცნიერება ტრადიციულ სოციალურ კონფლიქტად მიიჩნევს ანტაგონიზმს ფეოდალურ წყობასა და ე.წ. „მესამე წოდების“ მიერ პოლიტიკური და სოციალური უფლებების მოთხოვნას შორის. თანამედროვე სოციალური კონფლიქტის შინაარსს კი იგი მზარდი ეკონომიკისა და მოქალაქეთა უფლებებს შორის დაპირისპირებაში ხედავს. ანუ ანტაგონიზმში შეთავაზებასა და მფლობელობის მოთხოვნის უფლების მოპოვებას შორის. რაც

სისტემურად ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის კონფლიქტში ვლინდება. ამიტომაც, რომ თანამედროვე სამყაროში ეკონომიკურ ძვრებზე ყველაზე მძაფრად პოლიტიკა რეაგირებს, ხოლო პოლიტიკურ ძვრებზე კი ეკონომიკა...

მოდერნიზაციის თეორეტიკოსებიცა და პრაქტიკოსებიც ძირითადად დემოკრატიზაციის საკითხებით არიან დაკავებული, სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი პროცესუალური ნორმების უზრუნველყოფით, მატერიალური დოვლათის სამართლიანი განაწილების პრობლემით. ამ საქმეში კი პოსტსაბჭოთა სივრცეში ისინი ფსონს არსებული მთავრობების პროგრესულობაზე დებენ. სისტემის უშუალო შემოქმედი კი მოქალაქე-მესაკუთრე მათ თვალთახედვიდან რჩებად.

“Homo Sovieticus”-ის მენტალიტეტი კი, სწორედ ხელისუფალთა შორის არის საძიებელი. უბრალო მოქალაქეს არ ესაჭიროება რთული სოციოლოგიური კონსტრუქციებისა და თეორიების ცოდნა. **მას მხოლოდ თავისუფალი ქმედების შესაძლებლობა ესაჭიროება.** ევროპაში აღმოცენებული „მესამე წოდება“ არ იცნობდა რთულ სოციოლოგიურ თეორიებს, პირიქით, სოციოლოგიური კონსტრუქციები მეცნიერებმა ბურჟუაზიის ქმედების ლოგიკის შესწავლის შედეგად შეიმუშავეს.

პოსტსაბჭოთა სივრცეში მესაკუთრის არსებობის შესაძლებლობა ჯერ-ჯერობით გამორიცხებულია. სწორედ ეს გარემოება მიგვაჩინია მოდერნიზაციის მცდელობების წარუმატებლობის ძირითად მიზეზად ამ სივრცეში.

ამიტომაც არის, რომ ყოველი ახალი სახელისუფლო წესრიგი გარკვეული დროის შემდეგ მოსახლეობის მიერ არალეგიტიმურად აღიქმება. პიროვნება ემიჯნება სისტემას, ყოველი ახალი ხელისუფლება შესაბამისად არალეგიტიმურად მოქმედებს და ძირითადად მოსახლეობის ყველგან არის დაკავებული. ასე ბრუნავს მოჯადოებული წრე.

თანამედროვე სოციოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი რაღფ დარენ-დორფი, (1929-2009) თავის 1992 წ. გამოცემულ ნაშრომში „თანამედროვე სოციალური კონფლიქტი“, აღმოსავლურსა და აფრიკულ დიქტატორულ რეჟიმებზე დაკვირვების შედეგ

გად შექმნილ ვითარებას ჩვენთვის ერთობ ნიშანდობლივად ახასიათებს:

„... ლამაზი სიტყვები უკეთესი მომავლის შესახებ უმაღლეს ახალი ტერორისტული რეჟიმის გამართლებად გარდაიქმნება. ეს შეიძლება ხანგრძლივ დიქტატურას მოასწავებდეს. გაჭირვებას გარეშე საშიშროების ფონზე, ან უბრალოდ ქარიზმას ანომიის შუაგულში“¹³.

ტერმინი „ანომია“ სოციოლოგიაში ფრანგული სოციოლოგიური სკოლის კლასიკოსის, ემილ დურქჰაიმის (1853-1917) შემოტანილია. იგი „ანომიას“ ადამიანის უმთავრეს სოციალურ პრობლემად მიიჩნევს¹⁴. ანომია სუბიექტური და რელატიური დეპრივაციის შედეგია. სუბიექტური დეპრივაცია ინდივიდუალურ დონეზე თვითმკვლევლობის მიზეზიც კი ხდება ხოლმე. კოლექტიურ დონეზე „ანომია“ რელატიური დეპრივაციის შედეგად დგება. ანომია საზოგადოების მთავარი პრობლემაა და საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია და ამოცანა ადამიანის ანომიისაგან დაცვაში მდგომარეობს. ანომია დურქჰაიმის მიხედვით სოციალური ნორმების რღვევასა და სოციალური წესრიგის არარსებობაში მდგომარეობს. სოციალური ნორმების დაწესება და სოციალური წესრიგის უზრუნველყოფა კი სწორედ საზოგადოების მთავარი ფუნქციაა. კოლექტიურ ცნობიერებას, რასაც იგი კოლექტიურ სინდისს „conscience collective“ უწოდებს დურქჰაიმის თეორიაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა. კოლექტიური გრძნობების გათვლვა მისი აზრით საზოგადოების დეზინტეგრაციისა და აქედან გამომდინარე ანომიის საწინდარია. თუ საზოგადოებამ ვერ მოახერხა სოციალური უთანასწორობის დაძლევა, მისი არსებობა ასევე კითხვის ქვეშ დგება. სოციალური თანასწორო-

¹³ Ralf Dahrendorf, Der moderne soziale Konflikt, Essay zur Politik der Freiheit, კრებულში: Peter Imbusch, Wilhelm Heitmeyer (Hrg) Integration Desintegration, ein Reader zur Ordnungsproblematik moderner Gesellschaften, Wiesbaden, 2008, გვ. 354; 360.

¹⁴ Emile Durkheim, De la division du travail social: Etude sur l'organisation des sociétés supérieures, Felix-Alcan, Paris, 1893; Émile Durkheim, Le Suicide: Etude de sociologie, Felix-Alcan, Paris, 1897.

ბის რადიკალურად დამყარების მცდელობა კი მისი შეხედულებით მკაცრ ზომებს მოითხოვს და ინტეგრაციისათვის ვერ გამოდგება. ეს გზაც დურქჰაიმის აზრით ანომიისაკენ მიდის. ანომიის ძირითადი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ არსებული სახელმწიფო წესრიგი მოსახლეობისაგან არალეგიტიმურად აღიქმება, ხოლო თითოეულის ქმედება არა რაციონალური, არამედ ეგოცენტრული ხდება. სოციალური წესრიგი და ნორმები კი მხოლოდ საყოველთაოდ აღიარებულ მორალურ დისციპლინას უნდა ექვემდებარებოდეს.

ანომია – დურქჰაიმის მიხედვით – ყალიბდება მაშინ, როდესაც შრომის განაწილება რუტინაში გადაიზრდება და თითოეულმა თავისი სამუშაოს მიზანი აღარ იცის (ეს საბჭოთა იმპერიის ბოლო წლების ერთ-ერთ დამახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ); ანომია ჩნდება იქაც, სადაც შრომის განაწილება ძალისმიერად ხდება და პოზიციების მინიჭება რეგლამენტირებულია; ანომიაა ისეთი გარემოება, როდესაც მზარდი საქონლის პირობებში თითოეული ვერ ღებულობს სამართლიან წილს საერთო ჯამიდან¹⁵. ვფიქრობთ, ბოლო ორი განსაზღვრება უპირობოდ ესადაგება სოციალურ მდგომარეობას თანამედროვე საქართველოში...

მოკლედ რომ ვთქვათ ანომია დურქჰაიმის განმარტებით საზოგადოების კოლექტიური ძალის დეფიციტის პირობებში ჩნდება. სხვა სიტყვებით, ანომია სუფევს იქ სადაც არ არსებობს საზოგადოება.

თანამედროვე საქართველოში შექმნილი ვითარების მიზეზები დუალისტურ ხასიათს ატარებს. იმდენადვე ეგზოგენურია, რამდენადაც ენდოგენური. რუსული ოკუპაციის განმავლობაში ეს ორივე ფაქტორი იმდენად გადაჯაჭვულია და ერთმანეთზე მიბმული, რომ დღეს მათი განცალკევება საკმაოდ რთული საქმეა...

¹⁵ Jurgen Frierdrichs, Wolfgang Jagodzinski, Theorien sozialer Integration, კრებულში: Peter Imbusch, Wilhelm Heitmeyer (Hrg) Integration Desintegration, ein Reader zur Ordnungsproblematik moderner Gesellschaften, Wiesbaden, 2008, გვ. 105.

ჩვენში ინტეგრირებული საზოგადოების არარსებობის მიზეზების დასადგენად კი ამჯერად მცირე ისტორიული და ტიპოლოგიური ექსკურსი მოგვიწევს...

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საზოგადოება და სახელმწიფო, თანამედროვე გაგებით, წმინდად ევროპული მოვლენაა¹⁶, რომელიც სათავეებს ევროპული ფეოდალიზმიდან იღებს. დასავლური მეცნიერების თანახმად ევროპეიზმი ოთხ ძირითად მოვლენას ეფუძნება, ეს არის ანტიკური ფილოსოფია, ქრისტიანობა, ფეოდალიზმი და ბერძნულ-რომაული სამართალი. ეს ძირითადად საკუთრების საკრალურად და ხელშეუხებლად ცნობას გულისხმობს.

ევროპული ფეოდალიზმის განხილვისას ბევრად უფრო მრავლის მომცველი მოვლენა უნდა წარმოვიდგინოთ ვიდრე „ლენური ურთიერთობები“ ანდა „ლენური სამართალი“. ფეოდალიზმის, როგორც წმინდად ევროპული მოვლენის ძირითად მახასიათებლად „ლენური სისტემისა“ და „აღლოდიური სისტემის“¹⁷ ურთიერთ თანაარსებობა და მათი ურთიერთდამოკიდებულება გახლავთ. ქართული შესატყვისით შესაბამისად საკარგავისა (იგივე ფეოდი, ბენეფიციუმი) და მამულის (იგივე აღოდი, ანუ აბსოლუტური საკუთრება).

„აღლოდიური თავისუფლება“, ევროპაში იმთავითვე ცენტრალური ხელისუფლებისა და ლენური სისტემის ქმედით შეზღუდვად და პიროვნების თავისუფლების, ანუ ინდივიდუალიზმის საფუძვლად აღიქმებოდა. ევროპელი მეცნიერების უმრავლესობა მესამე წოდების აღმოცენების წინაპირობად სწორედ „აღლოდიურ თავისუფლებებს“ მიიჩნევს¹⁸.

¹⁶ Wolfgang Reinhard, *Geschichte der Staatsgewalt. Eine vergleichende Verfassungsgeschichte Europas von den Anfängen bis zur Gegenwart*, Oskar Beck, München, 1999, გვ. 14-22.

¹⁷ იხ. სტატია Allodium und Feodum, *Staats-Lexikon oder Encyclopedie der Staatswissenschaften* (Hrg. Carl von Rotteck & Carl Welcker), Bd. 1 Altona 1834. S.S. 468-492.

¹⁸ იხ. Otto Bruner, სტატია Feudalismus, in: Otto Bruner, Werner Conze, Reinhard Koselleck (Hrg) *Geschichtliche Grundbegriffe, Historisches Lexikon zur politisch-sozialen Sprache in Deutschland*, Bd. 2, Stuttgart, 1998, S.S. 337-350.

ნიშანდობლივია, რომ ევროპული სახელმწიფო მოწყობა დასაბამიდან იცნობს ცენტრალური ხელისუფლისა და პიროვნების თანაარსებობას. რაც შესანიშნავად გამოიხატება ფორმულაში *primus inter pares*. ამგვარ ურთიერთდამოკიდებულებას ლენურ სამფლობელო ინსტიტუტსა და თავისუფალ ანუ აბსოლუტურ საკუთრებას შორის, მნიშვნელოვანი გავლენა უნდა მოეხდინა იმ დაუწერელ ფეოდალურ ურთიერთობებზე, რაც მეცნიერებაში, „დასავლური ლენური (ანუ ფეოდალური) კონსტიტუციის“¹⁹ სახელით არის ცნობილი.

ამრიგად, სწორედ დინამიური ბალანსი ამ ინსტიტუტებს შორის არის შიდა ინტეგრაციის მამოძრავებელი ძალა, რამაც დასავლური საზოგადოების განვითარების ეტაპები განაპირობა: ერთობიდან საზოგადოებისაკენ, საზოგადოებიდან „საზოგადოებრივ შეთანხმებამდე“, საზოგადოებრივი შეთანხმებიდან თანამედროვე სახელმწიფომდე. დისბალანსი კი რადიკალიზაციას იწვევს, ერთის მხრივ ალოდიური თავისუფლებების მძლავრობამ შეიძლება ანარქიაში იხინოს თავი, ხოლო, მეორეს მხრივ კი, ალოდიური თავისუფლებების ნიველირებას ცალსახად ავტოკრატიულ დიქტატურამდე მივყავართ. ორივე შემთხვევაში ინტეგრაციის პროცესი ზარალდება.

ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ფილოსოფოსები: პლატონი, არისტოტელე, სოკრატე, ციცერონი და სენეკა საკუთრების საკითხს სახელმწიფოს მოწყობის თვალსაზრისით გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ისინი იმთავითვე ასხვავებდნენ კერძო საკუთრებისა (*proprietas*) და მფლობელობის (პროსესესიო) ცნებებს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ ცნებების განსაზღვრებისა და

¹⁹ Marc Bloch, *La societe feodale*, vol. 3. Paris, 1939; Marc Bloch, *Feodalite, Vassalite, Seigneurie: a propos de quelques travaux recents*, კრებულში: *Annales d'histoire economique et sociale*, V. 3, Paris, 1931, გვ. 246-260; Michael Borgolte, *Otto Hinzes Lehre vom Feudalismus in kritischen Perspektiven des 20. Jahrhunderts*, კრებულში: *Nathaly Fryde, Pierre Monnet, Otto Gerhard Oexle (Hrg), Die Gegenwart des Feudalismus*, Göttingen, 2002, გვ. 247-270.

მათი ურთიერთდამოკიდებულების ახსნის მცდელობები დაედო საფუძვლად ძირითად ფილოსოფიურსა და იურიდიულ მოძღვრებებს, მოგვიანებით კი სოციალურ-პოლიტიკურ თეორიებს სახელმწიფოს რაობისა და მისი მოწყობის შესახებ. ანტიკური ხანის საზოგადოების დამოკიდებულება საკუთრების მიმართ აისახა ძვ. წ. აღ. 450 წ. რომის სამართლის კრებულში, ე.წ. „თორმეტთავში“ (Leges duodecim tabularum), სადაც კერძო საკუთრება საკრალურად და ხელშეუხებლად არის გამოცხადებული.

„ახალი დროის“ მოაზროვნენი, როგორც მაგ: თომას ჰობსი (1588-1679), ჯონ ლოკი (1632-1704), ჟან-ჟაკ რუსო (1712-1778) კერძო საკუთრებას ინდივიდისა და მისი ქმედების თავისუფლების ხარისხთან უშუალო კავშირში განიხილავდნენ. ანტიკური ფორმულა *ut suum cuique salvum sit* (თითოეულს თავისი) მათთვის საზოგადოების არსებობისა და დანიშნულების მთავარ ამოცანას წარმოადგენდა. სხვა სიტყვებით, თანამედროვე განვითარებული სამყაროს მიერ განვლილი გზა ერთობიდან საზოგადოებამდე ადამიანის რთულ სოციალურ ურთიერთობებს გულისხმობს, დაფუძნებულს საკუთრების თავისუფალ ფლობასა და მის ასევე თავისუფალ განკარგვაზე. ამ გარემოებას ეფუძნება კანტის ცნობილი გამონათქვამი – საკუთრების წარმოქმნას უცილობელი ლოგიკით რესპუბლიკურ სახელმწიფომდე მიყვართ-ო. საზოგადოების წევრების ძირითადი უფლებები ასევე რომაული ფორმულიდან (*vita, membra, libertas*) იქნა გამოყვანილი და მათი დაცვის ინსტიტუტად სახელმწიფო იქნა მიჩნეული. ამრიგად, სახელმწიფოს ფუნქცია „ახალი დროის“ დასავლური ფილოსოფიური მოძღვრებების მიხედვით, საზოგადოების წევრებს შორის სამართლიანი ურთიერთობების მენეჯერის ფუნქციაში გამოიხატებოდა. სახელმწიფო „საზოგადოებრივი შეთანხმების“ შედეგია. ნიშანდობლივია, რომ „საზოგადოებრივი შეთანხმების“ ორივე კლასიკური მაგალითი – ინგლისური Charter of Liberties (1100 წ.) და Bill of Rights (1689 წ.). – სათაურშივე თავისუფლებებსა და უფლებებს გულისხმობდნენ. და თუკი პირველ შემთხვევაში საქმე ეხებოდა დიდგვაროვანთა თავისუფლებებს, მეო-

რე შემთხვევაში ახლად აღმოცენებული „მესამე წოდების“ პოლიტიკურ უფლებების დაკანონებაზეა საუბარი.

ერთი სიტყვით თანამედროვე ფილოსოფიური და სოციოლოგიური მოძღვრებები ადამიანის სოციალურ განვითარებაში ორ ძირითად საფეხურს გამოყოფენ: 1. ერთობისა²⁰ და 2. საზოგადოების.

ამათგან პირველის განმსაზღვრელი ის გარემოება გახლავთ, რომ მისი წევრების სოციალური ქმედება ტრადიციულად მოტივირებულ ემოციებს ემყარება, ხოლო მათი ურთიერთქმედება კი **მექანიკური სოლიდარობის** ნიშნით ხასიათდება. მაშინ როდესაც მეორის შემთხვევაში სოციალური ქმედება რაციონალურად არის მოტივირებული, ხოლო საზოგადოების წევრების ურთიერთქმედება კი ორგანული სოლიდარობის ხასიათს ატარებს. ამდენად საზოგადოება განიხილება, როგორც სოციალური ურთიერთობების სისტემა.

ალოდიუმი დასავლეთ ევროპაში საკუთრების ბენეფიციუმზე უფრო ადრინდელი ფორმაა და ბენეფიციუმის შექმნის შემდეგაც განაგრძობს არსებობას. ალოდიუმის მფლობელები იყვნენ ძველი გვარის შთამომავალი ფეოდალები, ეკლესია და ქალაქები. ამიტომაც, რომ დასავლეთ ევროპაში აღმოცენებული ე.წ. „მესამე წოდება“ სწორედ, რომ „ქალაქელები“ (ლეს ბოურგეოის) იყვნენ, რომელნიც პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებებისათვის ბრძოლაში სოფლად მცხოვრებ ფეოდალებს დაუპირისპირდნენ, როგორც ეკონომიკურად შედარებით გვიან მომქალაქებული საზოგადოებრივი ფენა. ნიშანდობლივია, რომ ევროპის ახალსა და უახლეს ისტორიაში ეროვნული მოძრაობები, „ქალაქელთა“, ანუ ბურჟუაზიული მოძრაობების სინონიმია.

აღმოსავლეთში სრულიად საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე. ალოდიური საკუთრების ფორმა ფაქტობრივად ქრება. შესაბამისად იკვეთება ცენტრალური ხელისუფალის ავტორიტარიზმიც. ინდივიდის როლი კი სა-

²⁰ Ferdinand Tönnies, *Gemeinschaft und Gesellschaft, Abhandlung des Communismus und des Sozialismus als Empirischer Culturformen*, Leipzig, 1887, გვ. 289-303.

ზოგადობის კულტურულსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში სულ უფრო ნიველირდება.

თუკი ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, გასაგები გახდება, თუ რატომ ვერ ჰპოვეს ბურჟუაზიული განვითარების გზა თავის დროზე მაღალგანვითარებულმა და ფეოდალური, მაგრამ ცალსახად ლენური ურთიერთობებით გამორჩეულმა აზიურმა რეგიონებმა²¹.

ქართველი ხალხის ისტორია განსაკუთრებულია იმ თვალსაზრისით, რომ გეოგრაფიული ფაქტორის გამო საგარეო გარემოებები საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების საქმეში განმსაზღვრელ როლს ასრულებდნენ და ასრულებენ კიდევ. დასავლეთში კი საპირისპიროდ – საგარეო პოლიტიკა საზოგადოების შიდა განვითარების გაგრძელებას წარმოადგენს. შიდა კონსოლიდაციისა და ეროვნული ინტეგრაციის პროცესი საქართველოში გამუდმებულად ფერხდებოდა დამპყრობლების მიერ.

ამ თვალსაზრისით, საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული როლი ბიზანტიასთან და მოგვიანებით რუსეთთან მეზობლობას უნდა მიენიჭოს.

ნოვალისის²² სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველი ერი, როგორც იდეა, როგორც კოლექტიური ინდივიდუუმი თავისი ადგილის პოვნას განსაზღვრულ კულტურულ სივრცეში ესწრაფვის. საქართველოში ამგვარ კულტურად ბიზანტიური კულტურა იყო მიჩნეული, რომელიც ანტიკური მემკვიდრეობისა და ქრისტიანობის სინთეზად აღიქმებოდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ შუასაუკუნეების ქართველი მოაზროვნენი და თეოლოგები ბიზანტიიდან განურჩევლად ყველაფერს კი არ იღებდნენ, არამედ იზიარებდნენ იოანე დამასკოელის პრინციპს – თეოლოგიისათვის ფილოსოფიის სარგებლობის შესახებ და სელექციის მეთოდის მეშვეობით ცდილობდნენ განესაზ-

²¹ Chris Wickham, *The Uniqueness of the East*, კრებულში: *Feudalism and Non-European Societies*, T.J. Byres und H. Mukhia (Hrg), London, 1985, გვ. 187

²² Novalis, *Werke in einem Band*, H. J. Mähl, R. Samuel (Hrg.), Wien, 1984, S. 444

ღვრათ თუ რა იქნებოდა მსოფლიო ფილოსოფიიდან სასარგებლო ქართული თეოლოგიისათვის²³. ინტელექტუალები ასხვავებდნენ ფსევდო და ორიგინალურ თხზულებებს, ეკლესია აღწევს ავტოკეფალიას, ქართული ფეოდალური სისტემა არათუ განსხვავდება ბიზანტიურისაგან²⁴, რომლისთვის აბსოლუტურად უცხოა საკუთრების ალოდიური სისტემა, არამედ ტიპიურად დასავლური ფეოდალური სისტემის ნაწილს წარმოადგენს. საკუთრების ალოდიური²⁵ და ბენეფიციური (ლენური) ფორმების თანაარსებობა ბიზანტიისაგან განსხვავებით საქართველოს დასავლური ტიპის

²³ Guram Tevzadze, *Ideologie und Kommentar im Mittelalterlichen Georgien (10.-12. Jahrhundert)* in: *Der Kommentar in Antike und Mittelalter, neue Beiträge zu seiner Erforschung*, Bd. 2. Leiden, 2004. გვ. 163-177

²⁴ ბიზანტიის სოციალ-ეკონომიკური სისტემისათვის იხ. Carl Eduard Zachariä von Lingenthal, *Zur Geschichte des römischen Grundeigentums* in: *Zeitschrift der Savigny-Stiftung für Rechtsgeschichte, E.I. Bekker, A. Pernice, R. Schröder, H. Brunner, (Hrg). Bd. 9, (22), Weimar, 1888.*, გვ. 261-285; Warren Treadgold, *A History of a Byzantine State and Society*, Stanford, 1997, გვ. 103-149; 371-417; 667-709; Eleutheria Pappagianni, *Byzantine Legislation on Economic Activity Relative to Social Class*, in: Angeliki E. Laiou (Hrg), *The economic History of Byzantium from the seventh through the fifteenth Century*, Bd. 3. Washington, 2002, გვ. 1083-193; Peter Frankopan, *Land and Power in the Middle and Later Period*, in: John F. Haldon (Hrg) *The Social History of Byzantium*, Chichester, 2009 გვ. 112-143; John Haldon, *Social Elites. Wealth and Power*, in: John F. Haldon (Hrg) *The Social History of Byzantium*, Chichester, 2009, გვ. 168-212

²⁵ იხ. ოთარ ლორთქიფანიძე, სამეფო მიწისმფლობელობის შესახებ ანტიკური ხანის იბერიაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მომამბე“ ტ. 21. №6, თბ. 1958, გვ. 759-766, ანრი ბოგვერადი, ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობების ისტორიიდან, თბ. 1961, გვ. 42-70; მარიამ ლორთქიფანიძე, მიწათმფლობელობის ფორმების საკითხისათვის 9-10 საუკუნეების საქართველოში, კრებულში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34. თბ. 1962, გვ. 3-23; Шота Месхия Города и городской строй средневековой Грузии в 17-18 вв. Тб. 1959; Мамука Думбадзе, Вассалитет в Грузии в 10-12 Веках (кандидатская диссертация), Тб. 1982

ფეოდალური სისტემის კუნძულად წარმოაჩენს ახლო აღმოსავლეთში.

X საუკუნე საქართველოში მძლავრი ინტეგრაციული პროცესებით ხასიათდება, რამაც ლოგიკური დასასრული ფეოდალური ერთეულების ერთი მმართველის – მეფის მიერ გაერთიანებაში ჰპოვა, ვინც ასევე ევროპული ფეოდალური სამართლის პრინციპით იქნა შერჩეული. ინტეგრაციულ პროცესებს სათავეში ქართველი ინტელექტუალები ედგნენ. გიორგი მერჩულეს განსაზღვრება: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების, ხოლო კვირიელისონი ბერძნულად ითქუმის...“ – ევროპეიზმის საფუძვლებით მოაზროვნე ადამიანის ნააზრევია და თამამად შეიძლება გვიანდელი ევროპული განმანათლებლების წინამორბედად ჩაითვალოს. საზოგადოებრივი განვითარების შედეგებია: ჰუმანიზმის იდეების ქადაგება ქართველ ინტელექტუალთა მიერ; პოლიტიკური თვალსაზრისით აბსოლუტური მონარქიის ჩამოყალიბება თავისი წმინდად ევროპული მახასიათებლით – ეპისკოპოსით, პირველი მინისტრის რანგში; წარუმატებელი და სუსტი, მაგრამ მაინც პარლამენტის მსგავსი ორგანიზაციის მოთხოვნა, აშკარად მიუთითებს საქართველოში „მესამე წოდების“ – უფლებების აღიარების მცდელობაზე. ერთი სიტყვით საქართველოს თავისთავადი განვითარება ტიპიურად დასავლური სცენარით მიმდინარეობდა. რიგ სფეროებში საქართველოში მიმდინარე პროცესები კი ქრონოლოგიურად წინ უსწრებდნენ ევროპაში მოგვიანებით მომხდარ მოვლენებს. ინტეგრაციული პროცესების აღმავლობა მონღოლთა გამოჩენამ დაამუხრუჭა და მეტიც, ბიძგი მისცა დეზინტეგრაციულ პროცესებს.

როდესაც ქართულ ფეოდალიზმზე ვსაუბრობთ, როგორც გამონაკლისზე აღმოსავლურ სივრცეში და მას ევროპულ ფენომენად მივიჩნევთ, უპირველეს ყოვლისა „ალოდიალური“ მიწის მფლობელობის სისტემის არსებობა გვაქვს მხედველობაში, რომლის ნიშნებიც ჯერ კიდევ ან-

ტიკურ ხანაში დასტურდება²⁶. ნიშანდობლივია, რომ ქართული „მამულიც“ ასევე ტიპოლოგიურ თანხვედრას ამჟღავნებს ევროპულ „ალოდთან“²⁷. არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე ქვეყანაში აბსოლუტიზმის განვითარება და მესამე წოდების – „ქალაქელთა“ არსებობის პირველი ნიშნებიც. ამდენად საკუთრების რომაული სამართლებრივი გაგება საქართველოში იმთავითვე აღიარებულად უნდა მივიჩნიოთ. ანტიკური ფილოსოფიის გავლენა კი სახეზეა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე²⁸.

მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიის აგრესიული იმპერიის მეზობლობა საქართველოსათვის დამოუკიდებლობისათვის გამუდმებულ ბრძოლას ნიშნავდა, ბიზანტია თავისი ანტიკური ფილოსოფიური სკოლით კულტურული სიერცის ორიენტირი იყო და ამდენად პოზიტიური გავლენა იქონია ინტეგრაციულ პროცესებზე საქართველოში. ხოლო ბიზანტიის დაცემამ და ორი ძლიერი მუსლიმანური სახელმწიფოს მეზობლობამ კი დეზინტეგრაციულ პროცესებს გაუხსნეს გზა. საკუთრების ალოდიური ფორმა გახლდათ ის, რამაც მეზობელი სახელმწიფოების ორმაგი წნეხის მიუხედავად, ერთი მხრივ, ქართული ცხოვრების წესის შენარჩუნებას შეუწყო ხელი, ხოლო, მეორეს მხრივ, დასაბამი დაუდო ხელახალ ფეოდალიზაციას ანუ ფეოდალურ დაშლას. **მართალია, სამეფო სახლი ლეგიტიმურად იყო მიჩნეული, მაგრამ თითოეულის ქმედება არა რაციონალური, არამედ ეგოცენტრული გახდა.**

ფეოდალიზმის განვითარება რუსეთში ასევე შორს არის ევროპეიზმის ტრადიციისაგან: ალოდიური საკუთრების ფორმა რუსეთში არ დასტურდება. მართალია, დღევან-

²⁶ ოთარ ლორთქიფანიძე, სამეფო მიწისმფლობელობის შესახებ ანტიკური ხანის იბერიაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“ ტ. 21. №6, თბ. 1958, გვ. 759-766

²⁷ მხედველობაში გვაქვს ალოდიალური საკუთრების ორი ფორმა ე.წ. *bona adquisita da bona aviatica*. შედარებისათვის იხ: Мамука Думбадзе, Вассалитет в Грузии в 10-12 Веках, (Кандидатская диссертация) Тб. 1982.

²⁸ იხ. პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ. 1936.

დელ ინტერნეტ სივრცეში მრავლად მოიპოვება ნაშრომები, სადაც ავტორები „ვოტინის“ ინსტიტუტში „ალოდიური“ საკუთრების ნიშნების პოვნას ცდილობენ, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ კონიუნქტურით არის ნაკარნახევი და მათთან პაექრობას აქ ვერ შევუდგებით. გარდატეხა რუსულ ფეოდალურ სისტემაში ივანე მრისხანეს პოლიტიკის შედეგად დაიწყო. „ოპრიჩნინა“ სწორედ ბოიართა ალოდიური მისწრაფებების წინააღმდეგ ჩატარებული ღონისძიებაა, სწორედ ოპრიჩნინის შედეგია რუსეთში მიწის ტოტალურ ბენეფიციუმად გადაქცევა. გვიანდელ ვოტჩინებს კი „მამულთან“ მხოლოდ სახელწოდება თუ ამსგავსებს, რაც უკეთეს შემთხვევაში და ისიც პირობითად, სენიორიას შეიძლება შევადაროთ. რუსეთის ბიუროკრატიული ცენტრალიზმი და ხელისუფლების ავტოკრატიზაცია ხომ სწორედ ივანე მრისხანისაგან იღებს სათავეს. ეს გახლავთ ძირითადი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ წარმოიქმნა ბოიარებისაგან დასავლურის მსგავსი რევიონალურად დამაგრებული წოდების დასაყრდენი. ერთი სიტყვით, ფეოდალიზმი რუსეთში ივანე მრისხანიდან მოყოლებული სულ უფრო და უფრო ავტოკრატიზაციის ინსტრუმენტად ყალიბდებოდა²⁹.

საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე ქართული არისტოკრატია ის ნაწილი რუსეთში იქნა გადასახლებული. ქართული სახელმწიფოებრიობა და ქართული ფეოდალიზმი ანუ მოსახლეობის მიერ ლეგიტიმურად მიჩნეული სისტემა გაუქმდა. ფეოდალური დაქუცმაცებულობითა და დეზინტეგრაციით დასუსტებულმა ქართულმა მოსახლეობამ იდენტურობისა და მნიშვნელობის ორიენტირები დაკარგა. სკოლებში, ეკლესიასა და სასამართლოში საქმის უცხო ენაზე წარმოებამ მოსახლეობასა და ისედაც არალეგიტიმურად აღქმულ რეჟიმს შორის კომუნიკაციის შესაძლებლობა მოსპო. თაობები დარჩნენ უწიგნურნი, ეს გარემოება განსაკუთრებით უწყობდა ხელს დეზინტეგრაციას.

²⁹ Michael Borgolte, Otto Hinzes Lehre vom Feudalismus in kritischen Perspektiven des 20. Jahrhunderts, კრებულში: Nathaly Fryde, Pierre Monnet, Otto Gerhard Oexle (Hrg), Die Gegenwart des Feudalismus, Göttingen, 2002, გვ. 268.

ციის პროცესს. ამ უფსკრულის ამოვსებას ილია ჭავჭავაძე „მომრიგებელი მოსამართლის“ ინსტიტუტის შემოღებით ცდილობდა.

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა – ანბანის რეფორმირება, თანამედროვე ლიტერატურული ენის დახვეწა, მას იმდროინდელი ევროპული ეროვნული მოძრაობების გმირების რიგში აყენებს. ხოლო ლოზუნგი „მამული, ენა სარწმუნოება“ ქართველებისათვის ეროვნული ინტეგრაციის ორიენტირების სიმბოლო და მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო. სოციალური პრობლემების მოგვარებას ილია ჭავჭავაძე საქართველოში ეროვნული ბურჟუაზიის, ქართული მესამე წოდების აღმოცენებაში ხედავდა. საზოგადოდ ცნობილია, რომ XIX ს-ის ევროპაში მიმდინარე ეროვნული მოძრაობები მიზნად ეროვნული სახელმწიფოების შექმნას ისახავდნენ და ამ პროცესის მამოძრავებელი ძალა „მესამე წოდება“ ანუ ბურჟუაზია იყო. სწორედ ამიტომ ითხოვდა ილია ჭავჭავაძე ეროვნულ დამოუკიდებლობას, მაგრამ, როგორც რეალისტი, პოლიტიკური ავტონომიის ფორმას ჯერდებოდა. ამრიგად ილია ჭავჭავაძისათვის საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობა – ეროვნული „მესამე წოდების“ მიერ დაფუძნებულ სოციალურ წესრიგს ნიშნავდა. ეს გზა კი არ პასუხობდა იმპერიაში მიმდინარე პროცესებს და მოდერნიზებული იმპერიისათვის გათვალისწინებულ სოციალურ წესრიგს. სწორედ ამიტომ წარმოადგენდა ილიას მოღვაწეობა რუსეთის იმპერიისათვის რეალურ და განსაკუთრებულ საშიშროებას.

ილიას მკვლევლობის შემდეგ, ეროვნული კონსოლიდაციისა და ინტეგრაციის იდეამ შემდგომი განვითარება ვედარ ჰპოვა და ეროვნულმა ორიენტირებმა გზა საზოგადოდ რუსულ პრობლემას – სოციალური ორიენტირების ძიებას დაუთმო, რომლის გადაჭრაც იმპერიის სივრცეში ბუნებრივია, რუსული ქარგით უნდა მომხდარიყო. პოლიტიკური სარბიელი საქართველოში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ე.წ. ქართულ ფრაქციას დაეთმო...

აღლოდიური თავისუფლებების ნიველირებამ და სახელმწიფოებრივ მოწყობაში ინდივიდუალიზმის დეფიციტმა შედეგად რუსეთში მესამე წოდების არარსებობა გამოიღო.

ასეთ პირობებში პოლიტიკაში მონაწილეობის მოთხოვნილებას რუსი მოღვაწენი ძირითადად პუბლიცისტური და ლიტერატურული საქმიანობით იკმაყოფილებდნენ. XIX ს. რუსეთისათვის დამახასიათებელია ინტელექტუალთა გარემოს აღზევება ერთგვარ შუა ფენად. რასაც რუსეთში „ინტელიგენცია“ ეწოდა და რომელსაც „მესამე წოდების“ დეფინიციის ფონზე „საზოგადოება“ დაერქვა. სხვა სიტყვებით საზოგადოება რუსეთში იმთავითვე არა სისტემის სინონიმად, არამედ სისტემისაგან იზოლირებულ ჯგუფად აღიქმებოდა. ინტელიგენცია ჩამოყალიბდა იდეოლოგიურ და არა პროფესიულ ჯგუფად. არსებობდნენ კულტურული ადამიანები, მაგრამ არ არსებობდა კულტურული გარემო. ჩამოყალიბდა მყარი მენტალური ფორმულა – ინტელიგენცია „ჩვენ“ და სახელმწიფო – „ისინი“. ამრიგად ინტელიგენცია აღმოჩნდა სახელმწიფოსა და ბნელ მასას შორის. არისტოკრატის საუკეთესო ნაწილში სუფევდა ერთგვარი დანაშაულის გრძობა საკუთარი ხალხის წინაშე. სოციალურად ტოტალურად პოლარიზებულ რომანოვების იმპერიაში არსებული უფსკრულის ამოვსების სურვილმა ისინი ანტიფეოდალურად და ამავე დროს ანტიბურჟუაზიულად განაწყო.

ომზე ორიენტირებული ფეოდალური საზოგადოების მშვიდობიანი, შრომაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი წყობით ჩანაცვლების აუცილებლობა მათთვის უცხო იყო. ამის ნაცვლად რუსი ინტელექტუალები სამართლიანი საზოგადოებისა და ამ საქმეში რუსი ხალხის ისტორიული მისიის ძიებით იყვნენ დაკავებულნი. ამავე დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას მართლმადიდებლობას ანიჭებდნენ. **ევროპულ რაციონალურ დეცენტრალიზმს ისინი ქრისტიანული აღმოსავლეთის მთლიანობას უპირისპირებდნენ.** ამის მთავარი განმსაზღვრელები კი რუსული „თემის“ და მართლმადიდებლობის ნაციონალიზაციიდან გამომდინარეობდა.

რელიგიის ნაციონალიზაცია, ანუ მისი ხელისუფლებასთან შერწყმა ტიპურად აღმოსავლური მოვლენაა, რაც ტოტალიტარიზმს მოასწავებს.

უადრესად საინტერესოა პირველი საბჭოთა ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლის ნიკოლაი ბერდიაევის

(1874-1948) დაკვირვება. როდესაც იგი „მესამე რომის“ მესიანისტურ იდეას აანალიზებს ამბობს, რომ რუსეთში ეკლესიის ნაციონალიზაცია ივანე მრისხანეს დროიდან დაიწყო, რომ რუსი ხალხის ცნობიერებაში ეროვნული და რელიგიური ისევე ძლიერად შეერწყა ერთმანეთს, როგორც ეს ძველი ებრაელი ხალხის ცნობიერებაში მოხდა³⁰. მსოფლიო საეკლესიო ცნობიერება რუსული ეკლესიის წიაღში იმდენად სუსტი იყო, რომ ბერძნულ ეკლესიას, რომლისგანაც რუსმა ხალხმა მართლმადიდებლობა მიიღო, ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ეკლესიად აღარ ცნობდნენ და მასში ჭეშმარიტი სარწმუნოების დამახინჯებას ხედავდნენ. ბერძნული ეკლესიის გავლენა კი მსოფლიოში ერთადერთ ჭეშმარიტ მართლმადიდებელ სამეფოში შედევრულ გარყვნილებად აღიქმებოდა. რუსული ეკლესიის თვითიზოლაციისა და ტოტალიტარიზმის ფორმულა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ – **მართლმადიდებელი სარწმუნოება არის რუსული სარწმუნოება, არარუსული სარწმუნოება – არამართლმადიდებლურია**. ცნობილი რუსი ფილოსოფოსი გეორგი ფედოტოვი (1886-1951) თვლიდა, რომ ამგვარი განწყობა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ზეწოლით იყო გამოწვეული და რომ „...რუსული ეკლესიის ისტორიაში საუკეთესო პერიოდი, მონღოლთა ბატონობის ხანა იყო, როდესაც იგი ხელისუფლებისაგან თავს სულიერად ბევრად უფრო დამოუკიდებლად გრძნობდა და მასში სოციალური ელემენტი მძლავრობდა“³¹.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ისტორია, ქართული ფეოდალური წყობა და ქართული თეოლოგიური სკოლის თავისუფალი აზროვნების წესი³², რუსული იმპერიული დოქტრინის – ქრისტიანული აღმოსავლეთის ერთობისა რუსული პრიმატის ქვეშ – უსაფუძვლო-

³⁰ იხ. Н.А. Бердяев, Истоки и смысл русского коммунизма, М. 1990, გვ. 10 (პირველი გამოცემა ლონდონი, 1937).

³¹ Г. Федотов, Святая Древней Руси, Париж, 1931

³² Guram Tevzadze, Ideologie und Kommentar im Mittelalterlichen Georgien, (10-12. Jahrhundert) კრებულში: Der Kommentar in Antike und Mittelalter, neue Beiträge zu seiner Erforschung, Bd. 2. Leiden, 2004. გვ. 163-177.

ბის ცოცხალი მაგალითია. ალბათ ეს გარემოება უნდა მივიჩნიოთ იმის ძირითად მიზეზად, რომ რუსული ოკუპაციის დასაწყისშივე, სწორედ ქართული ეკლესია იქცა რუსული „მართლმადიდებლობის“ ყველაზე მრისხანე შეტევის ობიექტად.

„სლავოფილები“ საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდნენ საკუთრების რომაული სამართლისმიერ გაგებას. ისინი საკუთრებას არ მიიჩნევდნენ აბსოლუტურად და საკრალურად. მესაკუთრე მათთვის იყო მხოლოდ გამგებელი. საკუთრების ევროპული გაგება უცხო იყო რუსული ფეოდალური არისტოკრატისთვისაც კი. ე.წ. „ზაპადნიკები“ დასავლეთიდან მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიით იხიბლებოდნენ. ლიბერალები კი რუსეთში თეორიულად არ მოღვაწეობდნენ და რამდენიმე რეფორმით შემოიფარგლნენ 60-იან წლებში. რუსი ინტელექტუალების აზროვნების წესი იყო დოგმატური და ტოტალიტარული³³. მოკლედ რომ ვთქვათ, რუსი ინტელექტუალები ძირითადად დაკავებულნი იყვნენ სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების საქმეში რუსი ხალხის ამოცანისა და ფუნქციის ძიებით. რუსი ინტელექტუალების სოციალისტურმა განწყობებმა და „მესამე რომის“ ფუნქციის საკრალიზებამ ნიუ-იორკის ნიადაგი შეუქმნა პროლეტარიატის „მესიანისტური“ იდეის ხორცშესხმას.

ეს გარემოება უნდა მივიჩნიოთ იმის მიზეზად, რომ სწორედ რუსეთში გახდა შესაძლებელი XX საუკუნის მთავარი ექსპერიმენტის – მეოთხე წოდების, პროლეტარიატის დიქტატურის – ცხოვრებაში გატარება. რუსული მითი ხალხის სოციალური ფუნქციის შესახებ ადვილად ჩაანაცვლა მითმა პროლეტარიატის ფუნქციის შესახებ.

როდესაც ნიკოლაი ბერდიაევი რუსული კომუნიზმის წარმოშობასა და მნიშვნელობას აანალიზებს, რუსი ხალხის მენტალიტეტს ახასიათებს, როგორც ინდივიდუალიზმს მოკლებულ კოლექტიურ ცნობიერებას, ამას იგი საკუთრების რომაულ-ევროპული გაგების დეფიციტით ხსნის. რუსეთში ითვლებოდა, რომ მიწა უფლის საკუთრებაა და ყო-

³³ Н.А. Бердяев, Истоки и смысл русского коммунизма, М. 1990 г.к. 14; 18-30.

ველ ადამიანს აქვს მისი დამუშავებისა უფლება. ანუ სხვა სიტყვებით ადამიანი მას მხოლოდ განაგებს, იგი მხოლოდ მფლობელია. უნდა ითქვას, რომ ამგვარი მიდგომა ძველი აღთქმისეულია და „თანახის“ მოძღვრებიდან მომდინარეობს. საკუთრების ასეთმა დეფინიციამ და მართლმადიდებლობის ტოტალიტარიზმმა კი რუსულ საზოგადოებაში ტიპიურად რუსული მოვლენა – ნიჰილიზმი წარმოშვა, რომელიც შემდეგნაირად ფორმულირდება – **სახელმწიფო ბოროტებაა და ძალმომრეობის ინსტიტუტი.**

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პეტრე 1 მოდერნისტული მოღვაწეობის შედეგების ბერდიაევისეული შეფასებაც³⁴. მისი აზრით, პეტრეს მეთოდები ტიპიურად ბოლშევიკური იყო და რეფორმებმა სოციალური პოლარიზება რუსეთში მხოლოდ გაამწვავა, ვინაიდან ევროპულ ყაიდაზე მცხოვრებ არისტოკრატიასა და აღმოსავლურ ყაიდაზე მცხოვრებ ხალხს შორის გაუცხოვება გამოიწვია. ამის მიზეზად ბერდიაევი იმ გარემოებას მიიჩნევს, რომ რეფორმები მხოლოდ არისტოკრატით შემოიფარგლა და საყოველთაოდ არ გატარებულა.

როდესაც მარქსიზმის კლასიკოსები ფეოდალიზმზე წერდნენ, ისინი იმ დოგმის ტყვეობაში რჩებოდნენ, რომელიც ფეოდალიზმში მხოლოდ ბატონისა და ყმის ანტაგონიზმს ხედავდა. სხვა სიტყვებით, მარქსიზმს ფეოდალიზმიცა და შემდეგ კაპიტალიზმიც მხოლოდ ბენეფიციურ (ლენურ) ურთიერთობებად წარმოედგინათ ამ სიტყვის ვიწრო გაგებით. მმართველობის უფრო ძველ ფორმებსა და პრინციპულად სხვა ურთიერთობებს კი მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა მათ ასევე ფეოდალური საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურიდან გამოჰყავდათ³⁵.

³⁴ Н.А. Бердяев, Истоки и смысл русского коммунизма, М. 1990 гв. 11-17.

³⁵ Otto Bruner, Artikel Feudalismus, კრებულში: Otto Bruner, Werner Conze, Reinhard Koselleck (Hrg) Geschichtliche Grundbegriffe, Historisches Lexikon zur politisch- sozialen Sprache in Deutschland, Bd. 2, Stuttgart, 1998, გვ. 347.

ამგვარი შეხედულების ტყვეობაში დარჩნენ პრაქტიკოსი მარქსისტებიც და მათი შემოქმედების პროდუქტი – საბჭოთა სახელმწიფო – წმინდად აღმოსავლურ ფეოდალურ, ანუ ლენურ ურთიერთობებზე იდგა. წარმოების საშუალებების გასახელმწიფოებრიობა არ წყვეტდა ბენეფიციუმის არსებობის პრობლემას. ამდენად, ვფიქრობთ, უპირიანი იქნება საბჭოურსა და პოსტსაბჭოურ პრობლემატიკაში პირობითად ფეოდალური ტერმინოლოგიის გადმოტანა და შესაბამისად ბენეფიციური საკუთრებისა და თავისუფალი ანუ სრული საკუთრების ურთიერთობის საკითხის დასმაც.

უნდა ვაღიაროთ, რომ რუსი კომუნისტები ბენეფიციუმის არსებობას რეალობაში ვერ გაექცნენ. ახალი საზოგადოების გარიჟრაჟზე, „წმინდა პროლეტარის“ ხელფასი თვეში 75 მანეთით განისაზღვრებოდა, მაშინ, როდესაც, საშუალო მოხელის ხელფასი 1500 შეადგენდა.

სხვა სიტყვებით, პროლეტარი ისევ „ყმობაში“ დარჩა. ამგვარად საბჭოთა რუსეთი დასაბამიდან „მოხელეთა სახელმწიფოდ“ ჩამოყალიბდა.

შესაბამისად საბჭოთა კავშირის ისტორია პირობითად სამ ეტაპად შეიძლება წარმოვიდგინოთ: 1. „მოხელეთა სახელმწიფო“ და ბენეფიციუმის განკარგვა სტალინამდე, 2. სტალინის ეპოქა და 3. „მოხელეთა სახელმწიფო“ და ბენეფიციუმის განკარგვა სტალინის შემდეგ. აქედან პირველი ორი ეტაპი კოლექტიური ენთუზიაზმის აღმავლობით ხასიათდება.

სტალინური ხანა ძირეულად განსხვავებულ მოვლენად უნდა იქნას მიჩნეული, როდესაც კოლექტიური ენთუზიაზმი და „ხალხის მზრუნველი მამის“ ფხიზელი თვალი ბენეფიციუმს მოხელეთაგან ხელუხლებლად ინახავდნენ და მას სახელმწიფოს საკუთრებაში ტოვებდნენ, ხოლო იოსებ სტალინის სამაგალითო რადიკალური პურიტანიზმი კი სოციალური სამართლიანობის სიმბოლოს განასახიერებდა.

აღლოდური დამოუკიდებლობის ყოველგვარ მისწრაფებას სამაგალითოდ უსწორდებოდნენ. მესაკუთრე-ინდივიდი – აი, ბოლშევიზმის ძირითადი საფრთხე და ამიტომ მთავარი მტერიც.

ინდივიდუალიზმის ნიშნები საბჭოთა კავშირში, მხოლოდ განათლებულმა ფენამ, ე.წ. „ინტელიგენციამ“ შეინარჩუნა. ეს წრე ცნება საზოგადოებასთან იქნა იდენტიფიცირებული და ძველი რუსული ტრადიციის შესაბამისად აღიქმებოდა როგორც შუა და არა როგორც საშუალო ფენა. საზგასასმელია, რომ ინტელიგენცია საბჭოთა კავშირში წოდებად აღიქმებოდა. აქედან მომდინარეობს ძირითადი შეუსაბამობა საზოგადოების არსის და ცნების გაგებისა პოსტსაბჭოთა მოქალაქის – „Homo Sovieticus“-ის და დასავლეთელი ქალაქელის „Bourgeois“ მენტალობაში.

უნდა ითქვას, რომ „დიადი საბჭოთა ხალხი“ ორმაგ ჩაგვრას განიცდიდა: ეროვნულსა და სოციალურს. მაგრამ რუსი საბჭოთა ინტელექტუალებისათვის ეროვნული საკითხი დღის წესრიგში არ მდგარა. რუსი დისიდენტებისთვისაც კი, აქტუალური მხოლოდ სოციალური უსამართლობის პრობლემატიკა იყო. სახაროვისა და სოლჟენიცინის გამონათქვამები ცხადყოფენ, რომ ეროვნულ საკითხში ისინი ტრადიციული რუსული შოვინიზმის პოზიციებზე დარჩნენ.

ეროვნულად განწყობილი ქართველი ინტელექტუალები კი ძირითადად ემოციებს ეყრდნობოდნენ. ილია ჭავჭავაძის ბურჟუაზიული ხედვა მხედველობის არედან ჰქონდათ გამორჩენილი და მხოლოდ ინდივიდუალიზმის ალგორითული ქადაგებით იფარგლებოდნენ. ქართველ ინტელექტუალთა ძალისხმევა ძირითადად ხელოვნებაში ვლინდებოდა და ნაკლებად ფილოსოფიას, სოციოლოგიასა თუ პოლიტიკურ მოღვაწეობაში. მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობაც შესაბამისად დამოუკიდებლობის ემოციური მოთხოვნით შემოიფარგლა, ხოლო მომავალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახელმწიფო მოწყობა და შინაარსი „კოლექტიური ცნობიერების“ მიღმა რჩებოდა და დღემდე ვერ იხილა დღის სინათლე.

ერთი სიტყვით „Homo Sovieticus“-ის პატრიმონიალური მენტალიტეტისათვის ცნებები – სახელმწიფო, პოლიტიკა და პოლიტიკოსი – უნიტარიზმსა და ცეზარიზმთან არიან გაიგივებულნი.

უნდა ვაღიაროთ, რომ საბჭოთა კავშირიდან სეპარირების პროცესში ქართველების ქმედების წესი არა „საზოგადოებისათვის“ დამახასიათებელი რაციონალიზმით განისაზღვრებოდა, არამედ „ერთობისათვის“ დამახასიათებელი ემოციურობით. განსაკუთრებულად აღსანიშნავია, რომ ეს განვითარებული მსოფლიოსათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი ეპოქისა და ე.წ. „მოდერნიზაციული ინდივიდუალიზმის“ აღზევების ხანაში მოხდა. ქართველთა სოციალური ქმედება ეფუძნებოდა ერთობის ტრადიციულ იდეას. ერთობის თემა ლაიტმოტივად იქცა. ეს ეფუძნებოდა საერთო მესხიერებას, ოჯახურსა და მეგობრულ ერთსულოვნებას, რომელთა გამოხატვა ყოველდღიურობაში, ხელოვნებასა თუ ისტორიოგრაფიაში უმთავრეს ამოცანად იქცა. 70-იანი წლებიდან იგრძნობა ახალგაზრდობის ინტერესის ზრდა ეკლესიის მიმართ. ქრისტიანულობა აღიქმებოდა პროტესტად ათეისტური საბჭოთა კავშირის მიმართ და ეროვნული კუთვნილების ნიშნად.

საზოგადოებრიობის დეფიციტი განსაკუთრებულად მკაფიოდ გამოჩნდა ეთნიკურ უმცირესობებთან ურთიერთობაში. აფხაზების სეგრეგაციის პოლიტიკა აფხაზეთის რუსეთთან შეერთებისთანავე ე.ი 1863 წლიდანვე იდებს სათავეს. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ გარემოებამ საქართველოს მხრიდან ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ ჰპოვა, პირიქით, ქართველთა ქმედება წყალს ასხამდა იმპერიის ჩანაფიქრს. მიზეზი საკმაოდ მარტივია – ქართველთა მხრივ არ არსებობდა სოციალური ინტეგრაციისათვის ეგზომ აუცილებელი ე.წ. „მიმღები საზოგადოება“ პირიქით ქართველ ინტელექტუალთა ძალისხმევა მიმართული იყო ქართული ერთობიდან აფხაზთა გარიყვისაკენ. ილია ჭავჭავაძის მცდელობები საქართველოში ე.წ. „მიმღები საზოგადოების“ შექმნისა საბოლოო ჯამში მარცხით დამთავრდა და ასეთი საზოგადოება ვერ შესდგა. მართალია, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მოახერხეს აფხაზეთის 1920 რეფერენდუმის დონეზე კონსტიტუციურად შეერთება, მაგრამ ეს იმდენად ხანმოკლე აღმოჩნდა, რომ ვერავითარ დონეზე ვერ მოესწრებოდა მულტიეთნიკური სოციალური კავშირების შექმნა, რაც მომავალი სოციალურ-პოლიტიკური ინ-

ტეგრაციისათვის ძირითად წინაპირობად და საფუძვლად გამოდგებოდა.

ქართველთა ერთობის იდეოლოგიების შემოქმედებაში აფხაზურ ეთნიკურ ჯგუფს ადგილი არ ეთმობოდა³⁶. პირიქით, აფხაზები უცხო ერთობად იქნენ წარმოჩენილნი. ამდენად ბრძოლა აფხაზეთისათვის ქართველ ინტელექტუალებს წარმოდგენილი ჰქონდათ ბრძოლად ძირძველი ქართული ტერიტორიისათვის, რომელსაც უცხო ტომის მკვიდრნი დაეუფლნენ და არა ბრძოლად აფხაზური ეთნიკური ჯგუფის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის. საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე უზომო ენერჯია იქნა დახარჯული საერთაშორისო თანამეგობრობისადმი ამ აპელაციით. ქართულმა ისტორიოგრაფიამ დიდი გავლენა მოახდინა საზოგადო აზრის ჩამოყალიბებაზე და ეს გარემოება ქართული საზოგადოების არარსებობაზე მიუთითებს.

ამგვარი მიდგომის მიზეზი არა მხოლოდ ქართველ ინტელექტუალთა ირაციონალური ფიქრის წყობაში უნდა ვეძიოთ, არამედ რეჟიმის პოლიტიკაშიც. იმავედროულად აფხაზეთში გამალებულად მიმდინარეობდა პარალელური საზოგადოების ჩამოყალიბება. რუსეთის პოლიტიკის წყალობით „აფხაზი“, რომელიც თვით აფხაზეთის ავტონომიაში საგრძნობ უმცირესობას წარმოადგენდა, წოდებად ჩამოყალიბდა. „აფხაზობა“ სოციალური პრესტიჟი გახდა. თანამედროვე დეზინტეგრაციის თეორიის ავტორები ამგვარ მდგომარეობას რეგიონალური დეზინტეგრაციის წინაპირობად მიიჩნევენ.

ამრიგად, 1992 წ. მომხდარი სამხედრო კონფლიქტი კარგა ხნის დაგეგმილი და მომზადებული იყო. გადაწყვეტილებაც შესაბამისად უკვე მიღებული... მხოლოდ ტექნიკური საკითხიღა რჩებოდა მოსაგვარებელი, კერძოდ, თუ ვინ აიღებდა პასუხისმგებლობას პირველ გასროლასა და აფხაზეთის სეპარაციაზე?

³⁶ იხ. პავლე ინგოროვკა, გიორგი მერჩულე, თხზულებათა კრებული 7 ტომად, ტ. 2, თბ. 2009.

ასე, რომ რეგიონალური დეზინტეგრაცია „მიმდები საზოგადოების“ დეფიციტის შედეგია და გააგებულ უნდა იქნას, როგორც საქართველოს შიდა საზოგადოებრივი და სოციალურ-პოლიტიკური პრობლემა. ამდენად ენდოგენური ფაქტორია, მაგრამ ამავე დროს ეგზოგენურ ფაქტორთან მჭიდრო ურთიერთკავშირში მყოფი. **ამგვარი ვითარების მიზეზებისა და გამოსატვის ტენდენციების კვლევა ქართული სოციალური და ისტორიული მეცნიერების გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია.**

ბოლშევიზმი ძირშივე გამორიცხავს სოციალური ქმედების თავისუფლებას. ყოველგვარ ინდივიდუალიზმს. ბენეფიციური გამგებლობა – მართვის ტექნოლოგიაა, საბჭოთა იმპერიაში არაფორმალურად, პოსტსაბჭოთა სივრცეში კი ფორმალურად. ეს განსაკუთრებულად კარგად გამოჩნდა ჩვენს მიერ აღნიშნულ საბჭოთა ისტორიის მესამე პირობით ეტაპზე ანუ „მოხელეთა სახელმწიფო“ და ბენეფიციუმის განკარგვა სტალინის შემდეგ.

ყოველივე ამან კი თვალნათლივ იჩინა თავი ე.წ. პოსტსაბჭოთა სივრცეში... სადაც მარქსისტულ-ლენინური დოგმები სრულიად გაუაზრებელმა, ვეგეტატიურმა, ეროვნული ინტერესების ეფემერულმა დოგმებმა შესცვალა. ცვლილებები და დემოკრატიულობა გააგებულ იქნა ფეოდალური ბენეფიციუმის განკარგვის ამჯერად ღია და ლეგალურ ფორმად, რომლის „პრივატიზება“ მმართველმა ჯგუფებმა მთავარ მიზნად დაისახეს. სახელმწიფო საკუთრება წარმოების საშუალებებზე (ანუ ბენეფიციუმი) ახლა პარტიულად განიკარგება. და ამ მიზანს ემსახურება კანონების სუბიექტური გაგება, ანდა მათი მიღება „post factum“. ერთი სიტყვით, სახელმწიფო მანქანა მონაწილეობს საკუთრების განაწილების პროცესში, როგორც სუბიექტი. ნიშანდობლივია, რომ საკუთრების ხელშეუხებლობისა და საკრალურობის პრინციპის დარღვევის ფონზე მმართველ წრეებსაც არა აქვთ „პრივატიზებული ბენეფიციუმის“ სტაბილური მფლობელობის განცდა. შესანიშნავად იციან, რომ ყველაფრის მიუხედავად „პრივატიზებული საკუთრება“ დროებით მფლობელობაში აქვთ, ანუ იქამდე, სანამ ხელისუფლებაში არიან. აქედანვე მომდინარეობს პოსტსაბ-

ჭოთა სივრცისათვის ეგზომ დამახასიათებელი „ხელისუფლების პრივატიზებისადმი“ ლტოლვა.

ყველაზე საგანგაშო კი ის გარემოებაა, რომ მოსახლეობის „კოლექტიური ცნობიერება“ a priori ღებულობს ამ ვითარებას. ამგვარი მიდგომის შედეგია, რომ აი უკვე ოცი წლის განმავლობაში, დემოკრატიზაციის ღოზუნგებით გაბრუებული „პოსტსაბჭოთა მოქალაქეები“, რომელთაც არჩევანის უფლება მიიღეს, მაგრამ არ მოუპოვებიათ, შესაშური ერთსულოვნებით ირჩევენ არა სახელმწიფო მოღვაწეებს, არამედ ბელადებს, უფრო სწორედ კი პატრონებს, სხვა სიტყვებით გადაწყვეტილების მიმღებს, რომელთაგან ისევ პატრიმონიალური მენტალობიდან გამომდინარე ელიან სამსახურს, სოციალურ კეთილდღეობას. შესაშური ერთსულოვნებით ეძებენ ადგილს მზის ქვეშ, საკუთრების საკარგავი ინსტიტუტის საფუძველზე. ამიტომაც, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში საკუთრების გადანაწილება დღესაც არ დამთავრებულა, რომ ყოველი ახალი ხელისუფალი ხელახალ გადანაწილებას იწყებს...

ამდენად, როგორც ვთქვით პოსტსაბჭოთა სივრცისათვის დამახასიათებელი სოციალური კონფლიქტი არის ანტაგონიზმი არსებულ რეჟიმებსა და ინდივიდის უფლებებს შორის.

ხელახალი ფეოდალიზაციის პროცესი, სახელმწიფოს მართვა საკარგავის ინსტიტუტის საფუძველზე დასაბამს შევარდნაძის ხანიდან იღებს. სახელმწიფოს საკუთრება წარმოების საშუალებებზე ღენური პირობებით გადაეცემოდა მოხელეებს დროებით სარგებლობაში. პროცესი ცალსახად კაპიტალის დაგროვების ნიშნით მიმდინარეობდა. არისტოტელეს „ქრემატიკა“, რასაც იგი „ეკონომიკისაგან“ ასხვავებს, ბევრად უფრო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტერმინია ვიდრე ის, რაც იმ პერიოდის საქართველოში ხდებოდა. პირადი გამდიდრება სახელმწიფოს გადატაკების ხარჯზე. დღეს ამ ხანას დასავლელი პოლიტოლოგები „კლექტოკრატიად“ მოიხსენიებენ.

ამავე დროს იწყება მოსახლეობის ტოტალური სოციალური პოლარიზება. მოთხოვნილება საშუალო ფენაზე კი ისევ რუსულ-საბჭოური მეთოდით იქნა გადაწყვეტილი...

არასამთავრობო ორგანიზაციათა შექმნა, როგორც „მესამე სექტორისა“, მოდერნიზაციის პოლიტიკის შემოქმედთაგან ჩაფიქრებული იყო, როგორც მეტი დემოკრატიის მოთხოვნის ტრენდი ძირითადად ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებისათვის. მათი ფუნქცია ყველა მოქალაქის საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვა უნდა ყოფილიყო. სხვა სიტყვით იმ „ხერხელების“ ამოცხება, რასაც სახელმწიფო ინსტიტუტები ვერ ასწავლებდნენ. ძირეული განსხვავება ბურჟუაზიულ საზოგადოებასა და თანამედროვე არასახელმწიფო ორგანიზაციების მიერ შემოღებულ ტერმინს „სამოქალაქო საზოგადოებას“ შორის სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოება ბურჟუაზიული გაგებით, თავად აყალიბებს იმ სახელმწიფოებრივ წესრიგს, რომელიც ეროვნული სახელმწიფოს ადგილს იკავებს. მრავალი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დამკვიდრებული ტერმინი „სამოქალაქო საზოგადოება“ კი კონიუნქტურით არის ნაკარნახევი და არასამთავრობო ორგანიზაციების როგორც დამოუკიდებელი აქტიორების სახელმწიფოსთან ურთიერთობას გულისხმობს.

ამდენად, როდესაც სამოქალაქო საზოგადოება არ იხმარება ბურჟუაზიული საზოგადოების სინონიმად, საქმე ცნებების და ფუნქციების აღრევასა და კონიუნქტურასთან გვაქვს. ამან საქართველოში სპეციფიური ტრანსფორმაცია განიცადა, „ჩიტოყენ“-ის მოქალაქეობრივ უფლებებზე ზრუნვა „Homo Sovietikus“-ის წარმოდგენაში ინტელიგენციის ფუნქციასთან იქნა გაიგივებული. ანუ „არასამთავრობო სექტორი“ აღქმული იქნა საზოგადოებად. სხვა სიტყვებით, ინტელექტუალთა გარემოდ, რომელიც გაველენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. ამგვარმა მიდგომამ განაპირობა ზურაბ ჟვანიას პირმშოს – ქართული არასამთავრობო სექტორის უკიდურესი კონფორმიზმიც, განსაკუთრებით „ვარდების რევოლუციის“ მიჯნაზე.

სამოქალაქო საზოგადოების ცნებისა და მნიშვნელობის აღრევამ ქართველ პოლიტიკოსთა და ჟურნალისტთა ლექსიკონშიც კპოვა ასახვა. ისინი დღემდე ურევენ ცნებებს, ხმარობენ ერთსა და იმავე სიტყვას – „ცივილური“ – მაცივილიზებულის, ანუ ცივილიზებულის მნიშვნელობით

და „ცივილური“ – ქალაქურის მნიშვნელობით. ცნება სამოქალაქო საზოგადოება – ბურჟუაზიული მნიშვნელობით ქართულ საზოგადოებაში დღემდე ვერ დამკვიდრდა.

შეგარდნადის ხანაში მძვინვარე სოციალური უსამართლობა, ინდივიდუალური უფლებების აყრა, მოსახლეობამ საკმაოდ დიდ ხანს ითმინა. მედიაში არსებული თითქმის აბსოლუტური აზრის თავისუფლება მართალია ახდენდა გავლენას საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, მაგრამ საზოგადოებრივ აზრს არავითარი გავლენა არ ჰქონდა ყოფიერებაზე.

განვითარების ერთობის საფეხურზე მდგომი მოსახლეობა, რომლის სოციალური ქმედება ტრადიციულად მოტივირებულ ემოციებსა და საკუთრების დაკარგვის შიშს ემყარება, მოკლებულია ხელისუფლებაზე გავლენის ყოველგვარ ინსტრუმენტს. მოსახლეობის პოლიტიკური გავლენა საკუთარ ხელისუფლებაზე შესაძლებელია მხოლოდ იმგვარ პირობებში, როდესაც სოციალური ქმედების მიზანმიმართულობა რაციონალურად მოტივირებულ ინტერესთა თანხვედრას და ასევე მოტივირებულ ინტერესთა ურთიერთკავშირს ეფუძნება³⁷. სხვა სიტყვებით საზოგადოებრივ აზრს პოლიტიკური გამოხატვა და გავლენა მხოლოდ განვითარების საზოგადოებრივ დონეზე³⁸ მდგარ სოციალურ ერთობაში შეიძლება ჰქონდეს, რომელიც თავის მხრივ ხელისუფლებისაგან ეკონომიკურად დამოუკიდებელი ინდივიდების, – „გადასახადების გადამხდელებისაგან“, შესდგება.

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში საქართველოში ჩატარებული არჩევნები ცხადყოფს, რომ ყველა შემთხვევაში ქართველები არჩევნებს უკიდურესად ემოციურად და არა რაციონალურად ეკიდებოდნენ. ყველა შემთხვევაში ერთსულოვნად მისცეს ხმა, მაგრამ არა ვინმეს სასარგებლოდ, არამედ წინააღმდეგ. კომუნისტების წინააღმდეგ –

³⁷ Max Weber, *Wirtschaft und Gesellschaft*, Tübingen, 1922, გვ. 21-22.

³⁸ Ferdinand Tönnies, *Gemeinschaft und Gesellschaft*, Abhandlung des Communismus und des Sozialismus als Empirischen Culturformen, Leipzig, 1887, გვ. 289-303.

გამსახურდიას, გამსახურდიას წინააღმდეგ შევარდნაძეს, შევარდნაძის წინააღმდეგ სააკაშვილს... ალტერნატივა ყოველთვის ბოლოუამს ჩნდებოდა, არჩევანი უკვე დიდი ხნით ადრე იყო გაკეთებული, სადღაც სხვაგან, ინდივიდის ცნობიერების მიღმა... თითოეული ხელისუფალი თავისი ქმედებით, ნებისთა თუ უნებლიედ, გზას უხსნიდა შემცვლელს, ჩამნაცვლელს...

ამგვარი მიდგომის შედეგია უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე მოსახლეობის გამუდმებული გაუცხოვების გრძნობა სულ ცოტა ხნით ადრე თითქმის ერთსულოვნად არჩეული ხელისუფლების მიმართ. სხვა სიტყვებით, ხელისუფლების ლეგიტიმურად აღქმის პერმანენტული პრობლემა, რაც ინდივიდუალურ დონეზე შესაბამისად ეგოცენტრულ და არა რაციონალურ, სოციალურ ქმედებაში პოულობს ასახვას. ეს კი სხვა არაფერია თუ არა გამუდმებული სოციალური ანომია.

შევარდნაძის ხანისათვის დახასიათებელია: 1. საკუთრების მარქსისტულ-ფეოდალური გაგება. 2. მოქალაქეთა უფლებრივ – მოვალეობრივი ურთიერთკავშირის სუბიექტური გაგება ხელისუფლების მხრივ. 3. სამართლებრივი წესრიგის პრობლემა და სახელმწიფოს ჩარევა ინდივიდუალური საკუთრებისა და ინდივიდუალურ უფლებებში. 4. მმართველი პარტია მონაწილეობს საკუთრების ფორმირების პროცესში, როგორც სუბიექტი.

საკაშვილის ხანაში ეს პროცესი დასრულდა, მოხდა ბენეფიციუმის როგორც „Dominium directum“ „აპროპრიაცია“, სხვა სიტყვებით საკუთრების განაწილებაში მონაწილეობის მიღების პროცესი „ჩაიკეტა“ ე.ი ეხლა საქმე ეხება ხელისუფლების საშუალებებისა და საკუთრების მონოპოლიზაციას. „Dominium utile“ -ს განკარგვაც კი შეუძლებელია თავისუფლად.

ნიშანდობლივია, რომ მიუხედავად იმისა, რომ „ვარდების რევოლუციის“ გმირები და შემოქმედნი ე.წ. მესამე სექტორიდან, ე.ი სამოქალაქო საზოგადოებიდან იყვნენ წარმომავლობით, მათი ქმედების წესი კვლავ ორთოდოქსური ბოლშევიზმის ტყვეობაში დარჩა.

სააკაშვილის ხელისუფლება „დიად მიზნად“ ქვეყნის „მოდერნიზაციას“ აცხადებს. „ტრადიციულსა და საბჭოურ მენტალობას“ დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა. „ახალი ადამიანი“ ახალი საზოგადოების საწინდარი უნდა იყოს.

ამგვარი ღოზუნგები კაცობრიობის ისტორიას კარგად ახსოვს და ადამიანის დეჰუმანიზაციას მოასწავებს... ეს მათ შორის 1991 წ. დამარცხებული სისტემის ღოზუნგიცაა. მარქსმა დასვა საზოგადოების, მაგრამ არა პიროვნების საკითხი. ადამიანი მარქსიზმის თანახმად – საზოგადოების ფუნქციაა. ახალი საზოგადოებისა და ახალი ადამიანის შექმნაზე კი პრეტენზიას კომუნიზმი აცხადებდა. კომუნიზმი ადამიანს ახალი საზოგადოების ორგანიზების საშუალებად მიიჩნევდა და არა პირიქით საზოგადოების ახალ ორგანიზებას – საშუალებად ადამიანისათვის³⁹.

ამდენად – „ვარდების რევოლუცია“ თავისი შინაარსით საქართველოსათვის ვერანაირად ჩაითვლება წინადადგმულ ნაბიჯად, ვინაიდან ყბადაღებული დეკლარაციების მიუხედავად, შინაარსობრივად არანაირი სისტემური ცვლილებები არ მოჰყოლია. მეტიც, ეს კარგად ნაცნობი, ბოლშევიკური მოჯადოებული წრის ერთ ერთი, მხოლოდ შეფერადებული მონაკვეთი გახლავთ და მისი ანტისაბჭოთა რევოლუციად მონათვლა, მხოლოდ ეგზოგენური ფაქტორებით გამოწვეული მდარე ილუზიაა ლევ ტროცკის პერმანენტული რევოლუციის საერთო კონტექსტში.

თანამედროვე სოციოლოგიური მეცნიერება მოდერნიზაციას საზოგადოების, როგორც სოციალური სისტემის განვითარების შემდგომ ეტაპად მიიჩნევს. აქსიომაა – შეუძლებელია იმის მოდერნიზება, რაც არ არსებობს. უკეთ, რომ ვთქვათ **პოსტსაბჭოთა სივრცეში მოდერნიზაციად მხოლოდ გასაზოგადოების პროცესის დაწყება შეიძლება ჩაითვალოს.** ამ გარემოების იგნორირება კი ავტომატურად ანომიამდე მიგვიყვანს...

მოდერნიზაცია საქართველოს მთავრობას თავისებურად ესმის: 1. საყოველთაო ინგლისურის ცოდნა წერა-კით-

³⁹ იხ. Н.А. Бердяев, Истоки и смысл русского коммунизма, М. 1990, გვ. 79-83.

ხვის უცოდინრობის დაძლევადაც აქვთ წარმოდგენილი. 2. მრავალსართულიანი შენობების მშენებლობა – ურბანიზაცია. 3. ხელისუფლების დაბალ ეშელონებში კორუფციის აღმოფხვრა – “Good Governance“. 4 პოლიციის გამჭვირვალე შენობები – მართვის ტრანსპარენტულობა...

ამავე დროს მოდერნიზაციის ისეთი ნიშნები, როგორც საბაზრო და სოციალური ეკონომიკა, სამართლებრივი სახელმწიფო, მოქალაქეთა პოლიტიკური თანამონაწილეობა სახელმწიფოს მართვის პროცესში და სოციალური სამართლიანობა ადგილს ვერ პოულობდნენ.

მოკლედ რომ ვთქვათ, სოციალური პოლარიზაცია ბევრად უფრო გაღრმავდა, ვიდრე შევარდნაძის დროს.

მთავრობის თვალსაწიერიდან მოსახლეობა ორად იყოფა „თანამედროვენი“ და “ჩამორჩენილები“. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბენეფიციური სისტემის პირობებში „თანამედროვენი“ საგრძნობ უმცირესობას წარმოადგენენ.

მთავრობა ხალხს დასცილდა და ვირტუალური კომუნიკაცია და ვირტუალური რეალობა აირჩია. ავტორიტარული და ვირტუალური კომუნიკაცია კი მოდერნიზაციისათვის დამახასიათებელ მოსახლეობასთან უშუალო სიახლოვეს გამორიცხავს. უნდა ითქვას, რომ თანამედროვეობა ვირტუალური კომუნიკაციის მაგალითად ბერლუშკონის მმართველობის სტილს მიიჩნევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა კავშირის დაცემის შემდეგ, საქართველოს სამივე პრეზიდენტი მეტ ნაკლები წარმატებით ქვეყნის ავტორიტარული მმართველობის სტილს ირჩევს.

ერთი სიტყვით, „დამოუკიდებლობის“ ოცი წლის შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში და განსაკუთრებით კი უკანასკნელი 9 წლის მანძილზე დეკლარირებული რეფორმებისა და მრავალმხრივი განვითარების მიუხედავად საქართველოში ჯერაც არ არსებობს ეკონომიკურად დამოუკიდებელ მოქალაქეთა ფენა. ვერ შეიქმნა ეროვნული ბურჟუაზიის ჩანასახიც კი. სხვა სიტყვებით საქართველომ პოსტსაბჭოთა სივრცეში „უბიწოდ“ შეინახა თავი გამარჯვებული „დასავლური“ სისტემის გავლენისა და მისი დამკვიდრებისგან თავის ტერიტორიაზე.

კერძოდ კი „აღლოდურ თავისუფლებებს“ ისევ ებრძვიან. ახლა უკვე სტალინის დროს მიღებული ფიზიკური ანგარიშსწორებისაგან ბევრად განსხვავებული, თანამედროვე მეთოდებით. ეს უპირველეს ყოვლისა პიროვნების აბსოლუტური იგნორირება, მისი ეკონომიკური იზოლირება და ეკონომიკური განადგურებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ინდივიდი რჩება ყოველგვარი თვითრეალიზების საშუალების გარეშე. ეს კი უცილობლად სოციალურ დეგრადაციას, სოციალურ სიკვდილს იწვევს.

განსაკუთრებულად ნიშანდობლივია მთავრობის შიდა პოლიტიკა, რაც ფაქტობრივად რუსეთის შიდა პოლიტიკის ანალოგს წარმოადგენს. მთავრობის მიერ დეკლარირებულ დასავლურ ღირებულებებს უპირველეს ყოვლისა გამოხატვა მართვის დემოკრატიულ მოდელში უნდა ეპოვათ. ეს კი ეწინააღმდეგება მმართველობის დამკვიდრებულ ავტორიტარულ, ერთპიროვნულ, თვითნებურ და ერთპარტიულ სტილს. „დემოკრატიზაცია“ ბოლშევიზმის საუკეთესო ტრადიციებში იდეოლოგიად და საკრალურ მიზნად იქნა გამოცხადებული. თუმცადა, დღევანდელი ქართული პოლიტიკური ელიტის მესვეურთ მხედველობიდან მარტივი ჭეშმარიტება რჩებად. კერძოდ კი ის გარემოება, რომ დემოკრატია იდეოლოგია არ არის. ეს მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების საშუალებაა ბურჟუაზიული საზოგადოებების მიერ დამკვიდრებული სოციალური წესრიგის პირობებში⁴⁰.

ჩვენის დრმა რწმენით, ქართველ ინტელექტუალთა კვლევის ძირითად საგანს იმ მიზეზების დადგენა და შესწავლა უნდა წარმოადგენდეს, რამაც განაპირობა საქართველოს სამივე პრეზიდენტის მიერ ავტორიტარული მმართველობის არჩევანი; საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შესწავლა თანამედროვე სამყაროს დინამიკისა და განსაკუთრებით კი რუსეთის საზოგადოებრივი პრობლემების ფონზე.

⁴⁰ Friedrich A. von Hayek, Die Verfassung der Freiheit, J.C.B.Mohr (Paul Siebeck), Tübingen, 1991, გვ. 125-127

დაბოლოს არანაკლებ მნიშვნელოვანია ბოლო ოც-
წლეულის დამოუკიდებელი მმართველობის შედეგის – რე-
ალური სოციალური ვითარების გაანალიზება, რაც, ჩვენის
აზრით, **ერთმნიშვნელოვნად დეზინტეგრაციის პროცესად
და სოციალურ ანომიად უნდა იქნას შეფასებული.**

ძირითადი კითხვა კი ალბათ ასე შეიძლება იყოს
ფორმულირებული, რამ განაპირობა მოდერნიზაციის მქა-
დაგებელი რეფორმატორი მთავრობის მიერ გასაზოგადოე-
ბის პროცესის უგულვებლყოფა და შიში ეროვნული ბურ-
ჟუაზიის წინაშე?

დღევანდელი ინტელექტუალები კი გატაცებულნი
არიან კამათით საქართველოში ნეოლიბერალიზმისა თუ
სოციალ-დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების
თაობაზე. სამწუხაროა, რომ ისინი აბსოლუტურად უგულე-
ბელყოფდნენ იმ ანბანურ ჭეშმარიტებას, რომ ევროპული
სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია ლიბერალურ სახელ-
მწიფოებში აღმოცენდა, ხოლო ნეოლიბერალიზმი კი welfare
state ე. ი. **უზრუნველყოფილი სახელმწიფოების** პრობლე-
მებს ასახავს; რომ ორივე შემთხვევაში საფუძველი, შემოქ-
მედებითი და აღმშენებლობითი ძალა სწორედ ბურჟუაზიუ-
ლი საზოგადოების მიერ დამყარებული სოციალური წეს-
რიგის პირობებში დევს. ამრიგად, ჩვენი ინტელექტუალები-
სათვის ეგზომ მომსიბვლელი ახალი ტერმინოლოგია რომ
ვიხმართ, დღევანდელ საქართველოში გასაზოგადოების
პროცესის გაუთვალისწინებლად სოციალური დემოკრატი-
ისა თუ ნეოლიბერალიზმის მიხედვით სახელმწიფოს მოწ-
ყობის მცდელობა „ნეოლენინიზმი“ იქნება. ეს გზა კი აი
უკვე ოცი წელია, რაც შეცდომად იქნა მიჩნეული....


ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ მოდერნიზების პოლი-
ტიკა, რომელიც დემონსტრირებულად ტლანქად, სოციალუ-
რი გრძნობების გათვლვის ხარჯზე იწარმოება, განწირუ-
ლია წარუმატებლობისათვის. მოსახლეობაში ჩნდება ეჭვი
მოდერნიზების პოლიტიკის პროგრესულობაში, რაც თავის
გამოხატვას ამგვარი პოლიტიკის კრიტიკასა და მიზანშე-
წონილობის კითხვის ქვეშ დასმაში პოულობს. შედეგები
მრავალგვარი შეიძლება იყოს – ნიჰილიზმიდან ფუნდამენ-
ტალიზმამდე...

საქართველოს შემთხვევაში მოდერნიზაციის პოლიტიკის კრახი უცილობლად გაამწვავებს არსებულ სოციალურ დეზინტეგრაციას, რაც დიდი ალბათობით რეგიონალური დეზინტეგრაციის პროცესის გაგრძობაში შეიძლება გამოვლინდეს.

D. PAITSCHADSE

**TO THE PROBLEMS OF GEORGIAN CONTEMPORARY
HISTORY**

The article is an attempt of critical analysis of Georgian latest history for last 20 years, since the break-up of the USSR. Developing processes unambiguously are assessed as processes of political and social disintegration. On the basis of empirical look-out and comparative analysis, as well as using method of qualitative and quantitative generalization, this work endeavours to explain the reasons for the deficiency of socialization and the presence of social and regional disintegration in modern Georgia.



АЛЕКСАНДР ДАУШВИЛИ

ВРАТЬ НАДО МЕНЬШЕ... НАДО МЕНЬШЕ ВРАТЬ!...

Передо мной лежит довольно объемный опус Александра Широкограда о Грузии¹, выпущенный солидным тиражом на превосходном полиграфическом уровне.

После прочтения подобных сочинений невольно приходят на ум слова героя гениального фильма Эльдара Рязанова Жени Лукашина, которые он бормочет, притопывая на морозе посреди заснеженной ленинградской улицы: «Пить надо меньше... Надо меньше пить!...» – только в перефразированном виде: «Врать надо меньше... Надо меньше врать!...»

Вообще, стоит ли комментировать творение, в первом же абзаце которого автор позволяет себе допустить три грубейшие фактические ошибки? Может ли заслуживать доверия книга, буквально с первых строк вводящая читателя в заблуждение? Читаем: «Откуда взялись грузины? Прежде чем ответить на этот вопрос, следует заметить, что в образованную в 1936 г. Грузинскую ССР вошли несколько народов и народностей. А само название «Грузия» появилось лишь в XVI веке. Однако для удобства читателей я буду условно называть территорию, на которой в 1936 г. искусственно создали Грузинскую ССР, Грузией»².

Таким образом, автор бесстыдно доказывает, что Грузинская ССР была образована в 1936 году, что понятие «Грузия» возникло только в XVI веке и что именно в 1936 году искусственно создали Грузинскую ССР.

Весь этот абзац ложь: во-первых, Грузинская ССР была образована (официально была провозглашена) 25 февраля 1921 года (вспомним знаменитую депешу С. Орджоникидзе Ленину-Сталину, завершающуюся пафосными словами: «...Да здравствует Советская Грузия!»)

Во-вторых, как политический термин Грузия упоминается грузинскими летописцами уже начиная с IX-XI веков.

И в-третьих, в 1936 году не Грузия была искусственно создана, а распалась искусственно созданная Закавказская Федерация, и Грузия непосредственно вошла в состав СССР.

Таким образом, уже с первых строк опуса автор предлагает читателю путешествие в царство лжи. Критиковать такое творение – дело неблагодарное и трудное, поскольку безошибочно чувствуешь, какими «правилами игры» руководствуется его создатель, а эта книга весьма далека от научного труда, который может стать предметом серьезного научного анализа.

С каждой последующей страницей все больше убеждаешься в том, что наш автор избрал методологически устаревший (во всяком случае, нам так казалось!), самый реакционный и порочный прием советской историографии – во что бы то ни стало доказывать, что черное – это белое, а белое – это черное.

В этой мысли меня укрепило следующее утверждение автора книги: «Начну с того, что область Самцхе-Джавахети армяне называют Джавахк. И уже из этого следует, что территория сия армянская»³.

Разве может мыслящий подобным образом человек называться ученым? Разве имеет право ученый в такой форме обосновывать свое заключение? То, что русские называют Дальним Востоком, вполне вероятно китайцы, японцы или монголы обозначают по-своему, неизвестным нам специфическим термином. Разве только на этом основании мы можем утверждать, что указанная территория является китайской, японской или монгольской? Ведь это полный абсурд! К сожалению, у нас, историков, нет профессиональной клятвы, такой, как клятва Гиппократа у медиков, – например, клятвы Клио, – чтобы раз и навсегда соавтором наших трудов была совесть, а не доктрина, диктуемая идеологическими спецорганами.

Я не собираюсь рассматривать состряпанную г-ном Широкоградом версию древней, средневековой и новой истории Грузии с точки зрения научной критики. Тут настолько старательно перемешаны правда с ложью, что поистине надо быть сказочной Золушкой, чтобы суметь, как горошины, отделить их друг от друга. К тому же по истории Грузии средних веков существует ог-

ромное количество серьезных научных работ грузинских историков, в которых дается должный ответ на подобные измышления (см. настоящий сборник, труды М. Самсонадзе, А. Бендианишвили, З. Папаскири и др.).

Я хочу коснуться только одного сегмента новейшей истории Грузии – главной сферы моей исследовательской работы, – который фальсифицирован «уважаемым коллегой» не меньше истории средних веков.

Как я уже говорил выше, насколько правомерно спорить с человеком, пишущим о новейшей истории Грузии и не знающим, что Грузия была насильно советизирована 25 февраля 1921 года, а не в 1936 году. Но, видимо, это все-таки имеет смысл: мы приведем архивный материал (в том числе из российских архивов) с тем, чтобы разоблачить нашего автора, который, в угоду имперским интересам, идет на компромисс с профессиональной совестью и предлагает неадекватную интерпретацию исторических явлений и фактов.

Начнем с того, что цель книги – оправдать российскую агрессию в отношении Грузии в августе 2008 года и показать читателю, что на протяжении веков ни Абхазия, ни Осетия не имели ничего общего с Грузией, что грузины перманентно угнетали абхазов и осетин и что, если бы не военная поддержка России, эти древнейшие государства, существовавшие в Закавказье задолго до Грузии, когда последней не было и в помине (по утверждению автора, она возникла только в XVI веке), давно уже были бы стерты с лица земли.

Начнем по порядку.

Примечательно, что г-н Широкоград почему-то ничего не говорит о драматических коллизиях русско-абхазских отношений в последней трети XIX века, когда из-за протурецких настроений и антирусских выступлений император Александр II (Освободитель) приклеил к абхазам ярлык «виновного населения (народа)» и запретил им жить в городах, служить в российской армии, – им не доверяли. Тысячи абхазов были вынуждены покинуть родной край и переселиться в Турцию (мухаджирство). И в эту пору лихолетья спасителями и покровителями абхазам опять-таки явились грузинские братья. Известно, что к епископу Абхазии Александру Окропиридзе перед отправлением на чужбину при-

шел некий абхаз Урус с просьбой: «...не знаю, что ждет меня в чужом краю, но все же покидаю родину. Не хочу свои невзгоды взваливать на единственного сына... Знаю, примешь его, воспитаешь в Христовой вере, и будет он счастлив»⁴. Подобных фактов было немало. Грузины нередко протягивали руку помощи своим абхазским собратьям, брали под свой кров их детей, растили христианами, внушали любовь и уважение к вековым традициям дружбы и братства грузинского и абхазского народов.

От внимания читателя не ускользает то обстоятельство, что в столь просторном и объемном труде автор избегает демографической статистики. Он повествует об Абхазии и Южной Осетии так, что у читателя создается впечатление, будто это большие государства, а не территории, включающие всего несколько маленьких районов. При этом автор почему-то забывает детали, как то: какова была численность населения в этих краях в разные периоды истории, например, в начале XX столетия, в 1921 году и в последующий период? Жили ли тут одни только абхазы и осетины?...

Это и понятно: освещать вопросы демографии автору не выгодно, поскольку в Абхазии всегда превалировало грузинское население. Хотя абхазские историки-сепаратисты и их русские приспешники хотят представить местных грузин (мегрелов) негрузинами, но и тут мне приходит на ум некогда популярная, а ныне забытая большевистская догма, вернее ее перефразированный вариант: «Мы говорим мегрел – подразумеваем грузин, говорим грузин – подразумеваем мегрел». Это такое же нераздельное понятие, как религиозный догмат, – хотят того наши «доброжелатели» или нет.

В 1906 году в Абхазии проживало 3 419 русских, 40 978 абхазов, 53 660 грузин, 4 946 греков, 6 313 армян и т. д.⁵; согласно переписи 1926 года, население Абхазии составляло 186 004 человека, из них абхазов было 56 847, а грузин – 73 445⁶. Таким образом, уже в ту пору грузины составляли демографическое большинство края, поэтому совершенно законными являются их социальные, политические, культурные и правовые требования. Но непременно следует учесть одну демографическую особенность: в отличие от тех же осетин, абхазы преимущественно были сконцентрированы в одном регионе Грузии – Абхазии, в остальных

уголках страны (например, в Батуми, Тбилиси, Гори, Лагодехи) их проживало единицы.

Иная демографическая картина наблюдалась в Грузии у осетин. Численность осетин в Шида Картли, где они проживали компактно, равнялась приблизительно половине всех проживающих в Грузии осетин. Согласно переписи 1926 года, в Грузии в целом проживало 113 тысяч осетин, из них только 60 тысяч – на территории так называемой Южной Осетии, да и то относительно компактно – в Джавском районе. Остальные осетинские села соседствовали с грузинскими и располагались в основном в неприступных горных районах, где жизнь всегда была тяжела. В 1926 году ЦК КП Грузии принял постановление, в силу которого перенаселенные осетинские деревни было расселены на плодородных землях Тирифонской долины, где они оказались в гораздо более благоприятных условиях, – грузинское правительство выделило им лучшие угодья. До революции осетины были хизанами (пришлыми батраками) князей Мачабели; после отмены крепостного права, получив в собственность по «милости самодержавия» земельные наделы, они сразу же встали на службу местной царской администрации – работали стражниками и полицейскими; значительная часть осетин содержала себя за счет грабежа соседского (грузинского) имущества и систематических разбойных набегов на семьи грузин. Эта традиция осетинского быта, продиктованная спецификой горской жизни, не раз становилась предметом критики самой осетинской интеллигенции. Так, Коста Хетагуров писал: «Во время *особа* (осетинщины. – А. Д.) ограбление осетина осетином даже не было предусмотрено обычным правом. Но делать набеги на перевалы и грабить инородцев ставились в заслуги»⁷.

Поскольку до революции этот край Грузии был очень отсталым, местное постоянно нуждавшееся население явилось благодатной почвой для насаждения социалистической идеологии, тем более левого, большевистского толка. Поддавшись большевистской пропаганде, в 1918-1921 гг. осетины не раз устраивали вооруженное восстание против демократической Грузии.

В период торжества коммунистической идеологии и марксистско-ленинского учения, разумеется, подобные «старания» осетин (равно как и грузинских большевиков) приветствовались

советским руководством, не скупавшимся на щедрое вознаграждение (благодарственные грамоты, материальное поощрение, партийные привилегии, карьерное продвижение и т. п.). Но сегодня, когда в самой России признают, что Октябрьский переворот был той трагедией, которая негативно повлияла на весь дальнейший ход российской истории, которая сбила страну с магистральной линии демократического развития и ввела ее в тупик, – разве можно с нынешних позиций опять позитивно оценивать исторические факты и явления, приемлемые для канувшей в Лету большевистской диктатуры?

Непременно следует подчеркнуть, что с сегодняшней точки зрения действия грузинских меньшевиков, представлявших собой органическую часть мирового демократического движения (об этом громогласно заявляли приехавшие в 1920 году в Тбилиси лидеры II Социалистического Интернационала: Каутский, Вандервельде, Сноуден и проч.) и самоотверженно боровшихся с «красной чумой», которую они, однако, не смогли победить, были совершенно правомерными. Это значит, что руководство тогдашней Грузии действовало исключительно на законных основаниях, подавляя противоправные выпады той части населения Грузии (как негрузинского – абхазского или осетинского, так и собственно грузинского), которое, попав под влияние лжеидеологии большевизма, требовало введения на территорию суверенной республики частей российской Красной Армии и абсолютно незаконно объявляло свои города и сёла находящимися под покровительством коммунистической России, творя в них произвол и бесчинства. Именно для подавления подобных мятежей, нейтрализации всякого рода криминальных элементов и пресечения антидемократических и антигосударственных происков в разные регионы страны – Мегрелию, Сванети, Душетский уезд и др., – а не специально только в населенную осетинами Шида Картли (как это хотят представить многие русские и осетинские авторы), были направлены отряды грузинской Народной гвардии.

Таким образом, исходя из современной исторической реальности борьба против большевизма, против его агентурной сети и подрывной деятельности должна рассматриваться как

положительное историческое явление. К сожалению, эта борьба потерпела крах как в Грузии, так и в России.

Эту истину мы осознали только спустя 70 лет. А до того, 25 февраля 1921 года в Грузии, при активной поддержке грузинских коммунистов, российская 11-я Красная Армия насильно установила власть Советов.

Г-н Широкоград пытается по-своему интерпретировать указанный факт. Видите ли, Грузия находилась в тяжелейшем экономическом положении, и ей «спасительницей» явилась военная сила коммунистической России⁸.

В том, что у молодой Грузинской Демократической Республики были проблемы в сфере экономики, – в этом нет ничего удивительного. Шла Первая империалистическая война. Вся Европа была охвачена кризисом. Распались традиционные экономические контакты между Грузией и ее соседями. Все это не могло не сказаться на экономическом положении страны, беспокоившем не только рядовых граждан, но и прежде всего ее руководство, которое намечало конкретные пути преодоления кризиса. Но нам непременно следует обратить внимание читателя на один факт. В 1921 году, когда российские войска заняли Грузию, николаевский золотой рубль равнялся 100 тысячам грузинских бон (денежная единица Демократической Республики Грузия), 750 тысячам рублей Советского Азербайджана и Советской Армении и, что главное, 500 тысячам российских советских рублей⁹. Таким образом, грузинская бона была в 5 раз тверже тогдашней российской валюты, в 7,5 раз тверже армянского и азербайджанского рубля. Обесценение грузинских денег (боны) начинается после советизации Грузии, и этот процесс продолжался вплоть до 1924 года – до введения в оборот советского червонца.

Автор хочет представить дело в таком свете, будто после советизации Грузии сюда хлынули доверху забитые эшелоны с помощью из России. Но он забывает, что 1921 год (и последующий период) для самой России был тяжелейшим: страна обнищала, повальный голод охватил Поволжье, где даже имели место случаи каннибализма, – в 1923 году Политбюро ЦК РКП (б) специально рассматривало вопрос об этом чудовищном явлении¹⁰. Поэтому на указанном этапе Россия могла ввести в Грузию разве

что военные силы, да и тех она содержала за счет только что советизированных республик¹¹.

Так что, можно сказать, находившейся в такой сложной ситуации России, напротив, помогали покоренные страны. Автор вспоминает – и это очень хорошо – о помощи, отправленной в Россию из Абхазии (хотя не конкретизирует, в чем она состояла). Он забывает о нагруженных продовольствием эшелонах, шедших потоком из Грузии в Россию, о том, сколько голодающих людей и особенно беспризорных русских детей – около 2-х тысяч – приютила тогда наша республика. Только в сентябре-декабре 1921 года в Грузии было собрано 2 717 693 277 рублей для голодающего и обездоленного населения России. В 1925 году Абхазия послала в Москву 1 000 пудов лаврового листа¹². Продовольственную помощь России Грузия не раз оказывала и в дальнейшем.

Далее автор уверенно заявляет, что грузинские историки глубоко заблуждаются, говоря об антисоветских волнениях в Грузии в первые годы советизации. Он утверждает, что это были лишь немногочисленные «бандитские выступления» и что большинство населения Грузии лояльно встретили советскую власть¹³.

Этот тезис г-на Широкограда в корне ошибочен. По признанию лидеров грузинских большевиков (М. Орахелашвили): «В Грузию... мы ворвались на штыках...»¹⁴. Насажение советского режима вызвало серьезный протест демократических слоев грузинского общества, и не только отдельные группы, но и целые края Грузии восстали против большевистской диктатуры. Часты были столкновения с регулярными частями Красной Армии, нередко завершавшиеся победой мятежников. Автор пытается умалить значение Сванетского восстания, но массовые антисоветские выступления жителей этого края остаются неоспоримым историческим фактом (1921-1922 гг.). Повстанцы планировали даже захватить Кутаиси и своими отчаянными действиями вынудили советское руководство пойти на компромисс: оно выполнило все требования восставших сванов¹⁵.

Еще более циничным является суждение автора о восстании 1924 года. Хотя в последние годы в кругах грузинских ученых укореняется мнение о том, что это восстание было спровоциро-

вано советским руководством с тем, чтобы выявить центры освободительной борьбы и лидеров национального движения, чтобы подавить стремление грузинского народа к свободе и независимости и насадить синдром страха, но это все же не меняет суть восстания и его масштабы. Утверждение автора о том, что отряд Какуцы Чолокашвили насчитывал всего несколько сот членов, не соответствует действительности. Антисоветские группы были созданы в Имерети, Гурии (особенно много), Мегрелии и других регионах. О масштабах восстания свидетельствует тот факт, что только в первые дни его ликвидации большевики расстреляли около 1 000 представителей грузинского дворянства – лучший цвет, генофонд нации! В Чиатура прямо в вагонах расстреляли значительную часть арестованных повстанцев, сотни самоотверженных борцов за свободу Грузии были сосланы в Сибирь. Абхазы и осетины не участвовали в этих выступлениях, более того, они помогали коммунистам в подавлении мятежа.

О размахе и значимости восстания говорит и то обстоятельство, что вопрос о нем стал предметом специального обсуждения на октябрьском пленуме ЦК РКП (б) 1924 года. В дискуссии принимали участие С. Орджоникидзе, И. Сталин, Л. Троцкий и другие партийные лидеры. Было принято даже специальное постановление по данному вопросу¹⁶.

Таким образом, и в указанном вопросе г-н Широкоград проявляет некомпетентность, прибегая к явной фальсификации фактов.

Между прочим, автор касается вопроса территориального устройства Грузии и пытается доказать, что «представители Армении присоединение Джавахка к Грузии считали произволом Москвы» и что якобы под давлением Москвы (читай: Сталина) «Джаваха был передан Советской Грузии»¹⁷. Тут дело представлено так, будто «Джаваха» – некая «спорная» территория, «судьба» которой под агрессивным напором Москвы (Сталина) была решена в пользу Грузии.

В данном случае нам придется встать на «защиту» центрального партийного руководства, поскольку утверждение автора совершенно не правомерно, – на данном этапе Кремль не проявлял к вопросу Джавахети никакого интереса. На заседании Кавбюро Сталин не зафиксировал в связи с указанным вопросом

своей позиции – в этом нетрудно убедиться, ознакомившись с соответствующими протоколами и материалами Кавбюро, хранящимися в Москве, в Государственном архиве социально-политической истории: они не дают основания для подобных утверждений.

Территория Джавахети с незапамятных времен принадлежала Грузии. И при царской России она входила в Тбилисскую губернию, и в период Грузинской Демократической Республики была неотъемлемой частью страны. Это историческая грузинская земля, население которой, начиная с XIX века, хотя и было преимущественно армянским (их заселило сюда российское имперское руководство), но экономически этот регион всегда был тесно связан с Тбилиси и с остальной Грузией. Если Джавахети являлся исконно «армянским» краем, то откуда здесь взялся центр с бесспорно грузинским топонимом «Ахалкалаки»?

Только в XX веке сначала у лидеров дашнаковского государства, а потом у руководства Советской Армении возникло желание присвоить эти земли. Правительство Армении поставило этот вопрос перед Кавбюро. Ситуация настолько обострилась, что Серго Орджоникидзе, не согласовывая с Политбюро, срочно вызвал в Тбилиси Сталина. Основным вопросом на заседании Кавбюро проходил вопрос о Карабахе, решившийся в пользу Азербайджана. Армении была передана историческая область Грузии – нейтральная зона Лорэ. Но по поводу Ахалкалакского и Храмского районов на Кавбюро никакого решения принято не было – этот вопрос должно было рассмотреть и решить партийное руководство Грузии.

Мотивация армянской стороны была прямо-таки поразительна (обратите внимание!): она просила эти территории «для расселения беженцев и вынужденно перемещенных лиц» и считала, что, «если ее соседи пойдут на подобную территориальную уступку, это обстоятельство в дальнейшем создаст основу для интернационального братства»¹⁸.

Таким образом, в документальных материалах отчетливо зафиксировано требование Армении: Грузия и Азербайджан должны передать ей (читай: заведомо потерять) свои территории для расселения армянских беженцев. Политбюро ЦК КП (б) Грузии, которому Кавбюро передало на рассмотрение данный вопрос,

приняло постановление: «Из политических соображений и на основании того, что Ахалкалакский район экономически связан с Тбилиси, считать предложение Армении неприемлемым»¹⁹.

Из всего сказанного следует, что Джавахети был *не передан* Грузии, как неправомерно утверждает г-н Широкоград, а *находился* в пределах Грузии и *остался* за прежним законным владельцем, то есть в составе Грузии. Автор бесстыдно лжет. Ведь из фактического материала явствует, что армянская сторона просит грузинскую (и не только грузинскую) сторону уступить ей территории для расселения там своих беженцев. После учиненной в Турции массовой расправы над армянами, потоки армянских мигрантов ринулись в Закавказье, так что их расселение, обеспечение работой и всем необходимым представляло собой неотложную задачу местных властей. Грузия по своей воле и в знак добрососедства приняла многих армянских беженцев, предоставив им жилье в различных уголках страны (в том числе в Тбилиси, Абхазии, Джавахети и т. д.).

Вернемся к абхазам и осетинам.

Автор не скупился на добрые слова в адрес руководящих партийных работников Абхазии и Южной Осетии, к которым якобы Сталин, Берия и Орджоникидзе всегда относились с неприязнью, на которых они всегда оказывали давление, результатом которого и явился «особый союзный договор» между Грузией и Абхазией²⁰.

Что можно возразить автору? Обратимся к статистике численности партийных организаций Грузии. До революции большевистская организация Грузии насчитывала всего 9 000 членов, из них только 3 по национальности были абхазами. В 1923 году парторганизация Абхазии насчитывала 389 коммунистов (тогда как парторганизация Озургетского уезда объединяла 1 352 члена), из них абхазов было всего 39, грузин – 157, русских – 136 и т. д.²¹.

Таким образом, исходя из ленинских принципов демократического централизма, абхазские лидеры не имели права не прислушиваться к мнению грузинских и русских коллег и не могли принимать самостоятельные решения, поскольку в партийной организации они составляли меньшинство (принцип подчинения меньшинства большинству). Мы не собираемся рассуждать на

тему, почему абхазов в парторганизации было подавляющее меньшинство, если они так «боготворили» русских, ведь лучшим средством выражения прорусской ориентации тогда было вступление в ряды коммунистической партии?

Правда состоит в том, что в то время абхазы были социально и политически пассивны (такими они были и в период революции 1905 года, благодаря чему российский император снял с них клеймо «виновного народа»). Разумеется, в абхазской коммунистической организации, которая фактически управляла регионом, должна была быть полная демократия, то есть в партийном руководстве должны были быть как грузины, так и русские и представители других национальностей. В Абхазии же дело обстояло иначе. На пленумах Абхазского окружного комитета абхазские большевики часто требовали равноправия, ставили вопрос о дискриминации кадров по национальному признаку (на III пленуме ЦК КП (б) Грузии в 1926 году была приведена такая статистика: на 150 руководящих должностях Абхазии было назначено грузин – 18, армян – 4, греков – 1, все остальные были по национальности абхазами)²².

Часть партийного руководства Грузии считала, что правомернее было найти компромисс с абхазскими лидерами, идя им на уступки и закрывая глаза на некоторые принципиальные вопросы. Известный грузинский большевик А. Гегечкори заявлял на партийном форуме: «Люди думают, что, поскольку в Абхазии 42 процента мегрелы (грузины. – А. Д.), им предстоит выполнить определенную миссию. Тогда возникает вопрос – для чего нужна Абхазская республика?»²³.

Подобный подход воодушевлял абхазскую этнократию, которая становилась все напористее в своих требованиях, и способствовал появлению признаков апартеида, что в дальнейшем приняло уродливые формы и нанесло серьезный ущерб кадровой политике Абхазии.

Надо заметить, что сами абхазские лидеры, апологетом которых выступает г-н Широкопад, не отличались безупречным знанием марксистско-ленинской догматики и не особо соблюдали принципы коммунистического сожительства. В московском Государственном архиве социально-политической истории мне попался на глаза документ, составленный в 1921 году агентом

ЧК, – детальная характеристика абхазских партийных и советских руководителей. Приведу его полностью: «Эшба – очень гуманная личность, вследствие чего легко поддается чужому влиянию. К вопросам советского строительства тов. Эшба подходит не совсем с коммунистических позиций. Сам он не князь и не бюрократ, но против них не борется и скоро сам станет таковым...

Лакоба – узкий дуалист, своеобразный коммунист. Он всеми своими действиями противоречит интересам III Коммунистического Интернационала – разговаривает с арестованными меньшевиками, здоровается за руку и даже ведет с ними дружескую беседу. В меньшевистское время он был комиссаром в Очамчире. Я не могу назвать его коммунистом.

Акиртава – не замечен в порочащих его связях с меньшевиками...

Цагурия – занимает четвертое место в строительстве Советской власти. Он узкий национал-шовинист, в сговоре с буржуазией, князьями. Старается назначать на ответственные посты контрреволюционеров, социал-соглашателей. Во главе Революционного трибунала он поставил бывшего контрреволюционера Маргания, освободил из-под ареста Ясона Маргания, который убил коммуниста.

Глава Абхазского ЧК Дамения слаб из-за отсутствия знаний»²⁴.

Таким образом, очевидно, что: 1) партийными и советскими руководителями Абхазии были только абхазы (среди перечисленных лиц нет ни русских, ни грузин, ни армян, ни греков); 2) исходя из большевистских принципов, ни один из них не является «настоящим коммунистом».

Как видно из документа, абхазские коммунисты явно не отличались симпатиями к русским соратникам, более того, они выражали серьезное недовольство по поводу военного присутствия России в Абхазии и не скрывали этого. По сообщению информатора, народный комиссар внутренних дел Абхазии «грубым тоном заявил вытряхнуться из Абхазии» представителю Кавказской армии, и тот незамедлительно написал жалобу в Москву²⁵.

Абхазские лидеры не отличались покорностью и тбилисскому руководству. Они нарушали устав партии, все писанные и неписанные законы коммунистического сожительства. Так, они отказались от торжественного празднования годовщины советизации Грузии (25 февраля), из-за чего заслужили выговор Центра²⁶.

Таким образом, уже начиная с 1921 года в Абхазии предпринимались попытки установления единоличного господства абхазской политической элиты, без учета интересов других проживающих здесь этносов: грузин, русских, армян, греков. Как мы отмечали выше, против этих попыток абхазской этнократии выступали местные коммунисты, разворачивались серьезные дебаты на съездах и пленумах ЦК КП (б) Грузии. Но одна группа коммунистов Грузии всегда придерживалась лояльной, компромиссной политики в отношении абхазов, которая, в конечном счете, не оправдала себя и во многом способствовала формированию в Абхазии апартеидского режима.

Теперь коснемся вышеупомянутого «особого союзного договора». Как утверждает автор, этот договор явился следствием «большого давления со стороны Сталина и Орджоникидзе»²⁷. Как и в других случаях, и здесь г-н Широкопад не указывает источник, что, по всей видимости, говорит о «фольклорном» или «авторском» происхождении этого сведения. В действительности дело обстояло следующим образом: после оккупации войсками Советской России города Сухуми 28 мая 1921 года I съезд трудящихся Абхазии (хочу обратить внимание читателя на то обстоятельство, что в первые годы после насильственного установления советской власти значительная часть населения была лишена права голоса; вместе с тем, большевиков не особенно беспокоила проблема легитимации выборов, съездов и собраний: они собирали группы рабочих и беднейших крестьян – своих сторонников, называя подобное массовое мероприятие «съездом») рассмотрел вопрос о советском строительстве и декларировал независимость Абхазской Советской Социалистической Республики. В резолюции, принятой по национальному вопросу, говорилось: «...Съезд трудящихся Абхазии выражает твердую волю к самому тесному союзу и братству трудящихся всех советских республик и в первую голову с наиболее близкими по культуре, по экономи-

ческому и географическому положению и быту рабочими и крестьянами Советской Грузии»²⁸.

16 декабря 1921 года между Советской Социалистической Республикой Грузии и Советской Социалистической Республикой Абхазии был заключен военный, политический и финансово-экономический договор (союз), на основе которого были объединены многие ведомства и народные комиссариаты этих двух республик, как то: комиссариаты военный, финансовый, народного хозяйства, почты и телеграфа, юстиции, морского транспорта, Чрезвычайная комиссия, рабоче-крестьянская инспекция. Подобные договоры между коммунистической Россией и ее сателлитными режимами тогда были трафаретными. И в данном случае применили этот трафарет, в соответствии с которым объединили большинство народных комиссариатов. Таким образом, определенная часть суверенитета Абхазской ССР согласно договору уже была передана Грузинской ССР.

Теперь относительно пресловутой «независимости». Почему-то работающие над этой темой и спекулирующие ею авторы не осознают, почему у Абхазии должен был быть такой привилегированный статус, за какие заслуги? Почему такого статуса не было у многомиллионного Татарстана, или у Чувашии, или у народов Средней Азии – имеющих древнейшую цивилизацию узбеков, таджиков, туркмен и других, которые входили в РСФСР на правах Туркестанской автономии и о независимости которых тогда никто не думал? Почему?

На этот вопрос Н. Лакоба, к которому часто апеллирует г-н Широкоград и которого он возводит в ранг чуть ли не национального героя Абхазии, дает такой ответ: «Вопрос о независимости Абхазии зародился в 1921 году, сейчас же после советизации Абхазии. Вопрос о независимости выдвигался мною и Эшба. Мы ...доказывали, что такая независимость в интересах создания немедленной советской власти в Абхазии, но такая независимость нужна как **вывеска** (выделено нами. – А. Д.)... В Абхазии постановка вопроса о том, что она действительно независима и что куда-то хочет уйти вне Грузии, приведет к тому, что Абхазия, как картонный домик, ...распадется»²⁹.

Таким образом, сам инициатор и проводник независимости Абхазии официально заявляет, что эта независимость была всего

лишь «вывеской», необходимой для того, чтобы облегчить советизацию Абхазии. Если вспомним пункты договора 16 декабря, станет очевидным, что Абхазия фактически с самого же начала владела статусом автономии, а абхазы публично заявляли о своей независимости (тут мы имеем дело с присущей советской власти чертой, когда думают одно, говорят другое, а делают третье). Но разве при советском коммунистическом строе был кто-либо независим? Разве были реально независимы Россия, Грузия, Азербайджан? Другие республики?

Нынешние абхазские, осетинские, русские историки, видимо, очень скоро запамятовали основную определяющую особенность советской политической системы: республиками, Советским Союзом управляла не советская структура, а единая, целостная и неделимая коммунистическая партия, а точнее Политбюро Центрального Комитета – сначала РКП (большевиков), затем ВКП (б) и, наконец, КПСС. Советский Союз являлся тоталитарным партократическим государством, где Конституция, права и свободы человека были вторичным (порой и последним по значимости) постулатом. Страной неограниченно и единолично управлял Центральный Комитет коммунистической партии – и это не скрывалось. В. И. Ленин провозглашал слияние наций, что и было зафиксировано во второй программе коммунистической партии: «...как одну из переходных форм на пути к **полному единству** (выделено нами. – А. Д.), партия выставляет федеративное объединение государств, организованных по советскому типу»³⁰.

Таким образом, Советская Федерация была создана не для того, чтобы продлить независимое существование грузин, русских, абхазов и других народов, а для того, чтобы она явилась своего рода переходной формой на пути к полному сближению и слиянию наций. Поэтому, рассматривая вопросы межнациональных отношений в советскую эпоху (особенно в 20-30-е годы), мы не должны забывать о том, что национальный вопрос для коммунистов всегда был второстепенным, подчиненным главной цели, – чтобы классовая борьба мирового пролетариата увенчалась победой мировой революции. В этом и состояло «неповторимое» своеобразие советской политической системы.

В этом же контексте автор обманывает читателя, будто по Конституции 1927 года Грузия была федеративным объединением, а из последующей Конституции грузины изъяли указанную статью³¹.

Это откровенная ложь: никогда, ни по какой конституции Грузия не была федеративной республикой (Грузинской СФСР). В Конституции 1927 года упоминается термин «федерация», но как средство выражения свободного союза свободных наций, а не как политико-правовая категория (такая, как, например, РСФСР)³².

Теперь перейдем к осетинам. Если абхазы, как говорится, на пушечный выстрел не приближались к коммунистической партии, то у осетин дело обстояло совсем иначе: буквально сразу же после советизации партийная организация Южной Осетии насчитывала 2 тысячи членов, но вследствие партийной чистки здесь осталось всего 500 коммунистов. Куда делось две трети организации?

Дело в том, что многих осетин отчислили из рядов партии (и вообще выслали) за связь с преступными элементами. Определенная часть вернувшихся в 1921-1922 годах из изгнания осетин решила сделать образом своей жизни погромы соседних грузинских деревень: они создавали немногочисленные вооруженные бандитские группировки, которые не давали покоя мирному грузинскому населению Шиды Картли. У многих этих бандитов в кармане лежал партбилет. На подобные криминальные факты советская историография, исходя из ленинских принципов «дружбы народов», фактически не реагировала. В последнее время данной проблеме в Грузии было посвящено множество интересных исследований, которые передают реальную картину бесчинств, творимых в регионе осетинскими криминальными элементами под «партийным» прикрытием³³.

К тому же, осетинскими коммунистами очень быстро овладел присущий советским чиновникам порок – чрезмерное властолюбие, являющееся следствием плебейского комплекса «из грязи в князи». Вседозволенность весьма отрицательно повлияла на дорвавшихся до власти простолюдин, ощутивших себя хозяевами положения: среди осетинской партийной номенклатуры распространились пьянство, должностные злоупотребления и т. д. Центральный Комитет компартии Грузии вынужден был принять

в отношении их радикальные меры: кроме массовой партийной чистки, в результате которой многие осетинские коммунисты были отчислены из рядов партии, за пьянство и недостойное поведение от должности был отстранен руководитель местной партийной организации, осетин по национальности, которого определенное время замещал партработник, специально командированный из Тбилиси³⁴.

Вернемся к суждениям нашего автора.

Г-н Широкоград изо всех сил пытается представить дело так, будто грузины не занимались ничем иным, как притеснением абхазов, осетин и других национальных меньшинств; что имела место дискриминация в налоговой политике, образовании, социально-экономическом развитии и в других аспектах жизни³⁵. И в данном случае автор не называет источник своих «умозаключений», и это не удивительно – такого источника не существует. Напротив, грузинские ученые доказали, что в ту пору, как, впрочем, и позднее, национальные меньшинства в Грузии жили не плохо, во всяком случае, не хуже (а то и лучше) доминантного населения (надо заметить, понятие «хорошо жить» весьма относительно, поскольку в 20-х годах прошлого столетия в Советском Союзе критерий «хорошей жизни» был весьма «своеобразным» и далеким от его западноевропейского понимания. – Подробнее на эту тему см. труды проф. А. Тотадзе)³⁶.

Можно сказать следующее: при советской власти абхазы всегда пользовались привилегиями – выше мы уже убедились в этом – в абхазской коммунистической организации было всего 39 абхазов, но, тем не менее, большинство партийных руководителей являлись представителями абхазской национальности. Абхазам предоставлялись льготы при уплате налогов, при взятии банковских кредитов, при назначении на должности и т. д. Разумеется, это вызывало законное недовольство других коренных этносов, тщетно требовавших равных прав с абхазами.

Дело дошло даже до того, что местные крестьяне-грузины (мегрелы) меняли фамилии на абхазский лад и записывались в абхазы. В 20-х годах XX века этот процесс стал настолько очевидным, что он рассматривался даже на партийных форумах. Вот пример из стенограммы одного из партийных собраний: «Некоего гражданина Жвания, записавшегося абхазом, спросили, почему

он так поступил. Тот заявил, что этим он ничего не теряет, более того, его сына не заберут в армию, Абхазский сельхозбанк выдаст ему большой кредит и т. д.»³⁷.

Следовательно, искусственно созданные в Абхазии социально-экономические и политические условия способствовали установлению здесь режима апартеида.

Любой социолог знает, когда в обществе происходят подобные процессы, – тогда, когда одному этносу незаслуженно предоставляются привилегии, которых лишены другие этносы.

Таким образом, советское руководство, как считают некоторые авторы, целенаправленно (мы не разделяем этого мнения, поскольку считаем, что в 20-х годах прошлого столетия людьми владела большая вера в победу мировой пролетарской революции, которая совсем скоро завершится «объединением пролетариев всех стран» и созданием однородной пролетарской национальности. Но это была иллюзорная химера, и то, что казалось временным, преходящим явлением, – например, привилегии по этническому признаку – растянулось на годы и прочно укоренилось) способствовало разжиганию в Абхазии апартеида. С установлением советской власти в Абхазии сформировался привилегированный клан – этнократия, – который постепенно разросся, окреп и, наконец, ввиду индифферентности местного грузинского населения, оказавшегося «глухим» и «слепым» по отношению к происходящему, ввиду ряда других факторов (главным образом, по причине присутствия российского фактора), превратился в довольно серьезную и опасную силу.

Иная, но не менее напряженная ситуация сложилась с проживающими в Грузии осетинами. Как мы уже говорили, значительная часть осетин проживала за пределами так называемой Южной Осетии, находясь в теснейших социальных и экономических контактах с грузинами; у многих из них были интернациональные семьи, многих осетин связывали с грузинами близкие родственные узы. К 80-м годам XX века большинство осетинского населения Грузии (100 тысяч из 160 тысяч) жило за пределами автономной области, в приличных материальных условиях. Так что, логически, их ни в коем случае не устраивали (ни с экономической, ни с социальной и ни с правовой точки зрения) резкие выпады против грузин, противостояние, натяну-

тость отношений и проч. Вот где собака зарыта! Юго-осетинская этнократия, движимая амбициями, не учла интересы основной массы своего этноса (этого не произошло бы без серьезного вмешательства и поддержки «третьей силы»), и начались такие политические процессы, которые поставили все с ног на голову.

Неприменно надо отметить, что уже в период распада Союза определенные грузинские оппозиционные круги (общество Ильи Чавчавадзе, национально-демократическая партия и др.) чувствовали опасность, надвигавшуюся со стороны осетинской этнократии, и поэтому требовали от руководителей республики ведения сбалансированной политики. Однако политическая группировка Звиада Гамсахурдиа не проявила должной осторожности и политической дальновидности в отношении с осетинами, в результате чего ситуация совершенно вышла из-под контроля (этот вопрос сегодня уже является предметом научного изучения).

Аналогичная ситуация случилась в Абхазии – и здесь вдохновляемая и подстрекаемая «третьей силой» абхазская этнократия развернула противозаконные действия, не считаясь с интересами большинства местного (грузинского) населения и открыто защищая советскую власть. Позже абхазская политическая элита полностью оказалась под влиянием российских спецслужб.

В обоих случаях при поддержке российских реакционных политических кругов и абхазы, и осетины осуществили свои коварные планы, имевшие трагические последствия: 300 тысяч беженцев из одной только Абхазии, покинутые дома, оккупированные территории, не говоря уже о сотнях погибших. Бесспорно одно: Россия всегда стремилась использовать абхазское и осетинское сепаратистское движение в свою пользу, что ей превосходно и удалось благодаря каскаду роковых ошибок руководства Грузии, – к сожалению, результаты путинско-медведевской антигрузинской политики налицо.

Другой проблематики, затронутой в книге г-на Широкограда, мы не коснемся по той причине, что вопросы, связанные с отечественной войной, детально рассмотрены в статье проф. М. Натмеладзе, также представленной в настоящем сборнике. Мы не коснемся здесь августовских событий 2008 года, которым г-н Широкоград отводит в книге значительное место, поскольку сегодня возникает множество вопросов и к грузинской, и к

российской стороне в связи с их неадекватными действиями в ходе этой «странной войны». Наверное, должен пройти определенный период времени, чтобы стало возможным установить истину, выяснить причины, приведшие грузинский народ к столь драматической ситуации.

Наконец, хочу изложить собственную интерпретацию (гипотезу) одной немаловажной проблемы, которую обходят стороной как абхазские историки, так и их российские идеологи. На эту тему не любят говорить ни в Грузии.

Когда, как и почему зародилось среди абхазов (лучше скажем так: в определенной части абхазского общества) то нездоровое, несправедливое и нетерпимое отношение к грузинам, которое стало проявляться уже в 50-х годах прошлого века и которое таким печальным образом отразилось на наших народах? Разве это следствие только лишь одной успешной работы российских спецслужб? Почему с такой ненавистью относятся отдельные представители абхазской политической элиты (и не только они) к грузинам?

На наш взгляд, это обусловлено драматическим историческим обстоятельством, которое на подсознательном уровне отложилось в психологии абхазского этноса. К сожалению, это обстоятельство есть объективная реальность, и в этом нет вины грузин...

Я разделяю соображение, согласно которому на территории нынешней Абхазии издревле проживали западнокартвельские племена – мегрелы, сваны. Параллельно с ними жил этнос, упоминаемый в грузинских летописях как абхазы. Они не являлись носителями грузинского гена, но принадлежали к грузинскому культурному миру. Истории известны подобные случаи: например, славяне чехи органически были включены в состав Германской империи, признавали юрисдикцию германских королей, и всегда воспринимались – по крайней мере, на определенном этапе истории – частью Священной Римской империи германской нации.

Так же и абхазы: под этим собирательным термином подразумевались местные элементы (как имевшие грузинские корни, так и негрузинского происхождения), подчинявшиеся юрисдикции здешних правителей – владетельных князей Шервашидзе

– и являвшиеся неотъемлемой частью грузинского мира (вообще, вызывает удивление позиция русских авторов, не интересующихся вопросами: почему правители Абхазии были родом из грузин? Почему столица Абхазии имеет грузинскую топонимику – «Сухуми» // «Цхуми»? Что означает этимология «Сочи», «Бичвинта»? Почему русские не употребляют для обозначения абхазов их самоназвание – «апсуа», а «Сухуми» не называют «Акуа»? Почему русские называют этот народ грузинским этнонимом «абхазы», а столицу – грузинским топонимом «Сухуми»?).

В средние века Абхазия являлась таким же органическим и нераздельным краем Грузии (о чем свидетельствуют многочисленные документальные источники), как Мегрелия, Кахети, Картли, – особенно в культурно-религиозном отношении. На это бесспорно указывает титулатура грузинских правителей – «царь абхазов, картвелов, ранов, кахов...».

Когда в результате перманентных набегов мусульманских завоевателей единое грузинское государство распалось, этим воспользовались племена северокавказских горцев, находившиеся в тяжелейших социальных условиях: притесняемые русскими, они постепенно стали перемещаться с севера на южные склоны Главного Кавказского хребта. В XIV-XV веках грузинское царство было еще в состоянии отражать набеги этих кочевников и изгонять их за пределы страны (вспомним битвы Георгия Блистательного против кочевников-осетин), однако ослабление централизованной царской власти в Западной Грузии оказалось на руку горцам апсуа, начавшим миграцию с северных отрогов Кавказа на юг, в Причерноморье (в этом им содействовали местные феодалы, которые нуждались в крестьянах-батраках, поскольку ряды последних значительно поредели вследствие частых нашествий монгольских и тюркских орд). Подобные миграционные процессы происходили как в Восточной Грузии (осетины, чеченцы, лезгины, дагестанцы), так и в Западной Грузии (апсуа, черкесы, адыги и др.). Сравнительно безболезненно произошла адаптация горского племени апсуа, поскольку в составе местных абхазов присутствовал определенный северокавказский сегмент, с которым ассимилировались пришлые апсуа. Процесс слияния (синтеза) этих элементов растянулся на века.

Но тут имело место одно трагическое обстоятельство. Миграционные потоки иноплеменников были столь мощными, что местные прогрузинские элементы уже не могли противостоять натиску мигрантов и обратить их во влияние грузинской христианской религии и культуры. Наряду с ослаблением централизованного грузинского государства ослабло и его идеологическое подспорье – грузинская православная церковь и ее местные организации.

Мигранты принесли с собой чуждые многовековому грузинскому православию верования – язычество и ислам, более архаичные, чем в Грузии, отсталые формы хозяйства. Общий культурный декаданс, снижение интенсивности церковной жизни со временем вытеснили из памяти потомков картины длительного добрососедства грузинского и абхазского народов и события их совместного героического прошлого. О том, что абхазы являлись главным элементом, скреплявшим единство грузинского государства, на заре XX века помнили разве что малочисленные представители местного дворянства. Безграмотное большинство населения мало что знало об историческом прошлом единой Грузии, для него ничего не значили имена Шота Руставели, царицы Тамар, Давида Строителя, ментальные и материальные ценности, древняя Мцхета, Риза Господня, культурные и религиозные традиции и т. д. (указанный процесс особенно усилился с 50-х годов XX века, когда под давлением Москвы абхазские школы, по сути, трансформировались в русские, в которых подрастающее поколение воспитывалось на творчестве Пушкина, Лермонтова, Гоголя и постепенно отрывалось от своих корней, утрачивало менталитет, некогда связывавший их предков с единым грузинским культурным ареалом).

Сложилась обстановка, аналогичная которой не раз случалась в мировой истории, – в данном случае на территорию с историческим названием Абхазия в результате поступательной миграции спустилось горское племя, родственное (по языку) этнос которого уже обитал на указанном месте, и возникла качественно новая единица. Остальная Грузия традиционно продолжала именовать этот край Абхазией, и за населением сохранилось традиционное название – абхазы (сегодня в мире их

знают под этим названием, но никому не известно самоназвание этноса – апсуа).

В периоды, когда к истории мало обращались, эта проблема особо никого и не волновала (бывали моменты, когда правители Абхазии даже не владели грамотой). Между представителями абхазской и грузинской знати заключались династические браки, которые способствовали укреплению связей правителей Абхазии с царями и князьями Западной Грузии.

Проблема возникла тогда, когда расширился кругозор и самопознание абхазов (особенно после того, как они получили льготы на продолжение учебы в российских вузах). Именно тогда встал «вопрос истории», вопрос принадлежности местной культуры.

Мне вспоминается аналогия из истории Египта. Древний Египет, государство фараонов, эту колыбель мировой цивилизации создал народ – носитель определенной культуры, являвшийся на определенном этапе истории органической частью христианского мира. Но в VII веке сюда пришел новый народ (арабы) с новой (мусульманской) цивилизацией, «поглотивший» коренное население вместе с его культурой. Прошли века, египтяне забыли свое прошлое, став неотъемлемой частью мусульманского мира.

Когда европейцы обнаружили древнейшую египетскую цивилизацию – одну из первооснов развития мировой культуры, обитавшие на этой территории арабы безапелляционно и незаслуженно присвоили имя египтян, но, поскольку к тому времени они уже были здесь доминантным этносом, никто не стал предъявлять им никаких претензий.

Вспомним Балканы. После Великого переселения народов в Македонию вторглись племена южных славян, покорившие эту территорию. В результате, название осталось историческое – Македония, а население подверглось славянской ассимиляции. Со временем македоняне под влиянием пришлых иноплеменников сменили веру; славяне внедрили здесь свою культуру, которая слилась с местной, органически став преемниками того культурного пространства, где они укоренились. Древние македоняне (представители греческого культурно ареала) исчезли, их место заняли новые македоняне, присвоившие, как было и в вышеприведенном случае, великое историческое прошлое предшес-

твенника – коренного этноса Македонии (историю Филиппа Македонского, Александра Македонского и т. д. – в столице Македонии Скопье есть стадион, носящий имя Филиппа II Македонского).

Нечто аналогичное произошло и в Абхазии. Когда апсуа-абхазы не имели письменности и не умели читать, когда они исповедовали язычество и были очень далеки от христианства, не слышали ничего об аргонавтах, ни о царе Леоне, ни о царице Тамар – в те времена их больше беспокоила российская политика по отношению к ним (мухаджирство, унижительный ярлык «виновного народа», репрессии и т. д.).

Когда после Октябрьского переворота советская система дала абхазам возможность получить образование (в том числе и за счет средств, выделяемых из центрального бюджета Грузии), благодаря чему сформировались местные кадры интеллигенции, тогда у «новопросвещенных» абхазов и возникло желание «определиться» с культурными ценностями Абхазии, поэтому встал дотоле не волновавший их вопрос о принадлежности многовекового культурно-исторического наследия. Вот тут-то и случилась настоящая драма...

В отличие от Египта и Македонии, где арабы и славяне составляют большинство населения, в Абхазии всегда превалировало грузинское начало, результатом творчества которого являлся существовавший здесь культурный мир. Абхазов-апсуа раздражал «живой свидетель» в лице грузинского населения, которое не позволяло им присвоить культурный ареал и все те ценности, которые им не принадлежали, но которые они в новой исторической обстановке жаждали объявить своими.

Вероятно, если бы в Абхазии не присутствовал сильный грузинский элемент или произошла бы его полная абхазизация, абхазы-апсуа без проблем приписали бы себе богатое культурное наследие края, поскольку ими овладело желание провозгласить себя единоличными и неоспоримыми хозяевами того, что им не принадлежало. **Они решили «украсть» эту культуру.**

Украсть чужую культуру, цивилизацию, безапелляционно присвоить ее себе – это довольно тяжелое психосоциальное состояние, которое медленно, капля за каплей, но упорно и мучительно разрушает внутренний мир личности (народа, этноса). С

арабами в Египте и со славянами в Македонии этого не произошло, так как они ассимилировали основную часть населения указанных стран – омусульманили и ославили, сделали коренных жителей соучастниками своих действий, и уже никто не оспаривал у них принадлежность цивилизации Древнего Египта и Древней Македонии (хотя, надо заметить, что периодически у Македонии возникают проблемы с руководством Греции, которое не может мириться с неумными претензиями новых македонцев).

Абхазам-апсуа не удалось удовлетворить свое честолюбие в силу объективных причин: живущие с ними бок о бок грузины постоянно напоминали им, что они прихватили то, что им по праву не принадлежит. Поэтому в подсознании определенной части абхазов постепенно сформировалась непримиримая ненависть к грузинам, являющимся свидетелями и заступниками собственной истории. Грузины должны либо «обабахзиться», либо быть изгнаны с абхазской земли, исчезнуть с горизонта, чтобы своим постоянным присутствием не напоминать пришлым апсуа о том, что они *украли чужую культуру*, – этот болезненный комплекс не дает покоя абхазам-апсуа, толкая их к еще большему противостоянию с грузинами.

Сегодня уже стало очевидным, что укоренившиеся у абхазов негативные подсознательные настроения не могут быть урегулированы ни традициями «мордуоба» (форма искусственного родства. – А. Д.), ни смешанными абхазо-грузинскими семьями, ни нескончаемым апеллированием к общему историческому прошлому двух наших народов.

Возможно, у моей гипотезы появятся оппоненты. Не исключено. Может быть, я излишне категоричен в своих суждениях, может, в чем-то заблуждаюсь. Если, однако, абхазы-апсуа хотя бы мне возразить, хотят доказать обратное, они должны радикально изменить психологические настроения по отношению к грузинам. Если они считают себя законными преемниками культурного наследия Абхазии, тогда пусть позаботятся о восстановлении исторической справедливости и исторического единства между грузинским и абхазским народами.

Когда забываешь о карательных экспедициях Российской империи против твоего народа, когда забываешь насильственное

выселение твоих предков и собратьев (мухаджирство) и унижительное клеймо «виновного населения», десятилетиями закрепившееся за твоим этносом благодаря русскому самодержавию, когда изгоняешь из собственных домов веками проживающее на территории Абхазии население – 300 тысяч человек – только потому, что оно требовало справедливости, равноправия, цивилизованных отношений, – ты не можешь быть и никогда не станешь истинным абхазом, строителем единой Грузии, которому близка и боль и радость этой страны, а останешься апсуа – пришедшим из-за гор чужеродцем, который обуреваем ненавистью (вперемешку с завистью) и раздражен потому, что владеет тем, что ему не принадлежит, и такая психологическая установка угнетает его подсознание, внутренний мир.

Дорогой читатель, в конце письма я хотел в нескольких словах коснуться тех успехов, которых достигли абхазы и осетины, находясь в составе Грузии, но в последний момент передумал – это уже неактуально. Множество статей и исследований посвящено этому вопросу, так что здесь останавливаться на нем не стоит. История сама рассудит, кто прав, кто виноват, кому принадлежит заслуга в создании того «тупика», который пытался проанализировать в своем труде г-н Широкопад, но безуспешно.

В заключение скажу: книга настолько слабая, а ее автор настолько некомпетентен, что хочется посоветовать заказчикам, впредь подбирать лучшего знатока истории Грузии, более глубокого и серьезного ученого, опус которого нелегко будет раскритиковать оппонентам и который сможет убедить читателя в правоте своих аргументов. Г-н Широкопад для этих целей явно не годится.

А г-ну Широкопаду еще раз напомним: «Врать надо меньше... Надо меньше врать!...»

Литература:

1. Широкоград А. Б. Грузия. Закавказский тупик? – М., 2010.
2. Там же, с. 3.
3. Там же, с. 45.
4. Очерки истории Грузии. Абхазия. – Тб., 2007. – С. 254. – Груз.
5. Там же, с. 266.
6. Там же.
7. Итонишвили В. Осиноба в интерпретации Коста Хетагурова. Разбойничество инородцев в Грузии. – Тб., 2005. – С. 66-67.
8. Широкоград А. Б. Указ. труд, с. 124-125.
9. Архив президента Грузии, ф. 13, оп. 1, д. 18, лист 6.
10. Государственный архив социально-политической истории (ГАСПИ РФ), ф. 17, оп. 3, д. 259, л. 1.
11. Центральный государственный архив новейшей истории Грузии, ф. 285, оп. 1, д. 8, л. 26-27.
12. Джикиа В. Советский патриотизм и дружба народов в СССР. – Тб., 1964. – С. 78-79. – Груз.
13. Широкоград А. Б. Указ. труд, с. 125.
14. Архив президента Грузии, ф. 14, оп. 2, д. 9, л. 215.
15. Даушвили А. Антисоветское восстание в Сванети // Исторический вестник. – 2010. – № . – Груз.
16. Государственный архив социально-политической истории (ГАСПИ РФ), ф. 17, оп. 3, д. 461, л. 92-95.
17. Широкоград А. Б. Указ. труд, с. 115.
18. Даушвили А. История Сосо Джугашвили, кн. 3: «Грузинское дело». – Тб., 2007. – С. 131. – Груз.
19. Архив президента Грузии, ф. 14, оп. 1, д. 6, л. 41.
20. Широкоград А. Б. Указ. труд, с. 113.
21. Коммунистическая партия Грузии в цифрах (сборник статистических материалов). – Тб., 1971. – С. 17.
22. Архив президента Грузии, ф. 14, оп. 3, д. 5, л. 263.
23. Там же, л. 283.
24. Государственный архив социально-политической истории (ГАСПИ РФ), ф. 64, оп. 1, д. 60, л. 37.
25. Там же, ф. 64, оп. 1, д. 40, л. 182.
26. Архив президента Грузии, ф. 14, оп. 2, д. 17, л. 18.

27. Широкопад А. Б. Указ. труд, с. 113.
28. Архив президента Грузии, ф. 14, оп. 2, д. 350, л. 271-274.
29. Архив президента Грузии, там же.
30. КПСС в резолюциях. – Тб., 1954. – С. 530.
31. Широкопад А. Б. Указ. труд, с. 113.
32. Конституция (Основной Закон) Грузинской Советской Социалистической Республики, принятая 4 апреля 1927 года IV съездом Советов депутатов. – Тб., 1932. – С. 5.
33. Сонгулашвили А. «Южная Осетия» в Грузии?! – Тб., 2009. – С. 153-157. – Груз.
34. Архив президента Грузии, ф. 14, оп. 2, д. 364, л. 10.
35. Широкопад А. Б. Указ. труд, с. 121.
36. Тотадзе А. Демографические изменения в Шиде Картли, истощенная история и «угнетенные» осетины // Некоторые вопросы истории осетин Шиде Картли. – Тб., 2010.
37. Архив президента Грузии, ф. 14, оп. 3, д. 5, л. 265.

recenzi a el der nadi raZi s
wi gnze _"qarTul i I udi ", Tb., 2010

ელდერ ნადირაძის წიგნი – “ქართული ლუდი” სამეცნიერო-პოპულარული წიგნების სერიას განეკუთვნება. წიგნი ორენოვანია. ძირითად ქართულ ტექსტს პარალელური ინგლისური ტექსტი ახლავს. გაფორმებულია მაღალი დონის ფერადი ილუსტრაციებით.

ნაშრომი ლუდის დამზადების უძველეს ქართულ ტრადიციებს ეხება და თრიალეთის თასზე აღბეჭდილი სიუჟეტის განხილვით იწყება. ავტორი იზიარებს აზრს, რომ აქ გამოსახულია ღვთაებისადმი წმინდა სასმელის შეწირვის რიტუალი, ხოლო წმინდა სასმელად ლუდს მიიხსენებს. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმის საფუძველს ავტორს აძლევს თრიალეთის თასზე ასახული სიუჟეტის შედარებითი ანალიზი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დადასტურებულ საწესო-სარიტუალო დღესასწაულებთან. ამ დღესასწაულებში ლუდი წარმოადგენს სარიტუალო წმინდა სასმელს, რომელსაც ამზადებენ განწმენდილი ადამიანები, წმინდა ჭურჭელში და წმინდა ადგილზე (სალოცავის ტერიტორიაზე).

ელდარ ნადირაძე ენათმეცნიერული, არქეოლოგიური, მდიდარი ეთნოგრაფიული მასალის მოშველიებით ლუდის წარმოების კულტურას საქართველოში სინქრონულ-დიაქრონულ ჭრილში განიხილავს. იმავდროულად აღწერს ლუდის წარმოების და მოხმარების ძველ აღმოსავლურ-შუამდინარულ, ეგვიპტურ... წესებს. ძველი აღმოსავლეთი წერილობითი წყაროს მონაცემის, მატერიალური კულტურის ძეგლზე ასახული სიუჟეტების თუ ცნობილ მეცნიერთა ნაზრების მოხმობით მკითხველისთვის თვალსაჩინოს ხდება, რომ ლუდის კულტურა უძველესია და მისი სამშობლო შუამდინარეთია, სადაც ”ლუდის წარმოების კულტურა III ათასწლეულში უკვე ძალზე განვითარებული იყო” (გვ. 17).

ლუდის წარმოების კულტურის ისტორიულ ჭრილში განხილვის შედეგად, ლუდის მწარმოებელი ძველი ცივილი-

ზაციების: შუმერული, ეგვიპტური და სხვ. უძველესი ტრადიციების შედარებით ქართველთა, ასევე სხვა კავკასიელ ხალხებში გავრცელებულ ლუდის დამზადების ტექნოლოგიასთან, ლუდთან დაკავშირებულ ყოფით ტრადიციებთან თურელიგიურ წეს-ჩვეულებებთან, ე. ნადირაძე საქართველოში ლუდის წარმოების უძველეს კულტურას, ლუდის საკულტო-სარიტუალო დანიშნულებას ადასტურებს.

ყოველივე ზემოთქმულს კი, ერთ-ერთ საბუთად მიიჩნევს შუამდინარეთისა და კავკასიის ხალხათა ეთნოკულტურული ნათესაობის დასამტკიცებლად და ნათლად აჩვენებს, რომ ლუდის კულტურა საქართველოში ძველ აღმოსავლეთს უკავშირდება, რაც “ქართული ლუდის გენეზისის უძველესობას ადასტურებს” (გვ. 38).

ლუდის “მოხმარების ჩვევა” მთაში, დღესაც არსებობს, რაც იმით უნდა აიხსნას რომ „საქართველოში, როგორც ღვინის კლასიკურ ქვეყანაში, უმთავრესი ყურადღება გადატანილი იყო ბარის მევენახეობა-მეღვინეობაზე” (გვ. 38). ავტორის აზრით, მართალია მთიელებს ბარში გააჩნდათ სალოცავის – “ხატის მამულები”, მაგრამ აქ მოყვანილი ღვინო მათ მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებდა, რამაც განაპირობა საქართველოს მთიელებში ლუდის საწესო-სარიტუალო სასმელად გამოყენების ფაქტი.

ყოველივე ზემოთქმულით და სხვა დამაჯერებელი არგუმენტებით ე. ნადირაძე, უარყოფს აბაევის აზრს, რომ საქართველოში ლუდის წარმოების ტექნოლოგია ოსებმა შემოიტანეს.

ავტორი მხოლოდ ძველი აღმოსავლეთის მონაცემებს არ სჯერდება. იგი ლუდის დამზადების დასავლეთევროპულ ტრადიციებსაც განიხილავს და შესაძლებლად მიიჩნევს, რომ შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპიდან გავრცელდა ჩვენში ლუდის სვით დამზადების წესი (გვ. 42). საინტერესოა ასევე ე. ნადირაძის მოსაზრება სვანეთში ლუდის დამზადების ტრადიციის არსებობის შესახებ (გვ. 42).

ე. ნადირაძე ლუდის წარმოების ტრადიციას ზოგადად ხალხური კულტურის კონტექსტში წარმოაჩენს და აღნიშნავს, რომ “ლუდის გამოხდა-დაყენებას მთიელები მიმართავენ როგორც სარიტუალო მიზნებისათვის, ასევე საოჯახ-

ხო მოხმარებისათვისაც – სადაც ქალის შრომა მაქსიმალურადაა გამოყენებული...” (გვ. 70).

მდიდარი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, ე. ნადირაძე დეტალურად აღწერს ლუდის ხალხურ ტექნოლოგიას. ლუდის წარმოებასთან დაკავშირებულ ყველა ყოფით რეალიას, ინვენტარს, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს. იგი, როგორც ვთქვით, არ იფარგლება ქართული მასალით და ლუდის წარმოების ტრადიციებს ძველადმოსავლური, კავკასიური, დასავლეთევროპული ტრადიციების კონტექსტში განიხილავს. ასეთი კვლევის შედეგად ნადირაძის მიერ გამოთქმული მოსაზრებები სავსებით დამაჯერებელია.

ელდარ ნადირაძე აღნიშნავს, რომ “დღეისათვის ლუდის გამოსხდის ტრადიცია ყველაზე კარგად დაცულია ხევსურეთსა და განსაკუთრებით თუშეთში...” (გვ.45). რასაც სხვადასხვა სოციოკულტურული ფაქტორით ხსნის.

ე. ნადირაძე წიგნს აღმოსავლეთ მთიელთა რელიგიური დღესასწაულის ათენგენობის აღწერით ამთავრებს. ათენგენობა დღესაც კი თითქმის დაცარიელებულ თუშეთსა და ხევსურეთში, ტრადიციული წესების დაცვით, ყოველ ზაფხულს იმართება. აქ ძველებური წესით იხარშება ლუდი. ეს დღესასწაული, “სადაც მხოლოდ სიუხვეა, სიყვარული, და ერთიანობის უძველესი განცდაა” (გვ. 133), როგორც ავტორი აღნიშნავს. “ბადებს უკეთესი მომავლის იმედს” (გვ. 133) – იმედს, რომ სწორედ ეს უძველესი ტრადიციები, რომელთაც თავი დღემდე შემოინახეს არ დაუკარგავს ქართველს ქართველობის განცდას.


ამ კარგი ქართულით დაწერილ წიგნს განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს მაღალი დონის ილუსტრაციები.

ლუდის წარმოების ხალხური ტრადიციების კვლევა საქართველოში გასული საუკუნის შუა წლებში შესანიშნავმა ეთნოლოგმა ანდრო ლეკიაშვილმა დაიწყო. მისი დისერტაცია “ქართველ მთიელთა მეურნეობის ისტორიდან” ლუდის წარმოების ქართულ ტრადიციებს ეხება. როგორც წიგნის შესავალში ავტორი აღნიშნავს, მისთვის “ეს გამოკვლევა ძირითადი ორიენტირი იყო წიგნზე მუშაობისას”. ავტორის ღირსებად მიმაჩნია, რომ თავისი ნაშრომი მან თავის მასწავლებლის ანდრო ლეკიაშვილის ხსოვნას მიუძღვნა.

წიგნს მრავალმხრივი დატვირთვა აქვს. იგი საინტერესოა ქართველი, უცხოელი სპეციალისტებისა და ფართო მკითხველისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისათვის, რომელთაც ინტერესს აღუძრავს თავისი ქვეყნის ხალხური ტრადიციების მიმართ.

მიმზიდველად გაფორმებული, ეს ორენოვანი წიგნი ხელს შეუწყობს ქართული ხალხური ტრადიციული კულტურის პოპულარიზაციას როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში.

ვფიქრობთ ასეთი ტრადიციის დანერგვა ეთნოლოგიურ მეცნიერებასა და საერთოდ ქართულ კულტურას სარგებლობას მოუტანს.



sofi o | aWyeptani

stefane | uzi ni ani s
`aRweri | oba kunZul kvi prosi sa-

სტეფანე ლუზინიანის Description de toute l'Isle de Cypre,¹ გამოიცა 1580 წელს პარიზში. ეს თხზულება ავტორის მეორე ნაშრომია, რომელშიც კვიპროსის ისტორიას მოგვითხრობს. მისი პირველი თხზულება „CHOROGRAFFIA“² იტალიურ (ვენეციურ დიალექტზე) ენაზეა დაწერილი და გამოცემული 1573 წ. როგორც ვხედავთ, Description შვიდი წლის შემდეგ გამოსცა ავტორმა ფრანგულად. იგი პირველის შესწორებულ და გაგრძობილ ვარიანტს წარმოადგენს.

ქართველთა შესახებ CHOROGRAFFIA-ში არსებული ინფორმაცია უკვე გამოქვეყნდა „ანალების“ მე-8 ნომერში. ამჯერად, განვიხილავთ Description-ში წარმოდგენილ რამდენადმე განსხვავებულ ცნობებს.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ სტეფანე ლუზინიანი, როდესაც ნიქოზიას აღწერს, აღარ ასახელებს ქართველებს იმ ერთა შორის, რომლებთაც გი დე ლუზინიანმა³ ამ ქალაქში დასასახლებლად მიწები გამოუყო⁴.

„იმ დროისათვის იქ იყო აგებული მრავალი საეკლესიო ნაგებობა, ის ტერიტორია დასახლებული იყო სხვა-

¹ Estienne de Lusignan, Description de toute l'Isle de Cypre, A PARIS, 1580,

² Estienne de Lusignan, CHOROGRAFFIA, გამოსცა: ΠΟΛΙΤΙΣΤΙΚΟΝ ΙΔΡΥΜΑ ΤΡΑΠΕΖΗΣ ΚΥΠΡΟΥ, ΛΕΥΚΩΣΙΑ, 2004. ნახეთ, აგრეთვე: „ანალები“, №8, თბილისი, 2012, გვ. 458-471.

³ ნახეთ „ანალები“, №8, თბილისი, 2012, გვ. 460.

⁴ Description, გვ. 31. ვეყრდნობი ანა აფრილონიძის თარგმანს.

დასხვა ეროვნებების მქონე ხალხით, რომელთაც ჰყავდათ თავიანთი მღვდლები და ეპისკოპოსები, ბერძნების, სომხების, კოპტების ანუ სირკონსიელებისა, რომლებიც გახდნენ ქრისტიანები, იაკობიტები, მარონიტები, ნესტორიანელები, ნუბიელები თუ ინდოელები:“

არამედ ასახელებს, იქ, სადაც ზოგადად მოგვითხრობს 1187 წელს სალადინის (1138-1193) მიერ იერუსალიმის აღების, იერუსალიმის მეფის გი დე ლუზინიანის კვიპროსზე გადასვლისა და იქ მის მიერ ახალი სამეფოს შექმნის შესახებ. გი დე ლუზინიანმა იერუსალიმის, ტრიპოლის, ანტიოქიის და მცირე სომხეთის ქრისტიან ხალხებს მასთან ერთად კვიპროსს გადასახლება შესთავაზა და მის სამსახურში ყოფნის სანაცვლოდ მიწებსა და პრივილეგიებს შეჰპირდა. მაჰმადიანთაგან შევიწროებულმა ბევრმა ქრისტიანმა დატოვა წმინდა მიწა და მახლობელ კუნძულზე გადავიდა. მათ შორის იყვნენ იბერები და ქართველები – წერს ავტორი:

„ასე, რომ მრავალი ქრისტიანი ერი ცხოვრობს კუნძულზე: სომხები, კოპტები, მარონიტები, იაკობინელები, ინდოელები, იბერები, ქართველები და ნესტორიანელები...“⁵

აგრეთვე, ავტორი იბერიულ ენას იმ თერთმეტ „ძლიერ“ ენათა შორის მოიხსენიებს, რომელიც კვიპროსში იყო გავრცელებული შუა საუკუნეებში.

„ამჟამად იქ საუბრობენ ისეთ 11 ძლიერ ენაზე როგორცაა: ლათინური, იტალიური, ძველბერძნული, სომხური, კოპტური, იაკობიტური, მარონიტური, სირიული. ინდური, ივერიული, ალბანური ან მაკედონიური და ეგვიპტური“⁶.

აქ იგი მხოლოდ ივერიულ ენას ასახელებს, თუმცა იცის ქართველურ ტომთა აღმნიშვნელი ორივე სახელი, რომელიც ბიზანტიასა და დასავლეთში იყო გავრცელებული. იგი მათ გვერდი-გვერდ სვამს იმ ქრისტიან ერთა ჩამონათვალში, რომლებსაც სალადინმა უფლის საფლავის ტაძარში ღოცვის ნება დართო.

⁵ Description, გვ. 123

⁶ Description გვ. 67. ვეყრდნობი ანა აფრილონიძის თარგმანს.

„სანამ შევუდგებით თხრობას უნდა ვიცოდეთ, რომ იერუსალიმში არსებობდა ბევრი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი, რომლებსაც ჰქონდათ ქრისტიანული რწმენა, მათ ჰქონდათ საკუთარი კულტი: მაშინ, როდესაც თურქეთის იმპერატორმა სალაღინმა დაიპყრო იერუსალიმი, იქ მცხოვრები ხალხის დიდი ნაწილი დატოვა წმინდა ტაძარში, რომელთა შორის იყვნენ ბერძნები, სომხები, კოპტები, მარონიტები, იაკობიტები, ინდოელები, ნესტორიანელები, ივერიელები და ქართველები.“⁷

ხოლო მეორედ, როდესაც უფლის საფლავზე ქრისტიან ერთა დაშვების შესახებ კიდევ ერთხელ საუბრობს, მათ შორის სხვა ერებს სვამს:

„იქ მუხლმოდრეკილმა ხალხმა თავყანისცა უფლის წმინდა საფლავს, ყველას დაერთო ნება თავყანისცემისა ლათინების გარდა, ყველა იქ მცხოვრებ ერს, რომელთა შორის იყვნენ ბერძნები, სომხები, კოპტები, იაკობინელები, ქართველები, ინდოელები, ნუბიელები, ეთიოპელები, იბერიელები და ნესტორიანელები“⁸.

წინა თხზულებაში CHOROGRAFFIA-ში იგი ქართველებს სულ სამჯერ მოიხსენიებს: პირველად, როდესაც ნიქოზიაში მათ დასახლებაზე საუბრობს, ქართველებსა და იბერიელებს ერთმანეთთან აიგივებს: „*di Iueri ouer Giorgiani*“⁹; მეორედ, როდესაც კვიპროსში მცხოვრებ ერთა საეკლესიო დაქვემდებარებაზე მოგვითხრობს, მხოლოდ „*Giorgiani*“ ტერმინს ხმარობს¹⁰; ხოლო მესამედ, როდესაც სინას მთის კვიპროსზე არსებულ მეტოქზე საუბრობს, „ივერები-*Iueri*“-ო ამბობს.¹¹

რას უნდა ნიშნავდეს ეს? იმას, რომ სტეფანე ლუზინიანი ერთი ერის აღსანიშნავად ორ სახელს ხმარობს, თუ ანსხვავებს ორ მონათესავე ქართველურ ტომს: ქართვე-

⁷ Description, გვ. 71ა. ვეერდნობი ანა აფრიდონიძის თარგმანს.

⁸ Description, გვ. 115. ვეერდნობი ანა აფრიდონიძის თარგმანს.

⁹ ESTIENNE DE LUSIGNAN, CHOROGRAFFIA, გვ. 15[57]

¹⁰ იქვე, გვ. 34[95]

¹¹ იქვე, გვ. 19[65]-19a[66].

ლებსა და იბერებს ანუ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს?

ამ კითხვაზე პასუხს მის მეორე თხზულებაში, Description-ში ვპოულობთ. ერთგან იგი ცალ-ცალკე ჩამოთვლის და აგვიწერს იმ ხალხებს, რომლებიც შუასაუკუნეებში ცხოვრობდნენ კვიპროსში. თითო-თითო აბზაცს უთმობს ჯერ იბერებს – Les Iuères, შემდეგ ქართველებს – Les Georgiens.

„ივერები ბერძენი ქრისტიანები არიან, რომლებიც მოვიდნენ ივერიის პროვინციიდან, რომელიც მდებარეობს მცირე აზიის საზღვრებთან კასპიის მთებისაკენ ან მკვდარი ზღვისაკენ. ეს ხალხი ძალიან მცირე რაოდენობით იყვნენ კვიპროსში და არ ჰყავდათ არც ერთი ეპისკოპოსი, რადგან ემორჩილებოდნენ ნიქოზიის ეპისკოპოსს. რადგან განსხვავებიან ბერძნებისაგან, რადგან ეს ბერძენები აღიარებდნენ რომის პაპს და მას ემორჩილებოდნენ, ხოლო ესენი არა. ჰქონდათ კუნძულზე რამოდენიმე მონასტერი, ძირითადად, სოფელ ალაშინოს მახლობლად.

ქართველები ასევე ბერძენები იყვნენ, საქართველოს პროვინციიდან და არსებობდა ძალიან მცირე, თითქმის უმნიშვნელო განსხვავება იბერებსა და ამათ შორის, რადგან ჰყავდათ თავიანთი ბერძენი მღვდლები, მაგრამ არა ეპისკოპოსი და აღიარებდნენ ნიქოზიის ბერძენ ეპისკოპოსს, სადაც ძალიან მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ.“¹²

ესე იგი, კვიპროსის ისტორიის ამ შესწორებულ და გავრცობილ ვარიანტში სტეფანე ლუზინიანი უფრო უკეთ

¹² Description, გვ. 75. აქ ვეყრდნობი George Tsouris თარგმანს. Χάκετ-Παπαιωάννου თავიანთ თხზულებაში Ιστορία της Ορθόδοξου Εκκλησίας της Κύπρου, τ. Γ', 1923, როდესაც ქართველებსა და იბერებზე წერენ, ფაქტიურად, სიტყვა-სიტყვით იმეორებენ სტეფანე ლუზინიანის ამ ცნობას. ჰაკეტ-პაპაიოანუს ნაშრომიდან კი „დიდ კვიპროსულ ენციკლოპედიაში“ გადავიდა იგივე ინფორმაცია: Μεγάλη κυπριακή εγκυκλοπαιδεία, ტ. IV, 1986, გვ. 42-43, 66-67. ნახეთ „ნაწლები“ №5, თბილისი, 2009, გვ. 242-259.

წარმოგვიდგენს საქართველოს სინამდვილესა და კვიპროსზე მცხოვრებ ქართველთა ეკლესიური დაქვემდებარების საკითხს. როგორც ვხედავთ, იბერებსაც და ქართველებსაც ჰყავდათ თავიანთი „ბერძენი“ ანუ რწმენით მართლმადიდებელი (კათოლიკეთათვის ყველა მართლმადიდებელი „ბერძენი“ იყო), ხოლო ეროვნებით ქართველი მღვდლები. მაგრამ არ ჰყავდათ ეპისკოპოსი, განსხვავებით აქ მცხოვრები სხვა ერებისა: სომხები, მარონიტები, კოპტები და სხვა. ეს მათი მცირერიცხოვნებითა და ქართული ეკლესიის ტრადიციით უნდა აიხსნას – საზღვარგარეთ არსებული ქართული ეკლესია-მონასტრები უშუალოდ ექვემდებარებოდნენ საქართველოს საპატრიარქოებს. ამას სტეფანე ლუზინიანიც ადასტურებს, როდესაც ამბობს, „ეს ბერძნები (ანუ კვიპროსელები) აღიარებდნენ რომის პაპს და მას ემორჩილებოდნენ, ხოლო ესენი (ანუ იბერები) არა.“

სტეფანე ლუზინიანის ამ ცნობაში ასახულია კვიპროსის ეკლესიის მაშინდელი ვითარება. კვიპროსზე ლუზინიანთა მმართველობის დამყარების შემდეგ (1191-1192 წ.) კვიპროსის მართლმადიდებლურ ეკლესიას მძიმე დღეები დაუდგა. იერუსალიმიდან სალადინის მიერ გამოძევებულ ჯვაროსან ლუზინიანებს კვიპროსზე ახლადშექმნილი სამეფოს შენარჩუნებისა და საერთაშორისო აღიარებისათვის რომის პაპის მხარდაჭერა სჭირდებოდათ. ისინი თავადაც კათოლიკები იყვნენ, ამიტომ, მათ კვიპროსზე ლათინური ეკლესიის დამკვიდრება და კათოლიციზმის გავრცელება დაიწყეს. ეს, რა თქმა უნდა, კვიპროსის მართლმადიდებლური ეკლესიის ხარჯზე ხდებოდა. 1221 წლის ღიმა-სოლისა და ამოხოსტოს საეკლესიო კრებებზე კვიპროსის 14 საეკლესიო ეპარქიის რიცხვი ოთხამდე შემამცირეს, ხოლო 1260 წ. პაპ ალექსანდრე IV თავისი „ბულა“-თი, ფაქტიურად გააუქმა კვიპროსის საარქიეპისკოპოსო. მაშინდელი არქიეპისკოპოსის გერმანეს (1260-?) გარდაცვალების შემდეგ ახალი არქიეპისკოპოსი აღარ აირჩეოდა და მართლმადიდებელი ეპისკოპოსები ნიქოზიის ლათინ არქიეპისკოპოსს დაემორჩილებოდნენ. ფაქტიურად, კვიპროსის მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესია იურიდიულად

რომის პაპის დაქვემდებარებაში მოექცა.¹³ ამ ვითარებაში კვიპროსზე არსებული ქართული ეკლესია დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, როგორც ეს ზემოთმოტანილ ცნობიდანაც ჩანს. თუმცა რომის პაპები ცდილობდნენ კვიპროსზე არსებული ქართული ეკლესია-მონასტრებისა და მრევლის გაკათოლიკებას. ამის უტყუარი დასტურია პაპ კლემენტ V (1305-1314) პაფოს ლათინი ეპისკოპოსისადმი, სავარაუდოდ იაკობისადმი, მიმართული წერილი, რომელიც 1306 წლის 1 თებერვლითაა დათარიღებული და რომელშიც პაპი თავის ეპისკოპოსს ავალდებულებს ღალიის, სხვა ორ ბერძნულ მონასტერთან, წმინდა საბა და ლაკრონა, ერთად „სქიზმატთა“ ანუ არალათინთაგან დახსნას.¹⁴

სტეფანე ლუზინიანი როგორც CHOROGRAFFIA-ში,¹⁵ ისე აქაც ჩამოთვლის იმ სოფლებსა და მონასტრებს, რომლებიც სხვადასხვა საპატრიარქოებსა და ეკლესიებს ეკუთვნოდა. CHOROGRAFFIA-ში იგი წერს: *„li Monaci del Monte Sinai greci, detti Iueri* ანუ სინას მთის ბერძენი ბერები, ივერებად წოდებულნი. Description-ში იგი აზუსტებს სინას მთის კვიპროსზე არსებულ საკუთრებას და რამდენადმე განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის ივერთა სტატუსის შესახებ.

„სინას მთას ჰქონდა სამი სააბატო კვიპროსში. ივერელი ბერები ასევე სარგებლობდნენ ზოგიერთი სიკეთით იქ არსებობდა, აგრეთვე, მრავალი ბერძნული მონასტერი... არ ჩამოვთვლი იმ მონასტრების შემოსავლებს როგორცაა: სილიკუს წმინდა მიხეილი, ალამინო, სინდი, სკილურას, წმინდა ილია, კანტარა, წმინდა ილარიონი და სხვა.“¹⁶

¹³ ΙΣΤΟΡΙΑ ΤΗΣ ΚΥΠΡΟΥ, ΜΕΣΑΙΩΝΙΚΗ- ΝΕΟΤΕΡΗ , Λευκωσια 2001; Ιστορία της Κύπρου τ. Δ΄, Εκδιδ. Θεοδώρου Παπαδόπουλου, Τόρμα Αρχιεπίσκοπου Μακαρίου Γ΄, Γραφείον Κυπριακής Ιστ. Λευκωσία 1995, Κεφαλαίο ΙΑ΄, Η Εκκλησία Κύπρου κατά την Περίοδο της Φραγκοκρατίας, Θεόδωρος Παπαδόπουλος

¹⁴ „ანალები“, 2009, №5, გვ. 258.

¹⁵ ESTIENNE DE LUSIGNAN, CHOROGRAFFIA, გვ. 19[65]-19a[66].

¹⁶ Description, გვ. 37ა. აქ ვეყრდნობი George Tsouris თარგმანს.

Description-ის ცნობა, რომ „*ივერიელი ბერები ასევე სარგებლობდნენ ზოგიერთი სიკეთით იქ*“, ეთანხმება წინა სტატიაში ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ქართველები, დალიის გარდა, კვიპროსზე სინას მთის ერთ-ერთ მეტოქე წმინდა პარასკევას მონასტერშიც მოღვაწეობდნენ.¹⁷

ზემოთ, სტეფანე ლუზინიანი გვამცნობს, რომ ივერებს ალაშინოში ჰქონდათ მონასტერი. აქაც ახსენებს ალაშინოს მონასტერს, ისევე როგორც CHOROGRAFFIA-ში, მაგრამ არაფერს ამბობს ივერებთან მისი კავშირის შესახებ. მაშინ რას უნდა ნიშნავდეს მისივე ცნობა, რომ „[ივერებს] *ჰქონდათ კუნძულზე რამოდენიმე მონასტერი, ძირითადად, სოფელ ალაშინოს მახლობლად*.“

CHOROGRAFFIA-ში იგი წერს, რომ ალაშინოში, ისევე როგორც ალაშინოსთან ერთად ნახსენებ სხვა სოფლებში, ლათინებს ჰქონდათ მიწა და გარკვეული შემოსავალი, რომლებიც მის დროს უკვე მიტოვებული იყო მათგან. ამასვე ადასტურებს არქიმანდრიტი კიპრიანე.¹⁸ ჩვენი ვარაუდით, ალაშინოში ქართველთა დასახლება და ქართული მონასტრის, სავარაუდოდ დალიის, მამული იყო. თუმცა არაა გამორიცხული, რომ წმინდა მიწაზე არსებულ სხვა რომელიმე ქართულ მონასტერსაც ჰქონოდა სახნავ-სათესი მიწები კვიპროსზე.

რაც შეეხება დალიის მონასტერს, აქაც იმავე კონტექსტში ახსენებს, როგორც CHOROGRAFFIA-ში. ანუ, იაკობ II-ის დამსჯელმა რაზმებმა ლიმასოლის, პაფოსისა და ხრისოხუს გავლით დალიის მონასტერს მიაღწიეს და დაარბიეს.¹⁹

სტეფანე ლუზინიანის თხზულებები სანდო და მნიშვნელოვან წყაროდ ითვლება კვიპროსის ისტორიის მკვლევართათვის. იგი თავისი დროისათვის განათლებული და კუნძულის ცხოვრებაში კარგად ჩახედული პიროვნება ჩანს. მას, როგორც ლუზინიანთა საგვარეულოს წარმომად-

¹⁷ ანალები, №8, თბ., 2012, გვ. 463.

¹⁸ ΑΡΧΙΜΑΝΤΡΙΤΗ ΚΥΠΡΙΑΝΟΥ, ΙΣΤΟΡΙΑ ΧΡΟΝΟΛΟΓΙΚΗ ΤΗΣ ΝΥΣΟΥ ΚΥΠΡΟΥ, გვ. 98.

¹⁹ Description, გვ. 170ა

გენელსა და დომინიკანელ ბერს მრავალ პირველწყაროსა და დოკუმენტზე მიუწვდებოდა ხელი. იგი თავისი თხზულებების წერისას კვიპროსის წინამორბედ ისტორიკოსთა თხზულებებსა და თვითმხილველების ცნობებს იყენებს. თურქთაგან კვიპროსის დაპყრობის შემდეგ (1471 წ.) სტეფანე ლუზინიანი სამშობლოში დაბრუნებას ვერც იოცნებებდა. მთელი თავისი ცოდნა და ენერგია მან თავისი თხზულებების შექმნას მოანდომა. ერთხელ გამოცემული ნაშრომი CHOROGRAFFIA ხელახლა გადაამუშავა, გადაამოწმა და გაავრცო Description-ში.

როგორც ვნახეთ, კვიპროსზე ქართველთა შესახებაც უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის. თუმცა კითხვები კვლავ რჩება. მაგ.: რა წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ ქართველებს ალამინოში ჰქონდათ მონასტერი და რატომ არ აკავშირებს ქართველებს დალიის მონასტერთან? დალიაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების (2006-2011 წლები) შედეგად დადასტურდა, რომ მონასტერში ქართველები თურქთა მოსვლამდე (1571 წ.), ანუ სტეფანე ლუზინიანის დროს, მოღვაწეობდნენ. ცხადია, მეთექვსმეტე საუკუნეში დალია, როგორც სხვა საზღვარგარეთ არსებული ქართული მონასტრები, ისევ ისეთი მდიდარი და აყვავებული არ იქნებოდა, როგორც დავით აღმაშენებელისა და თამარის დროს, მაგრამ თავისი სტატუსი უნდა შენარჩუნებული ჰქონოდა.

**GEORGIANS IN THE WORK OF ESTIENNE LUSIGNAN
DESCRIPTION DE TOUTE L'ISLE DE CYPRE**

The composition of Stepen Lusignan here presented is a revised and enlarged version of his first work CHOROGRAFFIA. The work is written in French, and it contains much more accurate information about the Georgians than the previous one. Here, the author focuses on the difference between Les Iuères and Les Georgiens, e.i. population of East and West Georgia; The work also places emphasis on the status of the Georgians in the St. Paraskevi (Vasilia) Monastery, which was a metochion of Mount Sinai monastery in Cyprus, however it does not provide us with reliable information about Georgian Monasteries in Yalia (Galia) and Alaminos.

დაბოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Estienne de Lusignan, Description de toute l'Isle de Cypre, A PARIS, 1580.
2. Estienne de Lusignan, CHOROGRAFFIA, ΠΟΛΙΤΙΣΤΙΚΟΝ ΙΔΡΥΜΑ ΤΡΑΠΕΖΗΣ ΚΥΠΡΟΥ, ΛΕΥΚΩΣΙΑ, 2004.
3. Χάκκετ-Παπαιωάννου, Ιστορία της Ορθοδόξου Εκκλησίας της Κύπρου, τ. Γ', 1923.
4. Μεγάλη κυπριακή εγκυκλοπαιδεία, t. IV, 1986.
5. **ΙΣΤΟΡΙΑ ΤΗΣ ΚΥΠΡΟΥ**, ΜΕΣΑΙΩΝΙΚΗ- ΝΕΟΤΕΡΗ, Λευκωσία 2001; Ιστορία της Κύπρου τ. Δ', Εκδιδ. Θεοδώρου Παπαδόπουλου, Ίδρυμα Αρχιεπίσκοπου Μακαρίου Γ', Γραφείον Κυπριακής Ιστ. Λευκωσία 1995, Κεφαλαίο ΙΑ', Η Εκκλησία Κύπρου κατά την Περίοδο της Φρανκοκρατίας, Θεόδωρος Παπαδόπουλος.
6. ΑΡΧΙΜΑΝΤΡΗΤΗ ΚΥΠΡΙΑΝΟΥ, ΙΣΤΟΡΙΑ ΧΡΟΝΟΛΟΓΙΚΗ ΤΗΣ ΝΥΣΟΥ ΚΥΠΡΟΥ, ΚΥΠΡΟΥ ΕΚΔΟΤΙΚΗ ΦΡΟΝΤΙΔΑ ΚΑΙ ΕΠΙΜΕΛΕΙΑ, ΣΗΜΕΙΩΣΕΙΣ ΚΑΙ ΣΧΟΛΕΙΑ Άντρου Παυλίδη, Φιλόκουπος, ΛΕΥΚΩΣΙΑ-ΚΥΠΡΟΣ, 1997.

Tvi Tgamocxadebul i „samxreT-dasavl eT kavkasiis demokratiul i respublikis” samxedro istoriis sakiTxebi saarqivo masal ebsa da dokumentebSi

თვითგამოცხადებული „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის” ან, ე.წ. „ყარსის რესპუბლიკის” შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი სამეცნიერო სტატია თუ ნაშრომი დაწერილა, არაერთი კვლევა განხორციელებულა, თუმცა აღნიშნული საკითხი ჯერაც არაა ბოლომდე სრულყოფილად შესწავლილი და მასზე მუშაობა კიდევ უნდა გაგრძელდეს. თემასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ბატონ როინ ყავრელიშვილის სადისერტაციო ნაშრომი „1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის თურქული ისტორიოგრაფია”, სადაც ჩვენთვის საინტერესო თემასთან დაკავშირებული საკითხები თურქულ წყაროებზე დაყრდნობითაა წარმოდგენილი.

გასაგებია, რომ ქართველი ავტორებისათვის ამ თემატიკაზე მუშაობა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ გახდა შესაძლებელი, რამეთუ XX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს და 20-იან წლების დასაწყისში, ზოგადად ამიერკავკასიის ხალხებს შორის არსებული სისხლიანი დაპირისპირებების პროცესი არაფრით არ ჯდებოდა საბჭოური ინტერნაციონალიზმისა და „ხალხთა მეგობრობის” იდეოლოგიაში. შესაბამისად, ეს თემატიკა და მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა ტაბუდადებულთა კატეგორიას განეკუთვნებოდა.

თვითგამოცხადებული „ყარსის რესპუბლიკის” ისტორიის საკითხების კვლევისას ზოგიერთ ავტორთა ნაშრომში გარკვეული ტენდენციები, გარკვეული უზუსტობები შეინიშნება. კერძოდ, ამ ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ფუძემდებლებად და „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის”, ამ ფსევდოსახელმწიფოს მთავრობის წევრებად სამცხე-ჯავახეთის ქართველი მუსლიმი ბეგები არიან წარმოდგენილი. ეს კი

სიმართლეს არ შეესაბამება. ამ მცდარ მოსაზრებას დასაბამი პირველი ქართული რესპუბლიკის პერიოდის ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, ბატონმა ვიქტორ ნოზაძემ დაუდო სათავე, თავის ნაშრომში „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მესხეთის გამო“, რასაც პერიოდულად იმეორებენ შემდგომი ეპოქის ქართველი მკვლევარებიც. ბატონი ვიქტორი წერს:

„სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის“ სახელმწიფოს პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურად საძირკველი ჩაეყარა უკვე 1917 წელს აბასთუმანში მოწყობილ მაჰმადიანთა ყრილობაზე. ამ ყრილობამ მაშინ მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვით – აჭარა, არტაანის მხარე, ახალციხე და ახალქალაქის მაზრები ყარსის ოლქს უნდა გაერთიანებოდა და შექმნილიყო, ამგვარად, ცალკე ადმინისტრაციული ერთეული, სადაც მაჰმადიანური მოსახლეობა ამის შედეგად გაერთიანებული იქნებოდა. მაგრამ ეს გეგმა მაშინ ცხოვრებაში არ გატარდა და ეხლა შეუღწევენ მის განხორციელებას, ხოლო უკვე სხვა სახით – სახელმწიფოს შექმნით. აშკარაა, მესხეთის საქმეს გამოცდილი და ჭკვიანი ნება ხელმძღვანელობდა.

რა იყო ეს უცნაური „ყარსის მთავრობა“? ვინ შეადგინა იგი და რას ემსახურებოდა? ამ საქმეში ასპარეზზე მოსჩანს სერვერ-ბეგ ათაბაგი, სამცხე-საათაბაგოს უკანასკნელი შთამომავალი, ქობლიანის პრინცი” [1, 48].

და შემდეგ – „რასაკვირველია, სერვერ-ბეგი და მისი მომხრენი, რომელთაც შექმნეს „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ მთავრობა, არა ცხრებოდნენ და როდესაც ქართულმა ჯარებმა ახალქალაქი დაიკავეს, სერვერ-ბეგმა თავისი რაზმებით ქართულ ჯარებს ბრძოლა გაუმართა, დაამარცხა კიდევ ეს მცირე ნაწილები, რომელნიც იძულებული გახდნენ ბორჯომისაკენ დაწეულიყვნენ” [1, 51].

ღიას, „ქვაბლიანელი პრინცი“ (Принц Коблианский) – სერვერ ბეგ ჯაყელიც და ზოგიერთი სხვა ქართველი მუსლიმი ბეგიც, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ პოზიციებზე დადგნენ. და მათი ასეთი პოზიცია მნიშვნელოვანწილად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ რეგიონში გატარებუ-

ლი გაუთვლელი პოლიტიკისა და გაუაზრებელი აგრარული რეფორმის შედეგი იყო. დიას, ქართველი მაჰმადიანი ბეგები უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ მუსლიმთა სეპარატისტულ შეიარაღებულ გამოსვლებს ახლციხისა და ახალქალაქის მაზრებში, მაგრამ მათ „ყარსის მთავრობა არ შეუდგენიათ“, და მით უმეტეს, ისინი „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ მთავრობის შემადგენლობაში არ ირიცხებოდნენ. ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მებრძოლ რენეგატ ბეგებს სერვერ ბეგ ჯაყელთან ერთად წარმოადგენდნენ: ომარ ფაიკ ნემანზადე ყიფიანი, აჰმედ ბეგ ფეფინაშვილი, ზია ბეგ აბაშიძე, ბინალი ბეგ ვანნაძე და სხვა.

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ახალციხის მკვიდრი, ზაქარია დიდიმამიშვილი ზემოთ ჩამოთვლილ რენეგატ ბეგებს შორის ბახში ბეგ მანაბელსაც მოიხსენიებს [2, 42]. აქ კი, ბატონი ზაქარია აშკარად ცდება, მიუხედავად იმისა, რომ იგი ახალციხეში დატრიალებული იმდროინდელი მოვლენების უშუალო თვითმხილველი და თანამონაწილე იყო. მოგვიანებით, იგი გენერალ კვინიტაძის ბრძანებით შექმნილი ამ მოვლენების შემსწავლელი კომისიის ერთ-ერთი წევრი იყო ახალციხის ლტოლვილთა კომიტეტიდან, რაც ქვემოთ მოყვანილ №24 დოკუმენტში გვაქვს წარმოდგენილი. მეტად საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მუსულმანთა წარმომადგენლობიდან ამავე კომისიის წევრს წარმოადგენდა იგივე ბახში ბეგ მანაბელიც. ასე რომ, ბახში ბეგ მანაბელთან მიმართებაში ბატონი ზაქარია ცდება. დიას, მაჰმადიანთა სეპარატისტული მოძრაობის საწყის ეტაპზე ბახში ბეგ მანაბელი მართლაც ანტიქართულ პოზიციებზე იდგა და ამ მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერსაც წარმოადგენდა. მაგრამ ეს მხოლოდ საწყის ეტაპზე. ძალიან მალე იგი ქართული სახელმწიფოსა და ერთიანი საქართველოს სამსახურში ჩადგა და ბოლომდე, ღირსებით ემსახურებოდა ამ საქმეს. ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას ჩვენს მიერ მოპოვებული უტყუარი საარქივო დოკუმენტები გვაძლევს. ზაქარია დიდიმამიშვილის პოზიცია ბახში ბეგ მანაბელთან მიმართებაში კი, იმით უნდა აიხსნას, რომ მის დღიურებში ბოლო ჩანაწერი 1919 წლის 10 მარტსაა გაკეთებული. ზემოთ ხსენებული

№24 დოკუმენტი კი 1919 წლის 15 მარტით თარიღდება. ასე რომ, ბატონ ზაქარიას ბახში ბეგ მანაბლის მონაწილეობა კომისიის მუშაობაში და მისი შემდგომი ბრძოლა ქართული სახელმწიფოს საკეთილდღეოდ დაფიქსირებული ვერანაირად ვერ ექნებოდა. პატრიოტული სულისკვეთებით აღჭურვილი, ბახში ბეგ მანაბელი ბოლომდე საქართველოს ერთგულ ჯარისკაცად დარჩა. გაეუსწრებთ მოვლენებს წინ და ვიტყვით, რომ იგი არათუ დადგა ქართულ სახელმწიფოებრივ პოზიციებზე, არამედ საქართველოს მთავრობის მიერ მისივე შექმნილი და ქართული შეიარაღებული ძალების სტრუქტურაში ჩართული ერთ-ერთი სამხედრო ქვედანაყოფის, საკავალერიო ესკადრონის მეთაურადაც დაინიშნა, რომლის მოქმედებებმაც მნიშვნელოვნად დააჩქარეს მესხეთ-ჯავახეთში მაჰმადიანური ამბოხის ლიკვიდაციისა და აჭარის დანარჩენ საქართველოსთან შემოერთების რთული და მტკივნეული პროცესი.

რაც შეეხება ზემოთ ხსენებულ ბეგებს. არც ერთი მათგანი, და თავისთავად ცხადია, არც ბახში ბეგ მანაბელი, ე.წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში“ არ ირიცხებოდა. „ქვაბლიანის პრინცი“ – სერვერ ბეგ ჯაყელი ათაბაგი, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ისლამური საბჭოებიდან ყველაზე მნიშვნელოვანის, ე.წ. „ახალციხის ისლამური საბჭოს“ თავმჯდომარეს წარმოადგენდა, რომელიც მალე გარდაიქმნა „ახალციხის ეროვნულ საბჭოდ“, შემდეგ კი – ე.წ. „ახალციხის ეროვნულ მთავრობად“. „ახალციხის ეროვნულ მთავრობად“ და არა „ყარსის მთავრობად“...

ამ ფსევდოსახელმწიფოს – „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის“ მთავრობის მეთაურს ყოფილი ცარისტი, შემდეგ კი, ოსმალო ოფიცერი, იბრაჰიმ აიღინ ბეგ ჯიჰანგიროღლი (იბრაჰიმ ჯიჰანგიროზადე-ჯანგიროვი) წარმოადგენდა, მთავრობის შემადგენლობა კი, შემდეგი იყო:

1. საგარეო საქმეთა მინისტრი – ფაჰრეთინ ერდოღანი;
2. იუსტიციის მინისტრი – აღბაბაბეგოღლუ აბას ალი ბეგი;

3. სამხედრო მინისტრი – ჯიჰანგიროღლუ ჰასან ბეგი; (პრემიერის ძმა);

4. განათლების მინისტრი – ქსენოფონ მიხეილ ანდრიანოვი;

5. კავშირგაბმულობის დეპარტამენტის თავმჯდომარე – ორლოვი;

6. ფინანსთა მინისტრი – ჰუდადაბეგოღლუ მეჰმედ ბეგი;

7. საზოგადოებრივ საქმეთა მინისტრი – მაჰმუდ ბეგი;

8. კვების მრეწველობის მინისტრი – ჰასანბეგოღლუ მეჰმედ ბეგი;

9. სატყეო, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის დეპარტამენტის თავმჯდომარე – ალი აქბერ მულან ბეგი [3, 180];

„სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის” მთავრობის შემადგენლობის თურქულსაგან ცოტა განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობენ აზერბაიჯანული წყაროები.

1. მთავრობის თავმჯდომარე – იბრაჰიმ ბეი ჯანგიროვი;

2. სამხედრო მინისტრი – ჰასან-ბეი ჯანგიროვი;

3. შინაგან საქმეთა მინისტრი – რიზა-ბეი;

4. საგარეო საქმეთა მინისტრი – ფაჰრედინ-ბეი;

5. ფინანსთა მინისტრი – მამედ-ბეი სულთანოვი;

6. გზათა მიმოსვლის მინისტრი – აჰმედ-ბეი გაჯიევი;

7. მიწათმოქმედების მინისტრი – მოლა ველამი;

8. იუსტიციის მინისტრი – აბას ალი-ბეი ალიბეგოვი;

9. ჯანდაცვის მინისტრი – მულანლინსკი;

10. განათლების მინისტრი – ქსენოფონ ანდრიანოვი;

11. სურსათის მინისტრი – იუსუფ იუსუფოვი [4, 138-139];

საკუთრივ, ე.წ. „ახალციხის ეროვნული მთავრობის” შემადგენლობას კი შემდეგი სახე ჰქონდა:

1. მინისტრი-პრეზიდენტი – ომარ ფაიქ ყიფიანი;

2. სამხედრო მინისტრი – სერვერ ბეგ ჯაყელი;

3. მიწათმოქმედების მინისტრი – ზია ბეგ ავალიშვილი;

4. შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრი – მურზა მუსაკიევი;

ღიას, სერვერ ბეგ ათაბაგი-ჯაყელი, „ქვაბლიანის პრინცი”, „ახალციხის ეროვნული მთავრობის” ე.წ. „სამხედრო მინისტრს” წარმოადგენდა. ღიას, ბატონ ვიქტორ

ნოზაძეს ცალსახად ვეთანხმებით იმ დასკვნაშიც, რომ „ყარსის რესპუბლიკის“ შემდგომი ტერიტორიული ექსპანსიის პროცესში უმნიშვნელოვანესი იყო ეროვნული თვითშეგნების გრძნობადაკარგული რენეგატი ქართველი ბეგების როლი და ადგილი. მაგრამ ბატონი ვიქტორის დასკვნებში მთავარ შეცდომას ის წარმოადგენს, რომ „ყარსის რესპუბლიკის“ შექმნის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ საწყისებს არა აბასთუმანში და არა 1917 წელს გამართულ ქართველ მაჰმადიანთა ყრილობაზე ჩაეყარა საფუძვლები, როგორც ამას იგი თავის ნაშრომში აღნიშნავს, არამედ გაცილებით უფრო ადრე, სულ სხვა პოლიტიკურ სივრცესა და სულ სხვა პოლიტიკურ ვითარებაში. თუმცა, არც ის არ არის გასაკვირი, რომ ბატონ ვიქტორს არ სცოდნოდა და ალბათ არც შეიძლება სცოდნოდა ამ პროცესების განმსაზღვრელი ძალებისა და სამხედრო-პოლიტიკური პროცესების რაობა და გენეზისი, მათი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. იმაში კი ცალსახად ვეთანხმებით ბატონ ვიქტორს, რომ – „მესხეთის საქმეს გამოცდილი და ჭკვიანი ნება ხელმძღვანელობდა“... აღნიშნული საკითხი თავისი პოლიტიკური და იდეოლოგიური ასპექტებით გაცილებით უფრო ღრმა და მოცულობითია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

ამჯერად ჩვენ არ ვაპირებთ წამოჭრილ პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების სრულად და ამომწურავად განხილვას. ამ პრობლემას ალბათ ცალკე სქელტანიანი მონოგრაფიული კვლევა ჭირდება, მით უმეტეს, თუ საკითხს დიდი პოლიტიკის, ან სამხედრო ისტორიის, თუნდაც სამხედრო ხელოვნების ისტორიის კუთხით განვიხილავთ. ამჯერად, წარმოდგენილი ნაშრომი „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“, ანუ, ე.წ. „ყარსის რესპუბლიკის“ შესახებ ჩვენს მიერ მოძიებული ზოგიერთი საარქივო მასალის (სამთავრობო კორესპონდენციები, სამხედრო ბრძანებები, პატაკები, ტელეფონოგრამები, მოხსენებითი ბარათები, ანგარიშები, სხვადასხვა ხასიათის საშტაბო მიმოწერა და ა.შ.) სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანას ითვალისწინებს, რომლებსაც მოკლე კომენტარებსაც დავურთავთ.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ თვითგამოცხადებული ისლამური ტიპის „სახელმწიფოს“ შექმნისა და

არსებობის ხანმოკლე ისტორიას არაერთი ქართველი თუ უცხოელი ავტორის ნაშრომი და კვლევა მიეძღვნა, მაგრამ ეს პროცესი მაინც არაა ბოლომდე დასრულებული. ამ საკითხის სრული კვლევა ჯერ კიდევ არაა დადებული.

საკითხში სრულად გარკვევისა და ამ მოვლენისათვის ნათელის მოსაფენად საჭიროა უფრო მასშტაბურად, გლობალურ ჭრილში შევხედოთ პრობლემას და ისე განვიხილოთ იგი. ამისათვის კი, I მსოფლიო ომის დამამთავრებელ ფაზასა და ამ ომში ჩართულ ოსმალთა იმპერიას უნდა დავუბრუნდეთ.

1918 წლის შემოდგომისათვის I მსოფლიო ომის ფრონტებზე „ოთხთა კავშირისათვის“ სამხედრო-სტრატეგიული ვითარება უკიდურესად დამძიმდა. 1918 წლის სექტემბერში ბრიტანელთა მიერ სირია-პალესტინის ფრონტზე წარმატებით დაგეგმილი და აღსრულებული ე.წ. „არმაგედონის ოპერაციის“ შემდეგ, ოსმალთა მე-7 და მე-8 არმიები სასტიკად მარცხდებიან. 29 სექტემბერს ბულგარეთი აცხადებს კაპიტულაციას – „ოთხთა კავშირი“ იშლება. 1 ოქტომბერს პალესტინის ფრონტზე ბრიტანელები იკავებენ დამასკოს. 27 ოქტომბერს კი, კრიტიკული მდგომარეობიდან გამომდინარე, ოსმალთა იმპერია წყვეტს საომარ მოქმედებებს და ითხოვს ზავს.

საზავო მოლაპარაკებები კუნძულ ლემნოსის პორტ მუდროსში შედგა, ამიტომ იგი ისტორიაში მუდროსის ზავის სახელით შევიდა. მოლაპარაკებები ბრიტანულ სამხედრო ხომალდ „HMS Forsyth“-ის ბორტზე დაიწყო და „HMS Agamemnon“-ზე გაგრძელდა. თურქეთის მხრიდან დელეგაციას ხელმძღვანელობდა ჰუსეინ რაუბ ორბეი – ოსმალთა იმპერიის იმჟამინდელი საზღვაო მინისტრი, ხოლო ბრიტანული მხარის რწმუნებებით აღჭურვილ პირს – დიდი ბრიტანეთის ხმელთაშუა ზღვის ფლოტის სარდალი, ადმირალი სომერსეტ არტურ კელ ტორფი (S. A. Calthorpe) წარმოადგენდა.

მუდროსის ზავის ძირითად პუნქტებს შემდეგი სახე ქონდა:

1. დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები იხსნება და მოკავშირეთა ქვეყნების გემებს ეძლევათ თავისუფალი მიმოსვლის საშუალება.

2. დაუყოვნებლივ მოხდეს თურქეთის შეიარაღებული ძალების დაშლა. დაშვებულია მხოლოდ სასაზღვრო ძალებისა და შიდა წესრიგის დაცვისთვის საჭირო ძალების არსებობა;

3. დაუყოვნებლივ მოხდეს კავკასიისა და ირანის ტერიტორიებიდან თურქული საოკუპაციო ჯარების გამოყვანა;

4. ანტანტის წევრი ქვეყნები იღებენ სრულ კონტროლს თურქეთის რადიოზე, ტელეგრაფზე, კომუნიკაციებზე, რკინიგზაზე, საზღვაო პორტებზე, სამხედრო გარნიზონებზე;

5. აუცილებლობის შემთხვევაში, ანტანტის წევრი ქვეყნები იტოვებენ უფლებას მოახდინონ თურქეთის ამა თუ იმ პროვინციის ოკუპირება;

საომარი მოქმედებები ოტომანთა სახელმწიფოსა და ანტანტის ქვეყნებს შორის შეწყდეს 1918 წლის 31 ოქტომბრის 2400 საათზე ადგილობრივი დროით [5, 11].

ზავის მე-11 და მე-15 მუხლები უშუალოდ კავკასიას შეეხებოდა. ამ მუხლების მიხედვით ოსმალურ შენაერთებს უნდა დაეტოვებინათ კავკასიის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, დაღესტანი) ოკუპირებული ტერიტორიები, ამიერკავკასიაში კი ბრიტანული შენაერთები უნდა შესულიყვნენ, რომელთაც ბაქო და ბათუმი უნდა დაეკავებინათ [6, 521].

1918 წლის 13 ნოემბერს მოკავშირეთა ფლოტილია კონსტანტინოპოლში შედის, ჯარები კი იკავებენ ქალაქის სტრატეგიულ ობიექტებს [7, 99].

ოსმალთა იმპერიის მმართველი ტრიუმვირატი (სამხედრო მინისტრი – ისმაილ ენვერ ფაშა, სამხედრო-საზღვაო მინისტრი – აჰმედ ჯემალ ფაშა, შინაგან საქმეთა მინისტრი და დიდი ვეზირი – მეჰმედ თალაათ ფაშა) და ე.წ. „ახალგაზრდა თურქთა“ „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტია (Ittihat ve Terakki) დამარცხდა. იტიჰადისტთა პარტია ფორმალურად დაშლილ იქნა, ხოლო მის ქონებას კონფისკაცია ჩაუტარდა... ახალი სულთნის, ვაჰიდედინის (მეჰმედ VI) მიერ იტიჰადისტთა პარტიის ლიდერები კანონგარეშედ და დამნაშავეებად გამოცხადდნენ.

მუდროსის ზავმა უმძიმეს პირობებში ჩააყენა თურქული სახელმწიფო. იურიდიულად და შინაარსობრივად ეს

იყო უსიტყვო კაპიტულაციის აქტი – ოსმალთა იმპერიის დასასრულის დასაწყისი. ამ აქტით წერტილი უნდა დასმოდა „ახალგაზრდა თურქთა“ „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის მმართველობის ხანას და ოტომანთა იმპერიის მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

ანტანტის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით მთელი ამიერკავკასია დიდი ბრიტანეთის ერთპიროვნული გავლენის ზონად გამოცხადდა და ბრიტანული ჯარების სარდლობაც რეგიონის მართვის შესაბამისი მანდატით აღიჭურვა. მანდატის თანახმად, სამივე რესპუბლიკის დედაქალაქში ბრიტანელთა საოკუპაციო ნაწილები უნდა შესულიყვნენ. ამ ჯარების საერთო ხელმძღვანელი, სპარსეთში დისლოცირებული ბრიტანული კონტიგენტის სარდალი, გენერალ-მაიორი უილიამ მონტგომერ ტომსონი (William Montgouimer Thomson), ნოემბრის პირველ რიცხვებში ენზელიდან ბაქოში გამოგზავნილ ტელეგრამაში მკაცრად მოითხოვდა, რომ თურქულ შენაერთებს ორ კვირაში დაეცალათ ბაქო, ხოლო ერთ თვეში – მთელი ამიერკავკასია. წაყენებული ულტიმატუმის საფუძველზე, თურქებმა იძულების წესით დაიწყეს ამიერკავკასიის ოკუპირებული ტერიტორიების დატოვება [8, 255].

ამიერკავკასიაში ბრიტანული საოკუპაციო ჯარების კონტინგენტი იქნა შეყვანილი. ამას გარდა, ბრიტანელებმა ოსმალთა იმპერიის სხვა მიწების ოკუპაციაც მოახდინეს: 8 ნოემბერს – მოსული, შემდეგ კი – ურფა, მარაში, ანტეპი. სამსუნი, ბაღდადი და სირია მათ უკვე დაკავებული ჰქონდათ I მსოფლიო ომის მსვლელობისას. ფრანგები ქილიკიასა და ადანაში 25 ნოემბერს გამოჩნდნენ, ხოლო 1918 წლის 17 დეკემბერს ფრანგული ქვედანაყოფები მერსინში შევიდნენ. 1500 კაციან ქვედანაყოფში მხოლოდ 150 მებრძოლი იყო ეროვნებით ფრანგი. დანარჩენები სომეხი ლეგიონერები იყვნენ. 1918 წლის 18 დეკემბერს კი, გენერალი მორის გამელინი (Maurice Gamelin), სირიაში ფრანგული საოკუპაციო ჯარების სარდალი, დიდი პომპეზურობით შედის ადანაში [9].

მუდროსის ზავსა და ანტანტის ქვეყნების მიერ ოსმალთა ტერიტორიების ოკუპაციის დაწყებას თურქული საზოგადოებისა და გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური

წრეების დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. კონსტანტინოპოლსა და მთელს ანატოლიაში ოკუპაციის საწინააღმდეგო საპროტესტო მოძრაობები აგორდა. კონსტანტინოპოლმა გამოსავლის ძიება დაიწყო. საჭირო იყო ქმედითუნარიანი, ეფექტური წინააღმდეგობის ორგანიზება იმპერიაში, რომელიც შექმნილ სიტუაციას გამოასწორებდა. და ამისათვის შორს წასვლა და ახალი ვერსიების ძიება-გამოგონება სულაც არ გახდა საჭირო. იმპერიის გაველენიანი წრეები მზად აღმოჩნდნენ ისტორიის მიერ მორთმეული ამ მძიმე გამოწვევის მისაღებად. „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის მიერ კონტრმოქმედებების საიდუმლო გეგმა უკვე შემუშავებული იყო.

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში იმპერიის ევროპულ ნაწილში ტერიტორიების პერმანენტულმა დაკარგვამ, აგრეთვე „დიდი თურანის“ იდეების ეფემერულობამ, ოსმალთა ხელში მხოლოდ ანატოლია დატოვა, რომელმაც თურქულ ნაციონალურ ფსიქოლოგიაში ნელ-ნელა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ევროპიდან თურქთა დევნის ასწლიანმა პროცესმა, XX საუკუნის დასაწყისიდან ანატოლიას თურქთათვის განსაკუთრებული სტატუსი შესძინა. ეს იყო ამ ხალხის გადარჩენისათვის საჭირო „საარსებო სივრცე“, ხოლო ოსმალთა იმპერიის საზღვრების შეუქცევადი შემცირება, ანატოლიას, რომელიც კავკასიამდე იყო გადაჭიმული, თურქი ხალხის ბოლო თავშესაფრად აქცევდა.

თუ ოსმალთა ისტორიას გადავხედავთ, ამ ტერიტორიებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მინიჭება მხოლოდ XIX საუკუნის 70-ინი, 80-იანი წლებიდან დაიწყო. მანამდე იმპერიის „გულს“ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი და კონსტანტინოპოლი წარმოადგენდა. ახლა კი, თურქულ პრესაში შემდეგი მიმართვები გაჩნდა: „მამულიშვილნო, მოდი, კარგად დაფიქრდეთ! თუ ჩვენ ეხლაც არ მივაქცევთ ანატოლიის მოსახლეობის მოთხოვნებს ყურადღებას და მათ დახმარების ხელს არ გავუწოდებთ, ამით ჩვენს მარჯვენას მოვიკვეთავთ. ჩვენი არმიის ჯარისკაცთა უმეტესი ნაწილი – ანატოლიელები არიან. ანატოლიაა ჩვენი მარჩენალი“ [10, 80].

I მსოფლიო ომში ჩართვის წინ კი, ოსმალთა იმპერიის გენერალურ შტაბში მუშავდებოდა გეგმები, რომელიც ომის მიმდინარეობის ყველა შესაძლო ვარიანტსა და შედეგებზე იქნებოდა გათვლილი. „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ომის დასრულების ყველა შედეგი განსაჯა და ის შემთხვევაც გაითვალისწინა, თუ ომში ოსმალთა იმპერია დამარცხდებოდა. ასეთ შემთხვევაში, შერჩეულ იქნა ანატოლიის რეგიონში გამაგრებისა და ბრძოლის იქ გაგრძელების გრძელვადიანი სტრატეგია. შედგენილ იქნა საბრძოლო მოქმედებათა თანმიმდევრობის გეგმაც” [11, 263].

გეგმის შესაბამისად, იმპერიის მმართველი ტრიუმვირატისა და გენშტაბის თაოსნობით შეიქმნა ე.წ. „სპეციალური ორგანიზაცია“ – Teşkilât-ı Mahsusa, რომელიც კონსტანტინოპოლისა და სრუტეების დაკარგვის შემთხვევაში, წინააღმდეგობის მოძრაობას ჩაუდგებოდა სათავეში იმპერიის აღმოსავლეთ ვილაიეთებში. Teşkilât-ı Mahsusa წარმოადგენდა სამხედრო საიდუმლო სამსახურის ოსმალურ ვარიანტს, რომლის კონკრეტულ დანიშნულებასაც წარმოადგენდა ე.წ. „პარტიზანული რაზმების“ შექმნა, სადაზვერვო, საინფორმაციო და პროპაგანდისტული მუშაობის წარმოება. ენვერ ფაშასა და სამხედრო სამინისტროს სტრატეგიული გათვლა ისეთი იყო, რომ თუ I მსოფლიო ომის მსვლელობაში მოკავშირეები, და პირველ რიგში ბრიტანელები მოახერხებდნენ სრუტეებისა და კონსტანტინოპოლის დაკავებას, მაშინ საყოველთაო „პარტიზანული მოძრაობა“ უნდა დაწყებულიყო ოსმალთა იმპერიის შიდა რეგიონებში და უპირველეს ყოვლისა, ანატოლიაში. „სპეციალური ორგანიზაცია“ – Teşkilât-ı Mahsusa არ წარმოადგენდა მხოლოდ სამხედრო ორგანიზაციას. იგი ამავე დროს პოლიტიკური ორგანიზაციაც იყო, რომლის იდეოლოგიური ღერძი პანისლამისტურ და მოგვიანებით, პანთურანულ იდეებზე იყო დაფუძნებული.

ამ გეგმების დახვეწას გენერალურ შტაბში და პარტიის ცენტრალურ კომიტეტში უკვე 1915 წლის დამდეგიდან, სარიყამიშის ოპერაციის დასრულებისთანავე მიუბრუნდნენ. მდგომარეობა ოსმალთათვის კი მართლაც საგანგაში იყო. სარიყამიშის ოპერაცია კავკასიის ფრონტზე გაშლილი ოს-

მალთა მე-3 არმიისათვის სრული კატასტროფით დასრულდა. Teşkilât-ı Mahsusa-ს გეგმის რეალური ამუშავება კი ბრიტანელთა მიერ უკვე ჰალიპოლისის ოპერაციის დროს დაიწყო 1915 წლის ბოლოდან, როდესაც ბრიტანელებმა დიდი საზღვაო დესანტი გადმოსხეს დარდანელზე და ოსმალთა იმპერიას აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში დიდი პრობლემები შეუქმნეს. ფრონტზე მიმდინარე ბრძოლების პარალელურად, თურქი ოფიცრები ადგილებზე იღებდნენ დავალებებს ორგანიზება გაეწიათ წინააღმდეგობის მოძრაობისათვის, შეეიარაღებინათ ხალხი და მომზადებულიყვნენ ხანგრძლივი თავდაცვითი ბრძოლების საწარმოებლად. იმის აღზათობა, რომ ჰალიპოლისის ნახევარკუნძულზე ბრიტანული დესანტი ოსმალთა თავდაცვის ზღუდეს გაარღვევდა და ანატოლიაში შემოვიდოდა, დიდი იყო. წინააღმდეგობის ორგანიზებასთან ერთად, გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო მთავრობის ევაკუაცია და მისი გადაყვანა კონსტანტინოპოლიდან ცენტრალურ ანატოლიაში, ესკიშეჰირში ან კონიაში. დარდანელის ოპერაციის მიმდინარეობისას ამ გეგმის ნაწილის ამუშავებაც კი მოხდა – სახელმწიფო არქივისა და ხაზინის ნაწილი მართლაც ესკიშეჰირში იქნა გატანილი. და აი, ახლა, თურქებს შეიძლება თავისი ბოლო თავშესაფარი, თავისი ქვეყნის ბოლო კუთხე – ანატოლია დაეკარგათ. ერთის მხრივ გრძელდებოდა დარდანელის ბრძოლები, ხოლო მეორეს მხრივ, მიმდინარეობდა მუშაობა ანატოლიის უკანასკნელ თავშესაფრად გადაქცევისათვის. სახელმწიფოსა და თურქთა მომავალი კი, მხოლოდ ანატოლიის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებით იყო შესაძლებელი.

ჰალიპოლისის ოპერაცია 259 დღე მიმდინარეობდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში თურქეთის ბედი ბეწვზე ეკიდა. ოსმალთათვის ეს მართლაც ნამდვილი „ცეცხლოვანი გეგნია“ იყო, როგორც ამას ამ ამბების თვითმხილველი, ცნობილი თურქი ისტორიკოსი შევკეტ სურეია აიდემირი (Şevket Süreyya Aydemir) აღნიშნავდა [12, 228].

მაგრამ მაშინ იმპერია გადარჩა. „დარდანელის გმირის“, პოლკოვნიკ მუსტაფა ქემალის უნარიანი ხელმძღვანელობის წყალობით ოსმალებმა შეძლეს თავდაცვითი პო-

ზიციების შენარჩუნება, ბრიტანული დესანტის ნარჩენები კი, დარდანელიდან ევაკუირებულ იქნა.

მუდროსის ზავის დადებითა და მოკავშირეთა ჯარების კონსტანტინოპოლში შემოსვლით „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტია ოფიციალურად დაშლილად გამოცხადდა. მისი, როგორც პოლიტიკური გაერთიანების ფუნქციონირება აიკრძალა. პარტიის ხელმძღვანელებს და ოსმალთა იმპერიის I მსოფლიო ომში ჩართვის მთავარ ინიციატორებს, ყოფილი მმართველი ტრიუმვირატის წევრებს – ენვერ, ჯემალ და თალათ ფაშებს, ამ დროისათვის იმპერიის ტერიტორია უკვე მალულად ჰქონდათ დატოვებული.

ტრიუმვირატის გაქცევისა და „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ფორმალური დაშლის შემდეგ, იტიჰადისტები ძალიან საინტერესო სიტუაციაში აღმოჩნდნენ. როგორც ინგლისელები აღნიშნავდნენ, ისინი ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერები იყვნენ ქვეყნის „ადმინისტრაციაში, არმიასა და პოლიციაში“. მათი გავლენა ქვეყანაში იმდენად დიდი იყო, რომ არსებულ სიტუაციაში ისინი პრობლემად რჩებოდნენ მოკავშირეებისათვის, განსაკუთრებით ინგლისელებისათვის. გაზეთი „თიმეს“ წერდა, რომ თავის დროზე „ახალგაზრდა თურქთა“ მიერ დაარსებული „ერთიანობა და პროგრესი“ – „თურქეთში შექმნილი ერთადერთი ეფექტური პარტიაა“.

ასეთ ვითარებაში ექსიტიჰადისტების მიერ იქმნება სხვადასხვა საიდუმლო თუ ნახევრად საიდუმლო დიდ-პატარა ორგანიზაციები – თადარიგის ოფიცერთა ასოციაცია, სხვადასხვა კორპორაციული გილდიები, ეროვნული კონგრესი, თურქეთის სხვადასხვა ვილაიეთის მოსახლეობის უფლებათა დაცვის სხვადასხვა საზოგადოება, „ეროვნული ისლამური საბჭოები“ და ა.შ. კონსტანტინოპოლში განახლდა პოლიტიკური პარტიების საქმიანობა, რომლებიც ცდილობდნენ შეექმნათ ეროვნული ბლოკი თურქეთის ერთიანობის დაცვისათვის [13, 281-282].

1918 წლის ნოემბერში ეროვნული „უფლებათა დაცვის საზოგადოებები“ შეიქმნა ედირნეში, დასავლეთ თრაკიაში, ყარსსა და იზმირში, ურფაში – დეკემბერში, ტრაპიზონსა და არზრუმში კი – 1919 წლის თებერვალში.

წინააღმდეგობის მოძრაობის ახლადშექმნილ ორგანიზაციათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და ძლიერი „ყარაქოლი“ (Karakol) იყო, რომელიც 1918 წლის ოქტომბრის ბოლოს დაარსდა და ომის შემდგომი ოკუპაციის პერიოდის თურქული ნაციონალისტური მოძრაობის პირველ ცნობილ ასოციაციას წარმოადგენდა.

საინტერესოა თვით ამ ორგანიზაციის სახელწოდება – „ყარაქოლი“, რომლის მნიშვნელობაც სიტყვათა გარკვეულ თამაშზეა აგებული. ერთის მხრივ, იგი „შავ ხელს“ (Kara kol) ნიშნავს, მეორეს მხრივ – „გუშავს“ (Karakol). მაგრამ ამ სიტყვის მნიშვნელობას მესამე დატვირთვაც, მესამე ინტერპრეტაციაც ჰქონდა. მისი დაარსების იდეა იტიჰადისტებს და პირადად მეჰმედ თალაათ ფაშას ეკუთვნოდა, იმდროინდელ დიდ ვეზირს. იდეა მან ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის მსვლელობისას წამოაყენა. ორგანიზაციის უშუალო დამაარსებლები კი, Teşkilât-ı Mahsusa-ს წევრი, პოლკოვნიკი ყარა ვაზიფი და კონსტანტინოპოლის იტიჰადისტთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ყარა ქემალი იყვნენ [14, 10].

სწორედ ყარა ქემალმა და ყარა ვაზიფმა შეურჩიეს ორგანიზაციას ეს დასახელება, რომელიც ზემოთ მოყვანილ მნიშვნელობებთან ერთად, მათ საკუთარ სახელებსაც შეიცავდა. ასე რომ, ისედაც მკაცრად გასაიდუმლოებული ორგანიზაციის სახელწოდების მნიშვნელობაც ძალიან ჩახლართული და მრავალაზროვანი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ ორგანიზაცია „ყარაქოლის“ შექმნის იდეა თალაათ ფაშას ეკუთვნოდა, ორიგინალობით ეს იდეა ნამდვილად არ გამოირჩეოდა. იგი ენვერ ფაშას მიერ ზემოთ ხსენებული „სპეციალური ორგანიზაციის“ (Teşkilât-ı Mahsusa) bazaze შეიქმნა და გასაგები ხდება, რომ დაარსების დღიდანვე მასზე დიდი გავლენა სწორედ ენვერ ფაშას ჰქონდა. „ყარაქოლი“ მკაცრად გასაიდუმლოებულ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომლის აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა ვინაობა, და თავისთავად ცხადია, მათი რაოდენობა, შეხვედრის ადგილები, კონტაქტებზე გასვლის წესები, შიდა სუბორდინაციის სისტემა, სრულიად დახურული იყო. ცხადია, როგორც იტიჰა-

დისტოპია პარტიის სამხედრო დაზვერვის ბაზაზე შექმნილი ორგანიზაცია, მისი წევრების უმეტესობა სწორედ იტიპადისტოპია დაზვერვის სამსახურის ყოფილ წევრებსა და აგენტებს წარმოადგენდნენ. „ყარაქოლის“ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა კი, ასეთი იყო: ბაჰა საიდი, ყარა ვაზიფი, რეფიკ ისმაილი, ჯემალედინ სამი, გალათალი შეკეპტი, ედიპ სევეტი და ალი რიზა ბებე [15, 25].

მეტად საინტერესოა ამ ორგანიზაციის წესდების მე-3 მუხლი, სადაც სოციალისტური იდეოლოგიის გარკვეული შტრიხებიც კი შეიმჩნევა. თურქი მკვლევარის, პროფესორ ნერსინ ერსოი მაკიკენის (Nersin Ersoy McMeekin) მიხედვით: „ყარაქოლი თავის ძალაუფლებას ანხორციელებს მშვიდობისმოყვარე დელეგატების, ყველა სოციალისტური და პროლეტარული ჯგუფების მიერ ინტერნაციონალური განხილვების მეშვეობით, თურქული, მუსლიმური ცენტრის, აგრეთვე თვითოეული ადამიანისა და ყველა ორგანიზაციის მხრიდან, ვისთვისაც მისაღებია „ყარაქოლის“ მიზნები“ [15, 26].

მუსტაფა ქემალ ათათურქის მემუარების მიხედვით კი – „ორგანიზაცია „ყარაქოლის“ ინსტრუქციებში დაყენებულ იქნა საკითხი „ნაციონალური არმიის“ შექმნის შესახებ. ინსტრუქციებში ნათქვამი იყო, რომ „ამ არმიის გენერალისიმუსი, მისი შტაბის პირადი შემადგენლობა, ასევე უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობა: არმიებისა და კორპუსების სარდლები, დივიზიის მეთაურები, მათი შტაბის ოფიცრები, ინიშნებიან არჩევითი წესით. ამავე დროს, მათი პერსონების იდენტიფიცირება არ ხდებოდა, მათ მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულება კი ხორციელდებოდა საიდუმლო რეჟიმში“ [16, 70].

თავდაპირველად ეს ორგანიზაცია დაკავებული იყო სადაზვერვო მუშაობის წარმოებით, აგრეთვე ბრიტანელებისა და საოკუპაციო რეჟიმისადმი ლოიალურად განწყობილი კონსტანტინოპოლის ოფიციალური მთავრობის მხრიდან იტიპადისტოპია დევნის აღსაკვეთად. შემდგომში „ყარაქოლის“ აქტივობამ მოიცვა ანტანტის მიერ უკონტროლო ან ნაკლებად კონტროლირებად ტერიტორიებზე გადგენის გაზრდა, იქ იარაღის, საბრძოლო მასალებისა და აღჭურვილობის ფარულად გადატანა და გადამალვა.

ამით, ჯერ კიდევ Teşkilât-ı Mahsusa-ს მოქმედების პერიოდში შექმნილი იარაღის საიდუმლო საწყობების რაოდენობა ანატოლიაში კიდევ უფრო იზრდებოდა. ამ ეტაპზე, ახალ ვითარებასთან შესაბამისობაში, „ყარაქოლმა“ შექმნილი გაეჭრა ახალი საკომუნიკაციო და სატრანსპორტო არხები კონსტანტინოპოლსა და ანატოლიას შორის, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა გადამალული იარაღისა და საბრძოლო მასალების ნელ-ნელა ანატოლიასა და კავკასიაში გატანა. თურქი მეცნიერის, პროფესორ შუჰნაზ ილმაზის მიხედვით, „ყარაქოლის“ მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას შეადგენდა აგრეთვე ექსპლუატაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ტყვედ აყვანილი და პატიმრობაში მყოფი მნიშვნელოვანი პერსონების განთავისუფლება, მათი უსაფრთხო ადგილებზე გადაყვანა. მაგრამ „ყარაქოლის“ მთავარ დანიშნულებას, რა თქმა უნდა, ოსმალთა იმპერიაში ამ ორგანიზაციის განტოტვილი ქსელის შექმნა და წინააღმდეგობის ორგანიზება წარმოადგენდა [17, 52].

მეორე თურქი მეცნიერის, ჰულია ქუჩუკის მიხედვით, „ყარაქოლის“ მიზანს წარმოადგენდა იტიპადისტებისა და თურქი მოსახლეობის დაცვა ომის შემდგომ პერიოდში ანტანტის, ლიბერალებისა და ქრისტიანი მოსახლეობის მხრიდან შესაძლო შურისძიების თავიდან ასაცილებლად” [18, 102].

სწორედ ამ საიდუმლო ორგანიზაციების – Teşkilât-ı Mahsusa-სა და მისი მემკვიდრე „ყარაქოლის“ ეგიდით მიმდინარეობდა აღმოსავლეთ ანატოლიისა და სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მუსლიმურ რეგიონებში ზემოხსენებული სქემის განხორციელება განტოტვილი აგენტურული ქსელის შექმნითა და ე.წ. „ეროვნული ისლამური საბჭოების“ დაარსებით. სწორედ ამ ორგანიზაციების ინტენსიური მუშაობის შედეგი იყო ე.წ. „ყარსის ისლამური საბჭოსა“ და „ყარსის მთავრობის“ დაარსებაც.

საკითხის სისრულისათვის კი იმასაც აღვნიშნავთ, რომ მხოლოდ „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკა“ არ წარმოადგენდა Teşkilât-ı Mahsusa-სა და „ყარაქოლის“ სტრატეგიისა და იდეოლოგიური აქტივობის პროდუქტს ამიერკავკასიაში. ჯერ კიდევ „ყარსის რესპუბლიკის“ შექმნამდე, მუდროსის ზავის ხელმოწერიდან

სულ რამდენიმე დღეში, 1918 წლის 3 ნოემბერს ამიერკავკასიაში შეიქმნა ისლამური ტიპის პირველი ფსევდოსახელმწიფო, ე.წ. „არაქსის რესპუბლიკა“, ან სხვანაირად, „არაზის თურქული რესპუბლიკა“, დედაქალაქით იგდირი. ახლადშექმნილი რესპუბლიკის საქმეთა მმართველობისა და სამხედრო საქმეთა ძირითადი ორგანოები ნახიჭევანში იყო კონცენტრირებული. ამ „რესპუბლიკის“ მთავრობის შემადგენლობას შემდეგი სახე ჰქონდა:

1. მთავრობის თავმჯდომარე – ამირ ბეგ ზამანბექზადე;
2. სამხედრო მინისტრი – იბრაჰიმ ბეგ ჯიჰანგირზადე;
3. ფინანსთა მინისტრი – გამარალი ბერგ ბანანიარლი;
4. მიწათმოქმედების მინისტრი – ბაგირ ბეგ რზაზადე;
5. იუსტიციის მინისტრი – მამედ ბექზადე;
6. საგარეო საქმეთა მინისტრი – ჰასან ბეგ შარიფზადე;
7. შეიხ-ულ-ისლამი – მირზა ჰუსეინ ვაიზი-ირავანი;
8. მუფტი – ხოჯა ექიდ ეფენდი;

ახლდშექმნილი „რესპუბლიკის“ ტერიტორიები მოიცავდნენ შარურ-დარალაგეზის, ვედიბაზარის, სარიყამიშის, ორდუბადის ტერიტორიებს [19, 136].

მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ამ „არაქსის რესპუბლიკის“ სამხედრო მინისტრი იბრაჰიმ ბეი ჯიჰანგიროლლი (ჯიჰანგირზადე-ჯანგიროვი) იყო. სწორედ ის ჯიჰანგიროლლი, რომელიც ძალიან მალე „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის“ მთავრობის თავმჯდომარედ და „პრეზიდენტად“ მოგვევლინება.

ჩვენი კვლევის მიზანს ამჯერად არ წარმოადგენს პოსტოსმალურ პერიოდში სამხრეთ კავკასიის ტერიტორიებზე ისლამური ტიპის სახელმწიფოების პოლიტიკური და იდეოლოგიური პრობლემების სრული კვლევა. ჩვენი კვლევის საგანს გასაგები მიზეზების გამო, ყარსის ოლქი, მისი მოსაზღვრე თბილისის გუბერნიის ახალაციხისა და ახალქალაქის მაზრები და ბათუმის „ოკრუგი“ შეადგენს. უფრო ზუსტად – ამ ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიების გაერთიანებით და აქ მოსახლე მუსლიმი მოსახლეობის კონსოლიდაციის გზით გარდამავალი პროთურქული ისლამური ტიპის სახელმწიფოს შექმნის პროცესი. სახელმწიფოსი, რომელსაც ოსმალთა „სპეციალური ორგანიზა-

ციისა” (Teşkilât-ı Mahsusa) და „ყარაქოლის” სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, ახალი თურქული სახელმწიფოს ძალების მოკრებამდე, სამსრეთ-დასავლეთ კავკასიის რეგიონში უნდა უზრუნველყო პროთურქული და პანისლამური მუხტის შენარჩუნება. დაახ. სწორედ „არაქსისა” და „ყარსის” ისლამური ტიპის ეს ფსევდოსახელმწიფოები უნდა გამხდარიყვნენ „ისლამური კრისტალიზაციის” ის ცენტრები, რომელთა გარშემოც მოხდებოდა კავკასიის მაჰმადიანი მოსახლეობის კონსოლიდაცია და გაერთიანება, ენვერ ფაშასეული თურანული ამბიციების შემდგომი რეალიზაციის გზაზე. მით უმეტეს, ამის ისტორიული გამოცდილება უკვე არსებობდა. 1918 წლის სექტემბერში ოსმალურ-აზერბაიჯანული გაერთიანებული შენაერთი, ე.წ. „კავკასიის ისლამური არმია”, ენვერ ფაშას ძმის, ნური ფაშას სარდლობით ბრძოლებით შევიდა ბაქოში, დაამხო რუსულ-სომხური დაშნაკურ-ესერული ე.წ. „ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურა” და აზერბაიჯანსა და დაღესტანში პროთურქული სახელმწიფოები შექმნა. მაგრამ ახლა, თურქთათვის ამ ამოცანას ის მდგომარეობა ართულებდა, რომ ახლადშექმნილი ქართული და სომხური სახელმწიფოები, და შესაძლოა, ბრიტანული საოკუპაციო მმართველობა დაპირისპირებაში მოსულიყვნენ ამ პროცესებთან. რაც რეალობაშიც, საბოლოოდ ასე მოხდა.

მუდროსის ზავის დადებისა და თურქული ნაწილების ამიერკავკასიიდან გასვლისათანავე, პანთურქისტებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს მუშაობა მუსულმანებით დასახლებულ ტერიტორიებზე Teşkilât-ı Mahsusa-ს ახალი ტიპის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოების, „ისლამური საბჭოების” ჩამოყალიბებაზე, რომლებიც გარკვეულწილად შეინარჩუნებდნენ თურქთა მიერ ადრე ოკუპირებულ ტერიტორიებსა და მის მოსახლეობაზე ოსმალურ კონტროლს.

ენვერ ფაშასა და იტიჰადისტების თურანული იდეა კი უცვლელად რჩებოდა – მთელი ამ სამხედრო-პოლიტიკური პროცესის საბოლოო მიზანს კავკასიის მუსლიმი მოსახლეობის კონსოლიდაცია, ერთიანი მუსლიმური სახელმწიფოს ჩამოყალიბება და მისი ისევ ოსმალურ სახელმწიფოსთან შე-

ერთება წარმოადგენდა. ამ ერთიანი ისლამური სახელმწიფოს შემადგენლობაში, უპირველეს ყოვლისა, აზერბაიჯანის ჩართვა მოიაზრებოდა. პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, ამიერკავკასიის ეთნოგრაფიულ და რაც მთავარია, კონფესიურ სურათზე აპელირებით, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მიერ ოფიციალურად იქნა წარდგენილი მოთხოვნა ისლამური სახელმწიფოს – ერთიანი, „დიდი აზერბაიჯანის“ შექმნის შესახებ.

1918 წლის შემოდგომიდან „ეროვნული ისლამური საბჭოები“ ფუნდებდა ყარსის ოლქის მთავარ ქალაქებში – ოლთისში, ყაგიზმანში, იგდირში, სარიყამიშში, არტანანსა და თავად ყარსში. ასევე, საქართველოს მუსლიმი მოსახლეობით დასახლებულ ტერიტორიებზე – ახალქალაქში, ახალციხეში, ბათუმში [20, 356].

ამ „ეროვნული ისლამური საბჭოებიდან“ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო „ყარსის ისლამური საბჭო“, რომელიც 1918 წლის 5 ნოემბერს შეიქმნა. დეკემბერში მან სახელი გამოიცვალა, შექმნილი პოლიტიკური რეალიებიდან გამომდინარე, სახელწოდებიდან „წამგებიანი“ სიტყვა – „ისლამური“ ამოღებულ იქნა და მას „ეროვნული საბჭო“ ეწოდა, 1919 წლის იანვარში – „ყარსის ეროვნული საბჭო“, 1919 წლის მარტში კი – „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დროებითი ეროვნული მთავრობა“ (Cenûb-ı Garbî Kafkas Hükûmet-i Muvakkate-i Millîyesi). საბოლოოდ, 1919 წლის 25 მარტს „მთავრობის“ სხდომის გადაწყვეტილებით სახელწოდებიდან ამოღებულ იქნა სიტყვა „დროებითიც“ და მას ეწოდა „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობა“. მთავრობის მეთაურს პრეზიდენტის ტიტულიც მიენიჭა [21].

1918 წლის 1 დეკემბერს „ყარსის ისლამური საბჭოს“ მიერ მიღებულ იქნა „დამოუკიდებლობის აქტი“ და გამოცხადდა „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის“ შექმნა [22, 17]. „რესპუბლიკის“ პარლამენტმა 1919 წლის 17 იანვარს მიიღო „კონსტიტუცია“ (Teskilâtı Esasiye Kanun), რომლის მიხედვითაც ახლადშექმნილი სახელმწიფოს ტერიტორიებად ჩათვლილ იქნა ყარსისა და ბათუმის ოლქები, ახალციხის, ახალქალაქის, შარურის, ნახიჭევანისა და სურმალის მაზრები, ასევე ერევნის გუ-

ბერნიის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი [23, 74]. ქალაქი ყარსი რესპუბლიკის დედაქალაქად გამოცხადდა, სახელმწიფო ენად კი, თურქული ენა იქნა მიღებული. „ყარსის რესპუბლიკის“ მთავრობამ თხოვნით მიმართა ანტანტის უმაღლეს საბჭოს ცნობის შესახებ და მზდყოფნა გამოთქვა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე თავისი დელეგაციის გაგზავნის შესახებ [24, 260].

ამ მოვლენების პარალელურად, რა თქმა უნდა, პირველ რიგში მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა „რესპუბლიკის“ შეიარაღებული ძალების შესაქმნელად. და მართლაც, კავკასიაში გაშლილი ოსმალთა მე-9 არმიის მე-3 დივიზიის მეტაური, პოლკოვნიკი ჰალიდ ბეი – „დელი“ (გიეი) ჰალიდი, ამ მოვლენების აქტიურ მხარდამჭერად და ორგანიზატორად მოგვევლინა. „ყარსის რესპუბლიკის“ შეიარაღებულ ძალებში მე-3 დივიზიის ბევრი ოფიცერი იქნა ჩართული. ასევე, დეოკუპაციის შემდეგ ამ ტერიტორიებზე დარჩენილი ოსმალური ქვედანაყოფებიც დაყოვნებლივ იქნენ ჩართულნი „ყარსის რესპუბლიკის“ შეიარაღებული ძალების სტრუქტურაში. შეიძლება ითქვას, რომ „რესპუბლიკა“ პროფესიონალი სამხედრო კადრის ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდიდა. თუმცა, რეალურად „ყარსის რესპუბლიკის“ შეიარაღებული ძალები მხოლოდ ყარსის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებს აკონტროლებდნენ [21]. სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მას დაშნაკური სომხეთის სამხედრო ნაწილები და საბრძოლო რაზმები დაუპირისპირდნენ.

„ყარსის რესპუბლიკის“ ხელმძღვანელობის მიერ პერსპექტივაში განსაზღვრული იყო ამ „სახელმწიფოს“ დაახლოება აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და საბოლოოდ მასთან გაერთიანება. ამ ისტორიულ ფაქტს არც აზერბაიჯანელი ავტორები არ უარყოფენ. ამ საკითხთან დაკავშირებით აზერბაიჯანის კონსული ბათუმში, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს ატყობინებდა: „სამხრეთ-დასავლეთის რესპუბლიკის მოსახლეობის მზერა ბაქოსკენ, თავიანთი ერთმორწმუნეებისკენაა მიმართული და იმედი აქვთ, რომ ჩვენი რესპუბლიკა დაეხმარება მათ მატერიალურად და მორალურად, როგორც საშუალებებით, ასევე სპეციალისტი-თანამშრომლებით...“ [24, 74].

რა მორალურ დახმარებაზეა აქ საუბარი და ვინ იყენებს ეს „სპეციალისტი-თანამშრომლები“? რაში მდგომარეობდა მათი ფუნქციები და რა ევალუბოდათ მათ? ამ კითხვებზე ფაქტიურად ამომწურავ პასუხს იძლევა პირველი ქართული რესპუბლიკის ცნობილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალი შალვა მადლაკელიძე თავის მემუარში, რომელსაც იმ პერიოდში „სამოქალაქო და სამხედრო საქმეებში სამუსლიმანო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი წარმომადგენლის“ თანამდებობა ეკავა:

„როტმისტრი გუდიევი მაჰმადიანი აღმოჩნდა, ინგუში, ჩრდილო კავკასიიდან. ადრე „ველური დივიზიის“ ოფიცერი. ამხანად კი, მაზრის პატრონი ისეთი სახის, სულ სხვა ამოცანებითაც იყო დატვირთული. იგი ოსმალეთის სასარგებლოდ მუშაობას აწარმოებდა თურმე და სამხედრო ნაწილიდან განსახდერული მიზნებით გადმოსულიყო პოლიციურ სამსახურში...

ყაზი ალი-ეფენდიმ გამაცნო ვინმე ექიმი ლორთქიფანიძე. ქართველი მაჰმადიანი, რომლისთვისაც ახალციხეში ცხოვრების უფლება საგანგებოდ გამოეთხოვათ. ეს ექიმი არავის ექიმობდა; მხოლოდ გავლენიან მაჰმადიანებს ხვდებოდა ხოლმე და თვით ჩვენი გარნიზონის ოფიცრობაში დიდი ნაცნობობა ჰქონდა და პატივიც. რევოლუციის პირველ დღეებშივე ის ფიცხლავ ფოცხოვის მხარეში გადავიდა და იქ თურქეთის სამხედრო ინსტრუქტორებს წვრთნიდა და ხელმძღვანელობდა. მხოლოდ შემდეგ გავიგეთ, რომ ის იყო თურქეთის გენერალური შტაბის ოფიცერი, განგებ ჩვენს მხარეზე გადმოსული დაზვერვისა და ჯაშუშობის მიზნით.

მთელი სამაზრო ადმინისტრაცია – პოლიციაც ხომ სულ მაჰმადიანების ხელში იყო. ბოქაულებად და უბრალო „სტრაჟნიკებადაც“ მხოლოდ ინგუშ-ოსები და აზერბაიჯანელები იყვნენ. სამაზრო ცხენოსანი რაზმი მარტო ინგუშებისაგან შედგებოდა, ქვეითი რაზმი კი – ოსებისაგან. ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო და ოსმალეთისათვის ნაკლებ საიმედო საბოქაულო – აწყურის – მინდობილი ჰქონდა ქართველების დიდ მტერს, ინგუშ მუსაკიევს. იმ მუსაკიევს, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის დროს

მონაწილეობა მიიღო ჩვენს წინააღმდეგ მოწყობილ სერ-ვერბეგ ათაბაგის აჯანყებაში...

სამაზრო აგრონომად მოწვეული იყო ზია-ბეგ ავალიშ-ვილი, კაცი რუსული განათლებით, მაგრამ მთელი თავისი არსებით თურქი, სამაზრო ექიმად – აზერბაიჯანელი აზიზბეგ კადიმბეკოვი. ისიც ოსმალეთის მოტრფიალე;

სოფელ აწყურში მასწავლებლობდა ვინმე ომარ-ფაიკი (ომარ-ფაიკ ნემანზადე – ყიფიანი – ა. ჩ.). უწინ „ახალგაზ-რდა თურქთა“ აჯანყების აქტიური მონაწილე ოსმალეთში. მის განკარგულებაში იყვნენ 30 აზერბაიჯანელი და 10 სამ-ცხე-ჯავახეთიდანაც ახალგაზრდა მაჰმადიანი თბილისის სა-მასწავლებლო ინსტიტუტის, თუ სხვა სკოლის მსმენელები, რომლებიც უმთავრესად ზაფხულობით, ხალხს სოფლებში წერა-კითხვას ასწავლიდნენ. სინამდვილეში ესენი იყვნენ პროპაგანდისტები და ომარ-ფაიკის ხელით გაწვრთნილი აგენტები, ოსმალეთის სასარგებლოდ მომუშავენი...

ყველაზე უფრო დაგეშილი და ოსმალეთისათვის სა-სარგებლო პიროვნება იყო ომარ-ფაიკის დისშვილი, აწყუ-რელი ახმედ ბეგ ფეფინოვი (ფეფინაშვილი – ა. ჩ.), უნი-ვერსიტეტში ჩემი მეგობარი და ამ დროს კი ერობათა და ქალაქთა კავშირის რწმუნებული კავკასიის ფრონტზე. ის იყო „დამაკავშირებელი“ ოსმალეთის დაზვერვისა და რუ-სეთის მიწაწყალზე ოსმალთა სასარგებლოდ მომუშავე აგენტებს შორის” [25, 288-191]. ახლა უკვე გასაგებია ალ-ბათ, თუ ვის და რას წარმოადგენდნენ ეს ე.წ. „სპეციალის-ტი-თანამშრომლები“. ისინი სწორედ Teşkilât-ı Mahsusa-სა და „ყარაქოლის“ აგენტურულ ქსელს წარმოადგენდნენ მესხეთ-ჯავახეთში.

ახლა კი, ე.წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკ-რატიული რესპუბლიკის“ სამხედრო ისტორიის საკითხებ-ზე რამდენიმე საინტერესო საარქივო დოკუმენტს წარმო-ვადგენთ, რომლებსაც მცირე კომენტარებსაც დავურთავთ.

I მსოფლიო ომის შემდგომი ტერიტორიული გადანა-წილებისა და მსოფლიოს ახალი პოლიტიკური მოწყობის საკითხი „პარიზის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენ-ციას“ უნდა გადაეწყვიტა, რომელმაც მუშაობა 1919 წლის 12 იანვარს დაიწყო. საინტერესო ატმოსფერო სუფევდა

კონფერენციაზე – ერთის მხრივ, იგი გარკვეულწილად იმ ტრიბუნალის როლს ასრულებდა, რომელსაც ოსმალთა იმპერია უნდა გაესამართლებინა „კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულობებისათვის“, მეორეს მხრივ კი, მომრიგებელ შუამავალს წარმოადგენდა გამარჯვებულ სახელმწიფოთა შორის ახლადმოპოვებული ტერიტორიების გადანაწილების საქმეში.

კონფერენციის მუშაობის დაწყებიდან რამდენიმე დღეში მსოფლიოს სახელმწიფოთა მთავრობებს მკაცრი მიმართვა-გაფრთხილება დაეგზავნათ, რომელიც კრძალავდა ტერიტორიული პრეტენზიებისა თუ სხვა მიზეზებით ნებისმიერი მასშტაბის საომარი მოქმედებების დაწყებას, ან უკვე არსებული შეიარაღებული კონფლიქტის გაგრძელებას.

დოკუმენტი №1

გაფრთხილება გამოცემული პარიზის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციის მიერ. 24. 01. 19.

მთავარი თათბირის შემდეგ შეერთებული შტატების პრეზიდენტს, მოკავშირე სახელმწიფოების პრემიერ მინისტრებსა და მინისტრებს, იაპონიის წამომადგენლებთან ერთად, ჰქონდათ მცირე თათბირი, რის შემდეგაც მივიდნენ შეთანხმებაზე, რომ ტელეგრაფის მეშვეობით მსოფლიოს ყველა კუთხეს ეცნობოს ეს განცხადება:

ამჟამად კონფერენციაში მონაწილე სახელმწიფოების მთავრობები ღრმად შემფოთებულნი არიან ევროპისა და აღმოსავლეთიდან მომდინარე ცნობებით შეიარაღებული ძალების გამოყენებით იმ ტერიტორიების მოპოვების შესახებ, რომლის დაკანონებაც განსაზღვრულად მხოლოდ სამშვიდობო კონფერენციას გააჩნია. ისინი ვალდებულად თვლიან თავს, რომ აცნობონ ყველას, ტერიტორიების ძალით დაპყრობის შემთხვევაში თავად დამპყრობლები მიიღებენ სერიოზულ ზარალს.

ეს მდგომარეობა გვაფიქრებინებს, რომ ძალმომრეობის ჩამდენთ თავად შეაქვთ ეჭვი თავიანთი მოქმედებების სამართლიანობაში და ცდილობენ მოიპოვონ ტერიტორიები ძალის გამოყენებით და არა რასობრივი, ნაციონალური ან

ისტორიული სურათიდან გამომდინარე. ამგვარად ისინი ჩრდილს აყენებენ ყოველგვარ სამართალს და უნდობლობას უცხადებენ თავად კონფერენციას.

აქედან შეიძლება მივიღოთ ყველაზე არასასურველი შედეგები. თუ ისინი სამართლიანობას ელიან, მაშინ თავი უნდა შეიკავონ ძალმომრეობისაგან და გადასცენ ამ საკითხების გადაჭრის საშუალება სამშვიდობო კონფერენციას [26].

პარიზის კონფერენციის ამ მოწოდებას, ცხადია, უმაღლესად გამოეხმაურა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. ნოე ჟორდანიასა და ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის მშვიდობისმყოფელისა და დემოკრატიის იმიჯი მეტად ძვირად ფასობდა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 1919 წლის დასაწყისისათვის ქართული შეიარაღებული ძალები უმძიმეს ბრძოლებს აწარმოებდნენ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად. სომხეთ-საქართველოს ომი ახალი დასრულებული იყო. 1919 წლის დადგომისთანავე კი, ქართული სახელმწიფო ორი განსხვავებული მიმართულებიდან ერთდროულ სამხედრო აგრესიას განიცდიდა. საუბარი ერთის მხრივ, აფხაზეთის რეგიონსა და იქ შემოჭრილ გენერალ ანტონ დენიკინის ე.წ. „მოხალისეთა არმიას“, ხოლო მეორეს მხრივ, ახალციხე-ახალქალაქის მაზრებს და იქ დაწყებულ პანისლამისტურ, ოსმალთაგან ზურგგამაგრებულ შეიარაღებულ აგრესიას ეხება.

მოწინააღმდეგის აღმატებული ძალების მხრიდან შეტევითი მოქმედებების გამო, ორივე მიმართულებაზე ქართული ქვედანაყოფები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ და შესაბამისი თავდაცვითი პოზიციები დაეკავებინათ.

სამშვიდობო კონფერენციის მოთხოვნის შესაბამისად, გაფრთხილებიდან სულ რამდენიმე დღეში გამოიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწისა და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილის შესაბამისი ბრძანებაც.

დოკუმენტი №2

ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის ჯარებს. №1.

12. 02. 19. ქ. ტფილისი
სრულიად საიდუმლო. რუკა 2 და 5 ვერსი ერთ დუიმში

1. გენერალ მაზნიევის ახალციხის რაზმის მრავალდღიანი ბრძოლების შემდეგ, რაც გაიმართა ზურგში აჯანყებითა და თურქი ასკერების გამოჩენის შედეგად, რაზმი იძულებული იყო 11 თებერვლის საღამოსათვის უკან დაეხია ქვემო აწყურის მიდამოებისაკენ. შავიზღვისპირეთში გენერალ ი. გედევანოვის ჯგუფმა, დობროარმიის აღმატებული ძალების ზეწოლითა და ადგილობრივი სომხური მოსახლეობის აჯანყების გამო, 10 თებერვლისათვის უკან დაიხია მდ. ბზიფისაკენ.
2. როგორც ერთ, ასევე მეორე მიმართულებაზე მტერს შემდგომი მოქმედებებისაკენ აღარ მიუმართავს. მეორე მიმართულებაზე კი ინგლისის მისიის წარმომადგენელმა თხოვა ჩვენს მთავრობას, რომ გაუგებრობების თავიდან აცილებისათვის, თავი შევიკავოთ აქტიური მოქმედებებისაგან.
3. აქედან გამომდინარე, ვბრძანებ:

გენერალ მაზნიევს:

- ა) ამოარჩიოს, მყარად დაიმკვიდროს და გამაგრდეს იმ ხაზზე, რაც მას ეხლა უკავია გურკელი-საკუნეთი-ბლორძა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საარტილერიო თავდაცვას.
- ბ) უწყვეტად აწარმოოს დაზვერვა მოწინააღმდეგის ძალებისა და განლაგების გამოსარკვევად.
- გ) მოემზადოს შეტევაზე გადასვლისათვის ახალციხის ასაღებად, როგორც კი ამისათვის საკმარისი ძალები მოიყრიან თავს.
- დ) ახალქალაქის რაზმთან ეჭიროს უწყვეტი კავშირი.
- ე) თავისი შტაბი განაღავოს აწყურში.

გენერალ ი. გედევანოვს:

- ა) მიიღოს ზომები სოხუმის ოკრუგის გასამაგრებლად, რისთვისაც დაიკავოს და გაამაგროს პოზიციები მდ. ბზივის გასწვრივ, მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება გაგრა-სოხუმის მიმართულებას.
- ბ) ჩემი ბრძანების გარეშე აქტიური მოქმედებებისაგან თავი შეიკავოს.
- გ) მოწინააღმდეგის ძალებისა და განლაგების დასადგენად, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის განწყობების დასადგენად, აწარმოოს საიდუმლო დაზვერვითი სამუშაოები.
- დ) შტაბი იყოლიოს სოხუმში, აქვე განლაგოს თავისი რაზმის ბაზა.
- ე) მოწინააღმდეგის წინსვლის შემთხვევაში მიიღოს ზომები მის აღსაკვეთად საგზაო ნაგებობების დაზიანებით.

გენერალ ართმელაძეს:

მიიღოს ზომები ზეკარის უღელტეხილის გასამაგრებლად.

ვ) ადმინისტრაციული განყოფილების უფროსს: გახსნას მაღაზიები ფოთსა და ბორჯომში, ხოლო სოხუმში – საწყობი.

ზ) სანიტარული განყოფილების უფროსს: წარმოიმდგინოს წინადადებები სანიტარული დახმარების შესახებ და მიიღოს გადაუდებელი ზომები.

სასწრაფო მოსხენებები მოწოდებულ იქნას 9 და 19 საათზე ყოველდღიურად.

ჩემი მოადგილეები არიან: გენერალ-მაიორი ანდრონიკოვი და გენერალ-მაიორი იმნაძე.

სამხედრო მინისტრის თანაშემწე – გედევანოვი.

გენშტაბის უფროსი – ანდრონიკოვი.

ოპერატიული სექციის უფროსი – ზახარიაძე [27].

ბრძანების ტექსტიდან კარგად ჩანს როგორც ქართული ქვედანაყოფების მიერ დაკავებული თავდაცვითი პოზი-

ციების განლაგება, ასევე მიმართულების სარდლების წინაშე დასმული საბრძოლო ამოცანები და ჯარების მართვა-კონტროლის ელემენტები, ასევე ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის ღონისძიებები.

ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ აშკარა საომარი სამზადისის შესახებ ჩვენს მიერ მოძიებულ პირველ ოფიციალურ შეტყობინებას, ახალციხის მაზრის კომისრის სახელზე გაგზავნილი, 1919 წლის 15 იანვრით დათარიღებული მოხსენებითი ბარათი წარმოადგენს. ეს დოკუმენტი სოფელ ვალეში ქართული მილიციის შესვლასა და რაიონში არსებული მდგომარეობის აღწერას ეხება.

დოკუმენტი №3

ახალციხის მაზრის კომისარს. საიდუმლო მოხსენება

თანახმად თქვენი განკარგულებისა, 15 იანვრის 1919 წლის თარიღით, მაქვს პატივი მოგახსენოთ შემდეგი:

15 იანვარს ათიოდე შეიარაღებული მილიციელით შემოველ სოფელ ვალეს საზოგადოების სოფლებში. მთელი ამ სოფლის მაცხოვრებლები კეთილგანწყობით შემხვდნენ. დამე სოფელ ვალეში გაეჩერდი. მეორე დღეს, 16 იანვარს, დილის 10 საათზე სოფელ წყალთბილაში მოვახდინე ადგილობრივ მაცხოვრებელთა კრება, რასაც დაესწრნენ თითქმის მთელი მამაკაცები. ამ სოფლის მაცხოვრებლები ეროვნებით ქართველი კათოლიკენია და ამ სოფელს ესაზღვრება ბადელია, სტეფანწმინდა და მთელი ფოცხოვის საზოგადოება. ჩემს მოწოდებაზედ ყველამ თანხმობა გამოცხადა და მთავრობის ერთგულებას მიცხადებენ და საჭირო დახმარება აღმითქვეს. მაგრამ ამ სოფელს იქით კი, სამწუხაროდ სურათი იცვლება. წყალთბილა სოფელზედ მოსაზღვრე სოფლები, ბადელია, სტეფანწმინდა და მთელი ფოცხოვის საზოგადოება, ეს უკანასკნელი ხუთი დღეა, რომ იარაღდება ჩვენს წინააღმდეგ. მეთაურობს ვილაც ბეგი, მცხოვრები სოფელ დიდურის, ახმედ შაკით ბეგ ოღლი. ამ ცნობას მთელი ყრილობა მაძღვეს. დამოკიდებულება სოფელ წყალთბილასი ამ სოფლებთან შეწყვეტილია. აჯანყე-

ბულ სოფლებში ხალხისათვის დაურიგებიათ იარაღი და ჭირნახული (როგორ ამბობებ მონატაცი). მე წასვლა არ მირჩიეს, რადგან შეიძლება ტყვედ ჩაგვარდნოდი მათ.

გავითვალისწინე რა ყოველივე ეს, საჭიროდ ვცანი რომ აჯანყება სხვა სოფლებზე არ გავრცელდეს, თქვენს სათანადო განკარგულებამდე შევკრა ეს სოფლები: გამოვიწვიე სოფელ ვალედგან დამხმარე ჯარის კაცები და ჩემი მილიციელები კი მზად მყავს ამავე სოფლებში. აუცილებლად მიმანია ეხლავე მივიღოთ ზომები და გამოვიწვიოთ ძალები, რომელმაც უნდა ჩააქროს ასეთი თავხედობა. დაგვიანება საქმეს წაახდენს და გთხოვთ რაც შეიძლება მალე მომავლოდოთ ჯარი.

მაზრის მილიციის უფროსი ალ... (ხელმოწერაა გაუგებრადაა – ა. ჩ).

მე ვდგავარ სოფელ წყალთბილაში [28].

შემდეგი დოკუმენტი ახალქალაქის მაზრაში დისლოცირებული ქართული რაზმის მეთაურის, პოლკოვნიკ ჯაფარიძის მოხსენებით ბარათს წარმოადგენს ახალციხე-ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორისა და ქართული საჯარისო გარნიზონის სარდლის, გენერალ აბელ (ბალო) მაყაშვილის სახელზე. მოხსენებით ბარათში წარმოდგენილია ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობების რაოდენობა და შეიარაღება 1919 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

დოკუმენტი №4

გენერალ მაკაევის ახალციხეში ახალქალაქიდან.

01. 01. 19. 18 საათი და 30 წუთი. №11.

მოგახსენებთ, რომ 1-ლ პოლკში კმაყოფაზე დგას 300 კაცი, 250 ხიშტი, მე-4 პოლკის მეორე ბატალიონში – 309, 210 ხიშტი, ხაშურის გვარდია – 94, ხიშტი 75, ბორჯომის გვარდია – 77, ხიშტი 65, კაპიტან კანდელაკის ესკადრონი – 71, ხიშტი 50, არტილერიაში – 110.

სულ რაზმში კმაყოფაზეა 961 კაცი, ხიშტი 650.

პოლკოვნიკი ჯაფარიძე [29].

პირველი შემოტევა კი „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის“ სამხედრო ქვედანაყოფებმა და ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობისაგან შემდგარმა რაზმებმა ზემოთ ხსენებულ სოფლებში ქართული საჯარისო ფორმირებების შესვლიდან ორ დღეში, 1919 წლის 17 იანვარს განახორციელეს სოფელ ბადელიასთან. მცირერიცხოვანი ქართული საჯარისო ქვედანაყოფების, მილიციისა და სასახლევრო რაზმების მიერ მოწინააღმდეგის შეტევითი მოქმედებები ვერ იქნა მოგერიებული.

დოკუმენტი №5

**თბილისი, სასახლე, ვალიკო ქუჩელს. ბორჯომიდან.
17. 01. 1919.**

დღეს დილით არტანის საზღვარზე სოფელ ბადელიასთან მაჰმადიანებმა გადმოლახეს საზღვარი და წაიყვანეს ჩვენი სანაპირო ჯარისკაცები. მთელი დღე სროლები იყო. ახალციხის გარნიზონი უმნიშვნელოა, რომელიც ქალაქიდან არ შეიძლება რომ მოვაშოროთ. წამოველ ბორჯომში და მიმყამს აქაური გვარდიელები, გამოვიწვიეთ ხაშურიდანაც. საჭიროა საგრძნობი ძალა, რომ სისუსტე არ დაინახონ. საქმე იმაშია, რომ ომარ ეფენდის (აქ ომარ ფაიკ ნემანზადე ყიფიანზეა საუბარი – ა. ჩ.) და მისი ამხანაგების კაცები აგენტები ცხარე აგიტაციას ეწევიან. მთავრობის დეკრეტი ავტონომიის შესახებ რეაქციონერული მიზნებისათვის გამოიყენეს. მე ბევრი ვეხვეწე მთავრობას დაუყოვნებლივ დაეპატიმრებინათ მეტეხიდან განთავისუფლებული ბეგები. მაგრამ ისინი დღესაც თბილისში დაბრძანდებიან და მაქედან საქმეს გვიფუჭებენ აქეთ (აქ საუბარი ბინალი ბეგ ვაჩნაძესა და ომარ ფაიკ ნემანზადე ყიფიანზეა – ა. ჩ.). საჭიროა არა იმდენად ჯარი, რამდენადაც გვარდია, რომელიც მოივლის მთელს მაზრას და გასწმენდს რეაქციონერებისაგან, თორემ ესკლა ზურგშიც კი მტრები გვყამს. ჩვენი ორგანიზაცია გთხოვთ სახალხო გვარდიის შტაბს მიაქ-

ციოთ ამ გარემოებას ყურადღება და დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნოთ ნაწილი მაინც თქვენი შეიარაღებული ძალისა.

ლეო რუხაძე [30].

ამ დოკუმენტს ახალციხე-ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორი, გენერალი აბელ (ბალო) მაყაშვილი არ აწერს ხელს. საქმე იმაშია, რომ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორად გენერალ მაყაშვილის დანიშვნის პარალელურად, ამავე მაზრებში საქართველოს მთავრობის სრულუფლებიან რწმუნებულად მივლინებულ იქნა ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატი ლეო რუხაძე, რამაც აღნიშნულ მაზრებში ფაქტობრივი ორხელისუფლებიანობის შექმნას ჩაუყარა საფუძველი. არ ენდობოდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები მეფის არმიის ყოფილ ოფიცრებსა და გენერლებს არა პროფესიული თვისებების ან ეროვნული თვითშეგნების, არამედ იდეოლოგიური არათავსებადობის გამო. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ხომ ქართულ არისტოკრატიულ წრეებს მიეკუთვნებოდნენ და ქართველი ორთოდოქსი მარქსისტებისათვის „კლასობრივ მტრებად“ მოიაზრებოდნენ. ქვემოთ მოყვანილი №5 დოკუმენტიც ცალსახად მეტყველებს ამაზე. გენერალი მაყაშვილი, თავის ფაქსიმილეს, როგორც წესი, წინ ურთავდა თავადურ ტიტულს „Князь“, რაც ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ ძალიან მძიმედ აღიქმებოდა.

დოკუმენტი №6

ახალციხე. №5409. გენერალ მაკაევის.

ასლი მთავრობის რწმუნებულს ლეო რუხაძეს,

ასლი სამაზრო კომისარს.

სამხედრო სამინისტროდან, №116. 18. 12. 19. 14 საათი და 10 წუთი.

გამომდინარე იქიდან, რომ შესაძლებელია ახალქალაქის მაზრაში გამოსვლები, თქვენ ძირითადში გევალებათ სამხედრო-ოპერატიული მოქმედებების ხელმძღვანელობა.

მმართველობის სხვა ორგანოების მოწყობა კი დაკისრებული აქვს მთავრობის რწმუნებულს, რომელთანაც უნდა იქონიოთ მჭიდრო კონტაქტი.

ამავე დროს უნდა გაგაფრთხილოთ თქვენ და გელოვანი, რომ განცხადებებსა და მოწოდებებში თქვენი თავადური ტიტულის განუყოფლად მოხსენიება, ხელს აძლევთ მათ, ვინც საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ეწევა აგიტაციას ბნელი ძალებისა და ბეგების წინაშე.

სამხედრო მინისტრი გეორგაძე [31].

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, საქმეში ქართული საჯარისო ქვედანაყოფებიც იწყებენ ჩართვას. გენერალ მაყაშვილის მიერ აჯანყების მოთავეებისადმი ულტიმატუმი იქნა წაყენებული. იგი დარწმუნებული იყო, რომ ეს გამოსვლები „ორი-სამი მოთავეის ორგანიზებული ავანტიურა“ იყო, ლოკალურ ხასიათს ატარებდა და მისი მცირერიცხოვანი გარნიზონის მიერ უწესრიგობების აღდგენა ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მოხერხდებოდა. ყოველივე ამას ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტი ადასტურებს.

დოკუმენტი №7

საიდუმლო. ახალციხე. საღამოს 9 საათი. 18. 01. 19.

ლაპარაკობს გენერალი მაკაევი.

ჰალიდ ბეის (აქ ოსმალთა მე-3 დივიზიის მეთაურზე, პოლკოვნიკ „დელი“ ჰალიდ ბეიზე უნდა იყოს საუბარი და არა ვინმე ჰალიდ ბეიზე – ა. ჩ.) გადავეცი, რომ მან მიიღოს ზომები ფოცხოვში წესრიგის აღსადგენად, ვუბრძანე გადაეცა იგივე თურქული მხარის სარდლობისათვის ბაკალან ჯაყსუში, მაგრამ გვიპასუხეს, რომ ნაბრძანები აქვთ არავითარი მოლაპარაკებები ჩვენთან არ აწარმოონ და უფროსობამდე არაფერი არ მიიტანონ. ბანდები შეკრებილია ტყეში და სიმაღლეებთან სოფელ ხონასთან, ხოლო თავად სოფელში შეიარაღებული თურქების რაოდენობა 50 კაცია. ხვალ დილამდე ველოდები პასუხს, შემდეგ კი დავიწყებ მათ დაშლას. ეს მე ლაყე კვერციხის ფასადაც არ

მიდირს. არსებობს ცნობები, რომ ეს ორი-სამი მოთავის ავანტიურაა, რომლებმაც ეს შაიკა შეკრიბეს, დანარჩენებს კი საქართველოსთან შემოერთება სურთ. მოთავეები ავრცელებენ ხმას, რომ საქართველოს მთავრობა დაუმეგობრდა სომხებს, უნდათ მუსულმანების გაჟლეტა და სომხებისათვის არდაგანის გადაცემა, რაზეც თითქოს მუსულმანები არ არიან თანახმა [32].

მდგომარეობა კი, რა თქმა უნდა გაცილებით მძიმე და სერიოზული იყო. „ეს ავანტიურა“ არა „ორი-სამი მოთავის“ ორგანიზებული უწესრიგობები იყო, არამედ ნამდვილი სამხედრო მოქმედებების დასაწყისი, რომლის მიზანსაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისაგან ძირძველი ქართული მიწების მოწყვეტა და მისი ე.წ. „ყარსის რესპუბლიკასთან“ მიერთება წარმოადგენდა. მთელი ეს სამხედრო-პოლიტიკური პროცესები კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავის დროზე ოსმალთა გენშტაბის მიერ შემუშავებული კარგად გაწერილი ერთიანი გეგმის მიხედვით ხორციელდებოდა.

მაზრაში დაწყებულ მოვლენებს ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტიც ადასტურებს, სადაც სასაზღვრო გარნიზონის უფროსი, პოლკოვნიკი მაყაშვილი, კონფლიქტის მასშტაბების ზრდის შესახებ უკვე პირდაპირ სამხედრო მინისტრს მოახსენებს შესაბამისი ტელეფონოგრამით.

დოკუმენტი №8

ტელეფონოგრამა №113. 19. 01. 19.

სასაზღვრო დაცვის უფროსისაგან შტაბში. სამხედრო მინისტრს.

ახალციხიდან განყოფილების უფროსი როტმისტრი ტერიევი გვაცნობებს, რომ: 17 იანვარს ღამის პირველ საათზე, სოფელ ხონას თავს დაესხნენ ფოცხოველები. ტყვედ აყვანილია ჩვენი 8 ჯარისკაცი. გაგზავნილია ასეული, ორი ქვემეხით და მეტყვიამფრქვევეთა ოცეული. 18 იანვრის დილას მოვიდა პიკეტის უფროსი მორელიდან და მოგახსენა, რომ ხალხი რომლებიც სოფელ ხონაში იმყო-

ფებოდნენ, მოვიდნენ დღეს ღამით იარაღთან ერთად. ხონა დაკავებული და გარშემორტყმულია 500 ფოცხოველის მიერ. ხონას დაკავების დროს გაწვეულ იქნა წინააღმდეგობა და დანებების წინადადებაზე არ დანებდნენ, ჩაიკეტნენ შენობაში და გახსნეს ცეცხლი. ბანდა ცდილობდა ცეცხლი წაეკიდებინა შენობისათვის, რაც ვერ შეძლეს. ღამით ჯარისკაცები გამოყვანილ იქნენ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. დაწვრილებით მოგახსენებთ პატაკით.

პოლკოვნიკი მაკაევი [33].

გენერალ მაყაშვილის მიერ მხოლოდ რეალური სამხედრო მოქმედებების დაწყების შემდეგ გახდა შესაძლებელი არსებული სიტუაციის ადეკვატურად შეფასება. იგი მთავარსარდლის, გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილისაგან ითხოვს დახმარებას და რეგიონში დამატებითი ქართული ქვედანაყოფების შეყვანას. მიუხედავად შექმნილი მძიმე მდგომარეობისა, რესპუბლიკის მთავრობისა და სამხედრო უწყების მიერ ვერ მოხერხდა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში შესაბამისი რაოდენობის ძალების თავმოყრა. საქმე იმაშია, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამავე პერიოდში აფხაზეთის რეგიონში იწყება ქართული შეიარაღებული ძალების გარკვეული ნაწილის, ძირითადადში სახალხო გვარდიის რაზმების კონცენტრაცია გენერალ დენიკინის „ღობროარმიის“ აგრესიის აღსაკვეთად. გენერალ მაყაშვილის ქვემოთ მოყვანილ ტელეგრამაში ნათლად ჩანს როგორც რეგიონში შექმნილი უმძიმესი სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე გენერალ მაყაშვილის მიერ შეთავაზებული პრობლემის გადაჭრის გარკვეული გზები. ნათელია, რომ ადგილობრივ მუსლიმ მოსახლეობას, ზურგს უმაგრებენ თურქული რეგულარული ქვედანაყოფები.

დოკუმენტი №9

ტიფლისი. გედევანოვს. №715. 21. 01. 19.
19 საათი და 55 წუთი. ახალციხიდან.

ახალციხეში ჩამოსული რაზმის განლაგება შესაძლებელია არაუადრეს 25 იანვრის საღამოსი. ამჟამად ფოცხო-

ვის ოპერაციისათვის ახალციხეში იმყოფება 563 ხიშტი ტყვიამფრქვევებით. მოქმედი ტყვიამფრქვევი 17 ცალია, დანარჩენი მომსახურე პერსონალის გარეშეა. ჯავშანმატარებელი გამართულია, გვაქვს 8 ქვემეხი, მაგრამ ცხენების უქონლობის გამო შეუძლებელია მათი გადატანა. გადასახვევი მასალები თითქმის არა გვაქვს. ფურაჯისა და პროდუქტის აქ შოვნა თითქმის შეუძლებელია, არანაირ ფულს არ იღებენ. ადგილობრივი მოსახლეობა გვევედრება დავასვენოთ საქონელი და ცხენები, რომლებიც შესვენებისა და ანაზღაურების გარეშე მუშაობენ.

ახლა როტმისტრმა დანელიამ მომახსენა, რომ სოფელ ზურსელსა და აწყურში მოვიდა ფაშათ ღურსუნ ოღლი, იგივე თალაკვაძე და ჯადო, ყოფილი ყაჩაღი, რომლებიც დადიან სოფლებში და არწმუნებენ მოსახლეობას შეიარაღებული გზით დაუპირისპირდნენ საქართველოს, რადგან ახალციხე და ახალქალაქი ისევ თურქთა ხელში იქნება და ასპინძაშიც უკვე მათი ჯარებია. ქართველთა დანაკარგები 1000 ტყვე და 4 ქვემეხია. ორივე აგიტატორი დაპატიმრებულია, მაგრამ ახალციხეში ჯერ არ არიან ჩამოყვანილნი. სამხედრო მინისტრის ბრძანება ფოცხოვის დაკავების შესახებ გართულებულია. ფოცხოვის შეიარაღებული ძალები, მილიციის ყოფილი უფროსის ცნობებით, არანაკლებ 500 კაცია. საერთო ჯამში მათი რაოდენობა ათასობითაა. მათ გააჩნიათ ტყვიამფრქვევები და არტილერია.

ბრძანებულების აღსრულებისათვის გადაუდებლად მიმანია ჯერ დავაწყნართ და განვადარალოთ ის მოსახლეობა, რომელიც ესაზღვრება ქვაბლიანის უბნის სოფლებს. უდის 25 საზოგადოებაში დანიშნულია აჯანყებული სოფლების მოსახლეობის წარმომადგენლების შეკრება მთავარი დამნაშავეების გამოსავლენად და მათ მკაცრად დასასჯელად. ფოცხოვში შემდგომი შესვლა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ახალციხის მაზრაში შინაგანი წესრიგით, რაზმის გაძლიერებით, უზრუნველყოფის გაზრდით, რადგან ასეთი ძალებით შეუძლებელია დასახული მიზნის მიღწევა...

გარდა ამისა, საზღვრების გადალახვამ, რომელსაც იცავს მე-7 თურქული პოლკის ბატალიონი, შეიძლება გა-

მოიწვიოს არდაგანელთა და თურქთა ერთობლივი შემოჭრა ახალქალაქის მახრამში. ვფიქრობ, უმჯობესია დიპლომატიური გზებით მივალწიოთ ფოცხოველთა დასჯას, აჯანყების მოთავეთა გადმოცემას და ჩვენთვის მიღწეული ზარალის ანაზღაურებას.

პოლპოლკოვნიკი ძაგანია თბილისში ჩამოსვლისთანავე დაწვრილებით გადმოგცემთ აღნიშნული საკითხების შესახებ. ჩემს მიერ ისევ გაგზავნილია ტელეგრამა არდაგანში ხალილ ბეისთან (აქ სავარაუდოდ ისევ ჰალილ ბეი-ზეა საუბარი – ა. ჩ.) თხოვნით, რომ აღდგენილ იქნას წესრიგი ფოცხოვის უბანზე და დასჯილ იქნან დამნაშავეები. წინააღმდეგ შემთხვევაში თავად ვიქნები იძულებული მივიღო გადამჭრელი ზომები.

კნიაზ მაკაევი [34].

შემდეგი დოკუმენტი პოლკოვნიკ გელოვანის პატაკს წარმოადგენს გენერალ-გუბერნატორისადმი, სადაც სრულადაა წარმოდგენილი არსებული ოპერატიული ვითარება. ფაქტია, რომ ე.წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის“ შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაწყებული შეიარაღებული გამოსვლები ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებზე იყო გათვლილი. პატაკში კარგად ჩანს ამ გამოსვლებში ჩართულთა რაოდენობა და რაც მთავარია, ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის, განსაკუთრებით, ფოცხოველთა უადრესად მტრული განწყობები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ. მაგრამ პოლკოვნიკ გელოვანის პატაკი უპირველეს ყოვლისა, იმითაა ღირებული, რომ მის მიერ უკვე რეალისტურადაა შეფასებული დიდი საფრთხე და მიიმე მდგომარეობა, აგრეთვე დადასტურებულია თურქული რეგულარული ჯარის ოფიცრებისა და გარკვეული კატეგორიის რუსი ოფიცრების აქტიური მონაწილეობა ამ ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებებში.

დოკუმენტი №10

ახალციხის ჯარების სარდალს ვაღეს რაზმის მეთაურისაგან
06. 02. 19. №27. ვაღე

პატაკი

გუშინ საღამოს, როგორც ჩანს ჯაყსუდან, ინგლისელი კაპიტანისაგან მივიღე წერილი თხოვნით სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესახებ. დღეს დილით მე გავგზავნე ექიმი, რომელმაც დღეს ჩამოიყვანა აქ ავადმყოფი და დღეს ღამესვე გამოვგზავნე თქვენთან, ახალციხის შტაბში. გააფრთხილეთ შტაბის მორიგე, რომ ავადმყოფი თქვენთან იქნება საღამო ღამის პირველ-ორ საათზე. ექიმმა ჯაყსუდან მოიტანა მნიშვნელოვანი ცნობები:

1. მთელი მოსახლეობა, დაწყებული 30 წლიდან შეიარაღებულია;
2. თავად ექიმმა ნახა რეგულარული თურქული ჯარი – დაახლოებით 200 კაცი, კავალერისტები და ქვეითები;
3. ექიმი თვითონ პირადად ესაუბრა თურქ ოფიცრებს და თავისი თვალით ნახა მათ შორის სამი რუსი ოფიცერი, ერთ-ერთი მათგანი გიორგის ჯვრის კავალერი, რომელმაც განაცხადა, რომ რუსი ოფიცერი აქ დაახლოებით ათი კაცია. სხვათა შორის, ერთი მათგანი მონაწილეობას იღებდა უღეში გამართულ ბრძოლებში. მეორე რუსმა ოფიცერმა განაცხადა, რომ მიუხედავად უღეში გამართული დიდი ბრძოლებისა, მათი დანაკარგები მცირეა. მესამე კი განაცხადა, რომ დღეს მათ ძლივს შეაკავეს ფოცხოველები, რომ არ წამოსულიყვნენ აჯანყებულთა დასახმარებლად.
4. მათ მოუწიათ რამდენიმეს დაპატიმრება და ორი მათგანი დაჭრეს კიდევ;

ლტოლვილთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 1000-ია. ჩვენი ცეცხლით ბევრი ბავშვი და ქალია მოკლული სოფლებში.

ახლა უკვე ცხადია, რომ ყველაფერი ეს ძალიან სერიოზულია და არ წარმოადგენს წვრილმანს, როგორც ეს ადრე გვეგონა.

გელოვანი [35].

არა იმდენად წარუმატებელი სამხედრო ხელმძღვანელობის, არამედ პირველ რიგში იდეოლოგიური არათავსებადობის გამო, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისა და სამხედრო მინისტრის გადაწყვეტილებით გენერალი მაყაშივილი თავისუფლდება დაკავებული თნამდებობიდან. ახალციხე-ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორად და რეგიონის ქართული საჯარისო გარნიზონის სარდლად კი, 1919 წლის 3 თებერვლის ბრძანებით, სომხეთ-საქართველოს ომის გმირი, შულავერის ფრონტის სარდალი, გენერალი მაზნიაშვილი ინიშნება. ამის შესახებ, შტაბის ოფიცერი, კაპიტანი ღუბელაძე შეტყობინებას აგზავნის გარნიზონის შტაბში.

დოკუმენტი №11

გაცნობებთ ბრძანებას რესპუბლიკის ჯარების მიმართ, 08. 02. ამა წლის. №39

„მთავრობის დადგენილების შესაბამისად, 30 იანვრის №11 ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები გამოცხადებულია საომარ მოქმედებათა რაიონებად. აღნიშნული მაზრების გენერალ-გუბერნატორად დანიშნულია გენერალი მაზნიაშვილი, ყველა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებების სრული დაქვემდებარებით.

კაპიტანი ღუბელაძე [36].

გენერალ მაზნიაშვილის გენერალ-გუბერნატორად და რეგიონში განლაგებული ჯარების სრულად დანიშნვამ საქმეს ვერ უშველა, მდგომარეობის გამოსწორება ვერ მოხერხდა. მიუხედავად მისი ენერგიული მცდელობებისა, ძალთა ბალანსი აშკარად მოწინააღმდეგის მხარეს იყო. მცირერიცხოვანი პირადი შემადგენლობისა და დაბალი

საბრძოლო სულისკვეთების გამო, ქართული ქვედანაყოფები ამ ბრძოლებში მძიმედ დამარცხდნენ. მათ სრულად დატოვეს როგორც ახალციხის, ასევე ახალქალაქის მაზრა და ბორჯომამდე დაიხიეს უკან. ქართულმა სახელმწიფომ ამ ტერიტორიებზე ისევ დაკარგა თავისი კონტროლი. სამცხე-ჯავახეთი კი თურქი ასკერებისა და მუსლიმური ბანდების სათარეშო ასპარეზად იქცა.

შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, 23 თებერვალს, გენერალი მაზნიაშვილიც იქნა გადაყენებული და თბილისში გაწვეული. გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე კი გენერალი გიორგი კვინიტაძე დაინიშნა, რომელიც დანიშვნისთანავე შეუდგა მასზე გაწერილი მოვალეობების შესრულებას.

დოკუმენტი №12

ბრძანება №4. ახალციხის ფრონტის სარდლისა და ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორის.

23. 02. 19.

ქ. ბორჯომი.

§1

მთავრობის დადგენილებით მე დანიშნული ვარ ახალციხის ფრონტის სარდლად და ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორად. ჩემს დამორჩილებაში შემოდის ყველა სახის სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლება.

§2

ქალაქ ბორჯომის ყველა დუქანში, ტრაქტორში, კლუბში, ბუფეტში და მსგავსი სახის დაწესებულებაში ვკრძალავ ყველა სახის სპირტიანი სასმელებისა და ღვინის გაყიდვასა და გარეთ გამოტანას.

§3

ჩემი შტაბის ცნობებით ბორჯომის რაიონში გამოჩნდნენ სპეკულიანტები, ვის საქმიანობასაც მკაცრად ვკრძალავ.

კვინიტაძე [37].

მეტად საინტერესოა შემდეგი უთარილო წერილის შინაარსი, რომელშიც ახალციხის მაზრაში ამ ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლების ორგანიზატორი რენევატი ბეგების ნაწილია წარმოდგენილი. შენიშვნის სახით აღვნიშნავთ, რომ წერილის ადრესატი, ადიგენის თემის მმართველი, ბახში ბეგ მაჩაბელი, მიუხედავად მისი თავდაპირველი ანტიქართული განწყობებისა, სხვა ბეგების მხრიდან რჩევებისა და მუქარის მიუხედავად, მაინც ეროვნულ და პატრიოტულ პოზიციებზე დარჩა და სიცოცხლის ბოლომდე ქართული სახელმწიფოს სამსახურში იმყოფებოდა. ამ მიმართებაში აუცილებლად აღსანიშნავია ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსის მცდარი მიდგომა ბახში ბეგ მაჩაბლის პერსონის მიმართ, სადაც იგი სხვა ქართველ ბეგებთან ერთად ანტისახელმწიფოებრივი და ანტიქართული პოლიტიკის გამტარებლადაა წარმოდგენილი.

დოკუმენტი №13

ძვირფასო ბახში ბეგ!

დღეს გამართულ მუსულმანთა დიდ შეკრებაზე, რომელსაც სამი თურქი ოფიცერიც ესწრებოდა, ახმედ ბეგ ფოცხოვსკიმ, აბსალ ალიმ ბეგმა, მურთაზა ბეგმა, ბახნათ ბეგ აფრაიმმა, მე და ფოცხოვის სხვა პირებმა, გამოვიტანეთ დადგენილება, რომ თუმცა თქვენ მოგეწერებათ არაერთი ცოდვა, კრებამ მაინც მიიღო დადგენილება, რომ თქვენ კიდევ გაქვთ საშუალება გამოასწოროთ შეცდომები და სასარგებლო იყოთ მუსულმანი ხალხისათვის. თქვენს სიცოცხლეს გარანტიას აძლევს თათბირზე მყოფი ყველა ბეგი, და აცხადებენ, რომ ვერავინ, ვერც სერვერ ბეგი და ვერც სხვა ვინმე ვერ გაბედავს თქვენი სიცოცხლის ხელყოფას.

ახლა, მართალია სერვერ ბეგი სამაზრო მმართველობაში გარკვეულ როლს თამაშობს, მაგრამ ის ვერ შეძლებს შეგიშალოთ ხელი შეკრიბოთ გარკვეული ჯარი და გაემართოთ პირდაპირ აწყურზე ჩვენი მუსულმანების დასახმარებლად. ახლა სერვერი გაემგზავრა ოშორში ჯარე-

ბის შესაკრებად და სადამოსათვის ალბათ უკან დაბრუნდება კიდევ.

ჩემის მხრივ დავამატებ, რომ ნუ აღელდები და უმჯობესია საჩქაროდ მოემზადე [38].

ბახში ბევრ მანაბელთან დაკავშირებული საკითხის ამოწურვისათვის კი, კიდევ ერთ დოკუმენტს მოვიტანთ, სადაც მისი, უკვე როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი მეთაურის სამხედრო აქტივობაა წარმოდგენილი. დავამატებთ, რომ ქართული სახელმწიფოს სამსახურში ჩამდგარ ქართველ მუსლიმ ბეგს საკავალერიო ესკადრონის ჩამოყალიბება და მისი მეთაურობა დაევადა. პირადად მისი და მისი მსგავსი მაჰმადიანი ქართველი პატრიოტებისაგან შემდგარი ამ სამხედრო ნაწილის ერთ-ერთ ამოცანას აჭარულ პატრიოტებთან დაკავშირება წარმოადგენდა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

დოკუმენტი №14

**სამხედრო მინისტრის მოადგილეს გედევანოვს.
ახალციხიდან. 24. 03. 19. №266. 13 საათი და 30 წუთი.**

შევუდექი ესკადრონის ფორმირებას. ყარსის ოლქში გაგზავნილია „ოთხი“... (შემდეგ გაუგებრად წერია – ა. ჩ.) მე ვიმყოფები ადიგენში, მივდივარ აჭარის უღელტეხილზე აჭარის დელეგატებთან შესახვედრად. ჩამოვლენ ორშაბათს... დაწვრილებით მოგახსენებთ პატაკით.

ბახში ბევრ მანაბელი [39].

შემდეგი დოკუმენტი ნათლად ასახავს იმ სურათს, რაც მუსლიმური ბანდების თარემის შედეგად დატრიალდა სამცხე-ჯავახეთის ქართულ ქრისტიანულ სოფლებში. ეს დოკუმენტი ჯავახეთის დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლების განწირული სულისკვეთების წერილია მთავრობის თავმჯდომარის, მთავრობის წევრების, მედიის, სრულიად საქართველოს მისამართით, გადაუდებელი და საჩქარო ზომების გატარების მოთხოვნით.

დოკუმენტი №15

საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარეს, ტფილისი.
ბაკურიანიდან. №39. 10. 03. 19.

ნოე შორდანიას.

პირები – სამხედრო, შინაგან, საგარეო მინისტრებს,
გაზეთებს ერთობას, საქართველოს.

ჯავახეთის სოფლები სპრონაზა, ბავრა, გოგაშენი, ქილდა, კოთელია, ბარალეთი, სხვანი თათრებმა გაანადგურეს, ქონება თლად დასტაცეს. ათი წლის ქალებიდან გააუპატიურეს, ბევრი წაასხეს, ასობით ხალხი დახოცეს. განაგრძობენ განუსაზღვრელ სისასტიკეს. გთხოვთ საჩქარო ზომებს საშველად.

ხუციშვილი, მეტრეველი, ვეზირიშვილი, ანანიაშვილი [40].

გენერალი კვინიტაძე ჩვეული პროფესიონალიზმით მიუდგა დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო სრული, დამაჯერებლობის მაღალი ხარისხის მქონე ინფორმაციის მოპოვება დაპირისპირებული მხარის შესახებ. აქ არაა საუბარი წმინდათ საჯარისო დაზვერვის ღონისძიებებზე, ეს ისედაც გასაგებია. აქ ოპერატიული და საიდუმლო აგენტურული სადაზვერვო მუშაობის ორგანიზებაზეა საუბარი. ქვემოთ მოყვანილი ორი დოკუმენტი ქართული მხრიდან სწორედ აგენტურული ქსელის შექმნისა და ამოქმედების ფაქტს ადასტურებს. დაზვერვის კაპიტან ფარეშიშვილის მიერ წარმოდგენილია ფარული საფინანსო ანგარიშები აგენტურაზე გაწერილი თანხების შესახებ.

დოკუმენტი №16

ანგარიში.

სრულიად საიდუმლო
ახალციხის რზმის ფარული გასავლები:

მაქსიმე ლეკიშვილს ჩილდირის რაიონში დაზვერვის სათვის – 800 მან.

დუხობორ ვერეგინს არფაჩაის რაიონის დაზვერვისათვის – 1600 მან.

ოლახ მოლა კუკულ ოღლის ჯაკსუს რაიონის დაზვერვისათვის – 600 მან.

კავრუშ ორჯონიკიძეს და სადა აქივ ოღლის სოფელ არაღის დაზვერვისათვის – 1000 მან.

ვასილი მეფისოვს აგენტების მოძიების და მნიშვნელოვანი დოკუმენტების ძიებისათვის – 650 მან.

მთარგმნელ მოლა კადირ ოღლის დოკუმენტების თარგმნისათვის – 400 მან.

სულ – 5050 მან.

რაზმის დაზვერვის უფროსი კაპიტანი ფარეშიშვილი [41].

დოკუმენტი №17

აგენტებზე გათვლილი ფულის გასაღვლების პროექტი ახალციხის რაზმისათვის მოწოდებული ცნობებისათვის:

არტემ ლოხიშვილი – 700 მან.

ჰაიკ ხაჩიკიანი – 700 მან.

გაგზავნილ იქნენ ახალქალაქში და მოგვაწოდეს პირველადი აგენტურული ცნობები.

მაქსიმე ლეკიშვილი – 700 მან. გაგზავნილ იქნა ახალქალაქში პირველი ორი აგენტის მიერ მოწოდებული ცნობების გადასამოწმებლად.

ხარლამპი თედიაშვილი – 1400 მან. 23 თებერვალს გაგზავნილ იქნა აწყურში, მაგრამ ცეცხლის გახსნის გამო უკან გამობრუნდა, 28-ში ისევ წავიდა და მოგვიტანა ცნობები აწყურიდან;

ინგლისელ ჯარისკაცს – 200 მან. წერილების ახალციხეში ჩატანის გამო.

სულ 3700 მან.

კაპიტანი ფარეშიშვილი [42].

ჩვენი ნაშრომის მიზანს ამჯერად არ წარმოადგენს ახალციხე-ახალქალაქის მაზრებსა თუ ფოცხოვ-არტაანში წარმოებული სამხედრო მოქმედებების განხილვა და შეს-

წავლა სამხედრო ხელოვნების კუთხით. თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ მიზანს ასევე არ წარმოადგენს აქ გამართული საბრძოლო მოქმედებების ტაქტიკური ანალიზი. ფაქტი ისაა, რომ სწორად დაგეგმილი, მართული და აღსრულებული საბრძოლო მოქმედებების გზით გენერალმა კვინიტაძემ და ქართულმა სასჯარისო ნაწილებმა საერო ჯამში შეძლეს ე.წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის“ შეიარაღებული რაზმების დამარცხება და აქ ქართული სახელმწიფოს დე-ფაქტო იურისდიქციის აღდგენა. 1919 წლის 19 მარტს კი, ქართული სასჯარისო ქვედანაყოფები ახალქალაქში შევიდნენ. გენერალ კვინიტაძის მიერ მთავარსარდლის, გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილისა და რესპუბლიკის სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრის, ნოე რამიშვილის სახელზე გაგზავნილ იქნა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც აღწერილი იყო მუსლიმური ბანდებისა და თურქი ასკერების სისხლიანი თარეშის შემდეგ ახალქალაქში არსებული მდგომარეობა. მეტად საყურადღებოა აგრეთვე იმ გარემოების აღნიშვნაც, რომ არსებულ მოვლენებთან მიმართებაში ახალქალაქის სომეხი მოსახლეობის მოქმედებები ორსახოვანი, ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი იყო.

დოკუმენტი №18

ტელეგრამა №748

ტიფლისი. კომანდარმს, ასლი შინაგან საქმეთა მინისტრს
1919 წ. 22 მარტი, 11 საათი 15 წუთი
ახალციხიდან. რუკა დუიმში 2 ვერსი

№735-ის დამატებად გაცნობებთ, რომ ოფიცერმა, რომელიც ახალქალაქიდან დაბრუნდა, მაზრაში არსებული მდგომარეობის შესახებ მოგვახსენა შემდეგი:

19 მარტს პოდპოლკოვნიკ კუჭუხიძის რაზმი 1-ლი პოლკიდან 40 ხიშტის შემადგენლობით და 100 მესაზღვრე შევიდნენ ახალქალაქში. ქართული ჯარის არყოფნის პერიოდში ახალქალაქის ადმინისტრაციაში ჩამოყალიბდა ადგილობრივი მმართველობა სომხებისა და მუსულმანების

შემადგენლობით იასინ ბეგ ფალავანდოვის თავმჯდომარეობით, რომელსც კავშირები აქვს სერვერ ბეგ ფალავანდოვთან (სავარაუდოდ, აქ სერვერ ბეგ ქვაბლიანელ ჯაყელზე უნდა იყო საუბარი – ა. ჩ.). ინგლისის წარმომადგენლის განცხადებით, რომელიც მან პოდპოლკოვნიკ კუჭუხიძესა და ხერხეულიძეს წარუდგინა, მათ არა აქვთ უფლება დააპატიმრონ თვითმმართველობაში შესული პირები.

საიმედო თარჯიმნის უქონლობის გამო, ძალიან გაჭირვებულია ინგლისის წარმომადგენელთან ურთიერთობა, იქ არსებული სომეხი თარჯიმანი კი, როგორც ჩანს სარგებლობს თავისი მდგომარეობით და ბოროტად იყენებს მას. მისი საშუალებით სომეხები აწვდიან ინფორმაციას ინგლისელებს და ღია პროპაგანდას ეწევიან იმის შესახებ, თითქოს ქართველები იქ დროებით არიან მაზრაში და იქ მალე მოვა სომხური ჯარი.

ინგლისელები ცდილობენ ისეთი ტონი მიიღონ, თითქოს ისინი არიან იქ განკარგულების გამცემნი. ჩვენი ჯარის გასვლის შემდეგ სომეხთა მიერ იქ გაძარცვულია ადგილობრივი ლაზარეთის ცეიხჰაუზი.

ქალაქის მაცხოვრებელი ქართველები ძალიან შევიწოებულნი არიან სომეხთა მიერ. მაზრაში ამოხოცილია, გაძარცვული და პატივაყრილია ბევრი ქართველი. სოფელთა განცხადებით ეს ძალადობები სომეხთა მიერ იქნა პროვოცირებული.

გენერალი კეინიტაძე [43].

რაც შეეხება ახალქალაქში ბრიტანული კონტიგენტის განლაგებას. ეს გადაწყვეტილება სომხეთ-საქართველოს ომის დასრულებისას იქნა მიღებული სამმხრივ სომხურ-ქართულ-ბრიტანულ კონფერენციაზე, რომელიც თბილისში გაიხსნა 1919 წლის 9 იანვარს. კონფერენციის გადაწყვეტილებით, ახალქალაქში 82-ე ბრიგადის კორნუოლის მსუბუქ ქვეითთა პოლკის 4 ოფიცერი და 122 ჯარისკაცი გაიგზავნა, ვიცე-პოლკოვნიკ ალან მაკდუგალ რიჩის (Alan Macdougall Ritchie) მეთაურობით, რომელსაც ეს მისია 25 იანვრის ბრძანებით დაეკისრა. სწორედ ამ გადაწყვეტილების აღსასრულებლად იქნა გაგზავნილი მოთხოვნა საქართველოს

საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე ბრიტანული საოკუპაციო ჯარების სარდლის, გენერალ-მაიორ ჯორჯ ფორესტიე-უოკერის (G. T. Forestier-Walker) მიერ.

დოკუმენტი №19

№137/4. 27.01.19.

მის აღმატებულებსა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს

თქვენო აღმატებულება!

მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ შესაბამისად საზავო პირობებისა საქართველოს რესპუბლიკასა და სომხეთს შორის, გენერალ-მაიორ სერ უილიამ რაიკროფტის შუამავლობით, დიდი ბრიტანეთის ერთი სამხედრო წარმომადგენელი (პოლკ. ა. მაკდ. რიჩი) თავის წარმომადგენლობასთან ერთად, ხვალ ამა თვის 28-ში გაემართება თბილისიდან ახალქალაქში.

ამ კონვოის უზრუნველყოფა სურსათით, სატრანსპორტო და საინტენდანტო საშუალებებით განთავსებულ იქნება ბორჯომსა და ბაკურიანში.

იმედი მაქვს, რომ თქვენი აღმატებულების მიერ ყოველგვარი ზომები იქნება გატარებული ამ რაზმის განსათავსებლად მინიშნებულ რაიონში.

მაქვს პატივი.

გენერალ-მაიორი ფორესტიე-უოკერი,

ბრიტანული ჯარების სარდალი ამიერკავკასიაში [44].

სწორედ გენერალ კვინიტაძის გენერალ-გუნერნატორობის პერიოდში მოხერხდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ოპერატიული სექციის მიერ, ჩვენის აზრით მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო ორი დოკუმენტის მოპოვება. ესაა „ყარსის რესპუბლიკის“ მთავრობისა და პარლამენტის მოწოდებები ახალციხე-ახალქალაქის მაზრებისა და „ბათუმის ვილაიეთის“ მუსლიმი მაცხოვრებლებისადმი.

დოკუმენტი №20

გენერალ კვინიტაძეს. სამხედრო სამინისტრო,
გენშტაბის უფროსი (ოპერატიული სექცია). №89
03. 04. 19. ტიფლისი.

გეგზავნებათ ორი მოწოდების თარგმანი, საიდუმლოდ მოპოვებული გენშტაბის განყოფილების მიერ.

აღნიშნული მოწოდებები დედანში დაწერილია თურქულ ენაზე.

გენშტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ანდრონიკოვი.

გენშტაბის ოპერატიული სექციის უფროსი, პოლკოვნიკი ზახარიძე.

მოწოდება

ყოველად მფარველის დახმარებით ჩვენ დავაფუძნეთ და გავხსენით ყარსში პარლამენტი, შემდგარი კავკასიის სამხრეთ-დასავლეთის მუსულმანებისაგან, რომლებიც 1919 (1335) წლის 18 იანვარს შეიკრიბნენ ყარსში. დავადგინეთ რომ მომავალში პარლამენტში მიიღებიან არამუსულმანებიც და ერთხმად გადავწყვიტეთ გამოვაცხადოთ ქვემოთ მოყვანილი განცხადება.

ყარსის დროებითი მთავრობა და პარლამენტი მუსულმანების აზრების, სურვილებისა და ბედის გაერთიანებისათვის, სამხრეთ-დასავლეთის მუსულმანთა ყურადღებას მიაპყრობს შემდეგზე: ამ ოლქების თავისუფლება და კეთილდღეობა მდგომარეობს მხოლოდ ერთიანობაში. წვრილი და ცალკეული ორგანიზაციები, რომლებიც მიმოფანტულნი არიან (გასაგებია, თუ რა ორგანიზაციებზეა აქ საუბარი – ა. ჩ.), უეჭველად წარმოადგენენ თავისი მეზობლების დამპყრობლური ზრახვებისა და დასჯის საგანს და საბოლოოდ მათ მოეღიბა დაქუცმაცება, ჩაყლაპვა, დახრჩობა და სიკვდილი.

ყარსის ინგლისელმა სამხედრო გუბერნატორმა განაცხადა, რომ ის ძალებს არ დაიშურებს ჩვენს დროებით მთავრობასთან მუშაობაში და იგი შესაბამის დახმარებას გაუწევს მთავრობას. მოცემულ მომენტში, სამხრეთ-დასავ-

ლეთ კავკასიის მუსულმანთათვის, რომლებიც შეადგენენ 1 350 000 სულს, ერთადერთი გზა კეთილდღეობისა და პროგრესისაკენ შემდეგია: გაერთიანდნენ ერთმანეთთან ერთიანი რწმენითა და ერთიანი სინდისით. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი შევინარჩუნოთ ჩვენი სამშობლო, ჩვენი არსებობა და ჩვენი სიწმინდეები. და მხოლოდ ასეა შესაძლებელი დავიცვათ ჩვენი შვილები ამ ეპოქის ძალმომრეობისაგან და ვუზრუნველყოთ ისინი ცოდნისა და კეთილდღეობის სხივებით.

ჩვენი გზამკვლევი ჩვენი პირდაპირობაა, ჩვენი საყრდენი ჩვენი სიმართლეა. ჩვენ გვსურს შევინარჩუნოთ ჩვენი სახალხო თავისუფლება, გვსურს მონობისაგან ვიხსნათ ყველა, დიდი თუ პატარა ერი და არა გვსურს ისევ მონებად ვიქცეთ, არ მივცემთ საშუალებას რომ ფეხქვეშ გათელონ ჩვენი სიწმინდეები და ხაზი გადაუსვან ჩვენს მომავალს. ჩვენ არ გვჭირდება და არ გვსურს ჩვენს საქმეებში ჩაერიოს რომელიც გინდა გარეშე ძალა. ჩვენ უაღრესად ხმაურიან და მღვრიე ეპოქაში ვცხოვრობთ. ბევრ ხალხებს, ისევე როგორც ჩვენ, სურს სიცოცხლის უფლება და ცდილობენ გადაარჩინონ დამოუკიდებლობა. ეჭვებისა და მოლოდინების დრო წავიდა. ჩვენ ერთიანი ხალხურობა (Народность – ა. ჩ) გვაქვს, რომელიც უკვე საუკუნეებია ცნობილი. ჩვენი ძალა, ჩვენი შესანიშნავი ოლქები, ჩვენი ნიჭი და შესაბამისად, არსებობისა და თავისუფლების უფლება გვაქვს.

ჩვენი ერთიანობა – ჩვენი ძალაა, რომელსაც ვერაფერი შეარყევს. უფალი ღმერთია ჩვენი მფარველი.

გაუმარჯოს სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობას.

გაუმარჯოს მუსულმანთა ერთიანობას.

გაუმარჯოს პარლამენტს.

მოწოდება ბათუმის ვილაიეთის მაცხოვრებლებს

1919 წლის (1335) 18 იანვარს ჩვენი ვილაიეთის საუბნო წარმომადგენლები შევიკრიბეთ ჩვენი ქვეყნის მომავალი ბედის გადასაწყვეტად და საბოლოოდ დავადგინეთ შემდეგი: არსაიდან და არავისგან დახმარების მომლოდინე, ჩვენ ვკრებთ მთელ მუსულმანურ მოსახლეობას, ქალაქი-

სას და სოფლისას, მთელი სამხრეთ-დასავლეთ კავკასიისას და ვამტიცებთ, რომ ძალა შეგვწევს თვითმმართველობის, ჩვენ ვაქვეყნებთ, რომ მივალწევთ ავტონომიას.

ამ საფუძველზე ვიწვევთ ბათუმის ვილაიეთის მოსახლეობას, რომ შეუერთდნენ ჩვენ ძმებს ყარსიდან, არდაგანიდან და სხვა მუსულმანური ოლქებიდან, რათა ერთ გზას მივმართოთ ხელიხელჩაკიდებულებმა ჩვენი დეპუტატების არჩევისათვის, რომლებიც უნდა გაავამჯავროთ ყარსში, სადაც გაგხსენით პარლამენტი, რათა სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის ყველა მუსულმანს შეეძლოს საქვეყნოდ აცნობოს თავისი დამოუკიდებლობის შესახებ.

ვაცნობებთ პატივცემულ მოსახლეობას, რომ ჩვენ, სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მუსულმანებმა ყარსში მუსულმანთა ეროვნული საბჭო დავაარსეთ, სადაც ყველა უნდა გავერთიანდეთ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისა და ინტერესების გასატარებლად. ჩვენი თავები ნაციონალური საბჭოს დაქვემდებარების ქვეშ დავაყენეთ და არც ეს და არც მომავალში არ ვადიარებთ სხვა რომელიმე ხელისუფლებას. და ეს ყველაფერი ჩვენი ხალხის თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის კეთდება, როგორც ეს ზემოთ იქნა წარმოდგენილი.

ზოგიერთ საკითხში აუცილებლად უნდა დავამყაროთ ურთიერთობები ინგლისელთა სარდლობასთან.

მოყვანილია წარმომადგენელთა ხელმოწერები:

არტანუჯის – თეფფიკ ეფენდი ზადე;

შავშეთის – ალი ალა ემინ ალა ოგლი;

ქვემო აჭარის – ხუსული ალა აბდალ აზა ზადე;

ზემო აჭარის – ალი რიზა ეფენდი და რაშიდ ალა

არიფ ემინ ოღლი;

გონიოს – ალი ეფენდი აბდი ეფენდი ზადე;

ართვინის – აქიბ ბეი ათა ბეი ზადე;

ბათუმის – ჰუსეინ ბეი ბიდენ ზადე;

დამატება:

ჩვენ, ბათუმის უბნის არჩეულმა დეპუტატებმა ყარსის წარმომადგენელ სურუბამ ათა ბეისთან ერთად 20 იანვარს მივმართეთ ინგლისელ კომენდანტს და გავმართეთ მოლა-

პარაკებები ჩვენი საქმეების შესახებ. მისგან კეთილგანწყობილი პასუხი მივიღეთ. გენერალმა თქვა: „მე მუსულმანთა ინტერესების შესაბამისად ვიმოქმედებ“.

ალი ეფენდი აბდი ალი ზადე;

ალი რიზა ეფენდი [45];

უადრესად მნიშვნელოვანია ბრიტანული საოკუპაციო ჯარების სარდლობის პოზიცია და დამოკიდებულება ზოგადად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკური კურსის და კერძოდ, ახალციხე-ახალქალაქის მახრებში დატრიალებული მოვლენების მიმართ. ფაქტია, რომ თვითგამოცხადებული „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის“ შეიარაღებული ძალების მიერ დაწყებული საბრძოლო მოქმედებების ამ ფაზაში, ბრიტანელებს აშკარად ანტიქართული პოზიციები ეკავათ. ჩვენს მიერ ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას ნაშრომში წარმოდგენილი სხვა დოკუმენტებიც იძლევა.

დოკუმენტი №21

ახალციხიდან №362.

21. 03. 19. 8 საათი და 20 წუთი.

ღამემ მშვიდად ჩაიარა. გუშინ, 20 მარტს, გენერალ ართმელაძესთან სოფელ სტეფანწმინდაში გამოცხადდა ინგლისელი პორუჩიკი ბრინგენი და განაცხადა პროტესტი ყარსის გენერალ-გუბერნატორის სახელით ჩვენი ჯარების მიერ ფოცხოვის რაიონის სოფლების დაკავების გამო. მან განაცხადა, რომ ჩვენი შემდგომი წინსვლა შეფასდება როგორც მოქმედებები ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ. გუშინდელი დღიდანვე შეწყდა შეტევითი მოქმედებები ფოცხოველთა მხრიდან.

კვინიტაძე [46].

ბრიტანელთა მხრიდან კონფლიქტის მოგვარებისადმი არაკონსტრუქციულ დამოკიდებულების შესახებ მეტყველებს ქვემოთ წამოდგენილი დოკუმენტიც – გენერალ კვი-

ნიტაძის №8 ბრძანება. ამავე ბრძანებით გენერალი კვინიტაძე ცდილობს რეგიონში სამხედრო ერთმმართველობისა და ადმინისტრაციული წესრიგის აღდგენას.

დოკუმენტი №22

ბრძანება №8 ქალაქი ახალციხე
ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების
გენერალ-გუბერნატორი. 26. 03. 19.

§1

იმის გამო, რომ ზოგიერთი ადგილობრივი მოსახლე თავისი სანივრებით ყველა სახის ძალადობაზე მიმართავს ინგლისის მისიის წარმომადგენელს და ამით მხოლოდ გრძელდება საქმის წარმოება, ვაცხადებ, რომ ყველა მოქალაქე ყოველგვარი საჭიროების გამო ვალდებულია მიმართოს ადგილობრივ ადმინისტრაციას, უფროს საჯარისო მეთაურებს და მე.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პირები ისევ მიმართავენ ინგლისის მისიის წარმომადგენელს, ჩემს მიერ განხილული იქნება როგორც პირები, რომლებსაც არ სურთ ანგარიში გაუწიონ რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებს.

კვინიტაძე.

სწორია: გველესიანი [47].

შემდეგი დოკუმენტიც ბრიტანელებს ეხება.

დოკუმენტი №23

ტელეგრამის ასლი ფოცხოვის რაიონის კომისრის, პორუჩიკ დემეტრაძისა ახალციხის სამაზრო კომისარს. 1919
წლის 9 მაისი.

მოგახსენებთ, რომ დღეს, დღის ორ საათზე დიგურში გამოცხადდა ახალციხის რაიონის ბრიტანელი კაპიტანი ლაკაესი, რომელსაც ჩემი ნებართვის გარეშე სურდა შეეკ-

რიბა ფოცხოვის რაიონის სოფლის მოსახლეობის წარმომადგენლები. მე მას მოვთხოვე დოკუმენტები, რომელიც მას არ აღმოაჩნდა. ამის შემდეგ ის უკან გაბრუნდა. ხუთმა თათარმა, რომლებიც მასთან იდგნენ, გადმომცეს, რომ კაპიტანმა ლაკაქსმა მათ ფოცხოვის რაიონის ბათუმთან მიერთება გამოუცხადა [48].

გენერალ კვინიტაძის მიერ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში განვითარებული მოვლენების გამომწვევი მიზეზების დადგენისა და დამნაშავე პირთა მოძიება-დასჯის მიზნით, ინიშნება სპეციალური კომისია, რაც მის მიერ 1919 წლის 15 მარტით დათარიღებულ №16 ბრძანებაშია ფორმულირებული.

დოკუმენტი №24

**ბრძანება. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების
გენერალ-გუბერნატორის №16.**

15 მარტი, 1919.

ახალციხე

§1

აჯანყების მიზეზების გამოსავლენად და აგრეთვე იმ დამნაშავეების გამოსავლენად, როცა ადგილი ჰქონდა სახელმწიფო და კერძო ქონების დატაცებას, ძალადობას და ძარცვას, და მათ პასუხისგებაში მისაცემად, ვნიშნავ კომისიას შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე – მე-2 ქვეითი დივიზიის ბრიგადის მეთაური, გენერალ-მაიორი სუმბათოვი.

წევრები: 1-ლი ქვეითი პოლკის მეთაური პოლკოვნიკი გარდაფხაძე.

სამაზრო კომისრის მოვალეობის შემსრულებელი, მე-4 პოლკის პოლკოვნიკი ჩხეიძე.

მე-2 ქვეითი დივიზიის შტაბთან მოვლინებული კორნეტი შიო ნაკაშიძე;

ახალციხის ლტოლვილთა კომიტეტიდან ზაქარია დიდიმამიშვილი;

ქალაქის თვითმმართველობიდან ლუკა ხუციევი, მუსულმანთა წარმომადგენელი ბახში ბეგ მანაბელი და გიმ-

ნაზიის მასწავლებელი მურადოვა, სამღვდელოებიდან მღვდელი კანდელაკი, სამთავრობო დაწესებულებებიდან მოლარე დამბუკიანი, გლეხთა დეპუტატთა საბჭოებიდან შალვა ბარდაძე და მურსალ მუხამედოვი, სომხებიდან, მასწავლებელი ახუნიაძე.

კომისიის თავმჯდომარემ უმოკლეს ვადაში წარმომიდგინოს კომისიის მუშაობის გეგმა.

საფუძველი: გენერალ გედევანოვის ტელეგრამა №02193. 07. 03.

ნამდვილი ხელმოწერა, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორი, გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი კვინიტაძე.

სწორია: ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის მმართველი, პოლკოვნიკი გველესიანი [49].

აღნიშნული კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნა შემდეგ დოკუმენტშია წარმოდგენილი, რომელსაც კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, 1-ლი ქვეითი პოლკის მეთაური, პოლკოვნიკი ნესტორ გარდაფხაძე აწერს ხელს. ამ დასკვნაში საკითხის სხვადასხვა საინტერესო ასპექტია წარმოდგენილი.

დოკუმენტი №25

კომისიის დასკვნა

კომისია აჯანყების მიზეზებისა და დამნაშავე პირთა გამოსავლენად, როდესაც ადგილი ჰქონდა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ქონების ძარცვას, და ამ პირთა დასასჯელად, მუშაობის შემდეგ მივიდა შემდეგ დასკვნამდე:

მაზრების მოსახლეობის დიდი უმრავლესობის, განსაკუთრებით ქართველების დამოკიდებულება თურქთა წასვლის შემდეგ მთავრობისადმი კეთილგანწყობილი იყო. რაც შეეხება ბეგებს, სასულიერო პირებს და მიწის მფლობელ გლეხობას (რომელიც ამ მაზრებში საკმაოდ იყო), მიწის რეფორმის შიშის გამო, თავიდან ჩუმ უკმაყოფილებას

გამოთქვამდა, შემდეგ კი ინგლისელთა და სამხრეთ-დასავლეთის მუსულმანური მთავრობის მხარდაჭერით, რომელსაც სათავეში მსხვილი მემამულე სერვერ ბეგ ქობლიანსკი ედგა სათავეში, უფრო გაბედული მოქმედებები დაიწყო. სოფლებში აგიტატორებმა და მოღებმა დაიწყო სიარული, რომლებიც ამბობდნენ რომ ქართველები მთელ მიწას წაართმევდნენ, გახსნიან თავიანთ სკოლებს და დაიწყებენ ქართული ენის სწავლებას, გასაწვევი ასაკის ხალხს წაიყვანენ ჯარში და მთელ მუსულმანურ მოსახლეობას მართლმადიდებლობაზე მოაქცევენ და ა.შ. და როცა ამ აგიტატორებს ბეგებიც შეუერთდნენ, რომელთა ხელისუფლება ხალხში შეუზღუდავია, მუსულმანური მოსახლეობა მტრულად განეწყო საქართველოს მთავრობისა და ახალციხისა და ახალქალქის მაზრების ქრისტიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

არანაკლები როლი ითამაშა მაზრების სომხურმა მოსახლეობამ, რომელმაც ყოველი ღონე იხმარა, რომ დაპირისპირებისა და მტრობის ცეცხლი გაედვივებინა ამ დაპირისპირებაში, მუსულმანურ მოსახლეობას პირდებოდნენ ყოველგვარ დახმარებას იარაღით, ხალხითა და ყველა სახის საბრძოლო მასალით უზრუნველყოფაში. ამ შემთხვევაში სომხები თავისი სანუკვარი მიზნისაკენ ისწრაფვოდნენ – განედევნათ ქართველები საკამათო მაზრებიდან და შეიარაღებული დაპირისპირების შემთხვევაში ხელი შეეწყოს იმისათვის, რომ ქართველებსა და მუსულმანებს ერთმანეთი გაეწყვიტათ.

ერთი სიტყვით, აჯანყების საკითხი გადაწყვეტილი იყო და მისთვის სამზადისიც დაიწყო. ახალციხისა და ახალქალაქის ბეგების უმეტესობამ სერვერ ბეგის თაოსნობით, სხვა ბეგების მონაწილეობითა და ზოგიერთი მოლის მხარდაჭერით დაიწყო მუსულმანთა შეიარაღება. შეიარაღების უკმარისობა არ იგრძნობოდა, რადგან თურქთა წასვლის შემდეგ ის ბლომად მოიპოვებოდა. ერთი სიტყვით, აჯანყება მომზადდა და ელოდებოდნენ მხოლოდ საბაბს.

ამ საბაბად იქცა ზოგიერთი ბეგის დაპატიმრება და გასახლება, აგრეთვე სასაზღვრო ჯარის განუკითხავი მოქმედებები და ძარცვა-გლეჯვა სოფელ მორელში 1918 წლის

20 დეკემბერს, როცა ჯარისკაცებმა დაიწყეს გლეხების დარბევა. გლეხობამ ცეცხლი გახსნა, მესაზღვრეები კი გაიქცნენ. პირველი შეტაკებების შემდეგ თათრებმა აღმოაჩინეს ჩვენი სისუსტე და მერყეობა და გადამწყვეტ მოქმედებებზე გადავიდნენ. ამან კი გამოიწვია ჩვენი ჯარის მოუწესრიგებელი გაქცევა ლამის ბორჯომამდე და უზღვაო სამხედრო ქონების დაკარგვა.

გაპარტახებული სოფლების, ვალესა და განსაკუთრებით უდეურალის მატერიალური დანაკარგები შეფასებას არ ექვემდებარება, რადგან ეს სოფლები სრულადაა გადამწვარი და აღგვილი პირისგან მიწისა. მოსახლეობის მთელი ქონება გატაცებული და განადგურებულია მუსულმანთა მიერ. მოკლულია 28 მოსახლე. სოფელ ვალეს ნაწილიც გადამწვარი და დანგრეულია, ეკლესია შეურაცხყოფილი და გაძარცვულია. მოკლულია 7 კაცი. აბასთუმანში ყველა აგარაკი გაძარცვულია. გაძარცვულია აგრეთვე მეფის მექვიდრის ყოფილი სასახლე, საიდანაც როგორც ამბობებენ გატანილია მხოლოდ ვერცხლი 60 ფუთის წონით. სასახლის ზოგიერთი ავეჯის ნივთი, მაგიდები, საწოლები, სკამები და ა.შ. როგორც ამბობენ, სერვერ ბეგის სახლში იწონებენ თავს. ავეჯის ნაწილს ჩვენი ჯარისკაცები პოულობდნენ ფოცხოველთა სახლებშიც კი, იქ განხორციელებული შეტევის დროს.

ამ აჯანყების მონაწილეთა და ხელმძღვანელთა დიდი უმრავლესობა გაქცეულია ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ, ამიტომაც შეუძლებელი აღმოჩნდა მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა.

მოკრებილი მასალები ბრალის წასაყენებლად თან ერთვის.

კომისიის თავმჯდომარე, პოლკოვნიკი გარდაფხაძე [50].

შემდეგი დოკუმენტი კი უკვე სამთავრობო კომისიის დასკვნას წარმოადგენს, რეგიონში დატრიალებული მოვლენების მიზეზების შესახებ, რომლის თავმჯდომარესაც დამფუძნებელი კრების წევრი, ბატონი გიორგი (გიზო) ანჯაფარიძე წარმოადგენდა. დამფუძნებელი კრების კომისიის ეს დასკვნა კიდევ იმითაა საინტერესო, რომ მასში ბატონი გიორგი ანჯაფარიძე არ ეთანხმება მთავრობის წევრთა

მხრიდან ჩვენთვის უკვე ცნობილ დამოკიდებულებას სამხედროთა მიმართ. იგი ნოე ჟორდანიასა და სამხედრო მინისტრისაგან მოითხოვს მაზრის რწმუნებულის უფლებამოსილებების შეზღუდვას და სრული უფლებამოსილებების გადაცემას გენერალ-გუბერნატორისათვის. თავისი რეკომენდაციების გასამაგრებლად კი, არგუმენტად საომარი მოქმედებების განახლების შესაძლებლობა და ასეთ ვითარებაში მართვა-კონტროლის ერთმმართველობის პრიმატი მოჰყავს.

დოკუმენტი №26

სამხედრო მინისტრს. ორიგინალი მთავრობის მეთაურს.

ახალციხიდან.

ტელეგრამა №1552. 22. 03. 19.

კომისიის მუშაობა ახალციხის მაზრაში დასრულებულია. კომისიის წევრებს ფირცხალავასა და მამელოვს მეტი მოცდის საშუალება არ ჰქონდათ და დღეს გამოემგზავრნენ თბილისში. გეგეჭკორის ტელეგრამის შესაბამისად მე ვრჩები ადგილზე, მაგრამ ვალდებულად ვთვლი ჩემს თავს განვაცხადო შემდეგი:

მალლაკელიძესა (აქ აშკარა შეცდომაა, მალლაკელიძის მაგივრად უნდა იყოს რუხაძე – ა. ჩ.) და კვინიტაძეს შორის არავითარ კონტაქტზე ლაპარაკიც არ შეიძლება, თუ პირველი არ დაექვემდებარება მეორეს. საქმის ვითარება ამას მოითხოვს. ცუდია ეს თუ კარგი, აქ იკვეთება ერთი კურსი: საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ, მცირეოდენმა რყევებმაც კი შეიძლება ის მდგომარეობა გაიმეოროს, რამაც ასეთ სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა. ვიმეორებ, მხარე ჯერ კიდევ არაა დაწყნარებული, მოსახლეობიდან იარაღი ჯერ კიდევ არაა ბოლომდე ამოღებული, ახალციხის მაზრის უმეტესობა ჩვენი ჯარების მიერ ჯერ კიდევ არაა დაკავებული, ბანდები ჯერ კიდევ არაა განადგურებული, ამიტომაც საბრძოლო მოქმედებებს ჯერ კიდევ შეიძლება ჰქონდეს ადგილი. ასეთ პირობებში სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების გაყოფა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება და იგი სამხედრო სარდლობას უნ-

და ეკუთვნოდეს, რომელიც მიესმარება გენერალ-გუბერნატორს მოროდორობასთან ბრძოლაში, ასევე დაზარალებულთა დახმარების აღმოჩენაში. თქვენ იცით ჩემი დამოკიდებულება სამხედროთა შეუზღუდავი ხელისუფლების შესახებ, მაგრამ თუ მე ამას ვითხოვ დაუჩინებოთ, ესე იგი მე ამას მკარნახობს შექმნილი მდგომარეობა და ჩვენი წარსული შეცდომები. ველოდები თქვენს შემდგომ კატეგორიულ განკარგულებებს.

დამფუძნებელი კრების კომისიის თავმჯდომარე ანჯაფარიძე [51].

შემდეგი დოკუმენტი ახალციხე-ახალქალაქის მაზრების ქართული საჯარისო გარნიზონის შტაბის უფროსის, პოლკოვნიკ ნიკოლოზ გედევანიშვილის (საქართველოს სამხედრო მინისტრის მოადგილისა და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილისა და სახალხო გვარდიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, გენერალ იოსებ (სოსიკო) გედევანიშვილის ძმა) მოთხოვნას წარმოადგენს ახალციხის მაზრის კომისრის სახელზე, ამბოხის მოთავეების მოძიებისა და მათი მართლმსაჯულების წინაშე წარდგენის შესახებ.

დოკუმენტი №27

ახალციხის მაზრის კომისარს. 24. 05. 19.

არსებული მონაცემებით, სოფელ ასპინძის მაცხოვრებელი ჩახალ ისმაილ ოღლი, სოფელ კამზის მაცხოვრებელი მამედ ჩახაკ ოღლი, სოფელ ზემო ომარას მაცხოვრებლები ალაღინ არიფ ოღლი, სემერ ისმაილ ოღლი და ყარაალი ოღლი იყვნენ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში მოწყობილი აჯანყების ძირითადი მოთავეები. ჯარების სარდალმა ბრძანა, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით ჩატარდეს მკაცრი მოკვლევა და დადასტურების შემთხვევაში, აღნიშნული პირები დაპატიმრებულ და მოყვანილ იქნან რაზმის შტაბში.

პოლკოვნიკი გედევანოვი [52].

შემდეგი დოკუმენტი გენერალ-გუბერნატორის წერილობით მოწოდებას წარმოადგენს არტაანისა და ფოცხოვის ამბოხებული მოსახლეობის მიმართ, შედგენილს ქართულ და ოსმალურ ენებზე. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რეგიონის მაჰმადიანი მოსახლეობის მოქმედებებზე გადამწყვეტი გავლენა ოსმალურმა იტიჰადისტურმა იდეოლოგიამ, Teşkilât-ı Mahsusa-ს და „ყარაქოლის“ ტიპის შვილობილი საიდუმლო ორგანიზაციების განტოტვილი აგენტურული ქსელის მუშაობამ და ადგილობრივი ქართველი მაჰმადიანი ბეგების მერკანტილურმა ინტერესებმა ითამაშა. ეს სულისკვეთება ქვემოთ მოყვანილ დოკუმენტშიც ჩანს, სადაც ქართული სარდლობა სწორად აანალიზებს განვლილ მოვლენებს და მუსლიმური ამბოხის რეალურ ინსპირატორებს.

დოკუმენტი №28

მოწოდება!

14. 05. 19.

№308.

არდაგანის და ფოცხოვის მუსულმანებო (ქართულ და ოსმალურ ენებზე)

ჩვენ, ქართველები, მოვედით საომრად თქვენთან კი არა, მათთან. თქვენ მოტყუილებით წამოგიყვანათ ახალციხის მაზრაზედ, სადაც დაინთხა სისხლი, დაიღუპა და დაიძხო უდანაშაულო მშრომელი ხალხი. ეს ხელმძღვანელები არიან ნამდვილი თქვენი მტრები და ერთ მათგანს, ახსალ მუსაკიევს უკვე მოველინა ღვთის სასჯელი – ის მოკლულ იქნა მისი საკუთარი მოტყუებული ხალხისაგან. პირველი დამარცხების შემდეგ ამ მოძალადეების გროვისა ახალციხის მაზრაში, მე არ შემოვდიოდი თქვენს საზღვრებში მთელს სამ კვირას იმ იმედით, რომ ჭკუადაკარგულები გონს მოვიდოდნენ და შეწყვეტდნენ ძმათა სისხლის ღვრას. მაგრამ მათ მოღალატეებმა ხელახლად მოგატყუათ თქვენ და კიდევ წამოგიყვანათ თქვენ იარაღით ხელში თქვენი ძმების წინააღმდეგ. ხელახლად ამ ავანტი-

ურისტებმა და სისხლისმსმელებმა შეაგროვეს ახალციხის საზღვარზედ მოტყუებული და გაბრიყვებული ხალხი იარაღით და ემუქრებოდნენ მაზრის მშვიდობიან ცხოვრებას. ვცადე რა ყოველი ზომა საქმის მშვიდობიანად მოსაგვარებლად, მე იძულებული გავხდი, რომ დამეხსნა მაზრის უადანაშაულო მშვიდობიანი ხალხი ახალი ომის საშინელებისაგან, შემოვსულიყავი თქვენს საზღვრებში საბოლოოდ შესამუსრად ხალხის მტრების, მატყუარებისა. მანამდის სანამ ამ მატყუარების გროვა, რომლებიც მისდევენ მარტო თავის პირად მიზნებს იქნებიან თქვენს შორის, ისინი არ შეწყვეტენ თქვენს აგულიანებას და წაგიყვანენ თქვენ უმართლო და სასიხლო საქმეზედ.

ნუ დაუჯერებთ მათ, როდესაც გეუბნებიან, რომ იცავენ ხალხის ინტერესებს. ისინი ფიქრობენ მარტო თავის თავზედ. განდევნეთ ისინი თქვენგან, თორემ მიგიყვანებენ დაღუპვის პირამდე. რატომ უნდა აიღოთ თქვენ ხელში თოფი და წახვიდეთ ახალციხეზე, როდესაც თქვენ გინდათ ბარი და ნიჩაბი და იმუშაოთ თქვენს საკუთარ მიწაზედ. რატომ უნდა წახვიდეთ თქვენი ძმების წინააღმდეგ ახალციხე-ახალქალაქში, როდესაც თქვენ უნდა ზრუნავდეთ თქვენს ჯოგზედ. მაგრამ ცხვრის ქურქში გახვეული მგლები გარწმუნებენ, რომ ქართველები მოვიდნენ სამუსულმანოს მოსასპობად, წაართვან მათ სარწმუნოება და ძველი ჩვეულებანი. ნუ დავუჯერებთ მათ. ყველამ იცის მშვიდობიანი ზნე ქართველებისა და ვერავინ ვერასდროს ვერ იტყვ, რომ ქართველებმა მოსპეს ვისიმე თავისუფლება, შეურაცხყვეს ვისიმე რწმენა. პირიქით, საქართველოს რესპუბლიკა ანიჭებს ყველა თავის მოქალაქეს განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოების, სრულ თავისუფლებას, მშვიდობიან ცხოვრებას, უკეთ მოეწყოს და ისარგებლოს თავისი შრომით.

მაგრამ შემთხვევის მაძიებელ ხალხს არ მოეწონებათ მყუდრო ცხოვრება – მათ უნდათ არეულობები, მათ სწაღიათ სისხლი და ძმათა მკვლეელი ომი, რომ ამ დროს მოაწყონ თავისი ბნელი საქმეები. მე თვითონ ვნახე ჯაყსუში სახრჩობელა, რითაც ეს ძალდამტანებლები ემუქრებოდნენ მათ, ვინც მათთან არ იყო. მე მწამს, რომ თქვენ არ გინდოდათ და არც გინდათ ომი, მაგრამ მოტყუების და ძალა-

დობის მსხვერპლნი შეიქმნით. ამიტომ კიდევ გეუბნებიან თქვენ – განდევნეთ თქვენგან ეს ხალხი და მალე აიღეთ ხელში გუთანი და ბარი და არა თოფი. მშვიდობიანობის საქმე თქვენს საკუთარ ხელშია.

კვინიტაძე [53].

მეტად საინტერესოა შემდეგი დოკუმენტი, რომელიც დახვერვის კაპიტან ფარეშიშვილის მოსხენებით ბარათს წარმოადგენს ახალციხის რაზმის შტაბის უფროსის სახელზე. ამ დოკუმენტში გარკვეული შენიშვნებია გამოთქმული ზემოთ წარმოდგენილ მიმართვასთან დაკავშირებით.

დოკუმენტი №29

ახალციხის რაზმის შტაბის უფროსს.

მოსხენებითი ბარათი.

არდაგანის ოლქის მოსახლეობასთან გაცნობის მიზნით, შევიდა რა იქ დამყრობლის სტატუსით, ახალციხის ჯარების სარდალმა საჭიროდ ჩათვალა მიემართა მოსახლეობისათვის თათრულ და ქართულ ენებზე. ამ საკითხთან დაკავშირებით მოვალეობად ვთვლი მოგასსენოთ შემდეგი:

თუ არდაგანის ოლქის კარანანახები, რომლებიც მონათესავე ტომს წარმოადგენენ ჩვენი ბორჩალოელი თათრებისა, წიგნიერნი ყოფილიყვნენ, მაშინ შესაძლებელი იყო მათთვის წერილობითი ფორმებით მიგვემართა. მაგრამ არდაგანის ოლქის მაცხოვრებლები, სადაც 200-300 დიასახლისზე მხოლოდ ერთი მოდის წერა-კითხვის მცოდნე, ნამდვილად ვერ წაიკითხავენ თვითონ ჩვენს მოწოდებას. ამიტომ ისინი იძულებულნი ხდებიან მიმართონ ძალიან საეჭვო და ისლამისადმი ფანატიკურად განწყობილ მოლებს, რითაც ჩვენს მიერ დასახული მიზანი ვერ შესრულდება. სოფლის მოლა მაცხოვრებლებისათვის წარმოადგენს იმ მწყემსს, რომელიც ასწავლის მათ წერა-კითხვას, ღვთის კანონს და დაშინებით მორჩილებაში ჰყავს ისინი. ბნელი კარანანახები მოლას ხელში – ეს ის ცვილია, რომლიდანაც მოლას ნებისმიერი ფიგურის გამოძერწვა შეუძლია.

თვითონ მოლა კი ბრმად ემორჩილება ყურანის კანონს. ის არაფრით არ იქნება ჩვენი მოკავშირე თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ, რომელთაც სინათლე მიგვაქვს ამ ბნელ მოსახლეობასთან, მოლას ავტორიტეტს ვლახავთ. ძნელად დასაშვებია, რომ ეს სულიერი პირები, ჩვენი იდეების გამტარებლები იქნებიან.

ვფიქრობ, რომ სწორად გაითვალისწინა ეს მომენტი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების დროებითი კომისარიატის თავმჯდომარემ, სერგერ ბეგ ათაბეგოვმა, რომელმაც გაიგო რა, რომ ხალხი მას არ გაეყვებოდა, ყველა თავის განკარგულებას სწორედ სასულიერო პირების ხელით გადასცემდა ხალხს, რადგან ხალხს სჯერა რომ მოლა შუამავალს წარმოადგენს ღმერთსა და ხალხს შორის.

არდაგანის ოლქის მოსახლეობის, მათი ცხოვრების თავისებურება ისაა, რომ მათ უნდა ელაპარაკო მათი ბელადების – საპატიო მოხუცების პირით, ცოცხალი სიტყვით, რომ მოლებს არ მიეცეთ საშუალება არასწორად და დამახინჯებულად გადასცენ ხალხს ჩვენი მოწოდებები. მუსულმანებს შორის ჯოგური ინსტინქტი გაცილებით განვითარებულია. ისინი ბრმად ენდობიან და მიჰყვებიან მოლებს, საპატიო მოხუცებს და მზად არიან ბოლომდე ანდონ თავისი ბედი. წლებსა და ჭადარას ისინი ძალიან აფასებენ და მას ცოდნის, ცხოვრებისეული გამოცდილებისა და სიბრძნის ნიშნად თვლიან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მე ვთვლი, რომ უკეთესი იქნებოდა შეგვეკრიფა თითოეული საზოგადოებიდან ორ-ორი საპატიო ავტორიტეტი მოხუცი და მათთვის გადაგვეცა ჩვენი მოწოდების იდეა და არსი, და შემდეგ კი მათ გავერცელებინათ ყოველივე ეს მოსახლეობაში.

მოწოდებები ადრეც იწერებოდა, მაგრამ მათ შედეგი რომ ვერ გამოიღეს იქიდან ჩანს, რომ ჩვენი ქართველი მუსულმანი ძმები თავიანთ კულტურულ ქართველ ძმებს, რომელთაც მათთვის სინათლე მიჰქონდათ, ცეცხლითა და მახვილით შეხვდნენ.

ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში აგრარული რეფორმის შესახებ ჩატარებული კრების შემდეგ, ვერც კი მოვასწარით გამოვსულიყავით სამაზრო კომისარიატის შე-

ნობის კედლებიდან, რომ მუსულმანურ საზოგადოებაში უკვე მსჯელობენ იმის შესახებ მისაღები იყო თუ არა ეს რეფორმა შარიათისათვის, სადაც ნათქვამია – „მესაკუთრისათვის მიწის წართმევა, სასიკვდილო ცოდვაა“.

კაპ. ფარეშიშვილი [54].

მიუხედავად კაპიტან ფარეშიშვილის მოხსენებით ბართში ჩამოყალიბებული არგუმენტირებული შენიშვნებისა, ქართული საჯარისო ქვედანაყოფების ფოცხოვში და არდაგანში შესვლის შემდეგ, გენერალ კვინიტაძის ამ მოწოდებას ოლქის ზოგიერთი თემი მაინც გამოეხმაურა. შემდეგი დოკუმენტი დუმალას საზოგადოების თურქმენი მოსახლეობის მორჩილების გამომხატველ 13 პუნქტიან წერილს წარმოადგენს. ამავე დროს, თემის წარმომადგენელი თხოვნით მიმართავს გენერალ-გუბერნატორს თემის მფარველობაში აყვანის შესახებ.

დოკუმენტი №30

დუმალის საზოგადოება (სოფ. ჩიკორა) არდაგანის ოლქი.
1335 წლის 17 მარტი.
თურქმენული მოსახლეობის შეკრების თავმჯდომარის
აბდულ რახმანისაგან ქართული ჯარების სარდალს.

მთელი თავისი არსებობის მანძილზე დუმალას საზოგადოების თურქმენული ნაწილი მხარს უჭერდა და სრულ მორჩილებას უცხადებდა ყველა ხელისუფლებას და უყოყმანოდ ასრულებდა მის ყველა მოთხოვნას, არასდროს არ იყო დაკავებული პოლიტიკით და არ ეწეოდა ძარცვა-გლეჯას.

1. ჩვენი მხარის გავლენიანმა პირებმა, როგორც რუსული, ასევე ოტომანთა მმართველობის პერიოდში, მიუხედავად უწყვეტი მანერე ანტისამთავრობო პროპაგანდისა, შეძლეს მოსახლეობის შეკავება აჯანყებებისა და ამბოხისაგან.
2. ფოცხოვის ბეგები და ამ რაიონის მოსახლეობის დიდი ნაწილი რამდენჯერმე ცდილობდა გამოვსულიყავით საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ კატეგორიულად წინააღმდეგი ვიყავით ამისა.

3. საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლაზე უარის გამო ჩვენ ბევრჯერ დაგვესხნენ თავს ფოცხოვიდან და რომ არა ღრმა თოვლი, ჩვენ საბოლოოდ ვიქნებოდით გადატაკებულნი.
4. აჰმედ ბეგ დიდურელი, რომელიც ხელმძღვანელობდა მნიშვნელოვან ძალებს, რამდენჯერმე დაგვესხა თავს. ფოცხოველებმა დაახლოებით 20 თურქმენი მოგვიკლეს.
5. ჩვენი ტერიტორიის სოფლებში ყარაულები გვეყავს დაყენებული, რომელთაც ნაბრძანები აქვთ არ დაუშვან ჩვენს რაიონში ფოცხოველები.
6. ფოცხოვის მხარის მაცხოვრებლები და მათი ბეგები, მრავალჯერ ეცადნენ რაღაც არ უნდა დაჯდომოდათ გამოეწვიათ ჩვენთან აჯანყება.
7. მე, როგორც ამ მოსახლეობის მიერ არჩეული ხელმძღვანელი ვაცხადებ, რომ ჩვენ ქართული მთავრობისადმი განწყობილნი ვართ დიდი სიმპათიით და არა გვსურს მასთან ომი. ჩვენი სურვილი – წმინდა შრომაა.
8. თურქმენული მოსახლეობა, რომელიც განდობთ თავის ბედს, გუთხვით აიყვანოთ ისინი თქვენი მფარველობის ქვეშ. ჩვენ ვაცხადებთ „ჩვენ მშვიდობიანი ცხოვრება და ჩვენი მიწების დამუშავება გვსურს“.
9. მოგახსენებთ, რომ თურქმენულმა მოსახლეობამ დიდი გასაჭირო გადაიტანა ფოცხოველებისაგან და ჩვენ დავიღალეთ ტანჯვისაგან.
10. თურქულმა სარდლობამ, იცოდა რა, რომ ჩვენ ქართული ორიენტაციის ვიყავით, განგვაიარაღა და არ მოგვცა საშუალება გვექნოდა რაიმე სახის იარაღი.
11. ფოცხოვის მხარის მავნე ელემენტებმა ჩვენი უდანაშაულო მოსახლეობის დიდი ნაწილი დაღუპეს. ჩვენ ვიცით ეს და ამიტომ არა გვსურს მათთან რაიმე კავშირის ქონა.
12. ფოცხოვში მაცხოვრებელი ზოგიერთი პირის პროვოკატორული მოღვაწეობის გამო ჩვენ არ შეგვიძლია მშვიდად ვიცხოვროთ. ცალკეული ბანდები გამუდმებით გვესხმიან თავს ფოცხოვიდან.

13. ჩვენი მდგომარეობა კრიტიკულია. და ამიტომაც იძულებულნი ვართ მოვმართოთ თხოვნით დაგვიცვათ.

და ახლა, როცა თქვენთვის ცნობილი გახდა ჩვენი გაჭირვება და ჩვენი თქვენდამი დამოკიდებულება, ხომ არაა შესაძლებელი რომ თქვენი მფარველობის ქვეშ ავიყვანოთ. ამასთან ერთად გაძლევთ ფიცს, რომ ვიქნებით პატიოსანნი და ერთგულნი თქვენდამი და თქვენი მთავრობისადმი.

1335 წელი, 17 მარტი. არდაგანის ოლქის დუმალას საზოგადოება.

კრების თავმჯდომარე, აბდულ რახმანი [55].

მსგავსი შინაარსისაა შემდეგი დოკუმენტიც.

დოკუმენტი №31

ტიფლისი. სამხედრო მინისტრს. ახალციხიდან, №260

17. 03. 19. 19 საათი და 30 წუთი.

დღემ ახალციხის ფრონტზე მშვიდად ჩაიარა, ცვლილებები არაა. გუშინ, 16 მარტს, ფოცხოვის რაიონის ზოგიერთი სოფლის მაცხოვრებელი გამოცხადდა მორჩილების გამოსახატავად. დღეს, 17 მარტს ფოცხოვის რაიონის 60 სოფლის მაცხოვრებელი მოვიდა ჩემთან სოფელ ბადელიაში თხოვნით, რომ შევწყვიტოთ ცეცხლი, სამხედრო მოქმედებები და გამოხატეს მზადყოფნა მიიღონ ჩვენი წინადადებები.

ჩემს მიერ წაყენებული პირობები მათ მიერ მიღებულია. კერძოდ:

1. მთელი ცეცხლსასროლი იარაღის ჩაბარება;

2. მოთავყეებისა და ზაჩინშიკების გადმოცემა;

3. ახალციხესა და აბასთუმანში მოხდენილი მთელი ნაპარცვის ჩაბარება;

დელეგაციის სათავეში იმყოფებოდნენ სერვერ ბეგ ბესანბეკოვი და ზადეი ახმედ ბეი ფოცხოველი. ეს უკანასკნელი ყარსის მთავრობის მიერ დანიშნული იყო ფოცხოვის უბნის კომისრად.

კვინიტაძე [56].

ქართული მხარის სტრატეგიული შეტევითი ოპერაცია ფოცხოვი-არტაანის მიმართულებაზე კი, 1919 წლის 16 მარტს დაიწყო ორ კოლონად, გენერლების, გრიგოლ სუმბათაშვილისა და დავით ართმელაძის მეთაურობით. ამის შესახებ ქართული სარდლობის შტაბის უფროსის, პოლკოვნიკ ნიკოლოზ გედევანიშვილის №225 შიფროგრამა გვატყობინებს, რომელიც მის მიერ იქნა გაგზავნილი არმიის სარდლის (იგულისხმება მისი ძმა, გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი), სამხედრო მინისტრისა და სახალხო გვარდიის შტაბის სახელზე.

დოკუმენტი №32

ტელეგრამა №225, ახალციხიდან.

16. 03. 19.

9 საათი და 45 წუთი.

არმიის სარდალს, სამხედრო მინისტრს, სახალხო გვარდიის შტაბს.

სროლები ფოცხოვის მხრიდან არ წყდება. გუშინ საღამოს ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს საწყისი პოზიციები და დღეს დილიდან სტრატეგიული მოსაზრებებიდან გამომდინარე იწყებენ სამხედრო მოქმედებებს ფოცხოვის მიმართულებით.

პოლკოვნიკი გედევანოვი [57].

საბოლოოდ, სწორად დაგეგმილი, მართული და აღსრულებული ოპერაციის შედეგად ქართული საჯარისო ქვედანაყოფები ფოცხოვსა და არტაანში შევიდნენ, სადაც დე ფაქტო ქართული იურისდიქცია იქნა აღდგენილი. გენერალი კვინიტაძე: „18 აპრილს ჩვენი ჯარი არდაგანის ოლქში შევიდა. 19-ში გენერალ ართმელაძის მარჯვენა კოლონას ბრძოლა მოუწია, ხოლო 20-ში ბრძოლის შემდეგ არდაგანი აიღო, და ადრე მიღებული განკარგულების თანახმად, თავისი ძალების ნაწილი მოწინააღმდეგეს დაადევნა, ნაწილი კი, გენერალ სუმბათაშვილის შესახვედრად გაუშ-

ვა, რომელიც ახალციხე-არდაგანის გზატკეცილით მოიწვედა წინ. 22-ში რაზმები შეერთდა...

ჩვენს მიერ არდაგანის ალების დღეს ინგლისელებს ყარსში ჯარი ჩამოუყვანიათ და ე.წ. სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ტერიტორიის ყარსის მთავრობა დაუპატიმრებიათ. ჩვენ ის შევარყიეთ – ინგლისელებმა კი ბოლო მოუღეს. სერვერ-ბეგი თურქეთში გაიქცა. მოსახლეობა მორჩილებას და ჩვენთან შემოერთების სურვილს გამოხატავდა; განსაკუთრებით ბერძნები, რუსები და მაჰმადიანები იხვეწებოდნენ, რომლებიც არდაგანის ჩრდილოეთით სახლობდნენ” [58, 148-149].

თვითგამოცხადებული „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის” სამხედრო ისტორიის საკითხების განხილვას საარქივო მასალებსა და დოკუმენტებში, ამჯერად დოკუმენტი №33-ის წარმოდგენით დავასრულებთ. იგი ყოფილი „ცარისტი გენერლის”, ახალციხე-ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორის და რეგიონის ქართული საჯარისო კონტიგენტის სარდლის, გენერალური შტაბის გენერალ-მაიორის, გიორგი კვინიტაძის 1919 წლის 27 მაისით დათარიღებულ №57 ბრძანებას წარმოადგენს. ესაა სარდლის გამოსამშვიდობებელი სიტყვა გარნიზონის პირადი შემადგენლობის მიმართ. ძნელია გულგრილად გაეცნოს მას მკითხველი.

დოკუმენტი №33

ბრძანება ახალციხის რაზმისადმი №57.

27. 05. 19.

ახალციხე.

ძვირფასო თანამებრძოლებო, ოფიცრებო და ჯარისკაცებო, მე თქვენ გმორდებით. მთლიანად გამსჭვალული ვარ ღრმა აღფრთოვანებით თქვენი სიმამაცით ამ ველზე და ყველგან ჩვენს უძველეს მესხეთში, ჩვენი სამშობლოს ძვირფას აკვანში. თქვენ აიძულეთ ყველა, რომ ისევ გახსენებოდათ ჩვენი სახელოვანი წინაპრები, რომლებიც ამავე

ბრძოლის ველზე თავიანთ სისხლს ღვრიდნენ ჩვენი სამშობლოს გულისათვის.

ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი ხანა, ეს ჩემი ყოფნაა აქ, თქვენთან, ახალციხის ფრონტზე. მე ბედნიერი ვარ, რომ ბედმა მარგუნა ისეთი ყოჩაღი ხალხის სარდლობა, რომლებიც თქვენა ხართ. ქება და ღიღება თქვენ.

დაე ეს იყოს ჩვენი პატარა სამშობლოსათვის მანათობელი ვარსკვლავი ჩვენს შემდგომ ცხოვრებაში.

ჩვენ ყოველთვის მზად ვიქნებით უკანასკნელი სისხლის წვეთი გავიდოთ ჩვენი სამშობლოსათვის, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ქება და ღიღება თქვენ, ახალციხისა და ახალქალაქის გმირებო.

მშვიდობით, დაე თქვენთან იყოს მუდამ გამარჯვება, გიყვარდეთ სამშობლო.

ახალციხის რაზმის სარდალი, გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი კვინიტაძე [59].

A. CHACHKHIANI

SOME POINTS OF MILITARY HISTORY OF SELF-DECLARED "SOUTH-WESTERN CAUCASIAN DEMOCRATIC REPUBLIC" IN ARCHIVAL DOCUMENTS

The article discusses the foundation and short-lived history of the "South-Western Caucasian Democratic Republic", or otherwise, "Kars Republic" with its political-ideological and military-strategic aspects. We have investigated fundamentally the fact of announcing the provinces of Tbilisi region, Akhaltsikhe and Akhalkalaki, property of the "Republic", by this Islamic pseudo-state; in addition we have obtained the data from the archive materials and documents, concerning the military operations conducted by the Georgian military units in mentioned regions and in the north part of the Kars region.

The situation is outlined that in foundation of "Kars Republic" one main factor played the decisive role – it was the factor of the

Ottoman military-political alliances – “Special Organization” (Teşkilât-ı Mahsusa) and “Karakol.” the first of which was organized even during the World War I and the second one later. They actively participated in the mentioned process. The ideological vector of these organizations was based on the pan-Islamic and pan-Turanian ideology. The ultimate goal of the organizations was to protect the members of the political party “Unity and Progress” (İttihat ve Terakki) – the Governing party of the Ottoman Empire – and of the local Turkish population, in the post-war period, from the attacks of the Entente and the liberals, and from the possible revenge of the local Christian population. In accordance with this strategic plan, the so called “Kars Republic” was founded in the South-West Caucasus on December 1, 1918. It was thought to be able to maintain pan-Turkish and Islamic attitudes among the muslims, until the new Turkish state could strengthen after being defeated in the war. Then, it was intended to integrate this republic with Azerbaijan which would result in appearing a new muslim state in Trans-Caucasus.

Those political and ideological factors conditioned the foundation of the “South-Western Caucasian Democratic Republic”, a state of islamic type; it was not the result of individual profiteering interests of the Georgian muslim feudals (beys), as it is regarded in the writings of some Georgian authors. The same can be said about the “Arax Islamic Republic” founded earlier than the “Kars Republic”, namely on November 3, 1918.

In the course of territorial expansion, the government of the Kars Republic tried to occupy, using the armed force, the Georgian territories of Akhaltsikhe-Akhalkalaki provinces and Batumi district. This armed conflict was led by some Georgian muslim feudals. On the North direction, from Potskhovi, on January 17, the military aggression began. It was resisted by the Georgian garrison. The archive documents represented in the article evidence those processes. This interesting data from the archive, which we have searched for and obtained, will be undoubtedly of great help in further scientific investigation of the mentioned period of the military history.

Finally, on April 20 1919, with entering the Georgian armed forces in Ardagan and of British occupation units in Kars, the “South-Western Caucasian Democratic Republic” was abolished.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:


1. ვიქტორ ნოზაძე. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მესხეთის გამო. თბილისი. 1989.
2. გ. ივანიძე, მ. ივანიძე. ზაქარია დიდიმამიშვილი და მისი დღიური „ახალციხის დღეები“ (1918-1919 წლები). ახალციხე. 2012.
3. როინ ყავრელიშვილი. 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის თურქული ისტორიოგრაფია. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. თბილისი. 2002.
4. Гаджиев Айдин. Из истории образования и падения Юго-Западной Кавказской (Карсской) демократической республики. История Азербайджана. Управление делами Президента Азербайджанской Республики. Президентская библиотека. <http://files.preslib.az/projects/azerbaijan/rus/gl3.pdf>.
5. Mondros Armistice. Turkish Greek relations. Istanbul. 2004.
6. Prof. Nihat Erim. Devletlerarası Hukuku ve Siyasi Tarih. Metinleri. Cilt:1. (Osmanlı İmparatorluğu Andlaşmaları). Ankara Üniversitesi Hukuk Facültesi Yayınları. 1953. <http://www.ttk.org.tr/templates/resimler/File/ktpbelge/antlasmalar/mondros.pdf>.
7. Nur Bilge Criss. Istanbul under Allied Occupation 1918-1923. Leiden; Boston; Köln: Brill, 1999.
8. არჩილ ჩახხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბილისი. 2007.
9. Kamuran Gürün. The War of Independence. Ankara. 1982. H. G. Armstrong.
10. Basiret gazetesinden aktaran; David Kushner, a.g.e.
11. Şeref Cavuşoğlu, İttihat ve Terakki'nin Gizli Planı, Yakın Tarihimiz, Cilt I.
12. Şevket Süreyya Aydemir, Enver Paşa, Cilt III.
13. მიხეილ სვანიძე. ოსმალეთის ისტორია (1600-1923). ნაწილი II. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. აკადემიკოს გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის

ინსტიტუტი. აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრი. თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი. თბილისის. 2002.

14. Erik-Jan Zürcher. Atatürk as a Young Turk. *Contemporary Turkish Studies*.
15. Nersin Ersoy McMeekin. Turkey's relations with the Bolsheviks (1919-1922). The department of international relations. Bilkent University. Ankara. 2007. pg. 25. Fahri Can. "Karakol Cemiyeti Nasil Kurulmuştu?" *Hartalar, Vesikalar, Resimlerle Yakın Tarihimiz*. 1963.
16. Мустафа Кемаль. Путь новой Турции. 1919-1927. Т. I. Первые шаги национально-освободительного движения. Государственное издательство „Литиздат“ НКВД. 1929.
17. □uhnaz Yılmaz. An Ottoman Warrior Abroad: Enver Pasha as an Expatriate. *Middle Eastern Studies. A Frank Cass Journal*. ISSN 0026-3206, p. 52. (Philip Hendrich Stoddard. *The Ottoman Government and the Arabs, 1911-1918. A Preliminary Study of the Teşkilât-ı Mahsusa*. Umpub. Ph.D. Princeton University. 1963.
18. Hülya Küçük. The role of the Bektáshis in Turkey's national struggle. A historical and critical study. Center for Adult Education, Cambridge, MA, USA. Library of Congress Cataloging-Publication Data. 2001.
19. Гамза Джафаров. Аразско-Тюркская Республика. История Азербайджана. Управление делами Президента Азербайджанской Республики. Президентская библиотека. <http://files.preslib.az/projects/azerbaijan/rus/gl3.pdf>.
20. W. E. D. Alenn. *Caucasian battlefields. A history of the wars on the Turko-Caucasian border. 1828-1921*. Cambridge. 1953.
21. H. Pehlivanli. „The Post Armistice situation on South-West Caucasia” in „Kars and Eastern Anatolia in the Recent History of Turkey”, Ankara, 1994.
22. Бадаев А. Забытая республика. Азербайджанское национальное движение от Мусавата до Народного фронта. Баку. Элм. 1992.
23. Бахтияр Наджафов. Лицо врага. История армянского национализма в Закавказье в конце XIX _ начале XX в. Часть вторая. Баку. 1994. Стр. 74. Журн. Фигара фиюзаты, 271, 1921 г. №3, стр. 74. ЦГАНИ АР, ф. 970, оп. 1, ед. хр. 27, л. 15.

24. Попов А. Из эпохи английской интервенции в Закавказье. Журнал „Пролетарская революция”. 1923, №6-7. Москва.
25. შალვა მაღლაკელიძე. მოგონებები. ილუსტრირებული ბიოგრაფიები. „პეგასი”. თბილისი. 2012.
26. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. (შემდგომში სცსსა). ფონდი 1976, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 76.
27. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 73, ფურცელი 1.
28. სცსსა. ფონდი 1946, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცელი 231-232.
29. სცსსა. ფონდი 1946, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი 328.
30. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 215, ფურცელი 57.
31. სცსსა. ფონდი 1946, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცელი 253.
32. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 215, ფურცელი 60.
33. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 215, ფურცელი 64.
34. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 215, ფურცელი 88-89.
35. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 215, ფურცელი 117.
36. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 214, ფურცელი 129.
37. სცსსა. ფონდი 1946, ანაწერი 1, საქმე 22, ფურცელი 10.
38. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 183, ფურცელი 10.
39. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 211, ფურცელი 28.
40. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 214, ფურცელი 48.
41. სცსსა. ფონდი 1976, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 106.
42. სცსსა. ფონდი 1976, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 112.
43. სცსსა. ფონდი 1946, ანაწერი 1, საქმე 20, ფურცელი 8.
44. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 215, ფურცელი 157.
45. სცსსა. ფონდი 1976, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 28-30.
46. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 214, ფურცელი 62.
47. სცსსა. ფონდი 1946, ანაწერი 1, საქმე 22, ფურცელი 3.
48. სცსსა. ფონდი 1946, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცელი 23.
49. სცსსა. ფონდი 1946, ანაწერი 1, საქმე 22, ფურცელი 1.
50. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 183, ფურცელი 305.
51. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 214, ფურცელი 74-75.
52. სცსსა. ფონდი 1976, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 119.
53. სცსსა. ფონდი 1976, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 107.
54. სცსსა. ფონდი 1976, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 60.
55. სცსსა. ფონდი 1976, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 41-42.
56. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 214, ფურცელი 36-37.

57. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 214, ფურცელი 41.
58. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ნაწილი I. „ლომისი“. თბილისი. 1998. გვ. 148-149.
59. სცსსა. ფონდი 1946, ანაწერი 1, საქმე 23, ფურცელი 27.



I i a m e l i q i S v i l i

qarTvel ol ogi s dRe (25 wl i sTavi)

1987 წელი. ეს ის პერიოდია, როდესაც საბჭოთა კავშირი დაშლისკენ მიექანება. საზღვარგარეთ პოსტსაბჭოთა სივრცისადმი დიდი ინტერესი გაჩნდა.

ინგლისში ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ და აფრიკათმცოდნეობის ინსტიტუტში (SOAS), საქართველოსადმი მიძღვნილი კონფერენციის მოწყობის იდეა ჩაისახა. იდეა ცარიელ ადგილზე არ დაბადებულა. ამ ინსტიტუტის თანამშრომელი იყო ცნობილი მეცნიერი, ეთნოლოგი თამარ დრაგაძე – ძველი ემიგრაციის მესამე თაობის წარმომადგენელი; მისი მეგობარი სტივენ ჯონსი, რომელიც დაინტერესებული იყო საქართველოს ისტორიით და იმუშავებდა ამზადებდა დისერტაციას 1918-1921 წლების საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების შესახებ და ასევე ტექნიკური მუშაკი ჯონ რაითი, რომელიც ეგზოტიკური საქართველოთი დიდად იყო დაინტერესებული. ინგლისში საქართველოთი დაინტერესებული სხვა ადამიანებიც იყვნენ, მაგრამ არ ქონდათ კოორდინაცია და ერთმანეთს არ იცნობდნენ. იდეა თავისთავად კარგი იყო – დაინტერესებული ადამიანები ერთად შეიკრიბებოდნენ.

გადაწყდა – კონფერენცია უნდა ჩატარებულიყო.

ორგანიზატორების ფიქრით ლონდონში, კონფერენციაზე მომსვლელი, სულ ასე თორმეტიოდე კაცი თუ აღმოჩნდებოდა. მაგრამ ჰოი საოცრება! კონფერენციას 40 კაცი დაესწრო და იმდენად წარმატებულად ჩატარდა, რომ გადაწყდა მეორე წელსაც მოეწვიათ. ასე გაგრძელდა 1990 წლამდე.

1990 წელს კი გაჩნდა საშუალება იმისა, რომ კონფერენციის ფარგლები გაფართოებულიყო და საქართველოდან რამდენიმე გამოჩენილი მეცნიერი – ისტორიკოსი და ფილოლოგი მიეწვიათ. საქმე ისაა, რომ საქართველოში განვითარებული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ამ კონფერენციის თანმდევი პროცესები აღმოჩნდა. მეცნიერულ კონფერენცია პოლიტიკური საკითხების გარეშე ვერ ჩაივლიდა, რადგანაც იმუამად საქართველოში დიდი ცვლილებები დაიწყო.

თანდათან წინ წამოიწია აფხაზეთის პრობლემა.

ქალაქ ჰალიდან ამავე ინსტიტუტში სამუშაოდ ჩამოვიდა ჯორჯ ჰიუიტი. მოხდა ისე, რომ ჰიუიტის მონაწილეობამ, კონფერენცია წმინდა მეცნიერულიდან პოლიტიკურ ჭრილში გადაანაცვლა. როგორც ავტორები მოგვითხრობენ, მათ საერთოდ არ უფიქრიათ კონფერენციის პოლიტიზირებაზე, მაგრამ ძალამ თავისი ქნა. ჯორჯ ჰიუიტი იყო ერთ-ერთი პირველი მოწინააღმდეგე საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა. ყველას კარგად გვახსოვს მისი სუბიექტური შეფასებები და აფხაზეთის კონფლიქტში ცალმხრივად საქართველოს დადანაშაულება.

მოხდა ისე, რომ თამარ დრაგაძე – საქართველოს გულშემატკივარი, დაუპირისპირდა ჰიუიტს, რამაც დიდი გავლენა მოახდინა შემდგომში მეცნიერის ცხოვრებაზე. ჰიუიტი ცდილობდა თამარ დრაგაძის მიერ წარმოჩენილი რეალობა დაემცრო და ამას თამარ დრაგაძის ქართველობას მიაწერდა. ჰიუიტის მცდელობა უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ფართო მასები აფხაზეთის მხარეზე დადგნენ ლოზუნგით – „აფხაზეთი უმცირესობაა და მათ დაცვა სჭირდებათ“ და თამარ დრაგაძე საქართველოს მარიონეტად შერაცხეს. ჰიუიტმა იმის სურვილით, რომ შეეღახა თამარ დრაგაძის პოზიციები, დაიწყო ყველა სამეცნიერო უნივერსიტეტებში მასზე პასკვილების წერა. ხაზს უსვამდა მისი მეცნიერული დონის სიმწირეს; და რომ ის არის ქართველი ემიგრანტების შთამომავალი და რა თქმა უნდა ობიექტური არ არის „აფხაზეთის“ საკითხის მიმართ.

უბედურება ის იყო, რომ საზოგადოება ცალსახად იღებდა ამ ბრალდებას, ვინაიდან თამარი წარმოშობით

ქართველი იყო, ხოლო ჰიუიტი – ინგლისელი. რა თქმა უნდა, წარმოიქმნა ახალი პრობლემა, ჰიუიტი თავისკენ სძალავდა ქართველოლოგის დღეს, სურდა მისი მისაკუთრება. მაგრამ თამარ დრაგაძე ხმალამოლებული ებრძოდა მას და არ თმობდა პოზიციებს. მან იცოდა, რომ თუ “ქართველოლოგის დღე” ჯორჯ ჰიუიტის ხელში აღმოჩნდებოდა, ეს იქნებოდა საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაცია, რადგანაც იგი თავის გარშემო ანტიქართულ ძალებს იკრეფდა.

ამის დაშვება კი საქართველოს ღალატი იქნებოდა.

გადაწყდა “ქართველოლოგის დღეს” უნივერსიტეტი უნდა დაეტოვებინა.

იგი უნდა გასცლოდა იმ გარემოს, სადაც ვერაგმა მტერმა დაისადგურა.

თამარმა დატოვა უნივერსიტეტი.

გამოჩნდა გამოსავალი. თამარ დრაგაძემ, მარი ბენიქსენ -ბროქსაფთან ერთად “ლონდონის უნივერსიტი კოლეჯში” შუა აზიისა და კავკასიის შესწავლის ცენტრის გახსნა უნდოდათ. როგორც საქართველოს უჭირდა სიმართლის დამტკიცება საერთაშორისო საზოგადოების წინაშე იმ წლებში, და ვერ იცილებდა “უმცირესობის მწაგვრელის” იმიჯს, ასევე თამარს ყოველ ნაბიჯზე წინააღმდეგობა ხვდებოდა და უსამართლო თავდასხმებს დიდი შემართებით ებრძოდა. ამის გამო იყო, რომ რონალდ რეიფილდმა მისწერა პირადი წერილი რექტორს, სადაც აღნიშნა, რომ თამარ დრაგაძე არის სუსტი მეცნიერი და უარყოფითი პიროვნება და მას არ ეკუთვნის ასეთი ინსტიტუტში მოღვაწეობა და ამიტომ ეს ცენტრი არ უნდა გახსნილიყო. მიუხედავად იმისა, რომ თამარ დრაგაძის წინააღმდეგ იბრძოდნენ ზემოთ დასახელებული პირები, სამართლიანობა მაინც თავის გზას პოულობს. აღსანიშნავია, რომ ამ გულთბილ, გულდია, ნამდვილ მეცნიერს ასეთივე არაჩვეულებრივი და მსოფლიოში განთქმული მეცნიერები უჭერდნენ მხარს. ესენი იყვნენ: ერნესტ გელნერი, პოლ სტერლინგი, ადამ კუპერი, მარტინ მაკკოლი და სხვა მრავალი.

დაინიშნა “ქართველოლოგის დღე” და პარალელურად თითქოს ჯინაზე, ჰიუიტმაც მოინდომა კონფერენცია

“ქართველოლოგის დღის” ჩატარება. მიუხედავად ყოველივე ზემოთთქმულისა, ამ საკითხში საქართველოს სიტყვა მაინც ეთქმოდა. საჭირო იყო ამ “დღის” ოფიციალური მხარდაჭერა. და აი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის როინ მეტრეველის თაოსნობით ქართველმა ისტორიკოსებმა სამართლიანად მხარი თამარ დრაგაძეს დაუჭირეს. ამის შემდეგ სამეცნიერო წრეებში თამარის მიმართ დისკრედიტაცია კიდევ უფრო გაძლიერდა. აშკარა იყო ჰიუიტის მონდომება “ქართველოლოგის დღე” საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლ პლაცდარმად ექცია. მაგრამ სიმართლიანობამ იხეიმა და “ქართველოლოგის დღე” ჩატარდა ლონდონის უნივერსიტეტის სლავიანური და აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტში, სადაც იმ ხანად თამარი მუშაობდა. პარალელური ქართველოლოგის დღე აღარ ჩატარებულა.

გავიდა 25 წელი. ქართველოლოგის დღე იმდენად პოპულარული და საინტერესო გახდა, რომ მას წლების მანძილზე უამრავი მსმენელი ყავს. ერთი კია, რომ კონფერენციამ სამეცნიერო ხასიათის სრულად ვერ შეინარჩუნა, ნაწილობრივ ის საქართველოში მიმდინარე აქტუალური საკითხებით არის დატვირთული. ამან რა თქმა უნდა, თავისი შედეგი გამოიღო. ის პროცესები და პრობლემები რაც საქართველოში მიმდინარეობდა, ყოველწლიურად აქტიურად დგებოდა მრავალი ათეული მეცნიერის, ბიზნესმენის, ხელოვანების, სხვადასხვა დარგის მოღვაწეების ყურადღების ქვეშ.

2012 იყო საიუბილეო წელი. 25 წლის მანძილზე 25 ჯერ გახსნა კონფერენცია მისმა სულისჩამდგელმა და მისთვის მებრძოლმა თამარ დრაგაძემ. მან სამართლიანად აღნიშნა ის, რომ რაც საქართველოში მოხდა ამ წლების მანძილზე ყოველივე სრულად აისახა “ქართველოლოგის დღეზე”, რამაც ინგლისის საზოგადოება სათანადოდ მოამზადა.

სწორი ინფორმაცია საფუძველია სწორი განსჯისა და მოქმედებისა.

1990 წლის 4 მაისს ლონდონის უნივერსიტეტში მორიგი, რიგით მესამე, „ქართველოლოგის დღეზე“ ბი-ბი-სი-ს რუ-

სული რადიო გადაცემების განყოფილების გამგემ ბ-ნმა რობერტ პარსონსმა 1989 წლის 9 აპრილის შესახებ ისაუბრა.

1992 წელს ინგლისში გაიხსნა საქართველოს პირველი საელჩო. პირველი ელჩი თეიმურაზ მამაცაშვილი იყო. დიდი იყო ღვაწლი ბატონი თეიმურაზის ქართველოლოგის დღის სრულყოფილად ჩატარების საქმეში. თამარს იმ დღიდან მოყოლებული დღემდე მხარში ედგა საქართველოს საელჩო. ცოტა ხნის შემდეგ წარმოიქმნა იდეა, რომ ქართველოლოგის დღე ჩატარებულიყო იმ ქალაქებში, რომლებიც იყვნენ დამეგობრებული საქართველოსთან. ეს იყო ბრისტოლი და ნიუპორტი.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის, რომ “ქართველოლოგის დღის” სტრუქტურა არ შეცვლილა. პირველი გამომსვლელი ყოველთვის არის საქართველოს ელჩი, რომელიც განიხილავს საქართველოში მიმდინარე პროცესებს, განვითარების დინამიკას და სხვა მრავალ საკითხებს. შემდგომ აუცილებლად საპატიო სტუმარი საქართველოს რომელიმე სამინისტროდან, რომელიც აკეთებს საერთაშორისო მიმოხილვას და პოლიტიკურ შეფასებას. შემდგომში აუცილებლად წარმოსდგება ეკონომიკის სპეციალისტი, რომელიც უნდა იყოს ან ინგლისის ან ევროკავშირის წარმომადგენელი და უნდა იცნობდეს საქართველოს ეკონომიკას. დავიწყებას არ მისცემია მეცნიერული ნაწილი, რომელიც ასევე წარმოადგენს წარმატებებს მეცნიერებაში, იქნება ეს არქეოლოგია, ეთნოლოგია, ისტორია, ბიოლოგია, ფიზიოლოგია, ფსიქოლოგია და ა. შ. ხოლო მეორე ნაწილი აუცილებლად ეთმობა კულტურას, მუსიკას, მხატვრობას, ტურიზმს და დიასპორის საკითხებს.

ქართველოლოგის დღე ფეხდაფეხ მიყვება საქართველოს ცხოვრებას და მთელს დიდ ბრიტანეთს აცნობს მის მდგომარეობას, წარმატებას. ესაა ფანჯარა, საიდანაც საქართველო გადის დიდ ბრიტანეთში.

ლონდონში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა. „ქართველოლოგის დღემ“ ინგლისელი საზოგადოებისა და სათანადო უწყებების დიდი თანაგრძნობა და მხარდაჭერა გამოავლინა. 25 წლის მანძილზე უამრავმა დიპლომატმა, ელჩმა, პრესის, მეცნიერების, დიასპორის და სხვა საქართველოთი

დაინტერესებულმა პირმა მიიღო მონაწილეობა ამ კონფერენციაში.

გავიდა ხანი, საქართველოში იცვლებოდა სიტუაცია. თანდათან გამოიკვეთა ეკონომიკური კრიზისი და ქართველოლოგიის დღის ერთ-ერთი კონფერენცია სწორედ საქართველოს ეკონომიკას და ბიზნესს მიეძღვნა. თამარ დრაგაძის ყოფილმა სტუდენტმა, რომელიც შემდგომში გახდა ძალიან ძლიერი მოღვაწე დაზღვევის ბიზნესში – რისტო ტალასმა, გააკეთა მოხსენება და გააცნო ინგლისელ მსმენელს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა. აქედან, რა თქმა უნდა, ჩაისახა დიდი ინტერესი და გაჩნდა დახმარების სურვილიც.

ამასობაში, გავიდა წლები და საქართველოდან იწყო ახალმა ემიგრაციამ დენა. ჩამოვიდნენ მეცნიერები, რომლებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს ინგლისში და საკმაოდ ცნობილი მოღვაწეები გახდნენ. პარალელურად გაჩნდა საქართველო-ინგლისის თანამშრომლობის მრავალი კერა. ერთ-ერთი ასეთი არის ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორის, ნინო ფორაქიშვილისა და პროფესორ პიტერ ლიდარდის პროგრამა მიკრობიოლოგიაში.

ქართველების გულშემატკივარი ექიმები, ხელოვნების მუშაკები, არქიტექტორები შესაშური ერთგულებით ემსახურებიან ქართულ საქმეს. შექმნილია “თბილისის მემკვიდრეობის ფონდი”, “თბილისის განვითარების ფონდი”, რომელიც იბრძვის ქართული არქიტექტურული ძეგლების გადარჩენისათვის. 9 აპრილი, რუსეთის ომი, აფხაზეთის და სამაჩაბლოს კონფლიქტები – არც ერთი პრობლემა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. საკმაოდ აქტიურად არის წარმოდგენილი სამედიცინო სფერო. ინგლისში, უკვე ცნობილი ქართველი ექიმები, თავის წარმატებებს უზიარებენ მსმენელს და აქტიურად არიან ჩართული სამედიცინო პროექტებში და ამავე დროს საქართველოში სწავლებას ონლაინ რეჟიმში. ეხმარებიან საქართველოს ტურიზმის განვითარებაში. მისასაღებელია ისიც, რომ “წმინდა გრიგოლის ფონდთან” შეიქმნა თანადგომის ჯგუფი, რომელიც დიდ დახმარებას უწევს უპატრონო ბავშვთა თავშესაფარ “მკურნალს”. ქართული მუსიკა და ცეკვა კი ისე შევის-

ლხორცა ინგლისელებს, რომ მრავალი საუკეთესო ჯგუფი ჩამოყალიბდა.

აკადემიკოსმა მარია ლორთქიფანიძემ, ქართველოლოგიის დღეს უწოდა საქართველოს სარკე.

ქართველოლოგიის დღემ იმდენად გაითქვა სახელი, რომ ვესტმისტერის უნივერსიტეტის რექტორმა, რომელთანაც მიღებაზე ვიმყოფებოდით ნინო ფორაქიშვილისა და პიტერ ლიდარდის ინიციატივით, გულდასმით მოისმინა ამ კონფერენციის ისტორია და მისგან გამომდინარე წარმატებები და დასძინა, რომ ქართველოლოგიის დღემ ვესტმისტერის უნივერსიტეტის სახით იპოვა საკუთარი სახლი, რომ იგი არა მარტო სტუმარია, არამედ მისი ორგანული წევრი და შემდგომში ქართველოლოგიის დღე მუდმივად ამ უნივერსიტეტში ჩატარდება.

თამარ დრაგაძე დღესაც სათავეში უდგას ამ ღირშესანიშნავ საქმეს. საქმეს, რომლის გამოც, მან, როგორც ჭეშმარიტმა ქართველმა, მართალია შორეულ ლონდონში, თავის მეორე სამშობლოში, საქართველოს ბედი გაიზიარა. ბრძოლას ქართველოლოგიის დღისთვის უკვალოდ არ ჩაუვლია. ამ ჭიდილში მან მრავალი უსამართლო თავდასხმა გადაიტანა. ერთხელ, როდესაც ის ამერიკაში ერთ ერთ კონფერენციაზე საქართველოს საკითხით წარსდგა, მასთან მოვიდა კოლეგა და უთხრა: ეს თქვენ ხართ თამარ დრაგაძე? რა მშვენიერი მეცნიერი ყოფილხართ და ჩვენ რა ინფორმაციას გვაწვდიდნენ. თამარს გაეღიმა და უპასუხა: ასეთივე ინფორმაციას გაწვდიდნენ თქვენ საქართველოზეც, მაგრამ ჩემი, დედა სამშობლო – საქართველო ბევრად უფრო ბრწყინვალეა, თუ თქვენ მას პირადად მოუსმენთ და სხვის ნათქვამს არ დაეყრდნობით.

MEMORIA

Rvawl mosil i mecniერis akad. iuri kaWaravas gaxseneba dabadebi dan mease wl i stavze



გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ. აკად. ი. კაჭარავამ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საქართველოს XIX-XX საუკუნეების, განსაკუთრებით უახლესი ისტორიის კარდინალური პრობლემების კვლევა-ძიებას მოახმარა და შექმნა არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი. კერძოდ, აღსანიშნავია 1958 წ. გამოქვეყნებული კაპიტალური მონოგრაფია „საბჭოთა საქართველო საბჭოთა მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921-1925 წწ.)“, რომელიც საქართველოს ისტორიის ურთულესი ეტაპის ისტორიის მეცნიერული შესწავლის პირველ წარმატებულ შედეგს წარმოადგენდა. ამ ნაშრომის მისმა ავტორმა საფუძველი ჩაუყარა საერთოდ საბჭოური ხანის ისტორიის პრობლემების მეცნიერულ კვლევა-ძიებას, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა ფართო წყაროთმცოდნეობით ბაზაზე და ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ღრმა მეცნიერულ ინტერპრეტაციაზე, და ეს იმ პირობებში, როდესაც გაბატონებული კომუნისტური იდეოლოგია მკაცრ ჩარჩოებში აყენებდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შექმნილი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მეცნიერული განზოგადების შესაძლებლობებს.

ზემოსხენებულ ნაშრომში პირველად იქნა გამოკვეთილი საბჭოთა პოლიტიკური სისტემის, მმართველობის ახა-

ლი სტრუქტურის ჩამოყალიბების, ახალ საწყისებზე ეკონომიკის გარდაქმნის საკითხები, კულტურის განვითარების თავისებურებანი, ამიერკავკასიასა და საბჭოთა კავშირში საქართველოს მოქცევის პერიპეტეიები. ი. კაჭარავას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მის მიერ გამოკვლეული და განალიზებული პრობლემები დღესაც, როდესაც პოსტსაბჭოთა პერიოდში პრინციპულად შეიცვალა მეთოდოლოგიური დამოკიდებულება ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების შეფასებისა და ინტერპერაციისადმი, საყურადღებო და გასაზიარებელია.

აკად. ი. კაჭარავას მეცნიერული ინტერესების ფართო დიაპაზონი მოიცავდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ისტორიასთან ერთად კომუნისტური პარტიის ისტორიას, ეროვნული ურთიერთობების, საბჭოთა კულტურის განვითარების თავისებურებების, ისტორიოგრაფიის პრობლემებს.

ბატონ იურის ეკუთვნის სქელტანიანი გამოკვლევა ქართული ისტორიოგრაფიის შესახებ. ამ ნაშრომში ასევე პირველადაა განხილული და შეფასებული, იმ დროისათვის ობიექტურად, საქართველოს XIX-XX სს. ისტორიის პრობლემებზე გამოქვეყნებული შრომები, რაც ცხადია, დღევანდელი გადასახედიდან კრიტიკულ მიდგომას და შეფასებას მოითხოვს.

თუ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მთავარი ყურადღება ექცეოდა მუშათა კლასის და გლეხობის ისტორიის კვლევას, ი. კაჭარავამ რამდენიმე საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა ქართველი ინტელიგენციის – როგორც სოციალური ფენის ჩამოყალიბების პრობლემატიკას.

განსაკუთრებული მნიშვნელობის ნაშრომები იქნა აღიარებული ი. კაჭარავას მიერ 1966 წ. გამოქვეყნებული მცირე მოცულობის მაგრამ ღრმა შინაარსიანი ნაშრომი „ქართველი ხალხის კონსოლიდანციის ეტაპები“, რომელიც შეიცავს დასაბუთებულ და არგუმენტირებულ კრიტიკას კონცეფციისას, რომელიც ქართველი ერის ჩამოყალიბებას კაპიტალიზმის განვითარების პრიზმაში განიხილავდა.

ბატონმა იურიმ დიდი შრომა გასწია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მრავალტომეულის მეშვიდე ტომის მომზადებისა და რედაქტირებისათვის, რისთვისაც 1982 წ.

მრავალტომეულის სხვა ავტორებთან და რედაქტორებთან ერთად მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

ი. კაჭარავა მისი თანამედროვე თაობის მეცნიერ-ისტორიკოსთაგან გამორჩეული იყო როგორც მკვლევარი – თავისი უნარისა და შესაძლებლობის დონით, ასევე პიროვნული თვისებებითაც. იგი იყო ობიექტური და პრინციპული, ახალგაზრდა თაობის დამხმარე, დინჯი და გაწონასწორებული, უკონფლიქტო და კაცთმოყვარე. ამ თვისებებთან დაკავშირებით მინდა ზოგიერთი მოგონება გავისხენო.

არ დამავიწყდება ბატონ იურის დამოკიდებულება ჩემი საკანდიდატო დისერტაციისადმი, როდესაც იგი ჩემმა მეცნიერ-ხელმძღვანელმა ასპირანტურაში, აკად. გ. ხაჭაპურიძემ გადასცა გასაცნობად დასკვნისათვის. ხელნაწერი ნაშრომი საკმაოდ დიდი მოცულობის იყო. მისი ხელში აღებისას ბატონმა იურიმ გამაფრთხილა, რომ ნაშრომის შემოკლება მოგიწევთ. მაგრამ სულ რამდენიმე დღეში წაკითხული ნაშრომის უკან დაბრუნებისას მომიწონა და მირჩია – გადამეცა დასაბუქდად. ასე დამილოცა გზა მეცნიერებაში ბატონმა იურიმ.

აკად. გ. ხაჭაპურიძის გარდაცვალების შემდეგ, ი. კაჭარავა სათავეში ჩაუდგა საბჭოთა პერიოდის განყოფილებას. ამ განყოფილებაში დავიწყე მუშაობა. მრავალი წლის მანძილზე ვიყავი მდივანი და ყოველდღიური ურთიერთობა მქონდა ბატონ იურისთან. ეს იყო საინტერესო და შინაარსიანი თანამშრომლობა. აკად. ი. კაჭარავა იყო ჩემი ნაშრომების, სახელდობრ, „საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის“ სამივე ტომის რედაქტორი. ვიყავი ბატონ იურის მიერ შედგენილი უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოს თანაავტორი და ა. შ.

ბატონი იური მუდამ იყო დაინტერესებული საქვეყნო საქმეებით. თავის მოქალაქეობრივ პოზიციას იგი ყოველთვის დაუფარავად აფიქსირებდა. საკმაოდ კრიტიკულად იყო განწყობილი საბჭოთა სინამდვილისადმი. ჩვენ ერთად ვიდექით 1978 წლის 14 აპრილს საქართველოს ახალ კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დასაცავად გამართულ აქციაზეც.

მინდა გავიხსენო ერთი ფაქტიც, რომელიც ეხება ბატონ იურის პოზიციას და პრინციპულ გამოსვლას საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, რომელზედაც უნდა გადაწვეტილიყო საქართველოს რუსეთთან შეერთების 200 წლის იუბილის აღნიშვნის საკითხი. ამ თათბირის მონაწილის აკად. მ. ლორთქიფანიძის მოწმობით, თათბირზე ი. კაჭარავას არგუმენტირებულმა კრიტიკულმა გამოსვლამ ხელი ააღებინა ხელისუფლებას საქართველოსათვის იმ საბედისწერო მოვლენის საიუბილეო აღნიშვნის გადაწვეტილებაზე. აკად. მ. ლორთქიფანიძის თქმით „იურიმ გადაგვარჩინა“.

ჩემი თაობის ისტორიკოსები მადლიერნი არიან აკად. ი. კაჭარავასთან მეცნიერული თანამშრომლობის, კოლეგიალური ურთიერთობისა და დიდ პატივს მივაგებთ მის ღვაწლს ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებაში.

პროფ. მაყვალა ნათქვამი

Cemi maswavi ebel i _ akademi kosi i uri kaWarava

დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა კაცს, რომელმაც უდიდესი ღვაწლი დასდო საქართველოს XX საუკუნის ისტორიის მეცნიერულ კვლევას. ეს კაცი – ჩემი მასწავლებელი იყო და უდიდესი როლი შეასრულა ჩემი პიროვნების ფორმირებაზე, ჩემს არჩევანზე, გზა გამიკვალა და ფეხზე დამაყენა. ბევრი, ძალიან ბევრი მაკავშირებს ამ ღირსეულ ქართველ კაცთან, რომელიც არა მარტო სამეცნიერო მიღწევებით გამოირჩეოდა, არამედ ჩინებული ქართული თვისებებით: კაცთმოყვარეობით, შრომისმოყვარეობით, პრინციპულობით, უკომპრომისობით... ასეთი იყო ჩემი მასწავლებელი – აკადემიკოსი იური კაჭარავა...

პირველად 1972 წელს გავიცანი, თუმცა მის ნაშრომებს უკვე ვიცნობდი და ის თვითონ უკვე დიდი ხანია აღიარებული და გამორჩეული მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უახლესი ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი იყო. ის მაშინ სპეცკურსს გვიკითხავდა სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსზე და ეს სპეცკურსი არ ჰგავდა სხვა მსგავს ლექცია-სემინარებს. ეს იყო დიდი მეცნიერის „სამზარეულოს“ გაცნობა, მეცნიერული კვლევის ანა-ბანის შესწავლა, სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. გამორჩეული ლექციები ჰქონდა, საინტერესო. თავისი მდიდარი მეცნიერული საგანძურიდან სტუდენტის თვალწინ აცოცხლებდა წარსულის დრამატულ ფოლიანტებს, გვაძლევდა საშუალებას ჩვენ თვითონ ჩავწვდომოდით იმ სირთულეებს და ტრადიციებს, რითიც ასე გამორჩეული საქართველოს XX საუკუნე. გვმოძღვრავდა: „საკვლევაძიებო მუშაობის შედეგს იმ წუთას ნუ გამოაქვეყნებთ, რომ დაწერთ, ერთი-ორი თვე გადადეთ, ნუ მიუზღუნდებით, დრო გავიდეს. და აი მაშინ, ხელმეორედ აიღეთ ნამუშევარი და კრიტიკულად წაიკითხეთ, აშკარად მიხვდებით შეცდომებს და ნაკლოვანებებს და გარეშე კრიტიკოსის გარეშეც დახვეწთ და გააძლიერებთ ნაშრომს. მხოლოდ ამის შემდეგ ჩააბარეთ გამოსა-

ცემადლო“. ამ შეგონებას დღესაც ვასრულებ, მუდამ მეხმარება და ნაშრომიც გაცილებით უკეთესი გამოდის...

მაგონდება ერთი შემთხვევა: ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდიდან გამორჩეულად მაინტერესებდა ეროვნებათაშორისი ურთიერთობის პრობლემები და სადიპლომო ნაშრომიც ამ პრობლემას მივუძღვენი. ნაშრომზე მუშაობამ ისე გამიტაცა, რომ დროის შეგრძნება დაგკარგე. კათედრაზე ნაშრომი რომ მივიტანე, აღმოჩნდა რომ დავაგვიანე და მას შესაფასებლად აღარ იღებდნენ. პროფ. იური კაჭარავას (მაშინ ის პროფესორი იყო) ეს ამბავი გაუგია და კათედრის ხელმძღვანელობას თანხმობა განუცხადა, რომ როგორც გამონაკლისი, ჩემი დიპლომი მისთვის გადაეცათ.

რამდენიმე ხნის შემდეგ დამიბარა. იმჟამად მისი კაბინეტი „იმელის“ შენობაში მდებარეობდა და პირველად შევედი ამ უნიკალური არქიტექტურის გემოვნებით ნაგებ შენობაში, რომლის კედლები დიდებული ქართული მარმარილოთი და ჩინებული ქართული ხის მასალით იყო მოპირკეთებული. მეორე სართულზე, ერთ მყუდრო კაბინეტში მიმიღო, ველავდი... ასეთ მიღებას არ ველოდი. დამსვა, დამამშვიდა, ჩემი დიპლომი გადმოიღო და საუბარი დამიწყო. მითხრა მიღწევებზე, მიმითითა ბუნდოვანი ადგილები, მომიწონა დასკვნები. ისიც მითხრა, ცოტა რომ დაამატო და გადაამუშაო – ჩინებული საკანდიდატო დისერტაცია გამოგივაო. მაღალი შეფასება მომცა და გზა დამილოცა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, როცა გაიგო, რომ უნივერსიტეტი წარჩინებით დავასრულე, თავის განყოფილებაში უფროს ლაბორანტად მიმიწვია, ღირსეული ქართველის – პროფ. ალექსანდრე კოჭლავაშვილის საპრობლემო ჯგუფში. მაშინ ეს განყოფილება ინსტიტუტში ერთ-ერთი წამყვანი განყოფილება იყო, აქ მართლაც დიდებული მეცნიერები მუშაობდნენ: მაყვალა ნათმელაძე, მამია ჯიჯეიშვილი, ალექსანდრე კოჭლავაშვილი, სანდრო ჩხარტიშვილი და სხვები.

ბევრი ვისწავლე მათგან. მაგონდება ერთი შემთხვევა – ახალი მისული ვარ და ბატონმა იურიმ სემინარული მეცადინეობისათვის თემის წაკითხვა დამავალა – ჩემი „მშობლიური“ ეროვნული ურთიერთობის პრობლემაზე.

ბევრი ვიმუშავე და მოკრძალებით წარვდექი დიდი აუდიტორიის წინაშე – ვგრძნობდი, რომ ეს ჩემი, როგორც ახალბედა მეცნიერის გზის დასაწყისი უნდა გამხდარიყო. მახსოვს სემინარის ერთ ადგილზე ლენინის მიერ გამოთქმული დებულებები ევოლუციურად განვმარტე. ეს ჩემი შეხედულება საბჭოთა ისტორიოგრაფიის კლიშეებს არ ეთანხმებოდა და აუდიტორიამ ეს ადვილად „დაიჭირა“ და შენიშვნა მომცეს. როცა სემინარი დასრულდა და ბატონმა იურიმ შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა, აღნიშნა, რომ ახალგაზრდა კაცი მართალია, ამ საკითხს მეც ასე ვუყურებო და ალექო, ჩემის აზრით, კრიტიკას არ იმსახურებსო. ეს იყო ჩემი პირველი აღიარება – ჩემმა მასწავლებელმა დადებითად შემაფასა, „მხარეზე ხელი დამარტყა“ და კიდევ ერთხელ გზა დამილოცა.

სწორედ ბატონმა იურიმ შემირჩია საკანდიდატო დისერტაციის თემაც, რაც ეროვნებათაშორისო ურთიერთობის პრობლემას ეძღვნებოდა საქართველოს სამრეწველო შრომით კოლექტივებში და რომელზეც სრული რვა წელი ვიმუშავე.

მაგონდება: ერთ დღეს მეძახის, ჩემთან ჩამოდის. რომ შევედი კაბინეტში, მის გრძელ მაგიდაზე წიგნების დიდი დასტა დავინახე. მიუვახლოვდი. შემომხედა და მითხრა – ეს წიგნები ეროვნული ურთიერთობების პრობლემებს ეძღვნება, შენთვის შევარჩიე, გამოგადგება, წაიღე და იმუშავეო.

ბევრი, ძალიან ბევრი სიკეთე მახსოვს ამ ღირსეული კაცისაგან, მახსოვს მისი დიდებული გამოსვლები კონფერენციებზე, შეკრებებზე, მუდამ პრინციპული, მუდამ უკომპრომისო...

როცა გორბაჩოვისეული „გარდაქმნა“ დაიწყო და სტალინისა და ბერიას წინააღმდეგ ბრძოლის მანტიით ტროცკიზმის აღორძინება სცადეს, კვლავ „ნაციონალ-უკლონიზმზე“ ალაპარაკდნენ და მარქსიზმ-ლენინიზმის თბილისის ფილიალში მოეწყო დისკუსია, რომლის მიზანი იყო „ნაციონალ-უკლონიზმის“ შესახებ დამკვიდრებულ შეხედულებების შეცვლა და ახალი, გორბაჩოვისეული შეხედულებების დამკვიდრება. ამ დისკუსიას ინტერესით ადევნებდა თვალს დიდი რუსი პოეტი ბულატ ოკუჯავა

(რეპრესირებული პარტიული ფუნქციონერის მ. ოკუჯავას ვაჟი), რომელმაც დისკუსიის მსვლელობის დროს მოსკოვიდან რამდენჯერმე დარეკა.

მახსოვს ბატონი იური, საოცრად მშვიდი, მისი მებრძოლი გამოხედვა... საქმე ის არის, რომ მის ჩინებულ მონოგრაფიაში „საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში“ „ნაციონალ-უკლონიზმის“ შესახებ მის მიერ გამოთქმული შეხედულებები მოძველებულად ჩაითვადა და ზოგიერთმა კრიტიკის ცეცხლი დაანთო. რა თქმა უნდა, ბატონმა იურიმ ჩინებულად იცოდა რა იდგა ამ კრიტიკის უკან და არცერთ დებულებას არ თმობდა, ამტკიცებდა თავისი შეხედულებების ჭეშმარიტებას.

„კრიტიკოსებმა“ მოსკოვის პარტიული არქივიდან ჩამოტანილი ახალი, მანამდე უცნობი დოკუმენტი ააფრიალეს – სტალინის სიტყვა XII პარტიული ყრილობის სპეციალური კომისიის სხდომაზე (მანამდე ეს დოკუმენტი უცნობი იყო) და „გაიმარჯვეს“.

მაგრამ იშუამად არავინ ვიცოდით, რომ ამ დოკუმენტის მომძიებელმა ეს დოკუმენტი სრულად არ გამოაქვეყნა, დამალა ბოლო ორი ფურცელი, რომელიც საკითხის კიდევ უფრო ობიექტურად გარკვევის შესაძლებლობას იძლევა... და როცა საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორის აკად. დავით მუსხელიშვილის ხელშეწყობით 2004-2005 წლებში მოსკოვის პარტიულ არქივში ვმუშაობდი, მე ვნახე და თბილისში ჩამოვიტანე იმ დოკუმენტის ბოლო ორი ფურცელი, რომელიც ადასტურებს აკად. იური კაჭარავას შეხედულებებს და აისახა კიდევ ჩემს ბოლო გამოკვლევებში.

ტროცკიზმის აღორძინებამ ვერ უშველა გორბანოვს და მის მომხრეებს. საბჭოთა კავშირი ისტორიას ჩაბარდა, დაემხო კომუნისტური რეჟიმი, XX საუკუნის პრობლემებზე მომუშავე ზოგიერთმა ისტორიკოსმა, რომლებმაც ტომები მიუძღვნეს „დიად გარდატეხას“ და სოციალისტურ აღმშენებლობებს, სპეციალური შესწავლისა და კრიტიკული გააზრებების ნაცვლად, საისტორიო საზოგადოებას სახელდახელოდ დაწერილი „ახალი ოპუსები“ შესთავაზეს. ბევ-

რი მოიქცა ასე, მაგრამ არა ყველა... მათ შორის აკად. იური კაჭარავაც იყო.


მიხარია იმის აღიარება, რომ ბოლო ჩემი გამოკვლევები, რომლებიც დღემდე უცნობი მასალების საფუძვლებზე გამიკეთებია, ხშირად ადასტურებენ აკად. იური კაჭარავას შესხედულებებთან ჩემი მოსაზრებების ნათესაობას, მიხარია იმის შეგნება, რომ მისი გაკვალული გზით მივდივარ და მუდამ ვესაუბრები – ჩემი ცხოვრების ყველაზე საპასუხისმგებლო პერიოდებში – ვიცი ჩემი წარმატება გაუხარდებოდა, ვიცი შემაქებდა...

დღეს, როცა ქართული ისტორიოგრაფიის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას; როცა დაინგრა ის, რაც აშენებული გვეგონა – დიდი ქართული მეცნიერება; და ვიმედოვნებდით – ეროვნული ხელისუფლება მას თვალისწინივით გაუფრთხილდება და კომუნისტურ რეჟიმზე უფრო საუკეთესო პირობებს შეუქმნისო; დღეს მეცნიერებისადმი ბარბაროსული მიდგომის ფონზე, საისტორიო მეცნიერების მიმართ გულგრილობისა და ხაზგასმული უპატივცემლობის ფონზე, მაინც ვიმედოვნებ, რომ აკად. იური კაჭარავას თაობის ისტორიკოსთა ღვაწლი არ დაიკარგება, მას გაავარძელებთ ჩვენ – დღევანდელი ისტორიკოსები, ვისთვისაც ძვირფასია დიდი ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო ტრადიცია, ხვალ კი მას გაავარძელებს ქართველი ისტორიკოსების ახალი თაობა, ვისთვისაც აუცილებელ მოთხოვნილებად იქცევა საქართველოს გმირული და დრამატული ისტორიის ობიექტური კვლევა.

და რახან ეს ასეა, მაშინ არასოდეს არ დაიკარგება უნიკალური ღვაწლი ქართველი ისტორიკოსთა დიდი თაობისა, რომლის ორგანული და ღირსეული წარმომადგენელი მუდამ იყო აკადემიკოსი იური კაჭარავა.

ალექსანდრე დაუშვილი

megobri s gaxseneba
nodar asaTiani _ 1931-2013



2011 წლის 30 იანვარს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში, თვალსაჩინო მეცნიერის, ამაგლარი პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნოდარ ასათიანის დაბადების 80 წელი საზეიმოდ აღვნიშნეთ. პატივი მქონდა, იუბილარს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტო-

რიო საზოგადოების სახელით მივსალმებოდი და დამსწრეთათვის მის მიერ ღირსეულად განვლილი ცხოვრების გზის შესახებ საკმაოდ ვრცლად მომეთხრო. ვისაუბრე ნოდარის ოჯახზე, მის მშობლებზე, მამაზე შალვა ასათიანზე, ფრიად განსწავლულ პიროვნებაზე, რომელმაც სიცოცხლე მეორე მსოფლიო ომს შესწირა, დედაზე – ბარბარე ასათიანზე, ქალ-ვაჟი (ნოდარი და მისი და) მარტოდ-მარტომ წიგნის სამყაროში, ღირსეულ მოქალაქეებად რომ აღზარდა. ვისაუბრე, ნოდარის მოწაფეობის, სტუდენტობის, ასპირანტობის წლებზე, მის დიდ პედაგოგებზე ნიკოლოზ ბერძენიშვილზე და შოთა მესხიაზე, მის პირველ წარმატებებზე, პირველ გამოქვეყნებულ ნაშრომებზე („რუსი მხატვრები XVI ს-ის კახეთში“, „თბილისის აღწერილობა ძველ რუსულ ხელნაწერ წიგნში“...), სავსებით კანონზომიერად ჩვენი იუბილარის არაერთი მეცნიერული სიახლის შემცველ საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებზე გავამახვილე ყურადღება. საკანდიდატო დისერტაცია მიზნად XVI-XVII საუკუნეების კახეთის გლეხობის ისტორიის კვლევა-ძიებას ისახავდა, ხოლო სადოქტორო XV-XVI საუკუნეების კახეთის სამეფოს ისტორიას. სადისერტაციო ნაშრომებმა ცნობილ ქართველ მეცნიერთა უმაღლესი შე-

ფასებები დაიმსახურა. შეძლებისდაგვარად სრულად მიმოვიხილე ნოდარ ასათიანის მეცნიერული მემკვიდრეობის ძირითადი მიმართულებები და ჩატარებული შრომატევადი ძიებების შედეგები. სპეციალურად შევჩერდი მის მიერვე მოძიებული პირველწყაროების საფუძველზე შექმნილ მონოგრაფიებზე: „მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის“, „გზა გამოხსნისა აღდგომისაკენ“, რომელთაც ფართო გამოხმაურება ჰპოვეს. უფრო მეტიც, სწორედ ამ მონოგრაფიებმა განაპირობეს ქართული ორი დოკუმენტური ფილმის: „წიგნი ფიცისა“ და „გზის“ ქართულ და რუსულ ეკრანებზე გამოჩენა. ხაზი გავესვი იუბილარის იმ ნაშრომების მნიშვნელობასაც, რომელთაც ახალი შუქი მოჰფინეს შუა საუკუნეების საქართველოში სოციალური იერარქიის ყველა ასპექტს. ასევე, იმ გამოკვლევებსაც, რომელთაც გააცოცხლეს ერეკლე II-ის, თეიმურაზ II-ის ისტორიული პორტრეტები და ქართველთა წარსულთან დაკავშირებული მარაბდის, მარტყოფისა და ბახტრიონის ბრძოლები. იმ მშვენიერ სხდომაზე ისიც აღვნიშნე, რომ ნოდარ ასათიანი საქართველოს ისტორიაში საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების არაერთი ბრწყინვალე სახელმძღვანელოს სულისჩამდგმელია. იქვე იმასაც დაგძენდი, რომ ნოდარ ასათიანმა თანაავტორებთან ერთად საქართველოს ისტორიის ფრანგულ და ინგლისურენოვანი ვარიანტებიც გამოსცეს, რომელთაც საფრანგეთსა და ინგლისში დიდი მოწონებით შეხვდნენ. სპეციალურად შევჩერდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნოდარ ასათიანის ფასდაუდებელ მოღვაწეობაზე, მისი ინიციატივით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ისეთი სასწავლო დისციპლინების შემოღებაზე, როგორიცაა: საქართველოს ეთნოგრაფია, საქართველოს არქეოლოგია, ქართული ნუმიზმატიკა, ქართული ხელოვნების ისტორია, საქართველოს მეზობელი ქვეყნების ისტორია, ენათმეცნიერების შესავალი, იბერიულ-კავკასიურ ენათა საფუძვლები, ძველქართული, ძველსომხური, სპარსული ენები, რაც XX საუკუნის 70-80-იან წლებში დიდ ძალისხმევას მოითხოვდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნოდარის მოღვაწეობაზე საუბრისას არ შემეძლო რამდენიმე სიტყვა იმაზეც არ მეთქვა, რომ იგი საქართველოს ისტორიის ზოგადსაუნივერსიტეტო კურსთან ერთად ორ სპეცკურსსაც უძღვებოდა: „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია“, ქართული ფეოდალიზმის „თავისებურებანი“ და ამასთანავე, დიდად ზრუნავდა იმაზე, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობა საქართველოს ისტორიის სამყაროსთან დაეახლოვებინა და მასში ეროვნული სულისკვეთება გაეღვიძებინა.

იმ დაუვიწყარ სხდომაზე ნოდარ ასათიანის ცხოვრების სხვა მხარეებზეც ვისაუბრე. გავისვენე, საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის ცისფერი ეკრანიდან ფართო მსმენელთათვის, ასევე, ქართველი ფეხბურთელებისათვის, საზოგადოება „ცოდნის“ წევრებისათვის მშვენიერი ქართულით, ფაქტებისა და მოვლენების ობიექტური ანალიზის საფუძველზე საქართველოს ისტორიაში წაკითხული ლექციები. არც მის მიერ საბჭოთა ქართული ენციკლოპედიის საქართველოს ისტორიის რედაქციის მოღვაწეობაში შეტანილი წვლილი, არც მისი ავტორობით ამ გამოცემის ცალკეულ ტომებში გამოქვეყნებული, ახალი ხედვით გამორჩეული ნაშრომების დასახელება, არც ქვეყნისა და ერის წინაშე დამსახურებისათვის მიღებული ჯილდოები გამომრჩენია და არც მხატვრობაში, სპორტში (ფარიკაობა), ქართულ სიმღერაში განგების მიერ მისთვის ბოძებული ნიჭი დამვიწყნია.

2011 წლის 30 იანვარს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დარბაზში საზეიმო, ამადღებული განწყობა სუფევდა. ნოდარ ასათიანს დაბადების დღეს მისი ყოფილი პედაგოგები, თანაკლასელები, თანაკურსელები, კოლეგები დიდი სიყვარულით ულოცავდნენ. მზებრძოლობას, დღეგრძელობას, სამეცნიერო, პედაგოგიურ, საზოგადოებრივ ასპარეზზე შემდეგ წარმატებებს უსურვებდნენ. და რაოდენ გულსატკენი და დასანანი, რომ ბედისწერამ ჩვენი იუბილარის მომავალი სხვაგვარად გადაწყვიტა. წლევეანდელი გაზაფხული ნოდარის ოჯახისათვის, მეგობრებისათვის, კოლეგებისათვის სევდიანი და ცრემლიანი აღმოჩნდა. 2013 წლის 14 მარტს ჩვენი მეგობარი, შესანიშნავი მეცნიერი, ისტორიკოსთა თაობების აღმზრდელი, სამშობლოს

ერთგული შვილი უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ და უდიდესი გულისტკივილით დავემშვიდობეთ. ნუგეშად ნოდარ ასათიანის მუხლჩაუხრელი შრომით შექმნილი სამეცნიერო მემკვიდრეობა, საქართველოს ისტორიაში მისი ავტორობით, თანაავტორობით, რედაქტორობით გამოცემული სახელმძღვანელოები და მასთან ურთიერთობით მონიჭებული სიხარული გერჩება. ისიც გვანუგეშებს, რომ იმქვეყნად ჩვენს საერთო მეგობრებს შეხვდება და გაიხარებს.

**უფალს შევთხოვ ნათელში ამყოფოს
ნოდარ ასათიანის სული!**

**ნანა ხაზარაძე
თბილისი, 2013 წლის 19 აპრილი**

S i n a a r s i

გი ოცავთ!..... 6

i u b i l e

akad. davi T musxel i Svi l i s gamosvl a..... 7

al eqsandre dauSvi l i

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და
საქართველოს უახლესი ისტორიის პრობლემები
(ეპიზოდი მეორე)..... 12

saqarTvel os istoria

ДАВИД МУСХЕЛИШВИЛИ

Из политических взаимоотношений Иверии (Картли)
и Алвании (Кавказской Албании) (Область
Камбисена//Камбечани) 28

D. MUSKHELISHVILI

From Political Relationship of Iberia and Albania
(Kambisene/Kambechovani Region) 36

andro gogol aZe

სპარსეთში (არდაველზე) ლაშქრობის
საკითხისათვის..... 39

A. GOGOLADZE

For the Issue of Military Campaign
in Persia (Ardabil)..... 63

i oseb (soso) al i mbaraSvi l i

დარგოს ექსპედიცია შამილის წინააღმდეგ
1845 წელს და წყაროთა ინტერპრეტაცია..... 65

I. ALIMBARASHVILI

Dargo Expedition in 1845 against Shamil
and Interpretation of Sources..... 73

gi orgi sosi aSvi l i

XX საუკუნის I მეოთხედის უცნობი დოკუმენტები
ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების შესახებ..... 75

G. SOSIASHVILI

Some unknown documents about the life
of Ivane Javakhishvili
in the Ist quarter of the xxth century..... 85

merab kal andaZe

დმიტრი უზნაძე, როგორც ისტორიკოსი..... 87

M. KALANDADZE

Dimitri Uznadze as a Historian..... 115

saqarTvel os ekl esi is istoria

eka kaWarava

ალავერდელ მღვდელმთავართა ქრონოლოგია
(XI-XIV საუკუნეები)..... 119

E. KACHARAVA

Chronology of Archbishops of Alaverdi..... 131

el dar bubul aSvi l i

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლეონიდე
ოქროპირიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან..... 133

E. BUBULASHVILI

From Epistolary Inheritance of Catholicos-Patriarch
of Georgia – Leonide Okropiridze..... 138

eTnol o g i a

ni no mai suraZe

ქართული ხალხური მუსიკის განვითარების
უძველესი საფეხურები. I. აღმოსავლეთ საქართველო
(მუსიკალური მასალის ანალიზი)..... 140

N. MAISURADZE

The Ancient Stages of Georgian Folk Music Development
1. East Georgia (The analysis of musical material)..... 210

dal i gi orgaZe

„საჭირისუფლო სახლი“..... 212

D. GIORGADZE

“Mourning House” 223

arqeoI o g i a

qeTevan di Rmel aSvi I i

საქართველოს შუა საუკუნეების ანტიფიქსების
გამოსახულებათა ტიპოლოგიზაციისათვის..... 225

K. DIGMELASHVILI

Typification of Representations on Medieval
Georgian Antefixes..... 235

I i t e r a t u r a T m c o d n e o b a

nest an sul ava

წმ. გიორგი მთაწმიდელი და ქართული გალობის
მრავალხმიანობის პრობლემა..... 242

N. SULAVA

The Saint Giorgi Mtatsmindeli and
the problem of the polyphony..... 255

Tval sazri si

oTar j anel i Ze

ისტორიის აქტუალიზაცია რუსეთ-საქართველოს
ურთიერთობის პოსტსაბჭოთა პერიოდში..... 258

O. JANELIDZE

Actualization of History of Russian-Georgian
Relations in Post Soviet Period..... 282

davi T pai WaZe

საქართველოს თანამედროვე ისტორიის
საკითხისათვის..... 286

D. PAITSCHADSE

To the problems of Georgian contemporary history.....324

kri t i k a da bi bl i o g r a f i a

АЛЕКСАНДР ДАУШВИЛИ

Врать надо меньше... Надо меньше врать!.....325

ni no mi ndaZe

რეცენზია ელდერ ნადირაძის
წიგნზე –”ქართული ლუდი”, თბ., 2010..... 354

dokumentebi s publ i kaci a

sofi o I alwyepi ani

სტეფანე ლუზინიანის
„აღწერილობა კუნძულ კვიპროსისა“ 358

S. LACHKEPIANI

Georgians in the work of Estienne Lusignan
Description de toute l’Isle de Cypre..... 366

arCi I CaCxi ani

თვითგამოცხადებული „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის” სამხედრო ისტორიის საკითხები საარქივო მასალებსა და დოკუმენტებში..... 367

A. CHACHKHIANI

Some Points of Military History of Self-declared "South-Western Caucasian Democratic Republic" in Archival Documents.....432

qroni ka

I i a mel i qi Svi I i

ქართველოლოგიის დღე (25 წლისთავი)..... 438

MEMORIA

ღვაწლმოსილი მეცნიერის აკად. იური კაჭარავას გახსენება დაბადებიდან მესხე წლისთავზე..... 445

ჩემი მასწავლებელი – აკადემიკოსი იური კაჭარავა..... 449

მეგობრის გახსენება. ნოდარ ასათიანი – 1931-2013..... 454



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge